აფხაზეთის საკითხი საქართველოს პარლამენტში

(2000-2003 წწ.)

აფხაზეთის საკითხი საქართველოს პარლამენტში

2000 - 2003 წლები

ნაწილი II

თბილისი - 2004 წელი

წინამდებარე კრებულის მიზანია ერთ წიგნში მოუყაროს თავი აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით 1999 წლის მოწვევის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების, დადგენილებების, განცხადებების, მიმართვების, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის მასალებს.

კრებულში ცალკე თავები აქვს დათმობილი აფხაზეთის საკითხისადმი მიძღვნილ ცალენულ განხილვებს საქართველოს პარლამენტში, ევროკავშირის, ეუთოს, ევროპის საბჭოს, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელარაციებს, განცხადებებს, რუსეთის სახელმწიფო დუმის დადგენილებებს და განცხადებებს, საერთაშორისო ფორუმებზე საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წარმომადგენელთა გამოსვლებს

წინამდებარე კრებული შინაარსობრივად წარმოადგენს გაგრძელებას აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის მიერ აფხაზეთის საკითხზე ადრე გამოცემული კრებულებისა: "აფხაზეთის ლაბირინთი", "აფხაზეთის საკითხი საქართველოს პარლამენტში" - 1995-1999 წწ., "Мифы и реальность", ორტომეულისა - “აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში 1989-1999 წწ”.

ვიმედოვნებთ, რომ, აფხაზეთის საკითხისადმი მიძღვნილი საპარლამენტო კომისიის ადრეული გამოცემების მსგავსად, წინამდებარე კრებულიც გამოიწვევს საქართველოს პარლამენტის წევრების, სახელმწიფო მოხელეების, მეცნიერების, სპეციალისტების ჯეროვან დაინტერესებას.

შემდგენლები და სარედაქციო კოლეგია:

ვახტანგ ყოლბაია - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე;

თეიმურაზ ჭახრაკია - საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის აპარატის ხელმძღვანელი;

დავით ლაცუზბაია - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე.

შესავალის მაგიერ

გასული საუკუნის მრავალი პრობლემა 21-ე საუკუნეს გადმოჰყვა. გლობალურმა ტენდენციებმა, რომლებიც განსაკუთრებულად ნეგატიურ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ კლიმატს ქმნის კაცობრიობისათვის, მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოებრიობის დიდი ძალისხმევისა, ჯერ-ჯერობით ვერ ჰპოვა გადაწყვეტა, ხშირ შემთხვევაში კი საშიშმა პროცესებმა კრიტიკულ ნიშნულს მიაღწიეს კიდეც. მათ რიგს განეკუთვნებიან რეგიონული კონფლიქტები, რომელთა გავლენა დღეს უკვე ვრცელდება დიდ გეოპოლიტიკურ სივრცეებზე და გამომდინარე, ისინი მრავალი სახელმწიფოს თუ სახელმწიფოთა გაერთიანების ინტერესთა სფეროში ექცევიან.

საერთაშორისო თანამეგობრობა დაინტერესებულია მათი გადაჭრით და ცდილობს იპოვოს ოპტიმალური სამართლებრივი გზა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლისათვის. მით უმეტეს, რომ დღევანდელ მსოფლიოში უკვე არ არსებობენ ლოკალური, "სხვისი" კონფლიქტები. იმდენად მნიშვნელოვანი და მზარდია ტექნოლოგიური განვითარების თანამედროვე დონე, რომ თითქმის ნებისმიერი საშიშროება გლობალურ მნიშვნელობას იძენს.

აღნიშნული ტენდენციები სრულად ესადაგება საქართველოს სახელმწიფოს და გაცილებით ინტენსიურს ხდის მათ ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო. კავკასია ის ადგილია, სადაც მსოფლიოს წამყვანი ძალების ინტერესთა დაპირისპირება მწვავე ხასიათს ატარებს, ხოლო მისი მრავალეთნიკურობა და მრავალკონფესიურობა ანტაგონიზმის შესაძლებლობებს ერთი-ორად ზრდის.

პოსტსაბჭოთა სივრცეში სეპარატისტული საფუძვლის მქონე კონფლიქტების ყველაზე დიდი კონცენტრაცია სწორედ კავკასიაზე მოდის. რუსეთის ფედერაციის სამხედრო-პოლიტიკურმა პრიორიტეტებმა განაპირობეს ისეთი პარადოქსი, როცა აღნიშნულ კონფლიქტებში სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებზე თითქოს ე. წ. ეროვნულმა უმცირესობების სამხედრო ფორმირებებმა გაიმარჯვეს. ამიტომ გამომდინარე იქიდან, რომ უკლებლივ ყველა კონფლიქტი ამ ქვეყნების გარეთ დაიგეგმა და დესტრუქციული ძალების მიერ იყო პროვოცირებული, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების ეთნიკურ ომებად კვალიფიცირება შეცდომა იქნებოდა. დღეს უკვე სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ორივე კონფლიქტი იყო საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური შეტაკება რუსეთთან. სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთი გეოპოლიტიკური ქცევის ძირითადი ფორმის - სივრცული გავლენის შენარჩუნების ერთგული დარჩა. თუმცა, შუა აზიაში აშშ-ს ინტერესების დაფიქსირების მაგალითი რუსეთის პოლიტიკისთვის პრაგმატული ხასიათის შეძენაზე მიუთითებს.

საქართველოსთვის შემდგომი ღირსეული განვითარება ქვეყნის მთლიანობის აღდგენას გარეშე შეუძლებელია. ამიტომ საზოგადოების წინაშე მდგარი ნებისმიერი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ მორალურ-ფსიქოლოგიური პრობლემა პირდაპირაა დაკავშირებული აფხაზეთთან.

აფხაზეთის პრობლემა არასდროს ყოფილა მარტივი და განვლილი საუკუნე ამის თვალნათელი მაგალითია, რადგან ის ცვალებადი სიმწვავით პერმანენტულად დგებოდა ქართველი ერის წინაშე და სწორედ მაშინ, როცა ამას რუსეთის მონარქისტული თუ საბჭოთა ხელისუფლება მოისურვებდა. ამჟამად ეს საკითხი სისხლხორცეულად არის დაკავშირებული არა მხოლოდ ქართველებისა და აფხაზების ბედთან, არამედ რეგიონის სხვა ხალხებთან, სახელმწიფოებთან. კონფლიქტი აფხაზეთში გავლენას ახდენს რეგიონზე და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კიდეც სამხრეთ კავკასიის მომავალ სახეს. ამასთან, საქართველო საერთაშორისო პოლიტიკურ სცენაზე მთავარ მოთამაშეთა ინტერესების უაღრესად მნიშვნელოვანი სუბიექტი ხდება.

***

საქართველოს ხელისუფლებისა და, კერძოდ, პარლამენტის მიდგომა აფხაზეთის პრობლემისადმი საერთაშორისო მოთხოვნათა შესაბამისად ეფუძნება მშვიდობიან სტრატეგიას და გულისხმობს ორმხრივი თუ მრავალმხრივი მოლაპარაკებების ფორმატით დიალოგს. ქართული მხარისათვის და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ამ პროცესის უმთავრესი საფუძველია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება და პარტივისცემა. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო 1999-2003 წლებში ცდილობდა მისი კომპეტენციის ფარგლებში ამ მიმართულებით შეემუშავებინა მაქსიმალურად რეალისტური კურსი.

საქართველოს პარლამენტს აღნიშნულ პერიოდში მიღებული აქვს 23 დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ ეხება აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების სხვადასხვა ასპექტებს. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გახლდათ 2001-2002 წწ. დადგენილებები. მათში ახლებურად არის დანახული და შეფასებული აფხაზეთში განვითარებული მოვლენები, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა და ამ უკანასკნელის როლი კოფლიქტის მოწესრიგების პროცესში, მსოფლიო მასშტაბის ახალი რეალიების გავლენა საქართველოს პრობლემებზე.

მკაცრად შეაფასა რა კონფლიქტის ზონაში დსთ-ს ეგიდით დისლოცირებული კოლექტიური სამშვიდობო ძალების მოქმედება საქართველოს პარლამენტმა 2001 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით "აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით" მიზანშეუწონლად მიიჩნია მათი შემდგომი ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე და წინადადება მისცა საქართველოს პრეზიდენტს ამ მიზნით განახორციელოს სათანადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურები. პარლამენტარებს მიაჩნდათ, რომ სამშვიდობო კონტინგენტის

სანაცვლოდ უნდა შეყვანილიყო საერთაშორისო სამშვიდობო ძალები. ამ პროცესის განხორციელება იგეგმებოდა სტამბოლის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დაუყოვნებლივი შესასრულებლების პარალელურად. ამასთან, საკანონმდებლო ორგანომ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ერთგულება აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პრინციპისადმი.

განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩეოდა საქართველოს პარლამენტის მუშაობა აფხაზუთთან დაკავშირებით 2002 წელს, როდესაც მიღებულ იქნა რამოდენიმე მნიშვნელოვანი დადგენილება, მიმართვა და განცხადება. საკანონმდებლო ორგანო შესაბამისად ეხმაურებოდა რუსეთის სათათბიროს აგრესიულ განცხადებებს, გმობდა მისი საშინაო საქმეებში ჩარევას (2002 წ. 20 მარტი) და მიუღებლად მიიჩნევდა "რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ეჭვქვეშ დაყენებას და სეპარატისტების მხარდაჭერას, რაც ეწინააღმდეგება როგორც სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის პრინციპს, ისე საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებს." იმ პერიოდში საქართველო რეალურად იდგა აგრესიის საფრთხის წინაშე და ამიტომ პარლამენტმა თხოვნით მიმართა გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს, ევროკავშირს, დსთ-ს და ყველა მეგობარ ქვეყანას, სათანადო შეფასება მიეცათ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს განცხადებაზე.

2002 წლის დადგენილებით "აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ" პარლამენტმა აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ დროებით კომისიას დაავალა "აფხაზეთის კონფლიქტის ძირითადი მიმართულებების" შემუშავება. აღნიშნული დოკუმენტი მოკლე ხანში შეიქმნა. მასში განისაზღვრა კონფლიქტის მოწესრიგების ძირითადი მიმართულებები - მიზნები, პრინციპები და მათი განხორციელების გზები. მიზანის - საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სტატუსის განსაზღვრა, აფხაზი ხალხის თვითმყოფადი კულტურის განვითარებისათვის ყველა პირობის შექმნა, ცენტრსა და რეგიონს (თბილისსა და სოხუმს) შორის უფლებამოსილებათა რეალური გამიჯვნა - დაეფუძნა საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს საკანონმდებლო ბაზას, საერთაშორისო სამართალს. ჩამოყალიბდა ამ პრინციპების განსახორციელებლად საქართველოს ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკის ამოცანები. "აფხაზეთის კონფლიქტის ძირითადი მიმართულებების" შექმნაში მონაწილეობდნენ პარლამენტის კომიტეტები, ბიურო. აღნიშნული დოკუმენტი შემდგომში განიხილა საქართველოს უშიშროების საბჭომ და მის საფუძველზე შეიმუშავა მოქმედების შესაბამისი გეგმა.

ოპერატიული რეაგირება მოახდინა პარლამენტმა რუსეთის მიერ 2002 წლის 12 აპრილს კოდორის ხეობაში განხორციელებულ სადესანტო ოპერაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეფასებულ იქნა ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფად და აშკარა აგრესიად. საერთაშორისო ორგანიზაციების სახელზე გაკეთებულ მიმართვაში (2002 წ. 12 აპრილი)

ნათქვამია: "ეს ხდება მას შემდეგ, რაც საქართველომ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციის საფუძველზე დაიწყო საჯარისო ფორმირებების გამოყვანა კოდორის ხეობიდან და დაიცვა ხელშეკრულების ყველა პირობა".

ქართულ საზოგადოებაში, პოლიტიკურ წრეებში მრავალი წლის მანძილზე ცხარე კამათის საგანი იყო გაეროს წესდების მე-7 თავთან დაკავშირებული საკითხები. პარლამენტმა 2002 წ. 23 ივლისს მიიღო დადგენილება "აფხაზეთში გაეროს წესდების VII თავის ამოქმედების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ". მასში ხაზგასმულია, რომ საქართველოს აღმასრულებედი ხელისუფლება არ ასრულებს ადრე მიღებული დადგენილებების გათვალისწინებულ ღონისძიებებს. არ სრულდება დსთ-ს 1996 წ. 19 იანვრის გადაწყვეტილება, ხოლო სამშვიდობო ძალები არ ასრულებენ მანდატით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. არ სრულდება აგრეთვე დსთ-ის მეთაურთა საბჭოს 1999 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების შეფერხებისას განხილული უნდა იქნეს აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლის საკითხი გაეროს წესდებით გათვალისწინებული დებულებების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდა დადასტურდა ეუთოს ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბოლის სამიტების გადაწყვეტილებებით, რომლესაც გაეროს მიერ აფხაზეთის საკითხზე მიღებული რეზოლუციებიც ითვალისწინებს, დღემდე გრძელდება აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის დევნა, საკუთრების გასხვისება და განადგურება, ქართულ ენაზე სწავლისა და სწავლების აკრძალვა, ქართული კულტურის ძეგლების განადგურება. ამასთან,საქართველოს პარლამენტმა დაადასტურა აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარების პრიორიტეტულობა, მაგრამ მან მხარი დაუჭირა კონფლიქტის მოგვარესათან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. აღნიშნული დადგენილებით პარლამენტმა დაავალა საქართველოს ამასრულებელ ხელისუფლებას, რომ მან მიმართოს გაეროს უშიშროების საბჭოს აფხაზეთში გაეროს წესდების VII თავის ამოქმედების მიზნით. გადადგას შესაბამისი ნაბიჯები კონფლიქტის ზონაში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლის მიზნით და მოამზადოს მისი ტრასფორმაციისა და ინტერნაცილნალიზაციის წინადადებები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა სახელმწიფოთა მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღონ სამშვიდობო ოპერაციაში.

დოკუმენტი შეიძლება მივიჩნიოთ საეტაპო გადაწყვეტილებად, მაგრამ, როგორც მოვლენების განვითარებამ დაადასტურა, საქართველოს აღმასრულებელმა სტრუქტურებმა ამ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებას იგნორირება გაუკეთდა. რა თქმა უნდა, არაობიექტური იქნებოდა იმის მტკიცება, რომ საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი, გაერო, მისი უშიშროების საბჭო ასეთი ნაბიჯისათვის მზად იყო. ამიტომ პარლამენტის ეს

გადაწყვეტილება უფრო ორთქლის გამოშვებას წააგავდა, ვიდრე პრაგმატულ და გაწონასწორებულ ნაბიჯს.

საქართველოს პარლამენტმა იმსჯელა აგრეთვე 2002 წლის 23 აგვისტოს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვის გამო, რომლის შედეგად დაიღუპა და დაიჭრა მშვიდობიანი მოსახლეობა. რუსეთის საკანონმდებლო ორგანოსადმი პარლამენტის მიმართვაში (2002 წ. 26 აგვისტო) ნათქვამია: ..."აფხაზეთში კონფლიქტის დროს საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფები, ქალაქებს ბომბავდა რუსეთის ავიაცია. (...) რუსეთის არაკონსტრუქციულობის შედეგია გაეროსა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლების მიერ აფხაზეთის სტატუსის შესახებ შემუშავებული პროექტების განხილვისა და მიღების ბლოკირება. რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში უვიზო რეჟიმის შემოღება საქართველოსთან შეუთანხმებლად წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას და ფაქტობრივად არის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ანექსიის მცდელობა. ფარული ანექსიის მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის დაჩქარებული წესით რუსეთის ფედერაციის მოქალექეობის მინიჭება".

მიუხედავად საქართველოს პარლამენტის ერთობ მკაცრი ტონისა, ის ყოველთვის სათანადოდ აფასებდა რუსეთ-საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობების მნიშვნელობას. ამიტომ ყველაფერი კეთდებოდა ორი ქვეყნის ურთიერთობა ჩიხში რომ არ შესულიყო. სამწუხაროდ, მხოლოდ საქართველოს ძალისხმევა ამ მიმართულებით საკმარისი არ აღმოჩნდა, მით უმეტეს მაშინ, როცა ფიზიკური და ვერბალური აგრესია რუსეთის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა. პარლამენტმა შეშფოთებით აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელია ორმაგ სტანდარტებზე დაფუძნებული პოლიტიკური ურთიერთობები, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და მოქალაქეების უსაფრთხოებას.

გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა გადაუდებელ აუცილებლობად მიიჩნია შემდეგ ღონისძიებათა განხორციელება: რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადების ცალმხრივად დადგენა; რუსეთის სამშვიდობო ძალების უმოკლეს ვადებში გაყვანა; საქართველოს წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული აგრესიის არაერთ ფაქტზე დსთ-ის უმოქმედობის გამო ამ ორგანიზაციიდან საქართველოს გამოსვლა.

რუსეთი შეეცადა აშშ-ზე 2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტთა თავდასხმის წლისთავის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენებას და საქართველოდან თითქოსდა მომდინარე საშიშროებათა გამო რუსეთის შესაბამისმა უწყებებმა დაიწყეს მზადება საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის განხორციელებისათვის. ამ საფრთხის გამო საქართველოს პარლამენტმა 2002 წ. 12 სექტემბერს მიმართა საერთაშორისო

თანამეგობრობას (გაერო, ეუთო, ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ნატო, საქართველოს მეგობარი ქვეყნები) დახმარებისათვის, სადაც რუსეთის ხელისუფლების გეგმები შეაფასა, როგორც საქართველოს წინააღმდეგ პირდაპირი სამხედრო ინტერვენციის მცდელობა. პარლამენტმა რუსეთის ხელისუფლება დაადანაშაულა ტერორიზმის ხელშეწყობაში, რასაც მოჰყვა სეპარატიზმის გაღვივება და შედეგად – საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, დიდი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში და ასეულათასობით მოქალაქის განდევნა საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან.

ზემოაღნიშნულის ლოგიკურ გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 13 სექტემბრის დადგენილება "საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო) გაწევრიანების პროცესის დაწყების შესახებ", რომლეშიც ნათქვამია: "საქართველოს პარლამენტი (...) მხარს უჭერს ქვეყნის ნატოში სრულფასოვან გაწევრიანებას, აღიარებს, რომ ეს გადაწყვეტილება არის საქართველოს ისტორიული არჩევანი, განპირობებული ხალხის ნებით".

საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილებები, რომელშიც იურიდიულად დაფიქსირდა აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი. დადგენილებაში ნათქვამია: "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განსაზღვრა საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ". მიუხედავად ამ მოკლე ჩანაწერისა, საქართველოს ხელისუფლებამ განზრახვების საჯარო დემონსტრირება მოახდინა.

***

პოლიტიკურ წრეებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად მიიჩნევენ, რომ აფხაზეთის ომი მისი სტატუსის განუსაზღვრელობის ან სტატუსთან დაკავშირებული არსობრივი პრობლემის გამო დაიწყო. ისინი ამტკიცებენ, რომ მე-20 საუკუნის მიწურულს აფხაზეთის პრობლემა ისევე, როგორც ცხინვალის რეგიონისა და საქართველოს სხვა პრობლემა, წარმოშვა საქართველოს, ქართველი ერის რუსეთისაგან განთავისუფლების სურვილმა და ამ მიზნით წარმოებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ. აფხაზეთი მიიღო ქართველმა ერმა თვითგანსაზღვრის უფლების რეალიზაციის გამო როგორც სასჯელი - შექმნას დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო. აფხაზეთის ტრაგედიის მიზეზებიც აქ უნდა ვეძებოთ და მისი მოგვარების პერსპექტივაც ამ თვალსაწიერიდან უნდა დავინახოთ. ხოლო ექსპერტთა მეორე ჯგუფი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში აფხაზეთი ყოველთვის იყო განსაკუთრებული სტატუსით აღჭურვილი მხარე და წარსულში არაერთგზის ყოფილა სისხლიანი შეტაკებები ტერიტორიაზე გავლენის მოპოვების მცდელობის გამო. ყოველივე ამას თუ დავუმატებთ იმას, რომ დასავლეთ საქართველოს თავის დროზე ერქვა "აფხაზეთი", მაშინ გარედან მაყურებელს

თუ დაინტერესებულ მხარეს ეძლევა ამ თემით მანიპულირების საშუალება, რასაც მშვენივრად აკეთებენ ჩვენი ოპონენტები, განსაკუთრებით მეზობელ ქვეყანაში - რუსეთში და მეტ-ნაკლებად, თურქეთის გარკვეულ წრეებში.

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ტერიტორიისა და მხარის ინდენტიფიკაციის (აფხაზი - აფხაზეთი), მეომარი მხარეების, ომის შინაარისა და შედეგის ზემოაღნიშნული სახით განსაზღვრისას შეიძლება ჩაითვალოს, რომ აფხაზმა ხალხმა აფხაზეთში აწარმოა ომი დამოუკიდებლობისათვის და გაიმარჯვა, ხოლო ეთნიკური წმენდის მიზეზად (თუ სხვა არ არსებობს) მიჩნეულ იქნება საომარი მოქმედებებისაგან დამარცხებული მხარის მოსახლეობის თვითგანრიდება, გენოციდი კი - უკეთეს შემთხვევაში, ეთნიკური მკვლელობებად. აქედან აღარაფერი დარჩება აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებამდე. მით უმეტეს, რომ მოსკოვის ცნობილი 1994 წლის შეთანხმებები ცნობენ მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილის დაბრუნების უფლებას, ვისაც საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია.

ამგვარად, საომარი მოქმედებების სწორი სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება მათი მიმდინარეობის დროსაც იყო აქტუალური და გადამწყვეტი და დღესაც ასეთად რჩება.

რაც შეეხება აფხაზეთის სტატუსის საკითხს, ის უნდა განისაზღვროს მოსახლეობის ნების გამომხატველი არჩევითი ინსტიტუტის არსებობის პირობებში, რაც აფხაზეთში დღეს არ არსებობს.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს პარლამენტში არაერთხელ იყო მცდელობა სწორედ ამ მიმართულებით წარმართულიყო მუშაობა. მომზადდა არაერთი დადგენილებისა და კონცეფციის პროექტი. აქტიურად ეწყობოდა მათი განხილვა. პარლამენტის კომიტეტებსა და აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ კომისიაში ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით. განსაკუთრებული ინტესნიობით მიმდინარეობდა ეს მუშაობა 2000 წელს (იხ. კომისიის ოქმები №3,7,8,9,10). მუშაობაში ჩართულნი იყვნენ ქვეყნის წამყვანი მეცნიერები, სპეცალისტები, პოლიტიკოსები, სხვადასხვა პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ თვით პოლიტიკურ წრეებში და საზოგადოების არც თუ ისე უმნიშვნელო ნაწილში ამ საკითხზე დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა. ამიტომ ჩაითვალა მისაღებად ევრო საბჭოს ექსპერტთა ინიციატივით ჩატარებულიყო თემის განხილვა, რომელიც ამჟამად თვით მრავალეთნიკურ აფხაზეთში კომპეტენციის გამიჯვნის საკითხს შეეხებოდა.

ძალიან საინტერესოდ ჩაიარა ფრიდრიჰ ებერტის (გერმანია) თბილისის ორგანიზაციის (ი. თიკანკაძე), "შერიგების რესურსების" (ლონდონი) საქართველოს განყოფილების (პ. ზაქარეიშვილი), სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის (ა. რუსეცკი), ფლამანდიის ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის დეპარტამენტისა და აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საპარლამენტო კომისიის

ინიციატივის მოწვეულმა ორმა კონფერენციამ, სადაც პირველად გამართა მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა მექანიზმებით შეიძლება დარეგულირდეს აფხაზეთში ადამიანის უფლებების დაცვის შეუვალი პრინციპები, რაც თავისთავად გულისხმობს აფხაზების, როგორც ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობის ინტერესების გარანტირებულ დაცვას.

ისევე, როგორც ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, ასევე ქართულ პოლიტიკურ ელიტაში არ იგრძნობოდა ამ საკითხით დიდი დაინტერესება და ჩატარებულ მუშაობას არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ყურადღება..

ქვეყნის პარლამენტის ხელმძღვანელობა მუდმივად ცდილობდა საერთაშორისო არენაზე, ევროსტრუქტურებში იმგვარად გაეტანა აფხაზეთის პრობლემა, რომ ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვეობის, სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან ერთად აფხაზეთისთვის ბრძოლას შეემატოდა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი არგუმენტი: აფხაზეთისთვის ბრძოლა, აგრეთვე, არის ქართველი ერის ბრძოლა **ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულების - ერთა თვითგანსაზღვრის უფლების რეალიზაციისათვის,** რომელიც ხელყოფილია ყოფილი მეტროპოლიის - რუსეთის მიერ.

საერთაშორისო თანამეგობრობა, გაერო, ეუთო მუდმივად იყვნენ ჩართულნი აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პროცესში. მიუხედავად ამ ორგანიზაციების აქტიურობისა, მათ მიერ მიღებულ დოკუმენტებს ქრონიკულად აკლდა კონკრეტულობა. მაგრამ ეს გამოწვეული იყო თვით საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკით, რომლის ნაბიჯებისა და პოზიციის ადეკვატური შესაძლოა ყოფილიყო უცხოელ ექსპერტთა თუ ფუნქციონერთა პოზიცია. ამის მაგალითად გამოდგება 2000 წელს ეუთოს მიერ გალის რაიონში განხორციელებული მონიტორინგი ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. თავისთათვად დოკუმენტი მნიშვნელოვანია და მოიცავს ადგილზე სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული მდგომარეობის ვრცელ ანალიზს. მაგრამ მცირე გამონაკლისის გარდა, მასში არ არის რაიმე ხელშესახები, საქართველოსთვის პოზიტიური დასკვნები. დოკუმენტის ავტორები ყველაფერს ეხებიან, მაგრამ გამოსავალის პოვნას ქართულ და აფხაზურ მხარეებს ანდობენ. ამგვარი მდგომარეობა არის შენარჩუნებული წლიდან წლამდე.

ხშირად აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო კანონმდებლობაში არ არის რაიმე მზა გადაწყვეტილება, როდესაც საქმე ეხება, ერთის მხრივ, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ხოლო, მეორეს მხრივ, თვითგამორკვევის უფლებას. არადა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საყოველთაო - პაქტის პირველი თავის `1, რომელიც ეხება ერთა თვითგანსაზღვრის პრინციპებს, მკაფიოდ მიუთითებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრიორიტეტებზე: „1. ყველა ხალხს აქვს თვითგანსაზღვრის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად ამყარებენ თავის პოლიტიკურ სტატუსს

და თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას. 2. ყველა ხალხს თავისი მიზნების განხორციელებისათვის შეუძლია თავისუფლად განკარგოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრე და რესურსები“... ამასთან, ეუთოს დოკუმენტებში მკაფიოდ და სრულიად გასაგებად არის აღნიშნული, რომ "გამოყოფის ფორმით თვითგამორკვევის პრინციპის შესრულებამ შეიძლება შეუქმნას სერიოზული საფრთხე მშვიდობის უსაფრთხოებას. ეს პრინციპი უნდა სრულდებოდეს მშვიდობიანი გზით და დემოკრატიული გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც მისაღებია ნაციონალური სამართლის სისტემისათვის, საერთაშორისო ნორმების შესაბამისად და შესაძლებელია საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ. თვითგამორკვევის ნება არ უნდა ეყრდნობოდეს ან მიღწეულ იქნეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შედეგად" (ეუთოს ვარშავის დეკლარაციიდან, 1997 წ. 9 ივლისი, პუნქტები 22 და 23). ეუთო კატეგორიულად განმარტავს, რომ "იმ ადგილებში, სადაც ჩადენილ იქნა ეთნიკური წმენდა, არჩევნები თავისუფლად და სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილეობის მიღების საშუალება მიეცემა კონფლიქტამდე მცხოვრებ მთელს მოსახლეობას" (იქვე, პ. 108). ამდენად, ამ შემთხვევაში სრულიად მკაფიოდ არის გარკვეული თანაფარდობა და ურთიერთმიმართება, ერთის მხრივ, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და, მეორეს მხრივ, თვითგამორკვევის უფლებას შორის, რაზეც აპელირებს სეპარატისტული რეჟიმი.

ამასთან, ვერ მიდის რა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა დადგენილი ნორმების აშკარა იგნორირებამდე, რუსეთი საჯაროდ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. თუმცა, ეს ოფიციალური პოზიცია ტრადიციულად არ ემთხვევა რეალურ პოლიტიკურ ნაბიჯებს და კარგად ჯდება "ორმაგი სტანდარტების" უსამართლო პრაქტიკაში. ყოველ შემთხვევაში ასე იყო აჭარის 2004 წლის მოვლენებამდე, როცა ჩვენი დიდი მეზობელი იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო. აქ სიმართლე იქნებოდა ხაზგასმით გვეთქვა რუსეთის ფაქტორისადმი საქართველოს ახალი ხელისუფლების გააზრებული მიდგომის შესახებ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ როგორი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მკაფიო პოლიტიკურ ნებას.

***

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისათვის მუშაობის ათწლიანმა გამოცდილებამ ნათელი გახადა, რომ მიუხედავად ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების სერიოზული ძალისხმევისა, მსოფლიო თანამეგობრობა ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებს ამ საკითხში რაიმე მნიშვნელოვან პოზიტიურ წინსვლას. მათი მიდგომები იმაზე მეტყველებენ, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხი (ჯერ-ჯერობით მაინც) მთლიანად რუსეთის პოლიტიკურ ნებაზეა მიბმული.

ერთადერთი, რაც რევიზიას არ ექვემდებარება - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შეუვალობაა, რომელსაც ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, ყველა მთავრობა წლების მანძილზე უსვამს ხაზს და აღიარებს. ამასთან, ცნობილია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ურღვეობა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური, ერთაზროვნად დადგენილი უნივერსალური, მოქმედი პრინციპია, სანამ ესა თუ ის ქვეყანა - საერთაშორისო სამართალსუბიექტი თავად არ შეიტანს მასში კორექტივს, ანუ არ მოახდენს სეცესიას.

ამ პერიოდში გამოიკვეთა, რომ აშშ უფრო აქტიურად ჩაერთვნენ აფხაზეთის საკითხებში. პრეზიდენტების ბუშისა და პუტინის მოსკოვის შეხვედრაზე მიღებულ დეკლარაციაში ამ თემას დაეთმო ცალკე ადგილი. თანდათანობით რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში საქართველო (თავისი პრობლემებით და ალბათ, პირველ რიგში, აფხაზეთით) ხდება ის სუბიექტი, რომელიც მუდმივად დაიკავებს თავის ადგილს.

აფხაზეთთან დაკავშირებით არსებობს ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება თუ წინააღმდეგობა. საერთაშორისო ორგანიზაციები პასუხისმგებლობას კონფლიქტისა და მისი მოგვარების მიმდინარეობაზე უპირველესად მასში ჩართულ მხარეებს აკისრებენ. თავის მხრივ საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოებრიობა ხშირად გადაჭარბებით აფასებენ საერთაშორისო თანამეგობრობის შესაძლებლობებს. მიიჩნევენ, რომ ეს ხდება მათი მედიატორული როლის არასწორი ინტერპრეტაციის გამო, რაც ილუზიების მსხვრევასა და იმედგაცრუებას იწვევს პოლიტიკურ სპექტრსა და სხვა ფენებში. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკური მანდატი აფხაზეთში კონფლიქტის საკითხის განხილვისას ძირითადად შემდეგ პრინციპებს ეფუძნება: ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვეობა; ბ) კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება; გ) ლტოლვილთა და დევნილთა მშობლიურ ადგილებში უპირობო და უსაფრთხო დაბრუნების გარანტირება.

სწორედ ეს პრინციპებია გათვალისწინებული და დაცული გაეროს, ეუთოსა და დსთ-ს მიერ მიღებულ უკლებლივ ყველა დოკუმენტში, რომლებსაც აუცილებლად ითვალისწინებენ ცალკეული სახელმწიფოები. ცხადია, ეს არ გამორიცხავს სხვა საკითხების განხილვასაც, მაგრამ როდესაც აღნიშნული პრინციპებისგან ოდნავი გადახვევა ხდება, მაშინ ვითარება რთულდება და იძაბება ნებისმიერ დონეზე.

გაერო თავიდანვე იყო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში ჩართული. ამ თვალსაზრისით ზოგადად საერთაშორისო ორგანიზაციების როლი თანდათან ინტენსიური გახდა, მაგრამ ამით მათი ეფექტურობა და გავლენა ვერ გაზარდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც გაეროს ექსპერტთა მიერ შემუშავებული ე. წ. ბოდენის დოკუმენტის ("თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები") სავალალო ბედი, რომლის განხილვაზეც კი არ თანხმდება სეპარატისტული რეჟიმი. ამ ეტაპზე რაიმე რეალური ქმედითი მექანიზმი ჩიხური

სიტუაციიდან გამოსასვლელად ვერ მოიძებნა, რადგან აფხაზეთის საკითხი რჩება რუსეთ-საქართველოს ზოგადსახელმწიფოებრივ ურთიერთობათა ერთ-ერთ, მაგრამ ძირითად ქვაკუთხედად.

საერთაშორისო თანამეგობრობა აფხაზეთის პრობლემას განიხილავს როგორც სუვერენულ ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტს და შესაბამისი, პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდებითა და საშუალებეით ცდილობს მასზე ზემოქმედებას, რომელშიც ამ ეტაპზე რაიმე იმპერატიული შეთავაზებები თუ ქმედებები გამოირიცხება. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანწილად საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა მდგომარეობის გამოსწორებისა და საკითხის გადაწყვეტისათვის. სწორედ მისი პოზიცია და რეალური ნაბიჯები განსაზღვრავენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემების სამართლიან მოგვარებას, აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ჩართულთა კოორდინაციას, რომლის სპექტრი საკმაოდ ფართოდ იკვეთება.

როგორც უკვე ითქვა, პირველ რიგს განეკუთვნებიან გაერო და ეუთო, რომლებიც საქართველოში თავიანთი წარმომადგენლობების მეშვეობით მოქმედებენ. აქ გაერო მთავარ ორგანოდაა მიჩნეული, რომლის მოღვაწეობას სხვადასხვანაირი შეფასება ეძლევა, მაგრამ ერთი ცხადია - ამ ორგანიზაციის ავტორიტეტმა საქართველოს სუვერენიტეტი მხოლოდ განამტკიცა.

გასულ პერიოდში სიახლე იყო ჟენევის ფორმატის განახლება და მისი დონის ამაღლება (გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის ჟან გიენოს, აშშ-ს სპეციალური წარმომადგენლის რუდოლფ პერინას, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვ. ლოშჩინინის, დიდი ბრიტანეთის მთავრობის სპეციალური წარმომადგენლის კავკასიაში სერ ბრაიან ფოლის სახით). მუშაობის შედეგად ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპების ქვაკუთხედია აფხაზეთთან დაკავშირებული პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების პრიორიტეტულობა, ისევე, როგორც დევნილთა უპირობო და უსაფრთხო დაბრუნება. ამასთან, სამივე საკითხი არის მთავარი და ერთმანეთს არ უსწრებს. სამწუხაროდ, ჟენევის ფორმატმაც რეალური შედეგები ვერ გამოიღო, რამეთუ რუსეთს გაუჩნდა ეჭვი, რომ ამ პროცესის გაღრმავებით მისი, როგორც მედიატორის როლის ნიველირება ხდებოდა.

აღსანიშნავია, რომ დროთა განმავლობაში გაეროს როლი ნაკლებად შემტევი გახდა. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოში ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელის ქალბატონ ჰაიდი ტალიავინის პირადი აქტიურობა კონკრეტული საკითხების მოგვარებაში. ეს ეხება თუნდაც გალის რაიონში სეპარატისტთა მიერ ახალგაზრდა მხატვრის, არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის დ. ბაძაღუას ტუსაღობიდან განთავისუფლებას (მისიის ხელმძღვანელის მოადგილის ქ-ნ როზა ოტუმბაევა და გენერალი აშფაკის უშუალო მონაწილეობით), გალის რაიონში ქართველი მოსახლეობის მძევლად აყვანის ხშირი შემთხვევების მოგვარება.

კონფლიქტის მოგვარებაში ჩართულნი არიან აგრეთვე ცალკეული სახელმწიფოები, რომელთაგან წინა პლანზე გაეროს "გენერალური მდივნის

მეგობარი" ქვეყნები (აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, გერმანია, საფრანგეთი) არიან. მათთვის აფხაზეთის თემა უფრო ერთმანეთთან ურთიერთობის საკითხია. თუმცა, ამ სახელმწიფოთა მთავრობები მტკიცედ იცავენ ზემოაღნიშნულ სამ პრინციპს (ტერიტორიული მთლიანობის ურღვეობა, მშვიდობიანი დარეგულირება, ადგილნაცვალ პირთა დაბრუნება) და ერთმნიშვნელოვნად აღიარებენ პროცესში რუსეთის განსაკუთრებულ როლს. ეს კი ლოგიკურად გამორიცხავს აფხაზეთთან დაკავშირებით მასთან რაიმე სახის დაპირისპირებას. ფაქტიურად, "მეგობარი ქვეყნები" ჯერ-ჯერობით ამ სამი პრინციპის ერთგულების აღიარებით კმაყოფილდებიან.

რაკი ვახსენეთ რუსეთი, დავადასტურებთ, რომ მართლაც განსაკუთრებულია ამ ქვეყნის ზოგიერთი სამსახურის, პოლიტიკოსისა და სამხედრო ჯგუფის ადგილი და როლი აფხაზეთში კონფლიქტის გაღვივებასა და წარმართვაში. ამაზე შემდეგი ფაქტები მეტყველებენ: 1) საომარ მოქმედებებში აფხაზთა მხარეზე მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ჩრდილოკავკასიელი მეომრები, რუსეთის მოქალაქეები, არამედ რუსეთის სამხედრო სტრუქტურები და ტექნიკა, თვით მფრინავი აპარატების ჩათვლით; 2) რუსი გენერლები სოხუმის დაცემას გეგმავდნენ, წარმატებულ "პროგნოზებს" აკეთებდნენ და ახორციელებდნენ; 3) აქტიური საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ ზოგიერთმა პოლიტიკოსმა, მათ შორის, რუსეთის პრეზიდენტმა ბ. ელცინმა აღიარა რუსეთის ნეგატიური როლი აფხაზეთის ომში; 4) პოსტსაბჭოთა სივრცეში კონფლიქტების მოგვარებაში რუსეთის წამყვანი როლის დოქტრინამ ამ პროცესისგან სხვა ქვეყნების დისტანცირებას შეუწყო ხელი; 5) დღემდე სახეზეა მრავალი რუსი პოლიტიკოსის ასიმეტრიული ჰუმანიზმი - ისინი განიცდიან აფხაზთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და არ რეაგირებენ სამასი ათასი ქართველი დევნილის არსებობაზე, რომლებმაც ეთნიკური წმენდის გამო დატოვეს მშობლიური ადგილები; 6) სახეზეა აგრეთვე სეპარატისტული რეჟიმისა და რუსეთის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მკვეთრი სინქრონიზმი პოლიტიკაში, რაც მოლაპარაკებებზე სეპარატისტთა უკიდურეს არაკონსტრუქტიულობაში ვლინდება და საჭიროების შემთხვევაში საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკოსთა მუქარებში გამოიხატება; 7) გრძელდება რუსეთის ოფიციალური და არაოფიციალური საფინანსო-ეკონომიკური სტრუქტურების მიერ აფხაზეთის ათვისების პროცესი, რომლის ძირითადი მიზანია აფხაზეთის მოსახლეობისთვის საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების გზით ამ კუთხის საკუთარი იურიდიულ სივრცეში შეყვანის მცდელობა.

ბოლო წლებში აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების პროცესში გაჩნდა ახალი მხარე - არასახელმწიფო და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები. ამასთან, მათი როლი არაერთგვაროვნად არის შეფასებული საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში. მაგრამ, ფაქტია, რომ ამ სექტორს გარკვეული პოზიტიური როლის შესრულება ძალუძს სახალხო დიპლომატიის

ფარგლებში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ბრიტანული ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" (ჯ. კუეინი) მიერ ორგანიზებული შლაინინგის პროცესი, ფრიდრიჰ ებერტის ფონდის (ი. თიკანაძე) და სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის (ა. რუსეცკი) ინიციატივით გაწეული მუშაობა. თუმცა, რიგი ორგანიზაციებისა უშუალოდ ზემოთ აღნიშნული პრინციპების გვერდის ავლით ცდილობენ ურთიერთობები დაამყარონ სოხუმში მოქმედ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, რადგან მათ თავისუფალი მანევრირების გაცილებით მეტი საშუალება გააჩნიათ, ვიდრე ოფიციალურ სტრუქტურებს. ისინი მიიჩნევენ, რომ ამ პრინციპებზე საუბარი აფხაზეურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან "ჩატეხილი ხიდის" აღდგენას არ შეუწყობს ხელს და დაემუქრება უკვე ჩამოყალიბებულ კონტაქტებს. სწორედ ეს იწვევს მათდამი მწვავე კრიტიკას როგორც ქართული, ასევე აფხაზური მხრიდან. ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებმაც დაიმსახურეს ავტორიტეტი და მხარეთა კეთილგანწყობა, ერთეულებია.

ხსენებული სამი პრინციპიდან, რომელიც თავიდანვე იყო კონფლიქტის მოგვარების პროცესში ჩადებული, დიდი სიფრთხილით შეიძლება ითქვას, რომ მათგან ნაწილობრივ რეალიზებულია მხოლოდ ერთი - აფხაზეთში არ მიდის აქტიური საომარი მოქმედება. მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, იმდენად არა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ან შუამავალი ქვეყნის დამსახურებაა, რამდენადაც განპირობებულია საქართველოს სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობით, იმის შეგნებით, რომ აფხაზ ხალხთან საომარი და გასაყოფი ქართველებს არაფერი აქვთ და ყველა პრობლემისა თუ გაუგებრობის მოგვარება მშვიდობიანად არის შესაძლებელი. მაგრამ ეს მშვიდობა ძალზე მყიფეა და გამორიცხული არ არის უმართავი მოვლენების განვითარება, ხოლო თუ სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული კურსი საბოლოოდ შევა გადაულახავ ჩიხში, მაშინ ომი - როგორც ამ შემთხვევაში სამართლიანობის აღდგენის ერთადერთი საშუალება - ბუნებრივი და გარდაუვალი გახდება. ასე მიიჩნევენ ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში.

***

პარლამენტში, კომისიაში აღნიშნული საკითხების არაერთგზის განხილვის დროს მრავალჯერ აღინიშნა, რომ აფხაზეთის საკითხის მოგვარებაზე მოლაპარაკებების დროს ხშირ შემთხვევაში, გარდა ძირითადისა, წამოჭრილა თანმდევი, მაგრამ ძალზე პრინციპული პრობლემები. მხარეებს შორის დავის მუდმივი საგანია ეკონომიკური სანქციების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების, აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობისა და იქ დაბრუნებულ დევნილთა რაოდენობის, მებრძოლთა დაბრუნების უფლებისა და სხვა საკითხები.

ამასთან, ხელისუფლება გაუმართლებლად და საქმის საზიანოდ ახდენდა იმ ორგანოთა დუბლირებას, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ ემუშავათ კონფლიქტის მოგვარებაზე. მაშინ, როდესაც არსებობდა

განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტრო, პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ აფხაზეთის საკითხებში თავის პირად წარმომადგენლად დანიშნა აჭარის ავტონომიის მეთაური ა. აბაშიძე. ამან არაერთგვაროვანი დამოკიდებულება და კრიტიკა გამოიწვია. საქმე იმგვარ კურიოზამდე მიდიოდა, როცა ავტონომიის ხელმძღვანელი მოსკოვში ფაქტიურად ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად აწარმოებდა მოლაპარაკებებს და შედეგების შესახებ კომპეტენტური ორგანოები ღია წერილით იგებდნენ ინფორმაციას. პრეზიდენტისა და მისი პირადი წარმომადგენლის შეფასებები ხშირ შემთხვევაში არაადეკვატური იყო და ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. ცნობილია რუსეთის იმ მოთხოვნების შესახებ, რომლებიც ა. აბაშიძემ გაახმოვანა თავის ღია წერილში. ესენია: 1. მოიხსნას დსთ-ს ქვეყნების მიერ მიღებული აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადა; 2. გაიხსნას სარკინიგზი, საავტომობილო, საჰაერო და საზღვაო სატრანსპორტო კომუნიკაციები; 3. აღდგენილ იქნეს ენგური ჰესი; 4. ნება დაერთოს ენერგომატარებლების: გაზის, ელექტროენერგიის ტრანზიტს თურქეთის რესპუბლიკაში.

პრეზიდენტმა აგრეთვე 2003 წ. 13 ივნისს შექმნა კიდევ ერთი პარალელური სტრუქტურა - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომიტეტი. საზოგადოებისთვის დღემდე გაურკვეველი დარჩა მისი როლი და ამოცანები, მიუხედავად კომიტეტის პრეტენზიული სახელწოდებისა.

ერთ-ერთ მთავარ საკამათო თემად თავიდანვე იქცა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის რაოდენობა. ერთის მხრივ, სეპარატისტები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ქართველმა მოსახლეობამ ყოველგვარი ზეწოლისა და ძალადობის გარეშე, თავისი სურვილით დატოვა აფხაზეთი. მეორეს მხრივ, ისინი მუდმივად უარყოფდნენ ასობით ათასი დევნილის არსებობას. განსაკუთრებულად გამღიზიანებელ ფაქტორად იქცა აფხაზეთის ა/რ ხელისუფლების დევნილი სტრუქტურის არსებობა. მათში სერიოზულ საშიშროებას ხედავენ როგორც რუსეთის პოლიტიკური წრეები, ასევე სეპარატისტები. სწორედ ამიტომ პირველივე განცხადებაში, რომელიც გააკეთა აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენელმა ვ. არშბამ, წამოყენებულია მოთხოვნა აფხაზეთის ა/რ დევნილი ხელისუფლების ლიკვიდაციის თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამან საქართველოში მოქმედ ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში და პოლიტიკურ წრეებში პოზიტიური გამოხმაურება ჰპოვა. ისინი მიიჩნევენ, რომ ლეგიტიმური ხელისუფლების წინა ხელმძვანელობის მეშვეობით ხდებოდა ქართული მხარის მიზნების შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელება. ახალმა ხელისუფლებამ გარკვეულწილად გაითვალისწინა საზოგადოების აღნიშნული ნაწილის აზრი და დაადგა ამ სტრუქტურების რეფორმირების გზას, რაც მათ ოპტიმიზაციასა და მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს გულისხმობს. ამასთან, ცხადია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (ისევე, როგორც აფხაზეთის დეპუტაცია საქართველოს პარლამენტში) ოკუპირებულ აფხაზეთთან ჩვენი სახელმწიფოს

სამართლებრივი კავშირის დამადასტურებული არა ერთადერთა, მაგრამ მნიშვნელოვანი სტრუქტურაა.

აფხაზური სეპარატისტული რეჟიმის ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციების თემა 1996 წლიდან იღებს სათავეს. აღნიშნული გადაწყვეტილება მიმართული იყო, პირველ რიგში, სეპარატისტული რეჟიმის წინააღმდეგ და გამორიცხავდა მოსახლეობაზე ზემოქმედებას. იმის გათვალისწინებით, რომ ამ რეჟიმის მთავარი მხარდამჭერი რუსეთი იყო და არის, სწორედ მას მოეთხოვებოდა დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა სამიტის ერთობლივი ნების შესრულება. მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ ქვეყანამ თავიდანვე ყოველგვარი დიპლომატიურობის გარეშე უხეშად დაარღვია პირობა და დღემდე აქტიურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა დახმარებას უწევს სეპარატისტულ ხელისუფლებას. ირღვევა აგრეთვე მოსკოვისა და ალმა-ათის დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა გადაწყვეტილებები, რომელბიც ზღუდავენ დსთ-ს სივრცეში სეპარატიზმის ნებისმიერ მხარდაჭერას. სოხუმის უკანონო ხელისუფლება კი სანქციების თემით მუდმივად სპეკულირებს და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე დაჩაგრულ მხარედ წარმოაჩენს თავს.

ეკონომიკური სანქციების რეანიმირების გარკვეული მცდელობა იყო იალტის 2003 წლის 20-21 სექტემბრის დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა სამიტის მორიგი განცხადება, რომელმაც დაადასტურა საკუთარი ადრინდელი გადაწყვეტილება. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს ხელისუფლება არ არის მომხრე აფხაზეთის ტოტალური შეზღუდვებით, თუმცა აქეთკენ რეალური ნაბიჯების გადადგმა უეჭველად უკავშირდება, პირველ რიგში, დევნილთა გალის რაიონში (ძველ საზღვრებში) დაბრუნებას. გრძელდება კონსულტაციები რკინიგზისა და სხვა კომუნიკაციების გახსნის თაობაზე. მნიშვნელოვანი ერთობლივი პროექტია ენგურჰესის რეაბილიტაცია. ამასთან, მდ. ენგურზე თითქმის აღიკვეთა კონტრაბანდული ტვირთების მოძრაობა, რაც სეპარატისტთა გარკვეული წრეებისთვის მნიშვნელოვანი დარტყმაა.

დენვილთა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი ერთ-ერთი პრიორიტეტულია ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში. ამ პოზიციას იზიარებენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც თავის წარმატებებსა და წარუმატებლობებს ამ საკითხის მიღწეული წინსვლის მიხედვით განსაზღვრავენ. აფხაზური მხარე ზოგადად აღნიშნული პროცესის დაწყების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ რეალურად შესაფერისი უსაფრთხოების პირობების შექმნის ტორპედირებას ახდენს. საერთაშორისო თანამეგობრობა და ქართული მხარე სერიოზულად ვერ აღიქვამს აფხაზური რეჟიმის წარმომადგენელთა განცხადებას იმის თაობაზე, რომ არსებულ ვითარებაში ლტოლვილებს დაბრუნება შეუძლიათ მაშინ, როცა ეს მოესურვებათ. თუმცა, ჯერ-ჯერობით საუბარი მიდის მხოლოდ გალის რაიონზე. ეს სხვა არაფერია, თუ არა იქ ერთგვარი ანკლავის შექმნა (როგორც მეტნაკლებად, დღესაც არის, როცა ლტოლვილები და დევნილები იაფი სამუშაო ძალა და კრიმინალური ბანდებისათვის ფულადი შემოსავლის წყარო გახდნენ). უკვე მერამდენე წელია ვერ ხერხდება ერთობლივი ადმინისტრაციის შექმნა, რაც

ერთგვარი შუალედური მოდელის ფორმა შეიძლება გახდეს. ამაში, ცხადია, რუსეთის პოზიციაა გადამწყვეტი. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ სოხუმში ეწინააღმდეგებიან ომამდელი დემოგრაფიული სურათის აღდგენას.

ლტოლვილთა და დევნილთა მშობლიურ ადგილებში დაბრუნებას უკავშირდება აგრეთვე აფხაზეთის ომში მონაწილე ქართველთა დაბრუნების საკითხიც. ამ მტკივნეულ პრობლემას გარკვეულწილად შეუწყო ხელი ქართული მხარის მიერ 1994 წლის 4 აპრილს ხელმოწერილმა ოთხმხრივმა შეთანხმებამ, რომლის მიხედვით აფხაზეთში დაბრუნებულ ყოფილ მეომრებს სეპარატისტთა მხრიდან სასამართლო დევნა ემუქრებათ (პუნქტი 3, ქვეპუნქტი "c").

პრობლემის ცივილიზებულად მოგვარებისათვის შესაძლებელია დაისვას საკითხი ორივე მხარის მიერ ამნისტიის გამოცხადების შესახებ (ქართული მხარის მზადყოფნა აღნიშნულთან დაკავშირებით გაცხადებულია: საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულია კანონპროექტი) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩადენილია სამხედრო დანაშაული, აგრეთვე დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო სამართალში. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველო მიუერთდა კონვენციას ომის დანაშაულებათა ტრიბუნალის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს უკუქცევითი ძალა და მხოლოდ იმ მოვლენებს შეეხება, რომლებიც მიერთების შემდეგ მოხდა, ეს ღონისძიება ხელს შეუწყობდა ნდობის აღდგენის საქმეს და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებსაც შეეხებოდა.

***

წინამდებარე გამოცემა გახლავთ აფხაზეთთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტში გაწეული მუშაობის დოკუმენტური სისტემატიზაციის მცდელობა და აგრძელებს ადრე (2000 წ.) გამოცემულ წიგნს, რომელშიც ასახულია საქართველოს 1995-1999 წწ. მოწვევის პარლამენტის საქმიანობა აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით.

ვფიქრობთ, ისინი დაეხმარებიან აღნიშნულ პრობლემაზე მომუშავე პოლიტიკოსებს, მეცნიერებს, დაინტერესებულ საზოგადოებას.

შემდგენლები და სარედაქციო კოლეგია

თავი I.

საქართველოს პარლამენტის მიერ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით
მიღებული კანონები, დადგენილებები, განცხადებები, მიმართვები

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს კონსტიტუციაში დამატებისა
და ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილებები:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:
„3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ”.”

2. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვა „აჭარაში” შეიცვალოს სიტყვებით „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში”.

3. 55-ე მუხლის პირველ პუნქტში სიტყვა „აჭარიდან” შეიცვალოს სიტყვებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან”.

4. 67-ე მუხლის პირველ პუნქტში სიტყვები „აფხაზეთისა და აჭარის” შეიცვალოს სიტყვებით „აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის”.

5. 89-ე მუხლის პირველ პუნქტში სიტყვები „აფხაზეთისა და აჭარის” შეიცვალოს სიტყვებით „აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის”, ხოლო იმავე პუნქტის „ა” ქვეპუნქტში სიტყვა „აჭარის” შეიცვალოს სიტყვებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის”.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *ედუარდ შევარდნაძე.*

თბილისი,
2000 წლის 20 აპრილი.

N 260 - IIს

საქართველოს პარლამენტის დადგენილება
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნეს ვიტალი ხაზარაძე და თენგიზ ჯგუშია, ხოლო შეყვანილ იქნენ როზა ლორთქიფანიძე და გრიგოლ (გოჩა) ჯოჯუა.

საქართველოს პარლამენტის **ზურაბ ჟვანია**
თავმჯდომარე
თბილისი,
2000 წლის 29 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიას გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა ერთი წლით.

საქართველოს პარლამენტის **ზურაბ ჟვანია**
თავმჯდომარე

თბილისი,
2000 წლის 5 დეკემბერი

საქართველოს პარლამენტის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მიერ 2001 წლის 10 მარტისათვის დაგეგმილი ე.წ. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნების შესახებ

სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი აფხაზეთის ტერიტორიაზე 2001 წლის 10 მარტს აპირებს ჩაატაროს ე.წ. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნები.

საქართველოს პარლამენტი ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარება უკანონო და მიუღებელია, რადგან კონფლიქტის შედეგად ხელოვნურად არის შეცვლილი დემოგრაფიული ვითარება. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულია აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ფაქტი და დაგმობილია აგრესიული სეპარატიზმი, ამასთან, საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 10 მარტისა და 1996 წლის 17 აპრილის დადგენილებების თანახმად სეპარატისტული რეჟიმის მიერ მიღებული ნებისმიერი აქტი ცხადდება ბათილად და იურიდიულად ძალის არმქონედ.

საქართველოს პარლამენტი გაერო-ს, ეუთო-ს, დსთ-ის, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ხელმძღვანელობის ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი ჯიუტად უგულებელყოფს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კონფლიქტის მოსაგვარებლად მიღებულ რეზოლუციებს და მსოფლიო თანამეგობრობის მიერ არაერთგზის კატეგორიულად გამოხატულ პოზიციას - აფხაზეთის მოსახლეობის ორი მესამედის დევნილობის ვითარებაში ჩატარებული ნებისმიერი დონის არჩევნები იურიდიული ძალის არმქონე და ბათილია.

საქართველოს პარლამენტი თვლის, რომ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნების იმიტაციით სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი აგრძელებს უნაყოფო მცდელობას - შეიქმნას მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებისა და ხელისუფლების ლეგიტიმურობის იმიჯი. ეს აქტი სხვა არაფერია, თუ არა სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მორიგი ცინიკური ნაბიჯი, გადადგმული ეუთო-ს ბუდაპეშტის (1994წ.), ლისაბონის (1996წ.) და სტამბულის (1999წ.) უმაღლესი დონის შეხვედრებზე ოფიციალურად აღიარებული აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის შედეგების დასაკანონებლად.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის ასეთი თვითნებობა შესაძლებელი ხდება მის მიმართ რუსეთის

ფედერაციის გარკვეული წრეების ფარული მხარდაჭერის გამო, რასაც კონფლიქტის საბალოო მოწესრიგების პროცესი ჩიხში შეჰყავს.

საქართველოს პარლამენტი მიმართავს გაერო-ს, ეუთო-ს, ევროკავშირს, ევროპის საბჭოს, დსთ-ის წევრ ქვეყნებს, შესაბამისი შეფასება მისცენ აფხაზეთის ტერიტორიაზე 10 მარტისათვის დაგეგმილ უკანონო არჩევნებს, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული მექანიზმები სოხუმის სეპარატისტულ რეჟიმსა და მის მხარდამჭერებზე ზეგავლენის მოსახდენად და ე.წ. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნების ჩასაშლელად.

თბილისი, 2001 წლის 2 მარტი

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბულის ერთობლივი განცხადების შეუსრულებლობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი უკიდურეს შეშფოთებას გამოხატავს რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის ერთობლივი განცხადების შეუსრულებლობის გამო და აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია საერთაშორისო შეთანხმება - დადგენილ ვადებში არ დახურა გუდაუთის სამხედრო ბაზა.

საქართველოს პარლამენტი კვლავაც ადასტურებს ქვეყნის ერთგულებას ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების მიმართ და მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეასრულოს ეუთოს სტამბულის ერთობლივი განცხადების ყველა მოთხოვნა.

მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა საშიში პრეცედენტია და საფრთხეს უქმნის თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და მსოფლიო მართლწესრიგს.

1992-1994 წლებში აფხაზეთიდან ქართველთა გამოდევნა ეუთომ შეაფასა როგორც ეთნიკური წმენდა, ხოლო ევროპარლამენტმა რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან უვიზო რეჟიმის შემოღება - ფაქტობრივი ანექსიის მცდელობად.

რუსეთის ფედერაციის მიერ გუდაუთის სამხედრო ბაზის დახურვის პროცესის გაჭიანურება საერთაშორისო ხელშეკრულების უხეში დარღვევა და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის აშკარა მხარდაჭერაა. ეს დაადასტურა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ გადადგმულმა არამეგობრულმა ნაბიჯებმა, რაც გამოიხატა საქართველოსთან შეუთანხმებლად უვიზო

რეჟიმის შემოღებით სეპარატისტული რეჟიმების მიერ კონტროლირებადი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ.

ისწრაფვის რა ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზების დახურვის ვადების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებების ურთიერთმისაღები და დროული შეთანხმებით დასრულებისათვის და აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს არ შეესაბამება უცხო სახელმწიფოს ჯარის არსებობა ქვეყნის ტერიტორიაზე.

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

- რუსეთის ფედერაციის მიერ გუდაუთის სამხედრო ბაზის დახურვის პროცესის შეგნებული შეფერხება შეფასდეს, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის უხეში დარღვევა, აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ღია მხარდაჭერა და 1992 -1994 წლებში აფხაზეთში განხორციელებული ეთნოწმენდის შემდეგ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ფაქტობრივი ოკუპაციისა და ანექსიის დაკანონების მცდელობა;

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიმართოს ეუთოს, მის წევრ ქვეყნებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს მოახდინონ შესაბამისი რეაგირება რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბულის ერთობლივი განცხადების უხეში დარღვევის ფაქტზე;

- საქართველოს საგადასახადო შემოსავლებისა და ფინანსთა სამინისტროებმა უზრუნველყონ კანონმდებლობით დადგენილი წესით რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების კომუნალური და მიწის გადასახადების დავალიანებათა ოდენობის განსაზღვრა და ამოღება;

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიწყოს მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციასთან საქართველოდან 1991 წლის შემდეგ უკანონოდ გატანილი, საქართველოს კუთვნილი სსრკ-ის სამხედრო ქონების კომპენსაციის საკითხზე;

- დაევალოს საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს, მოამზადონ წინადადებები რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების მიერ საქართველოსათვის მიყენებული მატერიალური ეკოლოგიური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ.

რუსეთის ფედერაციის მიერ სტამბულის ერთობლივი განცხადებით გათვალისწინებული ვალდებულებების ბოლომდე შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი განიხილავს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ადაპტირებული ხელშეკრულების რატიფიცირების მიზანშეწონილობას.

საქართველოს პარლამენტის **ზურაბ ჟვანია**
თავმჯდომარე
თბილისი, 2001 წლის 18 ივლისი

:

საქართველოს პარლამენტის
განცხადება

სოხუმის რეჟიმმა მიიღო გადაწყვეტილება მიმდინარე წლის 24 ნოემბერს ე.წ. სახალხო კრების – აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ჩატარების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო გაერთიანებამ არაერთგზის კატეგორიულად გამოხატა თავისი პოზიცია – აფხაზეთის მოსახლეობის ორი მესამედის დევნილობის ვითარებაში ჩატარებული ნებისმიერი დონის არჩევნების იურიდიული ძალის არმქონედ და ბათილად ცნობის თაობაზე, სოხუმის რეჟიმი ამ ნაბიჯით კვლავ განაგრძობს გაეროს აზრისა და შეფასებების იგნორირებას, ცდილობს თავისი ლეგიტიმურობის დასამტკიცებლად დაკანონებულად წარმოაჩინოს აფხაზეთში ძალადობით შეცვლილი დემოგრაფიული ვითარება, არ დაუშვას დევნილთა დაბრუნება მშობლიურ ადგილებში, გადაწყვეტილად ჩათვალოს ე.წ. დამოუკიდებლობის საკითხი, ფეხქვეშ გათელოს ასეულათასობით ადამიანის კანონიერი ინტერესები.

ე.წ. პარლამენტის მორიგი არჩევნები არის სოხუმის რეჟიმის კიდევ ერთი მცდელობა, არ ცნოს ეუთოს ბუდაპეშტის (1994 წ), ლისაბონის (1996 წ.) და სტამბულის (1999 წ.) სამიტის შეხვედრებზე ოფიციალურად აღიარებული აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის შედეგები.

საქართველოს პარლამენტი ღრმად არის დარწმუნებული, რომ აღნიშნული უკანონო არჩევნების ჩატარება ამჯერადაც არ დარჩება მსოფლიო გაერთიანების ქვეყნების მხრიდან პრინციპული რეაგირების გარეშე. ამასთან, დროა, რომ სოხუმის რეჟიმმა საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად დაიწყოს დევნილთა უსაფრთხო და შეუქცევადი დაბრუნების პროცესი, ყურად იღოს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა მოთხოვნა აფხაზეთის სტატუსის თაობაზე დიალოგის დაწყების შესახებ.

საქართველოს პარლამენტი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი პოლიტიკური პარტიებისა და მოსახლეობის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სოხუმის რეჟიმის მიერ არჩევნების ჩატარება დევნილი მოსახლეობის მონაწილეობის მიუღებლად გამოიწვევს არამარტო გაეროს წევრ სახელმწიფოთა ნეგატიურ დამოკიდებულებას, არამედ არალეგიტიმურს

გახდის ამ არჩევნების შედეგებს და შელახავს დევნილთა პოლიტიკურ უფლებებს.

საქართველოს პარლამენტი სთხოვს გაეროს უშიშროების საბჭოს, უახლოეს სხდომაზე კატეგორიულად დასვას საკითხი აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ამჟამად არსებული ვითარების დაუშვებლობის და მდგომარეობის შესაცვლელად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობის შესახებ.

საქართველოს პარლამენტს აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროდ მიაჩნია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გააკეთოს გაეროს უშიშროების საბჭოს, ეუთოს, საქართველოს საკითხში გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფისა და დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა სახელზე.

თბილისი,
2001 წლის 27 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით

ვინაიდან საქართველომ ბოლო წლებში თავად იწვნია სეპარატიზმის, საერთაშორისო ტერორიზმისა და აგრესიის ტრაგიკული შედეგები, ამ მოვლენებს შეეწირა ათეულათასობით ჩვენი თანამემამულის სიცოცხლე, ასეულათასობით აფხაზეთის მკვიდრი კი დევნილად იქცა საკუთარ ქვეყანაში;

ვინაიდან აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში 1994 წლის ივლისში დსთ-ის ეგიდით რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანის შემდეგ არ შეწყვეტილა ქართველების წინააღმდეგ მიმართული ეთნოწმენდის პოლიტიკა, დადასტურებულია, რომ ამ ხნის განმავლობაში ე.წ. უსაფრთხოების ზონაში დაიღუპა 1700-ზე მეტი ადამიანი, სამშვიდობო ძალების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ განხორციელდა უამრავი დანაშაული, აფხაზეთი გადაიქცა ტერორისტების, იარაღითა და ნარკოტიკებით მოვაჭრეების და სხვა ორგანიზებულ დამნაშავეთა სათარეშო, განუკითხავ, უკონტროლო ტერიტორიად;

ვინაიდან რუსეთის არაკონსტრუქციული მიდგომის შედეგად ჩიხში მოექცა და ბლოკირებულია გაერო-სა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლების მიერ აფხაზეთის სტატუსის შესახებ შემუშავებული პროექტის განხილვა და მიღება;

ვინაიდან ბოლო პერიოდში შემაშფოთებელი სახე მიიღო საქართველოს მიმართ რუსეთის ოფიციალური წრეების ტენდენციურმა და აგრესიულმა განცხადებებმა, რომლებიც აშკარა გამოხატულებაა ორმაგი სტანდარტის პოლიტიკის წარმოებისა იმ ხელმძღვანელ პირთა მიერ, რომლებიც დღესაც აგრძელებენ რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით ჩეჩნეთში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის განხორციელებას;

ვინაიდან ბოლო დღეებში საქართველოს საჰაერო სივრცის არაერთხელ დარღვევისა და ტერიტორიების დაბომბვის შემდეგ ნათლად გამოიკვეთა, რომ რუსეთი გამოდის კონფლიქტში ჩართულ მხარედ და რომ სამშვიდობო ძალების ფუნქცია „საზღვრის" დაფიქსირებით შემოიფარგლება და ისინი არათუ კონფლიქტის მოგვარების ხელშემწყობად, არამედ გამღვივებლად გვევლინებიან, რასაც ადასტურებს ის, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ხდება აფხაზეთში დამატებითი სამხედრო კონტინგენტის შეყვანა და შეიარაღების შეტანა;

ვინაიდან დსთ-ის ეგიდით მოქმედმა რუსეთის სამშვიდობო ძალებმა არ შეასრულეს მათზე დაკისრებული მისია და ხელი შეუწყვეს აფხაზეთის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების განახლებას;

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. მიზანშეუწონლად იქნეს მიჩნეული დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების შემდგომი ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს პრეზიდენტს:

ა) განახორციელოს საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული პროცედურები დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების საქართველოს ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაყვანის მიზნით;

ბ) გაეროს, ეუთოს და საქართველოს მეგობარი ქვეყნების მთავრობების წინაშე სასწრაფოდ დასვას შემდეგი საკითხი – კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის სანაცვლოდ შეყვანილ იქნეს საერთაშორისო სამშვიდობო ძალები, ამასთან, გაიზარდოს სამხედრო დამკვირვებელთა რაოდენობა და გაფართოვდეს მათი მანდატი;

გ) გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება სტამბულის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დაუყოვნებლივ შესასრულებლად.

3. საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიის უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

4. მიუხედავად იმისა, რომ დევნილ მოსახლეობას საერთაშორისო სამართლის აღიარებული ნორმების საფუძველზე აქვს უფლება, ნებისმიერი საშუალების გამოყენებით დაუბრუნდეს მშობლიურ კერას, საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის ერთგულებას აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პრინციპისადმი.

5. საქართველოს პარლამენტი მიმართავს აფხაზეთის მოსახლეობას, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ძმათამკვლელი ომის სიმწარე და საშინელება, დაღუპულ აფხაზ და ქართველ მებრძოლთა ნათესავებს, აგრეთვე იმათ, ვინც ერთად უნდა აშენოს ერთიანი საქართველოს მომავალი, არ დაუშვან გარეშე ძალების მიერ თავს მოხვეული შეიარაღებული დაპირისპირების განმეორება.

6. საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს საქართველოს პრეზიდენტს, გააქტიუროს ძალისხმევა აფხაზურ მხარესთან სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოებასთან დაკავშირებით.

7. საქართველოს პარლამენტი გამოხატავს საქართველოს მოსახლეობის უზენაეს ნებას და მისწრაფებას და აცხადებს, რომ ის არასოდეს შეეგუება ქვეყნის ისტორიულად განუყოფელი ნაწილის დაკარგვას და აფხაზეთის ტერიტორიაზე მშვიდობა და სტაბილურობა უზრუნველყოფილი იქნება ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში აფხაზეთის ფართო ავტონომიის საბოლოოდ განსაზღვრისა და ყველა დევნილის საკუთარ ფუძეზე დაბრუნების შემდეგ, რაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობების მოგვარების მყარი საფუძველი გახდება.

8. საქართველოს პარლამენტი გამოხატავს მზადყოფნას, ინტენსიური კონსულტაციები გამართოს რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ორ ქვეყანას შორის შემდგომი დაძაბულობის თავიდან აცილების მიზნით.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *ზურაბ ჟვანია*

თბილისი, 2001 წლის 11 ოქტომბერი

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიას გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა ექვსი თვით.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *ნინო ბურჯანაძე*

თბილისი, 2001 წლის 7 დეკემბერი

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

"საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის ორგანიზების ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პარლამენტის 121 წევრის მიერ წარმოდგენილი "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. დაევალოს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიეიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტს, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი წარმომადგენლების მონაწილეობით უზრუნველყოს "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს

კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის ორგანიზება.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *ნინო ბურჯანაძე*

თბილისი,
2002 წლის 18 იანვარი
N 1249 -რს

საქართველოს პარლამენტის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საერთაშორისო თანამეგობრობამ და საქართველოს პარლამენტმა არაერთგზის სრულიად გარკვევით გამოხატეს პოზიცია – აფხაზეთის მოსახლეობის ორი მესამედის დევნილობის პირობებში ჩატარებული ნებისმიერი დონის არჩევნების იურიდიული ძალის არმქონედ და ბათილად ცნობის თაობაზე. მიუხედავად ამისა, სოხუმის რეჟიმი კვლავ ანგარიშს არ უწევს გაერო-ს, ეუთო-ს, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების აზრს და ა/წლის 2 მარტს აპირებს ჩაატაროს ე.წ. სახალხო კრების – აფხაზეთის პარლამენტის არჩევნები.

არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს, რომ აფხაზეთში არჩევნების ჩატარების ფარსი არის მხოლოდ და მხოლოდ შორს გამიზნული ნაბიჯი, რათა გარეშე ძალების შეკვეთით შეინიღბოს აფხაზეთის ფაქტობრივად უკონტროლო ტერიტორიაზე შექმნილი ვითარება – ადამიანებითა და იარაღით ვაჭრობისათვის, ნარკობიზნესისა და ტერორიზმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, საქართველოს ამ კუთხის ავტორიტარული მმართველობის სივრცედ გადაქცევა.

საქართველოს პარლამენტი იმედოვნებს, რომ აღნიშნული უკანონო არჩევნების ჩატარება, ისევე როგორც ამჟამად აფხაზეთში არსებული ვითარება, არ დარჩება გაერო-ს, ეუთო-ს, ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტის მხრიდან ადეკვატური რეაგირების გარეშე.

თბილისი,
2002 წლის 28 თებერვალი

საქართველოს პარლამენტის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ

საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს, რომ:

„აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით" საქართველოს პარლამენტის მიერ 2001 წლის 11 ოქტომბერს მიღებული დადგენილება ამ ეტაპზე არ არის შესრულებული;

აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალები ფაქტობრივად მესაზღვრეთა ფუნქციებს ასრულებენ აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის და ვერ ახორციელებენ მანდატით დაკისრებულ მოვალეობებს, კერძოდ, ვერ უზრუნველყოფენ მოსახლეობის დაცვას და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნებისათვის პირობების შექმნას;

აფხაზეთში გარეშე სამხედრო ძალის დახმარებით ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიაზე გრძელდება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უხეში დარღვევა ეროვნული ნიშნის მიხედვით, მათ შორის, თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, ტერორი, მკვლელობა, მძევლად აყვანა, გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის ხელყოფა, სახელმწიფო ქონების, ლტოლვილთა და დევნილთა კერძო საკუთრების მოსპობა-გასხვისება; მასობრივად ნადგურდება ქართული კულტურის ძეგლები, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებები და ხორციელდება სხვა მსგავსი ქმედებები, რის შესახებაც სათანადოდ არ არის ინფორმირებული მსოფლიო საზოგადოებრიობა. სეპარატისტთა ლიდერების პოლიტიკამ რეალური საფრთხე შეუქმნა თვით აფხაზი ეთნოსისა და მისი თვითმყოფადი კულტურის არსებობას;

აფხაზეთის ტერიტორია უკონტროლოა და გადაქცეულია საერთაშორისო ტერორისტებისა და ექსტრემისტების თავშესაფრად, ნარკობიზნესისა და იარაღით უკანონო ვაჭრობის ზონად;

აფხაზეთის ტერიტორიაზე უკონტროლო და აღურიცხავი შეიარაღების არსებობის პირობებში კვლავ გრძელდება რუსეთის სამხედრო ძალების მიერ სეპარატისტული რეჟიმისათვის მძიმე ტექნიკისა და შეიარაღების გადაცემა. ვითარებას უკიდურესად ამწვავებს ასევე აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, რაც რუსეთის დაუფარავი მცდელობაა "საკუთარი მოქალაქეების" ინტერესების დაცვის მოტივით ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში;

გუდაუთის სამხედრო ბაზიდან ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულებით შეთანხმებული მძიმე შეიარაღების გატანის მიუხედავად, რუსეთის მხარემ არ შეასრულა ეუთო-ს სტამბულის 1999 წლის სამიტის

გადაწყვეტილებით ნაკისრი ვალდებულება გუდაუთის ბაზის გაყვანასა და დახურვასთან დაკავშირებით;

საქართველოს პარლამენტმა ქვეყნის კონსტიტუციის მიღებისას და შემდგომ პერიოდში, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების უზრუნველყოფისათვის ხელსაყრელი ფონის შესაქმნელად, აფხაზეთის მთელი მოსახლეობის სრული წარმომადგენლობის მონაწილეობის გარეშე მიზანშეუწონლად მიიჩნია აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა;

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება უარს აცხადებს არა მხოლოდ ქართულ მხარესთან, არამედ გაეროსთან, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რითაც უგულებელყოფს საერთაშორისო საზოგადოებრიობის კეთილ ნებას;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. აუცილებელია შესრულდეს „აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით" 2001 წლის 11 ოქტომბრის დადგენილების მოთხოვნა დსთ-ის ეგიდით მოქმედი რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ.

2. აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ 1992 წლიდან განხორციელებული მშვიდობიანი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, რაც გამოიხატა უპირატესად ქართველთა განადგურებასა და საცხოვრებელი ადგილებიდან გამოდევნაში და განსაკუთრებული სისასტიკით განმეორდა 1998 წლის გალის მოვლენების დროს, ეუთო-ს ბუდაპეშტის 1994 წლის, ლისაბონის 1996 წლის და სტამბულის 1999 წლის სამიტების გადაწყვეტილებებზე, გაერო-ს უშიშროების საბჭოს 2002 წლის 31 იანვრის რეზოლუციასა და საქართველოს პროკურატურის მიერ გამოძიებულ მასალებზე დაყრდნობით აღიარებულ იქნეს, როგორც ქართული მოსახლეობის გენოციდი. გენოციდის მომწყობთა და კონფლიქტის ინსპირატორთა მიმართ, განურჩევლად ეროვნებისა, განხორციელდეს სამართლებრივი დევნა საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე; აგრეთვე ამოქმედდეს სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით.

3. იმის გამო, რომ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება წარმოადგენს ეთნოკრატიულ-დისკრიმინაციულ რეჟიმს, ეთხოვოს მსოფლიო თანამეგობრობას, სათანადო შეფასება მიეცეს აფხაზეთში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში შექმნილ მდგომარეობას.

4. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის მიერ დასმული მოთხოვნის შესაბამისად საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უზრუნველყოს სოხუმში გაეროს მისიისა და ეუთოს ერთობლივი ოფისის მიერ მომზადებული,

აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის საჯაროობა და მასზე ადეკვატური რეაგირება.

5. სტამბულის 1999 წლის სამიტის გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უზრუნველყოს გუდაუთის სამხედრო ბაზის საერთაშორისო ინსპექტირება მისი გაყვანისა და საბოლოო დახურვის მიზნით.

6. აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმისათვის რუსეთის სამხედრო ძალების მიერ მძიმე ტექნიკისა და შეიარაღების გადაცემა არის საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა და საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა.

7. ფულადი ინტერვენცია, რომელსაც რუსეთის ფედერაცია ახორციელებს აფხაზეთში, წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით საქართველოს მიმართ ეკონომიკური ძალის გამოყენებას. აქედან გამომდინარე, დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და ეროვნულ ბანკს, რუსეთის ფედერაციის შესაბამის დაწესებულებებთან მოლაპარაკებით აღკვეთონ ზემოაღნიშნული ინტერვენცია.

8. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად და მისი ნების საწინააღმდეგოდ უვიზო რეჟიმის დაწესება საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს; აგრეთვე უკანონოა აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება.

9. სანამ არსებობს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობა, დაუშვებელია მისი ძალისმიერი გზით გადაწყვეტა, და მოუწოდებს აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას, განაახლოს ქართულ მხარესთან დიალოგი კონფლიქტის მშვიდობიანი და სამართლიანი მოგვარების მიზნით.

10. თუ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება არ გადადგამს კონსტრუქციულ ნაბიჯებს საერთაშორისო თანამეგობრობის რეკომენდაციების გათვალისწინებით კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის და არ დაუბრუნდება მოლაპარაკების პროცესს, საქართველოს ხელისუფლებამ 3 თვის ვადაში განსაზღვროს საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსი ზემოაღნიშნული რეკომენდაციების, უპირველესად კი – საქართველოს სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად.

11. აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობების მონიტორინგის, აგრეთვე კულტურის ძეგლების განადგურების ფაქტების დადგენის მიზნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჰაგის 1954 წლის კონვენციის საფუძველზე უზრუნველყოს იუნესკოსა და ევროსაბჭოს ერთობლივი მისიის განხორციელება.

12. აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულმა საქართველოს პარლამენტის დროებითმა კომისიამ 2002 წლის 30 ივნისამდე, საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინოს დადგენილების

პროექტი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

13. საქართველოს პრეზიდენტმა:

ა) არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტთან, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად 4 თვის ვადაში უზრუნველყოს აფხაზეთის საკითხზე მიღებული ნორმატიული აქტების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების სამართლებრივ-პოლიტიკური ექსპერტიზა მათზე შემდგომი რეაგირების მიზნით; ასევე საქართველოს კონსტიტუციის 65-ე და მე-100 მუხლების თანახმად უზრუნველყოს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სახელით დადებული სამხედრო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მიმართ საკონსტიტუციო პროცედურების შესრულება;

ბ) შექმნილი ვითარების გათვალისწინებით უზრუნველყოს ქვეყნისათვის აუცილებელი თავდაცვითი მექანიზმების გაძლიერება;

გ) აცნობოს საერთაშორისო საზოგადოებრიობას, რომ აფხაზეთი, როგორც უკონტროლო ტერიტორია, წარმოადგენს ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წყაროს და საფრთხეს უქმნის მშვიდობას მთელ რეგიონში;

დ) უზრუნველყოს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების, როგორც ერთ-ერთი მხარის, სრულყოფილი ჩართვა მოლაპარაკებისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში;

ე) დაავალოს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებს, გაატარონ კონკრეტული ღონისძიებები დსთ-ის ეგიდით მყოფი რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის შემთხვევაში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის შენარჩუნებისა და კონფლიქტის ზონაში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

14. ამ დადგენილების შესრულების კონტროლის მიზნით საქართველოს პარლამენტმა 3 თვეში ერთხელ მოისმინოს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების შესაბამისი ინფორმაცია.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *ნინო ბურჯანაძე*

თბილისი,
2002 წლის 20 მარტი.

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

აფხაზეთში სახელმწიფო ქონების და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ

საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს, რომ:

აფხაზეთის 1992-1993 წლების შეიარაღებულმა კონფლიქტმა უდიდესი ადამიანური ტრაგედია გამოიწვია და ქვეყანას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი მიაყენა. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი საფინანსო-ეკონომიკური სტრუქტურების მიერ დადგინდა, რომ საომარი მოქმედებების შედეგად განადგურდა რამდენიმე ათეული მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ქონება;

საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი ქართველებით დასახლებულ ადგილებში მიმდინარეობს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კუთვნილ ბინებსა და კერძო სახლებში ორგანიზებული და თვითნებური ჩასახლება, მათი უძრავი და მოძრავი ქონების მითვისება და გასხვისება;

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ შექმნილი შეიარაღებული ჯგუფები ფერადი და შავი ლითონების მოპოვების მიზნით შლიან შენობა-ნაგებობებს, ფაბრიკებს, ქარხნებს, სახელმწიფო დანიშნულების ობიექტებს, სარკინიგზო ხაზებს და საავტომობილო ხიდებს, სატელეკომუნიკაციო და ელექტრომოწყობილობებს;

1997 წელს სეპარატისტულმა ხელისუფლებამ აფხაზეთის ტერიტორიაზე დაიწყო ქონების უკანონო პრივატიზება, რის შედეგადაც 2001 წლამდე პრივატიზებულ იქნა ათასზე მეტი ობიექტი. განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების გასხვისებამ;

სხვადასხვა ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გადაეცათ სასტუმროები, საკურორტო და სხვა ობიექტები სოხუმში, გაგრაში, ბიჭვინთასა და ახალ ათონში, გუდაუთის, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონებში;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. უკანონოდ იქნეს ცნობილი ყველა ის სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება დადებული 1992 წლის 14 აგვისტოდან, რომლებიც ეხება აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონებისა და

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების გასხვისებას.

2. ეთხოვოს გაეროს, ეუთო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამის სტრუქტურებს, აღრიცხონ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ქონების და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების ხელყოფის შემთხვევები და შეიმუშაონ სათანადო წინადადებები.

3. საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან ერთად და გაერო-ს, ეუთო-ს, ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშაოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ქონებრივი უფლებების აღდგენის ღონისძიებები.

4. საქართველოს სამართალდაცვის ორგანოებმა შეისწავლონ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ქონების და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების მითვისებისა და გასხვისების ფაქტები.

5. სახელმწიფოებს, რომელთა ფიზიკური და იურიდიული პირები აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან ახორციელებენ სავაჭრო–სამეწარმეო ურთიერთობებს, ეცნობოთ, რომ სეპარატისტული ხელისუფლების ყველა აქტი უკანონოა.

6. ამ დადგენილების შესრულების კონტროლის მიზნით საქართველოს პარლამენტმა პერიოდულად მოისმინოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების შესაბამისი ინფორმაცია.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *ნინო ბურჯანაძე*

თბილისი,
2002 წლის 20 მარტი

საქართველოს პარლამენტის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტი აღშფოთებას გამოხატავს რუსეთის ფედერაციის მხრიდან ბოლო დროს გაძლიერებული ანტიქართული პროპაგანდის გამო და დაუშვებლად მიიჩნევს ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ამგვარ განვითარებას.

ცალკეულ პოლიტიკოსთა უპასუხისმგებლო გამონათქვამები დაგვირგვინდა რუსეთის ფედერაციის სათათბიროს მიერ ამა წლის 6 მარტს მიღებული განცხადებით „საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ - მის ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო მონაწილეობასთან დაკავშირებით".

სამწუხაროდ, რუსეთის საკანონმდებლო ორგანომ არაადეკვატურად აღიქვა საქართველოს განზრახვა, ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეწყობით გააძლიეროს საკუთარი შეიარაღებული ძალები და თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში.

რუსეთის სათათბიროს მიერ ამასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება წარმოადგენს დაუფარავ მუქარას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, მის საშინაო საქმეებში უხეშად ჩარევის მცდელობას და იმის დემონსტრირებას, რომ რუსეთი საქართველოს განიხილავს არა მეგობარ, დამოუკიდებელ ქვეყნად, არამედ საკუთარი გავლენის სფეროდ.

საქართველოს პარლამენტი კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნევს რუსეთის სათათბიროს ამგვარ პოზიციას და აცხადებს, რომ საქართველოს გადაწყვეტილება გამომდინარეობს ყოველი სუვერენული სახელმწიფოს უფლებიდან, თავად განსაზღვროს საკუთარი საგარეო და საშინაო პოლიტიკა. აღნიშნული გადაწყვეტილებით საქართველო შეუერთდა იმ სულისკვეთებას, რომლითაც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გამსჭვალულია მთელი ცივილიზებული მსოფლიო, მათ შორის, რუსეთი.

საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაგეგმილი ღონისძიება კავკასიაში მშვიდობის დამყარების მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება, რაც თავისთავად შეუწყობს ხელს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებასა და გაუმჯობესებას.

ყოველივე ამის პასუხად რუსეთის სათათბიროს განცხადება, რომ იგი ითანამშრომლებს „აფხაზეთის" და „სამხრეთ ოსეთის" თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებთან და „ცალმხრივად მიიღებს გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციის საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, მათ შორის, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთქმედების საფუძველზე", წარმოადგენს რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ეჭვქვეშ დაყენებას და სეპარატისტების მხარდაჭერას, რაც ეწინააღმდეგება როგორც სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის პრინციპს, ისე საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ამგვარი ტიპის განცხადებები შესაძლებელია აღქმული იქნეს მხოლოდ როგორც პოლიტიკური ფონის მომზადება საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის განხორციელებისათვის.

აშკარაა, რომ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს 2002 წლის 6 მარტის განცხადება ხელს უშლის ორმხრივი კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობების განვითარებას და, სამწუხაროდ, არღვევს იმ შეთანხმებას, რომელსაც ბოლო თვეების განმავლობაში პრინციპულად იცავდნენ ორივე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოები და რომელიც მნიშვნელოვანი, წინგადადგმული ნაბიჯი იყო პრობლემური საკითხების

მოგვარების გზაზე. საქართველოს პარლამენტი დაბეჯითებით მოუწოდებს რუსეთის სათათბიროს თანამშრომლობის გაგრძელებისაკენ.

საქართველოს პარლამენტი დაუშვებლად მიიჩნევს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დესტრუქციული მიმართულებით განვითარებას და თხოვნით მიმართავს გაერო-ს, ეუთო-ს, ევროსაბჭოს, ევროკავშირს, დსთ-ის და ყველა მეგობარ ქვეყანას, სათანადო შეფასება მისცენ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს განცხადებას, რათა აღკვეთილ იქნეს საქართველოს მიმართ აგრესია.

საქართველოს პარლამენტი ითვალისწინებს და პატივს სცემს რუსეთის ფედერაციის კანონიერ სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ამასთან, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველო მომავალშიც საკუთარი კანონიერი ინტერესების შესაბამისად იმოქმედებს და არ დაუშვებს თავის საშინაო საქმეებში ჩარევას, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას.

საქართველოს პარლამენტი აცნობიერებს, რომ საერთაშორისო ტერორიზმი და აგრესიული სეპარატიზმი საფრთხეს უქმნის როგორც პატარა, ისე დიდ სახელმწიფოებს, და მოუწოდებს ორივე ქვეყნის მთავრობებს საერთო ინტერესებზე დამყარებული, კონსტრუქციული თანამშრომლობისაკენ.

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს 2002 წლის 6 მარტის ზემოაღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისა და ფრაქცია „სოციალისტის" განცხადებები.

თბილისი,
2002 წლის 20 მარტი

საქართველოს პარლამენტის
მ ი მ ა რ თ ვ ა

გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს,
ევროპარლამენტისა და დსთ-ისადმი

დღეს, 2002 წლის 12 აპრილს, რუსეთმა დაიწყო სამხედრო ოპერაცია საქართველოს ტერიტორიაზე. მიმდინარეობს სამხედრო ძალისა და ტექნიკის შემოყვანა კოდორის ხეობაში, რაც წარმოადგენს ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფას და საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ აშკარა აგრესიას.

ეს ხდება მას შემდეგ, რაც საქართველომ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციის საფუძველზე დაიწყო საჯარისო ფორმირებების გამოყვანა კოდორის ხეობიდან და დაიცვა ხელშეკრულების

ყველა პირობა იმ იმედით, რომ ეს საერთაშორისო ორგანიზაციები იქნებოდნენ უსაფრთხოების გარანტი.

საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს, რომ საქართველო იღებს ყველა ზომას საკუთარი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დასაცავად, კატეგორიულად მოითხოვს რუსეთისაგან სამხედრო შენაერთების დაუყოვნებლივ გაყვანას კოდორის ხეობიდან და მიმართავს მსოფლიო თანამეგობრობას, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება რუსეთის აგრესიის აღსაკვეთად.

თბილისი,
2002 წლის 12 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიას 2002 წლის 7 ივნისიდან გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა ექვსი თვით.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *ნინო ბურჯანაძე*

თბილისი, 2002 წლის 21 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის
მ ი მ ა რ თ ვ ა
რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროსა და ფედერაციის საბჭოსადმი

საქართველოს პარლამენტი უკიდურეს აღშფოთებას გამოთქვამს 2002 წლის 23 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ

საქართველოს ტერიტორიის ბარბაროსული დაბომბვის გამო, რომლის შედეგადაც დაიღუპა და დაიჭრა მშვიდობიანი მოსახლეობა, ადამიანებმა მიიღეს მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა, დაინგრა სახლები და განადგურდა მატერიალური ქონება.

ბოლო წლებში რუსეთის ავიაციამ მრავალჯერ დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე და დაბომბა ქვეყნის ტერიტორია, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა. საქართველომ არაერთგზის მოუწოდა რუსეთის ფედერაციის უმაღლეს ხელისუფლებას, შეეწყვიტათ აგრესიული მოქმედებები, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ცივილიზებულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის პრინციპებისა და თავად რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ოფიციალურ განცხადებებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შესახებ. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა რუსეთის ოფიციალური წრეების ცალკეული წარმომადგენლების ტენდენციური და აგრესიული განცხადებები. ყოველივე ეს კი იმ ორმაგი სტანდარტის პოლიტიკის გამოხატულებაა, რომელსაც რუსეთი ახორციელებს საქართველოს მიმართ - ერთი მხრივ, ფორმალურად აღიარებს მის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, და, მეორე მხრივ, აგრესიული მოქმედებებით მიზანმიმართულად, პერმანეტულად ხელყოფს სახელმწიფოს სუვერენიტეტს.

საქართველო ყოველთვის განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობას, რადგან როგორც ხელისუფლება, ისე თითოეული მოქალაქე ღრმად აცნობიერებს, რომ რუსეთ-საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობები უაღრესად მნიშვნელოვანი და აუცილებელია. სწორედ ამიტომ, ორი ქვეყნის ურთიერთობა ჩიხში რომ არ შესულიყო, საქართველო ყოველთვის იკავებდა თავს რუსეთის აგრესიულ მოქმედებებსა და განცხადებებზე ადეკვატური რეაგირებისაგან. სამწუხაროდ, მხოლოდ საქართველოს ძალისხმევა ამ მიმართულებით საკმარისი არ აღმოჩნდა, მით უმეტეს მაშინ, როცა ფიზიკური და ვერბალური აგრესია რუსეთის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ბოლო დროს საქართველოში სულ უფრო მეტად იზრდება უნდობლობა ჩრდილოელი მეზობლის მიმართ, რომლის თვითმფრინავებს მოაქვთ ნგრევა და სიკვდილი. ამასთან, სრულიად გაუგებარია, რა მიზანს ისახავს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებელი აგრესიული პოლიტიკა, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, სიკეთეს არ მოუტანს თვით რუსეთს.

ნაცვლად იმისა, რომ 23 აგვისტოს განხორციელებული ბარბაროსული აქტის გამო რუსეთს პასუხისმგებლობა ეგრძნო საქართველოს მიმართ და სამძიმარი გამოეხატა დაღუპულთა, დაჭრილთა და დაზარალებულთა ოჯახებისადმი, რუსეთის ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ იმ დღეს საქართველოსკენ არც ერთი სამხედრო თვითმფრინავი არ გაფრენილა. ეს განცხადება მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ არსებობს სრულიად უტყუარი მტკიცებულებები იმისა, რომ დაბომბვას ახორციელებენ რუსული თვითმფრინავები: სასწაულებრივად გადარჩენილმა მოსახლეობამ საკუთარი

თვალით დაინახა ისინი, დაბომბვას მოჰყვა მსხვერპლი და ნგრევა, რუსეთის მხრიდან საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა დაადასტურეს ეუთო-ს დამკვირებლებმა და დაფიქსირებულია ტექნიკური საშუალებებით.

მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა დაგმეს რუსეთის აგრესია. მიუხედავად ამისა, რუსეთის ოფიციალური პირები უარყოფენ თავის ქვეყნის მონაწილეობას ამ ოპერაციაში. ასეთ ვითარებაში მათ ალბათ მოუწევთ იმისი აღიარება, რომ რუსეთის ტერიტორიაზე დაფრინავენ სხვა ქვეყნის სამხედრო თვითმფრინავები. საკითხავია, რამდენად იქნება ეს სარწმუნო და მისაღები თავად რუსეთის საზოგადოებისათვის?!

მომხდარი ფაქტისადმი ასეთი დამოკიდებულება და პასუხსიმგებლობის ცინიკური ფორმით თავიდან აცილება მიანიშნებს იმაზე, რომ რუსეთი მსოფლიო თანამეგობრობის აზრის იგნორირებით მომავლშიც აპირებს გააგრძელოს მსგავსი მოქმედებები.

არსებულ ვითარებაში გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს მიერ მომხდარი ფაქტის საფუძვლიანი შესწავლა და საკუთარი პოზიციის ცალსახად ჩამოყალიბება.

საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის პატივისცემას რუსეთის ფედერაციის მიმართ და მომავალშიც მზად არის კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და დიალოგისათვის, თუმცა, ამავე დროს, კატეგორიულად აცხადებს, რომ მისთვის მიუღებელია რუსეთთან ორმაგ სტანდარტებზე დაფუძნებული პოლიტიკური ურთიერთობების გაგრძელება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და მოქალაქეების უსაფრთხოებას.

რუსეთის ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას მსხვერპლად შეეწირა ათეულათასობით საქართველოს მოქალაქე აფხაზეთში, ასეულათასობით ადამიანი დევნილად იქცა საკუთარ ქვეყანაში. აფხაზეთში კონფლიქტის დროს საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფები, ქალაქებს ბომბავდა რუსეთის ავიაცია, რასაც ემატებოდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის ცინიკური განცხადებები, თითქოს ქართველები რუსეთის სახელმწიფო სიმბოლოებს ახატავდნენ საკუთარ თვითმფრინავებს და თავად ბომბავდნენ მოსახლეობას. 1994 წლის ივლისში აფხაზეთში დსთ-ის ეგიდით რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანის შემდეგ არ შეწყვეტილა ქართველების ეთნიკური წმენდა და ე.წ. უსაფრთხოების ზონაში 1700-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. საქართველოს მოსახლეობას დღემდე არ სჯერა, რომ რუსეთი, სიტყვიერი განცხადებების მიუხედავად, მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

რუსეთის არაკონსტრუქციულობის შედეგია გაეროსა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლების მიერ აფხაზეთის სტატუსის შესახებ შემუშავებული პროექტების განხილვისა და მიღების ბლოკირება. რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში უვიზო რეჟიმის შემოღება საქართველოსთან შეუთანხმებლად წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას და ფაქტობრივად არის საქართველოს

ტერიტორიის ნაწილის ანექსიის მცდელობა. ფარული ანექსიის მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის დაჩქარებული წესით რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მინიჭება. ამ რეგიონების მოსახლეობის 80% საქართველოს კანონმდებლობის უგულებელყოფით უკვე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა. რუსეთი უხეშად არღვევს ეუთოს 1999 წლის სტამბოლის გადაწყვეტილებას, აჭიანურებს გუდაუთის სამხედრო ბაზის გაყვანის პროცესს და არ აძლევს ეუთოს დამკვირებლებს მონიტორინგის ჩატარების საშუალებას, აგრეთვე აჭიანურებს მოლაპარაკებებს ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადების შეთანხმების თაობაზე.

მოვლენათა განვითარება მიუთითებს იმაზე, რომ 2002 წლის 23 აგვისტოს განხორციელებული ბარბაროსული აქცია არის ლოგიკური გაგრძელება და ნაწილი იმ ორმაგი სტანდატის პოლიტიკისა, რომელსაც რუსეთის ფედერაცია წლების განმავლობაში ახორციელებს საქართველოს მიმართ. არსებული ვითარებიდან და საქართველოს სახელმწიფოს უზენაესი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი გადაუდებელ აუცილებლობად მიიჩნევს შემდეგ ღონისძიებათა განხორციელებას:

- რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებთან დაკავშირებით გაჭიანურებული მოლაპარაკებების გამო საქართველომ ცალმხრივად დაადგინოს მათი გაყვანის ვადები და მიიღოს შესაბამისი ზომები ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;
- რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული დაბომბვებისა და სხვა აგრესიული მოქმედებების გამო სრულიად გაუმართლებელია რუსეთის სამშვიდობო ძალების საქართველოში ყოფნა და მათ უმოკლეს ვადებში უნდა დატოვონ ქვეყნის ტერიტორია;
- საქართველოს წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული აგრესიის არაერთ ფაქტზე დსთ-ის მხრიდან აბსოლუტური უმოქმედობის გამო საქართველო უნდა გამოვიდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან.

საქართველოს პარლამენტი გამოთქვამს მზადყოფნას, თავის კომპეტენციის ფარგლებში, ნებისმიერ დროს კონსტრუქციული დიალოგით მოაგვაროს საქართველოსა და რუსეთს შორის ბოლო დროს შექმნილი პრობლემები და მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლების ყველა შტოს, წინ აღუდგეს ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას, რათა იგი არ იქცეს ამ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური დაძაბულობის, ერთმანეთის მიმართ აგრესიულად განწყობისა და ურთიერთობათა შეწყვეტის საფუძვლად.

თბილისი,
2002 წლის 26 აგვისტო

საქართველოს პარლამენტის
მ ი მ ა რ თ ვ ა

გაერო-ს, ეუთოს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ნატოსა და საქართველოს მეგობარი ქვეყნებისადმი

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2002 წლის 11 სექტემბრის განცხადებამ ცხადყო, რომ საქართველო რუსეთის მხრიდან მორიგი აგრესიის საფრთხის წინაშე დგას.

რუსეთის პრეზიდენტმა გენერალურ შტაბს, თავდაცვის სამინისტროს, უშიშროებისა და საზღვრის დაცვის ფედერალურ სამსახურებს დაავალა საქართველოს ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამხედრო ოპერაციის მომზადება.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელყოფის ამ აშკარა მუქარას საფუძვლად დაედო გაეროს წესდების 51-ე მუხლისა და სხვა დოკუმენტების არაადეკვატური ინტერპრეტაცია – თითქოს რუსეთი თავს იცავს საქართველოს მხრიდან სამხედრო აგრესიისაგან.

ამგვარი განცხადება გაკეთდა 11 სექტემბერს – სწორედ იმ დღეს, რომელიც აღიქმება ტერორიზმისა და ძალადობის წინააღმდეგ პროგრესული კაცობრიობის გაერთიანების სიმბოლოდ, და წარმოადგენს ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით ფაქტობრივი ანექსიის შენიღბვის მცდელობას.

ეს განცხადება არის წინა ეტაპი საქართველოს წინააღმდეგ პირდაპირი სამხედრო ინტერვენციისა და იგი მიზანმიმართულად მზადდებოდა რუსეთის ოფიციალური წრეების განცხადებებით, დეზინფორმაციის გავრცელებითა და პერმანენტული საჰაერო დაბომბვებით, რომლებსაც უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი და მნიშვნელოვანი ზარალი მოჰყვა.

რუსეთის ხელისუფლება განუწყვეტლივ ცდილობს, საკუთარი მოსახლეობა და მსოფლიო თანამეგობრობა შეიყვანოს შეცდომაში – თითქოს საქართველო ხელს უშლის მას ტერორიზმთან ბრძოლაში, არადა ტერორიზმის სათავე თავად რუსეთის ტერიტორიაზეა და ამ პრობლემის მოგვარების უუნარობას იგი სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის განხორციელების საბაბად იყენებს.

რუსეთის პრეზიდენტის განცხადების უსაფუძვლობაზე მეტყველებს ისიც, რომ სწორედ რუსეთიდან მომდინარე ტერორიზმით, რომელსაც აშკარად მფარველობდა რუსეთის ხელისუფლება, ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა, რასაც მოჰყვა სეპარატიზმის გაღვივება და შედეგად – ტერიტორიების (აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის) დაკარგვა, დიდი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში და ასეულათასობით მოქალაქის განდევნა საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან.

რუსეთის აგრესიულ ზრახვებს მოწმობს აგრეთვე ის, რომ აღნიშნული განცხადება გაკეთდა მაშინ, როდესაც რუსეთის მიერ პროვოცირებული პრობლემის გადასაწყვეტად საქართველო საერთაშორისო ანტიტერორისტული

კოალიციის ფარგლებში და მისი მხარდაჭერით კონკრეტულ, რადიკალურ მოქმედებებს ახორციელებს.

საქართველოს პარლამენტმა არაერთგზის მიმართა რუსეთის ფედერაციის როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებას, გამოხატა თავისი მზადყოფნა პრობლემის კონსტრუქციული გზით მოგვარებისათვის და ამ მიმართულებით გადადგა შესაბამისი ნაბიჯები, თუმცა მათ, სამწუხაროდ, რუსეთის მხრიდან რადიკალურად საპირისპირო საპასუხო მოქმედებები მოჰყვა.

საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობას და აცხადებს, რომ ყოველმხრივ უწყობს ხელს საქართველოში მიმდინარე ანტიკრიმინალური ოპერაციის უმოკლეს დროში და რეალური შედეგებით დასრულებას და საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნულ პროცესებზე საერთაშორისო მონიტორინგის გაძლიერებას. ამასთან, იგი მზად არის, ორ ქვეყანას შორის არსებული ყველა პრობლემა გადაწყვიტოს პოლიტიკური გზით, პარლამენტთაშორისი კონსულტაციებით, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ქმედებების დაგეგმვით რუსეთი უგულებელყოფს ცივილიზებული მსოფლიოს მიერ აღიარებულ საერთაშორისო ურთიერთობათა პრინციპებს, რითაც არა მხოლოდ უპირისპირდება საქართველოს, არამედ საფრთხეს უქმნის კავკასიის რეგიონს და მსოფლიო მართლწესრიგს.

საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ საქართველო წინ აღუდგება რუსეთის მხრიდან მორიგი აგრესიისა და ანექსიის მცდელობას; ამასთან, მიმართავს მსოფლიო თანამეგობრობას და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მიიღონ ქმედითი ზომები და არ დაუშვან რეგიონში საომარი მოქმედებების ესკალაცია.

თბილისი,
2002 წლის 12 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატოში) გაწევრიანების პროცესის დაწყების შესახებ

საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართველი ხალხის ურყევ ნებას, იცხოვროს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ და

გამთლიანებულ ქართულ სახელმწიფოში, აცხადებს, რომ საქართველო, როგორც ევროატლანტიკური სივრცის სრულფასოვანი წევრი, თავისი უსაფრთხოების გარანტირებულ უზრუნველყოფას შეძლებს მხოლოდ ამ სივრცის კოლექტიური თავდაცვის სისტემაში ინტეგრაციით.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) კოლექტიური თავდაცვის ერთადერთი ორგანიზაციაა ევროპაში, რომელიც პასუხობს მისი წევრი ქვეყნების ინტერესებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხრივ, საქართველოს პარლამენტი აღიარებს, რომ ნატოს წევრობა, ევროგაერთიანებაში გაწევრიანებასთან ერთად, არის საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი.

აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი ადასტურებს, რომ პარლამენტში არსებული ყველა ძირითადი პოლიტიკური ძალა მხარს უჭერს ქვეყნის ნატოში სრულფასოვან გაწევრიანებას, აღიარებს, რომ ეს გადაწყვეტილება არის საქართველოს ისტორიული არჩევანი, განპირობებული ხალხის ნებით, და თვლის, რომ აღნიშნული საკითხი არ გახდება შემდგომი პოლიტიკური დებატების საგანი.

საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ საქართველო წარმართავს რეფორმათა პროცესს პოლიტიკის, ეკონომიკისა და თავდაცვის სფეროებში, რათა უახლოეს პერიოდში ქვეყანამ დააკმაყოფილოს ნატოს წევრობისათვის აუცილებელი კრიტერიუმები.

საქართველოს პარლამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს და აღმასრულებელ ხელისუფლებასაც მოუწოდებს, პრიორიტეტებად დასახოს ლიბერალური დემოკრატიის განვითარება, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მდგომარეობის გაუმჯობესება, ეკონომიკის გაჯანსაღება და განვითარება, კორუფციასთან ბრძოლა, სამხედრო ძალებზე სამოქალაქო კონტროლის დაწესება, თავდაცვის სფეროს რესურსებით უზრუნველყოფის, შეიარაღებული ძალების აღმშენებლობისა და მათი ნატოს მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხები.

საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ ნატოში სრული ინტეგრაციისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზება სახელმწიფო ბიუჯეტის უმთავრესი პრიორიტეტი იქნება.

საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესის დაჩქარებისა და ეფექტიანად წარმართვისათვის, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, საქართველოს პარლამენტის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად დაიწყოს ნატოში გაწევრიანების პროცესი.

2. დაევალოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტთან ერთად უზრუნველყოს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შესახებ გამოხატული პოლიტიკური ნების მხარდაჭერა საერთაშორისო არენაზე.

3. დაევალოს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან ერთად 2 თვის ვადაში შეიმუშაოს და პარლამენტს წარუდგინოს თავდაცვის სფეროს რეფორმირებისა და შეიარაღებული ძალების ნატოს მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

4. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან ერთად ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას უმთავრესი პრიორიტეტი მიანიჭოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული პროგრამების ფინანსურ უზრუნველყოფას.

5. ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს პარლამენტის წევრი დავით გამყრელიძე და დაევალოს მას, შესაბამისი ინფორმაცია პარლამენტს წარუდგინოს 2003 წლის საგაზაფხულო სესიაზე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე *გიორგი წერეთელი*

თბილისი, 2002 წლის 13 სექტემბერი

საქართველოს კონსტიტუციური კანონი

საქართველოს კონსტიტუციაში დამატებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილებები:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

"4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ"."

2. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვა "აფხაზეთში" შეიცვალოს სიტყვებით "აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში".

3. მე-8 მუხლში სიტყვა "აფხაზეთში" შეიცვალოს სიტყვებით "აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში".

4. 55-ე მუხლის პირველ პუნქტში სიტყვა “აფხაზეთიდან” შეიცვალოს სიტყვებით “აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან”.

5. 67-ე მუხლის პირველ პუნქტში სიტყვა “აფხაზეთის,” შეიცვალოს სიტყვებით “აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და”.

6. 89-ე მუხლის პირველ პუნქტში და იმავე პუნქტს “ა” ქვეპუნქტში სიტყვა “აფხაზეთის,” შეიცვალოს სიტყვებით “აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოყვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ***ედუარდ შევარდნაძე***

თბილისი,
2002 წლის 10 ოქტომბერი
N 1689 – Iს

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიას გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა ერთი წლით.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე ***ნინო ბურჯანაძე***

თბილისი,
2002 წლის 6 დეკემბერი

საქართველოს პარლამენტის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტი უკიდურეს შეშფოთებას გამოხატავს უკანასკნელ პერიოდში აფხაზეთთან, საქართველო, დაკავშირებით განვითარებული მოვლენების გამო და აღნიშნავს, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა პროგრესის მიღწევა აფხაზეთის პრობლემის

მოგვარებაში; სეპარატისტული ხელისუფლება კვლავ უარს აცხადებს პოლიტიკურ დიალოგზე და „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ ე.წ. ბოდენის დოკუმენტის გაცნობაზეც კი, უარს ამბობს დევნილების უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფაზე და ცდილობს ეთნიკური წმენდისა და გენოციდის შედეგად ხელოვნურად შეცვლილი დემოგრაფიული სიტუაციის შენარჩუნებასა და დაკანონებას.

ამ ფონზე განსაკუთრებით შემაშფოთებელია რუსეთის (რომელიც ამავე დროს შუამავალია კონფლიქტის მხარეებს შორის) ქმედებები, რომლებიც საქართველოს მიერ ერთმნიშვნელოვნად აღიქმება აგრესიული სეპარატიზმის მხარდაჭერად.

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად და მისი ნების საწინააღმდეგოდ უვიზო რეჟიმის დაწესება საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე, აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, სოჭი-სოხუმის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, აფხაზეთის კავშირგაბმულობის სივრცის ათვისების მცდელობა, აფხაზეთში არსებული უძრავი ქონების უკანონო პრივატიზაცია რუსეთის იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ, რუსეთის მაღალი რანგის ოფიციალური პირების გახშირებული შეხვედრები აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებთან საქართველოს ხელისუფლების სრული უგულებელყოფის ფონზე აღიქმება აფხაზეთის – საქართველოს განუყოფელი ნაწილის ფაქტობრივი ანექსიის მცდელობად.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ქმედებები წარმოადგენს საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას და მისი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ნების უგულებელყოფას საერთაშორისო სამართლის ნორმების, ორმხრივი ხელშეკრულებებისა და დსთ-ის ფარგლებში ხელმოწერილი არაერთი შეთანხმების დარღვევას. აღნიშნული პრობლემები უკიდურესად ნეგატიურ გავლენას ახდენს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე და მოუგვარებლობის შემთხვევაში გამორიცხავს მათი კეთილმეზობლობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შესაძლებლობას.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი არ იყვნენ ინფორმირებულნი ზემოაღნიშნული ქმედებების შესახებ, ქართული მხარე ელის, რომ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის რუსეთში ვიზიტისა და საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების უკრაინაში შეხვედრის შემდეგ რუსული მხარე კონსტრუქციულ ნაბიჯებს გადადგამს არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

საქართველოს პარლამენტი კვლავ გამოხატავს მზადყოფნას, აღნიშნული საკითხები რუსეთ-საქართველოს ორმხრივი მოლაპარაკების გზით

გადაწყდეს, და მიმართავს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას, მოსკოვში გამართულ შეხვედრებზე მიღწეული შეთანხმებების შესაბამისად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც პირველ ეტაპზე შეისწავლის აფხაზეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებისა და სარკინიგზო მიმოსვლის აღკვეთის გზებს.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხები უახლოეს მომავალში არ მოგვარდება ორმხრივ დონეზე, საქართველო იძულებული გახდება, ეს და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებები განიხილოს, როგორც რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების პოზიცია, და მიმართოს საერთაშორისო თანამეგობრობას, გაეროს, ეუთოს, ევროპის კავშირს, ევროპის საბჭოს და მეგობარ სახელმწიფოებს მხარდაჭერისა და ადეკვატური რეაგირებისათვის.

საქართველოს პარლამენტი მოითხოვს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან:

მოსთხოვოს რუსეთის მხარეს, დაუყოვნებლივ აღკვეთოს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის მოქალაქეობის უკანონო მასობრივი მინიჭება და სოჭსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლა;

მოსთხოვოს რუსეთს, როგორც კონფლიქტის მხარეებს შორის შუამავალს, გაატაროს ეფექტიანი ზომები, რათა აფხაზურმა მხარემ დაიწყოს პოლიტიკური დიალოგი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს მთავრობამ მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მანდატის შეცვლისა და გაეროს წესდების მე-7 თავით გათვალისწინებულ დებულებათა ამოქმედების თხოვნით;

დსთ-ის სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან გასვლის შემთხვევაში შესაბამისმა სტრუქტურებმა განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება ამ ზონაში საომარ მოქმედებათა განახლების თავიდან აცილებისა და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის;

გაატაროს კონკრეტული ღონისძიებები ქვეყნისათვის აუცილებელი თავდაცვითი მექანიზმების გაძლიერების უზრუნველსაყოფად;

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად ერთი კვირის ვადაში წარუდგინოს პარლამენტს შექმნილი კრიზისული სიტუაციის დაძლევის გეგმა. საქართველოს პარლამენტი გამოხატავს მზადყოფნას, მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში.

თბილისი,
2003 წლის 30 იანვარი.
N 1969-რს

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ტერიტრიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოკვლევის დროებითი საპარლამენტო კომისიის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოკვლევის დროებით საპარლამენტო კომისიას გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა 1999 წელს არჩეული საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების შეწყვეტამდე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *ნინო ბურჯანაძე*

თბილისი,
2003 წლის 28 მარტი
N 2060 – IIს

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნეს გრიგოლ ჯოჯუა, ხოლო შეყვანილ იქნეს ჯანსუღ ეზუგბაია.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *ნინო ბურჯანაძე*

თბილისი,
2003 წლის 22 აპრილი
N 2093 - IIს

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. "აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 10 დეკემბრის N 78 დადგენილების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით "4. კომისიმის შემადგენლობა განისაზღვროს 19 წევრით."

2. "აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შემადგენლობის შესახებ" საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 28 დეკემბრის N 114 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები: დროებითი კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნენ ირაკლი ბათიაშვილი, ზვიად მუკბანიანი და კონსტანტინე კემულარია, ხოლო შეყვანილ იქნენ გურამ შარაძე, ზაქარია ქუცნაშვილი, როლანდ მგალობლიშვილი და გრიგოლ (გოჩა) ჯოჯუა.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *ნინო ბურჯანაძე*

თბილისი,
2003 წლის 7 მაისი.
N 2235-IIს

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა დროებით საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ

იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთარ სახლებში დაბრუნების პროცესი მეტისმეტად გაჭიანურდა. აღნიშნულმა გარემოებამ უკიდურესად გაამწვავა ამჟამინდელი განსახლების ადგილებზე დროებითი საცხოვრებელი ფართობით მათი უზრუნველყოფის პრობლემა, რაც აიძულებს დევნილებს, განსაკუთრებით - მრავალშვილიან და ახალშექმნილ ოჯახებს, თვითნებურად დაიკავონ სახელმწიფო თუ უწყებრივ დაქვემდებარებაში მყოფი შენობები. 1998 წლიდან მხოლოდ ქ. თბილისში 177 შენობაში შეჭრის

ფაქტი მოხდა. აქედან 68 დევნილებმა დღემდე შეინარჩუნეს; დანარჩენი შენობიდან კი ისინი გამოასახლეს შესაბამის სასამართლო გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ა.წ. 14 მაისს სააღსრულებო დეპარტამენტის სპეცრაზმმა მიუღებელი, უხეში ფორმით გამოასახლა გეოლოგიის ინსტიტუტის შენობაში განთავსებული დევნილები. მათგან ზოგიერთი მძიმედ დაშავდა. ამ შემთხვევამ საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია, რის შემდეგაც საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით დევნილები კვლავ დააბრუნეს ინსტიტუტის შენობაში მათთვის სხვა, დროებითი საცხოვრებელი ფართობის გამოყოფამდე.

მომხდარ ფაქტზე პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ეკისრება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებს, რადგან მათ არ გაითვალისწინეს რეალობა და დროულად არ მიღეს სათანადო ზომები, რომ საკუთარი სახსრებით თუ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ნაწილობრივ მაინც გადაეჭრათ საცხოვრებელი ფართობით დევნილთა უზრუნველყოფის პრობლემა, უპირველესად იმ ოჯახებისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან გამოსახლებას სასამართლო გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

მსგავსი მოვლენების, სხვადასხვა შენობებში დევნილთა თვითნებური შეჭრის ფაქტების განმეორების თავიდან აცილებისა და მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს გენერალურ პროკურატურას, უმოკლეს ვადაში შეამოწმოს 14 მაისს გეოლოგიის ინსტიტუტის შენობიდან დევნილთა გამოსახლებისას სათანადო ორგანოების მიერ გატარებულ ღონისძიებათა კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

2. საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უზრუნველყოს.

ა) დროებითი საცხოვრებელი ფართობით დევნილთა უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავება 2 თვის ვადაში და მისი ეტაპობრივი განხორციელება;

ბ) სასამართლო გადაწყვეტილებათა საფუძველზე გამოსახლებას დაქვემდებარებული ოჯახებისათვის დროებითი საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *ნინო ბურჯანაძე*

თბილისი,
2003 წლის 6 ივნისი.
N 2387 - IIს

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

აფხაზეთში გაეროს წესდების VII თავის ამოქმედების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადასტურებს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით 1996, 1997, 2001 და 2002 წლებში მიღებული დადგენილებებისადმი ერთგულებას და სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არ გაატარა ამ დადგენილებებით გათვალისწინებული ღონისძიებები.

საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ:

არ სრულდება დსთ-ის მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, დსთ-ის წევრმა ქვეყნებმა იკისრეს ვალდებულება, საქართველოს თანხმობის გარეშე არ განეხორციელებინათ სავაჭრო-ეკონომიკური, ფინანსური, სატრანსპორტო და სხვა ოპერაციები აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან და არ დაემყარებინათ მასთან ოფიციალური ურთიერთობა;

დსთ-ის მანდატით მოქმედი რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალები არ ასრულებენ მანდატით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების ხელშეწყობას, პირველ რიგში, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას;

არ სრულდება დსთ-ის მეთაურთა საბჭოს 1999 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების შეფერხებისას განხილული უნდა იქნეს აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლის საკითხი გაეროს წესდებით გათვალისწინებული დებულებების საფუძველზე;

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება უგულებელყოფს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ კონფლიქტის მოგვარებისაკენ მიმართულ ძალისხმევას, კერძოდ, უარს აცხადებს, განსახილველად მიიღოს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მიერ მომზადებული დოკუმენტი „თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის შესახებ“, ასევე არ თანხმდება ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებთან თანამშრომლობაზე;

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდა დადასტურდა ეუთოს ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბულის სამიტების გადაწყვეტილებებით, რომლებსაც გაეროს მიერ აფხაზეთის საკითხზე მიღებული რეზოლუციებიც ითვალისწინებს, დღემდე გრძელდება აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის დევნა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა

საკუთრების გასხვისება და განადგურება, ქართულ ენაზე სწავლისა და სწავლების აკრძალვა, ქართული კულტურის ძეგლების განადგურება.

საქართველოს პარლამენტი გუდაუთაში სამხედრო ბაზის დახურვის შესახებ რუსეთის მხარის განცხადებაზე დაყრდნობით მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, დათანხმდეს ამ ბაზის ინსპექტირებას და საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული სხვა პროცედურების განხორციელებას.

საქართველოს პარლამენტი ადასტურებს აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარების პრიორიტეტულობას და თვლის, რომ მისი მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის ყველა რესურსი უნდა იქნეს ამოწურული, ამასთან, მხარს უჭერს კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას:

ა) მიმართოს გაეროს უშიშროების საბჭოს აფხაზეთში გაეროს წესდების VII თავის ამოქმედების მიზნით;

ბ) განაგრძოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და ქართული კულტურის ძეგლების განადგურების დამადასტურებელ მასალებზე შემდგომი რეაგირებისათვის;

გ) გადადგას შესაბამისი ნაბიჯები კონფლიქტის ზონაში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლის მიზნით და მოამზადოს მისი ტრანსფორმაციისა და ინტერნაციონალიზაციის წინადადებები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა სახელმწიფოთა მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღონ სამშვიდობო ოპერაციაში;

დ) საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილების შესაბამისად უზრუნველყოს აფხაზეთის საკითხზე მიღებული ნორმატიული აქტების, საერთაშორისო ხელშეკრულებების სამართლებრივ-პოლიტიკური ექსპერტიზა მათზე შემდგომი რეაგირებისათვის;

ე) გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

2. ამ დადგენილების შესრულების შესახებ ინფორმაცია მოსმენილ იქნეს საქართველოს პარლამენტის 2003 წლის საშემოდგომო სესიის პირველივე სასესიო კვირაში.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე **ნინო ბურჯანაძე**

თბილისი,
2003 წლის 16 ივლისი

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიას 2003 წლის 6 დეკემბრიდან გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა 1999 წელს არჩეული საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების შეწყვეტამდე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მრვალეობის
შემსრულებელი **გიორგი წერეთელი**

თბილისი,
2003 წლის 19 დეკემბერი

თავი II.

აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტში გამართული დებატები და დისკუსიები (2000-2003 წლები)

საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 14 - 20 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერიდან.

ირაკლი მენაღარიშვილი - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი: აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის გააქტიურების ამოცანა გახლავთ საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი. თქვენთვის ასევე ცნობილი არის ის ოთხი ძირითადი მიმართულება, რა მიმართულებითაც ვითარდებოდა ჩვენი ძალისხმევა.

უპირველეს ყოვლისა, ეს გახლდათ საქმიანობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტებში საქართველოს პოზიციის ასახვის მიზნით. კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ გაერო არის ის წამყვანი საერთაშორისო სტრუქტურა, რომელიც სამშვიდობო პროცესის კოორდინაციას აღწევს.

მეორეა ენევის პროცესი. თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ ჟენევის პროცესი ჩამოყალიბდა როგორც უმთავრესი ფორუმი აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების წასამართავად.

მესამე მიმართულება გახლავთ, საქმიანობა აფხაზეთიდან ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც საკითხთა მთელ ნუსხას მოიცავს, დაწყებულს ჩვენი თანამშრომლობით საერთაშორისო სტრუქტურებთან, დასრულებულს მცდელობით საერთაშორისო სტრუქტურებში, რომელსაც სხვადასხვა ფუნქცია გააჩნიათ და მრავალ თემაზე მუშაობენ ამ პრობლემის აქტუალიზაციისათვის.

მეოთხე - ურთიერთობის ორგანიზება ქვეყნის ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლობისა და, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურებისა საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიასთან.

ძირითადი ამოცანები, რომელთაც ჩვენ ამ საქმიანობისას ვისახავდით გახლდათ ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული სტრატეგიიდან. პირველი, აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის მაქსიმალური ინტერნაციონალიზაცია. მეორე, გამომდინარე ამ ამოცანიდან, საერთაშორისო თანამეგობრობის მაქსიმალური ინფორმირება აფხაზეთში კონფლიქტის თაობაზე. კერძოდ, მისი გამომწვევი მიზეზების, აფხაზეთში ჩადენილი

დანაშაულობების თაობაზე ინფორმირება. ასევე ობიექტური ინფორმირება საერთაშორისო თანამეგობრობისა აფხაზეთთან მიმართებაში განვითარებული მოვლენების თაობაზე. ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს ეუთოში და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებში დსთ-ს ჩათვლით.

ამჟამად შექმნილი მდგომარეობა. პირველი, გაეროს უშიშროების საბჭოს პოზიციის. ...უკანასკნელი რეზოლუციის საფუძველზე შეიქმნა რეალური საფუძველი ეფექტურად წარიმართოს ჩვენი ძალისხმევა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების უმთავრესი ასპექტის, პოლიტიკური ასპექტის თაობაზე დიალოგის დასაწყებად. და რაც მთავარია, არის შანსი, რომ ეს დაილოგი დაიწყოს ჟენევის პროცესის ფარგლებში გაეროს, ეუთოს და რაც ჩვენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წევრ სახელმწიფოთა უშუალო და აქტიური მონაწილეობით.

მეორე, ამ რეზოლუციის მეშვეობით მოხერხდა, ასე ვთქვათ, გზის გაწმენდა ამგვარი დიალოგების დასაწყებად.

...გაეროს გენერალური მდვინის მეგობრების ჯგუფის მიერ დასრულებულია მუშაობა თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპების თაობაზე დოკუმენტის ირგლივ. გასული წლის ნოემბერში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, რუსეთის მხარემ დასტური მისცა ამ დოკუმენტს. გენერალური მდივნის წარმომადგენელი მზად არის ეს დოკუმენტები წარუდგინოს მხარეებს განსახილველად.

ყველაფერ ამას, რაც გასული წლის ნოემბრის შემდეგ ვითარდება, სხვას ვერაფერს ვერ ვუწოდებთ, თუ არა კიდევ ერთ მცდელობას დაიბლოკოს ამ დოკუმენტის ამოქმედება, ანუ მისი შეთავაზება ოფიციალურად ან დაგვიანდეს, ან საერთოდ არ შედგეს. მით უმეტეს, რომ ამ პერიოდში ჩვენ გვქონდა რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც მეგობარი ქვეყნების ჯგუფის ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს მაღალი რანგის წარმომადგენლის მიერ იყო მცდელობები, უკან დაეხიათ მიღწეული შეთანხმებებისაგან. ანუ უარი ეთქვათ დოკუმენტის თაობაზე მიღწეულ შეთანხმებებზე . მიზეზად მოჰყავდათ და მოჰყავთ სხვადასხვა მოტივი, დაწყებული ყურით მოთრეული ჭორიდან იმის თაობაზე, თითქოს საქართველოს და მის პრეზიდენტს რაღაც ახალი წინადადებები გააჩნია და რომ დღეს ქართული მხარისთვის აღარ არის ეს დოკუმენტი აქტუალური.

...დღეს შეშფოთება უნდა გამოვთქვათ იმის გამო, რომ ჯერჯერობით ის, ვის ინტერესებშიც არის ამ პროცესის დაბლოკვა, თავის მიზანს აღწევს. მე ღრმად მწამს ისიც, რომ სწორედ ამ ძალების მიერ იმედმოცემული აფხაზური მხარე ამიტომაც ასე გულმოდგინებით აკეთებს განცხადებებს იმის თაობაზე, რომ იგი ამ დოკუმენტს არ მიიღებს, არ განიხილავს და რომ მისთვის გაეროს, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები არაფერია და სულაც არ თვლის თავს ვალდებულად გაუწიოს მათ ანგარიში. ჩვენი

მუშაობა მიმართულია საერთაშორისო თანამეგობრობის, ძალისხმევის მობილიზაციისაკენ, რათა ეს ჩიხური მდგომარეობა დაიძლიოს.

მეორე აქცენტი ჩვენი ძალისხმევისა გახლავთ ეუთოს მიმართულება. წლების განმავლობაში ეუთო ბევრად უფრო მკაცრი, მკაფიო და ნათელი შეფასებების პოზიციებზე იდგა. სწორედ ეუთოს სამიტმა დაარქვა აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს "ეთნიკური წმენდა" ჯერ კიდევ ბუდაპეშტის სამიტიზე შემდგომ და მას შემდეგ ეუთოს არც ერთი მაღალი დონის საკრებულოს ამ პოზიციიდან უკან არ დაუხევია.

სულ ახლახან თბილისში ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის (ამჟამად პორტუგალია გახლავთ თავმჯდომარე ქვეყანა) ბატონი გამას ვიზიტისას ჩვენ დეტალურად განვიხილეთ ეუთოს სამომავლო სამოქმედო გეგმა აფხაზეთთან მიმართებაში. შემიძლია მოგახსენოთ, რომ, ეუთოს დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი ცალსახაა. იგი მზად არის უფრო აქტიური ნაბიჯებიც გადადგას სამშვიდობო პროცესში ჩართვისათვის. აქ ჩვენ გვაქვს რიგი საკითხებისა, რომელთა ნაწილი, ჩვენი აზრით, შეიძლება დღეს აი სხდომის მერე მიღებულ გადაწყვეტილებაში აისახოს, მათ შორის და უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტების ის მასალები, რომელიც წლების განმავლობაში დაუგროვდა გაეროს და ეუთოს ერთობლივ ოფისს ადამიანის უფლებებისა...

მესამე ელემენტი, ეს არის საერთაშორისო თანამეგობრობის ის სტრუქტურები, სადაც ჩვენ აფხაზეთის კონფლიქტის ამა თუ იმ ასპექტთან დაკავშირებით ვმუშაობთ. ეს გახლავთ, როგორც ეთნიკური წმენდის და მისი შედეგების აღმოფხვრის აუცილებლობა, ასევე კულტურული გენოციდის, ანუ, აფხაზეთში განლაგებული მატერიალური კულტურის ძეგლების და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ელემენტების წინააღმდეგ განხორციელებული ვანდალური აქტების დაფიქსირება და საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირება მათ შესახებ. თქვენთვის ცნობილია, რომ 1996 წელს მოხერხდა პირველი ასეთი მისიის ორგანიზება იუნესკოს ეგიდით. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის სტრუქტურებთან, რათა კიდევ ერთხელ მოგვეცეს მონიტორინგის ჩატარების შესაძლებლობა აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული ისტორიული ძეგლების მდგომარეობის შესასწავლად და დასაფიქსირებლად. ...აფხაზეთის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის და ამასთან ერთად ფართო თვითმმართველობის უფლების მქონე ერთეულის სტატუსის განსაზღვრის, ჩამოყალიბებისა და ამ თემაზე ჩვენი ხელისუფლების პოზიციის დაზუსტებისა და დამუშავებისათვის. თქვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობამ გაეროს უშიშროების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტად ორჯერ გაავრცელა ჩვენი წინადადებები აფხაზეთის სტატუსის თაობაზე. ჩვენ განვაცხადეთ, რომ ეს არ არის ჩვენი ხისტი პოზიცია. ქართული მხარე მზად არის იმსჯელოს და ძალიან შემოქმედებითად მიუდგეს უფლებამოსილების და კომპეტენციათა იმ სპექტრს, რომელსაც აფხაზეთი, როგორც საქართველოს სახელმწიფოს ავტონომიური წარმონაქმნი, შეიძლება ფლობდეს და განკარგავდეს...

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც საგარეო უწყება ჩვენს კოლეგებთან ერთად აწარმოებს დსთ-ს ფარგლებში. მოგეხსენებათ, აფხაზეთში განლაგებული და ამჟამად მოქმედი სამშვიდობო კონტიგენტი სწორედ დსთ-ს მანდატით მუშაობს. თუმცა, იგი დე-ფაქტო მხოლოდ რუსული სამხედრო კონტიგენტისგან შედგება. უკანასკნელი თვეების განმავლობაში ჩვენი სამუშაო კონცენტრირებული იყო პარლამენტის გადაწყვეტილების შესაბამისად აღნიშნული ოპერაციის ან ალტერნატივის, ან მისი განვითარების პერსპექტივების გამონახვისაკენ. შედეგი თქვენთვის ცნობილია. ეს არის დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა გადაწყვეტილება, რომელიც მანდატის გაგრძელებასთან ერთად გულისხმობს მუშაობის დაწყებას მანდატის და სამშვიდობო ოპერაციის ფორმატისა და ხასიათის შეცვლის თაობაზე. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროებმა დსთ-ს სახელმწიფოებს შორის სამხედრო თანამშრომლობის კოორდინაციის შტაბის დროებითი ოპერატიული სამუშაო ჯგუფისა და გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან ერთად უნდა დაამუშაონ საკითხები აფხაზეთში, საქართველო სამშვიდობო ოპერაციის ზონის გაფართოების შესახებ. კერძოდ, გალის რაიონის ძველ საზღვრებში უსაფრთხოების ზონაში მთლიანად ჩართვის შესახებ ისე, რომ შეიარაღების შეზღუდვის ზონა გადიოდეს მდინარე მოქვზე.

მეორე. ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე უსაფრთხო დაბრუნებასთან დაკავშირებით და ასევე სამშვიდობო კონტიგენტის დისლოკაციის შეცვლის, მათ მანდატში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანისა და სხვა ღონისძიებების შესახებ, რომელიც უკავშირდება უსაფრთხოების ზონის გაფართოებას გადაწყვეტილებით ასევე გათვალისწინებულია, რომ თუკი ჩატარებული სამუშაოს შედეგად ვერ იქნება მიღწეული შედეგი, მაშინ ჩვენ ორ სამინისტროს დავალებული გვაქვს შევიტანოთ წინადადება დსთ-ს სამიტის წინაშე სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტის შესახებ..

...ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ შევძლებთ ძირითადად პრინციპულ საკითხებში შეთანხმების მიღწევას იმიტომ, რომ გადაწყვეტილება, პრაქტიკულად, უკვე არსებობს, ხოლო ჩვენი წინადადებები არ გახლავთ არარეალისტური და, ასე ვთქვათ, პრინციპულად მიუღებელი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ძალიან სერიოზული კითხვის ნიშანი არსებობს და ეს უნდა გავითვალისწინოთ ამ გადაწყვეტილების საბოლოო იმპლემენტაციასთან დაკავშირებით. რამეთუ, ჩვენ არა თუ არ გამოვრიცხავთ, არამედ ველით კიდევაც ძალიან სერიოზულ წინააღმდეგობას ამ გადაწყვეტილების შესრულების გზაზე. როგორც ჩვენი პარტნიორებისაგან, მე ამას ღიად ვიტყოდი, ისე აფხაზური მხრიდან, რომელსაც, ალბათ, ამ თემაზე ჩვენი პოზიციისგან განსაკუთრებული განსხვავებული პოზიცია ექნება.

ამჟამად მუშაობა ამ მიმართულებით მიმდინარეობს და ჩვენ ვფიქრობთ, რომ რამდენადაც ეს გადაწყვეტილება და ეს სამუშაო

პარლამენტის ცნობილი დადგენილების საფუძველზე წარიმართა, უპრიანი იქნებოდა ამ საქმიანობაში ჩვენი პატივცემული კოლეგების, შესაბამისი ფრაქციის წარმომადგენლების ჩართვა, როგორც კი დაიწყება კონსულტაციები და მოლაპარაკებები რუსულ მხარესთან ამ თემაზე.

მ. კაკაბაძე - საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი: ...ჩვენი ინსტიტუტი შეიქმნა 2000 წლის მაისში და პრაქტიკულად საქმიანობას შეუდგა ივლისში. განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის აპარატის მუშაობა მიმართული არის საქართველოში არსებული შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისადმი, ძირითადად აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგებით. მუშაობის ძირითადი მიმართულებებია: იძულებით ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში მშვიდობიანი, ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნება, სამშვიდობო პროცესის გაგრძელება და ამ პროცესში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა აფხაზეთში, აგრეთვე ამ რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაცია. ...ეკონომიკური რეაბილიტაცია აუცილებლად იქნება დაკავშირებული დევნილთა დაბრუნებასთან. ჩვენ უნდა დავანახოთ აფხაზეთში მცხოვრებ დანარჩენ მოსახლეობას, რომ რაც უფრო სწრაფად განვითარდება სამშვიდობო პროცესი და გადაწყდება დევნილთა დაბრუნების საკითხი მით უფრო სწრაფად განვითარდება ეს რეგიონი და ამაღლდება მისი მოსახლეობის ცხოვრების დონე.

...გამოვყოფდი აპარატის მუშაობას სამი მიმართულებით. პირველი - ჩვენი მუშაობა უშუალოდ აფხაზურ მხარესთან, ე.ი. ორმხრივი ურთიერთობები, მეორე - მუშაობა საერთაშორისო სარბიელზე უცხოეთის ქვეყნებთან და მესამე - მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ასევე მინდა აღვნიშნო ჩვენი თანამშრომლობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან.

...1997 წლიდან მოხდა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის ინტერნციონალიზაცია და ის მართალია მძიმედ, მაგრამ მაინც დაიძრა ადგილიდან. 200 წლის ივლისში მან თავისი განვითარება ჰპოვა საკოორდინაციო საბჭოს ჟენევის ფორმატში. დასამალი არ არის, რომ ფორმატით შექმნილი სამი ჯგუფიდან ყველაზე აქტიურად მუშაობდა პირველი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უსაფრთხოების საკითხებისადმი არის მიძღვნილი. გულახდილად მინდა მოგახსენოთ, რომ მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა, გაეროს, საერთაშორისო ორგანიზაციების, პირადად ბატონ დიტერ ბოდენის უშუალო მონაწილეობით მოხერხდა ის, რომ ჩვენ არ ჩაგვიტარებია არც ურთი შეხვედრა, რომელშიც არ მონაწილეობდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების ან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლები, თუმც სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით მათი ცალკე პროცესის მონაწილე მხარედ დაფიქსირება ვერ ხერხდება.

...რაც შეეხება აქტიურობას საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე. განსკუთრებით გამოვყოფდი ევროპის საბჭოს ჩართვას ამ პროცესში და

ევროკავშირის გააქტიურებას. ეუთოს ჩართვაც ამ პროცესში გახდა უფრო აქტიური. აღვნიშნავდი გაეროსა და ეუთოს ერთობლივი შემფასებელი მისიის მიერ 2000 წლის ნოემბერში გალის რაიონში არსებული მდგომარეობის შესწავლას და მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მნიშვნელობას. აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება, მოგვცემს ძალიან დიდ ბიძგს დევნილთა დაბრუნებისათვის და იქ უსაფრთხოების პირობების შექმნისათვის. მათი შესრულება დაკავშირებულია მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძვრებთანაც. მუშავდება წინადადებები გარკვეული საერთაშორისო პრაქტიკის შეძენის მიზნით, მხედველობაში მაქვს ბალკანეთში არსებული კონფლიქტების მოწესრიგების პროცესის გაზიარება, რომელიც ეხება დევნილთა და ლტოვილთა ორგანიზებული დაბრუნების საკითხებს. საუბარია სლოვენიის, კოსოვოს, ბოსნიის გამოცდილებაზე და ა.შ. მხედველობაში მაქვს შერეული გარდამავალი ადმინისტრაცია საერთაშორისო დამკვირვებლების ქვეშ და საერთაშორისო პოლიციური ძალები. ეს საკითხები უკვე დასმულია. საგარეო საქმეთა სამინისტრომ აუცილებელი განაცხადი ამის თაობაზე გაეროს შესაბამის დეპარტამენტში უკვე გააკეთა და ველოდებით კონკრეტულ რეაგირებას. 21 მარტს ტარდება ეუთოს მინისტრთა კაბინეტის გაფართოებული სხდომა, რომელზეც მკაცრად იქნება შეფასებული ეუთოს სტამბულის სამიტის მოთხოვნების შეუსრულებლობის საკითხი. 28 -ში დაგეგმილია ჩემი მოხსენება გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის 52-ე სხდომაზე, სადაც იქნება გაკეთებული საკმაოდ მკაცრი მოხსენება ამ დარგში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

გაეროს უშიშროების საბჭოს 31 იანვრის რეზოლუციასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნო, რომ მან უნდა შეცვალოს რეალური ვითარება კონფლიქტთან დაკავშირებით. მხედველობაში მაქვს ე.წ. ბოდენის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია გაეროში და მოწონებულია გაეროს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის მიერ. გაეროს რეზოლუციის ერთ-ერთ მუხლში წერია, რომ იმათ, ვისაც აქვთ გავლენა აფხაზურ მხარეზე უნდა გამოიყენონ სრულად ეს გავლენა და მიაღებინონ მას ეს დოკუმენტი.

დ. გიორხელიძე - საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის თავმჯდომარე - ყველა საკითხი, რომელიც კი შეიძლება ამ კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით იქნეს გადადგმული, აწყდება მთავარ წინააღმდეგობას. ეს არის სტამბულის სამიტის გადაწყვეტილებით გუდაუთის ბაზის გაყვანის საკითხი, ბაზა ლიკვიდირებულია ფორმალურად, მაგრამ ის ბაზა არსებობს. ეს არის ის მთავარი ზურგი, რომელიც ქართულ მხარეს არ მისცემს საშუალებას, თუ გნებავთ, მეგობარი ქვეყნების დახმარებით გადადგას ის ნაბიჯები, რომლებიც აუცილებელია ამის დასარეგულირებლად. მთავარი საკითხი, ვაკეთებთ აქცენტს თუ არა იმაზე, რომ ყველა შესაძლო მხარდაჭერით მიღწეულ იქნეს ამ ბაზის ინსპექტირება და მათი ფაქტიური გაყვანა აფხაზეთის ტერიტორიიდან. ეს პირველი და მთავარი საკითხი.

მეორე, მაქსიმალურად გახმაურება ყველა იმ დოკუმენტისა, რომელიც ეხება აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევას და ა.შ. ეს დოკუმენტები გარკვეულად დახურული იყო, რამდენადაც მე ვიცი, და ფართო საზოგადოებრიობისათვის, მათ შორის საქართველოშიც, ეს დოკუმენტი ცნობილი არ არის. ამიტომ ამ მიმართულებით იგივე პრობლემას ვაწყდებით. სანამ პირველი ჩემი დასმული საკითხი გადაწყვეტილი არ იქნება, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე იგივე მონიტორინგი და იგივე ინსპექტირება ამ მიმართულებითაც, ფაქტიურად, უკავშირდება უსაფრთხოების საკითხებს და რეალურად საერთაშორისო ორგანიზაციებს.

მესამე საკითხი, რომელიც ასევე, მნიშვნელოვანია. არ ვფიქრობ, რომ კარგი იდეა არის ღალიძგაზე გადაყვანა იმ სამშვიდობო ძალებისა იმიტომ, რომ ეს ისევ და ისევ მოახდენს იმ ტერიტორიის უფრო მეტად სეპარაციას. ამიტომ გამოსავალი აქ უნდა იყოს ერთი: სამშვიდობო ძალების, რომელიც დღეს აფხაზეთში დგას, სამშვიდობო მანდატის შეწყვეტა და თუ ეს აუცილებელია, გაეროსა და ეუთოს მანდატით სამშვიდობო კონტიგენტის ფორმირება, მათ შორის, რუსების მონაწილეობითაც. ...უნდა იქნეს ფორმულირებული სულ სხვა მანდატი. მე ვფიქრობ, თუ საქართველოს ხელისუფლება მზად არის, საერთოდ შეიძლება უარი ვთქვათ მილიტარულ ჩანაცვლებაზე და გაცილებით უფრო ეფექტური იქნება მოხდეს ეუთოსა და გაეროს გაძლიერებული ინსპექცია, რომელმაც მეტ-ნაკლებად შეიძლება მოიცვას მთელი აფხაზეთის ტერიტორია.

ა. ჯორბენაძე - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი: ...დღეს ჩვენს ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლითაც ორი უზარმაზარი და უმთავრესი ჩვენი ნავთობსადენის მშენებლობის პროექტების დაწყება გადაწყდა. რატომღაც დღევანდელ დღეს, ყველამ მიივიწყა საკითხი, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოს ეკონომიკურ ძლიერებას, საქართველოს მომავალს შეეხება და რომელიც რეალურად საკმაოდ რთული, ძნელი განსახორციელებელი იყო და რომლის განხორციელებაშიც უმთავრესი როლი საქართველოს პრეზიდენტს ეკუთვნის. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ აფხაზეთის საკითხის ფრაგმენტულად გადაწყვეტა შეუძლებელია...

...პირველი და უმთავრესი, გახლავთ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, ჩვენი შიდა სიტუაცია. კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო ყველას: როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა იყოს სხვადასხვა ფრაქციებში, პოლიტიკურ პარტიებს შორის, სხვადასხვა ადამიანებს შორის, ჩვენ ყველა ერთად უნდა გაგვაერთიანოს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის აღდგენის საკითხმა. ჩვენ ყველამ ერთად უნდა განვსაჯოთ, ერთად უნდა მივიღოთ საბოლოო გადაწვყეტილება. ნუ წარმოიდგენთ, რომ საქართველო განკერძოებული ქვეყანაა. გამომდინარე აქედან, საკმაოდ სერიოზულია

სახელმწიფოს მიერ წარმართული მუშაობა, გაეროში, უშიშროების საბჭოში, ევროპულ სტრუქტურებში, ჩვენს მეგობარ ქვეყნებში. რეალურად მიღებულია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზული, გადაწყვეტილება - გაეროს ბოლო რეზოლუცია, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მეორე საკითხი ასევე ძალიან მნიშვნელოვანი, ჩვენი აზრით, გახლავთ ევროპული სტრუქტურების წარმომადგენელთა ბოლო პერიოდის ვიზიტები საქართველოში და საბოლოო ჯამში ევროკავშირის განცხადება, რომლის შესახებ ინფორმაცია ასევე პარლამენტს და საქართველოს საზოგადოებას აქვს...

...მნიშვნელოვანი გახლავთ პრეზიდენტ პუტინის ცალსახა განცხადება იმასთან მიმართებაში, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა განხილვას არ ექვემდებარება..

... მეორე. ერთ-ერთ უდიდეს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას საქართველოს მომავალთან მიმართებაში იძენს აშშს მთავრობის გადაწყვეტილება სამხედრო ძლიერების ხელშეწყობის მიზნით. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა გახლავთ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება თავისი უმთავრესი ატრიბუტებით.

და მესამე, საკითხი, საერთაშორისო ტერორიზმის ან საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მონაწილეთა საქართველოს გარკვეულ რეგიონებში და რაიონებში ყოფნასთან დაკავშირებით, რაც გვაფიქრებინებს,რომ ანტიტერორისტული, საკმაოდ სერიოზული მოძრაობა იქნება დაწყებული რეალურად და, შესაძლებელი ბევრი პროცესი საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ბევრი ნაბიჯი გადადგმული...

დ. თევზაძე - საქართველოს თავდაცვის მინისტრი: ... რაც შეეხება, როგორ ვფიქრობ დავიბრუნოთ აფხაზეთი. ...ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი სტრატეგიული ხაზი იქნება აფხაზეთის ძალისმიერი დაბრუნება, ეს ყოველთვის ომს არ ნიშნავს. ...თუ ძალით ვფიქრობთ, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ის რესურსი, რომელსაც იძლევა მშვიდობიანი მოლაპარაკების ფორმატი, თუნდაც იმიტომ, რომ დრო მოვიგოთ, ეს ცნობილი ხერხებია მსოფლიო სამხედრო დიპლომატიაში. ეხლა რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს ამოცანებს, საკმაოდ კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული, რამდენიმე მიმართულებით არის ეს ამოცანები გაწერილი და მათ შორის, რა თქმა უნდა, ტერიტორიული მთლიანობის დაბრუნება და ამაზე ძირითადად მიდის მუშაობა ჯერჯერობით გენერალური შტაბის ფარგლებში...

...და ბოლოს, შეიძლება თუ არა სამშვიდობოების ჩანაცვლება ჩვენი ბიჭებით. რა თქმა უნდა, შეიძლება. აქ ორი მომენტია. პირველი რამდენად მიზანშეწონილია დღეს, იმიტომ, რადგან ნებისმიერი ჩანაცვლება, ეგ არის რესურსის ხარჯვა, როცა ეს რესურსი შეიძლება სხვა რამეში იქნეს გამოყენებული, და მეორე მომენტი გახლავთ ის, რომ მათი იქ დგომა არის

გარკვეულ საერთაშორისო ფორმატში მოქცეული. თუ ეს ფორმატი დაუშვებს ახალი რეალობის გაჩენას ამ სახით მე ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ.

...მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს მიერ იქნა თავდაცვის ნაწილების შეყვანა კოდორის ხეობაში განპირობებუბლი იყო გარკვეული აუცილებლობით და მაშინ ავიცილეთ რეალურად ის, რაზედაც არის მუდმივად ლაპარაკი, დაიკარგებოდა თუ არა, ხეობა. მაშინ ეს ნაბიჯი რომ არ გადაგვედგა, რეალურად დაიკარგებოდა. მერე გარკვეულ ოქმებს მოეწერა ხელი და ჩვენთვის ყველაზე მძიმეს წარმოადგენდა ეს გამოყვანის მომენტი, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც დადგებოდა, ამიტომ მინდა მოგახსენოთ, რომ ჩატარდა მთელ რიგი ღონისძიებები, საკმაოდ კონკრეტული. ხეობაში ჩატარდა საკმაოდ დიდი მოცულობის საინჟინრო, ანუ გამაგრებითი სამუშაოები, გარდა ამისა, ეს პერიოდი, რაც ჩვენ იქ ოქტომბრიდან ვიმყოფებით მიდიოდა ადგილობრივი შეიარაღებული მოხალისეების ინტენსიური წვრთნა. გარდა ამისა, იქ მუდმივად მოქმედებდა ოპერატიული შტაბი, და მე მინდა გითხრათ, რომ გავლენ ჩვენი ნაწილები იქიდან, თუ არ გავლენ, იქ შტაბი დარჩება, ამაზე შეთანხმება მიღწეულია და ამასობაში მომზადდა მესაზღვრეების კონტინგენტი, რომელთა მიმართ ალერგია არ არსებობს არც საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან და არც საპირისპირო მხრიდან და მოხდება სრულფასოვანი ჩანაცვლება. ამისთვის ჩვენ უკვე მზად ვართ და გარდა ამისა, ასევე დაფიქსირებულია გამოყვანილი ნაწილების იმდაგვარად განლაგება, რომ უახლოეს საათებში შესაძლებელი იყოს მათი ადგილზე გადასროლა. ...ჩვენ ვიტოვებთ მაინც იმ ფანჯარას, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ვითარების ნებისმიერი გამწვავების შემთხვევაში, ასევე ეფექტურად ვიმოქმედოთ.

ვ. ჩხეიძე - საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე: სასაზღვრო უწყება ჩრდილოეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთის კოდორის ხეობის 90 კილომეტრიან სასაზღვრო ზონას აკონტროლებს. სამწუხაროდ, აფხაზეთში სახმელეთო საზღვრის დანარჩენ მონაკვეთს ვერ ვაკონტროლებთ. ...ზღვის აკვტორიას ვაკონტროლებთ, შეძლებისდაგვარად, იმ პერიოდიდან რაც შესაძლებლობა გაუჩნდა სასაზღვრო უწყებას დაკავებულ იქნა სოხუმში შესული და სოხუმიდან გამოსული რამოდენიმე გემი სხვადასხვა ქვეყნის დროშის ქვეშ, ძირითადად: თურქეთის, უკრაინის და რუსეთის. დაზვერვის დეპარტამენტთან და უშიშროების სამინისტროსთან მიდის შეჯამებული ინფორმაციების გაცვლა. თუ ზღვის აკვატორიას ჩვენ ჩავკეტავთ და გავაკონტროლებთ, ეს იქნება ერთ-ერთი ის ბერკეტი, რომელიც სერიოზულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ დარტყმას მიაყენებს სეპარატისტულ რეჟიმს. ვიმეორებ, შეძლებისდაგვარად ვაკონტროლებთ ზღვის აკვატორიას, რამეთუ სახსრები და საშუალებები სრულყოფილად, 100%-ით ამის საშუალებას არ იძლევა. იმისათვის, რომ სრულყოფილად წლის განმავლობაში ზღვის აკვატორია გავაკონტროლოთ, საჭირო არის არანაკლებ 4 მილიონი ლარი. მთლიანად

ჩვენი ბიუჯეტი კი არის 9 მილიონი. ...კიდევ ვიმეორებ, ზღვის აკვატორია არის ერთ-ერთი უმთავრესი თემა, რომლის საშუალებითაც თუ ის სრულყოფილად გადაიკეტა, შეიძლება ზეწოლა მოვახდინოთ სეპარატისტულ რეჟიმზე.

... თურმე ჩვენი კანონმდებლობით ქვანახშირი კონტრაბანდად არ ითვლება, რბილად რომ ვთქვათ, ნონსენსებს ვაწყდებით იმდენად არასრულყოფილი და იმდენად აბსურდული კანონმდებლობა გვაქვს. ერთი კანონმდებლობა ჩვენ გვავალდებულებს და ჩვენ ამას ვასრულებთ, რომ ჩვენ უნდა დავიჭიროთ საზღვრის დამრღვევი, რაც ამ შემთხვევაში მოხდა და რითაც გასამართლდა გემის კაპიტანი, 2 წელი მიუსაჯეს და ეკიპაჟის ყველა წევრს 1,5 წელი. ასე, რომ არავინ არ გათავისუფლებულა. მაგრამ თვითონ გემი, რომელიც ექვემდებარებოდა კონფისკაციას, იმ შემთხვევაში მოხდებოდა მისი კონფისკაცია, თუ დამტკიცდებოდა კონტრაბანდა. კონტრაბანდა ვერ დამტკიცდა. ...ჩვენ ვამზადებთ სერიოზულ პაკეტს კოდექსში და კანონებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

ეხლა რაც შეეხება არის თუ არა პოტენციალი. ისევ და ისევ ეს თემა დამოკიდებულია იმ საკითხებთან, რაზედაც ეხლა ვსაუბრობთ ჩვენ. მე უბირალოდ მაგალითს გეტყვით. ჩვენს მიერ გაგზავნილი, მეგობარ ქვეყნებში მომზადებული მაღალკვალიფიკაციის სპეციალისტები ელტექნიკის, ენის მცოდნეები და ა.შ. და ა.შ. მერე ჩამოდიან, მსახურობენ და გარკვეული დროის შემდეგ, მიდიან კერძო სტრუქტურებში, სადაც ანაზღაურება უფრო მეტია. რა თქმა უნდა, ის პოტენციალი, რომელიც საზღვრისპირა რაიონებშია და ჩვენი კონცეფცია ამაზე იყო დაყრდნობილი, რომ აჭარის მაღალმთიან რეგიონებს. უნდა ემსახუროს მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრები, სამცხე-ჯავახეთში, კოდორის ხეობაში, მესტიაში თუ მთათუშეთში, ამ პოლიტიკამ წლების მანძილზე გაამართლა და ადგილობრივი მოსახლეობა მთლიანად დასაქმებულია, მაგრამ სასურველია, რომ მეტი ყურადღება მიექცეს იმ მაღალკვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს, რომელთა მომზადებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება.

თ. ნადარეიშვილი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე: ...შეიძლება დღეს ითქვას, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდა გარკვეული პროექტი, სადაც არის გათვალისწინებული იმ საკითხების უდიდესი ნაწილი, რომელსაც ჩვენ მოვითხოვდით...

...პირველი საკითხი, რომელიც მე ყველაზე მეტად მაწუხებს, ალბათ, ისევე, როგორც ჩემს კოლეგებს, ეს არის, უპირველეს ყოვლისა, თვითონ აფხაზეთის სტატუსის საკითხი...

...მე მაინც, ალბათ, ვერ ავცდები მთავარ საკითხს, რადგანაც, როგორც არ უნდა ვიმსჯელოთ ჩვენ აფხაზეთზე, მთავარი არის იმ სწორი და მართალი დიაგნოზის დასმა, რომელიც, სამწუხაროდ, ამ წლების განმავლობაში ვერ განხორციელდა ანუ არ ითქვა. უპირველეს ყოვლისა, მე მინდა შევეხო ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საკითხს, რომლის

ფორმატითაც მიდის ამ კონფლიქტის დარეგულირება. მიმაჩნია, რომ ეს არის არასწორი გზა, ეს არის არასწორი ფორმატი, ეს არის არასწორი დიაგნოზი, რადგანაც საქმე ჩვენ, ამ შემთხვევაში, გვაქვს სულ სხვა მოვლენასთან, რომელიც განსაკუთრებით ბოლო პერიოდში უფრო მკვეთრად გამოიკვეთა. ...ის ტრაგედია, უბედურება, რომელიც დატრიალდა აფხაზეთში, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეფასდეს, როგორც სუფთა ეთნიკური კონფლიქტი აფხაზებსა და ქართველებს შორის. ეს იყო სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც ინსპირირებული იყო მესამე, გარეშე ძალის ანუ რუსეთის სახელმწიფოს მიერ და კონფლიქტს უნდა მიეცეს შეფასება რუსულ-ქართული კონფლიქტი. ანუ ყველაფერი ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც იშლება საბჭოთა კავშირი და, პრინციპში, იწყება მსოფლიო გადანაწილების პროცესი, რომელიც დასრულდა ევროპაში, რომელიც მიმდინარეობს შუა აზიის რესპუბლიკებში, გნებავთ, რაც ხდება ავღანეთში და, ბუნებრივია, დღეს პიკმა მიაღწია კავკასიასა და საქართველოში. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის საკითხის დარეგულირება, ასევე როგორც სამაჩაბლოს საკითხის დარეგულირება და, ალბათ, საერთოდ, ყველა საკითხის დარეგულირება, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იხილებოდეს აღნიშნული ასპექტების გათვალისწინებით. ...ამიტომ, აფხაზეთის საკითხის დარეგულირებისას ჩვენ, გვმართებს ჩამოვყალიბდეთ იმაში, რომ ეს არის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი...

...აფხაზებს არავინ არ ეკითხებოდა ამ ომის დაწყებას და, ბუნებრივია, არავინ არც კითხავს მის დამთავრებას. ამიტომ, ამ შემთხვევაში ის გლობალური პოლიტიკური პროცესები, რომელიც მიმდინარეობს დღეს მოსფლიოში, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ჩვენს მიერ განხილული სხვაგვარად, აფხაზეთის გარეშე, რადგანაც აფხაზეთის საკითხი მიბმული არის ზუსტად ამ პროცესებზე და ის დაპირისპირება, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობს, ზუსტად გამოიხატება იმ ბერკეტში, რომელსაც მე განვიხილავ, როგორც ბერკეტს საქართველოზე ზეწოლისთვის, რომელსაც რუსეთი იყენებდა... ამიტომ, არის რიგი საკითხები, რომელიც, ჩვენ გვაძლევს უფლებამოსილებას იმისა, რომ ჩვენ აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტისას ჩავერთოთ ზუსტად იმ ანტიტერორისტულ კამპანიაში, რომელიც დღეს, პრაქტიკულად, არის წამოწყებული მთელ მსოფლიოში.

მაგრამ, გარდა ამისა, არის საკითხები, რომლებიც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ საქართველოს პარლამენტმა. მინდა გაგახსენოთ პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილება. ...დადგენილება იყო ძალიან კარგი,.... მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე, პრაქტიკულად ყველაფერი დარჩა ქაღალდზე, არ შესრულებულა. ამიტომ მე ნამდვილად მინდა, რომ დღევანდელი ჩვენი განხილვა და მიღებული დადგენილება არ იყოს ისევ ფარატინა ქაღალდად, მაპატიეთ ამ გამოთქმაზე, და არ დაემსგავსოს ჩვენი განხილვა ისევ და ისევ ორთქლის გამოშვებას. ამიტომაც პირველ დღეს, როდესაც შეიკრიბა პარლამენტი და დაიწყო მსჯელობა აფხაზეთის

საკითხებისადმი, ჩემი რეაქცია იყო, რა თქმა უნდა, ცოტა ისეთი, პროტესტის ხასიათის, რადგანაც რიგი საკითხები, რომელიც მე მინდოდა მენახა და მინდოდა, რომ ჩვენ გვემსჯელა ამ საკითხების ირგვლივ, სამწუხაროდ, არ იქნა მოწოდებული ისე, როგორც ამას მოითხოვდა შექმნილი ვითარება.

...მე აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ამ ორი დღის განმავლობაში გვქონდა ძალიან სერიოზული მუშაობა ჩვენი ჯგუფებით ქალბატონ ნინოსთან და მე მას პირადად მინდა ვუთხრა მადლობა, რადგანაც თითქმის ყველა ის მომენტი, რომელიც ჩვენ დავაყენეთ, იქნა გათვალისწინებული და დღეს არის ასახული დადგენილების პროექტში. ანუ, კერძოდ, მე გადავალ პირდაპირ ამ დადგენილების პროექტზე, სადაც მინდა შევეხო რამოდენიმე მთავარ საკითხს.

პირველი საკითხი ეს არის აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხი. ...მიმაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში უნდა ძალიან მკვეთრად განისაზღვროს აფხაზეთის სტატუსი. ...საქართველოს კონსტიტუციაში იყოს ჩანაწერი, რომ აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ანუ აფხაზეთი არის ავტონომიური რესპუბლიკა. პრინციპში, ჩვენ ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ აჭარასთან დაკავშირებით. ეს იყო სწორი გადაწყვეტილება. ...ავტონომიური რესპუბლიკების პოლიტიკური სტატუსი უნდა იყოს განსაზღვრული ერთნაირად. მაშინ ჩვენ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებით, მაგრამ ჩამოვყალიბდით იმაში, რომ ერთ თვეში ჩვენ დავუბრუნდებოდით ამ საკითხს და მივიღებდით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჩანაწერს საქართველოს კონსტიტუციაში. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. გავიდა 1 თვე, გავიდა 6 თვე და გავიდა 1 წელიწადი და დღეს, სამწუხაროდ, არის სრული ვაკუუმი. ...სეპარატისტული რეჟიმი, ძალიან ხშირად საუბრობს იმაზე, რომ მას საქართველოსთან არავითარი კონსტიტუციური კავშირი არ გააჩნია. ამიტომ, ნებისმიერი ექსპერტი, რომელიც ჩამოვა საქართველოში და აიღებს საქართველოს კონსტიტუციას, იქ ის ვერ ამოიკითხავს იმას, რომ აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი, რომ აფხაზეთი არის ავტონომიური რესპუბლიკა, და მე მაშინებს ის საკითხი, რომ როდესაც დღეს გაეროს უშიშროების საბჭო, რომელიც წლების, ათეული წლების განმავლობაში არ საუბრობდა პალესტინის სახელმწიფოებრიობაზე, მან მიიღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ პალესტინა ერთ დღეს გამოაცხადა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მე მაშინებს ის მოვლენები, რომელიც ყოფილ იუგოსლავიაში განვითარდა. ...ჩვენ თვითონ ხომ არ ვუწყობთ ხელს იმას, რომ რაღაც გადაწყვეტილება იქნას მიღებული ისეთი, რომელიც მერე ჩვენთვის იქნება გამოუსწორებელი. ...გვაქვს უამრავი მწარე გამოცდილება იმისა, თუ როგორ ვიყავით ჩვენ მოტყუებული არაერთხელ, რომლის შედეგადაც ჩვენ მივიღეთ აფხაზეთის დაკარგვა და, პრაქტიკულად, არავის და არც ერთ ორგანიზაციას ამაზე არავითარი პასუხისმგებლობა არ აუღია. ამიტომ მე

ვითხოვ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, რომ საქართველოს კონსტიტუციაში აღმოჩნდეს ასეთი ჩანაწერი.

ჩვენ გვქონდა საუბარი ჩემს კოლეგებთან და ბევრი ასაბუთებს იმას, სხვათა შორის, ეს არის პოზიცია საგარეო საქმეთა სამინისტროსი, განსაკთრებულ საქმეთა სამინისტროსი, სხვა რიგი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისა იმის თაობაზე, რომ ჩვენ არ შევუშალოთ ხელი იმ პროცესს, რაც მიდის გაეროსთან დაკავშირებით, რომელიც ამუშავებს უფლებამოსილების გამიჯვნის დოკუმენტს, ამ შემთხვევაში, თბილისსა და სოხუმს შორის. ...ჩვენ ვითხოვთ არა რაღაც ახალი სტატუსის ჩაწერას, არამედ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ძველი სტატუსკვოს აღდგენას. ...ამიტომ, ამ შემთხვევაში, ამ სტატუსის განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მეორე საკითხი, რომელსაც მე არ შემიძლია გვერდი ავუარო, ეს არის თვითონ დოკუმენტი, რომელსაც ამუშავებს გაერო. ამ დოკუმენტს გაერო ამუშავებს უკვე ორი წელიწადია. სამწუხაროდ, მე ვერ ვნახე ვერც ერთი ადამიანი, რომელსაც ეთქვა, რომ ეს დოკუმენტი მან ნახა . მე ვიცი ჩემი ინფორმაციით, რომ ასეთი დოკუმენტი საქართველოში არსებობს, კერძოდ, ის არის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ის არის კიდევ რამდენიმე სხვა უწყებაში, მაგრამ ამ დოკუმენტს ჩვენ არ გვაცნობენ. მე ვაკეთებ დასკვნას, რომ თუკი თამაზ ნადარეიშვილს არ აცნობენ ამ დოკუმენტს, ეს დოკუმენტი არის ცუდი. წინააღმდეგ შემთხვევაში მე ამ დოკუმენტს გამაცნობდნენ და, ბუნებრივია, არც მე მექნებოდა პრეტენზია ამ დოკუმენტისადმი. ჩვენი მონაცემებით იმ უფლებამოსილების გამიჯვნაში და სტატუსში არის ჩაწერილი ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელი ფორმულირება, რომელიც გამოიხატება შემდეგნაირად: აფხაზეთი არის სუვერენული სახელმწიფო წარმონაქმნი საქართველოს შემადგენლობაში. თვითონ სიტყვა „სუვერენული“ ბევრს ნიშნავს და ამაზე საუბარიც ზედმეტია და სახელმწიფო წარმონაქმნი, სუვვერენული სახელმწიფო წარმონაქმნი სხვა სახელმწიფოში ჩემთვის ცოტა გაუგებარი არის და მე ვშიშობ, რომ ეს დოკუმენტი არა მარტო აფხაზებისთვის, ის მიუღებელი იქნება ჩვენთვისაც.

საკითხი, რომელიც შეეხება სამშვიდობო ძალებს. აქაც მე მინდა გითხრათ, რომ დადგენილების პროექტში არის შეტანილი ეს პუნქტი, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებას. ძალიან სასიამოვნოა, რომ საქართველოს პარლამენტი არ იცვლის თავის პოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული ზეწოლა იყო პარლამენტზე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგანაც და მე მგონია, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან პრინციპული და აუცილებლად, როგორც არის მოცემული პროექტში, საქართველოს პარლამენტმა კიდევ ერთხელ მხარი უნდა დაუჭიროს 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებას და კატეგორიულად მოითხოვოს სამშვიდობო ძალების გაყვანა ჩვენი ტერიტორიიდან.

...ასევე დადგენილებაში არის ასახული პრობლემა სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით. სამხედრო ბაზები იქიდან გაყვანილი არ არის. მე მინდა

გითხრათ, რომ იყო გათამაშებული უბრალო სპექტაკლი, როდესაც ჩვენ ტელევიზიით, რუსეთის მასმედიით, გვაჩვენეს, თუ როგორ დაიტვირთა ეშელონებზე ტექნიკა, როგორ იქნა ის გაყვანილი გუდაუთის სადგურიდან, მაგრამ ჩვენი მონაცემებით, 3-ჯერ მეტი ტექნიკა, უფრო ახალი ტექნიკა იქნა შემოყვანილი აფხაზეთის ტერიტორიაზე და განთავსებული იმ ბაზებზე. ამიტომ სანამ არ იქნება მონიტორინგი და სანამ არ იქნება, ასე ვთქვათ, სრული დოკუმენტი არა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსი, თუ თავდაცვის სამინისტროსი, არამედ იმ ქვეყნებისა, იმ საერთაშორისო ორგანიზაციაში, ამ შემთხვევაში არის ეუთო, რომელიც წარადგენს დოკუმენტს, რომ ბაზა არის დახურული და ჩვენ ჩვენი წყაროების მეშვეობით გვექნება ნამდვილად ინფორმაცია, რომ ბაზა დაიხურა, მანამდე, ჩვენ არ გვაქვს უფლება ასე ვუყუროთ, გაიყვანენ თუ არ გაიყვანენ. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ იქ მუშაობს ბომბორას აეროდრომი, სადაც ჯდებიან ძალიან დიდი თვითმფრინავები, რომელებსაც შემოაქვთ უამრავი ტექნიკა, სურსათი, სხვა პროდუქტები და მათ აქვთ უფლება ნებისმიერ დროს, ნებისმიერ წუთს 2 საათის განმავლობაში თავისი კონტიგენტი გაზარდონ ათასობით ადამიანით. ამიტომ გუდაუთაში არსებული სამხედრო ბაზა არის კიდევ ერთი დესტაბილიზაციის სერიოზული წყარო საერთოდ აფხაზეთის საკითხის დარეგულირებაში.

ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი საკითხი არის გენოციდი და ეთნიკური წმენდა. ბოლო პერიოდის განმავლობაში საერთოდ დავიწყებას მიეცა ეს საკითხი. არ ვიცი, შეიძლება შეგნებულად, შეიძლება - არა, მაგრამ მე მინდა გითხრათ, რომ ამის დაშვება კატეგორიულად არ შეიძლება. საქართველოს პროკურატურაში არის 200 ტომი გამოძიებული მასალებისა. მე გაცნობილი ვარ ამ მასალებს, თვითონ ვღებულობდი მონაწილეობას ამ მასალების შედგენაში და მინდა გითხრათ, რომ არც იუგოსლავიაში, არც სომალიში და არც ნებისმიერ სხვა ცხელ წერტილებში არ არსებობს ისეთ პროფესიონალურ დონეზე შესრულებული დოკუმენტები, როგორც არის აფხაზეთში ქართული მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩატარებული გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მასალები. ამიტომ, როდესაც გენერალური პროკურორი ამ ტრიბუნიდან აცხადებს, რომ აფხაზეთში დასტურდება გენოციდი და ეთნიკური წმენდა, ეს, უნდა იყოს საგანგაშო ყველა ჩვენთაგანისათვის, რადგანაც ეს არ არის ნადარეიშვილის განცხადება, ეს არის გენერალური პროკურორის განცხადება, რომელმაც დაადასტურა, რომ ნამდვილად ჰქონდა ადგილი ასეთ უბედურებას და ტრაგედიას.

ამიტომ, მე მიმაჩნია, რომ ის 200 ტომი, რომელიც დევს საქართველოს პროკურატურაში, ბოლოს და ბოლოს უნდა იყოს იქიდან ამოღებული, მას უნდა მიეცეს ფართო გზა. აქ არსებობენ საერთაშორისო ორგანიზაციები, არსებობენ საერთაშორისო სტრუქტურები, რომელთაც ევალებათ ამ საკითხების გადაწყვეტა, მაგრამ ისინი ამ საკითხს არ გადაწყვეტენ მანამ, სანამ არ იქნება ნება, უპირველეს ყოვლისა, თვითონ საქართველოს სახელმწიფოსი. ამიტომ ამ პროექტში არის ჩადებული და მე

მივესალმები, რომ საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ფაქტს. ...მე მქონდა აქ კონკრეტული ჩემი წინადადებები, რომ ჩაიწეროს, რომ 2 თვის ვადაში საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს ამ 200 ტომის გატანა საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ტრიბუნალისა და სასამართლოს შესაქმნელად. თუ ეს არ ჩაიწერება, ამაშიც მე ტრაგედიას არ ვხედავ იმიტომ, რომ მაინც ეს საკითხები აქ არის ჩამოყალიბებული...

...არსებობს ჰააგის სასამართლო, რომელიც, ბუნებრივია, ამ საკითხს არ განიხილავს, რადგანაც ის შექმნილი არის იუგოსლავიასთან დაკავშირებით და ჩვენ რომ შევქმნათ სასამართლო ან ტრიბუნალი, ამისათვის საჭირო არის, უპირველეს ყოვლისა, გაეროს გადაწყვეტილება, გაეროს მიერ ცნობა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის. ამიტომაც მე ვცდილობდი ამ წლების განმავლობაში და დღესაც ვცდილობ, რომ, უპირველეს ყოვლისა, გაერომ ცნოს აფხაზეთში ჩატარებული გენოციდი და ეთნიკური წმენდა. ჩემთვის ცოტა აღმაშფოთებელი არის ის, რომ როდესაც გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი აცხადებს, რომ ასეთ ფაქტებს ადგილი არ ჰქონდა, მე არ ვიცი, ალბათ, მე დამესიზმრა, როდესაც ჩვენ ხელთა გვაქვს ათასობით, ათი ათასობით დახოცილი ადამიანის სიები, სხვათა შორის, არა უბრალოდ სიები, არამედ თუ რა ვითარებაში იყვნენ მოკლულნი ეს ქართველები მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ქართველებად დაიბადნენ და მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი ლაპარაკობდნენ ქართულ ენაზე. ამიტომ არსებობს ამის მასალები და მე ვთხოვ პარლამენტს მხარდაჭერას იმასთან დაკავშირებით, უბრალოდ, იმ ადამიანების ხსოვნისადმი პატივსაცემად, რომ ჩვენ ეს საკითხი აუცილებლად გავიტანოთ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

კიდევ ერთი საკითხი,. ეს არის იმ გადაწყვეტილებების დეზავუირება, რომელიც ამ ბოლო წლების განმავლობაში მივიღეთ. ...მე აქ ვგულისხმობ კოდორთან დაკავშირებით დოკუმენტს, რომლითაც ჩვენ არ გვაქვს უფლება კოდორის ხეობაში გვყავდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები. ჩემთვის ეს არის აბსოლუტურად გაუგებარი.. ...კოდორის ხეობიდან ჯარების გაყვანა ჩვენ კოდორის ხეობას დაგვაკარგვინებს. ამიტომ არის გამოსავალი, რომ ჩვენ, უბრალოდ, მოვახდინოთ გაუქმება, დეზავუირება იმ დოკუმენტისა, რომელიც ამას გვავალდებულებს. ეს არის 1994 წლის 14 მაისის დოკუმენტი. არის მეორე დოკუმენტი - 1994 წლის 4 აპრილის დოკუმენტი, რომელშიც წერია, რომ აფხაზეთში დაბრუნების უფლება აქვს იმ პირებს, ვინც არ იბრძოდა აფხაზეთში და ამჟამად არ არის სამხედრო ფორმირებებში. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ აფხაზეთში ვაბრუნებთ მხოლოდ მოღალატეებს, მშიშრებს, ყველა მათ, ვინც იქიდან გამოიქცა, ქალებს და ბავშვებს. ხოლო იმ ადამიანებს, რომლებმაც აისხეს იარაღი და დაიცვეს თავისი სამშობლო, იმ ხალხს ეკრძალებათ იქ დაბრუნება. ეს ჩემთვის არის, აბსოლუტურად, გაუგებარი, მიუღებელი და მე გთხოვთ,

დამიჭიროთ მხარი იმაში, რომ ასეთი დოკუმენტი საერთოდ სამარცხვინოა და არ უნდა არსებობდეს.

2000 წლის 11 ივლისის დოკუმენტი აბსოლუტურად, ეწინააღმდეგება იმ ანტიტერორისტულ ოპერაციას, რომელსაც დღეს მსოფლიო ატარებს. იქ წერია, რომ იმ პიროვნებების მიართ, რომლებიც უწევენ პროპაგანდას ძალისმიერი მეთოდით აფხაზეთის დაბრუნებას, უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ეს ჩემთვის არის, აბსოლუტურად, გაუგებარი, რადგანაც კონსტიტუციაში გვიწერია, რომ ჩვენ გვაქვს უფლება აღვადგინოთ საქართველოს ტერიტორიული მფლიანობა ნებისმიერი გზით, ანუ, თვითონ ეს ხელშეკრულება უკვე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

...არის ქონების გასხვისების საკითხი. ესეც არის ცალკე დოკუმენტად შემოსული და, ბუნებრივია, ეს საკითხი ჩვენ გვაწუხებს, რადგანაც ჩვენ უფრო მეტ აქცენტს, ამ შემთხვევაში, ვაკეთებთ რუსეთზე, რომ რუსეთმა ეს შეისყიდა, რუსეთმა ეს წაიღო. მაგრამ, თურქეთის მხრიდან. თურქეთის მარტო 200 გემი, რომელიც შემოდის წელიწადში აფხაზეთში, რა გააქვს საქართველოდან, ამ შემთხვევაში აფხაზეთიდან, ალბათ, ყველასათვის ცნობილი არის. ...მე არ ვლაპარაკობ იმ კულტურულ და ისტორიულ ძეგლებზე, რომლებიდანაც იშლება ქართული წარწერები, ანუ ის ჩვენი ისტორია, რომელიც თარიღდება IV-V საუკუნეებით, თუ გნებავთ ლიხნის, თუ გნებავთ ბიჭვინთის, თუ გნებავთ ნებისმიერი სხვა ტაძარი. ამიტომ, ამ შემთხვევაში, არის შესული მიმართვა იუნესკოსადმი, რომ ეს საკითხები დადგეს დღის წესრიგში.

და ბოლო საკითხი. ეს არის ანტიტერორისტული ოპერაცია, რომელიც ტარდება დღეს მსოფლიოში. საერთოდ ანტიტერორისტულ ოპერაციაზე მსოფლიომ დაიწყო ლაპარაკი 11 სექტემბრის შემდეგ, იმ ტრაგედიის შემდეგ, რაც დატრიალდა აშშ-ში. მანამდე ეს იყო მაინც დაკავშირებული ჩეჩნეთთან, რუსეთის პოზიციიდან გამომდინარე. მაგრამ ჩვენ, საქართველო, ამ სენს შევეყარეთ უფრო ადრე და მე მინდა გაგახსენოთ ყველას 1990 წელი, როდესაც ქ.სოხუმში ჩატარდა ჩრდილოკავკასიური კონფედერაციის ყრილობა, სადაც ქ. სოხუმი გამოცხადდა კონფედერაციის დედაქალაქად, ანუ აქედან დაიწყო ტერორიზმის გავრცელება მსოფლიოში და მე დამეთანხმება ჩემი ზოგიერთი კოლეგა, რომელიც მაშინ იყო იქ, სოხუმში. ამ კონფედერაციის ყრილობაზე ღებულობდა მონაწილეობას იგივე ბასაევი, ჰატაბი და უამრავი სხვა ბოევიკი, რომელიც იბრძვის დღესაც ჩეჩნეთში და ამავე ყრილობაზე ღებულობდა მონაწილეობას ძალიან ბევრი უკვე ცნობილი ტერორისტი. მაშინ ჩვენ მათ არ ვიცნობდით, სირიიდან, იორდანიიდან, თურქეთიდან, არაბეთის სხვა ქვეყნებიდან, ალქაიდა, რომლებმაც, პრაქტიკულად, აფხაზეთი გახადეს ცენტრად აი ამ ტერორისტული ორგანიზაციისა. იქ, თქვენ იცით, გეგმა დამტკიცდა 1990-91 წლის ნოემბერში, სადაც პირდაპირ ჩაიწერა, რომ უნდა შეიქმნას ერთიანი ისლამური სახელმწიფო კონფედერციის სახით, რომელიც იქნება გაჭიმული კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე. პრაქტიკულად, პირველი ეტაპი იყო

აფხაზეთ-სოხუმი, შემდეგი ეტაპი იყო ჩეჩნეთი-დაღესტანი, მას უნდა მოჰყოლოდა შემდეგი ეტაპები, მაგრამ დღევანდელმა ვითარებამ ეს გეგმა შეაჩერა. ...ამიტომ, საქართველო უნდა იყოს შეყვანილი იმ ქვეყნების სიაში, რომელსაც გააჩნია ასეთი პრობლემა, რომელმაც უნდა ებრძოლოს ტერორიზმს და ეს მიმართულია საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. ამიტომ, ამ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ თვითონ ღმერთმა მოგვცა ჩვენ შესანიშნავი მიზეზი, როდესაც ბევრისთვის, რა თქმა უნდა, მიუღებელი არის ძალით აფხაზეთის დაბრუნების საკითხი. მაგრამ აქ არის ოპერაცია, რომელიც შეიძლება ჩატარდეს ტერორისტებთან ბრძოლის ეგიდით. იგულისხმება მშვიდობის დამყარების ოპერაცია, რასაც ვერც აშშ, ვერც რუსეთი წინააღმდეგობას ვერ გაუწევს იმიტომ, რომ, არსებობს უამრავი მასალა იმისა, რომ აფხაზეთი დღეს არის გადაქცეული არა მარტო ნარკობიზნესის და ნარკოვაჭრობის, არამედ ტერორიზმის ბუდედ, რომელთანაც საჭირო არის სერიოზული ბრძოლა.

ჰ.ჭიპაშვილი. - ფრაქცია " აღორძინება": ...გენოციდთან მიმართებაში, ამაზეც შეიძლება დავა, ვინაიდან ეხლა საერთაშორისო ორგანიზაციები ამას არ იზიარებენ, იზიარებენ ეთნიკურ წმენდას და ა.შ. და ა.შ. მაგრამ მე მინდა უპირველეს და უმნიშვნელოვანეს საკითხს შევეხო. ეს არის კონსტიტუციაში აფხაზეთის დაფიქსირება როგორც ავტონომიური რესპუბლიკა. მე ყოველთვის მიმაჩნდა და მიმაჩნია დღესაც, რომ ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა, როდესაც 1995 წელს კონსტიტუციაში არ იქნა დაფიქსირებული ავტონომიური ფორმირებები, არც აფხაზეთი და არც აჭარა. ...მე როგორც ვიცი იმ დოკუმენტს არც ერთი პარლამენტის წევრი არ იცნობს იმ დოკუმენტს, რომელიც ბოდენმა გააკეთა და რომელის მომზადებაშიც, თურმე, ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას. როგორც პეტრე ჩხეიძე ამბობს, თურმე ეს ჩვენი პროექტი ყოფილა, რომელიც შევთავაზეთ ბოდენს.

ზ. ქუცნაშვილი - ფრაქცია "სოციალისტი": მე ვეთანხმები ბატონი თამაზის ბევრ შეფასებას. ეს იყო მწარე სიმართლე, რომელიც მან გვითხრა უკვე მერამდენედ, თუმცა, ალბათ, ბატონი თამაზიც დამეთანხმება იმაში, რომ ეს დადგენილება შეიცავს ბევრ დადებით მომენტს. ...მე, როგორც აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის წევრი, რამდენიმე მომენტს გავუსვამდი ხაზს და შევეხებოდი სტატუსის საკითხს. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ ერთხელ კიდევ ვაფიქსირებთ, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები ჩართული უნდა იყვნენ მოლაპარაკების პროცესში, რომ ამ ხალხზე კარგი ექსპერტები ამ საქმეში ჩვენ, საქართველოს, არ გვეყოლება. ...ეს არ ნიშნავს, რომ მარტო ესენი უნდა იყვნენ ჩართულნი, მაგრამ ერთ-ერთი მხარე, ერთ-ერთი მონაწილე წევრები ყველა მოლაპარაკებისა, რომ უნდა იყოს ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები, მე ამაში ეჭვი არ მეპარება

...რაც შეეხება სტატუსის საკითხს, მე ვიყავი პირადად განსხვავებული მოსაზრების, რომ არ გვეჩქარა სტატუსის დაფიქსირება იმიტომ, რომ ეს არ იყო სტატუსი. ეს იყო, უბრალოდ, სახელწოდება შინაარსის გარეშე...

გ. შარაძე - ფრაქცია " მრეწველები": ...კოლეგებმა იციან, რომ მეც გახლდით იმ სამუშაო კომისიის წევრი, რომელმაც ბატონ ვახტანგ ყოლბაიას ხელმძღვანელობით მოამზადა დადგენილების პროექტი და კიდევ ორი დოკუმენტის პროექტი.

...გარდა ამისა, მე მინდა გამოვხატო ჩემი ზოგადი დამოკიდებულება ბატონი თამაზის იმ პრინციპული პოზიციებისადმი, რომელსაც ბევრი არ იზიარებს, სამწუხაროდ, არც აღმასრულებელ ხელისუფლებაში, არც პარლამენტში და გამოვხატო სრული მხარდაჭერა და მზადყოფნა, რომ მე მის გვერდით დავდგები იმ აუცილებელზე აუცილებელი დებულებებისა თუ პოზიციის განსამტკიცებლად. ჩვენი მხრიდან მხარდაჭერას ვგულისხმობ. კერძოდ, სტატუსთან დაკავშირებით. ....ბატონი თამაზის ეს პოზიცია ჩემთვის გაუგებრად რატომ ჭიანურდება პარლამენტში არ მესმის და მინდა სრული მზადყოფნა და მხარდაჭერა გამოვხატო მისი ამ პოზიციისადმი. ასევე, ეს ეხება იმავე ეგრთეწოდებული მშვიდობის- მოყვარე ძალებს და სხვა პოზიციებს, რომელიც მან დღეს ასე კარგად დაგვანახა. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი დადგენილება თუ ისეთი კარგია, როგორც ბატონმა თამაზმა დაგვანახა, დიდი მადლობა.

დ. გიორხელიძე -საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე: ... სტატუსის საკითხი არის ურთიერთშეთანხმებების საგანი და სანამ არსებობს ამ დონის ურთიერთკონფრიტაცია, აბსოლუტური უნდობლობა, შედეგი ვერ იქნება. ...საქართველო შექმნილ სიტუაციაში შეიძლება დააყენონ ფაქტის წინაშე, როდესაც იგივე გაეროს მიერ შემუშავებული სტატუსი შეიძლება იყოს გარკვეულად არაპირდაპირი, მაგრამ ფარული ულტიმატური ხასიათისა, როდესაც ქართული მხარე შეიძლება დათანხმდეს გაეროს მიერ გარკვეულ იმ ფორმით შემუშავებულ სტატუსს, რომელიც მთლიანობაში არ იყოს მისაღები ქართული მხარისათვის. ამიტომ იმის იმედად ყოფნა, რომ გაერო ან სხვა ვინმე საქართველოსა და აფხაზეთის მხარეების თანამშრომლობის გარეშე შეძლებს იმ მოდელის სტატუსის შემუშავებას, რომელიც ფორმალურად შეიძლება იყოს იდეალური, საქართველოს ხელისუფლება შეიძლება დაყენებული იქნეს სწორედ ისეთ მდგომარეობაში, როდესაც იგი იძულებული იქნება მიიღოს გარკვეული დათმობების ხარჯზე სტატუსი. მეორე საკითხი არის სამშვიდობო ჯარების გაყვანას საკითხი. აქ ორი მთავარი მომენტია, აქ ერთია. პირველი, სტამბულის სამიტის გადაწყვეტილებით უნდა გავიდეს გუდაუთის ბაზა და მეორე, პარლამენტის გადაწყვეტილება, რომლითაც სამშვიდობო ძალები გაყვანილი უნდა იქნეს. ...ჩვენი წინადადება გულისხმობს იმას, რომ სამშვიდობო ძალების გაყვანის შემდეგ აფხაზეთის

ტერიტორია გამოცხადებული იქნეს დემილიტარიზირებულ ზონად. ...ამან გარკვეულად აფხაზებსაც უნდა შეუქმნას გარანტია იმისა, რომ ჯარების გაყვანის შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას, რომ არ მოახდენს ძალისმიერ ქმედებებს და შეძლებს შეიარაღებული ნაწილების გაკონტროლებას, რაც იქნება საკმაოდ სერიოზული საფუძველი იმისა, რომ დაიწყოს ორმხრივი დიალოგი. საკმაოდ ცუდი აზრია და ძალზე საშიში შედეგების მტარებელი აზრია ის, ხომ შეიძლება დღევანდელ სამშვიდობო ძალებს შევუცვალოთ ჩვენ განლაგების პოზიციები და გაფართოვდეს მათ უფლებები. კერძოდ, საპოლიციო უფლებების მინიჭება მათთვის. მდ. ღალიძგაზე ამ ჯარის გადაყვანით, აფხაზეთს მოაკლდება მისი უმთავრესი ბეღელი ანუ მოაკლდება გალის რაიონი, რომელიც დღეს მისი ბიუჯეტის და მისი არსებობის ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენ ფაქტიურად ამ პრობლემას გადავდენით უკვე მთლიანად იმ რეგიონში, რომელიც ხელს შეუწყობს სწორედ ამ რეგიონის უფრო დიდ სეპარაციას, და შემდგომ უკვე ამ ჯარის მოხსნა იქიდან და გაყვანა დაკავშირებული იქნება კიდევ უფრო დიდ პრობლემებთან. ასევე არასასურველია იგივე გაეროს სამშვიდობო ჯარების ან ეუთოს შეიარაღებული ფორმირებების განლაგება იმიტომ, რომ გაეროს სამშვიდობო ნაწილები შემოდის ნებისმიერ ქვეყანაში არა ერთი და ორი კვირით, ან ერთი და ორი წლით. ეს არის ძალზე ხანგრძლივი პროცესი და ისინი თავისი შინაარსითა და დანიშნულებით ზუსტად იგივე ფუნქციას შეასრულებენ, რა ფუნქციაზეც დღეს რუსეთის შეიარაღებული ძალები ასრულებენ აფხაზეთში. კერძოდ, მათ მხოლოდ მესაზღვრის ფუნქცია უნდა შეასრულონ. მართალია, ისინი აღკვეთენ კონტრაბანდას, მინიმუმამდე დაიყვანენ, რომ ჩვენი ტერიტორიიდან რაღაც პროვოკაციული ქმედებები განხორციელდეს, მაგრამ საბოლო ჯამში კიდევ ათწლეულით გადაწევა ამ პრობლემის მოგვარებისა ქართული მხარისთვის აბსოლუტურად მიუღებელი იქნება. ამიტომ მილიტარულ ჩანაცვლებაზე საუბარი სასურველი არ არის. გაცილებით უფრო სასურველია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თავის თავზე აიღოს უფრო გაბედული, თამამი გადაწყვეტილება, რომ ის თვითონ იქნება პასუხისმგებელი იმისა, რომ საქართველოს მხრიდან აფხაზებს რაიმე ემუქრებოდე. ...ალტერნატივები არსებობს. მე არ ვფიქრობ. რომ საქართველო თავის დღევანდელ მდგომარეობაში რაიმე საომარი მოქმედებებისათვის იყოს მზად. ...ამის გამკეთებელი 8 წელი არ ვიყავით და ის, რომ საქართველო თავისი დღევანდელი ეკონომიკური, სამხედრო და ა.შ. პროტენციალით შეძლებს იქ რაიმე სერიოზული საომარი მოქმედებების განხორციელებას, ილუზიაა.

...არჩევანი და რომ იტყვიან პასუხისმგებლობა, დღეს ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებზე გადადის და თუ ეს ადამიანები ღრმად ჩაუკვირდებიან პრობლემას, მით უკეთესი და მათ უფრო შეცვლილი საერთაშორისო მდგომარეობის გამო არის შესანიშნავი შანსი, რომ შეთანხმებულად. მეგობარ ქვეყნებთან და იგივე. თუ გნებავთ, რუსეთთან უფრო კონსტრუქციული

დიალოგის შემდეგ შესაძლებელი გახდეს იმ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც წაადგება საქართველოსაც და მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, წაადგება აფხაზ ხალხსაც.

გ. ბარამიძე - საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე: ... რუსეთმა ამ ბოლო დროს საქართველოს ნების საწინააღმდეგოდ შემოიღო უვიზო რეჟიმი იმ დროს, როდესაც საქართველოს ხელისუფლება არ აკონტროლებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ტერიტორიებს. რუსეთის სამხედროების მიერ არის დაკავებული ეს ტერიტორიები და პოლიტიკური რეჟიმებიც თავიდან ბოლომდე რუსეთის მიერ იმართება. ჩვენმა პარლამენტმა უნდა დააფიქსიროს ის, რაც ფაქტიურად უკვე დააფიქსირა ევროპის პარლამენტმა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა. ანუ დააფიქსიროს ამ ტერიტორიების რუსეთის მიერ ანექსიის ფაქტი. აქ მე მგონი, არც ომის გამოცხადებაზეა საუბარი არც სხვა რაღაც ისეთ ნაბიჯებზე, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს...

...საქართველოს ხელისუფლებამ გადამჭრელი ზომები უნდა გადადგას ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების რეალურად ახალ დონეზე ასაყვანად...

...საქართველო რუსეთისათვის საფრთხე ვერც სამხედრო თვალსაზრისით, ვერც ეკონომიკური თუ სხვა თვალსაზრისით ვერასდროს ვერ გახდება. ერთადერთი სურვილი ეს არის, რომ ჩვენ თვითონ მივხედოთ ჩვენს პრობლემებს, ჩავეტიოთ ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში. ვიყოთ სუვერენული სახელმწიფო და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე სუვერენულად განვახორციელოთ ჩვენი ხელისუფლება. ეს რუსეთმა ძალიან კარგად იცის და არ უნდა რომ დაკარგოს ამ რეგიონებზე ის ზეგავლენა, რა ზეგავლენაც აქამდე ჰქონდა საბჭოთა პერიოდში და ამ ბოლო 10-12 წლის განმავლობაში .

...ამ პროცესთან დაკავშირებით ჩვენ უნდა ვეცადოთ ვიყოთ ერთიანი, გამოვხატოთ ჩვენი ერთიანო პოზიცია, ერთიანი მხარდაჭერა ამ პოლიტიკისადმი, და შევეცადოთ ამ სიკეთეების გონივრულად გამოყენება. ...საქართველოს პარალმენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა შეიმუშავეს მიმართვის ტექსტი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს - დუმის მიმართ, რომ... მივიდეთ რაღაც საერთო ნიშნულამდე, შევძლოთ კომპრომისების გზით ვიაროთ და ვიმოქმედოთ ორი ქვეყნის სახელმწიფოთა და ხალხთა ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთსა და საქართველოს სინამდვილეში აქვს ბევრად უფრო მეტი საერთო, ვიდრე გასაყოფი. მაგრამ ამავე დროს, იგივე ამ განცხადებაში მითითებულია იმ სავალალო პრობლემების თაობაზე, რომელიც სამწუხაროდ არსებობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში გამომდინარე, რუსეთის საქართველოს მიმართ განხორციელებული პერმანენტული აგრესიიდან მე ვფიქრობ, რომ ეს აგრესია აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს ამ ჩვენი რეზოლუციის პროექტში იმიტომ, რომ ეს არის ფაქტი, ეს არის სიმართლე, და დღეს ამ სიმართლეს

ჩვენ ვერსად ვერ გავექცევით. ადრე თუ გვიან, ამის დაფიქსირება მაინც მოგვიწევს და სჯობია, რომ ეს გავაკეთოთ დღეს.

ჯ. გამახარია. ფრაქცია "ფრაქცია XXI საუკუნე" ...სამი დღეა განვიხილავთ აფხაზეთის პროებლემას. იგი იმდენად რთული და მრავალწახნაგოვანი პრობლემა გახლავთ, რომ მართლა საჭიროებდა ასეთ ხანგრძლივ განხილვას და საჭირო იყო წამოწევა ყველა იმ პრობლემისა, რომელიც ასე თუ ისე დაფიქსირებული არის აქ წარმოდგენილი დადგენილებების პროექტებში. მე პირადად ვიყავი იმ ჯგუფის წევრი, რომელიც მუშობდა ამ დოკუმენტებზე, ამიტომ წინასწარ მინდა გავაცხადო, რომ მთლიანად ვეთანხმები ყოველივე იმას, რაც აქ არის ჩაწერილი. ...მე შემიძლია თამამად ვთქვა, დოკუმენტი კარგია. რამდენად შესრულდება ის და რამდენად შესწევს უნარი ჩვენს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ყოველივე ეს სისრულეში მოიყვანოს, ეს არის სულ სხვა საკითხი. მაგრამ დადგენილება კარგია და მისი მიღება ერთი პატარა აგურის დადებაა ამ პრობლემების მოგვარების გზაზე. სამწუხაროდ ჩვენი პარლამენტი ძალიან პასიურობდა ადრე ამ პრობლემებთან მიმართებაში.. ...დაწყებული 1996 წლიდან, როდესაც იყო მიღებული აი ეს ცნობილი დადგენილება. ამ განხილამ დაადასტურა, რომ პერიოდულად მაინც ჩვენ აუცილებლად უნდა განვიხილოთ აფხაზეთის პრობლემა, თუნდაც მიღებული დადგენილებების შესრულების მიმდინარეობა.....

...პრობლემა იმდენად რთულია და იმდენად ძნელი გადასაწყვეტია, რომ მე არავითარი ილუზიები არ გამაჩნია იმასთან მიმართებაში. რომ აი ამ დოკუმენტების მიღებით ეს პრობლემა გადაწყდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ პერსიმისტურად ვართ განწყობილი და არა ვართ დარწმუნებული, რომ სამომავლოდ ეს პრობლემა არ გადაწყდება. პირიქით, ღრმადაც ვარ დარწმუნებული, მიუხედავად იმ სირთულეებისა, იმ სიძნელეებისა, აფხაზეთის პრობლემა არის მოგვარებადი. მე მინდა ჩემს კოლეგებს ზოგიერთი ისტორიული ფაქტი შევახსენო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა აფხაზეთთან მიმართებაში, სხვათა შორის, აფხაზეთი დღეს რომ არის ვითომ დამოუკიდებელი, ფორმალურად დამოუკიდებელი, ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ, ეს იყო მე-19 საუკუნეშიც, ეს იყო მეოცე საუკუნის 30-იან წლებში გარკვეული ფორმით და აფხაზეთს რუსეთი ყოველთვის იყენებდა კავკასიის დასაპყრობად, კავკასიის ხალხების წინააღმდეგ, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის ისე ამიერკავკასიის. ...ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, როდესაც რუსეთმა პირველად დაიწყო დაპყრობითი ომები კავკასიის წინააღმდეგ და გააუქმა ყველა სამთავრო, ყველა სამეფო, რომელიც კავკასიაში არსებობდა. 1864 წლამდე ხელუხლებლად არსებობდა აფხაზეთის ეგრეთწოდებული ავტონომია, მაგრამ როგორც კი რუსეთმა დაამთავრა კავკასიური ომი მაშინვე გააუქმა ეს ავტონომია. ამით რუსეთმა მოახერხა ამიერკავკასიაში, ჩრდილოეთ კავკასიაში პოზიციების გაძლიერება. როგორც კი რუსეთმა ამ მიზანს მიაღწია, მაშინვე გაუქმდა ის ავტონომია და იმ 30-იან, 40-იან წლებში ძალიან მძიმე პრობლემები შეექმნათ

აფხაზებს იმ ეგრეთწოდებული დამოუკიდებლობის გამო, რომელიც მათ ვითომ ჰქონდათ. მაშინ ყაზახეთი რომ ყაზახეთია, იყო ავტონომიური ოლქი, ხოლო აფხაზეთი იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რისთვის სჭირდებოდათ ეს რუსებს, ძალიან კარგად არის ცნობილი, მაგრამ მე სულ სხვა კუთხით მინდა შევხედო ამ პრობლემას, მოგეხსენებათ, ახლა არ არის არც მე-19 საუკუნე და არც მე-20 საუკუნე, ამიტომ, რუსეთმა ამ 10 წლის განმავლობაში ვერ მიაღწია იმას რასაც მე-19 საუკუნეში მიაღწია, ვერ მიაღწია იმას რასაც მე-20 საუკუნის 20-იან წლებში მიაღწია და ვერც მიაღწევს. ...რუსეთი აფხაზეთის მეშვეობით თავის პრობლემებს კი არ გადაწყვეტს, ამიერკავკასიაში კი არ დამკვიდრდება, ჩრდილოეთ კავკასიაში კი არ განიმტკიცებს პოზიციებს, არამედ პირიქით. ფეხს ამოიკვეთავს სულ მალე ამიერკავკასიიდან და ეს პრობლემები რომელიც აქვს ჩრდილოეთ კავკასიაში 2-ჯერ და 5-ჯერ მეტი ექნება. ...რუსეთი კი არ აგვარებს აფხაზეთის პრობლემებს კავკასიაში მთლიანად, პირიქით, ამწვავებს.

...მე მინდა შევეხო დადგენილებას და დადგენილების ცალკეულ პუნქტებს. ჩვენ ამის დაფიქსირებას მოვითხოვთ და არაფერი დაშავდება თუ დადგენილებით ნაწილში, სადაც საუბარია იმაზე. რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალები ფაქტობრივად მესაზღვრეთა ფუნქციებს ასრულებენო, იქ სადმე ჩაემატოს, რომ ეს ფაქტიურად საოკუპაციო ძალებს წარმოადგენენ. ამით დოკუმენტი მე მგონი კიდევ უფრო გაუმჯობესდება და ეს გარკვეული ზეწოლა იქნება რუსეთის მიმართ. მხარი დაუჭირეს.

...რაც შეეხება დადგენილების მე-2 პუნქტს, მე-2 პუნქტში, იმ დოკუმენტების ჩამონათვალში რომელთა საფუძველზე ჩვენ ვადასტურება, რომ მოხდა ეთნიკური წმენდა და გენოციდი, აუცილებლად უნდა ჩაემატოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილებაც, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ არ გვითხრან, რომ 10 წლის შემდეგ გაგვახსენდა, რომ აფხაზეთში განხორციელდა ეთნოწმენდა და გენოცილი აქ უბრალოდ საუბარია დადასტურებაზე, თორემ ის იყო გაცილებით ადრე დადასტურებული თვით პარლამენტის მიერ, ამიტომ ამ დოკუმენტის ჩამონათვალზე ეუთოს გადაწყვეტილებებთან ერთად, გენერალური პროკურატურის მასალებთან ერთად ჩავუმატოთ პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილება.

...ჩვენი უცხოელი კოლეგებისათვის გაუგებარი იქნება და შეიძლება მიუღებელიც კი თუ ჩვენ დავიწყებთ ვაჭრობას იმაზე ე.ი. რა უფლებამოსილებით აღვჭურვოთ აფხაზეთი და როცა ჩვენ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ეს უფლებამოსილებები იყოს რაც შეიძლება ნაკლები, უცხოელები ჩვენ ამას ვერ გაგვიგებენ, მაგრამ თუ ჩვენ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ აფხაზეთში მოსახლეობა მთლიანად, განურჩევლად ეროვნებისა, იყოს აბსოლუტურად თანასწორუფლებიანი, ამას ჩვენ ყველა გაგვიგებს. ამ შემთხვევაში აი ეს ჩანაწერი, სუვერენული სამართლებრივი წარმონაქმნი, არავითარ საშიშროებას ჩვენთვის არ წარმოადგენს. ...ეს

ხელისუფლება რომელიც იქ არსებობს, არა მარტო დღეს, არამედ ადრეც, საბჭოთა პერიოდშიაც ეს იყო ეთნოკრატიული ხელისუფლება და სწორედ ეს ეთნოკრატიული რეჟიმი გახლავთ ერთადერთი მთავარი მიზეზი იქ არსებული კონფლიქტისა. ...ბოლო უნდა მოეღოს ეთნოკრატიული რეჟიმის არსებობას აფხაზეთში, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ...გასაგებია, რომ სტატუსი დგინდება ორმხრივი შეთანხმებით და ორმხრივი მოლაპარაკებით, მაგრამ სანამ შედგება ორმხრივი შეთანხმება მანამდე ძალაშია ის, რაც არსებობდა დღემდე და დღემდე არსებობდა და არსებობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ...ყველაფერი ამის ჩადება კონსტიტუციაში სავსებით შესაძლებელია, ამიტომ, მე გაჭიანურება გამართლებულად არ მიმაჩნი. ...შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოგვიცხადონ. შეიძლება იმავე დუმამ ისარგებლოს იმით, რომ ჩვენს კონსტიტუციაში არ არის ეს ჩანაწერი და ეს ტერიტორია გამოაცხადოს თავის შემადგენელ ნაწილად...

...დადგენილების იმ ნაწილში, სადაც საუბარია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების ექსპერტიზაზე რომელიც ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია, მე მაქვს კონკრეტული წინადადებები, კი ბატონო, ჩვენმა იურიდიულმა სამსახურებმა გააკეთონ ეს ექსპერტიზა, რამდენად არის შესაბამისობაში აი ეს შეთანხმება კონსტიტუციასთან, სხვა კანონებთან და გააკეთონ თავიანთი დასკვნები. ...ჩვენ პირდაპირ დღესვე შეგვიძლია მივმართოთ დუმას და დავაფიქსიროთ, რომ რუსეთი არ ასრულებს მის მიერ დსთ-ს ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს. რუსეთი აწვდის იარაღს აფხაზ სეპარატისტებს, ის მხარს არ უჭერს გაეროში ეთნოწმენდის და გენოციდის აღიარებას. რუსეთმა შემოიღო უვიზო რეჟიმი აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში. ...თუ ეს ასე გაგრძელდება ჩვენ უნდა გავაუქმოთ ყველა ის დოკუმენტი, და ცალმხრივად გამოვიდეთ აი იმ ვალდებულებებიდან და იმ შეთანხმებებიდან რომელიც არის დადებული 94 წელს.

...და კიდევ ერთი საკითხი. საუბარი არის აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ჩართვაზე აი იმ მოლაპარაკებაში რომელიც წარმოებს სეპარატისტებთან. ლეგიტიმურ ხელისუფლებას მონაწილეობა არ მიუღია ამ მოლაპარაკებებში, ამიტომ, ჩვენი წინადადება, ყოველთვის იყო, დიდი ხანია იყო და დღესაც დგას ეს საკითხი, ჩვენ ის არ მოგვიხსნია, თუნდაც იმ ლეგიტიმური ხელისუფლების წინაშე ჩვენ ეს არაერთხელ დაგვიყენებია. ლეგიტიმური ხელისუფლება ეს არის მთლიანად აფხაზეთის ხელისუფლება, მაგრამ დევნილებს უნდა ჰყავდეთ მათ მიერ არჩეული, გარკვეული წარმომადგენლობითი ორგანო დევნილების მიერ დევნილობაში არჩეული, რომელმაც უნდა გამართოს მოლაპარაკება სეპარატისტებთან ყველა საკითხზე და უპირველს ყოვლისა სტატუსის საკითხზე.

... ძალიან კარგი დოკუმენტია, რასაც ჩვენ დღეს მივიღებთ. მაგრამ მე გეკითხებით, ვინ არის ამის შემსრულებელი? აი ეს არის უმთავრესი პრობლემა. ეს ყველაფერი უნდა შეასრულოს იმ აღმასრულებელმა

ხელისუფლებამ რომელიც ჩვენ არ გყავს, რომელიც არის უსუსურზე უსუსური და რომელსაც დევნილი მოსახლეობა სავსებით სამართლიანად ადანაშაულებს იმაში, რომ მან შეგნებულად დათმო აფხაზეთი და ის შეგნებულად არაფერს არ გააკეთებს იმისათვის, რომ აფხაზეთის ტერიტორია დაიბრუნოს. ამიტომ, ჩვენ უპირველეს ყოვლისა ხელისუფლების საკითხი უნდა დავაყენოთ ...

გ. შუღაროვი - ... ამ დოკუმენტის მომზადებაში მეც მივიღე მონაწილეობა. ძალიან ბევრი პუნქტი, რომელიც ამ დადგენილებაში არის, თავის დროზე საგარეო კომიტეტის მიერ საკითხის განხილვის დროს იყო შეტანილი და ეხლა ეს პუნქტები გაცილებით უფრო გაძლიერებულია. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის პუნქტი, რომელიც სტატუსის საკითხს ეხება. აუცილებელია და ძალიან კარგი, რომ ეს პუნქტი შევიდა. მეორე საკითხი - მე მგონი მთავარი იქნება, მაინც შევთანხმდეთ იმ მექანიზმზე, რომელიც უზრუნველყოფს ამ დადგენილების შესრულებას. ...ძალიან ხშირად, ძალიან კარგი დადგენილებები მიიღება და მერე მისი შესრულება ვერ ხდება და ბოლოს, მე მგონი ისე, როგორც ჩვენ მოვუვლით სეპარატიზმს აფხაზეთში, ისე სხვა სეპარატიზმის გამოვლინების მომენტებს ჩვენს ქვეყანაში მოვუღებთ ბოლოს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ უნდა მოვერიოთ სეპარატიზმს აფხაზეთში. მაშინ ყველა სხვა რეგიონში საერთოდ ეს პრობლემა არასოდეს არ დადგება.

ა. აბრალავა -..... აფხაზეთის თემაზე პირადად მე საუბარს ყოველთვის ვერიდები იმიტომ, რომ ეს არის ღია ჭრილობა. აქ არის ძალიან ბევრი კითხვა, და ისეთ სიტუაციაში ვართ, რომ ამას ბევრი ლაპარაკი კი არ უნდა, ამას საქმის კეთება უნდა, მაგრამ სამწუხაროდ, როგორ გავაკეთოთ, ეს ვერ მოიძებნა და ვერ გამოინახა.

... საქმე იმაშია, რომ მე არაერთხელ მითქვამს აქ და ეს არ არის მარტო ჩემი პირადი აზრი. დღეს ყველა უკვე გვეთანხმება იმაში, რასაც ვამბობდით 10 წლის წინ. აფხაზეთი დაიკარგა რუსთაველის გამზირზე, სანამ აფხაზეთში შევიდოდით. აი მოტივი, რასაც ასახელებენ, რასაც მთავარსარდალი ასახელებს, თითქოს აფხაზეთში ჩვენ შევედით რკინიგზის დასაცავად. მე ყოველთვის მაქვს მარტივი შეკითხვა და ვითხოვ მარტივ პასუხს. საერთოდ არ არის რკინიგზა ჩხოროწყუში, წალენჯიხაში, მარტვილში, ვინ შევიდა იქ, რისთვის შევიდნენ. ... არ გვინდა ამაზე საუბარი დღეს. დღეს ჩვენ დავუბრუნდეთ იმას, როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთი. საფუძველთა საფუძველი მსჯელობის დაწყებისთვის არის მცდარი იმიტომ, რომ ჩვენს ტერიტორიას, რომელიც არის ოკუპირებულია, ვარქმევთ სამშვიდობო ზონას, დღეს წართმეულია არა მარტო აფხაზეთი, სამეგრელოს 14 კმ-იანი ზონას მთლიანად სამშვიდობო ზონა ჰქვია, სამშვიდობო ჯარი - საოკუპაციო ჯარს. ყველაფერს დავარქვათ თავისი ნამდვილი სახელი და მერე დავიწყოთ საუბარი, თორემ არ შეიძლება ადამიანს კბილი სტკიოდეს

და კუჭის ოპერაციას ვუკეთებდეთ. ეს არის აბსურდული სიტუაცია და ზოგი ასაღებს დიპლომატიად სისულელეს.

გ. კალანდია - ფრაქცია "აფხაზეთი": ... მინდა შემოგთავაზოთ შენიშვნები მე-6 და მე-7 მუხლებთან დაკავშირებით. კერძოდ, აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმისათვის რუსი სამხედროების მიერ მძიმე ტექნიკისა და შეაიარაღების გადაცემა არის საერთაშორისო ნორმების დარღვევა, საქართველოს საქმეებში უხეში ჩარევა და წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის პრინციპის უგულებელყოფას. მე-7 მუხლთან დაკავშირებით. აფხაზეთის მონაკვეთზე, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს და დაემატოს შემდეგი სიტყვები. და უნდა შეფასდეს, როგორც საქართველოს ტერიტორიის ანექსირების მცდელობა. ასეთი ფორმულირება პირდაპირ შეესაბამება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს განცხადებებს ამ საკითხთან დაკავშირებით და უბრალოდ ცოტა უხერხულია, ჩვენ რატომ გვერიდება იმისი. მე ვფიქრობ, რომ სხვა მუხლები უფრო მკაცრია, მაგრამ ვფიქრობ, რომ როდესაც ჩვენ ევროსაბჭოსა და ევროკავშირს ვაჩვენებთ, ამით უფრო განვიმტკიცებთ ჩვენს პოზიციას ამ დადგენილებასთან დაკავშირებით. აი ეს არის მთელი ჩვენი ფრაქციის თხოვნა.

გ. წერეთელი - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე: **...ძალიან ბევრი რამ ითქვა და მთლიანად დოკუმენტს, რა თქმა უნდა, შეიძლება დავეთანხმოთ. მეორე საკითხია მისი აღსრულებლის მექანიზმები. მე მაქვს კონკრეტული წინადადებები, მე-9 მუხლთან დაკავშირებით. ეს ეხება პრაქტიკულად აფხაზეთის სტატუსს, ანუ დასახელებას, რომელსაც ჩვენ, ესე ვთქვათ, სტატუსის ფორმას ვაძლევთ. მე ვთვლი, რომ ასეთი ფორმულირება, რომელიც დღეს მე-9 მუხლშია წარმოდგენილი, გარკვეულად, სერიოზულ ულტიმატუმს სვამს, აფხაზეთის სტატუსს ხდის რაღაც შემაშფოთებელ, საფრთხობელად, ისეთ მოვლენად, რომლისაც უნდა ეშინოდეს აფხაზებს. ამ სიტუაციაში, როცა ჩვენ ვსაუბრობთ იგივე კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე, პირდაპირ დიალოგზე აფხაზეთის მხარესთან და სხვა, ასეთ კონფრონტაციულ ტონს და ულტიმატუმს, შეიძლება ოდნავ სახე ვუცვალოთ. ...ჩვენთვის მომგებიანი იქნება, რომ გადაწყვეტილება მივიღოთ ამ შემთხვევაში ჩვენ. ანუ დავაფიქსიროთ, რომ საქართველოს ხელისუფლება განსაზღვრავს აფხაზეთის სტატუსს...**

საქართველოს პარლამენტის 2003 წლის
30 იანვარის სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერიდან

ი. მენაღარიშვილი- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი: **...**მოგეხსენებათ, რომ სამიტი ანუ დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭო,

უკრაინის წინადადებით არაფორმალურ ფორმატში გაიმართა გუშინ და გუშინწინ, 28 და 29 იანვარს ქალაქ კიევში.

მსგავსი სამიტების დროს გარდა ძირითადი სხდომისა ძირითადი დატვირთვა გადადის ორმხრივ შეხვედრებზე ქვეყნების, სახელმწიფოების მეთაურებისა, პრეზიდენტისა და აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ ჩვენთვის, საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ ასეთ შეხვედრებს. კერძოდ, ხაზგასმული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის შეხვედრას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან, რამდენადაც ის პრობლემატიკა, რომელიც აფხაზეთთან მიმართებაში უკანასკნელ პერიოდში ესოდენ გამწვავდა, პირდაპირ უკავშირდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას. ინიცირებული, განხორციელებული და წარმართული იყო რუსეთის მხარის წარმომადგენლების მიერ და თუ იმასაც დავუმატებთ, რომ უკვე დღის წესრიგში კარგა ხანია, დგას საკითხი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ოპერაციასთან მიმართებაში, რაც ფაქტიურად ნიშნავს რუსეთის სამხედრო კონტიგენტთან, სამშვიდობო კონტიგენტთან დამოკიდებულების გარკვევის აუცილებლობას. საუბარი ეხება არა მხოლოდ მანდატის გაგრძელება-არგაგრძელებას, არამედ იმ პირობებს, რა პირობებში შეიძლება, ვთქვათ, ეს საკითხი დაისვას ან დასმულიყო. ...მე არ შევჩერდები იმ რეკომენდაციებზე, რომელთა ძირითადი არსი და ძირითადი მომენტები შესაბამისი კომენტარებით ცნობილია ჩვენი საზოგადოებისთვის და რომელიც მიღებული იყო ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ რამოდენიმე დღით ადრე სამიტზე დელაგაციის გამგზავრებამდე.. თუმცა, ეს პოზიცია არ ეხებოდა მხოლოდ სამიტს და არ იყო დაკავშირებული მხოლოდ სამიტთან, იგი საერთო, ასე ვთქვათ, მიდგომას და სტრატეგიას აყალიბებს აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგებასთან დაკავშირებით მიმდინარე ეტაპზე.

...სამიტის პერიოდში, გაიმართა პრეზიდენტ შევარდნაძის რამოდენიმე შეხვედრა სხვადასხვა სახელმწიფოს მეთაურებთან. ....ყველა ამ შეხვედრაზე იყო საუბარი აფხაზეთის პრობლემაზე, რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე და მოვლენების შესაძლო განვითარებაზე .

ბატონ პუტინთან შეხვედრა გახლდათ ძირითადი მოვლენა, მოლაპარაკების ძირითადი ფორმატი. ...შეხვედრაზე საკმაოდ ფართოდ და საფუძვლიანად, დეტალებში იქნა განხილული თითქმის ყველა საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა და, რა თქმა უნდა, ყველა ის მწვავე თემა, რომელიც დღეს დღის წესრიგშია: ჩარჩო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების მიმდინარეობა, მოვლენების განვითარება ჩეჩნეთში, მდგომარეობა პანკისში. ...წამყვანი საკითხი, რა თქმა უნდა, აფხაზეთის თემა გახლდათ, რამდენადაც გარდა ამ თემის მნიშვნელობისა, მოგეხსენებათ, რამოდენიმე გამწვავებული საკითხი ითხოვს სასწრაფოდ მხარეების პოზიციების გარკვევას და გადაწყვეტილების მიღებას. საქართველოს მხრიდან ეს გახლდათ ის მოვლენები, რომელიც უკანასკნელ პერიოდში სერიოზული

აღელვების საფუძველი გახდა ჩვენი საზოგადოებისა. ეს არის რუსეთის ხელისუფლების სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლების მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე ისეთი ქმედებების განხორციელება, რაც სრულიად შეუთავსებელია რუსეთის, როგორც შუამავლის, სამშვიდობო პროცესის მონაწილის და რაც პრაქტიკულად უტოლდება რეალურად ტერიტორიის ათვისებას ანუ ფაქტიურ ანექსიას. კონკრეტულად საუბარი იყო სოჭი-სოხუმის რკინიგზის გახსნაზე, მოქალაქეობის მასიურად მიცემის პერსპექტივებზე და შესაძლებლობებზე აფხაზეთში მცხოვრებთათვის, დისკრიმინაციულ სავიზო რეჟიმზე, რუსეთის ოფიციალური პირების გახშირებულ ვიზიტებზე აფხაზეთში საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმების და შესაბამისი სახელმწიფოებრივი პროცედურების გარეშე, გუდაუთის სამხედრო ბაზის დე-ფაქტო სტატუსისა და მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ და ა.შ. რუსეთის მხრიდან საკმაოდ მწვავედ ასევე დასმული იქნა საკითხი სამშვიდობო კონტიგენტისათვის მანდატის გაგრძელების აუცილებლობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც განაცხადა პრეზიდენტმა პუტინმა რუსეთი მზად არის შეწყვიტოს სამშვიდობო ოპერაცია ანუ მისი მონაწილეობა დსთ-ს სამშვიდობო ოპერაციაში და გაიყვანოს სამშვიდობოები, ეს კონტიგენტი. მან ეს შემდგომ დაადასტურა რამოდენიმეჯერ, მათ შორის, პრესასთან განცხადების სახითაც. საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხაზგასმით დაფიქსირდა ის პოზიცია, რომელიც საყოველთაოდ არის ცნობილი და ასახული იყო სწორედ უშიშროების საბჭოს ცნობილ რეკომენდაციებში, რომ საქართველო ვერ განიხილავს სამშვიდობო ოპერაციის გაგრძელების პერსპექტივასაც კი, თუ გადაუდებლად არ იქნება განხილული და გადაჭრილი ის ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები, რომელთა თაობაზეც მე მოგახსენეთ. კონკრეტულად საუბარი სოჭი-სოხუმის რკინიგზის მოძრაობის გადაუდებლად შეწყვეტის, აფხაზეთის მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებისა და პასპორტების გაცემის მასიური პრაქტიკის შეწყვეტის შესახებ და ასევე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გასული წლის სამიტის გადაწყვეტილების შესრულების შესახებ მანდატში შესაბამისი ცვლილებების შეტანის, მისი გაფართოების, ფუნქციების და ყველა შესაბამისი ცვლილებების თაობაზე. საუბარი ამ საკითხებზე იყო სრულიად გულღია, საკმაოდ პრინციპული და მიუხედავად იმ რეალური ზეწოლის მცდელობისა, საქართველოს პოზიცია დარჩა ბოლომდე შეუვალი. ბატონი პუტინის განცხადებით იგი ბოლომდე არ გახლდათ ინფორმირებული ამ მოვლენების თაობაზე, უფრო მეტიც, იმ ინფორმაციით, რომელიც მას გააჩნდა, რუსეთის მხარის ნაბიჯებში არაფერი იყო, როგორც რუსეთის კანონების, ისე საერთაშორისო ნორმების დარღვევის მსგავსი, რომ ზოგიერთი ის ინფორმაცია, რომელიც მან საქართველოს პრეზიდენტისგან მიიღო, მისთვის სიახლეა და მოითხოვს გადამოწმებას. ...მე ხაზი მინდა გავუსვა ერთ მომენტს, რომელიც მართლაც მნიშვნელოვანი მომენტი გახლდათ, მიუხედავად მისი სიმარტივისა და იმისა, რომ ეს ფუნდემენტალური, ასე

ვთქვათ, ჭეშმარიტება გახლავთ. პირველად გაჟღერდა რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის მიერ, რომ ქართულ მხარესთან, საქართველოსთან ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე საქართველოს ტერიტორიაზე, -და აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია,რაიმე სატრანსპორტო მოძრაობის აღდგენა დაუშვებელია და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს მიაჩნია, რომ მრავალმხრივ ეკონომიკურად მომგებიანია რკინიგზის მუშაობის განახლება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, ეს სამუშაო უნდა იქნეს სინქრონიზებული, განხორციელდეს ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის პარალელურად. ყველა სხვა საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტ პუტინის პოზიცია საკმაოდ კონსტრუქციული გახლდათ და პრეზიდენტები შეთანხმდნენ: პირველი, მუდმივი კონტაქტისა და ინფორმაციის გაცვლის აუცილებლობაზე ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით ისე, როგორც შესაბამისი კომისიების, სამუშაო ჯგუფებისა და ერთობლივი სტრუქტურების შექმნისა და ამუშავების თაობაზე. ...საქმე ეხება პანკისის, რუსეთის სამხედრო ბაზების, ენერგეტიკის თემატიკას და სხვა საკითხებს, რომლებიც ასევე განხილულ იქნა. ასეთი გახლავთ ძალიან მოკლედ შედეგები პირისპირ შეხვედრისა ორი პრეზიდენტის. ამ თემას გაგრძელება ჰქონდა სამიტის პლენარულ სხდომაზე. მიუხედავად იმისა, რომ სამიტი არაოფიციალური გახლდათ, პრაქტიკულად მას მაინც ჩამოუყალიბდა დღის წესრიგი და გახდა აუცილებელი, განსაზღვრა იმ საკითხების ნუსხისა, რომელზეც სამიტი იმსჯელებდა. ...სხდომის გახსნისთანავე პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ დაყენებული იქნა საკითხი დღის წესრიგიდან ამ საკითხის ამოღების შესახებ. მან განაცხადა, რომ როგორიც არ უნდა გაიმართოს დღეს მსჯელობა ამ თემაზე, საქართველო რიგი მიზეზების გამო, რომელიც ცნობილია, ვერ გაუგრძელებს მანდატს სამშვიდობოებს და საერთოდ ვერ განიხილავს ამ საკითხს, მანამ სანამ ის საკითხები, რომელზედაც წინა დღით საუბარი შედგა პუტინთან, არ იქნება მოხსნილი დღის წესრიგიდან, ხოლო თუ ამ საკითხების გადაწყვეტა გაჭიანურდა, მაშინ შეიძლება საკითხი დაისვას სამშვიდობო ოპერაციის ყოფნა-არყოფნის შესახებაც. განხილვა განსაკუთრებული არ ყოფილა. ...ბატონი პუტინის რეაქცია გახლდათ ასეთი: მან აღნიშნა, რომ დიახაც, წინა დღით შედგა განხილვა, რომ ქართულ მხარეს აქვს საკითხები, რომელთაც სჭირდება განხილვა, ამიტომ დღეს ამ საკითხებზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, რომ რუსულ მხარეს, სჭირდება ამისათვის გარკვეული დრო, თუმცა, აქვე აღნიშნა, რომ ეს დრო შეზღუდულია, რომ რუსულ მხარეს არ შეუძლია ლეგალური სტატუსის გარეშე სამშვიდობოების მუდმივად შენახვა და მათი ყოფნის უზრუნველყოფა კონფლიქტის ზონაში, რომ მათ აქვთ თავიანთი შიდალეგალური, ასე ვთვქათ, სირთულეები და დააყენა საკითხი იმის .თაობაზე, რომ ორი კვირის ვადაში, როგორც ქართული, ისე რუსული მხარის ძალისხმევით ყველა ეს საკითხი, საკითხთა მთელი ეს წრე განხილულ და, შესაძლებლობის ფარგლებში გადაწვყეტილ იქნეს. ორივე საკითხი, როგორც მატარებლის მოძრაობის, ისე მოქალაქეობის მინიჭების პროცესის, ასევე სამშვიდობოების მანდატის

შემდგომი განვითარების ამოცანა მთლიანად არის დამოკიდებული რუსული მხარის მზაობაზე, გადადგას შესაბამისი ნაბიჯები. თუ ეს ნაბიჯები გადაიდგმება ისე, როგორც ეს პასუხობს საერთო ინტერესებს, ქართული მხარე აღნიშნულ საკითხს განიხილავს შესაბამისად. მანამდე, რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებას ამ საკითხის განხილვის არანაირი საფუძველი არ გააჩნია. პრაქტიკულად ამით ამოიწურა საკითხის განხილვა და მსჯელობა პლენარულ სხდომაზე, შემდგომი კომენტარები ამ თემაზე გაკეთდა პრეზიდენტ პუტინის პრეს-კონფერენციაზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეხლა გადაუდებლად არის საჭირო შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა რუსულ მხარესთან ერთად, რათა ის მტკივნეული საკითხები, რომელთა გამოც სიტუაცია ესოდენ დაძაბული და დრამატიზებულია, რაც შეიძლება სწრაფად იქნეს მოხსნილი. აქ უნდა იქნეს გამოყენებული ის ფორმატებიც, რომელთა ამუშავებაზე შედგა პრინციპული შეთანხმებები, როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, მოსკოვში საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტისას ჩვენი საპარლამენტო დელეგაციის მიერ განხორციელებული შეხვედრისას სტრასბურგში.

გ. ჯოჯუა - ფრაქცია "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის": ... სამშვიდობო ჯარებთან დაკავშირებით, რეალურად ვხედავთ, რომ ჩვენ აქაც წავაგეთ ისევ და ისევ ტაქტიკაში, სტრატეგიაში იმიტომ, რომ რეალურად სამშვიდობო ჯარების დარჩენა, ეს ზღვარი, რომ ისინი უნდა იყვნენ, ქართული მხარე ამას ეტყობა აღიარებს და ცდილობს კიდევაც რომ რაღაცნაირი ფორმით დატოვოს, მაგრამ ერთადერთ პირობას ვსვამთ მხოლოდ და მხოლოდ - პასპორტიზაციას და ვთქვათ იგივე, მატარებლის შემოსვლის. რეალურად გამოდის, რომ ჩვენ, თუკი მივაღწიეთ იმას, რომ შეწყდა პასპორტიზაცია და შეწყდა მატარებლის მიმოსვლა, დავუბრუნდებით ისევ იმ საწყის პოზიციას, რომელზეც ვიდექით და ნაბიჯსაც წინ ვერა ვდგამთ. რუსი პირიქით, ორ ნაბიჯს გადადგამს, ერთით უკან დაიხევს და შემდგომში მოგებული რჩება. რადგანაც აღმასრულებელი ხელისუფლება გარკვეულწილად არღვევს კონსტიტუციის 65- მუხლს, რატიფიცირების გარეშე გაგრძელებული ეს დოკუმენტი, აკანონებს სამშვიდობო ძალების ყოფნას ენგურზე და სამშვიდობოები ფაქტიურად მესაზღვრეებად იქცნენ. ამიტომ, რეალურად, ეს არის ოკუპირებული ტერიტორია, რომელსაც იცავს რუსი სამხედრო, უნდა შეიცვალოს ფორმატი, ვცადოთ, იქნებ მოვახერხოთ და სოხუმის სეპარატისტულ ხელისუფლებასა და ლეგიტიმურ ხელისუფლებას შორის ჩადგეს თბილისის მიერ ჩაყენებული ქართული ჯარები, რომლებიც დაიცავენ მშვიდობას, იქნებ ამაზე გვეფიქრა იმიტომ, რომ რეალურად სხვა გამოსავალი ნამდვილად არ ჩანს იმიტომ, რომ სხვაგვარად ჩვენ ვაგებთ სტრატეგიაში ყველაფერს...

ჯ. ეზუგბაია - ფრაქცია "ახალი აფხაზეთი-ქრისტიან-დემოკრატები": ...რუსეთის სამშვიდობო ძალებს 1994 წლის 15 ნოემბრიდან, როგორც

მანდატით იყო გათვალისწინებული, 15 მაისამდე ჰქონდათ ოპერაციის ჩატარების უფლება. აქ ჩაერთო, რომ თუ ორივე მხარე განაცხადს გააკეთებდა, ის გაგრძელდებოდა და სამშვიდობო ძალების ყოფნა ენგურზე გაგრძელდებოდა წლების განმავლობაში. სამშვიდობო ძალებს ყოველ 6 თვეში უგრძელდება მანდატი, ამის შემდეგ კი არაფერი არ ხდება. იყო შემთხვევა, როდესაც სამშვიდობო ძალებს ოთხი თვე არ ჰქონდათ გაგრძელებული მანდატი და მერე ისევ გაუგრძელდათ, ყველა დარწმუნებულია, რომ სამშვიდობო ძალების ყოფნა ენგურზე, ქმნის სასათბურო მდგომარეობას აფხაზეთის ანექსიისათვის. თანაც გვეუბნებიან, რომ თუ სამშვიდობო ძალები გავლენ, მაშინ იქ აუცილებლად მოხდება სისხლისღვრა და ვინ აგებს პასუხსო. მინდა შეგახსენოთ, რომ სანამ სამშვიდობო ძალები დადგებოდნენ იქ, საომარი მოქმედებების დამთავრებიდან 8 თვის განმავლობაში, იქ ჩვენ პირდაპირი შეხება გვქონდა აფხაზებთან და არავითარი სისხლისღვრა არ მომხდარა. სამშვიდობო ძალების შემოსვლა გალის რაიონის ქართულ მსოახლეობას 1555 კაცის სიცოცხლე დაუჯდა. ... 2001 წლის 11 ოქტომბერს, ჩვენ მივიღეთ დადგენილება, მიზანშეუწონილად იქნეს მიჩნეული დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების შემდგომი ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე. მეორე დადგენილებაც მივიღეთ ჩვენ, იგივე გავიმეორეთ და იქ ჩავწერეთ, საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს კონსტიტუციის 65-ე და მე-100 მუხლების თანახმად, უზრუნველყოს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საქართველროს სახელით დადებული სამხედრო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მიმართ საკონსტიტუციო პროცედურების შესრულება. მესამე დადგენილებაც მივიღეთ, 2002 წლის 26 აგვისტოს, სადაც პარლამენტი პირდაპირ აფიქსირებს კონსტიტუციის 48-ე მუხლს. საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემდგომი განსაზღვრის მიზნით, და მერე, პირველი მუხლის შემდეგ მოდის მე-2 პუნქტი, საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ საქართველოს პარლამენტის არაერთგზის მიღებული დაუყოვნებლივ შეუწყვიტოს მანდატი დსთ-ეს კოლექტიური სამშვიდობო ძალებს და მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა მათ უმოკლეს დროში დატოვონ საქართველოს ტერიტორია.

რ. ლორთქიფანიძე. ფრაქცია "ალიანსი ახალი საქართველოსათვის" :... ჩვენ, ალბათ, პირველ რიგში უნდა დავიწყოთ საუბარი თვითონ აფხაზი ეთნოსის გადარჩენაზე. დღეს ყველაზე რთულ მდგომარეობაში აფხაზეთში არის აფხაზი ერი ჩავარდნილი და ამ პირობებზეც, ალბათ, უნდა იყოს დაწყებული საუბარი. მე ვფიქრობ, რომ მისი დამცველებიც ჩვენ უნდა ვიყოთ ყველაზე მეტად, როცა ლაპარაკია, რომ 6 ათასზე მეტმა ქართველმა მიიღო რუსეთის მოქალაქეობა და წავიდა საქართველოდან, მე მგონი, აფხაზეთში აფხაზი საერთოდ მალე აღარ იქნება, როგორც ეთნოსი და მათი დამცველებიც, ალბათ, ჩვენ უნდა ვიყოთ.

ა. წოწონავა. ფრაქცია "ახალი აფხაზეთი-ქრისტიან დემოკრატები": ... 1996 წლის შემდეგ, როდესაც 17 აპრილს მივიღეთ დადგენილება აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით, რუსული მხარე თანმიმდევრულად აგრძელებს ზეწოლას საქართველოზე. ის დადგენილება რეალურად ვერ შესრულდა. რუსულმა მხარემ არ შეასრულა დსთ-ს ქვეყნების სამიტების გადაწყვეტილებები. შემდეგ იწყება დაბომბვები პანკისში, კოდორში, პასპორტიზაცია, პრტივატიზაცია და ეხლა რუსეთის მიერ ჩვენს მიმართ გრძელდება ცნობიერების პრივატიზაცია. ამიტომ დადგა თუ არა ბოლოს და ბოლოს დრო, რომ აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ორგანოებმა ერთობლივად გავარკვიოთ რუსეთთან ურთიერთობის საკითხი. რუსეთი ერთს ლაპარაკობს მეორეს ფიქრობს და მესამეს აკეთებს. რადგანაც რუსულმა მხარემ დუმაში უკვე რამდენჯერმე მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არავითარ საერთაშოისო ნორმებს, არავითარ კანონებს არ შეესებამება, რომ ჩვენ, ხელისუფლებას ჩვენი კონსტიტუციის დაცვით შეგვეძლოს ამ საკითხის გარშემო ერთიანი აზრის ჩამოყალიბება და ერთიანად გვეთქვა რუსეთისთვის, რომ აი ეს დიპლომატიური ნაბიჯები, რაც ქართულმა მხარემ გააკეთა, მაგრამ რეალურად ვერ მიგვიყვანა შედეგამდე და დღეს აი ასეთ მდგომარეობაში ვართ ჩვენ. სამშვიდობო ჯარის გაყვანის შესახებ საკითხის გადატანა ორი კვირით არის სუფთა წყლის ნაყვა. ვიცით, რომ რამდენჯერმე 3,4 თვე მათ უფლებამოსილება არ ჰქონდათ, გაერომ კი თავისი დამკვირვებლები მაინც დატოვა, ამის შემდეგ ჩვენც ვტოვებდით სამშვიდობოებს და ასე ხდება მუდამჟამ. თუ ჩვენ ჩვენი ქვეყნის კანონებს არ დავიცავთ, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების უფლებებს არ დავიცავთ, მაშინ აზრი არა აქვს სახელმწიფო ორგანოების არსებობას და ამ აღმასრულებელი ხელისუფლებისაც. ასე ჩვენ საფრთხის წინაშე ვაყენებთ ჩვენს სახელმწიფოებრიობას. არ გვთვლის რუსული მხარე ჩვენ სახელმწიფოდ...

ა. მარშანია. - ფრაქცია "ახალი აფხაზეთი-ქრისტიან დემოკრატები": გმადლობთ, ქალბატონო როზა, აფხაზების დასაცავი სიტყვით რომ გამობრძანდით. ქართველებმა უფრო უნდა დაიცვან აფხაზები საქართველოში, ვიდრე თავად აფხაზებმა, ცხადია. ალბათ, ასე უნდა იყოს. ...ჩვენ, ალბათ, უნდა გადავიდეთ ფიქრზე თუ რა უნდა გააკეთოს თავად პარლამენტმა, დროა, დიდი ხანია დროა. 10 წელია მე ვზივარ ამ პარლამენტში, ვუსმენ მე ამ დებატებს აფხაზეთის თაობაზე და სამწუხაროდ, ლომის წილი ჩვენი დროისა, ჩვენ დაგვიხარჯია და ეხლაც ვხარჯავთ ერთმანეთთან ქიშპობაში, გარჩევებში და ამაში მიდის დროის 80% სწორად გამიგეთ კოლეგებო. დღეს თქვენ იქნებით ოპოზიციაში, ხვალ სხვა ხალხი იქნება, მერე პირიქით იქნება, მე აბსოლუტურად შეგნებულად არა ვარ არც ერთი პარტიის წევრი, რომ როდესაც გამოვდივარ ჩემი სიტყვით და ტკივილით მაქსიმალურად თავისუფალი ვიყო იმისაგან, რომ არ დაგებადოთ თქვენ აზრი, რომ მე გამოვდივარ ასე როგროც ეს სჭირდება ამა თუ იმ პარტიას. მე გამოვდივარ მხოლოდ ისე, როგორც სჭირდება ჩემს

სახელმწიფოს, აი ასე გამიგეთ. ამიტომ გთხოვთ, კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ ,ერთი დღე მაინც, არ ვუთხრათ ერთმანეთს, რომ შენ ხარ პოზიცია, შენ - ოპოზიცია, უამრავი დრო მიდის ამაზე. არც მე მომწონს ის სტრატეგია და ტაქტიკა, რომელსაც მიმართავს ჩვენი ხელისუფლება და სახელმწიფო ამ ჩვენი უმწვავესი და უპირველესი ტრაგედიის და თემის გადასაწყვეტად. მაგრამ სად არის ჩვენი მობილიზაცია, რას თავაზობს პარლამენტი ხელისუფლებას. ჩვენი წარმომადგენელი უშიშროების საბჭოში არის ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, პარლამენტის თავმჯდომარე, ჩვენ აღვჭურვოთ ჩვენი წარმომადგენელი უშიშროების საბჭოში ჩვენი კონკრეტული წინადადებით. აი ეს გავაკეთოთ და მოგიწოდებთ სწრაფად გადავიდეთ ამ თემაზე. ... მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება რატომღაც კიევში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ საქართველოს მისცეს 2 კვირა მოსაფიქრებლად იმისათვის, რომ კარგად მოვიფიქროთ თუ რა გველის ჩვენ თუ ბოლოს და ბოლოს .

თუ გადავწყვეტთ და იმ, ე.წ. სამშვიდობო ჯარს, რომელიც დიდი ხანია მესაზღვრეების ფუნქციას ასრულებს, არ გავუგრძელებთ ვადას, ბატონ პუტინის სიტყვაც
"jgfcyj" კარგად უნდა გავიაზროთ და მე ვარ მოწმე იმ მოლაპარკებებისა, რომლებიც მოსკოვში ეხლა გაიმართა ჩვენს დელეგაციასა და დუმასა და ფედერაციის საბჭოს შორის. იქ ერთმნიშვნელოვნად გვეუბნებოდა ყველა, მთელი სპექტრი, არა მხოლოდ კომუნისტები, არა მხოლოდ მემარცხენეები, მთელი სპექტრი - ერთმნიშვნელოვნად გვეუბნებოდა, რომ იმ ჯარის იქედან გაყვანის შემთხვევაში, ჩვენ იქ მივიღებთ უამრავ პროვოკაციას, შესაძლებელია ჩვენ იქ მივიღოთ საომარი მოქმედებები. ეს ჩვენ კარგად უნდა გავიაზროთ. მე არ ვამბობ რომ იმ ჯარს მაინც გავუგრძელოთ მანდატი, რადგან ეს გველის. აი ეს მუქარა აღარ დამთავრდება უახლოესი 5 წელი, შეიძლება უფრო მეტიც. რა გავაკეთოთ ჩვენ ამ პირობებში? ვართ მზად ჩვენ, საქართველოს სახელმწიფო, რომ გავანეიტრალოთ ეს ფართო მასშტაბიანი შესაძლო კი არა, რეალური პროვოკაციები, რომლებიც ჩვენ გველოდება შეგვიძლია ამის განეიტრალება? პირველი პირობაა იმისა, რომ ეს არ მოხდეს არის მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციასთან, მაგრამ არ მოდის ეს ხალხი ჩვენთან მოლაპარაკებაზე ჯერჯერობით, რადგან ესეც იყო ერთმნიშვნელოვნად მოსკოვში ნათქვამი. ჩვენ აბსოლუტურად დაფარავად გვითხრეს, რომ საქართველოს სახელმწიფო უნდა დაუბრუნდეს რუსეთის ორბიტას. ეს არის ჩვენი დიდი მეზობლის რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი უმთავრესი და უპირველესი პირობა...

ი. მენაღარიშვილი - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი: ... უკრაინა მზად არის და მიიღებს მონაწილეობას სამშვიდობო ოპერაციაში მხოლოდ და მხოლოდ ეუთოს ან გაეროს მასშტაბით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებლობა რეალური არსებობს. თუკი გაერო შეძლებს მისი შემფასებელი მისიის შედეგების შესაბამისად საპოლიციო ელემენტის

დაფინანსებას სამშვიდობო ძალებში, აი, აქ, შეიძლება იქნას გამოყენებული წარმომადგენლები უკრაინისა და ამისთვის, ასე ვთქვათ, მზაობა არსებობს.

... ალბათ თქვენთვის კარგად, არის ცნობილი რუსეთის წარმომადგენლების, უკანასკნელი გახმაურებული ინიციატივა იმის შესახებ, რომ კონფლიქტის მოწესრიგება უნდა დაეფუძნოს ეკონომიკური განვითარების და ეკონომიკურ აღდგენის პირველ ნაბიჯებს, რომ საჭიროა ჯერ გაიხსნას რკინიგზა. ეს მოგვცემს გარკვეულ ეკონომიკურ დინამიკას, რაც შექმნის პოზიტიურ ფონს და ამის შემდგომ შეიძლება საუბრისთვის უკეთესი პირობები შეიქმნას ლტოლვილთა დაბრუნებისათვის და პოლიტიკური სტატუსის თაობაზე დიალოგისათვის, რაც ორი უპრინციპულესი მომენტია ქართველი მხარისათვის, თანაც ობიექტურად სრულიად მე ვფიქრობ, სინქრონიზირება სწორედ იმას ნიშნავდა, რომ პირველად უკანასკნელ წლებში რუსეთის პრეზიდენტის მიერ ასეთი თანმიმდევრობა შეცვლილია პრინციპში იმ მიდგომით რომელსაც ჩვენ ყოველთვის საპირისპიროდ ვითხოვდით, რომ საჭიროა დაიწყოს ლტოლვილთა დაბრუნება, ამისათვის შეიქმნას პირობები, მიღწეული იქნეს ყველა საჭირო შეთანხმება ლტოლვილთა ორგანიზებული დაბრუნება და პარალელურად ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ეკონომიკური აღდგენის რეაბილიტაციის პროგრამებზე, რკინიგზის ეტაპობრივად გახსნის ჩათვლით. ჩვენ ასე გვესმის ის ტერმინი და ამიტომ ვაძლევთ მას ამ მნიშვნელობას.

...გალში დაბრუნებასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, აქ ორი არჩევანია, ან დაველოდოთ ჩვენი იურისდიქციის სრულად აღდგენას აფხაზეთში და დაბრუნების პროცესი შემდგომ დავიწყოთ, რაც ალბათ არ იქნება მთლად კონსტრუქციული და ყველაზე უკეთესი მიდგომა, ან მეორე, ვეძებოთ, გამოსავალი ისეთი, რომელიც მოგცემს საშუალებას ჩვენი ლტოლვილების დაბრუნებისა და ამიტომაც ვაყენებთ ჩვენ საკითხს შესაბამისი პირობების შექმნის შესახებ მათი დაბრუნების ადგილებში. საქართველოს პოზიცია გახლდათ, ისიც ცნობილია ყველასათვის კარგა ხანია და ამაზე მე მგონი კონსენსუსი არსებობდა ჩვენს შორის, რომ ეს არის ჩვენი მცდელობა, ეს არის ჩვენი პოზიცია და პოლიტიკა. ეს არის საერთაშორისო ზედამხედველობის ქვეშ სათანადო სტრუქტურების შექმნა. სადაც რა თქმა უნდა, დროებითი გარდამავალი საბოლოო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებამდე მოქმედი, მაგრამ ის საერთაშორისო კონტიგენტი, რომელსაც შეუძლია დაიცვას უკან დაბრუნებული ლტოლვილები. უბრალოდ სხვა მოდელი ამ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია.

...ჩვენი მოთხოვნა ამდენად საფუძვლიანია, რომ არ დაიწყოს ეს პროცესი საერთოდ, მით უმეტეს, რომ ბატონმა პუტინმა ბრაძანა, რომ ჩვენ მოქალაქეობას, ასე პირდაპირ ყველას არ ვაპირებთ, მივცეთ, ჩვენ მხოლოდ განცხადებებს, ვაგროვებთ და მერე ინდივიდუალურად გვექნება ყველაზე განხილვა იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის კონფლიქტის ზონა, ხოლო რუსეთი არ არის უბრალოდ მეზობელი ქვეყნა ან რომელიმე ქვეყანა, ეს არის კონფლიქტის მოწესრიგებაში ჩართული სახელმწიფო, შესაბამისად, იქ

რომ გამონაკლისიც რომ დასჭირდეს რუსეთს, მას შეუძლია შეწყვიტოს ეს პროცესი. ისე, რომ ვთქვათ, არ ჰქონდეს ამას რაიმე შიდა ან საერთაშორისო სამართლებრივი გართულება, სრულიად რეალური გახლავთ.

...რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი არ გახლავთ კონფრონტაცია რუსეთთან და არ შეიძლება რუსეთთან ჩვენი კონფრონტაცია თვითმიზანი იყოს. რა თქმა უნდა, უცოდველნი არც ჩვენ ვართ, მაგრამ იმაში ალბათ დამერწმუნებით, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში უკანასკნელ წლებში სერიოზული რაიმე მიზეზი ჩვენ მათთვის არ მიგვიცია. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი უნდა იყოს კონსტრუქციული დაილოგი და ურთიერთობის ნორმალიზაცია ამასთან ერთად უდავოდ, აბსოლუტურად უნდა გამოირიცხოს რაიმე პრინციპული პოზიციის დათმობა.

...რა თქმა უნდა, იმ საკითხთა ჩამონათვალში, რომელიც აცილებლად უნდა იქნეს განხილული, იყო მანდატის გაფართოების საკითხი. მე სამი საკითხი დავასახელე იმ ორი საკითხის გარდა, რომელზეც ჩვენ გვაქვს დღეს საუბარი, ეს არის ისევ გასული წლის გაზაფხულზე დსთ-ის სამიტის მიერ მიღებული მიღებული გადაწყვეტილების შესრულება მანდატის ცვლილების თაობაზე. ჩვენ გვესმის, რომ აქ სირთულებია, მაგრამ უნდა ვხედავდეთ იმ სირთულეების დაძლევისათვის გარკვეულ ნაბიჯებს რუსული მხრიდან და არა ისეთ დიალოგს, რომელსაც დღემდე ჰქონდა ადგილი.

...ბოდენის გეგმა არ ეწინააღმდეგება არც დსთ-ს გადაწყვეტილებებს, მათ შორის, , შეზღუდვების თაობაზე, არ ეწინააღმდეგება საქართველოს არც ერთ საერთაშორისო ვალდებულებას და პირიქით, საერთაშორისო ძალისხმევის საკმაო, ინტენსიურობის პირობებში, ჩვენის აზრით, საკმაოდ ეფექტურად შეიძლება წარიმართოს პროცესი. ...მაგრამ სამუშაო არის ძალიან რთული და ძალიან ძნელი.

... სხვათაშორის, საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის ის გადაწყვეტილება შეიცავდა ერთ-ერთ საინტერესო მუხლს, რომ სამშვიდობოების მანდატის შეწყვეტის პარალელურად ხელისუფლებას უნდა მოეძებნა და უზრუნველეყო ალტერნატიული სტრუქტურის, ძალის მოზიდვა და ამ ძალით რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლება. სწორედ ამგვარი ალტერნატიული ძალის დღემდე არარსებობა და სირთულეები მათი მოძებნისა, არის ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ეს გადაწყვეტილებები დღემდე ვერ სრულდება. ვარღვევთ თუ არა ამ შემთხვევაში კანონს. ჩვენი და თქვენი იურისტების შეფასებით, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში კანონს არ ვარღვევთ, მაგრამ ამგვარი გადაწყვეტილების შეუსრულებლობა მაინც არ არის კარგი საქმე. ამაში გეთანხმებით. თუმცა, ალბათ, მისი განხორციელება გაჭირდება, მანამ, სანამ ის ალტერნატივა, რომელზეც მე ვსაუბრობ, არ იქცევა რეალობად.

ნ .ბურჯანაძე - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე: ...საქართველოს მოსახლეობა, საქართველოს პარლამენტი გამოხატავს ძალიან

ღრმა და სერიოზულ შეშფოთებას იმ ბოლოდროინდელი მოვლენების გამო, რომლებიც განვითარდა აფხაზეთთან დაკავშირებით.

ბუნებრივია, ჩვენს შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში არ არის არანაირი პროგრესი აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგების სფეროში. ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღწია რაიმე პოლიტიკური პროგრესისათვის, იმისათვისაც კი, რომ აფხაზეთის მხარეს მიეღო ე.წ. ბოდენის დოკუმენტი პოლიტიკური დარეგულირების პროცესის დასაწყებად. ვერ შევძელით დევნილების დაბრუნების პროცესის უზრუნველყოფა, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი გახლავთ დსთ-ს გადაწყვეტილებების რეალიზაციის თვალსაზრისით.

ბოლო ორი მოვლენა, რასაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთთან - საქართველოს განუყოფელი ნაწილთან მიმართებაში, მხედველობაში მაქვს აფხაზეთის მოქალაქეებისათვის, აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების პროცესი და რკინიგზის გახსნა საქართველოს ხელისუფლების სრული უგულებელყოფით საქართველოს ხელისუფლებამ, საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს მოსახლეობამ აღიქვა, როგორც აფხაზეთის, საქართველო ანექსიის მცდელობა. ჩვენი არაერთგზის პროტესტი, პრაქტიკულად, შეეჯახა იმ წინადადებებს, რომ რუსეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ არაფერი არ იცოდა რკინიგზის ამოქმედებასთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტის დელეგაციამ და შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ორმხრივი შეხვედრის დროს რადიკალურად დასვეს საკითხი, როგორც, ე.წ. პასპორტიზაციის პროცესის, ასევე სარკინიგზო მაგისტრალზე მოძრაობის დაუყონებლივ შეწყვეტასთან დაკავშირებით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები არის საქართველოს საქმეებში უხეში ჩარევა, ეს არის საქართველოს სუვერენიტეტის, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ნების უხეში უგულებელყოფა საერთაშორისო ნორმების, საერთაშორისო ხელშეკრულებების დსთ-ს ფარგლებში განხორციელებული ხელმოწერილი ხელშეკრულებების უხეში დარღვევა და სწორედ ამიტომ საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ აფიქსირებს თავის დამოკიდებულებას ამ საკითხებთან დაკავშირებით და კატეგორიულად მოითხოვს რუსეთის მხრიდან, რომ დაუყოვნებლივ აღიკვეთოს აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის კანონდარღვევით მასიური მინიჭება და სოჭსა და სოხუმს შორის უკანონოდ ამოქმედებული სარკინიგზო მოძრაობა.

ჩვენ იმედს გამოვთქამთ იმასთან დაკავშირებით, რომ ის ე.წ. სამუშაო ჯგუფები, რომლის შექმნასაც ჩვენ, საქართველოს პარლამენტის დელეგაციას, შეგვპირდნენ ხელისუფლების პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, როგორც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ასევე ფედერაციის საბჭოში, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროში ამოქმედდება. სასწრაფოდ იქნება განხილული საქართველოს პრეტენზიები. ბუნებრივია, ეს ყველაფერი დაეყრდნობა იმ ინფორმაციას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა

მიაწოდა რუსეთის პრეზიდენტს და ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ უახლოესი ხნის განმავლობაში რუსეთის ფედერაცია მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ერთადერთი გამოსავალი არის ამ პოლიტიკური კრიზისიდან და რომელიც შეეფერება საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებსა სტანდარტებს...

...თუ არ მოხერხდა ორმხრივი მოლაპარაკებების ფონზე აღნიშნული საკითხების მოგვარება, საქართველოს არ დარჩება არანაირი სხვა მექანიზმი და საშუალება თუ არა ის, რომ მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ეუთოს, საპარლამენტო ევროპის საბჭოს, მეგობარ სახელმწიფოებს, გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფს, იმ პრეტენზიებით, რომლებიც სავსებით დასაბუთებულად წარმოაჩინა საქართველოს მხარემ.

...ჩვენი სურვილი არის აღნიშნული პრობლემები და საკითხები გადაწყდეს რუსეთ-საქართველოს ორმხრივი მოლაპარაკების ჩარჩოებში და საქართველოს პარლამენტი ყველაფერს აკეთებს ამისათვის. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლებაც ყოველგვარ ზომებს მიიღებს იმისათვის, რომ ეს საკითხები მოგვარდეს ორმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე საქართველოს კანონიერი ინტერესების და საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით. მაგრამ თუ ეს არ მოხერხდა, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა ვალდებული იქნება მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციებს, მეგობარ სახელმწიფოებს, რათა აღიკვეთოს საქართველოს მიმართ უკანონო და საერთაშორისო სამართლის ნორმებით განხორციელებული ქმედებები.

...ვფიქრობ, ძალზედ მნიშვნელოვანი გახლავთ ის გარემოებაც, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მოსთხოვოს რუსეთის მხარეს, როგორც შუამავალს ე.წ. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, აიძულოს აფხაზური მხარე რა თქმა უნდა, მშვიდობიანი მექანიზმებით, წამოვიდეს პოლიტიკურ დათმობებზე, მიიღოს ე.წ. ბოდენის დოკუმენტი განსახილველად და განახლდეს პოლიტიკური დიალოგი. თუ რუსეთი არის მედიატორი და არის შუამავალი ამ კონფლიქტში, მან ეს როლი უნდა შეასრულოს. თუ რუსეთი ამ როლს ვერ ასრულებს, ბუნებრივია, ჩვენ არ გვრჩება სხვა მექანიზმები თუ არა რეკომენდაცია გავუწიოთ საქართველოს მთავრობას, რომ მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რათა მიმდინარე კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი გარდაიქმნას და მოვითხოვოთ მოვითხოვოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მანდატის შეცვლა და გაეროს წესდების მე-6 თავიდან გადავიდეთ მე-7 თავზე. აღნიშნული წინადადებები წარედგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს აფხაზური მხარის მიერ ე.წ. ბოდენის დოკუმენტის უარყოფის, სხვა დესტრუქციული ქმედებების გაგრძელებისა და, ასევე რუსეთის მხრიდან ჩვენი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევებში, რაც ეხება აფხაზეთში მცხოვრები მოქალაქეების პასპორტიზაციისა და სარკინიგზო მიმოსვლის შეჩერების საკითხებს.

გარდა ამ საკითხებისა, ვფიქრობ, რომ ჩვენ ძალიან სერიოზულად უნდა მივმართოთ საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ იქნას რადიკალური ღონისძიებები გატარებული იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლება, საქართველოს მთავრობა, თითოეული ჩვენთაგანი დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ ჩვენ არ აღმოვჩნდებით კვლავ უსუსურ მდგომარეობაში ერთი თვის, ორი თვის ან თუნდაც ექვსი თვის შემდეგ და ჩვენ გვექნება სრული გარანტია იმისა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთის სამშვიდობო ძალები დატოვებენ კონფლიქტის ზონას, ჩვენი სამართალდამცავები, ჩვენი შესაბამისი სტრუქტურები მოახერხებენ კონფლიქტის ზონაში ძალიან სერიოზული ნაბიჯების გადადგმას და ეს, სხვათა შორის, პარლამენტის მიერ წინა მიღებულ დადგენილებებში ჩვენ ერთმნიშვნელოვნად გვაქვს დავალებული აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის, რომ მათ უზრუნველყონ კონფლიქტის ზონაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნეისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

სამწუხაროდ, ფრაქციების აბსოლუტური უმრავლესობა გამოხატავს იმ აზრს, რომ დღეისათვის საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო ისეთი ვითარების შექმნა კონფლიქტის ზონაში, რომ ჩვენ დარწმუნებული ვიყოთ ამ ზონის უსაფრთხოების და სტაბილურობის საკითხებში. საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც ძალიან აქტიურად ითანამშრომლებს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან და უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში მასთან კონსულტაციების შედეგად ჩამოაყალიბებს კონკრეტულ სამოქმედო გეგმას, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, რათა შექმნილ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლება არ აღმოჩნდეს იმ მდგომარეობაში, როდესაც ჩვენი ქმედებები იქნება არათანმიმდევრული და არ გვექნება კონკრეტულად ჩამოყალიბებული კონფლიქტის მოგვარების გეგმა ან დესტრუქციული ძალების ქმედებებისაგან კონფლიქტის ზონაში არასტაბილური ვითარების თავიდან აცილების გეგმა.

ჩვენ საქართველოს პარლამენტი, მოვითხოვთ ასევე, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ კონკრეტული, ძალიან სერიოზული გადაწყვეტილებები მიიღოს ქვეყნისათვის აუცილებელი თავდაცვითი მექანიზმების გაძლიერების უზრუნველსაყოფად, ასევე დაავალოს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებს, რომ გაატარონ კონკრეტული და სერიოზული ღონისძიებები კონფლიქტის ზონაში სტაბილური ვითარების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად..

ასევე საქართველოს პარლამენტი მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისაგან, რომ მან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით ერთი კვირის ვადაში წარმოუდგინოს პარლამენტს შექმნილი კრიზისული სიტუაციის დაძლევის გეგმა. ჩვენ მზადა ვართ, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, ვიმუშაოთ ამ გეგმის შემუშავებაზე. ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც შეიქმნება და რომელშიც თითოეული

ფრაქციის წარმომადგენელი იქნება შესული, დარწმუნებული ვარ აქტიურად ითანამშრომლებს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, მაგრამ ასეთი ანტიკრიზისული გეგმის შემუშავება, ვფიქრობ, დღევანდელ ურთულეს ვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანი გახლავთ და ჩვენ ერთი კვირის შემდეგ ამ გეგმის შესასწავლად და ამ გეგმის განსახილველად კვლავ დავუბრუნდებით იმ საკითხს, რომელიც დღეს ასე აღელვებს ჩვენს საზოგადოებრიობას.

ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი იქნება, დღევანდელი უშიშროების საბჭოს სხდომაც, რომელიც ნიუ-იორკში უნდა გაიმართოს და რომელზეც საქართველოს ხელისუფლებას და თითოეულ ჩვენთაგანს გარკვეული იმედები გვაქვს, ბუნებრივია, მაგრამ ასევე კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ჩვენ მივიღეთ რუსეთის მაღალი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან კონკრეტული დაპირებები, რომ სასწრაფო რეჟიმში რუსეთში უმაღლეს ეშელონებში შეიქმნებოდა, პრაქტიკულად, საგამოძიებო კომისია იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდა ე.წ. პასპორტიზაციისა და რკინიგზის ამოქმედებასთან დაკავშირებით.

ჩვენ გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ მართლაც მივიღებთ კონკრეტულ ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით. თუ ყველაფერი ისე გაგრძელდა, როგორც დღემდე, თუ გაგრძელდა პასპორტიზაციისა და სარკინიგზო მიმოსვლის პროცესები, ბუნებრივია, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს ხელისუფლებას, მთლიანად საქართველოს, სრული უფლება ექნება გააკეთონ უმწვავესი შეფასებები აღნიშნულთან დაკავშირებით და მისცენ აღნიშნულ ქმედებებს უკვე რეალურად მართლაც, არამარტო ანექსიის მცდელობის, არამედ ანექსიის განხორციელების კვალიფიკაცია და უშუალოდ სერიოზულად მიმართოს აღნიშნული საკითხის განსახილველად საერთაშორისო ორგანიზაციებს.

... მიუხედავად ამ უმწვავესი ვითარებისა, საქართველოს პარლამენტი არ ხურავს იმ კარს, რომელსაც რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებების კარი ჰქვია. ჩვენ კიდევ ერთხელ ვცდილობთ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში დარჩეს ის ხიდი, რომელზეც ჩვენ უნდა მეტ-ნაკლებად ავაგოთ ჩვენი თანასწორუფლებიანი ურთიერთპატივისცემა და საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაფუძნებული ურთიერთობები. მაგრამ ჩვენ რეალურად დღეს ისეთ ვითარებაში ვიმყოფებით, რომ თუ ადეკვატური, აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვანი ნაბიჯები არ იქნა გადმოდგმული რუსეთის ხელისუფლების მხრიდან, რომელიც ჩვენ დაგვანახებს იმას, რომ იქ მართლაც, რომელიღაც კომერციულმა ორგანიზაციამ გახსნა ის რკინიგზა და ეს არ იყო რუსეთის ხელისუფლების ნება, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება. არა მარტო გაგვიჭირდება, ჩვენ არგუმენტი აღარ დაგვრჩება სათქმელი იმასთან დაკავშირებით, რომ ეს არ არის რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების გადაწყვეტილება. ის არგუმენტები, რომელსაც ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ რკინიგზის დახურვას ვერ გაიგებს აფხაზეთში დარჩენილი 100000 ან თუნდაც 80000 ადამიანი, არ არის არგუმენტი და

კიდევ ერთხელ ვიმეორებ რუსეთის ხელისუფლების, რუსეთის პრესისა და მასმედიის გასაგონად, ასევე ვერ გაიგებს, ბატონებო, 5 მილიონი ქართველი, ვერ გაიგებს საერთაშორისო თანამეგობრობა, იმიტომ, რომ ყველაფერი რაც დღეს ხდება ორ ქვეყანას შორის, ეს არის საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის უხეში მცდელობა და საქართველოს ელემენტარული უპატივცემულობა.

...მინდა იმედი ვიქონიო, რომ ის ერთი ბოლო ფრაზა, რომელიც გუშინ გავიდა ინტერნეტის გვერდზეც, ასევე ოფიციალურ ინფორმაციაში, სადაც პრეზიდენტი პუნტინი საუბრობს იმაზე, რომ რკინიგზის აღდგენა საქართველოს ხელისუფლების გადასაწყვეტი საქმეა, რომ ეს საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და შესაძლებელია საუბარი დაიწყოს რკინიგზის აღდგენის სინქრონიზაციაზე ლტოლვილების დაბრუნების პროცესთან დაკავშირებით, იქნება ის ამოსავალი წერტილი, რომ რუსეთის ხელისუფლება მიიღებს მართლაც ერთმნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რომ ყველაფერი რაც საქართველოს საშინაო საქმეა, ეს არის საქართველოს ხელისუფლების გადასაწყვეტი. ყველა ის საკითხი, რომელიც ჩვენი საშინაო საქმე არის, ჩვენს ტერიტორიას და ჩვენს განუყოფელ ნაწილს ეხება, უნდა შეთანხმებული იქნეს რუსეთის მხრიდან საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებასთან.

... ჩვენი არაკეთილისმოსურნენი მუდმივად ცდილობენ, რომ აფხაზეთის მოსახლეობის ყურამდე მიიტანონ ის დამახინჯებული ფრაზა, რომ ქართველებს არ უნდათ აფხაზეთის აღორძინება, მისი აყვავება, აფხაზეთის მოსახლეობის კეთილდღეობა. ტყუილია, ბატონებო, ჩვენ გვინდა აფხაზეთის მოსახლეობის კეთილდღეობა, ჩვენ გვინდა სიმშვიდე და გვინდა აყვავება ამ მხარიის, მაგრამ არა ჩვენი მოქალაქეების, დანარჩენი მოქალაქეების გარეშე, არა იმ 300000 ლტოლვილის გარეშე, რომლებიც ყოველდღე ელოდებიან საკუთარ სახლებში დაბრუნებას.

ჩვენ მზადა ვართ აფხაზეთის ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე ვილაპარაკოთ, ჩვენ მზადა ვართ რკინიგზის გახსნაზე არა მარტო ადლერი-სოხუმის მიმართულებით, არამედ მთელ პერიმეტრზე ვილაპარაკოთ, მაგრამ მხოლოდ სინქრონულად იმ პროცესებისა, რასაც აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგება და ლტოლვილების საკუთარ სახლებში დაბრუნება ჰქვია.

საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 20 ივნისის სხდომის
სტენოგრაფიული ჩანაწერიდან

გ. ბარამიძე - ფრაქცია "დემოკრატები"-ს თავმჯდომარე - .... საქართველოს პარლამენტი, გამომდინარე თავისი ფუნქციიდან ვალდებულია მოისმინოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემუშავებული გეგმა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, როგორიც არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ამ შემთხვევაში აფხაზეთის საკითხის მოგვარება და

თავისი კორექტივები შეტანოს ამ გეგმაში. კორექტივების შეტანის შემდგომ დაამტკიცოს იგი, მიღოს საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად როგორც სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც სავლდებულო იქნება შესასრულებლად ყველასათვის, ვისაც ამ გეგმის შესაბამისად განესაზღვრება გარკვეული როლი. უეჭველია, რომ ამგვარი გეგმის არარსებობა უაზროს ხდის თვით საკანონმდებლო საქმიანობას ამ მიმართულებით, იგივე ეკონომიკური თუ ფინანსური მიმართულებით, რადგანაც კარგად იცით, რომ ყველაფერი ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული. გადაჯაჭვულია ჩვენი ძალისმიერი და სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმირებისა და მათი დაფინანსების საკითხები და ეს უკავშირდება კვლავ და კვლავ ქვეყნის ბიუჯეტს, ქვეყანიაში ეკონომიკური განვითარების საკითხებს, ინვესტიციების მოზიდვის საკითხებს, სოციალურ სფეროში უსაფრთხოების მდგომარეობას და ა.შ.

... უნდა ვიცოდეთ, რა გეგმაზეა საუბარი, ვიცოდეთ, თუ რისთვის უნდა ვიბრძოლოთ, რისთვის უნდა ვიცხოვროთ პირველ ყოვლისა. მე მჯერა აფხაზეთის ფრაქციის ზოგიერთი წარმომადგენლისა, მიუხედავად ჩემის მხრიდან მათი კრიტიკისა, რომ ეს ხალხი ამისათვის ცხოვრობს, მათ ცხოვრებას აზრი არა აქვს თუ ისინი აფხაზეთში ვერ დაბრუნდებიან. ასევე მჯერა, რომ არცერთი ჩვენთაგანის ცხოვრებას, ვინც ამ ქვეყნის პატრიოტია აზრი არა აქვს, მით უმეტეს ამ დარბაზში ყოფნას აზრი არა აქვს, არც არანაირ მოღვაწეობას, თუ ამას მოღვაწეობა ჰქვია, თუ ჩვენ აფხაზეთი ვერ დავიბრუნეთ. შეუძლებელია აფხაზეთის დაბრუნება ჩვენი ერთიანობის გარეშე, ჩვენი ერთიანი გეგმის გარეშე. შეუძლებელია თითოეულმა ჩვენთაგანმა, ხელისუფლებამ, ოპოზიციამ, არ ვიცოდეთ, რა როლი უნდა შევასრულოთ ჩვენი სახელმწიფოს მშენბლობის საკითხებში. ჩვენი სახელმწიფოს მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხი არის აფხაზეთის დაბრუნების საკითხი. იმიტომ, რომ ჩვენ ვერ ავაშენებთ საქართველოს, სანამ არ დაბრუნდება აფხაზეთი. ეს არ არის ჩვენი ახირება. ეს არის საქართველოს არსებობის აუცილებელი პირობა. ...ჩვენ აფხაზეთი დაგვაკარგვინა ჩვენმა გათიშულობამ. დღეს ეს განსაკუთრებით კარგად ვიცით. ამიტომ, ჩვენ ამ ტრიბუნაზე გამოვდივართ არა იმისათვის, რომ მხოლოდ პრეტენზიები წავუყენოთ ჩვენს ხელისუფლებას, მაგრამ ჩვენ ვითხოვთ და ვითხოვთ გულწრფელად, მოვისმინოთ აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელებიდან და არა წარმომადგენლებიდან სახელმწიფო გეგმა, რა გეგმით მიდის ჩვენი სახელმწიფო, რა არის ის რაც უნდა გაკეთოს პრეზიდენტმა, თითოეულმა მინისტრმა, დეპუტატმა, გამგებელმა, გუბერნატორმა, ელჩმა და ა.შ. არა მაქვს ილუზია, რომ ეს გეგმა სრულად და საჯაროდ იყოს წარმოდგენილი პარლამენტის წინაშე. შეიძლება ის იქნეს განხილული დახურულ კარებს მიღმა ან ნდობის ჯგუფზე, რომელსაც აქვს ამის უფლებამოსილება. ...დიდი სიხარულით დავუჭერ მხარს ნებისმიერ გეგმას, რომელიც იქნება მართლაც გამსჭვალული აფხაზეთის დაბრუნების ამოცანით, თანმიმდევრული, რეალისტური,

პატრიოტული და პატიოსანი მიდგომით. ამგვარი გეგმის მოსმენა და მხარდაჭერა გვსურს ჩვენ.

ე. მეძმარიაშვილი - ფრაქცია "თანადგომას" თავმჯდომარე - 90-იანი წლების შუა პერიოდში საქართველოში განვითარებულ მოვლენათა მიზეზებისა და საფუძვლების ანალიზმა, საქართველოსადმი დაპირისპირებულ ინტერესთა სისტემატიზაციამ, ქვეყნის საშინაო პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ, ენერგეტიკულმა, მატერიალურმა და ფინანსურმა არსებულმა შეზღუდვებმა და არასაკმარისმა რესურსებმა, გეოპოლიტიკურმა სიტუაციამ, საგარეო ურთიერთობათა და თანამშრომლობის რეალურმა პერსპექტივამ, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების და შედეგების სწორმა პროგნოზირებამ განაპირობა - საქართველოს პრეზიდენტის მიერ აფხაზეთის დაბრუნების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრიორიტეტების, პრინციპების და ქმედებათა ძირითადი მიმართულებების ვფიქრობ, რომ ორეტაპიანი მიდგომა...

...პირველი ეტაპი გამიზნული აღმოჩნდა აფხაზეთის დაბრუნების საგარეო და საშინაო პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის და მისი რეალიზაციის აუცილებელი წინაპირობების მომზადებისათვის. პირველი მოსამზადებელი ეტაპის წინაშე მრავალი მოთხოვნები დაისვა, მათ შორის, კონკრეტულად გამოვყოფ:

1. ...აფხაზეთის კონფლიქტის წარმომშობი მიზეზების, მოვლენებისა და შედეგების არაობიექტური და ტენდენციური შეფასებებით წაგებული საინფორმაციო ომის, საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის და, რაც მთავარია, საერთაშორისო პოლიტიკური პოზიციების საქართველოს სასარგებლოდ შემობრუნება;

2. საბჭოთა კავშირის ყოფილ სივრცეში აქტიური, პარტნიორული და თანაბარუფლებიანი ურთიერთობების აღდგენა, ცალკეული სახელმწიფოს თუ მთლიანად თანამეგობრობის ყველა შესაძლებლობისა და პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება შესაძლებლობის ფარგლებში, უპირველეს რიგში, აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებისა და იქ ჩვენი იურისდიქციის აღდგენისათვის;

3. თანამეგობრობის ქვეყნებში, ინტერესთა და მსოფლმხედველობითი ორიენტაციის საერთო ბაზაზე, საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის განსაზღვრა და, ამ მხრივ, ძლიერი სამოკავშირეო ჯგუფის შექმნა;

4. საქართველოს სუვერენიტეტისა და დემოკრატიული განვითარების პრინციპების მყარი შენარჩუნებით, პირდაპირი და აქტიური დიალოგის დაწყება რუსეთთან, ინტერესთა თანხვედრის გზების ძიება, კომპრომისების სფეროს განსაზღვრა და სახელმწიფოთა შორის არსებული რთული წინააღმდეგობების დაძლევის მცდელობები;

5. სახალხო დიპლომატიის როლის აპრობაცია ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობებში და ასევე რუსებსა და ქართველებს შორის უკვე არსებული ტრადიციების გათვალისწინებით;

6. ფრაგმენტული მოლაპარაკებები და კონტაქტები აფხაზეთის სეპარატისტულ, არაკანონიერ ხელისუფლებასთან კონკრეტული, ექსტრემალური სიტუაციების განმუხტვისათვის, მაინც;

7. დევნილი მოსახლეობის სოციალურ, საყოფაცხოვრებო და ეკონომიკურ მდგომარეობაზე არსებული შესაძლებლობით მაქსიმალური ზრუნვა, მათი ტრადიციული, კულტურული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ორგანიზაციების საქმიანობის შენარჩუნებით;

8. აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების სრული სტრუქტურის არსებობა და მათ წინაშე არამარტო დევნილი მოსახლეობის საკითხების მოწესრიგებისა და მართვის, არამედ დაბრუნების შემთხვევაში, სრული სახელისუფლებო სისტემური უზრუნველყოფის მზადყოფნა სათანადო სტრუქტურების არსებობით, მათ შორის ძალოვნებისაც;

9. თანამეგობრობის ქვეყნების მშვიდობისმყოფელთა ეგიდით, რუსეთის საჯარისო ნაწილებთან აქტიური ურთიერთობა და მცდელობები მათი ქმედებათა კონტროლისა, მათი მანდატის და დისლოკაციის სასურველი შეცვლისა და, რაც მთავარია - კონტიგენტის სრული ინტერნაციონალიზაცია ან სხვა ნეიტრალური ქვეყნის ძალებით ჩანაცვლება;

10. საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის აუცილებელი მოთხოვნების და პირობის შექმნა და პრინციპულად საკითხის დასმა საერთაშორისო მასშტაბის ეგიდით;

11. გარკვეულ ეტაპზე, აფხაზეთის ტერიტორიის ბლოკადა -უპირატესად იქ უკანონო იარაღის, კრიმინალური დაჯგუფებების, ბანდფორმირებების და ნარკოტიკების შეტანის შეზღუდვისათვის და ქვეყნიდან საქართვველოს ქონების უკანონოდ გატანის აკრძალვისათვის, ასევე სეპარატისტულ და არაკანონიერ ხელისუფლებაზე ზეწოლისთვისაც;

12. აფხაზეთში სეპარატისტული და აგრესიულ ძალების მიერ ჩადენილი დანაშაულობების მხილება და, მათზე სამართლებრივი რეაგირებისათვის მასალების მომზადება საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტში წარდგენისათვის.

მიუხედავად ჩამოთვლილი მოთხოვნებისა, რომლებიც ხელისუფლებამ ჩამოაყალიბა, ყოველი ზემოთთქმული მიმართულების სრული რეალიზაციაც კი ვერ განაპირობებდა საკითხის რადიკალურ გადაწყვეტას. მათ შეეძლოთ შეექმნათა ხელსაყრელი ფონი და პირობები საკითხის მოგვარებისა, მაგრამ ამისათვის აუცილებელი იყო მთავარი - საქართველოსთვის სახელმწიფოებრივი პრიორიტეტების, პირველ რიგში, სწორად და უშეცდომოდ განსაზღვრა, და მეორე რიგში, ასევ ვთქვათ, მოსამზადებელ ეტაპს მიანიჭებდა იმ პოტენციალს, რომელიც მეორე - აქტიურ ეტაპზე მყარ საფუძველს შექმნიდა საკითხის რადიკალური და ღირსეული გადაწყვეტისათვის.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკით საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნულ სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებად განსაზღვრა:

1. საქართველოსთვის სახელმწიფოებრივი ფუნქციის მინიჭება, რომელიც პირველ რიგში, ხარისხობრივად გაზრდიდა მისი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის მასშტაბს მსოფლიოში, რაც უძლიერესი სახელმწიფოსთვისაც კი წინა და აქტიურ პლანზე წამოწევდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და მისი ძლიერ და სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საკითხს და, მეორეს მხრივ, შექმნიდა გარანტიებს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისა და ეკონომიკის პოტენციალის ზრდისა.

2. საქართველოს მიერ აქტიური პოზიციის დაკავება და მისი ინტეგრაცია ევროპის სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სტრუქტურებში და სტრატეგიული სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარება აშშ-სთან და მჭიდრო თანამშრომლობა მეგობარ სახელმწიფოთა ჯგუფთან.

3. საქართველოს დემოკრატიულ, საბაზრო-ეკონომიკურ პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფოს შეუქცევადი განვითარება და სათანადო საკანონმდებლო უზრუნველყოფა.

4. საქართველოს თავდაცვის სისტემის თანამედროვე მოდელის განსაზღვრა და შეიარაღებული ძალების მშენებლობის ინტერნაციონალიზაცია, სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალებისა და განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური და უშუალო მონაწილეობით და ბოლოს, მეხუთე.

5. განსაკუთრებული ურთიერთობების ჩამოყალიბება და სტრატეგიული თანამშრომლობა მეზობელ სახელმწიფოებთან.

...თუ შევაჯამებთ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკური კურსის შედეგებს, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობებში არსებული, გადაულახავი სიძნელეების გარდა, რაც შეიძლება, რომ ნაწილობრივ მაინც, ასევე იყოს მიზეზი რუსეთში - ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე არსებული შეიარაღებული კონფლიქტებისა, პირველი ეტაპის ამოცანების რესურსი სახელმწიფომ, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად აამოქმედა.

განსაკუთრებული პოლიტიკური და დიპლომატიური ძალისხმევით იქნა მიღწეული პირველი ეტაპით დასახული პრიორიტეტების რეალიზაცია, რამაც შექმნა რეალური საფუძველი მეორე, აქტიურ ეტაპზე გადასვლისა აფხაზეთის დაბრუნების საკითხში და საერთოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მხრივ...

...რეალური შეფასებებით, თუ პირველ ეტაპზე, არც საერთაშორისო პოზიციით, არც საკუთარი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსებით და არც ყველა სახელმწიფოებრივი კომპონენტების სრული ამოქმედებითაც კი საქართველოს არ შეეძლო კონფლიქტის სრული მოგვარება, ამ მხრივ, მეორე ეტაპი სულ სხვა შესაძლებლობას გულისხმობს.

...მოვლენათა შეფასება და ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეორე ეტაპის წინაშე სახელმწიფომ დასვა მოთხოვნები, რომლებიც შემდეგი სისტემით შეიძლება წარმოვადგინოთ, ეს ჩვენი ხედვაა:

1. ...მეორე ეტაპის პრიორიტეტებში და მიმართულებებში შენარჩუნებულია ასევე პირველი ეტაპის ყველა პოზიციის შემდგომი გატარება, განსაკუთრებით იმ მიმართულებისა, რომელიც ვერ მიღწეულა.
2. რაც შეეხება მეორე ეტაპზე აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტის სტრატეგიას, რომელიც, როგორც წესი, ზოგადად აუცილებლად მოიცავს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდასა და შიდა პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის ფაქტორის გაძლიერებას, კონკრეტულად კვლავაც ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

საქართველოს ხელისუფლება თავისი ქმედებებით ერთნიშნად ადასტურებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა, განვითარების დემოკრატიული გზის არჩევანით, დასავლეთის ცივილიზაციისკენ ორიენტაციით, არააგრესიული, არამედ მხოლოდ მშვიდობისმოყვარე ღირებულებების პატივისცემითა და აღიარებით უპირატესობას ანიჭებს აფხაზეთის კანონიერ დაბრუნებას საქართველოს შემადგენლობაში მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით და მისთვის ერთიან სახელმწიფოში ღირსეული ადგილის, როლისა და განსაკუთრებული ავტონომიური უფლებების მინიჭებას.

საქართველოს ასეთი არჩევანი, განპირობებულია იმითაც, რომ აფხაზეთის ძირძველი ტერიტორია საქართველოს განუყოფელი ნაწილია და აფხაზეთის მოსახლეობას, რომელიც იგივე საქართველოს სრულუფლებიანი და კანონიერი მოსახლეობაა, მშვიდობიანი გარემო უნდა შეექმნას, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის და გარეშე ძალების გარკვეულმა ჯგუფებმა და წრეებმა აფხაზეთიდან გამოდევნეს ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, გამოიყენეს მათ წინააღმდეგ ტერორისა და ბრძოლის ყველაზე უფრო სასტიკი, რიგ შემთხვევაში საერთაშორისო სამართლითაც კი აკრძალული ქმედებები და საფრთხე შეუქმნეს არამარტო საქართველოს დამოუკიდებლობას, არამედ მისი სახელმწიფოებრიობის პერსპექტივასაც.

მიუხედავად აღნიშნულისა და საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისათვის საქართველოს მიზანსწრაფული მცდელობებისა, თუ კვლავაც, საერთაშორისო ძალისხმევის მიუხედავადაც კი, სამართლიან მოთხოვნას წინ აღდგება სეპარატისტული, ანტიქართული და ანტისახელმწიფოლებრივი აგრესიული, ძალისმიერი და სრულიად უსამართლო წინააღმდეგობა, საქართველომ უნდა დაიტოვოს უფლება, რომ თავისი სახელმწიფო პოლიტიკა, ქვეყნის ყველა რესურსი და საერთაშორისო ძალისხმევა მიმართოს საკუთარი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და მოსახლეობის ინტერესების დაცვისაკენ, მშვიდობიანი და ძალისმიერი მეთოდების ერთობლივი გამოყენებით.

ხოლო, განსაკუთრებულ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, თუ ყველა მცდელობა შედეგს ვერ მოიტანს, თავისი ისტორიისა და ქვეყნის მომავლის წინაშე პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, საქართველო იძულებული იქნება, რომ აფხაზეთის დასაბრუნებლად აირჩიოს ძალისმიერი გზა...

...საქართველოს ხელისუფლების უპირველესი ძალისხმევა მოხმარდება კონფლიქტის მოგვარებაში სახელმწიფოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ასევე რუსეთთან ერთობლივი და შეთანხმებული ინტერესებით განპირობებულ ქმედებათა კომპლექსის განხორციელებას, რაც დაეფუძნება მსოფლიოს ახალ პოლიტიკურ სპექტრში საქართველოს სტრატეგიულ როლს და მის რეგიონალურ, პოლიტიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ მასშტაბს, მით უმეტეს რომ საქართველოს პრეზიდენტის უყოყმანო გადაწყვეტილებით საქართველო ერთნიშნად და შეუფერხებლად შეუერთდა ანტიტერორისტულ კოალიციას, რაც მეტად საპასუხისმგებლო, მაგრამ ამასთან ერთად სტრატეგიულად აუცილებელი და ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო...

საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკურ სვლებში, აფხაზეთის დაბრუნების გადამწყვეტ ეტაპზე, ახალი პარამეტრი იწყებს გამოჩენას, რაც გამოიხატება საქართველოში რუსეთის ისეთი ინტერესების გათვალისწინებაში, რომელთა რეალიზაცია უდავოდ არამარტო სასარგებლო, არამედ სტრატეგიული სურვილებია რუსეთისათვის, მაგრამ არ უპირისპირდება საქართველოს დამოუკიდებლობისა და და სუვერენიტეტის მოთხოვნებს, უფრო მეტიც, მათ საქართველოს ეკონომიკური სტიმულირების თვისებებიც გააჩნიათ.

ამ პოლიტიკურ მოდელს შეესაბამება წინადადებების მომზადება, რომელიც გულისხმობს სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედებას სოჭიდან თბილისამდე, რაც რუსეთის ტვირთებს გაუკეთებს ორგანიზებას არამარტო საქართველოსაკენ, არამედ სომხეთისაკენ, ირანისაკენ, თურქეთისაკენ და თითქმის მთელი სამხრეთის რეგიონებისაკენ....

როგორც სჩანს სქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება გადამწყვეტი ეტაპის დაწყებისა აფხაზეთის შემოერთებისა და საერთოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა.

ამის დემონსტრირება იყო მისი გადაწყვეტილება მხარი დაეჭირა ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო მოქმედებების დაწყებისათვის ერაყში და მის მოკავშირეთა კოალიციასთან შეერთება.

ასეთი გადაწყვეტილების მიღებას კი დიდი გამბედაობა და პროგნოზირების უტყუარი ალღო სჭირდება. დღეს უდიდესი სახელმწიფოების ბევრმა ლიდერმა უხერხულობაში ჩააყენა არამარტო საკუთარი პერსონა, არამედ თვით სახელმწიფოებიც. ადვილი წარმოსადგენია, რა იმედს დაკარგავდა საქართველო, თუ მისი პრეზიდენტი არ დაასწრებდა მოვლენებს და არ გადადგამდა მეტად სარისკო, მაგრამ ერთადერთ სწორ სტრატეგიულ ნაბიჯს საქართველოს სასარგებლოდ.

მოვლენები სწრაფად იწყებენ განვითარებას. ამის მანიშნებელია საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება - აფხაზეთის დაბრუნებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით სპეციალური კომიტეტის შექმნის შესახებ.

...სახელმწიფოში სპეციალური კომიტეტის შექმნა ერთნიშნად მიუთითებს პრეზიდენტის მინიშნებაზე, საკითხის გადაწყვეტისათვის, ასევე მეორე და მძლავრი ეშელონის - საქართველოს საშინაო-პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური, საკანონმდებლო, სამართლებრივი, სოციალური, ჰუმანიტარული და სამხედრო სპექტრის კომპლექსური გამოყენებისა...

მ. კაკაბაძე - საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი - ...ჩვენი საქმიანობა კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში შეიძლება დაიყოს რამდენიმე ეტაპად. პირველ რიგში, ეს გახლდათ საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილებების შესრულება. რაც შეეხება ბატონ გია ბარამიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. მე შემიძლია გითხრათ, რომ გარკვეული სამუშაო ამ მიმართულებით გაწეული არის. ...მინდა დაგარწმუნოთ, რომ ასეთი გეგმა ნამდვილად შემუშავებულია. რა თქმა უნდა, ის არ შეიძლება ჩაითვალოს აბსოლუტურ გეგმად. უნდა მოგახსენოთ, რომ გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდა პრაქტიკულად მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება, ძალიან აქტიური მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ლეგიტიმურმა ხელისუფლებამაც. უნდა აღინიშნოს რიგი საპარლამენტო ფრაქციისა და შესაბამისი კომიტეტების საქმიანობა ამ გეგმის შემუშავებისათვის. რამოდენიმეჯერ იყო მსჯელობა დახურულ კარებს მიღმა და შემდეგ ამაზე იყო მსჯელობა უშიშროების საბჭოს სხდომაზე. გარკვეული ფორმა ამ გეგმას რა თქმა უნდა, მიღებული აქვს. ამდენად, ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ეს გეგმა არ არსებობს და ჩვენ ამაზე ხედვა არ გაგვაჩნია. სხვა საქმეა, რამდენად შესრულებადი, ეფექტური იქნება ის. ....თვითონ სამშვიდობო პროცესიც საკმაოდ რთული აღმოჩნდა და დამეთანხმებით, რომ თავად უშუალოდ ჩვენი მონაწილეობის დროსაც, სამწუხაროდ ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ ასე აქტუალურად და ღიად გვესახებ, ხანდახან ისე ვერ ხორციელდება, როგორც ეს ჩაფიქრებულია.

...რაც შეეხება ფულად ინტერვენციას, რომელსაც რუსეთის ფედერაცია ახორციელებს აფხაზეთის ტერიტორიაზე, მიუხედავად ჩვენი მრავალმხრივი მცდელობისა, ჯერ-ჯერობით ღიად რჩება, ისევე, როგორც უვიზო რეჟიმისა და მოქალაქეობის მინიჭების საკითხები.

...რაც შეეხება ამ დადგენილების ბოლო პუნქტს, რომელიც გულისხმობდა ძირითადი მიმართულებების შემუშავებას. მინდა გითხრათ, რომ ესეც არის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იმ ერთობლივი მუშაობისა, რომელიც პარლამენტთან ერთად განხორციელდა. შემუშავებული არის კონფლიქტის მოგვარების ძირითადი მიმართულებები, რომელიც პრაქტიკულად მოიცავს ყველა ასპექტს ამ პრობლემისა.

... მთელი პასუხისმგებლობით მინდა მოგახსენოთ, რომ ჯერ-ჯერობით ენგურჰესის არანაირ გადაცემაზე და არანაირ ვთქვათ რეაბილიტაციაზე ლაპარაკი არ არის. იყო რამოდენიმე შეხვედრა ენერგეტიკის ჯგუფში, იყო ერთადერთი შეხვედრა სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის კუთხით და ერთადერთი შეხვედრა ლტოლვილების დაბრუნებაზე. ასევე მინდა განგიცხადოთ, რომ ყველა ამ შეხვედრაზე ჯერ-ჯერობით არის ლაპარაკი მხოლოდ იმ პრინციპებზე და იმ ზოგად მიდგომებზე, რომლითაც შეიძლება ჩვენ მომავალში ვიხელმძღვანელოთ. ასე, რომ ამ წუთში გადაცემის არცერთ კონკრეტულ ფორმაზე ლაპარაკი არ არის. იქ განიხილება ყველა ვარიანტი. თუ როგორ გადაწყდება საკითხი, ამაზე საუბარი ჯერ-ჯერობით ნაადრევია. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ყველაფერი გადაწყდება ჩვენს ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად და აქედან გადახვევას ადგილი არ ექნება. მით უმეტეს, თუ საუბარია ორი სახელმწიფოს- რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობაზე.

... განსაკუთრებით ხაზგასმით მინდა ვთქვა, და ამის თაობაზე უფლებამოსილება მიღებული მაქვს ქვეყნის ხელისუფლებისაგან, რომ თუ არ იქნება მასობრივი დაბრუნება ლტოლვილებისა პირველ ეტაპზე გალის რაიონში, არანაირი რკინიგზის აღდგენაზე და არანაირი ენგურჰესის რეაბილიტაციაზე ლაპარაკი არ იქნება.

გ. ლომინაძე - ფრაქცია "აფხაზეთის" თავმჯდომარე - ...მე პირადად მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ არ ვამბობთ იმას, რაც დიდი ხანია არის ხმამაღლა სათქმელი ჩვენის მხრიდან, კერძოდ, იმაზე, რაც ხდება რუსეთის მხრიდან აფხაზეთთან მიმართებაში. რუსეთი თანმიმდევრულად ახორციელებს რა აფხაზეთის ანექსიას, ბევრი საკითხი უკვე მოაგვარა ამ მიმართულებით და ამჟამად ცდილობს მის იურიდიულ, სამართლებრივ გაფორმებას ჩვენი ხელებით. სამწუხაროდ და საუბედუროდ, აუცილებელი კი არ არის ამაში აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ჩვენ, საკმარისია ჩვენი პასიური დამოკიდებულებაც ამ საკითხებისადმი. საკმარისია ჩვენი მხარის მონაწილეობა მათთან ნებისმიერ ე.წ. დიალოგში, რომ ეს პროცესი გახდეს შეუქცევადი.

ფ. ინჯია - საქართველოს პარლამენტის წევრი:- ... რაც დრო გადის ჩვენ ჩვენივე ხელებით ვაკანონებთ აფხაზეთის ანექსიას. 1997 წელს დიდი ძალისხმევით ჩვენ შევძელით აფხაზეთის დაბრუნება ტელესაკომუნიკაციო სისტემებში, აფხაზეთში დარეკვა შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ თბილისის საერთაშორისო სადგურით. ყველა დამაკაშირებელი ხაზი მიდიოდა თბილისიდან. რატომ დავკარგეთ ეს დღეს? ჩვენ კი დღეს საქმე მივიყვანეთ იქამდე, რომ 27 სექტემბერს აფხაზეთში საქართველოზე გამარჯვების თარიღს ალბათ მიუძღვნიან ერთ-ერთი მობილური კომპანიის გახსნას, რომელიც რესეთის ეგიდით იქნება.

...ჩვენ ვკარგავთ ენერგო სისტემას, ჩვენ ვკარგავთ სტრატეგიულ ობიექტებს და ვაძლევთ რუსეთს. რა ხდება, რატომ ვაკეთებთ ამას? როგორ შეიძლება აი ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის, როგორიცაა ენგურჰესი 25 წლით გადავცემა მმართველობაში.

რაც შეეხება სოჭი-სოხუმის ელექტრომატარებელს. მე მინისტრის ადგლას, ვისაც ეს ეკუთვნის, დავთვლიდი იმ მოგებას, რა მოგებასაც ისინი იღებენ ამ თვეების განმავლობაში და წავუყენებდი რუსეთის ფედერაციას, სახალხოდ განვაცხადებდი იმას, რომ ის მომსახურებას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეებს, მე მაყენებს ზარალს. იგივეს გავაკეთებდი კავშიგაბმულობაშიც. დავუთვლიდი ზარალს და წავუყენებდი რუსეთის ფედერაციას ან მოვთხოვდი ტოლფას ტერიტორიას, სადაც მე ვეტყოდი" კეთილი ინებეთ, მე გადმომეცით კრანოდარის მხარე ან ჩეჩნეთი ან ყაბარდო, სადაც კავშირგაბმულობაში მე მოვემსახურები. ....იგივე ეხება ენერგეტიკას.

ი. ბათიაშვილი - საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:. ...სამშვიდობო ჯარის ასეთ ყოფნას კონფლიქტის ზონაში აზრი არა აქვს და მან ის უნდა დასტოვოს ან შეიცვალოს მისი მანდატი. ჯარი უნდა გადავიდეს აფხაზეთის სიღრმეში, ვთქვათ მდინარე მოქვზე იყო ლაპარაკი, რაც ჩვენ მოგვცემს შესაძლებლობას, რომ 100 ათასი დევნილი და ეს პატარა რამე არ არის დავაბრუნოთ ჯერ გალის რაიონში. ამასთან ცალსახად უნდა დავაფიქსიროთ, რომ დევნილების ეტაპობრივი დაბრუნება იქნება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე და არ გავაკეთოთ აქცენტი მხოლოდ გალზე.

გ. შუღაროვი - საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე: - ....გაეროსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ გარკვეულ წილად სამართლიანი კრიტიკა იქნა გამოთქმული და მაინც მიმაჩნია, რომ თუ რეალურად გვინდა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგება, ჩვენი დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს, ის რომ გავზარდოთ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ელემენტის როლი, წამოვწიოთ ის წინა პლანზე. ვინაიდან ამ კონფლიქტის მოგვარება სცდება რეგიონალურ ჩარჩოებს და დამოკიდებულია რეგიონს გარეთ ძალებზე. მომგებიანად მიმაჩნია შევეცადოთ ერთ კონტექსტში მოვაქციოთ კონფლიქტის მოგვარება და ტერორიზმთან ბრძოლა. ამ შემთხვევაში იზრდება აშშ-სა და ევროკავშირის როლი. უფრო მეტიც, თუ ჩვენ მივაღწევთ, რომ რუსეთ-აშშ-სა და რუსეთ-ევროკავშირის მოლაპარაკებების პროცესში საქართველოს თემატიკა და კონკრეტულად კონფლიქტების მოგვარება მოექცეს ანტიტერორიზმთან ბრძოლის, როგორც გლობალური მოვლენის სფეროში, წარმატების გაცილებით მეტი შანსი გაგვიჩნდება.

მ. ათაძე - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე: -... ჩვენი მოსკოვში ვიზიტის ძირითადი საგანი იყო ორი საკითხი. პირველი - ლტოლვილთა ჯგუფების დაბრუნებასთან დაკავშირებით კონსულტაციების დაწყება, მეორე - იყო სამშვიდობო ძალების მანდატთან დაკავშირებული საკითხებიზე მოლაპარაკებების წარმოება. ...სოჭის შეთანხმება სამ საკითხს მოიცავდა. ეს იყო ლტოლვილთა ჯგუფებთან, ენერგეტიკულ საკითხებთან და რკინიგზასთან დაკავშირებით. იყო მიღებული გადაწყვეტილება, რომ შექმნილიყო სამუშაო ჯგუფები. თქვენ ალბათ იცით, რომ უკვე ჩატარდა სამივე სამუშაო ჯგუფის შეხვედრები და კონსულტაციები. ...ძირითადი საკითხები, ბუნებრივია, განსაკუთრებით პირველ ორ ჯგუფში ეხება ტექნიკური საკითხების გარკვევას და მხოლოდ იმის მერე, როდესაც მოხდება შეთანხმება იმაზე, თუ როგორ მოხდება ლტოლვილების დაბრუნება, გაირკვევეა პოლიტიკური სტატუსის საკითხები, შესაძლებელი იქნება ყველა მიმართულებით რეალური ნაბიჯების გადადგმა.

რაც შეეხება ლტოლვილთა დაბრუნების საკითხზე შექმნილ ჯგუფს, რომელსაც ამ ეტაპზე უშუალოდ მე ვხელმძღვანელობდი. ისევე, როგორც სხვა ჯგუფებში, ჩვენი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, მონაწილეობას ღებულობდნენ ასევე, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლები, ხოლო ლტოლვილებთან დაკავშირებით, - ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის საქართველოს ოფისის წარმომადგენლები. წინასწარი შეთანხმების შედეგად, ამ წარმომადგენლებმა ჩვენ მოგვაწოდეს დოკუმენტი, სადაც ძირითადად შეეცადნენ ჩამოეყალიბებინათ თავიანთი ხედვა, ამ პროცესის შესაძლო განვითარებაზე. ის სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის საფუძველზე, ალბათ, თუ მიიღწევა საბოლოო შეთანხმება, უნდა მოხდეს ლტოლვილთა დაბრუნება და შესაბამისი პროცედურების ჩატარება. ...ეს არის მხოლოდ პირველი მონახაზი. კონკრეტული საკითხების, კონკრეტული დისკუსიების საშუალება ამ დოკუმენტის საფუძველზე ჯერჯერობით, არ არსებობს.

...ბუნებრივია, ქართულმა დელეგაციამ დააფიქსირა თავისი ხედვა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება საერთოდ მომავალში განვითარდეს როგორც კონსულტაციები, ასევე დაბრუნების შესაძლო პროცესი. ჩვენ ეს პოზიცია, რომელიც ადრე უკვე გვქონდა დაფიქსირებული, კიდევ ერთხელ დავაფიქსირეთ, რომ ერთადერთი კომპრომისი, რომელიც შესაძლებელს გახდის ამ პროცესს, არის დროებითი შერეული ადმინისტრაციის შექმნა, რომელიც რა თქმა უნდა, დაექვემდებარება საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელობას. ბუნებრივია, ჩვენ გამოვთქვით გარკვეული შიში იმისა, რომ როდესაც მივადგებით ერთ-ერთ ძირითად საკითხს, რომელიც, ამ სტატუსს ეხება, არსებული პრაქტიკის საფუძველზე წავაწყდებით ძალიან ხისტ პოზიციას, რომელსაც აფიქსირებენ დღემდე აფხაზური მხარის წარმომადგენლები კონფლიქტში.

.....შემდგომი პროცესი ამ კონსულტაციებისა გაგრძელდება... ეს არ არის ერთი ან ორი შეხვედრის დროს გადასაწყვეტი საკითხი. ამას ძალიან

სერიოზული მსჯელობა დასჭირდება. თუ მოხდება რაღაც გარკვეული შეთანხმება მხარეებს შორის, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი უკვე, უფრო ფართო ფორმატში ამ საკითხების განხილვა, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მეგობართა ჯგუფის წარმომადგენლები, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ფინანსური ჯგუფები და ბუნებრივია, თუ კიდევ ერთხელ იქნება მიღწეული შეთანხმება და გარკვეულწილად აფხაზური მხარეს კონფლიქტში ექნება რაღაც გარკვეული პოზიტიური მიდგომები ამ საკითხთან. მაშინ შესაძლებელი იქნება ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა.

რაც შეეხება მეორე, სამშვიდობო მანდატის საკითხს.... აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებებსა და კონსულტაციებს ჩვენ ვმართავთ რუსეთის მხარესთან და ამჯერადაც ეს შეხვედრა ძირითადად გაიმართა ქართულ და რუსულ მხარეს შორის, თუმცა ამ შეხვედრას დაესწრო გაეროს წარმომადგენელი. ძირითადი დებულება სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონაში ყოფნის ვადების შესახებ საკამათო არ გამხდარა, ვინაიდან სოჭში 6-7 მარტს გამართულ შეხვედრაზე მასზე შეთანხმება მიღწეული იყო. კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების საგანი გახდა დანარჩენი დებულებები, დანარჩენი პუნქტები, რომელსაც შეიცავს თვითონ ეს პროექტი. ეს არის პრეამბულა და რამდენიმე პუნქტი დადგენილებით ნაწილში. ...ეს არის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დაფიქსირება, ქართული მხარის, პრეზიდენტის მოთხოვნა, კიდევ ერთხელ დაფიქსირება იმისა, რომ უნდა შესრულდეს დსთ-ს ფარგლებში ადრე მიღებული გადაწყვეტილებები, ხოლო დადგენილებით ნაწილში არის საუბარი სწორედ კიდევ ერთ გადაწყვეტილებაზე (2001 წლის 22 მარტი), რომელიც მანდატის გაფართოებას ეხება. აქ იყო ლაპარკი სწორედ მდინარე მოქვზე მათი გადაადგილების შესახებ და ეს ყველაფერი, ბუნებრივია უკავშირდეება ლტოლვილთა ღირსეულ დაბრუნებას უსაფრთხოების პირობებში. აი, აქ ჯერჯერობით, ჩვენ რუსეთის მხარესთან არა გვაქვს შეჯერებული ეს პოზიციები. საბოლოო შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ და ამასთან დაკავშირებით, ამ შეხვედრაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ რუსეთის მხარე შეეცდება, რომ ის ტექსტი, რომელიც ჩვენ დავუტოვეთ განიხილოს და მოგვაწოდოს უკვე საკუთარი ხედვა. ვფიქრობ, რომ ეს საკითხიც საკმაოდ რთულია. ჩვენ ველოდებით ამ დოკუმენტს, რომელიც უნდა მოგვაწოდოს რუსულმა მხარემ...

...რაც შეეხება დაბრუნებას, კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ სანამ არ გადაწყდება საკითხი სტატუსის შესახებ, ჯერ-ჯერობით ორმხრივ შეხვედრაზე რუსეთთან, სადაც გაეროც მონაწილეობს, არანაირი დაბრუნება, ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფოებრივი პოზიცია დაბრუნებასთან დაკავშირებით იქნება ცალსახა, არ იქნება გადადგმული არანაირი ნაბიჯი. ამიტომ, კიდევ ერთხელ გიფიქსირებთ, რომ ერთადერთი შესაძლო კომპრომისი ქართული მხარისა, ეს არის დროებითი შერეული ადმინისტრაცია საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მათი

მონაწილეობით, რაც გულისხმობს იმას, რომ არ არის დროებით არც ქართული და არც დე-ფაქტო ხელისუფლების იურისდიქცია, არამედ არსებობს საერთაშორისო პრაქტიკა, როდესაც გარდამავალ ეტაპზე საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით მუშაობს შერეული ადმინისტრაცია, ყველა შესაბამისი სფეროს და მიმართულების მქონე დეპარტამენტების ჩათვლით...

ჯემალ გამახარია - ფრაქცია XXI საუკუნე: - ....ჩემთვის დღეს გასაგები გახდა, რატომ ჭიანურდებოდა თვეების განმავლობაში აფხაზეთის საკითხის განხილვა პარლამენტში. მართალია, მე ისედაც ვიცოდი, მაგრამ დღეს უკვე ნათლად დავინახეთ და მთელმა ქვეყანამ დაინახა, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას არაფერი ჰქონდა სათქმელი ხალხისათვის, პარლამენტისათვის და ამიტომაც ის თავს არიდებდა პარლამენტში მოსვლას, ამიტომ აარიდეს თავი მთელმა რიგმა მინისტრებმა და არ მოვიდნენ პარლამენტში.

... დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენს ხელისუფლებას აფხაზეთის პრობლემა საერთოდ არ აწუხებს და მისი გადაწყვეტის არანირი რეალური ხედვა, არანაირი პროგრამა არ გააჩნია და ეს მაშინ, როდესაც უკვე გასულია ათი წელი.

...ჩვენ მხოლოდ დღეს ვლაპარაკობთ იმაზე, თუ რა პროგრამით უნდა მოხდეს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგება. მოსკოვში თურმე, ეხლა საუბრობენ იმაზე, თუ როგორ უყურებენ ლტოლვილების დაბრუნებას გაერო და რუსეთი. ... 2003 წელს მიდის მსჯელობა იმაზე, თუ როგორ უედა დაბრუნდნენ ლტოლვილები აფხაზეთში და როგორი ხედვა აქვს ამასთან დაკავშირებით რუსეთს და გაეროს. ეს ხომ სრული კატასტროფაა. ბატონი ელგუჯა მეძმარიაშვილი გამობრძანდა, რომელსაც მე უდიდეს პატივს ვცემ და მან 12 პუნქტისაგან შემდგარი საკუთარი ხედვა ჩამოაყალიბა....ეს არ არის პროგრამ ჩვენი ხელისუფლებისა, რომლითაც ის დღემდე მოქმედებდა ან მომავალში აპირებს მოქმედებას, არამედ ეს არის ბატონი ელგუჯას, უაღრესად განათლებული ადამიანის საკუთარი ხედვა. ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, ჩვენს ხელისუფლებას არანაირი გეგმა, არანაირი პროგრამა არ გააჩნია. ...ის რასაც ჩვენ ვამბობდით წლების გამავლობაში, სამწუხაროდ დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ 2005 წლამდე, მანამ, სანამ ეს ხელისუფლება იარსებებს, არანირი წინსვლა, არანაირი დაბრუნება დევნილების, არანაირი აღდგენა იურისდიქციის არ იქნება...

ბ. კაკუბავა - საქართველოს პარლამენტის წევრი: ...მთელმა საქართველომ დაინახა, რომ არც პარლამენტს, არც სახელმწიფოს მესვეურებს არ აინტერესებთ აფხაზეთი და მისი დაბრუნება. დევნილი და ლტოლვილი მათ არ აინტერესებთ. ამიტომ, ერთადერთი დასკვნა, რაც უნდა გააკეთოს დევნილმა მოსახლეობამ, თვითონ უნდა გადაწყვიოს თავისი ბედი. დევნილი მოსახლეობა უნდა შეიკრიბოს დანიშნულ დღეს აქ, თბილისში და მოსთხვოს დღევანდელ ხელისუფალს ან წავიდეს, გადაგეს და დაგვანებოს

თავი, ან გაიყვანოს ის ჯარი, რომელიც მან შემოიყვანა. სხვა გამოსავალი მას არა აქვს. მე ვუსურვებდი მომავალ პარლამენტს, რადგან ბოლო სესია არის, რომ აქ დამთავრდეს ის, რაც ამდენი ხანი, ამდენი წელი გრძელდება და უნდა დამთავრდეს. ხალხმა უნდა აირჩიოს თავისი პოლიტიკური წარმომადგენელი ამ პარლამენტში.

ვახტანგ ყოლბაია - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია "აფხაზეთი":

- ...ხშირ შემთხვევაში, ასეთ განხილვებს გადავაყოლებთ მთავარ არსს, ხოლო ის, რაზედაც უნდა ვისაუბროთ, გვრჩება განზე. ...არის თუ არა ბატონებო 10 წელი საკმარისი იმისათვის, რომ ჩვენ რაღაცნაირად შევიცვალოთ მსოფლმხედველობა, შეფასებების უნარი, გავაანალიზოთ რისი შესაძლებლობები არსებობს მსოფლიოში შექმნილი რეალური სიტუაციიდან გამომდინარე და რამდენად რეალურია ის, რაზედაც ჩვენ ვბჭობთ და ვსაუბრობთ, რამდენად რეალურია ის ნაბიჯები, რომლებსაც ჩვენ ვდგამთ ყოველდღიურ ურთიერთობაში. დღეს ბატონმა გია ბარმიძემ ჩამოგვითვალა ყველა ის დადაგენილება, რომელიც პარლამენტს აფხაზეთის საკითხზე მიუღია და გადაუგზავნია აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურისათვის. ...პარლამენტმა ამ საკითხებზე ძირფესვიანად იმუშავა. მაგრამ ისმის შეკითხვა, შედეგი რაა? ჩვენ ისევ იმ ადგილზე ვართ. პრობლემა მოუგვარებელია, დევნილები სახლებში ვერ დაბრუნებულან. პარლამენტს საკანონმდებლო პოლიტიკური ბაზა კონფლიქტის ყველა მიმართულებით შეფასებისა, მის შესრულებაში ჩართული სტრუქტურების სამოქმედო ამოცანების დასახვისა გაკეთებული აქვს. რა უნდა გააკეთოს პარლამენტმა? ჩვენ უნდა გადავხედოთ იმ მიდგომებს, რომლებიც გამოვიარეთ ამ 10 წლის განმავლობაში, და რომლებმაც ახალი ფაქტორების გამოჩენის გამო სრულად ვერ იმუშავეს.

...აფხაზეთის კაითხზე დღეს ყველა მუშაობს. ყველაზე ნაკლებად კი ვმუშაობთ ჩვენ, საქართველოში. ....ამ დღეებში ჩვენ აფხაზეთის საკითხზე ჩავატარეთ საერთაშორისო კონფერენცია ევროსაბჭოს ექსპერტების მოწვევით. რომელთაც აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომები და რიგ შემთხვევებში ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელი თვალსაზრისი გააჩნიათ. ჩვენი მხრიდან მათი მოსაზრებების ლოგიკურად დასაბუთებული არგუმენტირებული უარყოფა არ ხდება და ეს იმის გამო, რომ ვერ მივაღწიეთ აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგების პროცესის კოორდინირებას. წარუმატებლობებს ჩვენ ხშირ შემთხვევაში ვაბრალებთ, ამასთან საფუძვლიანადაც აღმასრულებელ სტრუქტურას, რომელიც უშუალოდაა შეჭიდებული ამ პრობლემას, მაგრამ კოორდინირება აქაც გვჭირდება. თვითკრიტიკულად უნდა განვაცხადო, რომ აფხაზეთის კომისიამ ბოლომდე ვერ გაუწია კოორდინაცია ამ საკითხებს პარლამენტში და აღმასრულებელ სტრუქტურებთანაც, რადგანაც აღმასრულებელი

სტრუქტურების ფუნქციებში შეჭრა არ არის საპარლამენტო კომისიის საქმე. აქედან გამომდინარე, ჩვენ არაერთხელ დავსვით საკითხი და პრეზიდენტიც დაეთანხმა იმას, რომ შექმნილიყო საკოორდინაციო საბჭო, რომელიც გააერთიანებდა პიროვნებების, სტრუქტურების ძალისხმევას ამ საკითხთან დაკავშირებით და სადაც შესაძლებელი იქნებოდა ყველა მოსაგვარებელი საკითხის განხილვა, მათ შორის სოციალური, ეკონომიკური, აფხაზეთში დარჩენილ მოსახლეობასთან ურთიერთობა, იდეოლოგია, სახალხო დიპლომატია და ა.შ.

...მე მაინც მომხრე ვარ იმისა, რომ ჩვენ უფრო კონკრეტული და ეფექტური უნდა გავხადოთ კონტროლი ჩვენი დადგენილებების შესრულებისა. მიუხედავად იმისა, რომ 20 მარტის დადგენილების შესრულება არ იყო დავალებული აფხაზეთის კომისიისათვის, კომისიამ მაინც იმუშავა ამ მიმართულებით ფრაქციებთან ერთად. მე მინდა დავასახელო "მრეწველები", "ახალი აფხაზეთი" " ტადიციონალისტები", "დემოკრატები", "მოქალაქეთა კავშირი", "სოციალისტები" რომელთაც მოგვაწოდეს თავიანთი შენიშვნები და წინადადებები აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ძირითად მიმართულებეთან დაკავშირებით. ეს დოკუმენტი გადაეგზავნა პრეზიდენტს. კონსტიტუციის შესაბამისად, პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად ჩვენ ჩავატარეთ ყველა პროცედურა და ეს დოკუმენტი დაიდო. ...ეს დოკუმენტი საჭიროა იმდენად, რამდენადაც პარლამენტს აქვს შანსი თავისი 4-წლიანი საქმიანობის ფინიშზე დადოს ძირითადი მიმართულებები საგარეო და საშინაო პოლიტიკაში აფხაზეთთან დაკავშირებით. ეს დოკუმენტი დარიგდა იმ კვირაში. ჩვენ მივიღეთ შენიშვნები და წინადადებები ყველა ფრაქციიდან და ქალბატონო ნინო, თუ დღეს ვერ მოხერხდება კენჭისყრა ამ დოკუმეტზე, საკითხი შევიდეს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში. ...

თავი III.

აფხაზეთის საკითხი ევროკავშირში, ეუთო-ში, ევროპის საბჭოსა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეებზე

ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შეხვედრაზე მოქმედი თავმჯდომარის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
(საქართველოს ნაწილი)

მოწონებულ იქნა მზარდი თანამშრომლობა საქართველოსა და ეუთო-ს შორის და კიდევ ერთხელ დადასტურდა მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. აღინიშნა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკას შორის საზღვარზე მონიტორინგის ოპერაციის წარმატებული მიმდინარეობის შესახებ და მხარი დაეჭირა ამ ოპერაციის, როგორც საზღვარზე გადაადგილებაზე მეთვალყურეობისა და ინფორმაციის მიღების საშუალების გაგრძელებას.

გამოითქვა შეშფოთება იმ უარყოფითი გავლენის გამო, რაც შეიძლება იქონიოს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობებზე ცალმხრივი სავიზო რეჟიმის შემოღებამ და განსაკუთრებით საზღვრისპირა ტერიტორიების მოსახლეობის მიმართ ამ რეჟიმის განსხვავებულად გამოყენებამ. აღინიშნა, რომ ეუთო მზად არის გასწიოს დახმარება სავიზო საკითხის გადაწყვეტაში, რათა შეამსუბუქოს მდგომარეობა მათთვის, ვისზეც რეგიონში გავლენა მოახდინა სავიზო რეჟიმის შემოღებამ.

კვლავ დადასტურდა რა აფხაზეთში, საქართველო გაეროსა და ჟენევის პროცესის, როგორც მოლაპარაკებების ძირითადი ფორმატის წამყვანი როლი, სინანული გამოთქვა, რომ ისევ ჩიხშია შესული მოლაპარაკებების პროცესი. კვლავ განმეორდა ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბულის სამიტებზე მიღებულ დოკუმენტებში განსაზღვრული შეფასება აფხაზეთში, საქართველო ეთნიკური წმენდის შესახებ.

მოწონებული იქნა 20-24 ნოემბერს გაეროს ეგიდით და ეუთოსთან მჭიდრო თანამშრომლობით გალის რაიონში ერთობლივი შემფასებელი მისიის საქმიანობის წარმატებით დასრულება. სათანადოდ იქნა შეფასებული ამ მიმართებით რუსეთის ფედერაციის ქმედითი მხარდაჭერა. ერთობლივი შემფასებელი მისიის მიზანია თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ქართველ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების პირობების შეფასება. გაეროსა და ეუთოს ერთობლივი შემფასებული მისიის წინასწარი შეფასებით გალის რაიონში

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მდგომარეობა ისევ არასაიმედოა. მოქმედ თავმჯდომარეს ეთხოვა კვლავ ყურადღებით ადევნოს თვალყური გალის რაიონში ადამიანის უფლებათა მდგომარეობას, როგორც ეს აღწერილია 2000 წლის 25 ნოემბერს გავრცელებულ წინასწარ საინფორმაციო ანგარიშში. მოწონებული იქნა აფხაზეთში, საქართველო ეუთო-ს წარმომადგენლის მონაწილეობით გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის ფილიალის გახსნის იდეა, რამაც ადგილზე შეიძლება გააუმჯობესოს ვითარება. აღინიშნა ეუთო-სა და გაეროს შორის არსებული კარგი თანამშრომლობის შესახებ.

ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის საკითხთან დაკავშირებით მოწონებული იქნა ვენასთან ახლოს ბადენში ქართულ-სამხრეთ ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის ფარგლებში, მოქმედი თავმჯდომარის მოწვევით, რეგიონის ექსპერტთა შეხვედრის წარმატებული ჩატარება (10-13 ივლისი, 2000). ამ შეხვედრაზე კონსტრუქციულ გარემოში პირველად იქნა განხილული სტატუსთან დაკავშირებული საკითხები. შეხვედრის შემდგომ ავსტრიამ, როგორც მოქმედმა თავჯდომარემ და რუსეთის ფედერაციამ დაიწყეს ყველა მონაწილე მხარესთან საკონსულტაციო პროცესი მომავალი შეთანხმების ელემენტების პაკეტთან დაკავშირებით. მოწონებული იქნა ეუთო-ს უფრო ფართო მონაწილეობა მოლაპარაკებების პროცესში . მიღწეულის შესანარჩუნებლად და ბადენის პროტოკოლის შესაბამისად, მომავალი მოქმედი თავჯდომარის წინაშე ამოცანად იქნა დასახული ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის გამოცდილების გამოყენება და ძალისხმევის გაწევა, რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობით, პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესში პროგრესის მიღწევის მიზნით, რეკომენდირებულ იქნა შეხვედრების რეგულარული გამართვა მონაცვლეობით მოსკოვსა და ვენაში. გაკეთდა მოწოდება მიმდინარე წლის ბოლომდე საქართველოსა და რუსეთს შორის შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე კონფლიქტით დაზარალებულ ზონაში ეკონომიკური რეაბილიტაციის პროცესში. მხარი დაეჭირა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საბინაო მოწყობისა და ქონების რესტიტუციასთან დაკავშირებით სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას. გამოითქვა შეშფოთება რეგიონში შექმნილი კრიმინოგენული ვითარების გამო, რაც განპირობებულია დესტაბილიზაციის გამომწვევი მცირე შეიარაღების დაგროვებით. ამ თვალსაზრისით მოწონებულ იქნა რუსეთის ფედერაციისა და ევროგაერთიანების ძალისხმევა, რომელიც მცირე შეიარაღების შეგროვებისა და განადგურებისკენ არის მიმართული. დონორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებს ეთხოვათ კვლავაც შეიტანონ წვლილი ამ პროცესში.

აღინიშნა საქართველოში რუსეთის სამხედრო აღჭურვილობის შემცირების პროცესში მიღწეული პროგრესის შესახებ და გამოითქვა იმედი, რომ ეს შემცირება დასრულდება 2000 წლის 31 დეკემბრამდე სტამბულში აღებული ვალდებულებების შესაბამისად. ხაზი გაესვა, რომ 2001 წლის 1 ივლისამდე. შესაბამისი ტრანსპარენტულობის დაცვის სათანადო ვადებისა და სტამბულში

ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად დაიხურება და გატანილ იქნება თბილისის, ვაზიანის და გუდაუთის სამხედრო ბაზები.

27 ნოემბერი 2000 წელი

Резолюция Европарламента

в связи с введением Россией визового режима в отношении Грузии

Европарламент...
а) с величайшей озабоченностью отмечает, что в Грузии, Цхинвальском регионе и Абхазии все еще не достигнуто всеобъемлющее политическое урегулирование конфликтов;
б) признает, что неурегулированные конфликты в Южнокавказском регионе препятствуют экономическому развитию и политической стабильности, как в Грузии, так и регионе в целом;
в) признает, что сторонам, участвующим в конфликтах в Цхинвальском регионе и Абхазии, и посредникам следует приложить больше усилий для урегулирования конфликтов политическим путем с учетом соблюдения территориальной целостности и суверенитета Грузии;
г) отмечает, что для безусловного возвращения беженцев и вынужденно перемещенных лиц на места их прежнего проживания следует обеспечить гарантии их безопасности;
д) выражает сожаления по поводу того, что Цхинвальский регион и Абхазия де-факто оказались вне пределов юрисдикции Грузии, соблюдения принципов демократии, прав человека и верховенства закона, признаваемых Грузией как полноправным членом Совета Европы, и которые нарушаются на вышеуказанных территориях;
е) в этом контексте выражает озабоченность по поводу положения, сложившегося в Цхинвальском регионе и Абхазии, в особенности с обеспечением безопасности сотрудников международных организаций и персонала Миссии ООН по наблюдению в Грузии (UNOMIG);
(...)
к) **высказывает озабоченность в связи с введением 5 декабря 2000 года Российской Федерацией в одностороннем порядке визового режима в отношении Грузии**, что еще больше осложнит развитие дружеских и добрососедских отношений, нанесет вред экономическим связям и создаст сложности гражданам Грузии, проживающим в Российской Федерации, а также проживающим в Грузии гражданам, существование которых зависит от помощи, высылаемой живущими в Российской Федерации родственниками;
1) **указывает, что введение визового режима в соответствии с международным правом является правом суверенного государства, однако исключения из визового режима, допускаемые в отношении граждан Грузии, населяющих сепаратистски настроенные Цхинвальский регион и Абхазию, воспринимаются как посягательство на территориальную целостность и**

суверенитет Грузии (официально поддерживаемые правительством Российской Федерации) и призывает правительство Российской Федерации пересмотреть эти планы и учесть, что они могут быть истолкованы как аннексия де-факто бесспорных территорий Грузии;

(...)

3) отмечает, что односторонним введением упрощенной процедуры пересечения границы для жителей Цхинвальского региона и Абхазии Российская Федерация ставит под сомнение свою роль как посредника в урегулировании конфликта...

(...)

5) призывает Российскую Федерацию уважать достигнутую в 1999 году в Стамбуле в рамках ОБСЕ договоренность о выводе войск из территории Грузии, как безотлагательную меру...

18 января 2001 г.

Неофициальный перевод с английского

Решение Парламентской Ассамблеи ОБСЕ

об учреждении специального комитета Парламентской Ассамблеи ОБСЕ по Абхазии, Грузия

Учитывая резолюции Парламентской Ассамблеи по ситуации в Абхазии, Грузия;

Подчеркивая важность имплементации многочисленных резолюций Совета Безопасности ООН и документов, принятых по итогам встреч на высшем уровне в рамках ОБСЕ;

Приветствуя значительный вклад, который ООН продолжает вносить в поиск путей разрешения конфликта;

Подтверждая, что конфликт должен быть разрешен в соответствии с общепризнанными принципами международного права и соответствующими резолюциями Совета Безопасности ООН, а также с положениями решений и резолюций встреч на высшем уровне в рамках ОБСЕ в Будапеште и Лиссабоне, Парламентской ассамблеи Совета Европы и соответствующих органов СНГ с учетом территориальной целостности Грузии, гарантий широкой автономии для Абхазии и предоставления средств защиты от искуственного изменения демографической ситуации, "массового уничтожения и насильственного изгнания преимущественно грузинского населения", проведенных в Абхазии, Грузия, как об этом заявлялось на встречах на высшем уровне в рамках ОБСЕ в Будапеште, Лиссабоне и Стамбуле;

Выражая глубокую озабоченность возможностью значительного ухудшения напряженной ситуации в зоне конфликта, а также риском возобновления конфликта в случае, если многочисленные беженцы и вынужденные переселенцы не получат возможность безопасного и достойного возвращения в свои дома;

Учитывая обращение грузинской делегации в ПА ОБСЕ к Постоянному комитету Парламентской ассамблеи ОБСЕ,

Постоянный комитет ПА ОБСЕ принимает решение учредить специальный комитет по Абхазии, Грузия и наделяет его следующими полномочиями:

Способствовать расширению политических возможностей для достижения мирного и справедливого урегулирования конфликта, а также стабильности в Грузии и государственного единства на основе принципов и обязательств ОБСЕ.

Поддерживать активное присутствие ОБСЕ в регионе, способствовать повышению уважения к правам человека и основным свободам, оказывать поддержку в развитии правовых и демократических институтов и процессов, предоставлять помощь сторонам конфликта при выработке правовых, политических и конституционных рамок для скорейшего разрешения этого **«замороженного конфликта»,** а также предлагать сторонам, участвующим в процессе разрешения конфликта, рекомендации по предотвращению подобных конфликтов в будущем.

Установить причины, по которым многочисленные резолюции, принятые рядом основных международных организаций, включая ОБСЕ и её Парламентскую ассамблею, не выполняются и наметить приоритеты для исправления этой плачевной тенденции.

Обязывает специальный комитет регулярно докладывать о своей деятельности и ситуации в регионе и направлять соответствующие рекомендации в Парламентскую ассамблею ОБСЕ.

Для эффективного выполнения своего мандата, а также во избежание дублирования деятельности других структур, комитет, посещая регион, будет работать в тесном сотрудничестве с международными институтами, в частности с миссиями ООН и ОБСЕ в Грузии.

г. Вена
23 февраля 2001 г.

ევროპის საბჭოს პრეს-სამსახურის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
(არაოფიციალური თარგმანი)

სტრასბურგი, 5 მარტი 2001 წ.

დარიგდა 9 ბიულეტენი კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ ბატონ გუბაზ სანიკიძის ასარჩევად და 9 ბიულეტენი კომისიის მდივნად ბატონ ვიტალი ხაზარაძის ასარჩევად.

ფარული კენჭისყრის შედეგად ურნაში აღმოჩნდა ბატონ გ. სანიკიძის 9 ბიულეტენი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

ბატონ ვ. ხაზარაძის 9 ბიულეტენი:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

კომისიამ გადაწყვიტა:

ა) აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული იქნეს ბატონი გუბაზ სანიკიძე (ფრაქცია "ტრადიციონალისტი");

ბ) კომისიის მდივნად არჩეული იქნეს ბატონი ვიტალი ხაზარაძე (ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირი");

გ) აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს პარლამენტის ბიუროს.

სხდომის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სხდომის

ო ქ მ ი.

№ 5 **2000 წლის 11**

თებერვალი

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე ვ. ყოლბაია;

ესწრებოდნენ:

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წევრები: **ა. ახვლედიანი, გ. ბოლოთაშვილი, ჯ. გამახარია, გ.კალანდია, კ.კემულარია, გ.სანიკიძე** (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) , საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: **ჯ. ეზუგბაია** (ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე), **ე. გვაზავა, ა. მარშანია, ა. წოწონავა, ვ. ჭანტურია, ო. ჭითანავა, ა. ფენდერავა;** საქართველოს პარლამენტის წევრი **ნ. გრიგალაშვილი;**

საქარტველოს სახელმწიფო მინისტრი **ვ. ლორთქიფანიძე;** საქართველოს საგარეო საქმეტა მინისტრის მოადგილე **გ. ანთაძე,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ცაავა,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დ. გვაძაბია,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თავმჯდომარის მოადგილე **კ. ჯავჭვლიანი,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პიველი მოადგილეები: **ლ. მარშანია, რ. ცატავა,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები: **რ. გერგედავა, მ. დგებუაძე,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: **ე. ასტემიროვი, ა. გასვიანი, თ. ხუბუა, რ. ქარაია;** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი **გ. სანაია,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი **გ. ხუბუა**, საქართველოს პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების განყოფილების გამგე **ზ. მიგრატია,** აფხაზეთის ახალგაზრდა იურისტთა კავშირის თავმჯდომარე **ლ. გერაძე,** საპარლამენტო ფრაქცია "სმკ"-ს სპეციალისტი **ლ. ჯღარკავა,** ასოციაცია სამოქალაქო საზოგადოება "აფხაზეთის" თავმჯდომარე **დ.ლასარეიშვილი,** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ.ყოლბაიას I თანაშემწე სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია,** საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" აპარატის უფროსი **გ. მელიქიძე,** აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის აპარატის თანამშრომლები: **თ.ჭახრაკია, ვ. ქობალია, ლ. ანთია, ლ. ჯოლოგუა,** საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი **მ. რაფავა,** პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები.

დღის წესრიგი:

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ვ. ლორთქიფანიძის ინორმაცია აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების მიმდინარე ეტაპის თაობაზე

მოისმინეს: საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ვ. ლორთქიფანიძის ინფორმაცია აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების მიმდინარე ეტაპის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ე. გვაზავამ, გ. კალანდიამ, კ. კემულარიამ, ჯ .გამახარიამ, გ. ბოლოთაშვილმა, თ. ჯგუშიამ, ლ. ცაავამ, დ. გვაძაბიამ, ლ. მარშანიამ, ჯ. ეზუგბაიამ, ვ. ყოლბაიამ.

სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით შესამჩნევია საერთაშორისო საზოგადოებრივი

აზრის მკვეთრი შემოტრიალება საქართველოს სასარგებლოდ. ითქვა, რომ უკვე თვით აფხაზებშიც მწიფდება აზრი, რომ კონფლიქტი აფხაზეთში პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, მისი ორგანიზება რუსეთს დასჭირდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ხელის შესაშლელად და მასზე ზემოქმედების შესანარჩუნებლად. ხაზი გაესვა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შესძლო ინფორმაციული რკალის გარღვევა და მიაღწია გარკვეულ წარმატებებს საერთაშორისო ასპარეზზე კონფლიქტის დარეგულირების თვალსაზრისით. კერძოდ, საქართველო მსოფლიო წამყვანი ქვეყნების, და პირველ რიგში, აშშ-ს ინტერესების სფეროში შევიდა, მიღწეულია კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ამ ქვეყნების მონაწილეობა, რითაც დაირღვა რუსეთის, როგორც ერთადერთი შუამავალი მხარის მონოპოლია. ამ მიმართებაში ხაზი გაესვა ჟენევის ფორმატით მიმდინარე მოლაპარაკებების მნიშვნელობას, კონფლიქტის სრულმაშტაბიანი მოწესრიგების პრობლემებთან დაკავშირებით მზარდ ინტერესს იჩენს ეუთო, გარკვეულწილად იმედის მომცემია სტამბოლის 1999 წლის ნოემბრის სამიტის შედეგები.

სხდომაზე აღინიშნა ნდობის ფაქტორის აღსადგენად აფხაზურ მხარესთან პირდაპირ მოლაპარაკებებზე გასვლის მნიშვნელობა, ამ მოლაპაკებებში დევნილი მოსახლეობის ფართო წარმომადგენლობის ჩართვის აუცილებლობა. ითქვა, აფხაზურ მხარესთან შიდა რეგიონალური ეკონომიკური ურთიერთობებისა და ვაჭრობის განვითარების მნიშვნელობაზე. ამასთან, ხაზი გაესვა ქართული მხარის შეუვალ პოზიციას, რომ ნებისმიერი ეკონომიკური პროექტების განხორციელებაში აფხაზური მხარის ჩართვა შესაძლებელი გახდება მხოლოდ კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების შემდეგ.

ითქვა, რომ გაერო-მ დაიწყო მუშაობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის პირობებში აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსის, თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხებზე, აღინიშნა, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით შექმნილია პირველი მოდელები.

ამასთან ერთად, სხდომაზე აღინიშნა, რომ გაწეული მუშაობის მიუხედავად, კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში რეალური შედეგები მიღწეული არ არის. დევნილთა, თუნდაც პირველ ეტაპად გალის რაიონში ორგანიზებული დაბრუნების პროცესი ჯერაც არ დაწყებულა, არასტაბილური რჩება ვითარება კონფლიქტის ზონაში, სადაც სამშვიდობო ძალები ვერ ართმევენ თავს მათზე მანდატით დაკისრებულ ფუნქციებს, რთულდება დევნილთა სოციალური დაცვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სხდომის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში რეალური გარღვევის მისაღწევად ხელისუფლების მხრიდან ძალისხმევის გააქტიურების აუცილებლობას, გამოითქვა უკმაყოფილება გაერო-ს შედარებითი პასიურობის გამო აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. ითქვა, რომ აფხაზეთის სტატუსისა და თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო

უფლებამოსილებათა გამიჯვნის თაობაზე დოკუმენტების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისა და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლობის თვალსაზრისით.

სხდომაზე ხაზი გაესვა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში სახალხო დიპლომატიის როლს და მასში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ფართოდ ჩართვის მიზანშეწონილებას. აფხაზ ისტორიკოსთა მიერ საქართველოს ისტორიის გაყალბებით არაერთგზის დეზინფორმაციის მცდელობასთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება აფხაზეთის თემატიკაზე საერთაშორისო კონფერენციის მომზადებისა და ჩატარების შესახებ.

აღინიშნა, რომ ჯერ-ჯერობით კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ყველა რეზერვი ბოლომდე ამოწურული არ არის. ამასთან დაკავშირებით ხაზი გაესვა აფხაზეთის საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფის გაძლიერების აუცილებლობას. ითქვა, რომ საჭიროა ამ სფეროში დიფერენცირებული მიდგომა, კერძოდ, საინფორმაციო მუშაობის წარმართვა: ა) საერთაშორისო თანამეგობრობის, ბ) აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის, გ) ენგურსგამოღმა საქართველოს მოსახლეობის მისამართით.

სხდომის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ქართული მხარის პოზიციას ტყვეთა და მძევალთა პრინციპით "ყველა - ყველაზე" გაცვლას. ამასთან ერთად, პარლამენტარ ე. გვაზავას (ფრაქცია "აფხაზეთი") მიერ ითქვა, რომ მიუღებელია გენოციდში, ეთნიკურ წმენდასა და მშვიდობიანი მოსახლეობის სხვა დანაშაულში მხილებულ მძევალთა აფხაზური მხარის მიერ მძევლად აყვანილ გალის, ან აფხაზეთის სხვა ნებისმიერ ტერიტორიაზე სტიქიურად დაბრუნებულ მშვიდობიან მოსახლეობაზე საქართველოს კანონებით გაუსამართლებლად გაცვლა.

სხდომაზე კომისიის წევრ თ. ჯგუშიას მიერ ყურადღება გამახვილდა აგრეთვე დევნილთა ურთულეს სოციალურ მდგომარეობაზე. ითქვა, რომ რუსეთთან სავიზო რეჟიმის შემოღებამ შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს ეს პრობლემა.

კომისიის წევრ ჯ. გამახარიას მიერ ითქვა, რომ ბოლო პერიოდში დაფინანსება შეუწყდა გალის რაიონში ფუნქციონირებად ქართულ სკოლებს, რაც ყოვლად გაუმართლებლად იქნა მიჩნეული.

სხდომაზე გამოიკვეთა აზრი, რომ კონფლიქტის საბოლოო სამართლიანი მოწესრიგებისათვის აუცილებელია სამი ფაქტორი - საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება.

ითქვა, რომ კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის ინფორმაციულმა უზრუნველყოფამ აფხაზური მხარის მიერ მოლაპარაკებისას გონივრულ კომპრომისზე უარის თქმისა და კონფლიქტის სიაში საბოლოოდ შესვლის შემთხვევისათვის უნდა მოამზადოს საერთაშორისო აზრი გაერო-ს მიერ წესდების მე-7 თავის ასამოქმედებლად.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ მიიღო გადაწყვეტილებები:

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ვ. ლორთქიფანიძის ინფორმაცია აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების მიმდინარე ეტაპის თაობაზე.

2. აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლების, გაერო-ს, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის ძალისხმევის მიუხედავად აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში რეალური პროგრესი არ შეინიშნება, არასტაბილური რჩება ვითარება კონფლიქტის ზონაში, მწვავდება დევნილთა სოციალური საკითხები.

3. კომისია თვლის, რომ აუცილებელია კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების პროცესისათვის ახალი იმპულსის მიცემა, რაც შესაძლებელია ჟენევის ფორმატში ჩართული მხარეების გააქტიურებით და მათი მხრიდან კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის კონსერვაციაში დაინტერესებულ მხარეებზე ზეწოლის გაძლიერებით.

4. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ე. შევარდნაძეს, სახელმწიფო მინისტრს ბატონ ვ. ლორთქიფანიძეს:

ა). აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე აღმასრულებელი სტრუქტურებისა და დროებითი საპარლამენტო კომისიის კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს:

- ჟენევის ფორმატით მიმდინარე მოლაპარაკებებში აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წარმომდგენლობის ჩართვას;

- აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე დოკუმენტების პროექტებზე მუშაობისას დროებითი კომისიის წინადადებების განხილვას;

- საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის პირობებში თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებათამოსილებათა გამიჯვნის მოსამზადებელ სამუშაოებში საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლებისა და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლობის ჩართვას;

ბ). მიმდინარე წლის აპრილში დაგეგმილ დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა სამიტზე საქართველოს მიერ წარსადგენ დოკუმენტებში აფხაზეთის

კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა არსებითად შეუსრულებლობის დაფიქსირება,

გ). კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში რუსეთის, როგორც ხელშემწყობი მხარის, შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოსაყენებლად საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მოსკოვში კონტაქტების ინტენსიფიკაცია:

- თავდაცვისა და უშიშროების სამონისტროს ხაზით;
- საგარეო საქმეთა სამინისტროს ხაზით;
- უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ხაზით;

აგრეთვე კოლექტიური სამშვიდობო ძალების ხალმძღვანელობასა და გაერო-ს მეთვალყურეთა სამხედრო დამკვირვებლებთან.

დ). კონფლიქტის ზონაში შექმნილი არასტაბილური ვითარების გათვალისწინებით დამატებითი ღონისძიებების გატარება ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის შენარჩუნებისა და სამშვიდობო პროცესის ბუნებრივი განვითარებისათვის.

5. კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფის არსებითად ახალ დონეზე გაშლა, რამაც საერთაშორისო საზოგადოებრიობას თვალნათლივ უნდა დაანახოს საქართველოს ხელისუფლების მიზანმიმართული ძალისხმევა და მისი მზადყოფნა კონფლიქტის მშვიდობიანი და სამართლიანი მოწესრიგებისათვის, ასევე სეპარატისტული რეჯიმის მიერ გონივრული კომპრომისების მიუღებლობა, ქართული მხარის კეთილი ნებისა და სამშვიდობო პროცესის ფაქტიური იგნორირება, რამაც აფხაზური მხარის სიჯიუტის გამო უნდა შექმნას საერთაშორისო ფონი გაერო-ს წესდების VII თავის ასამოქმედებლად.

6. განხილულ იქნეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების, საქართველოს სახელმწიფოს ისტორიაში აფხაზეთის ადგილის, ერთიან სახელმწიფოში აფხაზეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების მიზანშეწონილობა აფხაზი მეცნიერების მონაწილეობით.

7. კომისიას მიაჩნია, რომ მიმდინარე წლის აპრილ-მაისში პარლამენტის პლენარულ სხდომაზე უნდა იქნეს განხილული აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების მდგომარეობა და შემუშავდეს კონფლიქტის ზონაში შექმნილი რეალური ვითარების ადეკვატური კონცეფცია.

8. ეთხოვოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზ. ჟვანიას, პარლამენტის ბიუროს მიმდინარე წლის აპრილ-მაისში აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების მიმდინარეობის შესახებ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვის თაობაზე.

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებიი კომისიის სხდომის
ოქმი

№ 6 **19 თებერვალი 2000 წელი**

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე ვ. ყოლბაია;

ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები: ა. ახვლდიანი, ჯ. გამახარია, დ. გადელია, გ. კალანდია, კ. კემულარია, ვ. მაღლაფერიძე, გ. სანიკიძე;

საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: მ. ბარამიძე, ა. წოწონავა, ა.ფენდერავა, ჯ. ეზუგბაია (ფრაქციის თავმჯდომარიას მოადგილე);

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "აფხაზეთის" წევრი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. გვაძაბია;

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "აფხაზეთის" წევრი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე.გვაზავა;

აფხაზეთის ავტონომიური რესპულიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ.ცაავა;

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ვ. ვაშაკიძე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გ. ჭუმბურიძე;

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, ერთიანი სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის ფონდის თავმჯდომარე თ. კალანდაძე;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების დეპარტამენტის უფროსი ა. მატკავა;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: ე.ასტემიროვა, მ. კვარაცხელია, რ. ქარაია, შ. ხეცურიანი;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები: ე. ბერია, ბ. ნაყოფია, ნ.თოდუა, შ. წულეისკირი, ჯ. ჯანელიძე, თ. ხუბუა;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსი მ. ფარფალია;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე მ. გეგეჭკორი;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომისა და ოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ა. სანებლიძე;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დეპარტამენტების თავმჯდომარეები: ე. გავაშელი, გ. ესაკია;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქების მერები და რაიონების გამგებლები: ი. არქანია, დ. კეკელია, ვ. ნაჭყებია, ხ. გუგუჩია, გ. ჩიქოვანი, ა. ფრუიძე, გ. ლაშხია;

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას I თანაშემწე, სამდივნოს უფროსი რ. გელანტია;

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის თანამშრომლები: თ. ჭახრაკია, ვ. ქობალია. მასმედიის წარმომადგენლები.

დღის წესრიგი:

"საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონპროექტი აფხაზეთიადან დევნილი მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების თაობაზე

მოისმინე: "საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონპროექტში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების გათვალისწინების მდგომარეობის თაობაზე საქართეველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ვ. ვაშაკიძისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ბ. ნაყოფიას ინფორმაციები.

აზრი გამოთქვეს: ე. ბერიამ, ჯ. ჯანელიძემ, გ. კალანდიამ, შ. წულეისკირმა, ე. გვაზავამ, თ. ხუბუამ, ჯ. ეზუგბაიამ, დ. გადელიამ, გ. ჭუმბურიძემ, ლ.ცაავამ, მ. კვარაცხელიამ, დ. გვაძაბიამ, ვ. ყოლბაიამ.

აღინიშნა, რომ საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა შემწეობების, კომუნალური მომსახურების ხარჯებისა და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 57,970 მილიონი ლარი რაც გასულ წელს ამ მიზნებისათვის დაგეგმილი თანხის დონეზეა. მათ შორის:

1. ლტოლვილთა შემწეობები - 43,170 მილიონი ლარი;
2. ლტოლვილთა შენახვის ხარჯები
   ორგანიზებული ჩასახლების ადგილებზე - 9,656.0 მლნ. ლარი;
3. უმწეო მდგომარეობაში მყოფ ლტოლვილთა დახმრების ფონდი - 100 ათასი ლარი;

2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის მოცულობაში ცენტრალური ბიუჯეტიდან გადმოსაცემი ტრანსფერტი შეადგენს 4 მილიონ 920 ათას ლარს, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ ფინანსთა სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმებით გაწერილ 6,5 მილიონ ლარზე.

სხდომაზე ხაზი გაესვა, რომ დევნილების სოციალური დაცვის პრობლემასთან დაკავშირებით აუცილებელია პარლამენტში წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში შესაბამისი კორექტივების შეტანა და დამატებითი დაფინანსების წყაროების გამონახვა.

კერძოდ, აღინიშნა, რომ როგორც შარშან, წელსაც ბიუჯეტის პროექტში არ არის გათვალისწინებული კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა მიერ დახარჯული ელექტროენერგიის ხარჯების დაფინანსების საკითხი. ითქვა, რომ ამ მიზნისავის აუცილებელია თვეში 5 ლარის გათვალისწინებით. 118 ათასი კაცი X 5x12=7 მლნ. 80 ათასი ლარი).

დაისვა საკითხი მეტროს კოდირებული ბარათებით დევნილთა წლის ბოლომდე სარგებლობის უზრუნველსაყოფად მეტროპოლიტენისათვის დამატებით 3 მილიონი ლარის გამოყოფის თაობაზე.

აღინიშნა, რომ პარადოქსულია ასეთი მდგომარეობა, როდესაც საგადასახადო სამსახურები არ ათავისუფლებენ დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებს დაბეგვრისა და საურავებისაგან კომუნალური

მომსახურების ხარჯების დაუფინანსებლობის მიუხედავად. ითქვა, რომ ამასთან დაკავშირებით აუცილებელია სასწრაფოდ იქნეს შეტანილი ცვლილებები საგადასახადო კოდექსში.

ყურადღება გამახვილდა ცენტრალური ბიუჯეტის პროექტში, რეგიონალურ და მუნიციპალურ პროგრამებში დევნილთა შესახებ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის ასიგნებათა ოპტიმალური გათვალისწინების აუცილებლობაზე.

მწვავედ დაისვა საკითხი უმწეო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა დახმარებისათვის გათვალისწინებული თანხის 100 ათასიდან 200 ათას ლარამდე გაზრდის აუცილებლობის შესახებ. ითქვა, რომ დევნილთა ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება არ უნდა ხდებოდეს სხვა პროგრამების დაფინანსების შემცირების ხარჯზე, ვინაიდან ისინი მაინც დეფიციტურია.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ტუბერკულიოზით დაავადებულ დევნილთა მკურნალობის საკითხებზე. აღინიშნა, რომ მათი მკურნალობის პროგრამა როგორც წესი, უნდა მოიცავდეს სანატორიულ მკურნალობასაც. ამიტომ, ტუბერკულიოზით დაავადებულ დევნილთა რეაბილიტაციისათვის საჭიროდ მიჩნეულ იქნა ბიუჯეტში 300 ათასი ლარის გათვალისწინება.

ადგილზე შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, დაისვა საკითხი დევნილი ექიმებით დაკომპლექტებული წალენჯიხის სამედიცინო ამბულატორიის დაფინანსების თაობაზე, რომელიც ძირითადად დევნილებს ემსახურება.

ამასთან დაკავშირებით, რომ წლიდან წლამდე ქრონიკულად არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება თანხების ჩარიცხვა საქართველოს ინვალიდთა დეპარტამენტიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის დეპარტამენტში (გასული წლის 11 თვეში მისმა დაფინანსებამ შეადგინა სულ 7%) დაისვა საკითხი, რათა მის დაფინანსებლად გამიზნული თანხა უშუალოდ ჩაირიცხოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში, ან გამოიყოს ცალკე მუხლად.

ითქვა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ბიუჯეტში არც ერთი თეთრი არ დახარჯულა დევნილებით ჩასახლებული ობიექტების მიმდინარე რემონტისათვის, რაც გარკვეულწილად აეჭვებს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ზღუდავს მათ დაინტერესებას ამ მიმართულებით მუშაობის წარმართვისათვის.

ასევე გამოითქვა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ბიუჯეტში ვერ ხერხდება ზამთრის სეზონის პერიოდში დევნილთა უზრუნველყოფა შეშითა და სანათი ნავთით, ხოლო პრეზიდენტის მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 200 ათასი ლარის გამოყოფის თაობაზე გამოცემული ბრძანებულებები, როგორც წესი, ვერ სრულდება.

მწვავედ დაისვა საკითხი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსათვის დროებით გადმოცემულ სკოლებსა და ბაგა-ბაღებში შვიდი წლის განმავლობაში რემონტის ჩაუტარებლობისა და

სასწავლო ინვენტარის შესაძენად დაუფინანსებლობასთან დაკავშირებით. ითქვა, რომ მიუხედავად საკითხის სხვადასხვა დონეზე არაერთგზის დასმისა, ვერ მოხერხდა საბავშვო ბაღებში დევნილი ბავშვების ერთჯერადი უფასო კვების ორგანიზაცია, რაც მოითხოვს სულ 60 ათას ლარამდე დაფინანსებას. გამოითქვა უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლო წლების განმავლობაში შეუწყდა დაფინანსება ენგურგაღმა ამჟამად ურთულეს პირობებში ფუნქციონირებად ქართულ სკოლებს.

ითქვა, რომ აფხაზეთის საბაჟო დეპარტამენტიდან მიღებული საბაჟო გადასახადიდან ანაბრების გრძელვადიანი ნორმატივის 10% უნდა გადაეცეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს.

გამოითქვა თხოვნა, რათა მიმდინარე წლის ბიუჯეტში მაინც იქნეს გათვალისწინებული მეწარმნეობისა და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით პრივატიზაციისაგან მიღებული შემოსავლების გარკვეული ნაწილი, ან აღნიშნული დაფიქსირდეს სახელმწიფო ბიუჯეტი პროექტის შესაბამის მუხლებში დევნილთა ხვედრითი წილის გათვალისწინებით.

სხდომაზე დაისვა საკითხი დევნილთა დასაქმების პროგრამის რეალურად ამოქმედებასთან დაკავშირებით.

სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებზე და ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე. კერძოდ, ითქვა, რომ აფხაზეთის ტელერადიოკომპანიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მიმდინარე წლის ბიუჯეტში 50 ათასი ლარის მიზნობრივი გათვალისწინება. ითქვა, რომ დაუფინანსებლობის გამო მოსკოვში შეწყვეტილია გაზეთ "გრუზიას" გამოცემა, მაშინ, როდესაც სეპარატისტები ახერხებენ მრავალტირაჟიანი ჟურნალ-გაზეთების გამოცემას.

სხდომის მონაწილეთა აზრით აუცილებლობა მოითხოვს, რათა აფხაზეთის ბიუჯეტში გამოსაყოფი ტრანსფერტი პროექტით გათვალისწინებული 4 მლნ. 920 ათასი ლარიდან გაიზარდოს 6,5 მილიონ ლარამდე.

აღინიშნა, რომ სხდომაზე გამოთქმული რიგი ურთულესი საკითხი სცილდება დამტკიცებული დღის წესრიგის ფარგლებს. გამოითქვა მოსაზრება, პრობლემათა აქტუალობიდან გამომდინარე, მათი პარლამენტის უახლოეს სხდომაზე და საქართველოს პრეზიდენტთან სპეციალური განხილვის საგნად დასმის შესახებ.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ მიიღო რეკომენდაციები:

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ვ.ვაშაკიძისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ბ.ნაყოფიას ინფორმაციები "საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონპროექტში აფხაზეთიდან დევნილი

მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ.

2. ძირითადად გაზიარებულ იქნეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წინადადებები "საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებით.
3. დაისვას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა (ზ.სიორიძე) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე წინადადებები 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით:

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ხაზით:

3.1. კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების (118 ათასი კაცი) ელექტროენერგიით მომსახურებისათვის (სულზე 5 ლარი) ბიუჯეტის პროექტში 7.080.000 ლარის გათვალისწინების თაობაზე.
3.2. მეტროს კოდირებული ბარათებით დევნილთა წლის ბოლომდე მომსახურებისათვის პროექტში ჩადებული თანხის გაორმაგების (3.000 000 ლარი) თაობაზე.
3.3. უმწეო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა ერთდროული დახმარებისათვის გათვალისწინებული თანხის 100 ათასიდან 200 000 ლარამდე გაზრდის შესახებ.
3.4. სახელმწიფოს მიერ არადაფინანსებული დევნილებით კომპაქტურად ჩასახლებული ობიექტების დაბეგვრისა და საურავების მოხსნის შესახებ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტის შემოტანის თაობაზე.
3.5. საქართველოს პარლამენტის თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტთან (გ. წერეთელი) ერთად - ადგილობრივ ბიუჯეტში დევნილთა შენახვის ხარჯების ცალკე მუხლად გათვალისწინების შესახებ.
3.6. ტუბერკულიოზით დაავადებულ დევნილთა მკურნალობის პროგრამაში მათი სანიტარული მკურნალობის მოცვისა და პროექტის შესაბამის მუხლში ჩადებული თანხის გაზრდის შესახებ დადგენილი ნორმატივის შესაბამისად 200 ათას ლარამდე.
3.7. დევნილი ექიმებით დაკომპლექტებული წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარის სამედიცინო ამბულატორიის დაფინანსების საკითხის გადაწყვეტის შესახებ, რომელიც ძირითადში დევნილებს ემსახურება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხაზით:

3.8. პრივატიზაციისაგან მიღებული შემოსავლების გარკვეული პროცენტის აფხაზეთის ხელისუფლებისათვის მცირე ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების ინფრასტუქტურის შესაქმნელად გადაცემის თაობაზე. ან აღნიშნულის დაფიქსირება პროექტის მასალებში დევნილთა ხვედრითი წილის გათვალისწინებით.

3.9. დევნილთა დასაქმების ინფრასტრუქტურების შექმნისათვის სპეციალური ღონისძიებების დაფინანსების თაობაზე.

3.10. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად მოსკოვში გამომავალ გაზეთ "გრუზიას" დაფინანსების - (50 ათასი ლარი) თაობაზე.

3.11. გენოციდის ფონდის გაზრდის შესახებ - 600 - 700 ათას ლარამდე, მათ შორის აფხაზეთის ომის მონაწილე ინვალიდების დასაფინანსებლად - 200 ათას ლარამდე.

3.12. აფხაზეთის ტელერადიოკომპანიის დასაფინანსებლად - 50 ათასი ლარის გათვალისწინების შესახებ.

3.13. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში აფხაზეთის ინვალიდთა დეპარტამენტის დაფინანსების ცალკე მუხლად გამოყოფის შესახებ.

3.14. აფხაზეთის პრობლემის საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის პარლამენტის ბიუჯეტში აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის ხარჯების (50 ათასი ლარი) გათვალისწინების თაობზე.

3.15. აფხაზეთის პრობლემის საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის (რადიო და ტელეგადაცემები, ჟურნალი "აფხაზეთი" - 100 ათასი ლარი) შესაბამისი თანხის გათვალისწინების შესახებ

3.16. დევნილთა გამოზამთრების ხარჯების (200 ათასი) ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების შესახებ.

3.17. ფინანსთა სამინისტროს მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურებში მომუშავე ა.წ. I კვარტალში პირთა ხელფასების დავალიანების დაფარვის გრაფიკის შედგენის შესახებ.

ცენტრალური ბიუჯეტის და რეგიონული ბიუჯეტების ხაზით:

3.18. ქ. თბილისის ბიუჯეტში დევნილებით ჩასახლებული ავარიული № 2 და № 5 საავადმყოფოს რემონტისათვის 300 ათასი ლარის გათავალისწინების შესახებ.

4. მხარი დაუჭიროს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წინადადებას აფხაზეთის ბიუჯეტში გამოსაყოფი ტრანსფერტი 1,5 მილიონი ლარით გაზრდის აუცილებლობის შესახებ.

5. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი სტრუქტურების საქმიანობის კოორდინირება, წამოჭრილ პრობლემათა ოპერატიული გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად.
გადასაწყვეტად.

6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და მინისტრთა საბჭომ განიხილონ და მიიღონ გადაწყვეტილება გალის რაიონში ამჟამად 25 ქართული სკოლის დაფინანსების აღდგენის თაობაზე; (რისთვისაც აუცილებელია დამატებით 209 ათასი ლარი)

დანართი: საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებითი კომისიის წინადადებები 2000 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით - 2 ფურცელზე.

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის

ო ქ მ ი

№ 7 2 მარტი 2000 წ.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე ვ. ყოლბაია;

ესწრებოდნენ: დროებითი კომისიის წევრები: ა. ახვლედიანი, ი. ბათიაშვილი, დ. გადელია, ჯ. გამახარია, ვ. მაღლაფერიძე, გ. კალანდია, კ. კემულარია, გ. სანიკიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ვ. ხაზარაძე (კომისიის მდივანი), თ. ჯგუშია, ვ. შამილაძე, საპარლამეტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: მ.ბარამიძე, ჯ.ეზუგბაია, ა. წოწონავა, ა. ფენდერავა, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ბურჯანაძე ;

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარე ზ. შენგელია, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ლ. ალექსიძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები:. ე. ასტემიროვა, ა. გასვიანი, თ. მჟავია, რ. ქარაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. მარშანია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ვაფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრი თ. ხუბუა, ვ. თორდია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გ. ხუბუა; საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები: ი. ხაინდრავა, მ. პატარია, ა. რუსეცკი; მ. დარჯანია, პ.ზაქარეიშვილი, გ.ნიკოლაიშვილი; პოლიტოლოგები: გ. ანაჩაბაძე, ზ.პაპასქირი, ზ. შენგელია, საქართველოს პარლამენტის საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების განყოფილების გამგე ზ. მირგატია; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის

მოადგილის სამდივნოს უფროსი რ. გელანტია, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი თ. ჭახრაკია, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტი ვ. ქობალია;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გ. ხუბუას** მოხსენება აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით

მოისმინეს: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის
ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გ. ხუბუას**
მოხსენება აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ა. გასვიანმა, გ .ნიკოლაიშვილმა, კ. კემულარიამ, ი. ხაინდრავამ, ზ. პაპასქირმა, ლ. ალექსიძემ, ვ. თორდიამ, თ. მჟავიამ, პ. ზაქარეიშვილმა, მ. ბერიამ, ვ. ყოლბაიამ.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად აფხაზეთი ფედერალური ხელშეკრულების საფუძველზე შედის საქართველოს შემადგენლობაში. ხელშეკრულებაში განისაზღვრება ფედერალური ხელისუფლებისა და აფხაზეთის კომპეტენციები. ხელშეკრულება გახდება საქართველოს კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილი. საქართველოს კონსტიტუციის ამ ნაწილში ცვლილებების შეტანა მოხდება მხოლოდ აფხაზურ მხარესთან წინასწარი კონსულტაციებით და ძალაში შედის აფხაზეთის პარლამენტის მიერ მისი მოწონების შემდეგ.

პროექტის თანახმად ორივე მხარე აღიარებს, რომ ფედერალური კავშირი არის დანაწილებულის გამთლიანების და არა ერთიანის დანაწილების საშუალება. ხელშეკრულება (როგორც საქართველოს კონსტიტუციის ნაწილი) არ შეეხება ფედერალური კავშირიდან გასვლის საკითხს.

აფხაზეთის ავტონომია არ არის წარმოებული ცენტრალური სახელმწიფოს ნებისაგან. აფხაზეთს გააჩნია კონსტიტუციის დამდგენი ძალაუფლება. აფხაზეთის ხელისუფლება დაეფუძნება ლეგიტიმაციის დამოუკიდებელ წყაროს.

აფხაზეთი არის ერთიანი ქართული სახელმწიფოს წევრი და არა მისი ნაწილი (როგორც ეს ავტონომიების შემთხვევაშია). აფხაზეთის მართლწესრიგი არ არის დელეგირებული მართლწესრიგი.

ეთნიკურად აფხაზი განიხილება არა როგორც უმცირესობა, არამედ როგორც ქართული სახელმწიფოს ჩამომყალიბებებლი ერთ-ერთი ერი.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობა დაეფუძნება "ნონ-ცენტრალიზაციის" პრინციპს. თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობა არ გამორიცხავს იერარქიას, მაგრამ ამ ურთიერთობისათვის უცხო იქნება "ცენტრი - პერიფერიის" მოდელი.

ქართული მხარე ითვალისწინებს აფხაზთა რეგიონალური იდენტურობის გრძნობას, რომელიც ეფუძნება მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისაგან გამორჩეულობის შეგნებას. ქართული სახელმწიფო იქნება აფხაზთა კულტურელი თვითმყოფადობის, ენის, ისტორიის, ეროვნული იდენტურობის დაცვის გარანტი.

ხაზი გაესვა ქართული სახელმწიფოს როლს, როგორც აფხაზთა დემოგრაფიული დაცვის გარანტს. მომხსენებელმა არ გამორიცხა თანამდებობათა განაწილება აფხაზთათვის გარკვეული უპირატესობის მინიჭებით. მისი აზრით უმცირესობის კარგად ყოფნა არ ნიშნავს უმრავლესობის ცუდად ყოფნას.

გ. ხუბუას აზრით კონსტიტუციაში თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის დაფიქსირება არ არის გამართლებული. მოხსენებაში გარკვეული ადგილი დაეთმო მომავალ ორპალატიან საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის მონაწილეობის ფორმას.

მომხსენებლის აზრით ხელშეკრულებაში აფხაზეთის რეგიონალური იდენტურობის პატივისცემისა და "მრავალფეროვნების ერთიანობაში" პრინციპის დაცვასთან ერთად მხარეები აღიარებენ სახელმწიფოს ჰომოგენურობის განსაზღვრული სტანდარტების დაცვის აუცილებლობას. აფხაზეთის კონსტიტუცია უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ დემოკრატიას, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს რესპუბლიკანიზმის პრინციპებს.

საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრება კომპეტენციების განაწილების შემდეგი სისტემა: ა) ფედერალური ხელისუფლების კომპეტენციები; ბ) აფხაზეთის კომპეტენციები; გ) კონკურირებადი კომპეტენციები; დ) ერთობლივი კომპეტენციები, რომელიც კონსტიტუციით არ განეკუთვნება საქართველოს გამგებლობას, რჩება აფხაზეთის გამგებლობაში.

საქართველოს დედაქალქში - თბილისში, აფხაზეთს ეყოლება თავისი წარმომადგენლობა, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ კავშირებს ფედერალურ ხელისუფლებასა და ფედერაციის სუბიექტს შორის პოლიტიკის, მართვის, ეკონომიკის და კულტურის სფეროებში. წარმომადგენლობა, არსებითად იქნება აფხაზეთის ლობი საქართველოს დედაქალაქში. წარმომადგენლობის წევრებს უფლება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ საქართველოს პარლამენტის მეორე პალატის სამუშაო ორგანოთა საქმიანობაში.

დასასრულს გ. ხუბუამ აღნიშნა, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი მზადაა ამ საკითხებში იყოს ხელისუფლების მრჩეველი და აღნიშნულ თემას მიეცეს სათანადო დისკუსიის სახე.

სხდომის ზოგიერთი მონაწილის აზრით პროექტში არის გარკვეულწილად კონფედერაციის ნიშნები, რაც შეიძლება გახდეს ცენტრიდანული მისწრაფებების მაპროვოცირებული ფაქტორი.

გ. ხუბუას აზრით საშიშია არა წარმოდგენილი სახის ფედერაცია, არამედ ბიპოლარული (ორ სუბიექტიანი) ფედერაცია, რომლის საქმიანობა ძირითადად მიმართული იქნება ორ სუბიექტს შორის კონსენსუსის მიღწევისაკენ, რაც საბოლოოდ ხელს არ უწყობს ინტეგრაციული ტენდენციების განვითარებას.

ლ. ალექსიძის აზრით საკითხისადმი უფრო რეალური მიდგომაა საჭირო. ამ ეტაპზე არძინბასათვის სტატუსის საკითხი გადაწყვეტილია. ქართულმა მხარემ არაერთხელ გამოავლინა კეთილი ნება და შესთავაზა აფხაზებს, აგრეთვე წარუდგინა გაეროსაც საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის ძირითად პრინციპებზე წინადადებები, მაგრამ სეპარატისტული რეჟიმი მათ არ ღებულობს. საჭიროა ქვეყნის მომძლავრება, როგორც ეკონომიკურად, ასვე სამხედრო სფეროში, რათა არძინბა წავიდეს ჩვენთვის სასურველ დათმობებზე.

ი. ხაინდრავას აზრით მოხსენებაში წარმოდგენილი მოდელი კარგად არის გააზრებული. მისი ზოგიერთი დებულების მიუღებლობის მიუხედავად შესაძლებელია აღნიშნული პროექტის ბაზაზე სტატუსთან დაკავშირებით დისკუსიების გამართვა და ამ დოკუმენტის საბაზო დოკუმენტად შერჩევა.

ს. ცინცაძისა და პ. ზაქარეიშვილის აზრით შექმნილი რეალური ვითარება ქართული მხარისათვის მომგებიანი არ არის. ძალისმიერი მეთოდით პრობლემის მოგვარებისათვის ქვეყანა არც მზადაა და ამ გზით პრობლემა საბოლოოდ მაინც ვერ გადაწყდება, ხოლო მშვიდობიანი გზით მოლაპარაკებისათვის ქვეყანა უნდა იყოს თავისი ეკონომიკური მდგომარეობით მიმზიდველი, რათა აფხაზებს გაუჩნდეთ მოტივაცია ერთიან სახელმწიფოში ცხოვრებისათვის თანხმობაზე.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ვ. ყოლბაიამ.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გ. ხუბუას** მოხსენება აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით.
2. წარმოდგენილი პროექტი შერჩეულ იქნეს ერთ-ერთ საბაზისო დოკუმენტად აფხაზეთის სტატუსზე და სოხუმსა და თბილისს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის თაობაზე კომისიაში მუშაობისას.

3. კომისიის მომდევნო სხდომაზე ორი კვირის შემდეგ მოსმენილ იქნეს არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის" საქართველოს ეროვნული კომიტეტის კოორდინატორის ა. რუსეცკის ინფორმაცია აფხაზეთის სტატუსის პროექტთან დაკავშირებით.

4. აღნიშნული სხდომასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიეწოდოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის

ო ქ მ ი

№ 8 17 მარტი 2000 წ.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე ვ. ყოლბაია;

ესწრებოდნენ: დროებითი კომისიის წევრები: ა. ახვლედიანი, დ. გადელია, ჯ. გამახარია, გ. კალანდია, კ. კემულარია, ვ. მაღლაფერიძე, გ. სანიკიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ვ. ხაზარაძე (კომისიის მდივანი), ვ. შამილაძე;

საპარლამეტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: მ. ბარამიძე, ე. გვაზავა, ჯ.ეზუგბაია, ა. წოწონავა, ა. ფენდერავა;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები:. ე. ასტემიროვა, ა. გასვიანი, მ.კვარაცხელია, რ. ქარაია;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. მარშანია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ს. თუნგია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრი თ. ხუბუა;

ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკური პრობლემებისა და კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი -

მიმართულების ხელმძღვანელი ი. მაჭავარიანი;

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გ. ხუბუა;

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები: ი. ხაინდრავა, მ. პატარია, ა. რუსეცკი; მ. დარჯანია, ი. ბერიძე, გ. გაჩეჩილაძე, ნ. ლეჟავა, მ. ნაჭყებია, მ. ყუფარაძე, მ. მირზიაშვილი, ე. ადელხანოვი, ლ. თარხნიშვილი,

ზ. რუსეცკი, დ. მაღლაკელიძე, ბ. კურტანიძე, პოლიტოლოგები: გ. ანაჩაბაძე, ვ. კეშელავა, ლ. მატარაძე, ზ. შენგელია.

საქართველოს პარლამენტის საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების

განყოფილების გამგე ზ. მირგატია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი რ. გელანტია; აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი თ. ჭახრაკია, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტი ვ. ქობალია;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის" საქართველოს ეროვნული კომიტეტის კოორდინატორის **ა. რუსეცკის** მოხსენება აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით

მოისმინეს: არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის" საქართველოს ეროვნული კომიტეტის კოორდინატორის **ა. რუსეცკის** მოხსენება აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ი. მაჭავარიანმა, ი. ხაინდრავამ, ჯ. ეზუგბაიამ, ლ. მარშანიამ, გ. სანიკიძემ, ე. ასტემიროვამ, მ. კვარაცხელიამ, გ. ნიკოლაიშვილმა, მ. პატარაიამ, რ. კუპრავამ, ა. გასვიანმა, ვ. ყოლბაიამ**.**

ა. რუსცკის აზრით კონფლიქტის მოწესრიგებისათვის აუცილებელია გაანალიზდეს, რას წარმოადგენს აფხაზეთის საზოგადოება, არის თუ არა ის მონოეთნიკური. ერთა თვითგამორკვევის პრინციპი არ ვრცელდება ეთნიკური ნიშნით, ის ვრცელდება მთლიანად მოსახლეობაზე. ამ მხრივ თვით აფხაზეთშიც არ არის ერთიანი აზრი ჩამოყალიბებული. არის მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც არ სურს აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფა. მათი უფლებები ამჟამად დარღვეულია. ისინი ვერავითარ მონაწილეობას ვერ ღებულობენ კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში. აქედან გამომდინარე, ცენტრალურმა ხელისუფლებამ გარკვეულად უნდა შეცვალოს პოლიტიკა, მიაღწიოს იმას, რომ მოლაპარაკებებში ჩაერთონ ე.წ. "უნიონისტები".

აღნიშნულ ეტაპზე ა. რუსეცკის აზრით საჭიროა აფხაზეთში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ შექმნის საფუძვლებს კონფლიქტის

მოწესრიგებისათვის პირობების მომზადებისათვის. მისი აზრით, აფხაზეთის ხალხი - არის აფხაზეთის დემოკრატიული საზოგადოების სუბიექტი, აფხაზური საზოგადოება კი კონფლიქტის შედეგად იძულებით არის დაყოფილი.

მოხსენებაში ითქვა, რომ აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის ეფექტურობისათვის საჭიროა თვით მოლაპარაკებების პროცესის დემოკრატიზაცია. კონფლიქტის პოლიტიკური ან სამართლებრივი გადაწყვეტა (სისტემაში სოხუმი-თბილისი) აუცილებელია, მაგრამ მოწესრიგებისათვის არასაკმარისი პირობაა. საჭიროა ახლებური მიდგომები, მოწესრიგების ახლებური კონცეფცია, რომელიც გააფართოებს გათიშულ აფხაზეთის საზოგადოებაში პოლიტიკური ჩარჩოების საზღვრებს. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი შეუძლიათ ითამაშონ ადგილობრივმა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

აღინიშნა, რომ აფხაზეთში კონფლიქტი არის მრავალწახნაგოვანი და ის განხილული უნდა იქნეს პრობლემათა 5 დონეზე:

1. შიდა აფხაზური კონფლიქტი. 2. კონფლიქტი ცენტრსა და ავტონომიას შორის. 3. კავკასიაში არსებული კონფლიქტების ჭრილში. 4. საქართველო - რუსეთის ურთიერთობათა ჭრილში. 5. კონფლიქტი აფხაზეთში და გეოპოლიტიკა, ანუ საერთაშორისო კონფლიქტი.

შესაბამისად, მოლაპარაკებათა პროცესი წარმოებული უნდა იქნეს ყველა ზემოთ დასახელებულ ჭრილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მხარე-სუბიექტი, რომლის ინტერესებიც დარეგულირების პროცესში არასათანადოდ იქნება გათვალისწინებული, ეცდება კვლავ შექმნას ძალისმიერი ბალანსი, რაც კვლავ გამოიწვევს კონფლიქტის ესკალაციას. აღნიშნულის დასადასტურებლად მოყვანილ იქნა პარტიზანთა ჯგუფების გააქტიურების მაგალითი, რომლებიც თავიანთი მოქმედებებით კომპენსირებას უკეთებენ იძულებით გადაადგილებულ პირთა არ მონაწილეობას მოლაპარაკებათა პროცესში.

ითქვა, რომ აფხაზური საზოგადოების არაერთგვაროვნებიდან გამომდინარე აუცილებელია დაცულ იქნეს წარმომადგენლობითი პრინციპი. გამოკვეთილი უნდა იქნეს კონფლიქტის მხარეების ძირითადი ინტერსების გამომხატველი ჯგუფები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დაპირისპირების გაგრძელებაში და ის ჯგუფები, რომლებიც მზად არიან სამშვიდობო პროცესისათვის ხელის შესაწყობად.

ხაზი გაესვა, რომ მრავალვარიანტულობის უზრუნველყოფა შესაძლებელია იმ პირობებში, თუ ხელი შეეწყობა აფხაზეთის საზოგადოების რესტრუქტურიზაციას, სხვადასხვა ინტერესთა გამომხატველი ჯგუფების ინსტიტუციონალიზაციას და აფხაზეთის მომავალი სამოქალაქო საზოგადოებისათვის ნიადაგის შექმნას - ანუ "მესამე სექტორის" დაუყონებლივი მშენებლობის დაწყების პირობებში.

აუცილებელია, რათა სახელმწიფოთა ლიდერების მიერ დეკლარირებული სურვილი მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის დაემთხვეს ამ მიმართულებით რეალურ ქმედებებს. მოლაპარაკებათა პროცესი უნდა იყოს მაქსიმალურად ღია და მიმდინარეობდეს დამოუკიდებელი ექსპერტების კონტროლის ქვეშ, ანუ უნდა იქნეს დაცული "გამჭვირვალეობის" პრინციპი.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა შეცვალონ თავიანთი პოლიტიკა კონფლიქტური ზონების მიმართ და მოწესრიგების პროცესისადმი და უფრო აქტიურად დაუჭირონ მხარი არასამთავრობო დონეზე სამშვიდობო ინიციატივებს.

აუცილებელია აგრეთვე სპეციალური საერთაშორისო პროგრამების არსებობა, რომლებიც მხარს დაუჭერენ სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტურ ზონებში და კერძოდ, აფხაზეთში არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნასა და განვითარებას.

აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება უნდა დაიწყოს დაუყონებლივ და პოლიტიკური მოწესრიგებისაგან დამოუკიდებლად, რომლის თარიღის პროგნოზირება შეუძლებელია.

კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის ძალისმიერი საშუალებებით პროპაგანდა მხოლოდ გაწელავს დროში კონფლიქტის რეალურ გადაწყვეტას, ხოლო მისი ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტის ცდა გამოიწვევს კონფლიქტის სხვა სიბრტყეში ტრანსფორმაციას, სადაც მხარეთა ძირითადი მამოძრავებელი ძალა იქნება უნდობლობა და შესაძლებელი გახდება სხვადასხვა სახის ძალადობის წარმოქმნა და განვითარება, მათ შორის ისეთი სახისა, როგორიც არის ტერორიზმი.

კონფლიქტის განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია - ფსიქოლოგიური. კონფლიქტის მონაწილეთა ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეადგენს საერთო მოწესრიგების პროცესში ფუნდამენტალურ ამოცანას. აუცილებელია ნდობის აღდგენის საერთაშორისო პროგრამის შექმნა, რომელიც მიზანდასახულად და განუწყვეტლივ გატარდება ცხოვრებაში.

ითქვა, რომ ასევე აუცილებელია სამოქალაქო დონეზე კონფლიქტის მოწესრიგების მუდმივმოქმედი შერეული კომისიის შექმნა (მას შეუძლია იმუშაოს მჭიდრო კავშირში სამთავრობო დონეზე არსებულ ჯგუფთან, რომელსაც ბატონი ზურაბ ლაკერბაია ხელმძღვანელობს).

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ მოლაპარაკებათა პროცესი სამთავრობო და არასამთავრობო დონეზე უნდა მიმდინარეობდეს ავტონომიურად და პარალელურად, რაც არა მარტო უარყოფს სახელმწიფო კურსის მხარდაჭერას, არამედ გულისხმობს სახელმწიფო კურსის მხარდაჭერას კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხში ორგანიზებული საზოგადოების ფართო ფენების მხრიდან. სწორედ საზოგადოებას შეუძლია და გახდება მოწესრიგების პროცესის დაჩქარების გარანტიისა და სტაბილურობის და გარეშე ძალების მხრიდან სამშვიდობო ინიციატივების დაცვის ფაქტორი.

რეზიუმეს სახით მომხსენებელმა მოლაპარაკებათა პროცესის ეფექტურობის გაზრდის, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების დაჩქარების, აფხაზეთში დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით წამოაყენა წინადადებები:

1. დაიწყოს ოფიციალური მოლაპარაკებების პროცესი თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებასა და დევნილების წარმომადგენლებს შორის;
2. ხელი შეეწყოს უახლოეს მომავალში მოლაპარაკებების პროცესის დაწყებას სისტემაში: თბილისი - სოხუმი - სოხუმი;
3. ჩატარდეს საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც იქნება განხილული აფხაზეთიდან დევნილების პოლიტიკური უფლებების დარღვევის საკითხი, მიეცემა შეფასება არსებულ კონფლიქტს და მოლაპარაკებათა პროცესს.

ი. მაჭავარიანის, მ. პატარიას რ. კუპრავას და ზოგიერთი სხვა გამომსვლელის აზრით სტატუსთან მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე გაეროს პოზიცია არასწორად იქნა მიჩნეული, რადგანაც სტატუსის საკითხი უნდა გადაწყდეს დევნილთა აფხაზეთში უპირობო და უსაფრთხო დაბრუნების შემდეგ. სეპარატისტები უნდა დარწმუნდნენ, რომ სტატუსის საკითხში კომპრომისები არ არსებობს.

ე. გვაზავას აზრით ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების წარმართვა სტატუსთან დაკავშირებით და ფედერაციულ მოწყობაზე წასვლა შექმნის ჩეხეთ-სლოვაკეთის მაგალითის პრეცედენტს, რაც დაუშვებელია.

რ. კუპრავას აზრით უნდა გამოკვეთილად დაფიქსირდეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობანი, ბოლომდე გაცხადდეს სიმართლე. აფხაზური მხარე არავითარ კომპრომისზე არ მიდის. ჯერ უნდა მოწესრიგდეს კონფლიქტი და შემდეგ გადაწყდეს აფხაზეთის სტატუსი.

მ. ახალაიას აზრით ქვეყნის ფედერაციულ მოწყობაზე წასვლა არ არის იდეალური ნაბიჯი საქართველოსათვის, მაგრამ შექმნილ ვითარებაში იძულებულნი ვართ გადავდგათ ის.

ი. ხაინდრავას აზრით ზოგიერთი გამომსვლელი ილუზიაში იმყოფება. აფხაზეთის პრობლემა მხოლოდ მაშინ გადაწყდება, როდესაც საქართველო გახდება ძლიერი სახელმწიფო, თუ მასში ცხოვრება აფხაზებისათვის გახდება ხელსაყრელი, დღეს საქართველო ასეთი სახელმწიფო სამწუხაროდ არ არის. დრო ჩვენს წისქვილზე არ ასხამს წყალს, ჩნდება და იზრდება ახალი თაობა, რომელსაც აფხაზებთან თანაცხოვრების ტრადიცია არ გააჩნია.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ვ. ყოლბაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ა.რუსეცკის მოხსენება უშუალოდ არ იყო აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებული, მისი ხედვა აფხაზეთის კონფლიქტის გარშემო, არასამთავრობო სექტორის შესაძლებლობათა უფრო აქტიური გამოყენება კონფლიქტის მოწესრიგების ყველა სტადიაზე, კამათში გამომსვლელთა

არაერთგვაროვანი შეფასებების მიუხედავად, მეტად საინტერესოა და ბევრ საკითხში მხარდასაჭერია. მან გამოთქვა იმედი, რომ სხდომაზე წარმოდგენილი და კონფლიქტის მოწესრიგებით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან როგორც კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში, ასევე აფხაზეთის სტატუსისა და თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხებზე მუშაობაში. აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული კომისია მზად არის მათთან მჭიდრო თანამშრომლობისათვის.

სხდომამ გადაწყვიტა:

1. არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის" საქართველოს ეროვნული კომიტეტის კოორდინატორის **ა.რუსეცკის** მოხსენება მიღებულ იქნეს ცნობად.
2. გაზიარებულ იქნეს მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებები აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების მიზანშეწონილლობისა და აუცილებლობის შესახებ.
3. კომისიის მომდევნო სხდომაზე მიმდინარე წლის აპრილში მოსმენილ იქნეს აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ვ. თორდიას ინფორმაცია აფხაზეთის სტატუსის პროექტთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის გაფართოებული სხდომის

ოქმი
№9 25 აპრილი 2002 წ.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული კომისიის თავმჯდომარე ვ. ყოლბაია.

ესწრებოდნენ: დროებითი კომისიის თავმჯდომარე: ა.ახვლედიანი, დ.გადელია.

ჯ. გამახარია, ვ. მაღლაფერიძე, გ. კალანდია, კ. კემულარია, გ. სანიკიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ვ. ხაზარაძე (კომისიის მდივანი), ვ.შამილაძე;
საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: მ. ბარამიძე, დ. გვაძაბია, ჯ.ეზუგბაია, გ. ლომინაძე (ფრაქციის თავმჯდომარე), ა. წოწონავა, ო. ჭითანავა, ა.ფენდერავა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები:
ე.ასტემიროვა, ა.გასვიანი, მ.კვარაცხელია, რ.ქარაია;
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ.მარშანია;.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრი თ. ხუბუა;
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შესრულებელი გ.ხუბუა, აფხაზეთის "დევნილთა კავშირის" თავმჯდომარე მ.ბერია, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები: ნ.ნათაძე, მ.პატარაია, ა.რუსეცკი;
საქართველოს პარლამენტის საპარლამენტაშორისო ურთიერთობების განუოფილების გამგე ზ. მირგატია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი რ. გელანტია, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი თ. ჭახრაკია, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სპეციალისტი ვ. ქობალია;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარის
ვ. თორდიას ინფორმაცია აფხაზეთის სტატუსის პროექტთან დაკავშირებით

მოისმინეს: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის **ვ.თორდიას** ინფორმაცია აფხაზეთის სტატუსის პროექტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ბერიამ, ჯ. ეზუგბაიამ, მ. კვარაცხელიამ, ნ. ნათაძე, ა.გასვიანმა, გ. ხუბუამ, მ. პატარაიამ, ა. რუსეცკიმ, დ, გვაძაბიამ, ვ. ხაზარაძემ, მ.ახალაიამ, რ. ქარაიამ, გ. კალანდიამ, ლ. მარშანიამ, გ. სანიკიძემ, ა. წოწონავამ, ლ. მარშანიამ, ვ. ყოლბაიამ.
აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს აფხაზეთში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დაკანონებასა და კონსტიტუციის განსაზღვრას. მომხსენებლის აზრით საჭიროა წინასწარ იქნეს შემუშავებული

ის პოლიტიკური და სამართლებრივი ბერკეტები, რომლებშიც აფხაზეთის მთელი მოსახლეობის ინტერესები იქნება გათვალისწინებული და მათი მშვიდობიანი თანაარსებობა და ცხოვრება გახდება შესაძლებელი. მოხსენებაში ხაზი გაესვა, რომ წარმოდგენილი აფხაზეთის სტატუსის მოდელი მიზნად ისახავს აფხაზეთის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრას. პროექტის მიხედვით აფხაზეთი არის საქართველოს შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი, რომელსაც უნდა გააჩნდეს თავისი კონსტიტუცია, ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები, დროშა, გერბი და სხვა.

სტატუსი უნდა განისაზღვროს, რომ აფხაზეთის კონსტიტუცია და ყველა კანონი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, იმავდროულად აღინიშნა, რომ აფხაზეთის სტატუსით უნდა განისაზღვროს აფხაზეთის განსაკუთრებულ გამგებლობას მისაკუთვნებელი საკითხები, ითქვა, რომ საქართელოს ცენტრალური ხელისუფლებისა და აფხაზეთის უმაღლესი ხელისუფლების ერთობლივ გამგებლობაში მისაკუთვნებელი საკითხები არ უნდა წყდებოდეს აფხაზეთის უმაღლესი ხელისუფლების გარეშე. ვ.თორდიას აზრით, აფხაზეთი, როგორც საქართველოს შემადგენელი სუბიექტი, დამოუკიდებლად უნდა ამყარებდეს ურთიერთობებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეკონომიკის, სოციალურ სფეროებში. აფხაზეთი სათანადოდ უნდა იქნეს წარმოდგენილი ცენტრალური ხელისუფლების სამივე შტოში.

სხდომის მონაწილეთა შორის აზრთა სახვადასხვაობის მიუხედავად წარმოდგენილი პროექტი ძირითადად მოწონებულ იქნა ერთ-ერთ საბაზისო დოკუმენტად.

"ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის" საქართელოს ეროვნული კომიტეტის ხელმძღვანელის ა. რუსეცკის აზრით აფხაზეთის სტატუსი სამოქალაქო-საზოგადოებრივ პრინციპებზე უნდა აიგოს.

"ერთმანეთთან შეთანხმება არ გვიჭირს. აფხაზებთანაა ძნელი. რეგიონისათვის მინიჭებული უფლებები არ უნდა გახდეს ურთიერთობების კვლავ გამწვავების საფუძველ, აფხაზეთში პირველ რიგში, სტატუს-კვო უნდა აღდგეს. მაშინ აფხაზეთი საქართველოს იურისდუქციაში მოექცევა. უფლებამოსილებათა გამიჯვნაზე სწორედ ამის შემდეგ ვიმუშაოთ" - აღნიშნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საქართველოს პარლამენტის წევრმა დ. გვაძაბიამ.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია "დაბრუნების" თავმჯომარის მ. პატარაიას მხრიდან გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები პროექტთან დაკავშირებით და ითქვა, რომ ის არ იზიარებს მოსაზრებებს აფხაზეთში ქაღალდით შესვლის თაობაზე. აღინიშნა, რომ საჭიროა პრობლემის მიმართ დამოკიდებულების ძირეული შეცვლა, არძინბას ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები უნაყოფოა, ისინი უნდა დაისაჯონ.

ლ. მარშანიამ მოიწონა წარმოდგენილი პროექტი და აღნიშნა, რომ ის მთავარ და პრინციპულ საკითხებში ძირითადად ემთხვევა 1992 წელს

სოხუმში შექმნილი "აფხაზეთის ხსნის კომიტეტის" წინადადებებს, ამასთან აღინიშნა, რომ საჭიროა ძალისხმევის გააქტიურება აფხაზეთის დაბრუნებისათვის, ხოლო აფხაზეთის კონსტიტუციისა და სტატუსის საკითხები უნდა გადაწყდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც 300 ათასზე მეტი დევნილი დაუბრუნდება საკუთარ კერებს.

სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ სტატუსთან დაკავშირებით, აფხაზებშიც არ არის ცალსახა პოზიცია. არძინბას გუნდი საქართველოსთან არავითარ მოლაპარაკებათა გამართვას არ აპირებს, ვინაიდან, მათ აწყობთ დე-ფაქტო მდგომარეობა. ამასთან დაკავშირებით ითქვა, რომ სტატუსზე მოლაპარაკებები კვლავ სურვილად დარჩება, თუ ქართული მხარე მის პროექტში არ მიუთითებს ისეთ პუნქტებს, რომლებიც აფხაზებსაც დააინტერესებთ და საქართველოსთან ურთიერთობის სურვილს აღუძრავთ.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ვ. ყოლბაიამ, რომელმაც არ გაიზიარა მ. პატარაიასა და გ. სანიკიძის ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციისა და აფხაზეთში 1990 წელს მიმდინარე ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ვ. ყოლბაიამ შესთავაზა სხდომის მონაწილეებს იფიქრონ მომდევნო სხდომისათვის იმ მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფების შემადგენლობებზე, რომლებიც კონკრეტულად იმუშავებენ წარმოდგენილი წინადადებებისა და ვარიანტების შეჯერებაზე.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ გადაწყვიტა:

1. ცნოად იქნეს მიღებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის **ვ. თორდიას** ინფორმაცია აფხაზეთის სტატუსის პროექტთან დაკავშირებით.

2. მოწონებულ იქნეს ძირითადად სხდომაზე წარმოდგენილი წინადადებები აფხაზეთის სტატუსის პროექტთან დაკავშირებით და გ. ხუბუას მიერ წარმოდგენილ წინადადებებთან ერთად ჩაითვალოს ის ერთ-ერთი საბაზისო დოკუმენტად, რომლის გარშემოც გაგრძელდება მუშაობა სამუშაო ჯგუფებში.

3. გაგრძელდეს საკომისიო მოსმენები აფხაზეთის სტატუსთან და სოხუმსა და თბილისს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხებზე.

4. მომდევნო სხდომაზე მოსმენილ იქნეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ეკონომოკის, საფინანსო და საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მ. კვარაცხელიას მოხსენება აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის

ო ქ მ ი

№ 10 17 მაისი 2000 წ.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე ვ.ყოლბაია;

ესწრებოდნენ: დროებითი კომისიის წევრები: ა. ახვლედიანი, დ. გადელია, ჯ. გამახარია, ვ .მაღლაფერიძე, გ .კალანდია, კ. კემულარია, გ. სანიკიძე (კომისიის

თავმჯდომარის მოადგილე), ვ. ხაზარაძე (კომისიის მდივანი), ვ. შამილაძე;

საპარლამეტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: მ. ბარამიძე, ჯ. ეზუგბაია, გ. ლომინაძე (ფრაქციის თავმჯდომარე), ა. წოწონავა, ა. ფენდერავა;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები:

ე. ასტემიროვა, მ. კვარაცხელია, თ. მჟავია, რ. ქარაია;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრი თ. ხუბუა;

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გ. ხუბუა;

აფხაზეთის "დევნილთა კავშირის" თავმჯდომარე მ. ბერია;

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები: ნ. ნათაძე, მ. პატარია, ა. რუსეცკი, პოლიტოლოგები: გ. ანაჩაბაძე, ვ. კეშელავა, ლ. მატარაძე, ზ. შენგელია.

საქართველოს პარლამენტის საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების

განყოფილების გამგე ზ. მირგატია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი რ. გელანტია, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი თ. ჭახრაკია, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტი ვ. ქობალია;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ეკონომიკის, საფინანსო და საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის **მ. კვარაცხელიას** ინფორმაცია აფხაზეთის სტატუსის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ვ. ყოლბაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აფხაზეთის მომავალი სტატუსის თაობაზე კომისიის სხდომა მეხუთედ ტარდება. კმაყოფილებით აღინიშნა განხილვებში სახელმწიფო კანცელარიის, საპარლამენტო ფრაქციების "მოქალაქეთა კავშირის". "აფხაზეთის", "ტრადიციონალისტების", "XXI საუკუნე", დამოუკიდებელ დეპუტატთა, პარლამენტს გარეთ დარჩენილი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების, არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, ფონდი "მშვიდობა, დემოკრატია და განვითარების" "თავისუფლების ინსტიტუტის" "კაუკასუს ლინკსის". კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის, დევნილთა კავშირის, აკადემიური წრეების აქტიური მონაწილეობა. გამოხატა მადლიერება ამ თანამშრომლობისათვის და გამოთქვა იმედი, რომ ეს თანამშრომლობა შემდგომშიც გაგრძელდება.

მოისმინეს: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ეკონომიკის, საფინანსო და საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის **მ. კვარაცხელიას** ინფორმაცია აფხაზეთის სტატუსის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით.

აღინიშნა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიღებით ახალი სამართლებრივი სივრცის შექმნამ თავისი რეალური ასახვა უნდა ჰპოვოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასა და აფხაზეთის სტატუსში. ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ აფხაზეთის სეპარატისტულმა რეჟიმმა 1994 წლის 26 ნოემბერს მიიღო სრულიად ახალი კონსტიტუცია, რომელიც არ გამოხატავს მთელი აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესებს, რადგანაც მიღებულია იმ დროს, როდესაც აფხაზეთიდან განდევნილ იქნა აფხაზეთის მთელი მოსახლეობის უმრავლესობა. ასეთ ვითარებაში, ამ ეტაპზე ჩვენი მხრიდან საჭიროა არა ახალი კონსტიტუციის მიღება, არამედ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1978 წლის 6 ივნისის კონსტიტუციაში არსებული რეალიების გათვალისწინებით, შესაბამისი აუცილებელი ცვლილებების შეტანა. ხოლო რაც შეეხება აფხაზეთის ახალ კონსტიტუციას, მისი მიღება უნდა მოხდეს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, მაშინ, როდესაც შესაძლებელი გახდება აფხაზეთის მთელი მოსახლეობის ნების გამოხატვა.

მ. კვარაცხელიას მიერ აფხაზეთის მომავალ სტატუსთან დაკავშირებით წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, რომ აფხაზეთი არის საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ერთეული, რომლის პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

აფხაზეთში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს კონსტუციითა და აფხაზეთის კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

აფხაზეთის კონსტიტუცია აფხაზეთის უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებს.

სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

აფხაზეთის სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია კანონით.

აფხაზეთი დამოუკიდებლად წყვეტს საკითხებს, რომელიც მის გამგებლობაში შედის.

აფხაზეთის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე.

საქართველოს გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში აფხაზეთი მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი უმაღლესი ორგანოების მეშვეობით.

აფხაზეთი თავის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, ხელს უწყობს ამ ტერიტორიაზე საქართველოს უფლებამოსილების აღსრულებას, ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებას.

აფხაზეთის სახელმწიფო ენებია ქართული და აფხაზური. აფხაზეთის ხელისუფლება ზრუნავს აფხაზური და ქართული ენების ყოველმხრივ განვითარებაზე.

აფხაზეთის ტერიტორიაზე სავალდებულოა საქართველოს კანონების შესრულება.

აფხაზეთი განსაზღვრავს რაიონულ დაყოფას და წყვეტს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

აფხაზეთის ხელისუფლების ძირითადი ორგანოებია: აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის მინისტრთა საბჭო და აფხაზეთის უზენაესი სასამართლო.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო არის აფხაზეთის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, საქართველოს კონსტიტუციითა და აფხაზეთის კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში და კონტროლს უწევს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს საქმიანობას, ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გამგებლობას მიეკუთვნება: აფხაზეთის კონსტიტუციის მიღება და მასში ცვლილებების შეტანა, კანონის მიღება და

მასში ცვლილებების შეტანა, აფხაზეთის ბიუჯეტისა და მათი შესრულების ანგარიშების დამტკიცება, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების შექმნა და გაუქმება, აგრეთვე მის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების არჩევა (დანიშვნა) და გათავისუფლება.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭო - აფხაზეთის მთავრობა - აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ქმნის აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, აფხაზეთის მინისტრებისა, დეპარტამენტების თავმჯდომარეებისა და უმაღლესი საბჭოს მიერ შექმნილი სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოების ხელმძღვანელების შემადგენლობით.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წინაშე, ხოლო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის შუა პერიოდში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭო: ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო ინტერესების, საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, იღებს ზომებს საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებით განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო უშიშროებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, წარმართავს აფხაზეთის სამინისტროების, სახელმწიფო დეპარტამენტებისა და სხვა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მუშაობას.

სასამართლო ხელისუფლება აფხაზეთში ხორციელდება მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით; სასამართლო აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოებისა და პირებისათვის; სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები; სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.

აფხაზეთის უმაღლესი სასამართლო მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოა აფხაზეთში და დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას აფხაზეთის რაიონის (ქალაქის) სასამართლოებში, სააპელაციო წესით და პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით განსაზღვრულ საქმეებს.

აფხაზეთის კანონი და სახელმწიფო ორგანოების სხვა ნორმატიული აქტები გამოიცემა აფხაზეთის კონსტიტუციის საფუძველზე და მის შესაბამისად.

აფხაზეთის კონსტიტუციის შეცვლა ხდება უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც მიიღებს უმაღლესი საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობა.

აზრი გამოთქვეს: ვ. ხაზარაძემ, გ. კალანდიამ, ა. წოწონავამ, რ. ქარაიამ, დ.გადელიამ, ე. ასტემიროვამ, თ. მჟავიამ, ზ. შენგელიამ, ჯ. ეზუგბაიამ, მ. ბერიამ, მ. პატარაიამ.

სხდომა მუშაობა შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ვ. ყოლბაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის სხდომებზე წარმოდგენილი პროექტები ძირითადი პრინციპების მიხედვით შეიძლება დაიყოს 1. საქართველოს მოწყობის უნიტარული მოდელი. 2. საქართველოს ფედერაციული მოწყობის მოდელი. 3. საერთო (სამოკავშირეო) სახელმწიფოს მოდელი. არც ერთი წარმოდგენილ პროექტთაგანი არ არის "წმინდა" თავისი შინაარსითა და ფორმით, უფრო სწორედ ისინი ურთიერთდამცავ მომენტებს შეიცავენ. არის ისეთიც, რომელიც ეთნიკური ჯგუფებისათვის მხოლოდ კულტურული ავტონომიისა და თვით მართვის ცალკეული უფლებების მინიჭებას გულისხმობს. ვ. ყოლბაიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ კონცეფციებს შორის არსებული ურთიერთგამომრიცხავი განსხვავების მიუხედავად უკვე არსებობს წინაპირობა მათ ბაზაზე სამუშაო ჯგუფის შექმნისა და შეჯერებული ერთიანი პროექტის მოსამზადებლად.

კომისიის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული საკითხისადმი დაინტერესება დიდია და არა მარტო ჩვენთან. სტატუსის საკითხი დაფიქსირდა გაეროს უშიშროების საბჭოს ა.წ. 31 იანვრის რეზოლუციასა და გაეროს გენერალური მდივნის ა.წ. 11 მაისის განცხადებაში უშიშროების საბჭოს სხდომაზე. აღნიშნულ საკითხზე ინტენსიურად მუშაობს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ბატონი დიტერ ბოდენი. საკითხით სერიოზულ დაინტერესებას იჩენენ კონფლიქტის მოწესრიგებაში ჩართული სახელმწიფოებიც. ქართული მხარე უნდა იყოს ყოველმხრივ მომზადებული, რათა ნებისმიერ დონეზე და ნებისმიერ დროს წარდგეს შეჯერებული პოზიციით, რომელიც გამომდინარეობს პირველ რიგში საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან, აფხაზეთის მთელი მოსახლეობის ინტერესებიდან და უპასუხებს საერთაშორისო ექსპერტთა მოთხოვნებს, იმავდროულად მისაღები იქნება აფხაზური მხარისათვის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიღებულია პრინციპული თანხმობა საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან საქართველოსათვის ოპტიმალურად მისაღები პროექტების შემუშავებაში ხელშესაწ.ყობად ექსპერტების მივლინების შესახებ.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ მიიღო **გადაწყვეტილება:**

1. ცნობად იქნეს მიღებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ეკონომიკის, საფინანსო და საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის **მ.კვარაცხელიას** ინფორმაცია აფხაზეთის სტატუსის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით (თან ერთვის).

2. აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობისა და თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითად პრინციპებზე მუშაობის გასაგრძელებლად შეიქმნას სათათბიროს მცირე სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: გიორგი ანჩაბაძე, მანუჩარ ახალაია, კახაბერ ბეროძე, მურმან ბერია, დავით ბერძენიშვილი, რაფიელ გელანტია, ლევან გერაძე, დავით დარჩიაშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, ვახტანგ თორდია, სიმონ კილაძე, ვაჟა კეშელავა, თემურ ლორთქიფანიძე, ლორიკ მარშანია, ირაკლი მაჭავარიანი, ზურაბ პაპასქირი, ალექსანდრე რუსეცკი, თინათინ ხიდაშელი, გიორგი ხუბუა, ზურაბ შენეგელია, დავით ლაცუზბაია, თეიმურაზ ჭახრაკია.

3. შეიქმნას აფხაზეთის სტატუსთან და თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითად პრინციპებზე მუშაობის ორი სამუშაო ჯგუფი: პირველი - ქვეყნის ფედერალური მოწყობის პრინციპების მიმართულების გათვალისწინებით (**გ. ხუბუა** - საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, **ზ. პაპასქირი** - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის კათედრის გამგე, პროფესორი, **თ.ხიდაშელი** - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, **ვ. თორდია** -აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, **ა. რუსეცკი** - "ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის" საქართველოს ეროვნული კომიტეტის კოორდინატორი, **პ. ზაქარეიშვილი** - არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი, **ჯ.ეზუგბაია -** საქართველოს პარლამენტის წევრი (აფხაზეთის განთავისუფლების პარტია), მეორე - ქვეყნის უნიტარული კლასიკური ფედერალიზმის მოწყობის პრინციპების გათვალისწინებით (პროფესორი **ლ. მატარაძე**, პროფესორი **ვ.კეშელავა, მ. ახალაია** -არასამთავრობო ორგანიზაციის "საზოგადოებრივი პროგრესის ფონდის" იურიდიული სექციის წარმომადგენელი, **რ. გელანტია** - საზოგადოებრივი ორგანიზაცია "სამურზაყანოს" წარმომადგენელი, **დ. ლაცუზბაია** - საზოგადოებრივი ორგანიზაცია "დაბრუნებას" პასუხისმგებელი მდივანი.

კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრომლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სხდომის
ოქმი
№ 11 8 ივნისი 2000 წ.

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავჯდომარე ვ. ყოლბაია

ესწრებოდნენ : საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებითი კომისიის წევრები : ა. ახვლედიანი, გ. ბოლოთაშვილი, დ. გადელია, კ. კემულარია,
ვ. მაღლაფერიძე, ვ. შამილაძე, საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: გ. ლომინაძე (თავჯდომარე), ჯ. ეზუგბაია, ე. გვაზავა, დ. გვაძაბია, დ. ჯაიანი, ა. წოწონავა , საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ჯ. გახოკიძე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ჯ. მიქელაძე, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე ს. ნოზაძე, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე თ კოღუა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ჭელიძე, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის საზღვაო განყოფილების უფროსი ბ. გაგნიძე, საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე პ. გოგიშვილი, საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის ოპერატიული სამსახურის უფროსი ი. კოპალეიშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების მინისტრი თ ხევსურიანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ლ. ნაჭყებია, ზუგდიდის გამგებელი ლ. ჭითანავა, შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი ა. თოდუა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას სამდივნოს უფროსი რ. გელანტია, საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრომლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის აპარატის თანამშრომლები : თ ჭახრაკია, ვ. ქობალია, ლ. ჯოლოგუა, ვ. ანთია.

დღის წესრიგი :

"მდ. ენგურზე ტვირთების მოძრაობის მდგომარეობისა და მისი მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ." საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის 1999 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავჯდომარემ ვ. ყოლბაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხის სხდომაზე განხილვა განაპირობა პარლამენტარ ი. ბათიაშვილის მიერ მდინარე ენგურზე ტვირთების უკანონო მოძრაობის თაობაზე გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით პარლამენტის

თავჯდომარის ბატონ ზ. ჟვანიას მიერ აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიისათვის პარლამენტის ბიუროსა და პლენარული სხდომისათვის ინფორმაციის მომზადების თაობაზე მიცემულმა დავალებამ.

აღინიშნა, რომ ამ საკითხზე აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულმა კომისიამ წინა მოწვევის პარლამენტშიც არაერთხელ გაამახვილა ყურადღება და მიღებულ რეკომენდაციებსა (1999 წლის 29 მარტი, ოქმი № 36) და გადაწყვეტილებებში (1999 წლის 17 ივნისი, ოქმი № 39) ჩამოაყალიბა საკუთარი ხედვა პრობლემის მოსაგვარებლად.

სხდომაზე ითქვა, რომ პრობლემის პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ასპექტების გათვალისწინებით კომისიის წინადადებები აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კონტროლზე იყო აყვანილი, მაგრამ სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო განვლილ პერიოდში ეფექტური ღონისძიებები მის გადასაწყვეტად არ ან ვერ გატარდა, რის შედეგადაც პრობლემამ შემდგომში გაცილებით უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, რაზედაც მიუთითებს მიმდინარე წლის 24-27 მაისსა და 5 ივნისს გაზეთებში " ახალი თაობა," "რეზონანსი," და "თუთარჩელა" გამოქვეყნებული საქართველოს პარლამენტის წევრების ი. ბათიაშვილისა და
თ. ჯგუშიას ინტერვიუები.

შექმნილი ვითარებით გამოწვეული შეშფოთება გაზიარებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2000 წლის 5 ივნისს ჩატარებულ ბრიფინგშიც.

მოისმინეს : ზუგდიდის გამგებლის **ლ. ჭითანავასა** და შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის **ა. თოდუას** ინფორმაციები "მდ. ენგურზე ტვირთების მოძრაობის მდგომარეობისა და მისი მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ". საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის 1999 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებების შესასრულებლად გაწეული მუშაობის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს : ი. კოპალეიშვილმა, ა. ლაცუზბაიამ, ბ. გაგნიძემ, გ. ბოლოთაშვილმა, თ. ხევსურიანმა, ლ. ნაჭყებიამ, დ. ჯაიანმა, თ. ჯგუშიამ, ჯ. მიქელაძემ, ჯ. გახოკიძემ, დ. გვაძაბიამ, გ. ლომინაძემ.

ინფორმაციებით გამოსულმა ზუგდიდის მერმა **ლ. ჭითანავამ** და შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა **ა. თოდუამ** აღნიშნეს, რომ განვლილი 6 თვის განმავლობაში ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების მიერ ამოღებულ იქნა 150 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი. ა.წ. 7 ივნისს ამოღებულ იქნა 100 ყუთი უაქციზო სიგარეტები "ვაისროი" და "ჰოლივუდი", რომლებიც აფხაზეთიდან შემოჰქონდათ. ჩამორთმეული სიგარეტების ფოთში გატანასა და მის იქ განადგურებასთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება აღნიშნული სიგარეტის საჯარისო ფორმირებისათვის

გადასაცემად სპეციალური ნორმატიული დოკუმენტის შემუშავების მიზანშეწონილების საკითხის განხილვის თაობაზე.

სხდომაზე კვლავ გამახვილდა ყურადღება იმაზე, რომ ზუგდიდის, წალენჯიხის შინაგან საქმეთა სამმართველოსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის კონტინგენტის რიცხობრივი შემადგენლობა ობიექტურად არ იძლევა მდინარე ენგურზე არსებული ათეულობით გადასასვლელისა და ფონის გადაკეტვის საშუალებას. უფრო მეტიც, ითქვა, რომ არაკანონიერი ტვირთების გადატანაში მონაწილეთა რაოდენობა და მათი შეიარაღება რამდენჯერმე აღემატება სამართალდამცველებისას. ამასთან ერთად ხაზი გაესვა, რომ ადგილობრივი სამართალდამცავები საჭიროებენ უფრო ქმედით დახმარებას.

პარლამენტის წევრ თ ჯგუშიას მიერ ყურადღება გამახვილებულ იქნა აღნიშნულ ოპერაციებში პარტიზანთა მონაწილეობაზე, მათ მფარველობაზე გარკვეული თანამდებობის პირთა მხრიდან და პროცესის შემდგომი თვითნებური მიშვების შემთხვევაში რეგიონში მოსალოდნელ გართულებაზე. აღინიშნა, რომ უკანონო ტვირთების მოძრაობას აფხაზეთიდან ადგილი აქვს დსთ-ის ეგიდით მოქმედი რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად ენგურის ცენტრალურ ხიდზეც, რაც ცალსახად მიუთითებს მათ მონაწილეობას და სერიოზულ დაინტერესებას აღნიშნულ ოპერაციებში.

საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" თავმჯდომარის გ. ლომინაძის მიერ სხდომაზე ხაზი გაესვა , რომ ენგურზე მიმდინარე პროცესებს გაცილებით უფრო ღრმა ფესვები გააჩნია; სეპარატისტული რეჟიმი ახერხებს თავისი კონტროლის ქვეშ მოაქციოს მდინარე ენგურზე ტვირთების მოძრაობის პროცესი და აღწევს საკუთარი ბიუჯეტის გარკვეულ შევსებას, ამონაგები თანხის ნაწილს იყენებს შეიარაღების განახლებისათვის, მაშინ როდესაც საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან ქმედითი ღონისძიებები ამ ოპერაციების სახელმწიფო კონტროლისათვის დასაქვემდებარებლად არ გატარებულა და ქვეყნის ბიუჯეტისათვის რაიმე ხელშესახები პოზიტიური შედეგი არ მოუტანია. უფრო მეტიც, კრიმინალებისა და სეპარატისტული რეჟიმის უკან დგანან გავლენიანი გარეშე ძალები, რომელთა გეგმებშიც შედის საქართველოს ეკონომიკის მიზანმიმართული დანგრევა, ქვეყნის სუვერენიტეტისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ჯ. გახოკიძის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მდინარე ენგურზე მიმდინარე პროცესები სახელმწიფოს მხრიდან მართვადი უნდა გახდეს. საჭიროა სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტილების მიღება აფხაზურ მხარესთან ეკონომიკური კავშირების მიზანშეწონილებისა და მისი ფორმების თაობაზე, აუცილებლობა მოითხოვს განისაზღვროს ამ კავშირურთიერთობების კონტროლზე პასუხისმგებელი ორგანოები (ზუგდიდის ან სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია, აფხაზეთის ლეგიტიმური, თუ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება) და მათი პასუხისმგებლობის წილი და არეალი,

უკანონო ტვირთების მოძრაობაზე კონტროლის დაწესებასა და პრობლემის გადასაჭრელად გასატარებელი ღონისძიებების მიზნით ადგილობრივი მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების, საგადასახადო და საბაჟო სამსახურების წარმომადგენელთა მონაწილეობით ადგილებზე სპეციალური ჯგუფის შექმნა, რომელიც ოპერატიულად დააყენებს ხელისუფლების წინაშე გადასაწყვეტ საკითხს. მის მიერვე დაისვა საკითხი აფხაზეთიდან გადმოტანილი ტვირთების განბაჟების ადგილად ზიგდიდის გამოცხადებისა და შესაბამისი ნორმატიული აქტის შემუშავების მიზანშეწონილების საკითხის განხილვის თაობაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ჯ. მიქელაძის მიერ ყურადღება გამახვილდა პრობლემის სირთულეზე, მისი მოწესრიგებისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ღონისძიებების კომპლექსური გატარების აუცილებლობაზე, ითქვა, რომ საკითხის გადაწყვეტაში ჩართულმა ყველა სტრუქტურამ თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს, გამოითქვა მოსაზრება სახელმწიფო დონეზე სხვადასხვა ძალოვანი და სხვა სტრუქტურის წარმომადგენელთა მონაწილეობით სპეციალური კომისიის (შტაბის) შექმნის აუცილებლობის თაობაზე, რომელიც შეიმუშავებს პრობლემის გადასაწყვეტად პოლიტიკურ, სამართლებრივ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს, დააწესებს სათანადო კონტროლს შექმნილ ვითარებაზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის თ. ხევსურიანის მიერ აღინიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მდინარე ენგურზე ბენზინის, სიგარეტის და ფერადი ლითონების უკანონო ტვირთბრუნვა მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნული დანაშაულებრივი ოპერაციების ძირითად ორგანიზატორებად გვევლინებიან პარტიზანული დაჯგუფებები, ხოლო ბოლო პერიოდში ექსპრეზიდენტის მომხრე უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ყოფილი წევრები და მათ შორის უკანასკნელ პერიოდში ხელისუფლების მიერ შემორიგებული პირები. ხსენებული პირები იმყოფებიან რა მყარ კავშირში აფხაზურ შეიარაღებული ფორმირებების წევრებთან, ორგანიზებას უკეთებენ აღნიშნული ტვირთების კონცენტრაციას გალის რაიონის ტერიტორიაზე, ხოლო შემდგომში კი მის ტრანსპორტირებას სამეგრელოს რეგიონში. ითქვა, რომ კონფლიქტის ზონაში მოქმედი ორივე მხარის კრიმინალებს სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებთან უფრო მჭიდრო კონტაქტები გააჩნიათ, ვიდრე ოფიციალურ სტრუქტურებს. დანაშაულებრივ ბიზნესში ჩართულ დაჯგუფებებს შორის ხშირია კონფლიქტური სიტუაციები გავლენის სფეროების განაწილების მიზნით. არის აღნიშნული დაპირისპირების ლოკალურ შეიარაღებულ შეტაკებებში გადაზრდის საშიშროება, რაც კიდევ უფრო გაამწვავებს რეგიონში არსებულ ისედაც დაძაბულ ვითარებას. აუცილებელია პარტიზანებისა და მათთან მიტმასნილ პირთა ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ამასთან აღინიშნა ზუგდიდში შეიარაღებულ პირთა უკანონო

მოძრაობის აღკვეთის, ენგურზე გადმოტანილი ტვირთების აღრიცხვის, მათი დაბეგვრის მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობა.

სხდომაზე სერიოზული შეშფოთება გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის, კერძოდ, საწვავის დეფიციტის გამო ქვეყნის საზღვაო-სასაზღვრო ძალებს არა აქვთ საშუალება ინტენსიურად გააკანტროლონ საზღვაო აკვატორია, რაც არ იძლევა საშუალებას "აფხაზეთის (საქართველო) ტერიტორიის ფარგლებში რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე, სოხუმის საზღვაო ნავსადგურის პორტპუნქტებსა და საზღვაო აკვატორიაში სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმის შესახებ." საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის №140 ბრძანებულების მოთხოვნათა სრულად შესასრულებლად.

სხდომის შედეგების შეჯამებისას საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავჯდომარემ ვ. ყოლბაიამ ხაზი გაუსვა, რომ შექმნილი ვითარების დასარეგულირებლად ხელისუფლების მხრიდან უახლოეს პერიოდში ერთიანი სტრატეგიის შემუშავებისა და ქმედითი ზომების მიუღებლობის შემთხვევაში არის მიმდინარე პროცესის კონტროლიდან გამოსვლის საშიშროება, რამაც შესაძლებელია კიდევ უფრო დიდი ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკას, გამოიწვიოს რეგიონში მდგომარეობის შემდგომი დაძაბვა განუჭვრეტელი შედეგებით.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნეს მიღებული ზუგდიდის გამგებლის **ლ. ჭითანავასა** და შინაგან საქმეთა სამმართველოს **ა. თოდუას** ინფორმაციები "მდინარე ენგურზე ტვირთების მოძრაობის მდგომარეობისა და მისი მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ" საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის 1999 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებების შესასრულებლად გაწეული მუშაობის თაობაზე.

2. გაზიარებულ იქნეს ბოლო პერიოდში პრესასა და პარლამენტის სხდომაზე მდინარე ენგურზე ტვირთების უკანონო მოძრაობასთან დაკავშირებით გამოხატული შეშფოთება.

3. პრობლემის პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ასპექტიდან გამომდინარე საჭიროდ ჩაითვალოს:

ა) მდინარე ენგურზე ტვირთების მოძრაობის მდგომარეობის საკითხის განხილვა

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო უშიშროების, ფინანსთა,

შემოსავლებისა და გადასახადების სამინისტროების, სახელმწიფო საზღვრის დაცვის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ხელმძღვანელთა მონაწილეობით;

ბ) საკითხის გადასაწყვეტად პოლიტიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებების შემუშავება და გატარება, უპირველესად - სპეციალური ოპერატიული შტაბის შექმნა, რომელიც შეიმუშავებს პრობლემასთან ბრძოლის ერთიან სტრატეგიას, დააწესებს ქმედით კონტროლს შექმნილ ვითარებაზე და პერიოდულად მოისმენს ინფორმაციებს გატარებული მუშაობის თაობაზე.

გ) უკანონო ტვირთების მოძრაობაზე კონტროლის დაწესებასა და პრობლემის
გადასაჭრელად გასატარებელი ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით ადგილობრივი მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების, საგადასახადო და საბაჟო სამსახურების წარმომადგენელთა მონაწილეობით ადგილებზე სპეციალური ჯგუფების შექმნა, მათი მუშაობის შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფა.

დ) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საზღვაო ძალების ნორმალური ფუნქციონირებისათვის დიზელის საწვავის დეფიციტის შევსების საკითხის გადაწყვეტა (შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღების შესაძლებლობის განხილვა, რომლის თანახმადაც დეპარტამენტს მიეცემა საზღვრის დამრღვევისაგან უკანონო საწვავის ამოღებისა და ამოღებული საწვავის ნაწილის გამოყენების უფლება).

4. უკანონო ტვირთბრუნვასთან ბრძოლის ეფექტურობის გაძლიერების ერთ-ერთ
პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვროს ეკონომიკური საშუალებების გამოყენება:
- გადმოტანილი ტვირთების აუცილებელი რეგისტრაციისა და აღრიცხვის ადგილის, ფორმისა და წესის განსაზღვრა, მათი დაბეგვრის მექანიზმების შემუშავება; აფხაზეთიდან შემოტანილი ტვირთის განბაჟების ადგილის შერჩევისა და შესაბამისი ნორმატიული აქტის გამოცემის მიზანშეწონილობის განხილვა, სამეგრელოს რეგიონიდან აფხაზეთში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიერ განხორციელებული ტვირთბრუნვის მარეგულირებული ნორმატიული აქტების შემუშავება (საქართველოს ფინანსთა, იუსტიციის სამინისტროები, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები);

- მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით ყველა სხვა გზით გადაადგილებული ტვირთისა და საქონლის ამოღების (სტაციონალური საკონტროლო გამშვები პუნქტებისა და მოძრავი საგუშაგოების შექმნის) საკითხის განხილვა;

- ამოღებული უაქციზო სიგარეტების განადგურების ნაცვლად მათი საჯარისო
ფორმირებებისათვის გადაცემის ან სხვა ჰუმანიტარული მიზნით გამოყენების შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნის შესაძლებლობის საკითხის განხილვა.

5. აღნიშნული გადაწყვეტილებები მოხსენდეს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბიუროს.

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დახურული სხდომის

ო ქ მ ი

№ 12 **30 ივნისი 2000 წ.**

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე ვ.ყოლბაია;
ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები: ა.ახვლედიანი, დ.გადელია, გ.კალანდია, კ.კემულარია, ვ.მაღლაფერიძე, გ.სანიკიძე, ვ.შამილაძე;
საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთი" წევრები: გ. ეზუგბაია, ე. გვაზავა, ა.მარშანია, ა. წოწონავა, ა. ფენდერავა; საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მ. კაკაბაძე; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე პირველი თანაშემწე - სამდივნოს უფროსი რ. გელანტია; აფხაზეთს პრობლემებთანაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტები: თ. ჭახრაკია, ვ. ქობალია; საქართველოს პარლამენტის პრეს-სამსახურის წამყვანი სპეციალისტი
მ. .ნოზაძე.

დღის წესრიგი:

საქარველოს განსაკუთრებული საქმეთა მინისტრის **მ. კაკაბაძის** ინფორმაცია ა.წ. 27 ივნისს ქ.სოხუმში აფხაზურ მხარესთან გამართული შეხვედრების თაობაზე

მოისმინეს: საქარველოს განსაკუთრებული საქმეთა მინისტრის **მ. კაკაბაძის** ინფორმაცია ა.წ. 27 ივნისს ქ.სოხუმში აფხაზურ მხარესთან გამართული შეხვედრების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: კ. კემულარიამ, გ. კალანდიამ, ჯ. ეზუგბაიამ, ა.წოწონავამ, ე. გვაზავამ.

აღინიშნა, რომ საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დიტერ ბოდენის ხელშეწყობით 27 ივნისს ქ. სოხუმში შედგა საქართველოს განსაკუთრებული საქმეთა მინისტრის მ.კაკაბაძის შეხვედრები ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ვ. ცუგბასთან, აგარეო საქმეთა მინისტრ ს. შამბასთან და ვ. არძინბას პირად წარმომადგენელთან ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში, აფხაზეთის გენერალურ პროკურორ ა. ჯერგენიასთან.

იმის გამო, რომ მ. კაკაბაძისათვის ეს სოხუმში მისი პირველი ვიზიტი იყო, შეხვედრები ძირითადად გაცნობის ხასიათს ატარებდა. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს არ უსაუბრიათ აფხაზეთის მომავალ პოლიტიკურ სტატუსსა და ენგურის ხიდზე შექმნილ მდგომარეობაზე, განხილულ იქნა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც აუცილემლად უნდა წამოიწიოს წინ სოხუმში 16 ივლისს ქართულ-აფხაზური მოწესრიგების საკოორდინაციო საბჭოს მორიგ სხდომაზე. საუბარი შეეხო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების, გუდაუთიდან რუსეთის სამხედრო ბაზის დაგეგმილი გაყვანის საკითხებსაც.

სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი თავიანთი საცხოვრებელ ადგილებში დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების მყარი მექანიზმების შექმნისა და თვით დაბრუნების შეუქცევადი პროცესის დაწყების აუცილებლობას. განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ის კატეგორიული წინააღმდეგი იქნება უსაფრთხოების მყარი საერთაშორისო გარანტიების გარეშე აღნიშნული პროცესის დაწყებისა. ითქვა, რომ ეს არის უპირველესი პირობა, რომლის პარალელურადაც უნდა მიმდინარეობდეს ერთიანი საქართველოს ფარგლებში აფხაზეთის მომავალ პოლიტიკურ სტატუსზე მუშაობა, აფხაზეთის ეკონომიკური და პოლიტიკური რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელება.

ყურადღება მიეპყრო საერთაშორისო ძალისხმევის გააქტიურების აუცილებლობას, ქვეყნის მოწყობის იმ მოდელის შემუშავებას, რომელიც მიმზიდველი იქნება ცენტრიდანული მიდრეკილების მქონე ძალებისათვის, ასევე რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობაში არსებული სირთულეების დაძლევას.

სხდომაზე (მ. კააბაძე, ვ. ყოლბაია, გ. კალანდია, კ. კემულარია) აღინიშნა აფხაზურ მხარესთან ეკონომიკურ ურთიერთობათა მნიშვნელობაზე, როცა ის ყოველმხრივ იქნება გათვლილი პოლიტიკური მიზანშეწონილების თავლსაზრისით და მასში პრიორიტეტულ მონაწილეობას მიიღებენ იძულებით გადაადგილებული და დევნილი მოქალაქეები, მეწარმეები და ბიზნესმენები, ხელი შეეწყობა მოსახლეობის დაბრუნებას და მათი რეაბილიტაციას.

ითქვა, რომ სიხუმის ამჟამინდელ ხელისუფლებასთან, ადრე მიღწეული არაერთი მორიგება და ხელშეკრულება, როგორც წესი, აფხაზური მხარის მიერ ცალმხრივად დაირღვა, ამდენად სხდომის მონაწილეთა უმრავლესობის აზრით იზოლიაციის საბოლოო მოხსნა, გამჭოლი სატრანსპორტო კომუნიკაციების ამოქმედება, მრავალმხრივი შეუზღუდავი ეკონომიკური ურთიერთობანი უნდა განხორციელდეს დევნილთა მშობლიურ ადგილებში ეტაპობრივი დაბრუნების სინქრონულად და სრული მასშტაბით დასრულდეს კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგების შემდეგ.

ამასთან დაკავშირებით ხაზი გაესვა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ აფხაზურ მხარესთან ეკონომიკურ ურთიერთობათა სტრატეგიასთან დაკავშირებით მკაფიო პოზიციის ჩამოყალიბების აუცილებლობას, რათა თავიდან იქნეს აცილებული აფხაზეთში უცხოეთის ქვეყნების საფინანსო-ეკონომიკური და სხვა სახის ექსპანსიის შესაძლებლობა.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ნდობის ფაქტორის გარღმავების აუცილებლობასთან დაკავშირებით ჩაითვალა, რომ საჭიროა მხარდაჭერილ იქნეს პირდაპირი დიალოგები ენგურსგაღმა და ენგურსგამოღმა მოსახლეობის შორის, დამყარდეს ინტენსიური კონტაქტები მესამე სექტორის მონაწილეობით უშუალოდ კონფლიქტის ზონაში, ან ქვეყნის ფარგლებში.

გამოითქვა მზადყოფნა აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის, საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთისა" და აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების საქართველოს განსაკურებულ საქმეთა მინისტრთან მჭიდრო თანამშრომლობისათვის.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ მიიღო გადაწყვეტილებები:

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მ. კაკაბაძის ინფორმაცია ა. წ. 27 ივნისს ქ. სოხუმში აფხაზურ მხარესთან გამართული შეხვედრების თაობაზე.

2. კომისია გამოხატავს კმაყოფილებას საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს სახით კონფლიქტების მოწესრიგების პროცესის მაკოორდინებელი ორგანოს შექმნასთან დაკავშირებით და თვლის, რომ უნდა დაჩქარდეს სამინისტროს დებულების შემუშავება, მისი დაკომპლექტება კვალიფიციური კადრებით, აგრეთვე - სამინისტროს აპარატისათვის აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნა.

3. კომისია კვლავ აფიქსირებს თავის პოზიციას კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში აფხაზურ მხარესთან პირდაპირი კონტაქტების დამყარების, ორმხრივი და მრავალმხრივი დიალოგების გაღრმავების მიზანშეწონილებისა და აუცილებლობის თაბაზე.

4. კომისია თვლის, რომ ქართულმა მხარემ უნდა გააგრძელოს მცდელობა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში მონაწილე სუბიექტების პარიტეტულობის შესახებ და ეტაპობრივად მიაღწიოს ჟენევის პროცესის საკოორდინაციო საბჭოსა და მის მუშა ჯგუფებში აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისა და დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა მონაწილეობა.

5. კომისიას მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააქტიუროს ძალისხმევა რუსეთის ფედერაციის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, მაქიმალურად გამოიყენოს ამჟამად იქ მიმდინარე პროცესები აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგებაში გარღვევის მისაღწევად.
პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა ჩითვალოს დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა მომავალ სამიტზე აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებისა და სამშვიდობო პროცესის გასააქტიურებლად სიტუაციის შემზადება.

6. აღნიშნავს რა აფხაზეთის პრობლემების მოწესრიგების საკითხში გაერო-ს, ეუთო-ს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიო თანამეგობრობის როლს, კომისია თვლის, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, საგარეო საქმეთა სამინისტროს, განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის ძალისხმევა მიმართული უნდა იქნეს აღნიშნულ პროცესში ამ ორგანიზაციათა როლის მნიშვნელოვნად გასაძლიერებლად. ამ მიზნით:

ა) განხილულ იქნეს საკითხი ჟენევის ფორმატის ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით ქართულ-აფხაზური ურთიერთობების იურიდიულ-სამართლებრივი ასპექტებისა და კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივის საკითხებზე მიმდინარე წლის ბოლომდე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის მიზანშეწონილებისა და საშუალების საკითხი;

ბ) იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო დაბრუნებისათვის, აგრეთვე გალის რაიონში ამჟამად მცხოვრები მოსახლეობისათვის უსაფრთხოების პირობების შექმნის, მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვის უზრუნველყოფის მყარი გარანტიების შესაქმნელად, მომზადდეს საკითხი ამ ძალების სხვა საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლებისა და მათი რეალიზაციისათვის

შესაბამისი მექანიზმების შემუშავების თაობაზე, მათ შორის - ამ ეტაპზე გალის რიონის ტერიტორიაზე (ძველ საზღვრებში) საერთაშორისო საპოლიციო ძალების (თუნდაც დსთ-ს) განთავსებისა და იქ საერთაშორისო კონტროლის ქვეშ დროებითი (გარდამავალი) შერეული ადმინისტრაციის შექმნის შესახებ;

გ) დაისვას საკითხი გაერო-ს უშიშროების საბჭოს წინაშე გაერო-ს სამხედრო მეთვალყურეთა მისიის საქმიანობის ტრანსფორმაციისა და აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე მოქმედების ზონის გაფართოების თაობაზე; შემუშავდეს გაერო-ს მეთვალყურეთა დაცვის უხრუნველყოფი მექანიზმები.

დ) გატარდეს დამატებითი ღონისძიებები სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გასაწევად, დეპარტამენტის მიერ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად სეპარატიზმის იზოლაციის თაობაზე დსთ-ს ქვეყნების ხელმძღვანელთა ალმა-ათის, მინსკისა და მოსკოვის სამიტებზე მიღებულ გადაწყვეილებათა, აგრეთვე აღნიშნულ საკითხებზე საქართელოს პრეზიენტის 1996 წლის 31 იანვარს №140 ბრძანებულების მოთხოვნათა სრულად შესასრულებლად.

7. კომისიის კვლავ მიაჩნია, რომ ხელმოსაწერი დოკუმენტების "შეთანხმება მშვიდობისა და შეიარაღებული შეტაკების აღკვეთის გარანტიების შესახებ" და ოქმის "გალის რაიონში დევნილთა დაბრუნებისა და ეკონომიკის აღდგენის შესახებ" პროექტებთან დაკავშირებით, რომ:

ა) უზრუნველყოფილ უნდა იქნეს აღნიშნული დოკუმენტების საბოლოო ვარიანტების მომზადებაში აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის, საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთისა" და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობა;

ბ) ოქმისა და შეთანხმების პროექტებში უპირველეს ყოვლისა, ცალსახად უნდა დაფიქსირდეს დევნილთა თავიანთი საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო და უპირობო დაბრუნების მყარი გარანტიები;

გ) აფხაზეთში რეალურად არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მიზანშეუწონლად ჩაითვალოს ამ ეტაპზე სეპარატისტული რეჟიმის იზოლაციის შესახებ დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა 1996 წლის 19 იანვარს გადაწყვეილების არსებითი შეცვლა;

დ) ადრე აფხაზურ მხარესთან ხელმოწერილი დოკუმენების მხარეთა მიერ თავისუფალი ინტერპრეტირებისა და მსგავსი ფაქტების შემდგომში

გამოსარიცხად ზემოაღნიშნული ოქმისა და შეთანხმების ხელმოწერის აუცილებელ წინაპირობად ჩაითვალოს მათი სათანადო დონეზე საერთაშორისო ექსპერტიზა.

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის და საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" ერთობლივი სხდომის

ო ქ მ ი

№ 13 1 აგვისტო 2000 წ.

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე ვ .ყოლბაია;

ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები: ა. ახვლედიანი, დ. გადელია, ჯ. გამახარია კ. კემულარია, ვ. მაღლაფერიძე, გ. სანიკიძე, ვ. შამილაძე

საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: გ. ბარამიძე, დ. გვაძაბია, ჯ. ეზუგბაია, გ. ლომინაძე, ა. მარშანია, თ. ნადარეიშვილი, ა. წოწონავა, ა. ფენდერავა;

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს სამდივნოს უფროსი რ. გელანტია, აფხაზეთის რობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი თ.ჭახრაკია, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომიის სპეციალისტი ვ.ქობალია;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

"მშვიდობისა და შეიარაღებული შეტაკების აღკვეთის გარანტიების შესახებ შეთანხმებისა" და "გალის რაიონში დევნილთა დაბრუნებისა და ეკონომიკის აღდგენის შესახებ ოქმის" პროექტების თაობაზე

მოისმინეს:. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარის **ვ. ყოლბაიას** ინფორმაცია "მშვიდობისა და შეიარაღებული შეტაკების აღკვეთის გარანტიების შესახებ

შეთანხმებისა" და "გალის რაიონში დევნილთა დაბრუნებისა და ეკონომიკის აღდგენის შესახებ ოქმის" პროექტებთან (თან ერთვის) დკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: თ. ნადარეიშვილმა, ჯ. ეზუგბაიამ, ა. ახვლედიანმა, ა.წოწონავამ, მ. ბარამიძემ, ა. მარშანიამ, ა. ფენდერავამ, დ. გადელიამ, ჯ.გამახარიამ, გ. ლომინაძემ, ვ. ყოლბაიამ

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი სახით აღნიშნული დოკუმენტების პროექტების ხელმოწერა ქართული მხარის მიერ კატეგორიულად მიუღებელია, ვინაიდან დოკუმენტებში ჩედებული მუხლები ხელყოფენ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ყველა დონეზე არაერთგზის აღიარებულ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის სუვერენიტეტს, ვერ უზრუნველყოფენ გალის რაიონში (ძველი საზღვრები) დევნილთა ორგანიზებული დაბრუნებისათვის აუცილებელი უსაფრთხოების პირობების შექმნას, ფაქტიურად ლეგიტიმური ხელისუფლებისა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტის რანგში აჰყავთ სეპარატისტული რეჟიმი, შეუსაბამობაში მოდიან "აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების ძირითად დებულებებთან.

სხდომაზე ითქვა, რომ შეიარაღებულ შეტაკებათა განუახლებლობა, ანუ უსაფრთხოების გარანტიების შექმნა აფხაზური მხარის სისხლხორცეულ ინტერესებშია, რამეთუ გამარჯვებული რეჟიმი ცდილობს დააკანონოს ძალადობით მიღწეული, ქმნის პირობებს დამოუკიდებლობის გაფორმებისა და მისი განმტკიცებისათვის, ამთავრებს აფხაზეთში დარჩენილი და დაბრუნებული მოსახლეობის წინააღმდეგობის დათრგუნვას, იქმნის პირობებს "ენგურგაღმა მეზობელ ქვეყანასთან" კეთილმეზობლური დამოკიდებუ-ლებებისა და ეკონომიკური თანამშრომლობისათვის.

პროექტების ხელმოწერა წარმოდგენილი ვარიანტით შეიცავს რეალურ საფრთხეს, რათა აფხაზურმა მხარემ საერთაშორისო თანმეგობრობის, რუსეთის ფედერაციის ხელდასმით მიიღოს ისეთი გარანტიები, რომლებიც ხელ-ფეხს გაუხსნის მას გაამკაცროს მოთხოვნები და შემდგომ შეხვედრებზე არა მხარის, არამედ სახელმწიფოს (თუნდაც აუღიარებელი) წარმომადგენლის სტატუსი მოითხოვოს, ან საერთოდ უარი თქვას მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე.

გამომსვლელთა ერთმა ჯგუფმა აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უზრუნეველსაყოფად აუცილებელია, რომ პროექტში დაფიქსირდეს საოქმო შეთანხმების დროებითი, გარდამავალი ხასიათი, როგორც საშუალება კონფლიქტის სრულმაშტაბიანი მოწესრიგების

უხრუნველსაყოფად, ანუ ამ მოწესრიგებისათვის ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად.

ითქვა, რომ აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებების პროცესი უნდა გაგრძელდეს. ამასთან ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია სამართლებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით გათვლილ გარკვეულ გონივრულ კომრომისებზე წასვლაც.

იმავდროულად სხდომაზე წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით გამოითქვა დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოსაზრებები: პირველი - აღნიშნული დოკუმენტის სრული იგნორირებისა და მათზე შემდგომი მუშაობის უაზრობის (თ. ნადარეიშვილი, ჯ. ეზუგბაია, ა. ფენდერავა, ა.წოწონავა, მ. ბარამიძე) და მეორე - პროექტებზე მუშაობის გაგრძელებისა და საკუთარი წინადადების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის (ვ. ყოლბაია, გ. ლომინაძე, დ. გადელია, ა. მარშანია, ა.ახვლედიანი) თაობაზე.

სხდომის მონაწილეთა აზრით ოქმისა და შეთანხმების პროექტებში ცალსახად უნდა დაფიქსირდეს დევნილთა საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო დაბრუნების მყარი გარანტიები, გამოითქვა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ დოკუმენტებში კვლავ ფიგურირებს დევნილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნების თაობაზე მოსკოვის 1994 წლის 4 აპრილის ოთხმრივი შეთანხმების მე-3 პუნქტი შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე პირთა იმუნიტეტთან დაკავშირებით.

სხდომის მონაწილეებმა ოქმის პროექტის მე-4 მუხლთან დაკავშირებით გამოთქვეს შენიშვნა იმის გამო, რომ მასში არ არის მკაფიოდ განსაზღრული გალის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების შტატების დაკომპლექტების მექანიზმი, უფრო მეტიც, სრულიად გაურკვეველია აღნიშნულ პროცესში ქართული მხარის მონაწილეობის ხარისხი.

აფხაზეთში ამჟამად რეალურად არსებული ვითარებიდან გამომდინარე სხდომის მონაწილეებმა მიზანშეუწონლად ჩათვალეს სეპარატისტული რეჟიმის იზოლაციის შესახებ დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა 1996 წლის 19 იანვარს გადაწყვეტილების არსებითი შეცვლა, გამოითქვა გაკვირვება საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ბ. ჯიქიას განცხადებასთან დაკავშირებით აფხაზურ მხარესთან ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების გახსნის მიზანშეწონილობის თაობაზე, ითქვა, რომ აღნიშნულ ნაბიჯზე წასვლა (მდ. ფსოუზე სარკინიგზო სასაზღვრო რეჟიმის გარკვეული შერბილება) შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებებისას მიღწეული იქნება დევნილთა დაბრუნების, ქართული მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მყარი გარანტიები, მათი ელემენტარული უფლებები, გალის რაიონის (ძველ

საზღვრებში) შერეული ადმინისტრაციის ფორმირების შემთხვევაში და დევნილთა ორგანიზირებული დაბრუნების პროცესისათვის მყარი და შეუქცევადი ხასიათის მიცემის პირობებში.

ოქმისა და შეთანხმებების ხელმოწერის აუცილებელ წინაპირობად ჩაითვალა და ხელშემწყობთა მხრიდან დოკუმენტებში ჩადებული მუხლების თავისუფალი ინტერპრეტირების გამოსარიცხავად, რასაც დღემდე აქვს ადგილი - მოსკოვის 1994 წლის 4 აპრილის ოთხმრივი შეთანხმების მე-3 პუნქტთან დაკავშირებით.

სხდომის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს ის ფაქტი, რომ მათ მიეცათ საშუალება წინასწარ გაცნობოდნენ აღნიშნული დოკუმენტების პროექტებს და გამოეთქვათ მათ შესახებ საკუთარი შენიშვნები და წინადადებები.

ითქვა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ აუცილებელია აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე დოკუმენტების მომზადების ადრეულ ეტაპზე საპარლემენტო ფრაქცია "აფხაზეთის", საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წევრებისა და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სტრუქტურების წარმომადგენელთა მონაწილეობის უზრუნველყოფა.

ქ. თბილში ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისრის ხოსე ალვარო-ჰილ რობლესის ვიზიტთან დაკავშირებით გამოითქვა სერიოზული სინანული იმის გამო, რომ ვიზიტის დროს არ შედგა მისი შეხვედრები საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის", აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიისა და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რამაც სხდომის მონაწილეთა აზრით შესაძლოა იმოქმედოს აფხაზეთის კონფლიქტის თაობაზე მის მიერ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპის საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომისთვის წარდგენილი მოხსენების ხარისხზე და ობიექტურობაზე.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ მიიღო გადაწყვეტილებები:

1. კომისიის და ფრაქციის წევრებმა განაგრძონ მუშაობა წარმოდგენილი დოკუმენტების პროექტებზე და ა.წ. 3 აგვისტოსათვის კომისიას წარუდგინონ საკუთარი შენიშვნები და წინადადებები პროექტების თითოულ მუხლთან დაკავშირებით.

   წარმოდგენილი წინადადებების ბაზაზე შეიქმნას დოკუმენტთა საბოლოო პროექტები და წარედგინოს იგი მოლაპარაკებებში მონაწილე ქართულ მხარეს.

2. კომისია თვლის, "მშვიდობისა და შეიარაღებული შეტაკებების აღკვეთის განხორციელების შესახებ შეთანხმებისა" და "გალის რაიონში დევნილთა დაბრუნებისა და ეკონომიკის აღდგენის შესახებ ოქმის" პროექტებთან დაკავშირებით, რომ ისინი უნდა ითვალისწინებდნენ გაერო-ს რეზოლუციებისა და ეუთო-ს ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბოლის სამიტების ძირითად დებულებებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ადამიანებისა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებისა და თავისუფლების საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვის თაობაზე.

3. ეთხოვოს დროებითი კომისიისა და საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრ ა. ახვლედიანს ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივ წარმომადგენელ ლ. ღოღობერიძესთან ერთად ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარ ხოსე ალვარო-ჰილ-რობლესთან ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე აფხაზეთის საკითხის განხილვის წინაპერიოდში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლების შეხვედრის ორგანიზაციაში ხელშეწყობა.

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიისა და საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" ერთობლივი სხდომის ოქმი

№ 14 5 აგვისტო 2000 წ.

სხდომას უძღვებოდა : საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავჯდომარე ვ. ყოლბაია;
ესწრებოდნენ : დროებითი კომისიის წევრები : **ა.** ახვლედიანი, დ. გადელია, ჯ. გამახარია, ვ. მაღლაფერიძე, კ. კემულარია, ვ. შამილაძე, საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის წევრები: მ. ბარამიძე, ჯ. ეზუგბაია, გ. ლომინაძე, ა. მარშანია, ა. წოწონავა, ა. ფენდერავა, საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მ. კაკაბაძე; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის მოადგილე კ. ჯაჭვლიანი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის მოადგილეები : რ. გერგედავა, მ. დგებუაძე; საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი რ. გელანტია; აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი თ. ჭახრაკია;

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სპეციალისტი ვ. ქობალია; საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს მუშაკები : ლ. გერაძე, ნ. დარჩია;

დღის წესრიგი:

"მშვიდობისა და შეიარაღებული შეტაკებების აღკვეთის გარანტიების შესახებ შეთანხმებისა" და "გალის რაიონში დევნილთა დაბრუნებისა და ეკონომიკის აღდგენის შესახებ ოქმის" პროექტების თაობაზე შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ.

მოისმინეს : საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის **მ. კაკაბაძისა** საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოადგილის, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავჯდომარის **ვ. ყოლბაიას** ინფორმაციები "მშვიდობისა და შეიარაღებული შეტაკებების აღკვეთის გარანტიების შესახებ შეთანხმებებისა" და "გალის რაიონში დევნილთა დაბრუნებისა და ეკონომიკის აღდგენის შესახებ ოქმის" პროექტების თაობაზე შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ა. წოწონავამ, ჯ. ეზუგბაიამ, გ. ლომინაძემ, ჯ. გამახარიამ, კ. ჯაჭვლიანმა, რ. გერგადავამ;

აღინიშნა, რომ აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულმა დროებითმა კომისიამ და საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთმა" წარმოდგენილი დოკუმენტებისადმი ძირითადად ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვის მიუხედავად, რაც დაფიქსირდა ა. წ. 1 აგვისტოს ერთობლივი სხდომის ოქმში და ფრაქციის წევრთა ჯგუფის პარლამენტის თავჯდომარის მოადგილის, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარის სახელზე წერილში (თან ერთვის), შეიტანეს გარკვეული შენიშვნები და წინადადებები ორივე პროექტში (თან ერთვის - დანართი №1 და დანართი №2).

მნიშვნელოვანი ხასიათის კორექტივები აღნიშნულ პროექტში შეტანილ იქნა საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროშიც საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და სხვა დაინტერესებულ უწყებათა მიერ წარმოდგენილი წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით.

სხდომაზე შედგა კომისიისა და ფრაქციის, აგრეთვე განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული ვარიანტების მუხლობრივი განხილვა და მათი შესაძლებლობის ფარგლებში შეჯერება. (შეჯერებული ვარიანტები თან ერთვის - დანართი № 3 და დანართი № 4).

სხდომაზე გამოითქვა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებათა მრავალწლიან მარათონში მიზეზთა გამო ქართული მხარე ყოველთვის იძულებული ხდება წავიდეს ცალმხრივ დათმობებზე, რაც აფხაზურ მხარეს აძლევს საშუალებას ნაბიჯ-ნაბიჯ შეიქმნას წანამძღვრები

აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობისაკენ. (აღნიშნულ მოსაზრებებს კატეგორიულად არ დაეთანხმა განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მ. კაკაბაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ საერთაშორისო ფონზე უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე პროცესები აღნიშნულის საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მსოფლიო თანამეგობრობა არ დაუშვებს აფხაზეთის საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარებას. პირიქით, სტამბოლის 1999 წლის 17-18 ნოემბრის სამიტის გადაწყვეტილებებისა და გაეროს ა. წ. 28 ივლისის რეზოლუციის ფონზე კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივა თანდათანობით სულ უფრო იკვეთება).

ყურადღება გამახვილდა ოქმის მე-4 მუხლის მე-4 აბზაცში ქართული მხარისათვის მიუღებელ, 1994 წლის 4 აპრილის მოსკოვის ოთხმხრივი შეთანხმების მე-3 ს მუხლის დებულებზე, რაც ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის დევნილებზე (შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილეები) აფხაზეთში დაბრუნების შეზღუდვას. განხილვისას მიღწეულ იქნა შეთანხმება კომისიისა და ფრაქციის მიერ წარმოდგენილი წინადადებების პროექტში ჩამატების თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს ასეთივე მოთხოვნების დაყენებას დევნილთა ორგანიზებული დაბრუნების ადგილებში აფხაზური მხარის წარმომადგენელთა მიმართაც.

პროექტის ამავე მუხლში ორივე მხარის (კომისია, ფრაქცია და სამინისტრო) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეტანილ იქნა პუნქტი დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველსაყოფად გალის რაიონის ძველ საზღვრებში დროებითი, ერთობლივი (ქართულ-აფხაზური) ადმინისტრაციის შექმნის თაობაზე (გაეროს, ეუთო-ს, დსთ-ისა და რუსეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით), აგრეთვე - გალის რაიონში გაეროსა და ეუთო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის სოხუმის ფილიალის, საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრის გახსნის შესახებ.

რიგი შენიშვნები გათვალისწინებულ იქნა ოქმისა და შეთანხმების პროექტების სხვა პუნქტებშიც.

განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა ოქმის ბოლო მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ქართული მხარის მიმართვას დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა საბჭოსადმი კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციის, მხარეებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობის განვითარებისა და აგრეთვე ყველა სახის ტრანსპორტის, მათ შორის რკინიგზისა და ავტოტრანსპორტის მოძრაობის ეტაპობრივ ორგანიზებაში ხელშეწყობას.

სხდომის მონაწილეთა მიერ გამოითქვა სერიოზული არგუმენტები აღნიშნულ ნაბიჯზე წასვლის საშიშროებასთან დაკავშირებით, ითქვა, რომ აფხაზური მხარისადმი ნდობის ფაქტორი პრაქტიკულად ნულის ტოლია, ვინაიდან 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევიდან განვლილ პერიოდში აფხაზური მხარის მიერ არაერთხელ იქნა ცალმხრივად დარღვეული რიგი სხვა ხელშეკრულებაც (1993 წლის 27 ივლისის და სხვა), რამაც განაპირობა აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ტრაგედია, ეთნიკური წმენდა და გენოციდი, კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის ჩიხში შეყვანა.

ითქვა, რომ რკინიფზის მაგისტრალის გახსნას მოჰყვება აფხაზეთში ინფრასტრუქტურის განვითარება, უცხოეთის (პირველ რიგში - რუსეთის) მსხვილი ინვესტიციების შეუფერხებელი და ქართული მხარისაგან არაკონტროლირებადი დაბანდება, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუშლის იქ საქართველოს იურისდიქციის გავრცელებას და ხელყოფს საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

გამოითქვა მოსაზრება დევნილთა თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ორგანიზებული დაბრუნების კვალობაზე სატრანსპორტო კომუნიკაციების ეტაპობრივი აღდგენის თაობაზე.

სხდომაზე ხაზი გაესვა გალის რაიონში დევნილთა ორგანიზებული დაბრუნების მნიშვნელობას აფხაზეთის პრობლემის საბოლოო მოწესრიგების კონტექსტში.

კომისიისა და ფრაქციის წევრთა საერთო აზრით "მშვიდობისა და შეიარაღებული შეტაკებების აღკვეთის გარანტიების შესახებ შეთანხმებისა" და "გალის რაიონში დევნილთა დაბრუნებისა და ეკონომიკის აღდგენის შესახებ ოქმის" პროექტების ხელმოსაწერად წარდგენა მიზანშეწონილია ერთთიანი საქართველის შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსზე და თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის თაობაზე საბაზო შეთანხმების მიღწევის შემდგომ.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება :

1. ძირითადად მოწონებულ იქნეს სხდომაზე წარმოდგენილი წინადადებები შეთანხმებისა და ოქმის პროექტებთან დაკავშირებით (თან ერთვის, დანართი №1 და დანართი №2).
2. წარედგინოს ქართულ მხარეს საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროსთან შეჯერებული შეთანხმებისა და ოქმის პროექტების ვარიანტები (დანართი №3 და დანართი №4 -თან ერთვის).
3. დაისვას საქართველოს განსაკუთრებით საქმეთა მინისტრის მ. კაკაბაძის წინაშე საკითხი 6-7 აგვისტოს დაგეგმილ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლის მონაწილეობის თაობაზე.
4. დაფიქსირდეს აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებითი კომისიისა და საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მიზანშეწონილია ზემოაღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერა ერთიანი საქართველოს ფარგლებში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსისა და თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხებზე საბაზო შეთანხმების მიღწევის შემდეგ.

კომისიის თავჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის
ოქმი

№15 19 სექტემბერი 2000 წ.

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია;**

ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართელოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები : **ა. ახვლედიანი, გ. ბოლოთაშვილი, დ. გადელია, ჯ. გამახარია, გ. კალანდია, ვ. მაღლაფერიძე, ვ. შამილაძე;**

საქართველოს პარლამენტის წევრი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დ. გვაძაბია;**

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი **ვ. ვაშაკიძე;**

დსთ-ის და მშვიდობიანი კავკასიის საქმეთა სახელმწიფო ბიუროს თავმჯდომარე, იგპ-თა დასახმარებლად ახლებური მიდგომის პროგრამების შემუშავების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის მდივანი **თ. მოსიაშვილი;**

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე **ა. გამყრელიძე;**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე **ნ. მამალაძე;**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე **ზ. სოსელია;**

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავჯდომარე **თ. ბერიძე;**

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილე **შ. ქელდიშვილი;**

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **დ. ჯოჯუა;**

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მოადგილე **ვ. ვახანია;**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: **ე. ასტემიროვა, მ. კვარაცხელია (საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე), თ. მჟავია, რ. ქარაია;**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. დგებუაძე;**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები : **ბ. ნაყოფია** (ფინანსთა), **ნ. თოდუა** (ლტოლვილთა და განსახლების), აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე **დ. ხორავა,** აფხაზეთის ა/რ შრომისა და დასაქმების მინისტრის მოადგილე **ა. სანებლიძე,** აფხაზეთის ა/რ დეპარტამენტის თავმჯდომარეები: **გ. ესაკია** (სოფლის მეურნეობის), **ა. ჭითანავა** (სახელმწიფო

ქონების მართვის), **თ. ჩაჩიბაია** (აფხაზეთის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს დევნილთა საკრედიტო კავშირის ადმინისტრაციული ჯგუფის ხელმძღვანელი), **გ. მისაბიშვილი** (ეკონომიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე), **ი. პოღოსოვი** (მრეწველობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე), **გ. ჩალაძე** (აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს ეკონომიკური სამსახურის უფროსი).
ქ. თბილისის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების განყოფილების უფროსი **რ. მანია.**
აფხაზეთის ა/რ ქალაქების მერები და რაიონის გამგეობათა თავმჯდომარეები : **გ. ჩიქობავა, ა. ფრუიძე, ი. არქანია, დ. კეკელია, ვ. ნაჭყებია, გ. გუგუჩია, გ. ლაშხია.**
საქართველოს მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის დირექტორი : **მ. წიკლაური.**
აფხაზეთის ა/რ საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები : **მ. ბერია, მ. პატარაია, თ. კილანავა, რ. ქარდავა, ე. გულედანი, კ. ჯინჭარაძე, მ. ახვლედიანი, რ. სულაბერიძე, მ. შარანგია, კ. დიხამინჯია, მ. ყოლბაია, შ. ბიჭიკაშვილი, ზ. ფარცვანია, გ. კვარაცხელია, თ. ცინარიძე, მ. ტუფურია, ა. ჯოლოგუა, რ. ცინდელიანი.**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას სამდივნოს უფროსი, პირველი თანაშემწე **რ. გელანტია,** რეფერენტი - **ე. ქარდავა.**
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია,** დროებითი კომისიის სპეციალისტები : **ვ. ქობალია, მ. თორია, ლ. ჯოლოგუა.**
სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა გაეროს განვითარების პროგრამის ოფისის ხელმძღვანელი **მარკო ბორზოტი.**

დღის წესრიგი :

იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად ახლებური მიდგომის პროგრამების შემუშავების შესახებ

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებთი კომისიის თავმჯდომარემ **ვ. ყოლბაიამ,** რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა განაპირობა პრობლემის აქტუალობამ და საზოგადოებაში, მთლიანად ქვეყანაში იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების ახალი მიდგომებისათვის განსაკუთრებულმა მაღალმა დაინტერესებამ.

ითქვა, რომ კომისიის წევრთა სურვილია, რათა ამ პერსპექტიული და მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტის მოსამზადებელი ეტაპი

ჩატარდეს საჯაროდ, გამჭვირვალედ, ფართო საზოგადოებრიობის, უპირველეს ყოვლისა დევნილთა წარმომადგენლობის უშუალო მონაწილეობით და განხორციელდეს ოპტიმალურ რეჟიმში, რაც შეიძლება ნაკლები შეცდომებითა და იმათი ინტერესების სრული დაცვით, ვისაც ყველაზე უფრო სჭირდება მხარდაჭერა, დახმარება.

3. ყოლბაიამ ხაზი გაუსვა, რომ "ახლებური მიდგომა" საქართველოს მთავრობის, გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის, მსოფლიო ბანკის და გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა საკოორდინაციო ოფისის ერთობლივი ძალისხმევაა. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოიხატა მადლიერება ჩამოთვლილი ორგანიზაციების, აგრეთვე აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და გაეროს მუდმივი და ჰუმანიტარული კოორდინაციის ოფისის ხელმძღვანელის ბატონ მარკო ბორზოტის მისამართით.

ითქვა, რომ ეს ნაბიჯი აგრეთვე პასუხია ასეულ ათასობით დევნილი მოსახლეების მოთხოვნისა, რაც განაპირობა სასურსათო და სხვა სახის დახმარების შეწყვეტამ. შემოთავაზებული დოკუმენტები ძირითადში ასახავენ სამომავლო საქმიანობის ძირითად ორიენტირებს, გამოთქვა იმედი, რომ სხდომაზე საკითხების განხილვა ხელს შეუწყობს მათს შემდგომ დახვეწას და პრაგმატულ ჭრილში გადაყვანას. ქვეყანაში არსებული რეალური ვითარებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული პრიორიტეტული მიმართულების გამოყოფა:

1. დევნილთა მცირე და საშუალო ბიზნესში ჩაბმა, დასაქმება, დევნილთა მეწარმეობის განვითარება. აღინიშნა, რომ ეს ყველაზე მთავარია. ამ საკითხის გადაწყვეტით შესაძლებელია ყოველი ოჯახიდან თუნდაც ერთი კაცის დასაქმება და მუდმივი შემოსავლის წყაროს შექმნა.

ითქვა, რომ პრიორიტეტულ მიმართულებად შეიძლება ისეთი საწარმოების შექმნა, რომლებიც ნედლეული - პროდუქცია - რეალიზაცია ტრიადით ეკონომიკურად და სოციალურად გადააბამს ერთმანეთს ენგურსგაღმა და ენგურგამოღმა საქართველოს მოსახლეობას შორსმიმავალი ადამიანური და პოლიტიკური შედეგებით.

2. პროექტები, რომლებიც მოემსახურებიან თავშესაფრის გარეშე დარჩენილ დევნილთა საბინაო პრობლემის გადაწყვეტას. ითქვა, რომ უხეში გათვლებით, მათი რაოდენობა თბილისში - 3000, ქუთაისში - 500, ზუგდიდში - 1000-ზე მეტია და ა. შ.

3. დევნილთა და მასპინძელი საზოგადოებების ჯანდაცვა, განსაკუთრებით გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. ითქვა, რომ ეს უკანასკნელი დევნილთათვის განსაკუთრებულად აქტუალურია და ახალი მიდგომების პროექტებში მან თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიკავოს.

აღინიშნა, რომ პროგრამაში დახმარების მიმღებ ავტორ იურიდიულ პირებთან, საქმიან წრეებთან, რეგისტრირებულ საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ერთად საჭიროა შეტანილ იქნეს ფიზიკური პირები, კერძოდ მრავალშვილიანი ოჯახები და ა. შ.

ხაზი გაესვა, რომ საჭიროა ახალ მიდგომებთან დაკავშირებით შემოთავაზებული დოკუმენტების გამარტივება, რათა ისინი ადვილად გასაგები გახდნენ რიგითი მოქალაქეებისათვის, აუცილებელია განცხადებების გაკეთება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

მოისმინეს: იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად ახლებური მიდგომების პროგრამების შემუშავების შესახებ დსთ-ის და მშვიდობიანი კავკასიის საქმეთა სახელმწიფო ბიუროს თავმჯდომარის, იგპ-თა დასახმარებლად ახლებური მიდგომის პროგრამების შემუშავების ხელმშეწყობი სამუშაო კომისიის მდივნის თ. მოსიაშვილის ინფორმაცია (დანართი თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: ვ. ვაშაკიძემ, მ. ბორზოტიმ, რ. სულაბერიძემ, მ. პატარაიამ, გ. ჩალაძემ, მ. ახვლედიანმა, ა. ფრუიძემ, გ. ესაკიამ, თ. ჩაჩიბაიამ, რ. ქარაიამ, გ. კვარაცხელიამ, მ. კვარაცხელიამ, ზ. სიხარულიძემ, ზ. ფარცვანიამ, დ. გვაძაბიამ.

გამოითქვა მადლიერება საქართველოს მთავრობის, გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის, მსოფლიო ბანკის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა საკოორდინაციო ოფისისა და პირადად გაეროს განვითარების პროგრამის ოფისის ხელმძღვანელის, გაეროს მუდმივი და ჰუმანიტარული კოორდინატორის ბატონ მარკო ბორზოტის მისამართით აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გაწეული ძალისხმევისათვის.

აღინიშნა, რომ პროექტი აუცილებლად უნდა იქნეს მიბმული საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფციასთან, რამე თუ მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ საქართველოს ძალუძს მთლიანობაში გადაწყვიტოს აფხაზეთის კონფლიქტის სრულმაშტაბიანი მოწესრიგების საკითხი, დევნილთა თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება და იქ სარეაბილიტაციო სამუშაოებში ხელშეწყობა.

ითქვა, რომ დახმარების ახლებური მიდგომისას პრიორიტეტები უნდა მიეცეს იმ რეგიონებს, სადაც მდგომარეობა განსაკუთრებით დაძაბულია **(ვ. ვაშაკიძე).** ამ მიმართულებით ყურადღება გამახვილდა სამეგრელოს რეგიონზე - ზუგდიდი, ხობი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, სენაკი, აგრეთვე იმერეთის რეგიონში - ქ. წყალტუბო. სანატორიუმებიდან იგპ-თა გადაყვანა უფრო შესაფერის გრძელვადიან საცხოვრებელ ბინებში გააუმჯობესებს მათ საყოფაცხოვრებელ პირობებს და შექმნის შესაძლებლობას რათა სანატორიუმები გამოყენებულ იქნენ თავიანთი პირდაპირი დანიშნულებით, შეავსონ ქვეყნის ბიუჯეტი.

ხაზი გაესვა, რომ აღნიშნული პროგრამის ფართომაშტაბიანი განხორციელება ბევრად არის განპირობებული მისი 1 ეტაპის წარმატებით ჩატარებასთან. ითქვა, რომ აუცილებელია პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე ფართო საჯაროობის უზრუნველყოფა. თავისი წვლილი მასმედიის საშუალებებთან ერთად ამ საკითხში შეუძლიათ შეიტანონ

საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, პოლიტიკურმა პარტიებმაც, მაგრამ ამ საქმიანობას პოლიტიკა უნდა ჩამოცილდეს, უნდა შეიქმნას შესაფერისი გარემო კარგი ბიზნეს-გეგმების განხორციელებისათვის. პრიორიტეტები უნდა მიეცეს იმ ბიზნეს-გეგმებს, რომლებიც მოკლე ვადებში იძლევიან შედეგს. გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა განსაკუთრებულ კონტროლზე უნდა იქნეს აყვანილი.

გამოითქვა გარკვეული უკმაყოფილება აფხაზეთის ა/რ რიგი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელთა მხრიდან იმასთან დაკავშირებით, რომ შესაბამის რესპუბლიკურ სამინისტროსა და უწყების მიერ ექსპერტთა ქვეჯგუფების დაკომპლექტება მოხდა მათ გარეშე.

სხდომაზე გამოიკვეთა აზრი, რომ პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს არადევნილმა მოსახლეობამაც იმ შემთხვევაში თუკი თავისი საქმიანობით ისინი ხელს შეუწყობენ დევნილთა დასაქმებას, განსახლებას, სხვა პრობლემების გადაჭრას.

ითქვა აგრეთვე, რომ წლების მანძილზე ვერ ხერხდება დევნილთა ჩართვა მცირე და საშუალო ბიზნესში. არ ფინანსირდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შექმნილი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ფონდი.

სხდომაზე ხაზი გაესვა, რომ საქართველოს პრეზიდენტის სათანადო რეზოლუციის მიუხედავად საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებმა ვერ გადაწყვიტეს დევნილთა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის საკითხი.

გამოითქვა თხოვნა კომისიის წინაშე დევნილთა საინიციატივო ჯგუფის პრეზიდენტთან შეხვედრის ორგანიზაციაში ხელშეწყოფის თაობაზე. "...თუკი პრობლემა ადგილიდან არ დაიძრება, იძულებული გავხდებით განვაახლოთ აქციები" - განაცხადა დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს წევრმა მ. ახვლედიანმა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ეკონომიკური სამსახურის უფროსმა გ. ჩალაძემ აღნიშნა, რომ მინისტრთა საბჭო **4** წელია უშედეგოდ აყენებს საკითხს დევნილთა მცირე და საშუალო ბიზნესში ჩასართველად რესპუბლიკურ ბიუჯეტში 50 ათასიდან 2 მილიონ დოლარამდე გათვალისწინების თაობაზე.

ითქვა, რომ იგპ-თა დასახმარებლად ახლებური მიდგომების პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით პრესითა და ტელევიზიით მიწოდებული ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციების გამო დევნილ მოსახლეობაში შეიქმნა გაურკვევლობისა და ზედმეტი აჟიოტაჟის ატმოსფერო.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა **(გ. კვარაცხელია, ზ. ფარცვანია, მ. პატარაია)** ხაზი გაუსვეს სახელმწიფო სტრუქტურების ჩარევის მიზანშეუწონლობას პროგრამების შერჩევისა და მათი დაფინანსების საკითხებში, რაც დამსწრეთა მიერ ძირითადად გაზიარებულ იქნა.

გაეროს განვითარების პროგრამის ოფისის ხელმძღვანელმა **მარკო ბორზოტიმ** განაცხადა, რომ პროგრამის წარმატებით განხორციელებაზე

პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს მთავრობას, ხოლო თავად გააკონტროლებს გამოყოფილი თანხების მიზნობრივ ხარჯებს, რომ თითოეული დოლარი დაიხარჯოს დანიშნულებისამებრ და პროგრამა ეფექტური იქნეს, ჰქონდეს მაქსიმალური უკუგება.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ მიიღო **გადაწყვეტილება :**

1. "იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად ახლებური მიდგომის პროგრამების შემუშავების შესახებ" დსთ-სა და მშვიდობიანი კავკასიის საქმეთა სახელმწიფო ბიუროს თავმჯდომარის, იგპ-თა დასახმარებლად ახლებური მიდგომის პროგრამების შემუშავების ხელშემწყობი კომისიის მდივნის თ. მოსიაშვილის ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.
2. აღინიშნოს იგპ-თა დასახმარებლად ახლებური მიდგომის პროგრამების მნიშვნელობა დევნილთა სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესების საკითხში.
3. პროგრამებში პრიორიტეტულ მიმართულებად ჩაითვალოს :

ა). თავშესაფრის გარეშე დარჩენილ დევნილთა განსახლება;
ბ). დევნილთა დასაქმება, მათი მცირე და საშუალო ბიზნესში ჩართვა;
გ). ჯანდაცვა, დევნილებისათვის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების სათანადო მექანიზმების შექმნა;

4. საქართველოს თვითუზრუნველყოფის ფონდის მიზნებისა და სახელმძღვანელო პრინციპების განმსაზღვრელ დოკუმენტებში წარმოდგენილ ორგანიზაციათა სიას, რომლებსაც შესაძლებლობა ენიჭებათ წარადგინონ განსახილველი პროექტები, კომისიის აზრით უნდა ჩაემატოს ფიზიკური პირები, მათ შორის ოჯახები, კერძოდ - მრავალშვილიანი ოჯახები.
5. ეთხოვოს იგპ-თა დასახმარებლად ახლებური მიდგომების პროგრამების შემუშავების ხელშემწყობ სამთავრობო კომისიას (გ. არსენიშვილი).

ა). ექსპერტთა ქვეჯგუფები აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციათა ლიგის წარმომადგენელთა ჩართვა;

ბ). პროგრამის განხორციელების ყველა სტადიაზე საჯაროობის პრინციპების მაქსიმალური უზრუნველყოფა, მათ შორის სამთავრობო კომისიის, მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფისა და ექსპერტთა ქვეჯგუფების საქმიანობის რეგლამენტის გამოქვეყნება, დაინტერესებულ პირებამდე მათი დაყვანა.

გ). განსახლებისა და დასაქმების პროგრამების დაფინანსებისას პრიორიტეტულად იქნეს მიჩნეული დევნილთა მჭიდრო დასახლების

რეგიონები (სამეგრელო - ზუგდიდი, ხობი, სენაკი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა) აგრეთვე ქ. წყალტუბო, ბორჯომი, აჭარა.

6. ეთხოვოს იგპ-თა დასახმარებლად ახლებური მიდგომის პროგრამების შებუშავების მუდმივმოქმედ სამუშაო ჯგუფს (თ. მოსიაშვილი):

ა). დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად იმ კრიტერიუმების შემუშავება, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება ამა თუ იმ პროექტის დაფინანსების პრიორიტეტულობა;

ბ). განიხილოს საკითხი პროექტების დაფინანსების ქვედა ზღვარის შემცირების შესახებ იმ ანგარიშით, რომ შესაძლებელი გახდეს პროექტების მეტი რაოდენობის დაფინანსება;

გ). საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან, სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს წინადადებები გამონთავისუფლებელი ან ამჟამად არაფუნქციონირებადი შენობების, საწარმოების დევნილთათვის გადაცემის (შესყიდვა, იჯარა) შესაძლებლობის შესახებ

7. ეთხოვოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ვ. ვაშაკიძეს, გაეროს განვითარების პროგრამის ოფისის ხელმძღვანელი მარკო ბორზოტის მონაწილეობით უზრუნველყოს შეხვედრა იგპ-თა დახმარების ახლებური მიდგომის პროგრამების შემუშავებით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციების (მათ შორის აფხაზეთიდან) წარმომადგენლებთან.

8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის (თ. ნადარეიშვილი, ლ. ცაავა) წინაშე დაისვას საკითხი აფხაზეთის 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშესაწყობად 500 ათასი - 1 მილიონი ლარის გათვალისწინების თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის ოქმი

№16 2000 წლის 17 ოქტომბერი

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე,

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე
ვ. ყოლბაია;

ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები : **ა. ახვლედიანი, დ. გადელია, ჯ. გამახარია, გ. კალანდია, რ. ლორთქიფანიძე, ვ. შამილაძე, გ. ჯოჯუა;**
საქართველოს პარლამენტის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ამაღლობელი;**
საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები : **ე. გვაზავა, ჯ. ეზუგბაია, ა. ფენდერავა, ვ. ჭანტურია, ა. წოწონავა;** საქართველოს პარლამენტის წევრი : **ა. გასვიანი;**
საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე,** საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში **რ. ბერიძე,** საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე **დ. ბურჭულაძე,** აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე **ლ. ცაავა,** აფხაზეთის ა/რ სახალხო დამცველი **მ. ჩხოტუა,** აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: **ე. ასტემიროვა, რ. დგებუაძე, მ. კვარაცხელია, თ. მჟავია, რ. ქარაია,** აფხაზეთის ა/რ ინფორმაციის მინისტრი **თ. ხუბუა,** აფხაზეთის ა/რ ქალაქების მერები და რაიონების გამგეობათა თავმჯდომარეები: **გ. ჩიქოვანი, დ. კეკელია, ვ. ნაჭყებია, მ. ჭედია,** ოჩამჩირის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე **რ. ქობალია,** ქ. ტყვარჩელის რწმუნებული **გ. ლაშხია**. გუდაუთის რაიონის რწმუნებული **ი. არქანია**, აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს განათლების, კულტურისა და ჯანდაცვის სამსახურის განყოფილებათა უფროსები: **ა. გუგუჩია, ნ. მაისურაძე**, აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე **ვ. გასვიანი**, აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის მოადგილეები: **ა. ბოკერია, მ. გეგეჭკორი,** გალის რაიონის განათლების განყოფილების გამგე **შ. გვილია,** არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები: **ა. რუსეცკი, მ. ახალაია, ნ. ახალაია, მ. გაჩეჩილაძე, მ. გვაზავა;** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას 1 თანაშემწე, სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია**, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისისს სპეციალისტები: **თ. ჭახრაკია, ვ. ქობალია, ლ. ჯოლოგუა,** პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

დღის წესრიგი:

აფხაზეთში ქართული ენის სტატუსისა და მშობლიურ ენაზე განათლების მდგომარეობის შესახებ

სხდომის მონაწილეებს დაურიგდათ ბარათი "აფხაზეთში ქართული ენის სტატუსისა და მშობლიურ ენაზე განათლების მდგომარეობის შესახებ" (ოქმს თან ერთვის).

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარემ **ვ. ყოლბაიამ** (ინფორმაცია ოქმს თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: **ვ .გასვიანმა, შ. გვილიამ, გ. კალანდიამ, მ. ბერიამ, ი. არქანიამ, ე. ასტემიროვამ, თ. ხუბუამ, მ. კვარაცხელიამ, ჯ. გამახარიამ, ა .რუსეცკიმ, მ. კაკაბაძემ.**

აღინიშნა, რომ 1992 წლიდან აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმის კონტროლირებად ტერიტორიაზე აკრძალულია ქართული ენა სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, საყოფაცხოვრებო ურთიერთობებში, დაიხურა და გაიძარცვა ქართული სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებები, განადგურდა ქართული წიგნები, სასკოლო სახელმძღვანელოები.

აფხაზეთის ფაქტიური ოკუპაციის შემდეგ რეჟიმმა გააუქმა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე. ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში (26 ნოემბერი, 1994 წ.) დაფიქსირდა, რომ "აფხაზეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო ენაა აფხაზური. რუსული ენა აფხაზურთან ერთად მიღებულია სახელმწიფო და სხვა დაწესებულებების სამუშაო ენად. სახელმწიფო არის აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის მშობლიური ენის თავისუფალი გამოყენების გარანტი."

ხაზი გაესვა, რომ 1991-1992 სასწავლო წელს აფხაზეთში ფუნქციონირებდა 235 ქართული და შერეული (ზოგადსაგანმანათლებლო, არასრული, დაწყებითი სკოლა (შერეული: ქართული, აფხაზური, ქართულ-რუსული, ქართულ-აფხაზურ-რუსული, ქართულ-სომხური სკოლები, ქართული საშუალო-სპეციალური სასწავლებლები, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს სოხუმია ფილიალი, თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (ქართული და რუსული სექტორები), მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ქართულ-რუსულ-აფხაზური სექტორები), ქართული და ქართულ-სხვაენოვანი სკოლამდელი დაწესებულებები, სადაც სწავლობდა მრავალი ათასი სხვადასხვა ეროვნების მოზარდი და ჰქონდა სასწავლო ენის თავისუფალი, ნებაყოფლობითი არჩევანის უფლება.

ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ ამჟამად აფხაზეთში ქართული მოსახლეობა ტერორიზებულია, არ არსებობს არც ერთი ქართულენოვანი დაწესებულება, ორგანიზაცია, არასასურველი გახდა ქართულ ენაზე საუბარი, ტოტალურად იდევნება მცირედი სიმპატიების გამოხატვაც კი საქართველოსა

და მისი ხელისუფლებისადმი, მთლიანად შეცვლილია ტოპონიმიკა, ქუჩების დასახელება, ფალსიფიცირებულია ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, ცდილობენ შეზღუდონ საქართველოს საინფორმაციო საშუალებები, აფხაზეთის ტერიტორიაზე არ უშვებენ ქართულ პრესას (გარდა "Свабодная Грузия"-სი შეზღუდული რაოდენობით).

1992-1993 სასწავლო წელს, გალის რაიონში ფუნქციონირებდა 57 ზოგადსაგანმანათებლო სკოლა, 51 კულტურის ობიექტი. მათ შორის რუსული და რუსულ-ქართული 5 საშუალო და არასრული სკოლა, 1 ქართულ-აფხაზური სკოლა (აფხაზური დაწყებით კლასებში), 74 საბავშვო ბაგა-ბაღი, რომლებშიც მშობლიურ ენაზე განათლების მიღება შეეძლო რაიონში მცხოვრებ ყველა ერისა და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს.

1993-1998 წლებში გალის რაიონში დაწვეს, გაძარცვეს და გაანადგურეს თითქმის ყველა სკოლა და სკოლამდელი დაწესებულება (მიზნობრივად დაწვეს საზოგადოსაგანმანათლებლო სკოლა), აჩიგვარის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი, პროფესიული სასწავლებლები, ბიბლიოთეკა, კულტურის დაწესებულება, დახურეს ქართული სკოლები, გარდა ქალაქის რუსული სკოლისა.

რაიონის სკოლებში აიკრძალა საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლება, ქართული ენისათვის განისაზღვრა ერთ-ერთი რიგითი საგნის სტატუსი. ამავდროულად გალის რაიონში აღდგენილ სახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის ადმინისტრაციაში აიკრძალა ქართული ენა და დააწესეს რუსული ენის გამოყენება სახელმწიფო ენის რანგში. სკოლებში ქართული ენის აკრძალვის დამატებით არგუმენტად სეპარატისტულ რეჟიმს მიაჩნია ქ, თბილისში შედგენილი ისტორიის, გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში აფხაზეთის სინამდვილის "დამახინჯება".

რეალურად, 1998 წლის მაისის მოვლენებამდე ქართული სკოლების მნიშვნელოვანი ნაწილი უმძიმეს პირობებში ახერხებდა ქართულ ენაზე და საქართვლოს განათლების სამინისტროს პროგრამებით სწავლებას.

აფხაზურმა ადმინისტრაციამ მიუხედავად დიდი მცდელობისა ვერ მოახერხა ქართული ენის აკრძალვა გალის რაიონის ძველი საზღვრების მთელ რიგ სკოლებში (თაგილონის, ნაბაკევის, ზემო ბარღების, ქვემო ბარღების, განახლებას, გაგიდის, ოტობაია №1 და №2, ფიჩორის, დიხაზურგის, რეჩხის, ლეკუხონის, საბერიოს №1 და სხვა), ასევე ახალი ადმინისტრაციული დაყოფის ცალკეულ სკოლებში (ოქუმი, ღუმურიში, წარჩე და სხვა).

აღინიშნა, რომ რაიონის მოსახლეობის რუსიფიკაციისათვის ნიადაგის მომზადებას რეჟიმმა პრინციპულად მოჰკიდა ხელი დაწყებით კლასებში.

ითქვა, რომ აფხაზური ადმინისტრაცია ქართული სკოლების რუსიფიკაციაში წააწყდა სხვა ობიექტურ წინააღმდეგობას, კეძოდ, რუსული ენის სპეციალისტების, რუსული ენის მცოდნე პედაგოგების დეფიციტის სახით.

აღნიშნულ და სხვა გარემოებათა გამო რეალურად ვერ განხორციელდა სწავლა-აღზრდის ელემენტარულად ორგანიზებული პროცესი, ექსპერტთა დასკვნით, ნორმალური პედაგოგიური პროცესის ნაცვლად სახეზეა ბავშვების

დამახინჯება. ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია ისიც, რომ გალის რაიონში, რომელიც პრაქტიკულად მონოეთნიკურია (96%-მდე ქართული მოსახლეობა) არ არსებობდა და არ არსებობს გარემო რუსული ენის შესწავლისათვის საყოფაცხოვრებო ურთიერთობების დონეზეც კი.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ გალის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა მიერ პატრიოტული მოვალეობის აღსრულებისათვის მეტად მნიშვნელოვანი მხარდამჭერი ფაქტორი იყო საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით ბიუჯეტიდან გალის რაიონის სკოლების დაფინანსების საკითხის გადაწყვეტა, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ცალკეული სასკოლო ობიექტების რემონტი და სასკოლო ნივთებით უზრუნველყოფაში ხელშეწყობა, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროების, გალის რაიონის გამგეობისა და განათლების განყოფილების შესაძლო დახმარება.

სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციებზე დაყროდნობით აღინიშნა, რომ ამჟამად გალის რაიონის ტერიტორიაზე ახალი სასწავლო წლიდან ფუნქციონირებს 27 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო, არასრული საშუალო და დაწებითი სკოლა.

ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაოდ მიღებული ისეთი ნორმის ხელყოფა, როგორიცაა მშობლიური ენის გამოყენების უფლება, მშობლიურ ენაზე სწავლების უფლების აკრძალვა, ჯეროვანი რეაგირების გარეშე რჩებათ აფხაზეთში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციების, ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტებს, საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებს საქართველოში.

სათანადო რეაგირების გარეშეა აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის პრინციპული მოთხოვნა ქართული ენის სტატუსის აღდგენის, სწავლა-განათლების მშობლიურ ენაზე უზრუნველყოფის შესახებ.

ითქვა, რომ საჭიროა საქართველოს ხელისუფლებამ დასვას საკითხი ქართული ენის სტატუსის აღდგენის, აფხაზეთში მცხოვრები ქართველი ბავშვებისა და მოზარდების მშობლიურ ენაზე სწავლების გარემოს შექმნის თაობაზე, როგორც მხარეებს შორის მოლაპარაკებათა გაგრძელებისა და ნდობის განმტკიცების უპირველესი პირობა.

ასევე ითქვა, რომ პრინციპულად უნდა დაისვას საკითხი გაეროს, ეუთოს, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების, კონფლიქტების მოწესრიგებაში ჩართული მხარეებისა და შუამავლების, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე აფხაზეთში, და კერძოდ, გალის რაიონში სწავლა-განათლების დარგში რეალურად შექმნილი ვითარების შესახებ (როგორც გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ნაირსახეობა), შემუშავდეს ღონისძიებათა სისტემა აფხაზეთში, პირველ რიგში, გალის რაიონში მცხოვრებთა შორის საინფორმაციო მუშაობის გაძლიერების უზრუნველსაყოფად, პოლიტიკური მიზანშეწონილობის და საქართველოსა და აფხაზეთის განათლების სამინისტროების წინადადებათა გათვალისწინებით

გადაწყდეს გალის რაიონში მოღვაწე პედაგოგთა შრომის ანაზღაურების პრობლემა.

სხდომის მონაწილეთა აზრით, აფხაზეთში, გალის რაიონში ქართული ენის სტატუსის აღდგენის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის მდგომარეობა აყვანილ უნდა იქნეს საქართველოს ხელისუფლების, აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების განსაკუთრებულ კონტროლზე.

სხდომა შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავჯდომარემ

ვ. ყოლბაიამ.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ მიიღო **რეკომენდაციები:**

1.."აფხაზეთში ქართული ენის სტატუსისა და მშობლიურ ენაზე განათლების მდგომარეობის შესახებ ბარათი მიღებულ იქნეს ცნობად (თან ერთვის).

2. აღინიშნოს რომ აფხაზეთში, კერძოდ გალის რაიონში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უხეში ხელყოფის ფაქტებმა, რომლის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულება გახდა სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების აკრძალვა, დროებითი კომისიის სხდომაზე ადრე (1997 წლის 24 სექტემბერი, ოქმი №21) განხილვისა და არაერთი ოფიციალური განცხადების მიუხედავად კიდევ უფრო მძიმე ხასიათი მიიღო.

3.აღინიშნოს ადამიანის უფლებათა დაცვის გაეროსა და ეუთოს მისიების ძალისხმევის გააქტიურებისა და სეპარატისტულ ხელისუფლებაზე ზემოქმედების გაძლიერების აუცილებლობა აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ გალის რაიონში, სოხუმის რეჟიმის მხრიდან ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ხელყოფასთან დაკავშირებით.

4.ეთხოვოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (**ი. მენაღარიშვილი**), საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს **მ. კაკაბაძეს**:

ა) პრინციპულად დაისვას საკითხი გაეროს, ეუთოს, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის, კონფლიქტის მოწესრიგებაში ჩართული მხარეების და შუამავლების, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია, დამოუკიდებელ ექსპერტთა კერძოდ, გალის რაიონში ქართული ენის სტატუსის მდგომარეობისა და სწავლა-განათლების დარგში რეალურად შექმნილი ვითარების შესახებ (როგორც გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ერთ-ერთი ნაირსახეობა, აფხაზეთში დემოგრაფიული ვითარების შეცვლის მცდელობა).

ბ) დაისვას საკითხი ქართული ენის სტატუსის აღდგენის, აფხაზეთში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდებისათვის მშობლიურ ენაზე სწავლების გარემოს შექმნის თაობაზე, როგორც მხარეებს შორის ჟენევის ფორმატით მიმდინარე მოლაპარაკებათა გაგრძელებისა და ნდობის განმტკიცების უპირველესი პირობა.

გ) ინფორმირებულ იქნეს იუნესკო გალის რაიონის სკოლებში მშობლიურ (ქართულ) ენაზე სწავლების აკრძალვისა და უცხო ენაზე იძულებით სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს გაეროს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებთა საყოველთაო დეკლარაციის, ევროპის კონვენციის ხელყოფას, გენოციდის, ეთნიკური წმენდის პოლიტიკის გაგრძელებისა და მოსახლეობის თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან ხელახალი აყრის წინაპირობას.

5.დაისვას საქართველოს განათლების სამინისტროს **(ა. კარტოზია),** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს **(ჯ. ჯანელიძე),** გალის რაიონის განათლების **(შ. გვილია)** წინაშე საკითხი გალის რაიონში მოღვაწე პედაგოგთა შრომის ანაზღაურების გადაწყვეტის თაობაზე წინადადებების შემუშავების შესახებ.

6.ეთხოვოს საქართველოს ხელისუფლებას **(მ. კაკაბაძე, ა. კარტოზია, ზ. ნოღაიდელი)** ჟენევის ფოემატით მიმდინარე მოლაპარაკებების ჩარჩოებში პოლიტიკური მიზანშეწონილობისა და საქართველოს და აფხაზეთის განათლების სამინისტროების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს წინადადებებთა გათვალისწინებით გადაწყდეს გალის რაიონში მოღვაწე პედაგოგთა შრომის ანაზღაურების პრობლემა.

7. გალის რაიონში განათლების დარგში შექმნილი ვითარების მდგომარეობის გათვალისწინებით დაისვას საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის **დ. ბოდენისა** და გაეროს განვითარების პროგრამის კოორდინატორის საქართველოში **მ. ბორზოტის**, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ხელმძღვანელის **ე. მენემეჩიოღლუს,** შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე საკითხი რაიონში კერძო სკოლების, კოლეჯების შექმნაში შესაძლო დახმარების გაწევის თაობაზე.

8. ეთხოვოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში **რ. ბერიძეს,** საქართველოს ომბუდსმენს **ნ. დევდარიანს** მაქსიმალურად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული შესაძლებლობანი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და

ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტების ინფორმირებისათვის აფხაზეთში, მათ შორის გალის რაიონის სკოლებში მშობლიურ (ქართულ) ენაზე სწავლების აკრძალვისა და უცხო ენაზე იძულებით სწავლების შემოღების, როგორც კულტურის გენოციდის, ეთნიკური წმენდის პოლიტიკის გაგრძელების, აფხაზეთში დემოგრაფიული ვითარების შეცვლისა და მოსახლეობის თავიანთ საცხოვრებელი ადგილებიდან ხელახალი აყრის წინაპირობის თაობაზე.

9. განხილულ საკითხზე ინფორმაცია მიეწოდოს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფო მინისტრს.

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის
ო ქ მ ი.

№ 17 **2000 წლის 13 ნოემბერი**

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ.ყოლბაია;**
ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები: **ა. ახვლედიანი, დ. გადელია, ჯ.გამახარია, გ. კალანდია, კ. კემულარია, ზ. მუკბანიანი, რ. ლორთქიფანიძე, გ. სანიკიძე, ვ. შამილაძე, გ. ჯოჯუა;**
ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: **გ. ლომინაძე, თ. ნადარეიშვილი, დ. გვაძბაია, ა.ფენდერავა, მ. ბარამიძე, ე. გვაზავა, დ. ჯაიანი, ვ. ჭანტურია;**
საქართელოს საგარეო საქმეთა მინისტრი **ი. მენაღარიშვილი;**
საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე;**
აფხაზეთის დევნილთა კავშირის წევრები: მ.ბერია, გ.მეშველიანი, **რ. ჯანაშია;**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი **რ.გელანტია;**
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის აპარატის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია.**

დღის წესრიგი:

მიმდინარე ეტაპზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ასპექტებისა და ძირითადი მიმართულებების შესახებ

მოისმინეს: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის **ი. მენაღარიშვილის** ინფორმაცია "მიმდინარე ეტაპზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ასპექტებისა და ძირითადი მიმართულებების შესახებ".

აზრი გამოთქვეს: თ. ნადარეიშვილმა, გ. კალანდიამ, მ. ბარამიძემ, გ. სანიკიძემ, კ.კემულარიამ, მ .ბერიამ, გ. მეშველიანმა, მ. კაკბაძემ, გ. ჯოჯუამ, ვ .ყოლბაიამ.

აღინიშნა, რომ ბოლო პერიოდი ხასიათდება რუსეთ-საქართველოს შორის გამწვავებული ურთიერთობებით, რაც განპირობებულია რიგი საკითხებით, მათ შორის:

1. რეგიონში უსაფრთხოების - სტამბოლის 1999 წლის 17-19 ნოემბრის რეზოლუცია საქართველო-რუსეთის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით;
2. აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;
4. ეკონომიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებით;

ურთიერთობების გამწვავების მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აგრეთვე რუსეთის ფადერაციის მხრიდან საქართველოსთან ცალმხრივი სავიზო რეჟიმის შემოღების მოსალოდნელი გადაწყვეტილება ზოგიერთ სასაზღვრო რეგიონთან შერბილებული სავიზო პირობებით (აფხაზეთი, სამაჩაბლო).

სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით ითქვა, რომ შედგა მოლაპარაკებების 4 რაუნდი, გაყვანილია ტექნიკის 286 ერთეული, განადგურებულია ადგილზე 51 ერთეული. პრობლემად რჩება გუდაუთიდან 78 ერთეული ტექნიკის გაყვანა. უახლოეს დღეებში მოხდება გუდაუთის სამხედრო ბაზის I საერთაშორისო ექსპერტიზა საფრანგეთის წარმომადგენლებით.

აღინიშნა, რომ ქართული მხარე მეთოდურად იღწვის სტამბულის რეზოლუციის შესასრულებლად და არ დაუშვებს მისი რევიზიის მცდელობას.

სავიზო რეჟიმის მოსალოდნელ შემოღებასთან დაკავშირებით ითქვა, რომ მოლაპარაკებების I რაუნდის შედეგები ცხადყოფს, რომ რუსეთი სავარაუდოდ დეკემბრის დასაწყისისათვის ცალმხრივად შემოიღებს სავიზო რეჟიმს, რისთვისაც საქართველოს ხელისუფლება მზად უნდა იყოს.

სხდომაზე გამოიკვეთა მოსაზრება, რომ შექმნილი რთული ვითარების მიუხედავად კვლავ უნდა გაგრძელდეს რუსეთის მხარესთან კონსტრუქციული მოლაპარაკებები თანასწორუფლებიანობის პირობებში, რათა სავიზო რეჟიმზე გადასვლა ათეულ ათასობით რუსეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის, მათ შორის აფხაზეთიდან დევნილებისათვის ნაკლებად

მტკივნეული გახდეს. საუბარი შეეხო ქართული მხარის რეაგირებას აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის მხრიდან რუსეთის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში.

გამოითქვა მოქალაქეების უკმაყოფილება საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის ყოფილი ელჩის მონაწილეობით ოკუპირებულ აფხაზეთში სომხეთის ოფიციალური დელეგაციის ჩასვლის გამო. საგარეო საქმეთა მინისტრის ი.მენაღარიშვილის მიერ უარყოფილ იქნა სომხეთის ყოფილი ელჩის წინადღეს გაკეთებული განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან აღნიშნული ვიზიტი წინასწარ იყო შეთანხმებული.

სხდომაზე მოხდა აზრთა გაზიარება აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების საკითხის მიმდინარე ეტაპზე განხილვის მიზანშეწონილობისა და ფორმის თაობაზე.

თ.ნადარეიშვილის აზრით საკითხის განხილვა აუცილებლად უნდა უსწრებდეს წინ გაერო-ს უშიშრეობის საბჭოს იანვრის სხდომას. საჭიროა, რათა პარლამენტმა აუცილებლად დააფიქსიროს, რომ კონფლიქტი აფხაზეთში სინამდვილეში არის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული გამოუცხადებელი ომი. საქართველო ფაქტიურად დამარცხდა არა აფხაზ სეპარატისტებთან, არამედ რუსეთის სახელმწიფოსთან. სამხედრო დაპირისპირება ერთ-ერთი ეპიზოდი იყო დასავლეთსა და რუსეთს შორის მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის ინტერესთა გლობალური შეჯახებისა. სახელმწოფომ უნდა დააფიქსიროს ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა და გენოციდი; გაიცეს სამხედრო და ადამიანურობის წინააღმდეგ საერთაშორისო დამნაშავეების (ვ. არძინბა, ს. ბაგაფში, ს. შამბა, კ. ოზგანი და სხვები) დაპატიმრების თაობაზე სანქციები. აღნიშნულის თაობაზე პარლამენტმა უნდა მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება. მიღწეული უნდა იქნეს სეპარატისტული რეჟიმის ბლოკადა საერთაშორისო დონეზე. არ უნდა იქნეს დაშვებული გუდაუთის სამხედრო ბაზის ე.წ. სარეაბილიტაციო ცენტრად ტრანსფორმაცია, ვინაიდან სამშვიდობო ძალები და გუდაუთაში დაბანაკებული სამხედროები ფაქტიურად ერთი და იგივე ძალებია.

სხდომაზე აღინიშნა, რომ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით 1996 წლის 17 აპრილს მიღებული პარლამენტის დადგენილება ყოვლისმომცველი, ფუნდამენტური დოკუმენტია, ის მზადდებოდა თვეების განმავლობაში და მასში შეჯერებული იყო პარლამენტის სხვადასხვა ფრაქციის, პოლიტიკური პარტიების პოზიციები. დაუშვებელია ამ დადგენილებაში დაფიქსირებული პოზიციებიდან უკან დახევა. აღნიშნულის გაუთვალისწინებლად ახალი დადგენილების მიღება ყოვლად გაუმართლებელია და არასწორად იქნება აღქმული.

გამოითქვა მოსაზრება, რომ პარლამენტის უმრავლესობა რადიკალური გადაწყვეტილების მისაღებად მზად არ არის, რის გამოც ის არ წავა ფრაქცია "აფხაზეთის" და სხდომის მონაწილეთა უმრავლესობის მიერ

წამოწეული საკითხების დაფიქსირებაზე, ამდენად ეჭვის ქვეშ შეიძლება დადგეს ამ ეტაპზე საკითხის განხილვაც კი. გადაწყდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის სხვა ფრაქციებთან მოლაპარაკებების გამართვა და პოზიციების შეჯერება. ასევე ხაზი გაესვა აღნიშნულ ეტაპზე გუდაუთის ბაზის გაყვანამდე სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის, ასევე გენოციდისა და ეთნიკური წმენდის თაობაზე სასამართლო ორგანოების მიერ სანქციების მიღების საკითხის დასმის მიზანშეუწონლობას.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ვ. ყოლბაიამ.

განხილულ საკითხებთან დაკავშირებით სხდომამ მიიღო **გადაწყვეტილება:**

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ი. მენაღარიშვილის ინფორმაცია "მიმდინარე ეტაპაზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ასპექტებისა და ძირითადი მიმართულებების შესახებ".

2. კომისია თვლის, რომ მიმდინარე ეტაპზე რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების გარკვეული გართულებების მიზეზებს შორის ერთ-ერთი ძირითადია რუსეთის ფედერაციის, როგორც აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში ხელშემწყობი მხარის მიერ დაკავებული არათანმიმდევრული, ორმაგი სტანდარტის პოზიცია, რაც მნიშვნელოვნად ამუხრუჭებს სამშვიდობო პროცესს.

3. .კომისია თვლის, რომ მიუხედავად წინააღმდეგობრივი ურთიერთობებისა, მსოფლიო ძალთა განლაგებაში რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით საქართველოს ხელისუფლებამ ბოლომდე უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად, აღნიშნული ურთიერთობებს პარიტეტულ, თანაბარუფლებიან საწყისებზე დასაყენებლად.

საჭიროდ ჩაითვალოს, საქართველოს პარლამენტის ბიუროს წინაშე საკითხის დასმა რუსულ-ქართული ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმაში მოლაპარაკებების გამართვის მიზნით საპარლამენტო დელეგაციის გამგზავრების თაობაზე.

4. მიზანშეწონილად ჩაითვალოს პარლამენტის სხდომაზე აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების მდგომარეობის საკითხის განსახილველად ერთობლივი დადგენილების პროექტის პლენარულ სხდომაზე წარმოდგენის მიზნით საპარლამენტო ფრაქციასთან განსახილველად გასატან საკითხთა ძირითადი შეხედულებების შეჯერება.

5. დაისვას საქართველოს საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა სამინისტროების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სხვა შესაბამისი სტუქტურების წინაშე საკითხი რუსეთის ფედერაციის მხრიდან სავიზო რეჟიმის ცალმხრივად განხორციელების შემთხვევაში რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მოქალაქეობრივი უფლებების დასაცავად და მათთვის ეროვნული პასპორტების გაცემის საკითხის მოსაწესრიგებლად სპეციალური ღონისძიებების შემუშავების თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიისა და ფრაქცია "აფხაზეთის" სხდომის
ო ქ მ ი.

№ 18 **2000 წლის 17 ნოემბერი**

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე
ვ. ყოლბაია;

ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები**: ა. ახვლედიანი, დ. გადელია, ჯ. გამახარია, გ. კალანდია, კ. კემულარია, რ. ლორთქიფანიძე, ვ. შამილაძე;** საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები**: გ. ლომინაძე, ე .გვაზავა, ჯ. ეზუგბაია, ვ. ჭანტურია;** საქართელოს პარლამენტის წევრი **ა. გასვიანი;** საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარე **ზ. შენგელია;** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **რ. გერგედავა,** აფხაზეთის ტელერადიოკომპანიის დირექტორი **თ. ჩოჩია,** აფხაზეთის "დევნილთა კავშირის" წევრი **გ. მეშველიანი,** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია;**

დღის წესრიგი:

"საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის კორპორაციის სახელმწიფო არხებით აფხაზეთის პრობლემების გაშუქების მდგომარეობის შესახებ" აფხაზეთის ტელერადიოკომპანიის დირექტორის თ. ჩოჩიას ინფორმაციის თაობაზე.

მოისმინეს: აფხაზეთის ტელერადიოკომპანიის დირექტორის თ.ჩოჩიას ინფორმაცია "საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის კორპორაციის სახელმწიფო არხებით აფხაზეთის პრობლემების გაშუქების მდგომარეობის შესახებ".

აზრი გამოთქვეს: ზ.შენგელიამ, რ.გერგედავამ, მ. გამახარიამ, გ.მეშველიანმა, რ.გელანტიამ, ე.გვაზავამ, გ.კალანდიამ, ვ.შამილაძემ, გ.ლომინაძემ, ჯ.ეზუგბაიამ, ვ.ყოლბაიამ.

აღინიშნა, რომ აფხაზეთის პრობლემის საინფორმაციო უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით აფხაზეთის ტელევიზიის ქართული რედაქცია შეიქმნა აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების პირველსავე დღეებში. ომის შემდგომ (1994 წ.) ხელისუფლების დახმარებით შენარჩუნებული იქნა აფხაზეთის ტელევიზიის შემოქმედებითი კოლექტივი. აფხაზეთის ტელევიზიას მიეცა აქტიური საქმიანობის საშუალება I არხით შინაგანი თუ გარედან თავს მოხვეული პრობლემების მიუხედავად აფხაზეთის ტელევიზია 1998 წლამდე აღნიშნული არხით უზრუნველყოფდა (45 წუთი კვირაში) აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების და დევნილთა დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკური, ეკონომიური, სამართლებრივი, ჰუმანიტარული საკითხების გაშუქებას, მწვავე და საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხების წამოწევას.

აფხაზეთის ტელევიზია და რადიო არა მარტო დევნილთა, არამედ საქართველოს მთელი მოსახლეობის ყურადღების ცენტრშია. შემდეგში აფხაზეთის ტელევიზია გადაყვანილ იქნა მე-2 არხზე. მიუხედავად მასალათა ხარისხის გასაუმჯობესებლად კოლექტივის ძალისხმევისა, (II არხის სიგნალების გავრცელების არეალი შეზღუდულია) ტელევიზიამ დაკარგა მაყურებელი არა მარტო ენგურგამოღმა საქართველოში, არამედ აფხაზეთშიც, სადაც გადაცემები ვერ ვრცელდება ტექნიკური პრობლემების გამო.

საკითხი განხილულ იქნა მრავალ ინსტანციაში. საქართველოს პრეზიდენტის ა. წლის 7 მაისის № 178 ბრძანებულებით დამტკიცებულ პროგრამაში გათვალისწინებული იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების მოთხივნა აფხაზეთის გადაცემების I არხზე გადაყვანის შესახებ. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკითხის გადაწყვეტა დღემდე გაჭიანურდა.

სხდომაზე ხაზი გაესვა, რომ ტელევიზიის არხის ტექნიკური უზრუნველყოფის დონე მეტად დაბალია, რის გამოც შეუძლებელი ხდება

მაღალი დონისა და ხარისხის მასალების მომზადება. მიუხედავად ხელისუფლების გადაწყვეტილებისა, აფხაზეთის ტელევიზიისათვის ბიუჯეტიდან 50-70 ათასი ლარის გამოყოფის შესახებ, საკითხი მოგვარებული არ არის.

ზ. შენგელიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ტელევიზიაში მიმდინარეობს ძირეული რეფორმა და საჭიროა იგივე პროცესი განხორციელდეს აფხაზეთის ტელევიზიაშიც, რისი საკადრო პოტენციალიც აფხაზეთს ტელევიზიას გააჩნია. თუ გამოინახა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საშუალებები. მანვე შემოიტანა წინადადებები ერთობლივი საქმიანობის გაძლიერების, აფხაზეთის ტელევიზიისათვის მხარდაჭერის შესახებ, კერძოდ, გამოითქვა მზადყოფნა:

1. აფხაზეთის ტელევიზიის დამოუკიდებელი არხის შექმნაში ხელშეწყობის შესახებ;

2. 2001 წლის იანვრიდან I არხში აფხაზეთის ტელევიზიისთვის კვირაში (22-23 საათების ინტერვალში) 30 წუთი საეთერო დროის გამოყოფის, ასევე მიზნობრივი (შეკვეთილი) პროგრამების განხორციელებაში ხელშეწყობის შესახებ.

3. ზემოაღნიშნულ პირობებში აფხაზეთის ტელევიზიის II არხში გამოყოფილი საერთო დროის შენარჩუნების თაობაზე.

გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები აფხაზეთის ტელევიზიის შემოქმედებითი კოლექტივის საქმეების სრულყოფის, თანამედროვე მოთხოვნათა ადეკვატური გადაცემების მომზადების, მაყურებლებში სარეიტინგო დონის ამაღლების, ანალიტიკური საქმიანობის გაძლიერების კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

სხდომა შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ვ.ყოლბაიამ.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით მიიღო **გადაწყვეტილებები:**

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარის ზ.შენგელიას ინფორმაცია, რომ აფხაზეთის საკითხის სახელმწოფოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით:

ა) აფხზეთის ტელევიზიას ამჟამად არსებულ რეჟიმში II არხზე შეუნარჩუნდება
საერთო დრო;

ბ) 2001 წლის იანვრიდან I არხზე გამოიყოფა 30 წუთი (22-23 საათის ინტერვალში);
გ) შეიქმნება ხელსაყრელი პირობები მიზნობრივი პროგრამების განხორციელებისათვის;
დ) საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის კორპორაცია და აფხაზეთის ტელეკომპანია ერთობლივად იმუშავებენ აფხაზეთის ტელევიზიისათვის დამოუკიდებელი არხის შესაქმნელად.

2. ეთხოვოს აფხაზეთის ტელერადიოკომპანიის ხელმძღვანელობას (თ. ჩოჩია) 2001 წლის იანვრის ბოლომდე შეიმუშაოს ტელეგადაცემათა ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლების კონკრეტული ღონისძიებათა გეგმა და განსახილველად წარუდგინოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს.

3. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ საქართველოს პარლამენტში 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიური რასპუბლიკის მინისტრთა საბჭომ კვლავ დააყენოს საკითხი ტელერადიოკომპანიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების გადაუდებელ აუცილებლობებთან დაკავშირებით 70 ათასი ლარის გამოყოფის შესახებ.

4. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციას, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წევრებს აფხაზეთის ტელერადიოკომპანიასთან თანამშრომლობის გაძლიერება.

5. ეთხოვოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს (დ.გვაძაბია) და მინისტრთა საბჭოს (რ.გერგედავა) ინფორმაციის სამინისტროსთან (თ.ხუბუა) ერთად 2001 წლის თებერვლის ბოლომდე მოამზადონ წინადადებები აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პრობლემებთან დაკავშირებით საინფორმაციო მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე.

6. გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ეცნობოს საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ დროებით კომისიას 2001 წლის მარტში (რ.გერგედავა, თ.ჩოჩია, რ.გელანტია, თ.ჭახრაკია)

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის ოქმი

№19 22 დეკემბერი 2000 წ.

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია;**

ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები : **ა. ახვლედიანი, გ. ბოლოთაშვილი, გ. გადელია, ჯ. გამახარია, გ. კალანდია, რ. ლორთქიფანიძე, ვ. მაღლაფერიძე, ზ. ბუკმანიანი, გ. სანიკიძე, გ. ჯოჯუა;**
საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" თავჯდომარე **გ. ლომინაძე,** წევრები - **ე. გვაზავა, ვ. ჭანტურია, ო. ჭითანავა;**
საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი **ვ. ვაშაკიძე;**
საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე;**
საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მოადგილე **დ. პაიჭაძე;**
აფხაზეთის ა/რ უზენაესი საბჭოს თავჯდომარის მოადგილე **კ. ჯაჭვლიანი;**
აფხაზეთის ა/რ უზენაესი საბჭოს დეპუტატები : **ე. ასტემიროვა, გ. კვარაცხელია, თ. მჟავია, რ. ქარაია, რ. შამუგია;**
აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ცანავა;**
აფხაზეთის ა/რ ინფორმაციის მინისტრი **თ. ხუბუა;**
აფხაზეთის ა/რ შრომისა და დასაქმების მინისტრი, ორმხრივი ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის მდივანი **ზ. ლაკერბაია;**
აფხაზეთის ა/რ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. თორდია;**
აფხაზეთის ა/რ პროკურორი **ა. ლაცუზბაია;**
აფხაზეთის ა/რ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი **ნ. თოდუა;**
აფხაზეთის ა/რ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **ვ. მიხელიძე;**
აფხაზეთის ა/რ კავშირგაბმულობისა და ფოსტის დეპარტამენტის თავჯდომარე, საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი III სამუშაო ჯგუფის წევრი **ნ. კვარაცხელია;**
საქართველოს განსაკუთრებულ საკითხთა სამინისტროს სპეციალისტები : **ლ. გერაძე, ნ. ქარჩავა;**
არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის საქართველოს კომიტეტის კოორდინატორი **ა. რუსეცკი;**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის I თანაშემწე, სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია;**

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია;** კომისიის სპეციალისტები **: ლ. ანთია, ვ. ქობალია;**

დღის წესრიგი :

ჟენევის სამშვიდობო პროცესის ფარგლებში ქართულ-აფხაზურ საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის შესახებ.

სხდომა გახსნა და ინფორმაციით "ჟენევის სამშვიდობო პროცესის ფარგლებში ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის შესახებ" გამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია** (ინფორმაცია თან ერთვის).

მიმდინარე წელს საკოორდინაციო საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების მიერ ჩატარებული მუშაობის თაობაზე ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მ. კაკაბაძემ, განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს სპეციალისტმა ლ. გერაძემ.

ინფორმაციებით გამოვიდნენ საკოორდინაციო საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების წევრები : თ. ხუბუა, დ. ცანავა, ნ. კვარაცხელია, კ. ჯაჭვლიანი, ვ. ვაშაკიძე, ორმხრივი საკოორდინაციო კომისიის მდივანი ზ. ლაკერბაია;
აზრი გამოთქვეს: თ. მჟავიამ, ე. ასტემიროვამ, რ. ქარაიამ, ე. გვაზავამ, ა. რუსეცკიმ, ა. ლაცუზბაიამ, მ. კვარაცხელიამ, გ. გასვიანმა, გ. კალანდიამ, რ. ლორთქიფანიძემ, გ. ლომინაძემ, გ. სანიკიძემ.

ხაზგასმით აღინიშნა, ჟენევის ფორმატის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების მნიშვნელობა აფხაზეთში კონფლიქტის ყოვლისმომცველი მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, აღნიშნულ ფორმატში გაწეული გარკვეული პოზიტიური მუშაობის შესახებ.

ამასთან ერთად გამოიკვეთა აზრი, რომ ჟენევის 1997 წლის 17-19 ნოემბრის შეხვედრის დასკვნითი განცხადების საფუძველზე შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს პოტენციალი კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში ჯეროვნად არ არის გამოყენებული.

ხაზი გაესვა მიმდინარე წელს საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ბ-ნ დ. ბოდენისა და საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის ბ--ნ მ. კაკაბაძის ძალისხმევით საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის გარკვეულ გააქტიურებას, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა საბჭოს სხდომებისა და I სამუშაო ჯგუფის უფრო რეგულარულ ჩატარებაში, მათ შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩართვაში. აღინიშნა, რომ ბოლო პერიოდში დროებითი საპარლამენტო კომისიისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა საკოორდინაციო საბჭოზე განხილული პროექტები და

მასზე მიღებული გადაწყვეტილებები, რაც იძლევა მომავალში საკითხების ერთობლივი ძალისხმევით სამშვიდობო პროცესისათვის ოპტიმალური ხასიათის მიცემის იმედს.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ საკოორდინაციო საბჭოს შექმნიდან განვლილი 3 წლის მანძილზე იმ სამი ძირითადი საკვანძო მიმართულებიდან : **I** -ცეცხლის მდგრადი განუახლებლობისა და უსაფრთხოების პირობები, **II** - დევნილებისა და ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირების უსაფრთხო დაბრუნების საკითხები, **III** - ეკონომიკური და სოციალური საკითხების ერთობლივი მოგვარება - რეალური პროგრესი არც ერთი მიმართულებით არ იგრძნობა.

მიუხედავად ძალთა დაშორიშორების ხაზზე შედარებითი სიმშვიდისა, აბსოლუტურად დაუცველია კონფლიქტის ზონაში, კერძოდ, გალის რაიონში დარჩენილი მოსახლეობა და თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებული დევნილები. პრაქტიკულად, ყოველდღიურად ხდება მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის უფლებებისა და ღირსებების ხელყოფა - ძარცვა, დაყაჩაღება, გამოსასყიდის მისაღებად მძევლად აყვანა, ქონების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების - თხილისა და მანდარინის წართმევა, მკვლელობანი, აკრძალულია მშობლიურ ენაზე განათლება და ა. შ.

ბოლო პერიოდში გახშირდა შეიარაღებული თავდასხმები ოჯახებზე, სამარშრუტო ავტობუსებზე, მგზავრთა დაყაჩაღება, კონტრაბანდა, ნარკობიზნესი. აღნიშნულ დანაშაულს ერთობლივად სჩადიან დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული ადგილობრივი და აფხაზი კრიმინალები.

პრაქტიკულად გალის რაიონში უკონტროლო ვითარებაა, რაც მოსახლეობის აღშფოთებას იწვევს. ექსპერტთა მონაცემებზე დაყრდნობით გამოითქვა წინადადება, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვითარების გაუმჯობესებას გარკვეულად შეუწყობდა ხელს ადგილობრივ ერთობლივ (შერეულ) გარდამავალ სამართალდამცველ ორგანოებში გალის რაიონის მოსახლეობის ჩართვა, რაზედაც სეპარატისტული რეჟიმი არ მიდის.

ხაზი გაესვა, რომ კონფლიქტის ზონაში მოქმედი კრიმინალების წინააღმდეგ ჯერ-ჯერობით არაეფექტურია საკოორდინაციო საბჭოს მე-10 სესიის გადაწყვეტილებით შექმნილი მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულებისა და პოლიტიკურად მოტივირებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ფაქტების გამოვლენისა და გამოკვლევის ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის მუშაობა, უფრო მეტიც, ჯერ-ჯერობით ვერ იქნა გადაწყვეტილი ამ ჯგუფის შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის წარმომადგენელთა შეყვანა, რაც უთუოდ უარყოფითად მოქმედებს აღნიშნული ჯგუფის საქმიანობის ეფექტურობაზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის ა. ლაცუზბაიას განცხადებით აღნიშნული ჯგუფის საქმიანობა არაეფექტური და კანონსაწინააღმდეგოც კი იქნება მანამ, სანამ არ შემუშავდება მისი კომპეტანციის იურიდიული ბაზა, თუნდაც გარდამავალი პერიოდისათვის,

ვინაიდან აფხაზეთის, კერძოდ, გალის რაიონის ტერიტორიაზე ამჟამად საქართველოს იურისდიქცია და შესაბამისად საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ მოქმედებს, ხოლო აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ შემოღებული კანონმდებლობა არ არის საერთაშორისო დონეზე აღიარებული, დაკავებულთა ამ კანონებით გასამართლება ეწინააღმდეგება საქართვლოს კანონმდებლობას და ფაქტიურად იქნება სოხუმის რეჟიმის აღიარების ერთ-ერთი დასტური, რაც დაუშვებელია.

სხდომაზე ხაზი გაესვა **II** სამუშაო ჯგუფის ამოქმედების აუცილებლობას. ითქვა, რომ გაეროს ყველა რეზოლუციაში დაფიქსირებულია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში უპირობო და უსაფრთხო დაბრუნების უფლება. იგივე დაფიქსირდა ჟენევის სამშვიდობო პროცესის ფარგლებში ჩატარებული ათენისა და სტამბოლის შეხვედრებზეც. ითქვა, რომ ამ ჯგუფის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს გალის რაიონში დევნილთა უსაფრთხო, ორგანიზებული და შეუქცევადი დაბრუნების უზრუნველყოფა, იქ არაორგანიზებულად დაბრუნებულ დევნილთა პირობები, მათი რეაბილიტაცია და უსაფრთხოება. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ **II** სამუშაო ჯგუფის მუშაობის მკვეთრი გააქტიურება ქართული მხარის სასიცოცხლო ინტერესებში შედის.

აღინიშნა, რომ ეს მით უფრო აუცილებელია გალის რაიონში გაეროსა და ეუთოს ვითარების შემსწავლელი კომისიის დასკვნებიდან გამომდინარე, რომლებიც თვითდამშვიდების საშუალებას არ იძლევა.

მიუხედავად **III** სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული გარკვეული მუშაობისა, ისეთ საკვანძო საკითხებში, როგორიცაა, ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, მრეწველობის ზოგიერთი დარგი, საკმაოდაა გამოუყენებელი რეზერვები. ამასთან ხაზი გაესვა, რომ ეკონომიკური კავშირების აღდგენისა და მათი შემდგომი განვითარების პროცესში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლობა, აფხაზეთის დევნილი საწარმოების, მეწარმეების, ბიზნესმენების ჩართვა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ნდობის ფაქტორის აღსადგენად.

ყურადღება გამახვილდა ამ ეტაპზე სოციალური საკითხების, კერძოდ განათლების, ჯანდაცვის ერთობლივი პროგრამების განხორციელების აუცილებლობაზე, ითქვა, რომ აქ უფრო ადვილია გარღვევის მიღწევა.

აღინიშნა ის ფაქტიც, რომ საკოორდინაციო საბჭოსა და მის სამუშაო ჯგუფებში ქართული მხარისაგან განსხვავებით აფხაზური მხარე ძირითადად სტაბილური შემადგენლობით არის დაკომპლექტებული, რაც რიგ სხვა გარეშე სუბიექტურ ფაქტორთან ერთად სესიის ჩატარებისას განაპირობებს მათ უკეთეს ინფორმირებულობას განსახილველ საკითხებთან მიმართებაში.

აღნიშნულის გამო ითქვა, რომ აუცილებელია საბჭოსა და მის სამუშაო ჯგუფებში აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წარმომადგენლების უთუო შეყვანა, სხდომისა და მოსამზადებელ

ეტაპზე დროებითი კომისიის, ფრაქცია "აფხაზეთის" აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისა და საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა საკონსულტაციო-საკოორდინაციო შეხვედრა და პოზიციათა შეჯერება, რაც ხელს შეუწყობს უფრო გათვლილი წინადადების მომზადებას, როგორც ეს მოხდა მიმდინარე წლის ივნის-აგვისტოში ე. წ. "ოქმისა" და "შეთანხმების" პროექტების განხილვისას.

სხდომაზე ხაზი გაესვა კონფლიქტის მოწესრიგებაში სახალხო დიპლომატიის რეზერვების გამოყენების აუცილებლობას, ახალი მიდგომების ძიებას არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ოპტიმიზაციას.

ითქვა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფის გააქტიურების აუცილებლობის შესახებ. ამასთან ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ აფხაზური მხარე თავის ოფიციალურ გაზეთში "რესპუბლიკა აბხაზია" ნომრიდან ნომერში სისტემატურად აქვეყნებს ანტიქართული განწყობილების სტატიებსა და ნარკვევებს, მეთოდურად აგრძელებს ქართველებისაგან მტრის ხატის შექმნის პოლიტიკას, აფხაზეთში ამჟამად მცხოვრები მოსახლეობის ზომბირებას, რაც ვერანაირად ვერ ჯდება ჟენევის სამშვიდობო პროცესის სიბრტყეში, ეწინააღმდეგება 2000 წლის 11 ივლისის ოქმის მოთხოვნებს და ხელს უშლის მხარეთა შორის ურთიერთნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნას.

ყურადღება გამახვილდა საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის მექანიზმის სრულყოფის აუცილებლობაზე, საბჭოს სესიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომების ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხებზე.

სხდომა შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარემ
ვ. ყოლბაიამ.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ მიიღო **გადაწყვეტილება:**

1. აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს ჟენევის სამშვიდობო პროცესის ფარგლებში ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის გარკვეული გააქტიურების მიუხედავად მისი პოტენციალი კონფლიქტის მხარეთა შორის ნდობის განმტკიცებისა და სამშვიდობო პროცესში გარღვევისათვის სრულად არ არის გამოყენებული.

2. აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესისათვის უფრო დინამიური ხასიათის მისაცემად და საკოორდინაციო საბჭოს შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს საბჭოსა და მისი სამუშაო ჯგუფების მუშაობის საკითხებთან დაკავშირებით დროებითი საპარლამენტო კომისიის, ფრაქცია "აფხაზეთის", საქართველოს

განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროსა და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების კოორდინირებული მუშაობის ორგანიზირება.

3. ეთხოვოს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში ბ-ნ დ. ბოდენს, საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს ბ-ნ მ. კაკაბაძეს :

ა). საკოორდინაციო საბჭოსა და მისი სამუშაო ჯგუფების (განსაკუთრებით II და III) მუშაობის გააქტიურება და საქმის ყველა ასპექტის დებულების სრულ შესაბამისობაში მოყვანა;

ბ). საკოორდინაციო საბჭოსა და მის სამუშაო ჯგუფებში, აგრეთვე ექსპერტთა ჯგუფებში აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წარმომადგენელთა ჩართვის საკითხის გადაწყვეტაში ხელშეწყობა ;

გ). აფხაზურ მხარესთან აფხაზეთიდან დევნილი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა, კერძოდ, აფხაზეთის შს სამინისტრისა და პროკურატურის მიერ წარდგენილ თანამშრომელთა I სამუშაო ჯგუფში ჩართვის შეთანხმების მიღწევა;

დ). საკოორდინაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ ვადებში საბჭოს დაგეგმილი სხდომის დღის წესრიგისა და გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით მხარეებისა და დაინტერესებული სუბიექტების ინფორმირების უზრუნველყოფა;

ე). საკოორდინაციო საბჭოს სესიებზე და სამუშაო ჯგუფების სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის თაობაზე საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის პერიოდული ინფორმირება;

ვ). აფხაზური მხარის ყურადღების გამახვილება საკოორდინაციო საბჭოს მე-10 სესიაზე ა. წ. 11 ივლისს ჟენევის 1997 წლის 17-19 ნოემბრის დასკვნითი განცხადების მე-14 მუხლში შეტანილი დამატების, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა ვალდებულებებს თავი შეიკავონ ერთმანეთისადმი მტრული პროპაგანდისაგან და მიიღონ ზომები ურთიერთნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს შესაქმნელად;

ზ). შესაბამის ინსტანციებსა და აფხაზურ მხარესთან მუშაობის გააქტიურება გაეროს ადამიანის უფლებების გალის ფილიალის ოფისის გახსნის საკითხის გადაწყვეტის დასაჩქარებლად;

თ). სესიებსა და სამუშაო ჯგუფებში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველსაყოფისა და შესრულების კონტროლის მექანიზმის შექმნა, სესიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომების საინფორმაციო უზრუნველყოფა;

4. ეთხოვოს საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს ბ-ნ მ. კაკაბაძეს:

ა). საკოორდინაციო საბჭოსა და მის სამუშაო ჯგუფებში მონაწილე ქართული მხარის წარმომადგენელთა მჭიდრო კონტაქტების დამყარების უზრუნველყოფა დროებითი საპარლამენტო კომისიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან, ინფორმაციათა ოპერატიული გაცვლა;

ბ). აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებასთან არსებული კონფლიქტის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრთან ერთად საინფორმაციო მუშაობის გააქტიურება, აფხაზურ პრესაში გამოქვეყნებულ ცილისწამებლურ, მტრულ და ფსევდოისტორიულ მასალებზე არგუმენტირებული და ყოვლისმომცველი პასუხების გასაცემად ქმედითი მექანიზმის შემუშავება;

გ). აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობების გამოყენების არეალის გაფართოება, ჟენევის სამშვიდობო პროცესის ფარგლებში მხარეებს შორის ფართო წარმომადგენლობითი შეხვედრების ორგანიზებისას ქართული მხარის დელეგაციაში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლობითი წილის გაფართოების გათვალისწინება;

დ). დაისვას საკითხი საქართველოს პრეზიდენტის წინაშე III სამუშაო ჯგუფისა და ორმხრივი საკოორდინაციო კომისიის ფარგლებში აფხაზურ მხარესთან ეკონომიკურ საკითხებზე მოლაპარაკებებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებისას აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მონაწილეობის გათვალისწინების, დევნილთა მონაწილეობისათვის ერთობლივი ეკონომიკური და სოციალური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობის თაობაზე, რაც კონფლიქტში დაპირისპირებულ მხარეთა დაახლოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდება.

5. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ამ გადაწყვეტილების შესრულების საკითხის განხილვა დროებითი კომისიის გაფართოებულ სხდომაზე 2001 წლის ივნისში.

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის
ოქმი

№20 16 თებერვალი 2001 წელი

სხდომას უძღვებიდა საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავჯდომარე **ვ. ყოლბაია;**

ესწრებოდნენ : აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წევრები: **ა. ახვლედიანი, გ. ბოლოთაშვილი, დ. გადელია, ჯ. გამახარია, გ. კალანდია, ვ. კვარაცხელია, ზ. მუკმანიანი, ვ. შამილაძე, გ. ჯოჯუა;**

საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთისა" და საქართველოს პარლამენტის წევრები : **გ. ლომინაძე** (ფრაქციის თავმჯდომარე), **ე. გვაზავა, დ. გვაძაბია, დ. ჯაიანი, ა. გასვიანი, ჯ. ეზუგბაია, ა. წოწონავა, ა. ფენდერავა, ვ. ჭანტურია, ს. ჭანტურია, ო. ჭითანავა;**
საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ურთიერთობათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე : **გ. კვარაცხელია;**
საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე;**
საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი საერთაშორისო სამართლის საკითხებში პროფესორი **ლ. ალექსიძე;**
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში **რ. ბერიძე;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრი **თ. ხუბუა;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე **პ. დავითაია;**
"ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის" საქართველოს ეროვნული კომიტეტის კოორდინატორი **ა. რუსეცკი;**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას პირველი თანაშემწე, სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია;**
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია;**

დღის წესრიგი :

1. "კონფლიქტის გადაწყვეტის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი საკითხების" შესახებ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის **ა. ხ. რობლესის** ეგიდით ა.წ. 12-13 თებერვალს ბიჭვინთაში ჩატარებული სემინარის შედეგების თაობაზე.

2. ა.წ. 15-16 მარტს იალტაში დაგეგმილი ჟენევის ფორმატით ნდობის განმტკიცების ქართული და აფხაზური მხარეების მესამე შეხვედრაში საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში დროებითი კომისიის წარმომადგენლობის თაობაზე.

მოისმინეს : ა.წ. 12-13 თებერვალს ბიჭვინთაში ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის **ა. ხ. რობლესის** ეგიდით ჩატარებული სემინარის "კონფლიქტის გადაწყვეტის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი საკითხების" თაობაზე საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის **მ. კაკაბაძის,** საერთაშორისო სამართლის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის მთავარი სახელმწიფო მრჩევლის **ლ. ალექსიძის,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ულაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწის **პ. დავითაიას** ინფორმაციები (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს : დ. ჯაიანმა, ა. წოწონავამ, გ. გვაზავამ, რ. ბერიძემ, ა. გასვიანმა, ჯ. ეზუგბაიამ, გ. ლომინაძემ, გ. კალანდიამ, ვ. ყოლბაიამ.

აღინიშნა, რომ 12-13 თებერვალს ბიჭვინთაში ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის **ა.ხ. რობლესის** ეგიდით გაიმართა საერთაშორისო სემინარი თემაზე "კონფლიქტების გადაწყვეტის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ საკითხები".

სემინარი მიჰყავდა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში ბატონ **დიტერ ბოდენს.**

აფხაზურ მხარეს წარმოადგენდნენ : **ა. ჯერგენია** - ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურორი, პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში, **ა. თანია -**ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანაშემწე პოლიტიკურ საკითხებში, **ვ. ხაგბა** - ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის თავმჯდომარე.

ქართულ მხარეს ხელმძღვანელობდა **ლ. ალექსიძე -** პროფესორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგე; სემინარის მუშაობაში ექსპერტთა რანგში მონაწილეობდნენ: **გ. ხუბუა** -დოცენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, **პ. დავითაია** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელისუფლების

რეგიონალური დანაწილების შემსწავლელი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი; ქართული მხარის დამკვირვებლის სტატუსით სემინარს ესწრებოდნენ: **მ. კაკაბაძე** - საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი, **კ. კუბლაშვილი** - საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, **ლ. გერაძე -** საქართველოს განსაკუთრებული საქმეთა მინისტრის თანაშემწე.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: საქართველოში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქ-ნი **მ. მიუსი**, ევროპის საბჭოს ჟენევის კომისიის აღმასრულებელი მდივანი **ჯ. ბუკიკიო,** საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩოს წარმომადგენელი **გ. პავლოვი**, ჟენევის კომისიის ექსპერტები: **გ. მალივერნი** (შვეიცარია), **ბ. კოპიტერსი** (ბელგია), **ლ. გუერა** (ესპანეთი), **პ. ფოგელი** (გერმანის).

შეთანხმებული თემის მიუხადავად, **ა. ჯერგენიას** გამოსვლა ძირითადად პოლიტიზირებული იყო. კერძოდ, აფხაზური მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებით საქართველოს მიერ მიღებულმა დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციამ და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენამ დეიურე აფხაზეთი საქართველოდან დამოუკიდებელ ერთეულად ცნო. მისივე აზრით, საომარი მოქმედების შედეგად მხარეების მიერ კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების ღონისძიებათა შესახებ 1994 წლის 4 აპრილს მოსკოვში ხელმოწერილი განცხადება წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის, სადაც საუბარია მხარეთა ვალდებულებებზე სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების აღდგენის თაობაზე.

აფხაზური მხარის მოსაზრებები არგუმენტირებულად იქნა გაბათილებული ბ-ნ **ლ. ალექსიძის** მიერ. კერძოდ, აღინიშნა, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაცია და 1921 წლის კონსტიტუციის არ წყვეტდა აფხაზეთთან სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ ურთიერთობებს. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ამ აქტის შემდეგ აფხაზეთში გაიმართა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რომელიც საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული კანონის საფუძველზე იქნა ჩატარებული. სემინარის მონაწილეებს წარედგინათ საქართველოს პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ სივრცეში აფხაზეთის ყოფნის დამადასტურებელი უამრავი სამართლებრივი აქტი.

აფხაზური მხარის მოთხოვნაზე, რომ სემინარზე განხილულიყო ერთა თვითგამორკვევის უფლება, და დადასტურებულიყო აფხაზების - როგორც ერის მიერ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობა, რის საფუძველსაც მათი აზრით იძლევა ქ. მოსკოვში 1994 წლის 4 აპრილს ხელმოწერილი "განცხადება ქართულ აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ", რომლის მე-8 მუხლით თითქოსდა აღიარებულია აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ბატონმა **დ. ბოდენმა** აღნიშნა, რომ

აფხაზური მხარის მიერ მოტანილი არგუმენტები საერთაშორისო-სამართებლივი თვალსაზრისით არამართებულია, რის დასასაბუთებლადაც მოიტანა ციტატა გაეროს საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტის დასკვნიდან. მათ განემარტათ, რომ მოსახლეობის ცალკე აღებულ ერთ ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც ამასთან ერთად წარმოადგენს უმცირესობას, არ აქვს დამოკიდებული სახელმწიფოს მოთხოვნის იურიდიულ-სამართლებრივი უფლებები, მით უფრო, ისეთ ვითარებაში, როდესაც სახეზეა ეთნიკური წმენდის შედეგად მოსახლეობის უმრავლესობის თავიანთი სახლ-კარიდან იძულებით განდევნა.

13 თებერვალს **ჯ. მალივერნისა** და **ლ. ალექსიძის** მიერ წარმოდგენილ იქნა არგუმენტები ერთა თვითგამორკვევის კონტექსტში აფხაზეთის, საქართველოს ტერიტორიიდან გამოყოფის საკითხის დასმის უსაფუძვლობის თაობაზე.

ბატონმა **დ. ბოდენმა** კატეგორიულად დაადასტურა საერთაშორისო თანამეგობრობის მყარი პოზიცია აფხაზეთის სტატუსის საქართველოს სახელმწიფო შემადგენლობაში განსაზღვრის საკითხის უალტერნატივობის შესახებ. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა **ა. ხ. რობლესმა** და ევროპის ჟენევის კომისიის აღმასრულებელმა მდივანმა **ჯ. ბუკიკიომ** აღნიშნეს, რომ სემინარი არის ინტელექტუალთა მცდელობა დაეხმარონ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს იპოვონ საქართველოს ფარგლებში თანაცხოვრების ურთიერთმისაღები ფორმები და არა პოლიტიკური მოლაპარაკებები კონფლიქტის გადასაწყვეტად.

ევროპის საბჭოს ეხსპერტთა მიერ სემინარზე გაკეთებულ მოხსენებებს, მათ განცხადებებს წითელ ზოლად გასდევდა ადამიანის უფლებების დაცვის პრიმატი. თვით ერთა თვითგამორკვევის უფლებაც აღნიშნული კურსით იქნა განხილული და ხაზი გაესვა არსებული სადავო საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობას სწორედ ადამიანის უფლებათა დაცვის პრიორიტეტულობის საფუძველზე.

დროებითმა კომისიამ აღნიშნა ჩატარებული სემინარის დიდი მნიშვნელობა, როგორც პირველი მცდელობა მაღალკვალიფიციური საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით კონფლიქტის მხარეებს შორის სახელმეიფოებრივ-სამართლებრივ საკითხებზე არსებულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით აკადემიურ დონეზე დიალოგის დასაწყებად. პრინციპული მნიშვნელობა მიეცა ევროპის საბჭოს ჩართვას აღნიშნულ პროცესში.

სხდომაზე ხაზი გაესვა საერთაშორისო სამართლის ქართველ და უცხოელ ექსპერტთა მოსაზრებების უშუალო დაყვანის მნიშვნელობას აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობისადმი, მათთან უშუალო კონტაქტებზე გასვლას, იქ დემოკრატიული პროცესების განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობას.

განხილულ საკითხთან დაკავსირებით სხდომამ მიიღო **გადაწყვეტილებები:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად **მ. კაკაბაძის, ლ. ალექსიძისა და პ. დავითაიას** ინფორმაციები ა.წ. 12-13 თებერვალს ბიჭვინთაში ევროსაბჭოს ადამიანის უფლებეთა უმაღლესი კომისრის **ა.ხ.ხორბლესის** ეგიდით ჩატარებული სემინარის თაობაზე.

2. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული სახელწიფოებრივ-სამართლებრივ საკითხებზე სემინარების, სქვა ღონისძიებების ჩატარება, რათა აფხაზეთში კონდლიქტის მოწესრიგების პროცესი გადაყვანილ იქნეს პრაგმატულ ასპექტში, რაზედაც კომისიას ადრეც არაერთხელ გაუმახვილებია ყყრადღება.

3. იმასთან დაკავშირებით, რომ სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი, როგორც წესი,
ტენდენციურად აშუქებს აფხაზეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, გაყალბებულად დაჰყავს აფხაზეთში დარჩენილ მოსახლეობამდე კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური მოწყობის საკითხებზე საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და ექსპერტთა პოზიციები, მიზანშეწონილად ჩაითვალოს 12-13 თებერვალს ბიჭვინთაში ჩატარებულ სემინართან დაკავშირებით პროფესორ ლ. ალქსიძის ანალიტიკური ინდორმაციის დაბეჭვდა პრესაში

4. მიზანშეწონილად ჩაითვალოს აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ დროებით კომისიასთან კონფიქტის მოგვარების კარდინალურ საკითხებთან დაკავშირებით საექსპერტო-საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა აფხაზეთის საკითხებზე მომუშავე მეცნიერთა, პოლიტოლოგთა, იურისტთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელთა მონაწილეობით.

II. მოისმინეს: ა.წ. 15-16 მარტს იალტაში დაგეგმილი ჟენევის ფორმატით ნდობის
განმტკიცების ქარტული და აფხაზური მხარეების მესამე შეხვედრაში საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში დროებითი კომისიის წარმომადგენლობის თაობაზე.

გადაწყვიტეს: 1. რეკომენდაცია გაეწიოთ აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლემენტის დროებითი კომისიის წევრებს **ზ. მუკბანიანს** და **გ. ჯოჯუას** 15-16 მარტს იალტაში დაგეგმილ ჟენევის ფორმატით ნდობის განმტკიცების ქართული და აფხაზური მხარეების მესამე შეხვედრაში საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში შესაყვანად.
ეთხოვოს საქართველოს განსაკუთრებულ საქამეთა მინისტრს ბ-ნ მ.კაკაბაძეს აღნიშნული საკითხის შეთანხმება.

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის

ო ქ მ ი

№ 21 19 თებერვალი 2001 წ.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია**;

ესწრებოდნენ: დროებითი კომისიის წევრები: **ა. ახვლედიანი, გ. ბოლოთაშვილი, დ. გადელია, გ.კალანდია, ზ. მუკბანიანი, გ. სანიკიძე** (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), **ვ. შამილაძე, გ.ჯოჯუა**;
საქართველოს პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეები **გ. ბარამიძე, ე. თევდორაძე.**
საპარლამეტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: **გ. ლომინაძე** (თავმჯდომარე), **ე.გვაზავა, ვ. ჭანტურია, ო. ჭითანავა**;
საქართველოს პარლამენტის წევრები **ა. გასვიანი, ჯ. ეზუგბაია, ა. მარშანია, ა. წოწონავა, ა. ფენდერავა;**
საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **თ.ნადარეიშვილი,**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: **ე.ასტემიროვა, თ. მჟავია, შ. ხეცურიანი, რ. ქარაია;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ლ.ცაავა;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ლ. მარშანია;**
ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკური პრობლემებისა და კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი - მიმართულების ხელმძღვანელი **ი. მაჭავარიანი**;
საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების ჯგუფის ხელმძღვანელი **შ. ფიჩხაძე;**
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარატამენტის დირექტორი **ზ. გოქსაძე;**
საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები: **მ. პატარია, ა. რუსეცკი; ი.აბჟანდაძე, ლ. ბარამაძე, მ. გაბაშვილი, თ. გაგლოევი, ქ.**

გვარამია, გ.გაჩეჩილაძე, ი. თიკანაძე, ი. კირიაკოვი, რ. კუპრავა, ბ. ნაჭყებია, ე. მაჭარაძე, ლ.ნადარეიშვილი, ნ. როდიონოვა, თ. სუჯაშვილი;
პოლიტოლოგი: **ვ. კეშელავა;**
საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო მრჩეველი **ი. ჯობავა**;
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის პირველი თანაშემწე-სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია**;
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია**;
საქართველოში აკრედიტებული საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

(მომხსენებელი - არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის" საქართველოს ეროვნული კომიტეტის კოორდინატორი ***ა. რუსეცკი)***

2. აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიასთან აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე მოწვეული საექსპერტო-საკონსულტაციო ჯგუფის დამტკიცების შესახებ.

I. მოისმინეს: არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის" საქართველოს ეროვნული კომიტეტის კოორდინატორის **ა. რუსეცკის** მოხსენება აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ვ. კეშელავამ, მ. კაკაბაძემ, თ ნადარეიშვილმა, ი. მაჭავარიანმა, გ. ჯოჯუამ, ვ. ყოლბაიამ.

აღინიშნა, რომ, შეიარაღებული კონფლიქტების მოწესრიგებისათვის საჭიროა მრავალმხრივი საშუალებების გამოყენება, რამდენადაც მრავალმხრივია თვითონ კონფლიქტები. ეს საშუალებები ისე უნდა იქნენ შემუშავებული, რომ კონფლიქტის გამომწვევი არც ერთი მიზეზი არ გამორჩეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ღონისძიებათა პაკეტი უნდა ითვალისწინებდეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და პრაქტიკული ღონისძიებების ფართო სპექტრს.

ითქვა, რომ აფხაზეთი წარმოადგენს საქართველოში სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში - აფხაზეთში ამჟამად მცხოვრები და კონფლიქტის შედეგად

ამჟამად მის ფარგლებს გარეთ იძულებით მყოფ პოტენციურ მოქალაქეთა ერთობას.

ხაზი გაესვა, რომ აფხაზეთის კონფლიქტი არის მრავალდონიანი. ძირითადი დონეებია:

1. კონფლიქტი აფხაზეთის დონეზე, არის შიდა-აფხაზური კონფლიქტი ეთნო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტებს შორის (სისტემა სოხუმი - სუხუმ-ი);
2. კონფლიქტი "ცენტრი - ავტონომია" (სისტემა სოხუმი-თბილისი და სუხუმ-ი -თბილისი);
3. რეგიონალური (კავკასიური) კონფლიქტი;
4. სახელმწიფოთაშორისი (რუსეთი-საქართველო) კონფლიქტი;
5. საერთაშორისო კონფლიქტი (მრავალი სუბიექტის მონაწილეობით).

ამდენად, კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისათვის საჭიროა მოლაპარკებათა წარმართვა ხუთივე დონეზე.

ითქვა, რომ თანამედროვე მსოფლიოს № 1 პრობლემა ეთნოცენტრიზმია. სოხუმის რეჟიმის ხელმძღვანელობის, როგორც სეპარატისტული მოძრაობების ბევრი ლიდერის მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მცდელობა აღიქმება, როგორც თვითგამორკვევის აუცილებელი პირობა. "ერთა თვითგამორკვევის უფლების" პრინციპს ისინი ინტერპრეტაციას უკეთებენ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებას. აფხაზეთის შემთხვევაში -ეთნიკური აფხაზები წარმოადგენდნენ აფხაზეთის მოსახლეობის უმცირესობას (18%-ზე ნაკლებს), რაც არ იძლეოდა დამოუკიდებელი ეთნო-ნაციონალური სახელმწიფო ერთეულის შექმნის საშუალებას. შედეგად ჩატარებულ იქნა ეთნიკური წმენდა, რამაც გამოიწვია აფხაზეთის ფარგლებს გარეთ მოსახლეობის, ძირითადად ეთნიკური ქართველების განდევნა.

აღინიშნა, რომ კონფლიქტის ანალიზისას ერთ-ერთ რთულ პრობლემას წარმოადგენს თვით კონფლიქტის დეფინიცია. კონფლიქტებისათვის სახელწოდების მინიჭებისას დაშვებული შეცდომები და უზუსტობანი ხელს უწყობენ პოლიტიკოსთა მიერ მათ არაადეკვატურ აღქმასა და შეუძლიათ გამოიწვიონ ძალადობის ახალი ესკალაცია.

ხაზი გაესვა, რომ მოლაპარაკებათა პროცესის დაწყებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია კონფლიქტისათვის ისეთი სახელის შერჩევა, რომელიც მის ყველა მონაწილეს დააკმაყოფილებს, ამასთან დასახელება შეიძლება იყოს პირობითი და შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც ამა თუ იმ მხარეს არ გააღიზიანებს.

გაკრიტიკებულ იქნა დეფინიცია "ქართულ-აფხაზური კონფლიქტი", რამდენადაც ის გარკვეულწილად მიანიშნებს ერთის მხრივ, აფხაზეთისა და საქართველოს თანაბარსუბიექტიანობას, და რაც მთავარია - მეორეს მხრივ, ბევრისათვის ეს ურთულესი კონფლიქტი დაიყვანება ეთნიკური კონფლიქტის დონემდე. გამოითქვა მოსაზრებაც, რომ პო

ერთ-ერთ ძირითად პრობლემად განისაზღვრა აგრეთვე ის, თუ ვინ არიან კონფლიქტის მონაწილე მხარეები, ვინ და როგორ განსზღვრებას აძლევს

მათ, და საერთოდ - ვინ ღებულობს მონაწილეობას მოლაპარაკებათა პროცესში, როგორია მოლაპარაკებათა პროცესის არქიტექტურა.

ითქვა, რომ კრიტიკას ვერ უძლებს სეპარატისტთა ლიდერების განცხადება იმის თაობაზე, რომ "აფხაზეთის ხალხმა" თვითონ უკვე გადაწყვიტა აფხაზეთის სტატუსის საკითხი და გამოაცხადა აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ვინაიდან უგულებელყოფილი იქნა აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის - იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა ნება.

აღინიშნა, რომ, "ქართულ-აფხაზური კონფლიქტის" ფორმულირება დამახასიათებელია კონფლიქტის პირველი ეტაპისათვის. აღნიშნული განსაზღვრების ეთნოცენტრისტულმა მიმართულებამ კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი არაეფექტურად წარმართა, შედეგად დისკრედიტირებულ იქნა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების იდეა, რადგანაც ის მოკლებული იყო მშვიდობისმყოფელ პოტენციალს. მან განსაზღვრა აღნიშნული პროცესი სისტემაში "ცენტრალური ხელისუფლება - სეცესსიონისტები", რის გამოც მოლაპარაკებათა პროცესიდან ამოვარდა კონფლიქტის რამდენიმე მხარე. კონფლიქტი იმდენად გასწორხაზოვნდა, რომ თვით მოლაპარაკებათა პროცესი არაეფექტური გახდა.

ხაზი გაესვა, რომ მოლაპარაკებათა პროცესში დევნილთა წარმომადგენლობის მონაწილეობის უფლების შეზღუდვამ შექმნა პირობები ისეთი მოვლენებისათვის, როგორიცაა, ტერორიზმი, დივერსიები, პარტიზანული მოქმედებები, რაც შედეგია პოლიტიკოსთა მხრიდან დაშვებული შეცდომებისა.

ითქვა ისიც, რომ პროცესის ეთნოცენტრისტულმა არქიტექტურამ შეუქმნა სეპარატისტებს დამატებითი ილუზია, მათ მოლაპარაკებების დასაწყებად პირობითად მიღებული დებულებები აღიქვეს, როგორც ფაქტიური (დე-ფაქტო) დამოუკიდებლობა და ნაწილობრივი (დე-იურე) აღიარება. ყოველივე ამან განაპირობა მათი ირაციონალური ქმედებები, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ პერსპექტივის სტრატეგიული ხედვით და დააყენეს ეთნიკურ აფხაზთა ბედი სერიოზული საშიშროების წინაშე.

კონფლიქტის მოწესრიგების და პროცესის ეფექტურობის გაზრდის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კონფლიქტის ეთნოცენტრისტული ხედვის ტრანსფორმირება სამოქალაქო კონფლიქტის ასპექტში.

ითქვა, რომ მოლაპარაკებათა პროცესის ეფექტურობისათვის აუცილებელია მისი ფორმატის გაფართოება და მასში იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩართვა. მოლაპარკებები უნდა წარიმართოს სისტემაში არძინბა-ნადარეიშვილი-შევარდნაძე. დღესდღეობით კი პროცესი მიდინარეობს სისტემაში არძინბა-შევარდნაძე, რაც აძლიერებს აფხაზეთის სეპარატისტულად განწყობილი მოსახლეობის ნაწილის პოზიციებს, ამკვიდრებს მათ შეგნებაში მითს იმის თაობაზე, რომ ისინი სრულად ლეგიტიმურნი არიან და დარჩა მხოლოდ დე-ფაქტო არსებული "დამოუკიდებლობა" აღიარებულ იქნეს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.

აღინიშნა, რომ არასამოქალაქო, ეთნოცენტრისტულმა, შეიძლება ითქვას ეთნოკრატიულმა მიდგომამ კონფლიქტის მოწესრიგებისადმი კონფლიქტის მხარეები ჩიხში შეიყვანა, და სანამ ეს მიდგომები არ შეიცვლება საერთაშორისო სამართლის ვერანაირი მექანიზმები სერიოზულ გავლენას პროცესზე ვერ მოახდენენ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აფხაზეთის მოსახლეობა შეიძლება პირობითად დაყოფილ იქნეს ორ ჯგუფად: 1. ცენტრისტები; 2. სეცესსიონისტები.

ცენტრისტთა შორის ძირითადად დომინირებს პროდასავლური ორიენტაცია, სეცესსიონისტებს შორის - პროჩრდილოური (ითქვა ისიც, რომ ეს ორიენტაცია პერიოდულად გარკვეულ ცვლილებებს განიცდის).

აფხაზთა უმეტესი ნაწილი - სეცესსიონისტია. ეთნიკურ ქართველთა უმრავლესობა -ცენტრალისტებია.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ ჟენევის ფორმატით ამჟამად მიმდინარე კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი განწირულია უშედეგობისათვის. მისი პრობლემა კონსერვატიზმსა და კონფორმიზმშია. პროცესი თავიდანვე არასწორად წარიმართა, ვინაიდან მასში არ მონაწილეობს დევნილობაში მყოფი აფხაზეთის უმაღლესი საბჭო.

ითქვა, რომ მთელი ძალები კონცენტრირებულ უნდა იქნეს აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების ორივე ნაწილს შორის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. აუცილებელია მათი თანასწორუფლებიანი წარმომადგენლობითი მონაწილეობა სამშვიდობო პროცესში. მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი აფხაზეთში და დევნილ მოსახლეობაში სამოქალაქო ინსტიტუტების მშენებლობას და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების განვითარებას, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად გახლეჩილი საზოგადოების რეინტეგრაციას. აფხაზეთის საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ურთიერთობათა რეაბილიტაციას, პოლიტიკური და სამოქალაქო კულტურის განვითარებას, აფხაზეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ აღორძინებას.

აუცილებელია ახალი სამშვიდობო პროცესის დაწყება. ამასთან ის უნდა მიმდინარეობდეს ჟენევის პროცესის პარალელურად ახალ ფორმატში. სერიოზული რესურსი იქნება ამ პროცესში ეუთო, განსაკუთრებული როლის თამაში შეუძლია ევროპის კავშირსაც.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ამ პროცესში შეუძლია ითამაშოს რუსეთმაც. მან უნდა შეცვალოს თავისი დამოკიდებულება საქართველოსადმი. საქართველო-რუსეთის დაპირისპირება ძირშივე უნდა აღიკვეთოს, რადგანაც ის არ შედის მათ სტრატეგიულ სახელმწიფოებრივ ინტერესებში. რუსეთის დიპლომატებმა უნდა დაიწყონ მუშაობა დევნილობაში მყოფი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს უფლებებში აღდგენაზე. ამ უკანასკნელებმაც (რა თქმა უნდა არა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით), უნდა დაიწყონ მოლაპარაკებები რუსეთის დიპლომატებთან. რუსეთის ახალ

ხელმძღვანელობას აქვს საშუალება გახდეს რუსეთის სამშვიდობო პოლიტიკის რეფორმატორი.

ხაზი გაესვა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში კავკასიის ფაქტორის გათვალისწინების მნიშვნელობას, ითქვა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტეგრაციის აუცილებლობაზე, გამოითქვა წინადადებები სამშვიდობო პროცესისათვის ახალი იმპულსის მისაცემად გაეროსა და ეუთოს მისიების, "გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის" მხრიდან ძალისხმევის გააქტიურების აუცილებლობის თაობაზე, აგრეთვე - საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან დამატებითი ზომების მიღების საჭიროების შესახებ.

პოლიტოლოგ **ვ. კეშელავას** აზრით კონფლიქტი აფხაზეთში არ ატარებდა ეთნიკურ ხასიათს. ამასთან მიუთითა, რომ ცენტრალური ხელისუფლება, როგორც საბჭოთა პერიოდში, ამჟამადაც იგნორირებას უწევს რეგიონალურ წარმომადგენლობას, რომლთა ინტერესებიც დაკავშირებულია აღნიშნულ კონფლიქტთან. აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება არ არის ჩართული მოლაპარაკებათა პროცესში, როგორც ამ პროცესის თანასწორუფლებიანი სუბიექტი. ენდა გაფართოვდეს მოლაპარაკებათა ფორმატი, მოლაპარაკებათა პროცესში როგორც დამოუკიდებელი დელეგაცია, ჩართული უნდა იქნენ აფხაზეთიდან დევნილთა წარმომადგენლები, რომელთაც ენდა მიეცეს თავიანთი პოზიციების დაფიქსირების საშუალება. ხაზი გაესვა, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების აუცილებლობას, ითქვა, რომ წარსულში დაბრუნება არ იქნება, ამდენად აფხაზურ მხარეს უნდა შევთავაზოთ სახელმწიფოებრიობის ახალი ფორმა, მანვე აღნიშნა, რომ ინფორმაცია მიმდინარე მოლაპარაკებათა პროცესთან დაკავშირებით ძალზე მწირია, რაც არგუმენტირებულად იქნა გაბათილებული საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის **მ. კაკაბაძის** მიერ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **თ.ნადარეიშვილმა** აღნიშნა მოხსენების ობიექტურობა, ხაზი გაუსვა, რომ კონფლიქტი აფხაზეთში არ იყო ეთნიკური, მისი გამომწვევი მიზეზი იყო სსრკ-ს დაშლასთან დაკავშირებით დაწყებული პროცესები, გავლენის სფეროების გადანაწილების დაწყება. აფხაზებისათვის არავის უკითხავს შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება და არც მის დამთავრებას შეეკითხებიან. საქმე გვაქვს გლობალურ ტრაგედიასთან. საქართველომ უნდა შესძლოს საკუთარი ადგილის პოვნა რუსეთ - დასავლეთის დაპირისპირებაში. აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის მომძლავრება, რათა მშვიდობიან მოლაპარაკებებში მოწინააღმდეგე მხარე წამოვიდეს გარკვეულ კომპრომისებზე. ითქვა, რომ დღესდღეობით მოლაპარკებათა პრაქტიკული შედეგი ნულია. საჭიროა ამ პროცესის ფორმატის შეცვლა. მასში აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების მონაწილეობის მიღწევა, როგორც ეს საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის ცნობილი დადგენილების მე-7 მუხლით არის განსაზღვრული.

ხაზი გაესვა სეპარატისტთა მიმართ გაეროს რეზოლუციების შინაარსისა და ტონის გამკაცრების აუცილებლობას, ითქვა, რომ კომპრომისებზე წაუსვლელობისა და სამშვიდობო პროცესის ხელოვნურად გაჭიანურების შემთხვევაში აუცილებელია გენოციდისა და ეთნოწმენიდის ფაქტებზე არსებული საგამოძიებო მასალების საფუძველზე ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულში მხილებულთა დაპატიმრების სანქციების გაცემა.

ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკური პრობლემებისა და კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა - მიმართულების ხელმძღვანელმა **ი. მაჭავარიანმა** განაცხადა, რომ აფხაზეთიდან დევნილი ხელისუფლების თანაბარსუბიექტიანი მონაწილეობის საკითხი მოლაპარაკებებში ახალი არ არის. ჯერ კიდევ პარლამენტის 17 აპრრილის დადგენილების მიღებამდე საქართველოს ხელისუფლებამ 1993-1994 წლებში არაერთხელ დასვა ეს საკითხი, მაგრამ რუსეთისა და აფხაზ სეპარატისტთა მხრიდან ყოველთვის იყო მწვავე წინააღმდეგობა. ყველა დოკუმენტში, რომელიც ხელმოწერილი უნდა 1992 წლის დეკემბრამდე კონფლიქტი იწოდებოდა აფხაზეთის კონფლიქტად. რუსეთის ძალისხმევით დამკვიდრდა ტერმინი ქართულ-აფხაზური, რომელიც მიზნად ისახავს ქართველთა და აფხაზთა შორის ეთნიკურ ნიადაგზე შუღლის გაღრმავებას. აღნიშნული ტერმინის ხმარებიდან ამოსაღებად რამდენიმე წელი გახდება საჭირო.

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრის **გ. ჯოჯუას** აზრით კონფლიქტი აფხაზეთში პოლიტიკური ხასიათისაა, აღინიშნა ხელისუფლების მხრიდან მის მოსაწესრიგებლად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ჭრილში მკაფიო და პრაგმატული კურსის შემუშავების აუცილებლობა. ხაზი გაესვა, რომ ქართულმა დიპლომატიამ ჯერ-ჯერობით ვერ შექმნა კონფლიქტის მოწესრიგებისათვის მომგებიანი ფონი, ამასთან აღინიშნა, რომ ხელისუფლებას ჯერ კიდევ დარჩა შანსი პრობლემის გადასაწყვეტად, ოღონდ ის საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდეს, თუ რა სურს მას.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისის თავმჯდომარემ **ვ. ყოლბაიამ.**

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის" საქართველოს ეროვნული კომიტეტის კოორდინატორის **ა.რუსეცკის** მოხსენება აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ.

2. ხაზგასმით აღინიშნოს აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის ეფექტურობის მისაღწევად მოლაპარაკებებში აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლებისა და დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა, როგორც მოლაპარაკებების თანასწორუფლებიანი სუბიექტის მონაწილეობის უზრუნველყოფის აუცილებლობა.
ამასთან დაკავშირებით ეთხოვოს საქართველოს ხელისუფლებას, "გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფს" გააქტიურონ ძალისხმევა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში მოენაწილეთა ხუთი სუბიექტით განსაზღვრის თაობაზე "აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების მე-7 მუხლის სრულად რეალიზაციისათვის.

3. მხარი დაეჭიროს ეთნიკური თემებისა და სხვა ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერების ინიციატივას აქტიურად ჩაერთონ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში სამოქალაქო ინიციატივების დონეზე, და მიზანშეწონილად ჩათვალოს აღნიშნული პროცესისადმი სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურების ხელშეწყობა.

4. ეთხოვოს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში ბ-ნ **დ.ბოდენსა** და საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს ბ-ნ **მ. კაკაბაძეს** 2001 წლის 15-16 მარტს იალტაში ჟენევის ფორმატით დაგეგმილი მოლაპარაკებების დღის წესრიგში შეიტანონ კონფლიქტის შედეგად გახლეჩილი აფხაზეთის საზოგადოების ორივე ნაწილის სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებების პროცესის დაწყების საკითხი.

5. მხარი დაეჭიროს ექსპერტთა საერთაშორისო კონფერენციის" ახალი აფხაზეთი - ხედვა მომავლიდან" ჩატარების იდეას.

6.. მხარი დაეჭიროს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისა და ინტერესების დაცვის პრობლემებზე სამხრეთ კავკასიის რეგიონალური კონფერენციის ჩატარების იდეას.

II. მოისმინეს: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიასთან აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე მოწვეული საექსპერტო-საკონსულტაციო ჯგუფის დამტკიცების შესახებ.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიასთან აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე მოწვეული საექსპერტო-საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენლობა (თან ერთვის).

დანართი

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიასთან აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე მოწვეული საექსპერტო-საკონსულტაციო ჯგუფი:

1. **ხუბუა გია** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის დირექტორი
2. **პაპასქირი ზურაბ** - პროფესორი
3. **მატარაძე ლევან** - პროფესორი
4. **კეშელავა ვაჟა** - პროფესორი
5. **თორდია ვახტანგი** - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
6. **ხიდაშელი თინათინ** - საქართველოს ახალგარდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე
7. **ანჩაბაძე გია** - პროფესორი
8. **ახალაია მანუჩარ** - "საზოგადოებრივი პროგრამების ფონდის" იურიდიული სექტორის გამგე
9. **ბოკუჩავა ირაკლი** - "საზოგადოებრივი პროგრამების ფონდის" თავმჯდომარე
10. **ზაქარეიშვილი პაატა** - არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" წარმომადგენელი
11. **დარჩიაშვილი დავით** - ფონდი "მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების" კავკასიის ინსტიტუტის გამგეობის წევრი
12. **დავითაია პაატა** - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მრჩეველი
13. **ჯალიაშვილი ჯემალ** - თსუ-ს პროფესორი, არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი
14. **მარშანია ლორიკი** - აკადემიკოსი
15. **ჯახაია ლეონიდე** - პროფესორი
16. **რუსეცკი ალექსანდრე** - "ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის" საქართველოს ეროვნული კომიტეტის კოორდინატორი
17. **ნოდია გია** - პროფესორი
18. **ცინცაძე სოსო** - პოლიტოლოგი, საქართველოს დიპლომატიური აკადემიის რექტორი

19. **ალექსიძე ლევან** - პროფესორი, სახელმწიფო კანელარიის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი
20. **მაჭავარიანი ირაკლი** - ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკური პრობლემებისა
 და კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში
 საქართველოს პრეზიდენტის პირადი
 წარმომადგენელი - მიმართულების ხელმძღვანელი
21. **კუპრავა რაული** - პროფესორი, ორგანიზაცია "დაბრუნების" წევრი.

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის

ო ქ მ ი

№ 22 9 მარტი 2001 წ.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის **მ**ოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ.ყოლბაია**;

ესწრებოდნენ: დროებითი კომისიის წევრები: **ა. ახვლედიანი, გ. ბოლოთაშვილი, დ. გადელია, ვ. კვარაცხელია, რ. ლორთქიფანიძე, ზ. მუკბანიანი, ვ. შამილაძე, გ.ჯოჯუა**;

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: **გ. ლომინაძე** (თავმჯდომარე), **ა. გასვიანი, დ. გვაძაბია, ვ. ჭანტურია**;
საქართველოს პარლამენტის წევრები: **ჯ. ეზუგბაია, მ. ბარამიძე, ა. წოწონავა, ა.ფენდერავა;**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის **მ**ოადგილის ვ.ყოლბაიას პირველი თანაშემწე, სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია;**

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია.**

დღის წესრიგი:

საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების მდგომარეობის შესახებ საკითხის განხილვის თაობაზე

მოისმინეს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ.ყოლბაიას ინფორმაცია "საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების მდგომარეობის შესახებ საკითხის განხილვის თაობაზე".

აზრი გამოთქვეს: ზ. მუკბანიანმა, ვ. შამილაძემ, გ. ჯოჯუამ, ვ. კვარაცხელიამ, ა.გასვიანმა, დ. გვაძაბიამ, ჯ. ეზუგბაიამ, ა. ფენდერავამ, ა. წოწონავამ.

აღინიშნა, რომ გარკვეული დადებითი ტენდენციების მიუხედავად (აფხაზეთში კონფლიქტთან დაკავშირებით საქართველოს სასარგებლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის აზრის შემობრუნება, გაეროს, ეუთოს, დსთ-ის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება და ყველა დონეზე არაერთგზის მტკიცედ დადასტურება, კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების ჩართვა, კონფლიქტის მხარეთა შორის მოლაპარაკების პროცესის ჟენევის ფორმატში გადატანა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში სამშვიდობო პროცესში ეუთოს, ევროგაერთიანების სხვა სტრუქტურების გარკვეული გააქტიურება, ეუთოს სტამბოლის სამიტზე საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ორი სამხედრო ბაზის გაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივი კომიტეტის სხდომაზე აფხაზეთის, საქართველო შესახებ სპეციალური კომიტეტის შექმნა), აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის დინამიკა არადამაკმაყოფილებელია, უფრო მეტიც - პროცესი ჩიხშია შესული.

სხდომის მონაწილეთა აზრით ასეთი შეფასების საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ კონფლიქტის მოწესრიგების ჩარჩოში ვერ იქნა მიღწეული დევნილთა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში უპირობო, უსაფრთხო და ორგანიზებული დაბრუნების პროცესის დაწყება. გადაუწყვეტელი რჩება აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხიც.

ითქვა, რომ სეპარატისტული რეჟიმი არა მარტო იგნორირებას უკეთებს გაეროს უშიშროების საბჭოს ათეულობით რეზოლუციას, არამედ თავს აძლევს უფლებას არაკონსტრუქციულად გააკრიტიკოს ამ რეზოლუციებსა და გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებებსა და განცხადებებში ჩამოყალიბებული დებულებები, მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის არაერთგზის მოწოდებისა, თანმიმდევრულად ატარებს "საპრეზიდენტო" და სხვადასხვა დონის არჩევნებსა და "საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმს".

სხდომაზე კრიტიკულად შეფასდა დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების საქმიანობა კონფლიქტის ზონაში. ითქვა აღნიშნული ფორმატით მათი შემდგომი საქმიანობის დაუშვებლობის შესახებ, ამასთან გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებები სამშვიდობო ძალების სხვა ძალებით ჩანაცვლებისა, აგრეთვე, კონფლიქტის ზონაში ნებისმიერი მესამე ძალის ყოფნის მიზანშეუწონლობის შესახებ.

გამოითქვა დამოკიდებულება წინააღმდეგობის მოძრაობისადმი, გალის რაიონში არსებულ ვითარებაში დევნილთა არაორგანიზებული დაბრუნებისა და იქ დაბრუნებული მოსახლეობის ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურებში ჩართვის მიზანშეწონილობის თაობაზე, ჟენევის ფორმატით მიმდინარე მოლაპარაკებებისადმი, სეპარატისტული რეჟიმისადმი დაწესებული ეკონომიკური შეზღუდვების განხორციელების მიმდინარეობაზე, აფხაზეთში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობის პირობებისადმი. ასევე გამოითქვა საყურადღებო მოსაზრებები საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში დამოკიდებულებისადმი, აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური სტატუსისადმი და ა.შ.

ითქვა, რომ კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების ხელმძღვანელთა მხრიდან უნდა გაეცეს კონკრეტული პასუხები, რამაც შესაბამისი ასახვა უნდა ჰპოვოს სახელმწიფოს მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში, წინააღმდეგ შემთხვევაში საპარლამენტო განხილვას ფასი არ ექნება.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. კონფლიქტის მოწესრიგების სხვადასხვა მიმართულებებზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად შეჯერებული წინადადებების შესამუშავებლად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის, საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის"-ა და აფხაზეთის დეპუტაციის წარმომადგენელთა შემადგენლობით (გ. ბოლოთაშვილი, დ.გვაძაბია, ზ. მუკბანიანი, გ. სანიკიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი), გ. ჯოჯუა, ა.წოწონავა).

2. მიზანშეწონილად ჩაითვალოს სამუშაო ჯგუფის მიერ შესაბამისი სამინისტროებიდან და უწყებებიდან ა.წ. 23 მარტამდე აფხაზეთის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად მიმდინარე და "აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციების თავმოყრა და მათი ანალიზი.

3. ეთხოვოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს განსახილველ საკითხზე სამუშაო ჯგუფისათვის ა.წ. 21 მარტამდე საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის წარდგენა.

4. ეთხოვოს პარლამენტის კომიტეტებს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების
ინფორმაციების მოსმენა "აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის თაობაზე.

5. გაგრძელდეს საპარლამენტო შეხვედრები და აქტიური კონსულტაციები დაინტერესებული აღმასრულებელი სტრუქტურების მონაწილეობით. შეჯერებული წინადადებები და თვალსაზრისი მიეწოდოს საქართველოს პარლამენტს.

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის

ო ქ მ ი

№ 23 20 მარტი 2001 წ.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის **მ**ოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ.ყოლბაია**;

ესწრებოდნენ: დროებითი კომისიის წევრები: **ა. ახვლედიანი, დ. გადელია, ნ.გრიგალაშვილი, გ. კალანდია, კ. კემულარია, ვ. კვარაცხელია, რ.ლორთქიფანიძე, ვ. მაღლაფერიძე, ზ. მუკბანიანი, ვ. შამილაძე, გ. ჯოჯუა**; საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: **ა. გასვიანი, დ.გვაძაბია, გ. გვაზავა, ჯ. საჯაია, ვ. ჭანტურია**;
საქართველოს პარლამენტის წევრები: **ჯ. ეზუგბაია, ბ. ლაგვილავა, ა. მარშანია, ა. წოწონავა, ა. ფენდერავა**;
ლ. ცაავა - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, **ა. გამყრელიძე** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, **გ. ნოზაძე** -

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე, **გ. ჩარკვიანი** - საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე, **მ. ყიფიანი** - საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ საკითხთა სამსახურის სახელმწიფო მრჩეველი, **ნ. ცქიტიშვილი** - საქართველოს "წითელი ჯვრის" საზოგადოების პრეზიდენტი, **ლიუკ ფრეჟაკი** - "წითელი ჯვრის" საერთაშორისო კომიტეტის კოორდინატორი **მ. ქარდავა** - "წითელი ჯვრის" საერთაშორისო კომიტეტის კოორდინატორის თანაშემწე, **კენტ ლარსონი** - აშშ ელჩის მრჩეველი ჰუმანიტარულ საკითხებში, **პ. ბასილაძე** - აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის (USAID) წარმომადგენელი, **პოლ იმსი** -"წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის" საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარე, **ნ. მარდალეიშვილი** -"წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის" საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარის თანაშემწე, **გ. ერგემლიძე** - საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის დირექტორი, **რ. ქარაია, ე. ასტემიროვა, მ. კვარაცხელია** - აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, **მ. დგებუაძე, რ. გერეგედავა, დ.ცანავა** - აფხაზეთის არ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, **ნ. თოდუა** - აფხაზეთის არ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, **ე. ბერია** - აფხაზეთის არ ჯანდაცვის მინისტრი, **შ. წულეისკირი.**
აფხაზეთის არ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი, **ჯ. ჯანელიძე** - აფხაზეთის არ განათლების მინისტრი, **ბ. ნაყოფია** - აფხაზეთის არ ფინანსთა მინისტრი**, გ. ჩიქოვანი** - ქ. სოხუმის მერი, **გ. ლაშხია** - ქ. ტყვარჩელის რწმუნებული. **ა. ფრუიძე** - ქ. გაგრის მერი**, რ. დგებუაძე** - გალის რ-ნის გამგებლის მოადგილე, **ხ. ვეკუა** - ოჩამჩირის რ-ნის გამგებლის მოადგილე, **ვ. ნაჭყებია** - გულრიფშის რ-ნის გამგებელი, **დ. კეკელია** - სოხუმის რ-ნის გამგებელი, **ი. არქანია** - გუდაუთის რ-ნის გამგებელი, **გ. კუპრავა** - აფხაზეთის არ მინისტრთა საბჭოს განყოფილების უფროსი, **თ. ჭახრაკია**. - აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი.

დღის წესრიგი:

აფხაზეთიდან დევნილთა საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების მდგომარეობის შესახებ

(მომხსენებელი- **გ. ჩარკვიანი** - საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე)

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული

დროებითი კომისიის თავმჯდომარემ **ვ. ყოლბაიამ**, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოში ჰუმანიტარული დახმარების შემოსვლა დაიწყო აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში და მან პერმანენტული და ორგანიზებული ხასიათი მიიღო 1993 წლიდან. პირველ ხანებში, ძირითადში, ის ითვალისწინებდა დევნილთა და სხვა სოციალურად დაუცველი კატეგორიების სურსათით უზრუნველყოფას. უნდა ითქვას, რომ ამ დახმარებებმა დევნილთა ფიზიკური გადარჩენის საკითხში ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ითქვა, რომ 1996 წლიდან ცოტა ნაადრევად დახმარების პრიორიტეტები და ოდენობა შეიცვალა და აქცენტი გაკეთდა იძულებით გადაადგილებულ პირთა თვითუზრუნველყოფისათვის პირობების შექმნაზე. ამის მიზეზი გახდა საქართველოში შედარებითი ეკონომიკური ზრდა და შესაბამისად ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, რასაც ზედმეტად გაზვიადებული რეკლამა ხელისუფლების ზოგიერთმა რგოლმაც გაუკეთა.

გაკეთდა საერთო შეფასებები და საერთაშორისო თანამეგობრობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ან ნაკლებად დაცულ ნაწილს, მათ შორის დევნილებსაც, პირდაპირი ტიპის ჰუმანიტარული დახმარება არ სჭირდებოდა.

1998 წლის საფინანსო კრიზისმა მდგომარეობა მკვეთრად შეცვალა უარესობისკენ და აქამდე მიღწეული ერთგვარი სოციალური სტაბილურობა გაუარესდა. დევნილები (და ცხადია, არა მარტო ისინი), 1999-2000 წლებში, ფაქტიურად, აღმოჩნდნენ შიმშილის ზღვარზე. მკვეთრად დაეცა ის მცირედი შემოსავალიც, რომლის მოპოვება მათ წვრილი ბიზნესით (ანუ ქუჩაში ვაჭრობით) ხელეწიფებოდათ, ლარის კურსის დაცემამ, მისი მსყიდველობითი უნარის გაუარესებამ უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანა განსაკუთრებით დევნილები. ამას დაერთო შემწეობების ქრონიკული დაგვიანებებიც.

შედეგად, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით დევნილთა სოციალური მოწყობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის გაწეული მნიშვნელოვანი მუშაობის მიუხედავად, ქვეყანაში შექმნილი რთული საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გამო დევნილთა სოციალური და ყოფითი პრობლემები საქართველოს ხელისუფლების ბოლომდე გადაუჭრელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტულ ამოცანად რჩება.

ხაზი გაესვა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ იყო ამ პერიოდის განმავლობაში მარტო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეგობარი ქვეყნების დახმარებების იმედად. ქვეყნის ხელისუფლებისთვის დევნილთა საკითხი ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ სოციალურ პრობლემად იყო და დღესაც არის აღიარებული. ამას ადასტურებს ისიც, რომ თუ 1997 წელს ამ მიზნით გამოყოფილი იყო 52,3 მლნ ლარი, საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დევნილთა და ლტოლვილთა შემწეობების, კომუნალური მომსახურების ხარჯებისა და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 57,7 მლნ ლარი.

აღინიშნა, რომ როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დევნილთა ფიზიკური გადარჩენის საკითხში დახმარება ატარებს მკაფიო შემცირების ხასიათს, ნაკლებეფექტური ხდება ქვეყნის ხელისუფლების ძალისხმევა მათი ყოფითი მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

ამ ფონზე სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ხელისუფლების, გაეროს განვითარების პროგრამის, მსოფლიო ბანკისა და გაეროს უმაღლესი კომისარიატის თანამშრომლობით იძულებით გადაადგილებულ პირთა დასასაქმებლად ახლებური მიდგომის პროგრამების შემუშავებასა და საქართველოს თვითუზრუნველყოფის ფონდის შექმნას, რომლის პირველი ეტაპი უკვე ჩატარდა, მაგრამ გარკვეული ორგანიზაციული და ტექნიკური პრობლემების გამო მან ხარვეზებით ჩაიარა და გამოიწვია საზოგადოების არც თუ უმნიშვნელო ნაწილის უკმაყოფილება და გაღიზიანება. ხაზი გაესვა, რომ სამთავრობო კომისია მუშაობს ამ მიმართულებით რაც იძლევა იმის იმედს, რომ შემდგომი ეტაპები გაცილებით ორგანიზებულად ჩაივლის.

ითქვა, რომ აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისია ამ წლების განმავლობაში არა ერთხელ ეცადა დაერწმუნებინა საერთაშორისო ორგანიზაციები, დონორები იმაში, რომ აუცილებელია ჰუმანიტარული დახმარების (პრიორიტეტულად სურსათი, ჯანდაცვა, საცხოვრებლების რეაბილიტაცია, დასაქმება) თუნდაც იმ მასშტაბებით განახლება, როგორადაც ის შემოდიოდა 1996 წლამდე. ამისათვის მოეწყო არა ერთი კოლექტიური თუ ინდივიდუალური შეხვედრა დონორი ქვეყნების წარმომადგენლებთან როგორც თბილისში, ისე დევნილთა კომპაქტურად დასახლების ადგილებში, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება.

მოისმინეს: საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილს **გ. ჩარკვიანის** ინფორმაცია აფხაზეთიდან დევნილთა საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების მდგომარეობის შესახებ**. (**თან ერთვის**).**

აზრი გამოთქვეს: გ. ერგემლიძემ ლ. ცაავამ, გ. ჯოჯუამ, ჯ. ეზუგბაიამ, კ.კემულარიამ, გ. კალანდიამ, ა. გასვიანმა, ჯ. ჯანელიძემ, ნ. გრიგალაშვილმა, დ.გვაძაბიამ, რ. ლორთქიფანიძემ, ზ. მუკბანიანმა, ბ. ლაგვილავამ, შ.წულეისკირმა, მ. კვარაცხელიამ, ვ. ყოლბაიამ.

სხდომაზე გამომსვლელთა (ნ .გრიგალაშვილი, გ. კალანდია, ბ. ლაგვილავა, ჯ.ეზუგბაია, რ. ლორთქიფანიძე, მ. კვარაცხელია, ჯ. ჯანელიძე, შ. წულეისკირი და სხვები) აზრით ჰუმანიტარული ტვირთების მიღების, მათი აღრიცხვისა და განაწილების საკითხში დღეს-დღეობით არსებული მდგომარეობა, როდესაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში არ ფლობენ ზუსტ ინფორმაციას, სად, როგორ დაიხარჯა უცხოეთიდან მიღებული ტვირთები, ხოლო ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული ტვირთების მნიშვნელოვანი ნაწილი დევნილთა გვერდის ავლით სამომხმარებლო ბაზარზე

ხვდება, შეუწყნარებელია. ითქვა, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა მეტი გამჭვირვალობა, ამ პროცესში ადგილობრივი მმართველობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურების ჩართვა. გამოითქვა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში მთელი იმპორტის 42-43% გრანტებთან, ინვესტიციებთან ერთად ჰუმანიტარულ ტვირთებზე მოდის (წმინდად ჰუმანიტარული ტვირთი კი იმპორტის 23%-ს შეადგენს).

გამოითქვა სერიოზული შენიშვნები გაწეულ რიგი სახეობის ჰუმანიტარულ დახმარებასთან დაკავშირებით სრული ინფორმაციის არ არსებობის თაობაზე, კერძოდ - სახალხო დიპლომატიაზე აშშ-ს მიერ 1999 წელს 5.000 ათასი $ და 2000 წელს 7.000 ათასი $ -ის, აგრეთვე ნიდერლანდების სამეფოს მიერ ლტოლვილთა შემოქმედებითი საქმიანობისათვის 245.800 $-ის (ჰუმანიტარული და საკვებით დახმარება) გამოყოფის თაობაზე.

ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ საქართველოში შემოსულ ჰუმანიტარულ დახმარებას ბევრად აღემატება აფხაზეთში გაგზავნილი ჰუმანიტარული დახმარების ტვირთების მოცულობა. მარტო 1997 წელს მხოლოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზაციების მხრიდან გაწეული იყო 17,5 მლნ.$-ის ოდენობის დახმარება, რაც სამჯერ აღემატება აფხაზეთის იმავე წლის ბიუჯეტს.

აღინიშნა (გ. ჩარკვიანი, გ. ერგემლიძე) რომ ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტი პრაქტიკულად არ მონაწილეობს ჰუმანიტარული ტვირთების განაწილების პროცესში. ტვირთის ჰუმანიტარულობას ადგენენ დონორი ორგანიზაციები, ხოლო დეპარტამენტი მხოლოდ ადასტურებს არის თუ არა ეს ტვირთი ნამდვილად ჰუმანიტარული. ითქვა, რომ დეპარტამენტს არ გააჩნია ტვირთის გაცემის პროცესის კონტროლისათვის სათანადო ბერკეტები. ხაზი გაესვა, რომ ამჟამად აღმასრულებელ ხელისუფლებაში იხილება ამ უწყებისათვის ფუნქციების გაზრდის შესაძლებლობების საკითხი.

დროებითი კომისიის წევრების გ. ჯოჯუას, კ. კემულარიას, ზ. მუკბანიანისა და ნ. გრიგალაშვილის, პარლამენტის წევრის ჯ. ეზუგბაიას, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ლ. ცაავასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, პარლამენტის წევრ დ. გვაძაბიას აზრით დეპარტამენტმა უნდა იკისროს პასუხისმგებლობა ჰუმანიტარული ტვირთის განაწილების პროცესზე. საჭიროა მისი დებულების შეცვლა და უფლებამოსილების გაზრდა, სათანადო ცვლილებების შეტანის დაჩქარება საკანონმდებლო ბაზაში. ითქვა, რომ დევნილებამდე ტვირთის მნიშვნელოვანი ნაწილი პრაქტიკულად არ მიდის, ამიტომ დაისვა საკითხი დეპარტამენტსა და აფხაზეთის ლეგიტიმურ სტრუქტურებს შორის ინფორმაციების გაცვლისა და კავშირის განმტკიცების აუცილებლობაზე.

აღნიშნულს ლ. ცაავას აზრით ხელს შეუწყობს აფხაზეთის ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საერთაშორისო დახმარებისა და საქველმოქმედო საქმიანობის კოორდინაციის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის თაობაზე, რომლის ძირითადი მიზნები და ამოცანებია: დონორი ქვეყენებიდან საქართველოში შემოსული, დევნილებისათვის განკუთვნილი საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების აღრიცხვა, მისი ადრესატამდე უდანაკარგოდ მიტანა და სამართლიანი განაწილება, საერთაშორისო და აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ისეთი ფორმების გამონახვა, რომლებიც უზრუნველყოფს დევნილებისათვის ჰუმანიტარულ დახმარებაში საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიებების აუცილებელ შესრულებას, ამ საქმეში სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცებას.

კომისიის წევრების კ. კუმულარიასა და ნ. გრიგალაშვილის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დ. გვაძაბიას აზრით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ახლადშექმნილ საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და საქველმოქმედო საქმიანობის კოორდინაციის სახელმწიფო დეპარტამენტს უნდა დაეკისროს აფხაზეთიდან დევნილთათვის ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოტანილი ტვირთების აღრიცხვისა და მათი განაწილების სრულ ციკლზე კონტროლი.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილის გ.ჩარკვიანის ინფორმაცია აფხაზეთიდან დევნილთა საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების მდგომარეობის შესახებ.

2. დევნილთა ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის საკითხებში საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის საქმიანობა ჩაითვალოს არასაკმარისად.

3. აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტს მოქმედი დებულებისა და არსებული საკანონმდებლო ბაზის პირობებში არ გააჩნია დევნილთათვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარების აღრიცხვის, მისი სამართლიანი განაწილებისა და ადრესატამდე უდანაკარგოდ მიტანის კონტროლის შესაბამისი მექანიზმები, რაც ნეგატიურად მოქმედებს აფხაზეთიდან დევნილთა ჰუმანიტარული დახმარების მდგომარეობაზე და ხელს უშლის აღნიშნულ საკითხში სათანადო წესრიგის დამყარებას.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში წარდგენილია საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის სტრუქტურული რეორგანიზაციის, მისი უფლებამოსილებათა გაფართოებისა და საქართველოს საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და საქველმოქმედო საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისაკენ მიმართული კანონპროექტები.

   - ეთხოვოს სახელმწიფო კანცელარიას აღნიშნული მასალების განხილვის დაჩქარება და მათი პარლამენტისათვის წარდგენა.
5. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტს (ვ. ხაზარაძე) ზემოაღნიშნული კანონპროექტების შემუშავების დაჩქარებაზე და პარლამენტში განსახილველად მათ წარდგენაზე სათანადო კონტროლის დაწესება.

6. ცნობად იქნეს მიღებული აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების გადაწყვეტილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და საქველმოქმედო საქმიანობის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის თაობაზე.

7. ეთხოვოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს **(ლ. ცაავა)** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და ფირმების მიერ შემოტანილი ტვირთების ჰუმანიტარული ხასიათის დადგენის უფლებისა და მათი ათვისების კონტროლთან დაკავშირებული საკითხების აფხაზეთის არ საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და საქველმოქმედო საქმიანობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა;

8. ეთხოვოს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს (ვ.ჩხარტიშვილი), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს (ლ.ცაავა) განიხილონ:

ა) საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტსა და აფხაზეთის არ საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და საქველმოქმედო საქმიანობის სახელმწიფო დეპარტამენტს შორის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მიღებული დახმარებების ათვისების კოორდინაციასთან დაკავშირებული ფუნქციების გადანაწილების საკითხი.

ბ) აფხაზეთიდან დევნილებისათვის ჰუმანიტარული დახმარების მიზნობრივ გამოყენებაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი სტრუქტურების მხრიდან ერთიანი კონტროლის განხორციელების საკითხი.

9. ეთხოვოს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილეს გ. ჩარკვიანს მიაწოდოს აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებით საპარლამენტო კომისიას ინფორმაცია სხდომაზე წამოჭრილ საკითხებთან:

ა) აშშ-ს მიერ 1999 -2000 წ.წ. სახალხო დიპლომატიისათვის შესაბამისად გამოყოფილი 5.000 ათასი და 7.000 ათასი $-ისა და

ბ) ნიდერლანდების სამეფოს მიერ ლტოლვილთათვის შემოქმედებითი საქმიანობისათვის გამოყოფილი (ჰუმანიტარული საკვებით დახმარება) გამოყოფილ 245.800 $-ის გამოყოფის მიზნობრიობასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომის ოქმი

№ 24 22 მარტი 2001 წ.

სხდომას უძღვებოდნენ: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ.ყოლბაია,** საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ბურჯანაძე**;

ესწრებოდნენ:
დროებითი კომისიისა და კომიტეტის წევრები: **ა. ახვლედიანი, ჯ. გამახარია, ზ.მუკბანიანი, ვ. შამილაძე;**
დროებითი კომისიის წევრები: **დ. გადელია, გ. კალანდია, კ. კემულარია, გ.ჯოჯუა;**
კომიტეტის წევრები: **გ. შუღაროვი, ჰ. ჭიპაშვილი, ე. გვაზავა, ი. გოგავა, ვ.კვიციანი, მ. მამედოვი, თ. ნინოშვილი;**
საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: **გ. ლომინაძე, ჯ. საჯაია, ა.გასვიანი, ვ. ჭანტურია;**

საქართველოს პარლამენტის წევრები: **მ. ბარამიძე, ა. ფენდერავა, ა. მარშანია, ჯ.ეზუგბაია;**
საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე;**
აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები:- **რ. ქარაია, ე. ასტემიროვა, თ.მჟავია, მ. კვარაცხელია,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ლ. მარშანია,** აფხაზეთის ა/რ ინფორმაციის მინისტრი **თ. ხუბუა,** აფხაზეთის ა/რ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი **შ. წულეისკირი,** აფხაზეთის ა/რ ფინანსთა მინისტრი **ბ. ნაყოფია,** აფხაზეთის ა/რ კულტურის მინისტრი **ს. ქეცბა,** აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარე **გ. ესაკია,** ქ.გაგრის მერი **ა. ფრუიძე,** გალის რ-ნის გამგებელი - **მ. ჭედია,** ოჩამჩირის რ-ნის გამგებელი **ხ. გუგუჩია,** სოხუმის რ-ნის გამგებელი **დ. კეკელია,** გუდაუთის რ-ნის რწმუნებული **ი. არქანია,** საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო მრჩეველი **ი. ჯობავა,** გაზეთ "აფხაზეთის ხმის რედაქტორი" **ნ. მიქაძე,** აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის მოადგილე **მ. გეგეჭკორი,** აფხაზეთის ა/რ ომბუდსმენი - **მ. ჩხოტუა,** არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები: - **ა. მიქაძე დ. სილაგაძე**, **მ.ნინიძე, რ. კუხალაშვილი.**
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინსტროს დსთ-ის სამმართველოს მრჩეველი **გ.საგანელიძე**;
საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის უფროსი **ლ. ფაფიაშვილი;**
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპრალამენტო კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია,** სპეციალისტი- **ვ. ქობალია,** პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

დღის წესრიგი:

საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის **მ. კაკაბაძის** ინფორმაცია 2001 წლის 15-16 მარტს იალტაში (უკრაინა) ჟენევის ფორმატით გამართული ნდობის განმტკიცების ქართული და აფხაზური მხარეების მესამე შეხვედრის შედეგების თაობაზე.

მოისმინეს: საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის ბ-ნ **მ. კაკაბაძის** ინფორმაცია 2001 წლის 15-16 მარტს იალტაში (უკრაინა) ჟენევის ფორმატით გამართული ნდობის განმტკიცების ქართული და აფხაზური მხარეების მესამე შეხვედრის შედეგების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: გ. კალანდიამ, ზ. მუკბანიანმა, თ. ხუბუამ, მ. გეგეჭკორმა, დ. გვაძაბიამ (იალტის შეხვედრის მონაწილეები), ჯ. ეზუგბაიამ, ვ. ხმალაძემ, დ.სილაგაძემ, ჯ. გამახარიამ, ი. გოგავამ, ჰ. ჭიპაშვილმა, ე. გვაზავამ,

გ.შუღაროვმა, ე. ასტემიროვამ, დ. ჯონჯუამ, ი. არქანიამ, ნ. ბურჯანაძემ, ვ.ყოლბაიამ.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ იალტაში ა.წ. 15-16 მარტს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ბ-ნ დიტერ ბოდენის ხელმძღვანელობით ჟენევის ფორმატით გამართული ნდობის განმტკიცების ქართული და აფხაზური მხარეების მესამე შეხვედრაზე მხარეებმა კვლავ დაადასტურეს კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების მისაღწევად ნებისმიერი სადავო საკითხის გადაჭრისას ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ძალის გამოუყენებლობის თაობაზე ადრე აღებული ვალდებულებებისადმი ერთგულება. შეხვედრაზე ასევე აღინიშნა ურთიერთგაგებისა და ნდობის განმტკიცების მიღწევის მნიშვნელობა და განსაკუთრებით გაესვა ხაზი თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში პირველ ეტაპზე გალის რაიონის ძველ საზღვრებში დევნილთა ნებაყოფილობითი უპირობო და უსაფრთხო დაბრუნებისათვის პირობების შესაქმნელად ძალისხმევის აქტივიზაციისათვის მზადყოფნას.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ 1998 წელს ვერ მოხერხდა საომარი მოქმედებების განახლების უვნებელყოფა, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად განპირობებული იყო მშვიდობის შენარჩუნების საიმედო გარანტიების არ არსებობით. აღნიშნული მოვლენების დროს არ იქნა ბოლომდე ამოქმედებული დსთ-ის ქვეყნების კოლექტიური სამშვიდობო ძალებისა და გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მისიის ყველა მექანიზმი. ამასთან მხარეებმა ხაზი გაუსვეს ამ ძალების მასტაბილიზებელ როლს კონფლიქტის ზონაში.

მხარეებმა თხოვნით მიმართეს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს ეთხოვოს გაეროს, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფს, ეუთოს და დსთ-ს მისცენ თანხმობა შეიარაღებული კონფლიქტის განუახლებლობის, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პირველ ეტაპზე, გალის რაიონის ძველ საზღვრებში უსაფრთხო და შეუქცევადი დაბრუნების გარანტად გამოსვლის თაობაზე და მხარეების მონაწილეობით ამ გარანტიების მექანიზმების შემუშავების შესახებ.

ხელმოწერილი განცხადების თანახმად შეიარაღებული შეტაკებების დაწყების ან საფრთხის შემთხვევაში დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალები 1995 წლის 26 მაისის მანდატის შესაბამისად დაუყოვნებლივ ღებულობენ ზომებს კონფლიქტის მხარეთა შეიარაღებული ფორმირებების დაშორიშორებისათვის. მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულებით განსაზღვრულ მხარეთა დაშორიშორების ხაზზე.

მხარეებმა დაადასტურეს თავიანთი ვალდებულებანი ცეცხლის განუახლებლობის თაობაზე, აგრეთვე არ დაუშვან ქმედებანი, რომლებიც საფრთხის წინაშე დააყენებენ დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების, გაეროს სამშვიდობო მეთვალყურეთა მისიისა და კონფლიქტის ზონაში განთავსებული სხვა საერთაშორისო პერსონალის სიცოცხლესა და უსაფრთხოებას.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ ნდობის განმტკიცების ზომები სამშვიდობო პროცესის მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენენ და ხელს უწყობენ კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების მოახლოებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე მხარეები შეთანხმდნენ მიეღოთ "ქართული და აფხაზური მხარეების ნდობის განმტკიცების პროგრამა".

სხდომის მონაწილეებმა გამოხატეს მადლიერება უკრაინის მთავრობისადმი იალტაში მოწვევის, გაწეული მასპინძლობისა და შეხვედრაზე კონსტრუქციული ატმოსფეროს შექმნისათვის აქტიური როლის გამო, რამაც მათი აზრით უზრუნველყო მნიშვნელოვანი შედეგები.

როგორც მომხსენებელმა, ასევე კამათში გამოსულმა იალტის შეხვედრის მონაწილეებმა **გ. კალანდიამ, ზ. მუკბანიანმა, მ. გეგეჭკორმა, დ. გვაძაბიამ, თ.ხუბუამ** განაცხადეს, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში იალტის შეხვედრა საგრძნობი წინგადადგმული ნაბიჯია ნდობის განმტკიცების თვალსაზრისით. ხაზი გაესვა, რომ მსგავსი ატმოსფერო არც ერთი წინა შეხვედრისა და მოლაპარაკების დროს არ ყოფილა. გალის 1998 წლის მაისის მოვლენების შემდეგ პირველად მოეწერა ხელი დოკუმენტს, რომელშიც ნათქვამია, რომ ვერც ერთმა მხარემ, ვისაც ევალებოდა, ვერ უზრუნველყო დაბრუნებულთათვის უშიშროების გარანტიების შექმნა. ითქვა, რომ გალის რაიონში დევნილები უპირობოდ უნდა დაბრუნდნენ ძველ საზღვრებში. მოლაპარაკებებში მედიატორის მონოპოლია გარკვეულწილად რუსეთს ჩამოერთვა და მასში აქტიურად ჩაერთო უკრაინა, არც ერთი წინა შეხვედრისა და მოლაპარაკებების დროს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა არ იყო ასე ფართოდ წარმოდგენილი. ამასთან აღინიშნა, რომ შეხვედრა მიზნად არ ისახავდა და მას არც შეეძლო გადამწყვეტი გარღვევა მოეხდინა კონფლიქტის სრულმაშტაბიანი მოწესრიგების პროცესში, ის მხოლოდ ერთ-ერთი აუცილებელი ნაბიჯია საბოლოო შედეგის მიღწევის რთულ და წინააღმდეგობრივ გზაზე.

გამოითქვა სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებებიც. კერძოდ, პარლამენტის წევრების **ჰ. ჭიპაშვილის, ჯ. გამახარიას** აზრით იალტის შეხვედრის შეფასება წინგადადგმულ ნაბიჯად არამართებულია, ყველა ხელმოწერილ დოკუმენტში ნაბიჯ-ნაბიჯ ფიქსირდება აფხაზური მხარის სასარგებლო არგუმენტები. კერძოდ, **ჰ.ჭიპაშვილმა** აღნიშნა, "...რომ იალტაში საქართველომ კიდევ ერთხელ დაუკრა თავი აფხაზურ და რუსულ ინტერესებს. აფხაზეთში რუსული კაპიტალით უკვე ბევრი ობიექტი ამუშავდა. შედეგად რუსეთი იქ თანდათან სულ უფრო იკიდებს ფეხს. ასე რომ, როდესაც ჩვენ ბლოკადას მოვუხსნით აფხაზეთს, იგი უკვე აღარ იქნება ჩვენი, არც რეალურად და აღარც იურიდიულად. დელეგაციის ოპტიმიზმი, უბრალოდ, იმას ემყარება, რომ კიდევ ერთხელ დაარწმუნონ საზოგადოება, თუ როგორ ზრუნავენ ისინი პრობლემის მოგვარებაზე. უფრო კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მათ არ შეუძლიათ, ან რა შერიგებაზეა ლაპარაკი, როცა აფხაზები სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ეწევიან ყველა ატრიბუტის გათვალისწინებით. ჩვენ ცუდად ვამტკიცებთ საპირისპიროს, რეალური კი სულ სხვაა".

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მ. კაკაბაძის ინფორმაცია 2001 წლის 15-16 მარტს იალტაში (უკრაინა) ჟენევის ფორმატით გამართული ნდობის განმტკიცების ქართული და აფხაზური მხარეების მესამე შეხვედრის თაობაზე.

2. აღინიშნოს, რომ გალის 1998 წლის მაისის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ მხარეებმა პირველად მოაწერეს ხელი დოკუმენტს, რომელშიც დაფიქსირებულია კონფლიქტის ზონაში ცეცხლის განუახლებლობისა და პირველ ეტაპზე გალის რაიონში (ძველი საზღვრები) დევნილთა ნებაყოფლობითი უპირობო და უსაფრთხო დაბრუნების პირობების შესაქმნელად ძალისხმევის აქტივიზაციისათვის მზადყოფნა, მოწოდება გაეროსადმი აღნიშნულ პროცესში გარანტად ყოფნისა და მხარეების მონაწილეობით ამ გარანტიების შემუშავების შესახებ.

3. ეთხოვოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს უზრუნველყოს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების ძალისხმევის მობილიზება გარანტიების მექანიზმების უმოკლეს ვადაში შესამუშავებლად და მათი შესრულების მიმდინარეობაზე სათანადო კონტროლის დაწესება.

კომისიის თავმჯდომარე კომიტეტის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის

ო ქ მ ი

№ 25 26 აპრილი 2001 წ.

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია**;

ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები: **დ. გადელია**, **ჯ. გამახარია**, **გ. ჯოჯუა, გ. კალანდია**, **კ. კემულარია**, **რ. ლორთქიფანიძე**, **ზ. მუკბანიანი**,

საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: **გ. ლომინაძე** (თავმჯდომარე), **ა. გასვიანი**, **ე. გვაზავა**, **დ. გვაძაბია**, საქართველოს პარლამენტის წევრები: **თ.ჯგუშია**, **ა. ფენდერავა**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ცაავა,** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **თ. შოშიაშვილი**, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე **მ. ბოკუჩავა,** საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის განყოფილების უფროსი **თ. ჩიხლაძე,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ცანავა,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი **ლ. ნაჭყებია,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების მინისტრი **მ. კორძახია**, სამეგრელო-ზემო სვანეთის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი **ზ. სართანია,** საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამართალდაცვის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **ზ. მარაქველიძე,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრი **თ. ხუბუა,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარე **ა. ჭითავა**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქების მერები და რაიონების გამგებლები: **გ. ჩიქოვანი**, **ა. ფრუიძე**, **გ. ლაშხია**, **ი. არქანია**, **დ. კეკელია**, **ხ. გუგუჩია**, **ვ. ნაჭყებია,** გალის რაიონის გამგებლის მოადგილე **რ. დგებუაძე**, საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის აპარატის წარმომადგენელი **ლ. გერაძე**, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია,** აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია**, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტები: **ვ. ქობალია**, **ლ.ჯოლოგუა, ლ. ანთია**.

დღის წესრიგი:

ბოლოს პერიოდში გალის რაიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმდჯომარემ **ვ. ყოლბაიამ**, რომელმაც აღნიშნა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის, ქვეყნის ხელისუფლებისა და სოხუმის რეჟიმთან პირადი კონტაქტების დამყარების, ბოლო პერიოდში გარკვეული პოზიტიური შედეგების, კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის ფაქტორის აღსადგენად მიმდინარე წლის 15-16 მარტს იალტაში გამართული ქართულ-აფხაზური კონფერენციის ფონზე შემაშფოთებელია ბოლო პერიოდში ზუგდიდსა და გალის რაიონში მიმდინარე მოვლენები. ითქვა, რომ მიმდინარე წლის 21

მარტს ათამდე შეიარაღებული "ბოევიკი" შემოიჭრა ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში და დაცხრილეს ლუდიკ, ინდიკო და გურამ თორიების ოჯახები. მათ მიერ დანაღმულ გზაზე იმავე დღეს ნაღმზე აფეთქდა ზუგდიდიდან ნაბაკევში მიმავალი სამარშრუტო ავტობუსი, რასაც ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დაიღუპა ავტობუსის მძღოლი ტრისტან ძაძუა, დაიჭრა მისი ორი თანამგზავრი - ომარ კუპრავა და რამინ შენგელია. აფხაზი "ბოევიკების" მხრიდან სოფელ ხურჩაზე მეორე დღეს განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაზიანდა 10 საცხოვრებელი სახლი, ხოლო სოფლის გამგებლის მოადგილე, ზურგში დაიჭრა. რუსი მშვიდობისმყოფელების მიერ აღნიშნული ტერიტორიიდან ამოღებული იქნა აფხაზების მიერ ჩადებული 4 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი.

ხაზი გაესვა, რომ ბოლო დღეებში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა შექმნილი გალის რაიონში. მიმდინარე წლის 7 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით აფხაზი მილიციელების, "ბოევიკებისა" და კრიმინალების მიერ ტყვედ აყვანილი იქნა 8 ქართველი მოქალაქე, მოკლეს 4, ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს 8 ადამიანი, ნაღმზე აფეთქდა 7 კაცი, მათ შორის 5 არასრულწლოვანი.

რაიონში დაძაბულობის ესკალაცია გამოიწვია მიმდინარე წლის 7 აპრილს გალის რაიონის სოფელ აჩიგვარაში (ბედიის გადასახვევთან) სოფელ ჩხორთოლის მკვიდრი ჯუმკა ჩიკვატიასა და ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბას მკვიდრი, აფხაზი ეროვნების ლავრიკ ბერულავას ავტომანქანაში ჩაცხრილვამ, რაც წინასწარი ინფორმაციით, სიგარეტის ბიზნესთან იყო დაკავშირებული.

სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა 9 აპრილს გალის რაიონის სოფელ ღუმურიშში აფხაზი მილიციელების 5 ქართველ მოქალაქეზე თავდასხმამ, რის შედეგადაც დაიღუპა ორი და ტყვედ აყვანილ იქნა სამი ქართველი.

აფხაზების მიერ ქართველების ტყვედ აყვანას საპასუხო რეაქცია მოჰყვა "ტყის ძმების" მხირდანაც - 5 დატყვევებული აფხაზი ახალწვეული ენგურსგამოღმა იქნა გადმოყვანილი სოხუმის საპყრობილეში გამომწყვდეული 3 ქართველისა და 2 ნეშტში გაცვლის მიზნით.

საპასუხოდ, "აფხაზეთის ტერიტორიული წყლების დარღვევის" მიზეზით აფხაზებმა შავი ზღვის ანაკლიის აკვატორიიდან გაიტაცეს ფოთის პორტის კუთვნილი თევზსაჭერი სეინერი ხუთი ქართველ მეთევზესთან ერთად, რომლებიც დღემდე დატყვევებული ჰყავთ.

აფხაზურმა მხარემ დამატებითი ძალები (400-მდე შეიარაღებული პირი) შეიყვანა გალის რაიონში, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა კრიმინოგენური ვითარება.

მასობრივი ხასიათი მიეცა ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანების გატაცებისა და ოჯახების დაყაჩაღების ფაქტებს:

- 10 აპრილს გალის რაიონის სოფელ რეფიდან აფხაზმა ბოევიკებმა გაიტაცეს ცანავა და მისი მამიდაშვილი, რომლებიც ოჩამჩირეში ვინმე

საბურიას ოჯახში ჰყავთ დატყვევებული. მათ გათავისუფლებაში 8 ათას აშშ დოლარს ითხოვენ;

- იმავე დღეს, გალის რაიონის სოფელ საბერიოს საშუალო სკოლის მიმდინარე ტერიტორიაზე ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდნენ ამავე სკოლის მოსწავლეები, 5 მცირეწლოვანი ბავშვი (8-10 წლის), მათ შორის 10 წლის ლადო შონიას გაუკეთდა ორივე ფეხის ამპუტაცია;

- 20 აპრილს, ქ. გალში, მოსკოვის ქუჩაზე მცხოვრებ ზაურ ქობალიას ოჯახს თავს დაესხა ხუთი ნიღბიანი შეიარაღებული ყაჩაღი. წინააღმდეგობის გაწევის დროს ყაჩაღებმა ქობალია მოკლეს. აფხაზური მილიციის თანამშრომლების მიერ მოკლულ იქნა ორი ყაჩაღი, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ფოქვეშის მკვიდრები - ძმები დაურ და ბესლან ჩაჩხალიები, ერთი დაიჭრა;

- იმავე დღეს, გალის რაიონის სოფელ დიხაზურგაში ნაღმზე აფეთქდა ზამირა ზარქუა, რომლსაც გაუკეთდა მარცხენა ფეხის ამპუტაცია;

- 21 და 22 აპრილს, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯიდან აფხაზმა "ბოევიკებმა" მძევლად აიყვანეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს ხუთი ქართველი - გივი ყოლბაია, როზა წულაია, მერაბ ძანძავა, ინეზა კვარაცხელია-წულაია, მეხუთე პირის ვინაობა დაუდგენელია;

- 22 აპრილს, გალის რაიონის სოფელ საბერიოში (ჩე-ღალის დასახლებაში) მილიციის ქვეგანყოფილების უფროსის ვაჟა ბობუას მიერ მოკლული იქნა გალის რაიონის მკვიდრი ბადრი ჯობავა;

- 23 აპრილს, გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში ღამის 2 საათზე, სამმა ნიღბოსანმა ფულის გამოძალვის მიზნით სახლიდან გაიტაცა 73 წლის ვანო კორკელია;

- 23 აპრილს, გალის რაიონის სოფელ გაგიდაში ნაღმზე აფეთქდა და დაიღუპა ადგილობრივი მცხოვრები - 25 წლის დავით ბარქაია;

ითქვა, რომ ყოველივე ის, რაც დღეს გალის რაიონში ხდება ეთნიკური წმენდის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ.

არსებული ინფორმაციით, ენგურს გამოღმა მძევლობაში მყოფი 5 აფხაზი ახალწვეულის მშობლებსა და ნათესავებს მდინარე ერისწყალზე არსებული სამივე ხიდი გადაკეტილი აქვთ. ისინი მოითხოვენ ტყვეების გათავისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის აწიოკებით იმუქრებიან.

სამშვიდობო მოლაპარაკებები გარკვეულწილად ჩიხში ექცევა. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საბჭოს მორიგი სხდომა, რომელიც თბილისში უნდა გამართულიყო 20 აპრილს, გადაიდო აფხაზთა დელეგაციის მიერ მასში მონაწილეობაზე უარის თქმის გამო. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ვიაჩესლავ ცუგბას განცხადებით - "აფხაზური მხარე აჩერებს ჟენევის ფორმატით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოში თავის მონაწილეობას," - რასაც ბოლო პერიოდში გალის რაიონში გამწვავებული სიტუაციით ხსნის.

ეჭვგარეშეა, რომ დაუცველი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მსგავს დანაშაულებრივ, პროვოკაციულ ქმედებას სჩადიან რეგიონში

მშვიდობისა და სტაბილურობის მოწინააღმდეგე ძალები, რომელთაც არ აწყობთ იალტაში ქართულ-აფხაზური მხარეებს შორის შეხვედრაზე დადასტურებული ადრე აღებული ვალდებულებები, ცეცხლის განუახლებლობის შესახებ.

ხაზი გაესვა, რომ უახლოეს დღეებში კონკრეტული ღონისძიებები თუ არ იქნა გატარებული, გალის რაიონში ვითარება შესაძლებელია უმართავი გახდეს და განმეორდეს 1998 წლის მაისის მოვლენები.

დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციებით გამოვიდნენ: სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო უშიშროების სამხარეო სამსახურის ხელმძღვანელი **ზ. სართანია**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი **ლ. ნაჭყებია**, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე **გ. ბოკუჩავა**, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე **ს. ნოზაძე**, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **თ. შოშიაშვილი**.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: **დ. ცანავამ, თ. ჯგუშიამ, ჯ. გამახარიამ, გ. ჯოჯუამ, ვ. შამილაძემ, გ. ლომინაძემ, ე. გვაზავამ, ლ. ცაავამ, დ. გვაძაბიამ, ზ. მუკბანიანმა.**

აღინიშნა, რომ გალის რაიონში ბოლო პერიოდში ვითარების გამწვავება განპირობებული იყო გარკვეული ძალების მცდელობით ხელი შეეშალათ ა.წ. 15 - 16 მარტს იალტაში ჟენევის ფორმატით გამართული ქართული და აფხაზური მხარეების შეხვედრის შედეგად ნდობის ატმოსფეროს შექმნისა და განმტკიცების დასახული პროცესისათვის, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური სტატუსის განხილვისათვის.

ითქვა, რომ მიმდინარე მოვლენებს აქვთ ერთგვარი მსგავსება გალის 1998 წლის მაისის მოვლენების წინა პერიოდთან, როდესაც დსთ-ის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა სამიტის 1998 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით კოლექტიური სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობას დაევალა ერთი თვის განმავლობაში მხარეებთან შეთანხმებით შეემუშავებინა კსძ-ის ახალი დისლოკაციის გეგმა, აგრეთვე გალის რაიონში (ძველი საზღვრები) დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ორგანიზებული დაბრუნების სხვა ღონისძიებანი.

ხაზი გაესვა, რომ აფხაზეთში ბოლო პერიოდში შექმნილი არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გასანეიტრალებლად და მოსახლეობის ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანის მიზნით სეპარატისტული ხელისუფლება შეგნებულად ავრცელებდა დეზინფორმაციას კონფლიქტის ზონაში ქართული შეიარაღებული ძალების დამატებითი კონტიგენტის კონცენტრაციის თაობაზე.

აღინიშნა, რომ მდგომარეობის გამწვავების სერიოზული საბაბი ხდება მდინარე ენგურზე ტვირთების უკანონო მოძრაობასთან დაკავშირებით აფხაზურ და ქართულ კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის ბოლო პერიოდში

გახშირებული გარჩევები, რომლებიც არც თუ იშვიათად სისხლისღვრით მთავრდება.

ითქვა, რომ ქართულმა მხარემ ვერ შეძლო ბოლომდე აეცილებინა ენგურს გაღმიდან პროვოცირებული მოვლენები. კრიტიკული შეფასება მიეცა მდინარე ენგურზე ტვირთების უკანონო მოძრაობის აღკვეთის საკითხში სამართალდამცავი და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების საქმიანობას. ხაზი გაესვა, რომ მდ. ენგურზე მსგავს მოვლენებს ასეთი მასშტაბებით ადგილი არ ექნებოდა შესაბამისი სამსახურების მხრიდან აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ 1999 - 2000 წლებში მიღებული რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების შესრულების შემთხვევაში. ხაზი გაესვა, რომ მდ. ენგურზე შექმნილია ურთულესი ვითარება, რომელიც ძირს უთხრის ქვეყნის ეკონომიკას, კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში ითრევს ენგურს გაღმა და გამოღმა მცხოვრებ მოსახლეობას, დევნილებს, სერიოზულად ართულებს კრიმინოგენურ ვითარებას კონფლიქტის ზონაში და მნიშვნელოვნად აფერხებს პროგრესს სამშვიდობო პროცესში.

გამოითქვა ურთიერთგამომრიცხავი დამოკიდებულება კონფლიქტის ზონაში არსებული წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩართული ძალების მიმართ. კერძოდ, აღინიშნა რომ ე.წ. პარტიზანულ მოძრაობაში ამინდს ქმნიან კრიმინალური ელემენტები. გამომსვლელთა ნაწილის აზრით კი მასმედიის საშუალებებით ამ მოვლენების გარშემო გავრცელებული ინფორმაციები და ზოგიერთი პოლიტიკოსის გამოსვლების მიზანია ჭეშმარიტი პარტიზანული მოძრაობის დისკრეტიზაცია.

კრიტიკულად შეფასდა რა დსთ-ის სამშვიდობო ძალების საქმიანობა კონფლიქტის ზონაში, დაფიქსირდა, რომ ძირითადად ისინი ვერ, ან არ ასრულებენ მათზე მანდატით დაკისრებულ ფუნქციებს. მიუხედავად ამისა ზოგიერთმა გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ყველა ასპექტის გათვალისწინებით ამ ეტაპზე მათ უნდა გაუგრძელდეს მოქმედების მანდატი.

კონფლიქტის ზონაში მძევალთა აყვანის ფაქტთან დაკავშირებით მხარი დაეჭირა წინადადებას გაცვლა წარმოებულ იქნეს პრინციპით "ყველა - ყველაზე".

სხდომაზე გამოსულმა **ზ. სართანიამ, მ. ბოკუჩავამ, ს. ნოზაძემ, თ.შოშიაშვილმა, ლ. ცაავამ** განაცხადეს, რომ გატარებული ღონისძიებების შედეგად შესაძლებელი გახდა ვითარების შედარებითი სტაბილიზირება და უახლოეს პერიოდში კონფლიქტის ზონაში არ არის მოსალოდნელი დაპირსიპირების შემდგომი ესკალაცია, გალის 1998 წლის მაისის მოვლენების განმეორება.

სხდომაზე აღინიშნა მდგომარეობის სტაბილიზირებისათვის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების ძალისხმევა, აგრეთვე საკითხისადმი სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ერთგვარი კონსტრუქციული მიდგომის მცდელობა.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო უშიშროების სამხარეო სამსახურის ხელმძღვანელის ზ. სართანიას, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის მ. ბოკუჩავას, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილის ს. ნოზაძის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თ. შოშიაშვილის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ლ.ცაავას განცხადებები, რომ გატარებული ღონისძიებების შედეგად შესაძლებელი გახდა ვითარების გარკვეული სტაბილიზირება და უახლოეს პერიოდში კონფლიქტის ზონაში არ არის მოსალოდნელი დაპირისპირების შემდგომი ესკალაცია, გალის 1998 წლის მაისის მოვლენების განმეორება.

2. აღინიშნოს, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების მხრიდან ვერ იქნა უზრუნველყოფილი მდ. ენგურზე უკანონო ტვირთების მოძრაობის საკითხებზე აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის მიერ ადრე (1999 წლის 29 მარტი №36. 1999 წლის 17 ივნისის № 39 და 2000 წლის 8 ივნისის № 11 სხდომები) მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება, რაც მნიშვნელოვნად ძირს უთხრის საქართველოს ეკონომიკას, სეპარატისტული რეჟიმისათვის წარმოადგენს სერიოზულ ფინანსურ ინექციას, ამწვავებს კრიმინოგენურ ვითარებას კონფლიქტისა და მის მიმდებარე ზონებში, ხელს უშლის პრობლემის დარეგულირების სამშვიდობო პროცესს.

3. პრობლემის პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ასპექტებიდან გამომდინარე, სხდომაზე გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით საჭიროდ ჩაითვალოს კვლავ დაისვას საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წინაშე საკითხები:

ა) ვითარების სიმწვავის ადეკვატურად განიხილოს მდინარე ენგურზე ტვირთების უკანონო მოძრაობის პრობლემა, საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო უშიშროების, ფინანსთა, შემოსავლებისა და საგადასახადო სამინისტროების, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა მონაწილეობით;

ბ) მდინარე ენგურზე ტვირთების უკონტროლო მოძრაობასთან დაკავშირებული პოლიტიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებების შემუშავებისა და გატარების უზრუნველსაყოფად სპეციალური მაკოორდინირებელი ოპერატიული შტაბის შექმნის საკითხის გადაწყვეტა, რომელიც შეიმუშავებს აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლის ერთიან

სტრატეგიას და ტაქტიკას, დააწესებს ქმედით კონტროლს შექმნილ ვითარებაზე და პერიოდულად მოისმენს ინფორმაციებს შედეგების თაობაზე;

გ) უკანონო ტვირთების მოძრაობაზე კონტროლის დაწესებისა და პრობლემის გადასაჭრელად გასატარებელი ღონისძიებების კოორდინირების მიზნით ადგილობრივი მმართველობის და სამართალდამცავი ორგანოების, საგადასახადო და საბაჟო სამსახურების წარმომადგენელთა მონაწილეობით ადგილებზე სპეციალური ჯგუფების შექმნა, მათი მუშაობის საჯაროობის უზრუნველყოფა;

დ) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის საზღვაო ძალების ნორმალური ფუნქციონირებისათვის ორგანიზაციული და ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა;

ე) აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში ახალი რეალიების გათვალისწინებით კონფლიქტის მოწესრიგების სახელმწიფო პროგრამაში ვითარების ადეკვატური ღონისძიებების გათვალისწინება.

4. განხილულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია მიეწოდოს საქართველოს
პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს.

კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დახურული სხდომის

ო ქ მ ი.

№ 26 **2001 წლის 2 მაისი**

სხდომას უძღვებოდნენ: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია,** საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ბურჯანაძე**;

ესწრებოდნენ: დროებითი კომისიისა და კომიტეტის წევრები: **ა. ახვლედიანი, გ.ბოლოთაშვილი, ჯ. გამახარია, ზ. მუკბანიანი;** დროებითი კომისიის წევრები: **დ.გადელია, ვ. მაღლაფერიძე, გ. სანიკიძე, გ. ჯოჯუა;** კომიტეტის წევრები: **გ.შულაროვი, თ. პაატაშვილი, ი.გოგავა, თ. გამყრელიძე;**

საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: **გ. ლომინაძე, ჯ. საჯაია, ე. გვაზავა, ა. გასვიანი, დ.ჯაიანი;** საქართველოს პარლამენტის წევრები: **ა. ასათიანი, გ. თარგამაძე, მ.ნადირაძე, ა. ფენდერავა, ა. წოწონავა;**
გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში **დ.ბოდენი;**
საქართველოს განსაკუთრებული საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე;**
აფხაზეთის ან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **კ. ჯაჭვლიანი;**
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი **ზ. გოქსაძე;**
საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის უფროსი **ლ. ფაფიაშვილი;**
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია**, სპეციალისტი **ვ. ქობალია**.

დღის წესრიგი:

საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დ. ბოდენის ინფორმაცია 2001 წლის 24 აპრილს გამართულ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საფუძვლების განხილვის თაობაზე.

მოისმინეს: საქართველოს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის **დ. ბოდენის** ინფორმაცია 2001 წლის 24 აპრილს გამართულ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე აფხაზეთის პოლიტიკიური სტატუსის საფუძვლების განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ზ. მუკბანიანმა, თ. ხუბუამ, ი. გოგავამ, ვ. ყოლბაიამ, ნ.ბურჯანაძემ, მ. კაკაბაძემ, გ. ჯოჯუამ, თ. პაატაშვილმა, გ. შუღაროვმა, დ.ჯაიანმა, კ. ჯაჭვლიანმა, ზ. გოქსაძემ.

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ ა. წ. 24 აპრილს გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა მის მიერ წარმოდგენილი პროექტი "აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საფუძვლების შესახებ". გაერო-ს უშიშროების საბჭოს 15 მუდმივი წევრიდან აღნიშნული პროექტის მიღებას ხმა მისცა სხდომის მონაწილე 14-დან 13-მა წევრმა. რუსეთის დელეგაციის წარმომადგენელი ერთად-ერთი იყო, რომელმაც (დ. ბოდენის აზრით) გარკვეულ ნიუანსებში წარმოდგენილ პროექტს წინააღმდეგობა გაუწია, რის შედეგადაც რეზოლუცია არ იქნა მიღებული.

რუსეთის დელეგაციის აზრით წარმოდგენილი პროექტი უნდა შეიცავდეს ორივე მხარისათვის მისაღებ წინადადებებს და ის არ უნდა

გამოიყურებოდეს, როგორც ერთ-ერთი მხარისადმი წაყენებული ულტიმატუმი. კერძოდ, დოკუმენტის პროექტი და განსაკუთრებით, მისი საკვანძო მე-2 მუხლი, რასაკვირველია, უნდა შეიცავდეს უშიშროების საბჭოს ყველა წევრის მიერ გაზიარებულ პრინციპს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების თაობაზე, ეს აღინიშნა რუსეთის მხარის მიერ. ამასთან, თბილისსა და სოხუმს შორის მოლაპარაკებების პროცესის სტიმულირებისათვის, რუსეთის მხარის აზრით, საჭიროა პროექტმა მიიღოს კონფლიქტში დაპირისპირებული ორივე მხარისათვის მისაღები ხასიათი და გახდეს საფუძველი მათ შორის შემდგომი მოლაპარაკებებისათვის.

რუსეთის მხარის მიერ წარმოდგენილი ფორმულირებებია: "აფხაზეთი საქართველოსთან საერთო სახელმწიფოს შემადგენლობაში" და "ურთიერთობანი აფხაზეთსა და საქართველოს შორის ეფუძნება საკონსტიტუციო ხელშეკრულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ინტერესებს და მის სახელმწიფოებრიობას, პატივისცემას საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში".

რუსეთის მხარის აზრით ფორმულირება "საერთო სახელმწიფო" საფუძვლად ედო ჯერ კიდევ 1997 წლის მაისში მიმდინარე ქართულ აფხაზურ მოლაპარაკებებს, რომლის დროსაც მხარეები ყველაზე ახლოს იყვნენ სრულმაშტაბიანი დარეგულირების თაობაზე საბაზისო დოკუმენტის ხელმოსაწერად.

რუსეთის მხარის აზრით მათი ფორმულირების მეორე წინადადება როგორც შინაარსით, ასევე ტექსტობრივად ემყარება 1994 წლის 22 აგვისტოს დსთ-ს ქვეყნების სამიტის გადაწყვეტილებებს, რომელმაც საფუძველი დაუდო დსთ-ს სამვიდობო ოპერაციას კონფლიქტის ზონაში და განსაზღვრა არნიშნული ოპერაციის მიზნები და ამოცანები.

რუსეთის წარმომადგენლის აზრით აღნიშნული ფორმულირებები ქართული და აფხაზური მხარეებს მოლაპარაკებებისათვის მისცემენ გაცილებით მეტ შანსს, ვიდრე ფორმულირება "აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში".

დ. ბოდენის აზრით, აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით გაერო ელოდება რუსეთისაგან ახალ წინადადებებს. ამჟამად დოკუმენტის ირგვლივ მიმდინარეობს აქტიური მსჯელობა, საჭიროა ერთიანი ტექსტის შემუშავება, რუსეთი ახალ დოკუმენტს წინააღმდეგობას არ გაუწევს, რადგან თავად არის დაინტერესებული პროცესის შედეგით. ამასთან ერთად, მან აღნიშნა, რომ ხშირად ადგილი აქვს პროცესის ხელოვნური გაჭიანურების მცდელობასაც. კერძოდ, პერიოდულად ხდება სიტუაციის მნიშვნელოვანი დაძაბვა კონფლიქტის ზონაში, მძევლების აყვანა, აღნიშნულს დაემატა აფხაზური მხარის მიერ გაერო-ს ეგიდით შექმნილი ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის შეჩერება.

დ. ბოდენმა ყურადღება გაამახვილა უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაერო-ს გენერალური მდივნის კ. ანანის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ დებულებებზე.

საქართველოს განსაკუთრებულსაქმეთა მინისტრმა მ. კაკაბაძემ აღნიშნა გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა აქტიური მხარდაჭერა საქართველოსადმი. თქვა, რომ გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფში რუსეთის მიერ გამოხატული განსხვავებული აზრი გახდა გაერო-ს რეზოლუციის მიუღებლობის მიზეზი. მისი აზრით, აღნიშნულის მიუხედავად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას საფრთხე არ ემუქრება. ამჟამად მიმდინარეობს რუსეთთან კონსულტაციები, რომელსაც ატარებს ბატონ დ. ბოდენი. კონსულტაციის შედეგად მოსალოდნელია საერთო ენის გამონახვა.

სხდომაზე ზოგიერთმა გამოსვლელემა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ რუსეთი, რომელიც გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წევრია, აფხაზური მხარის ინტერესების დასაცავად ბლოკირებას უკეთებს გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღებას, რაც სათუოს ხდის მისი როგორც შუამავლის კონსტრუქციულ როლს მოლაპარაკებების პროცესში და დღის წესრიგში სვამს ამ პროცესში სხვა, უფრო მიუკერძოებელი და აქტიური შუამავლის (უკრაინა) გამოყენების საკითხს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ვ. ყოლბაიამ ყურადღება გაამახვილა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში არსებულ მდგომარეობაზე, კერძოდ აღნიშნა, რომ გაერო-ს ეგიდითა და რუსეთის შუამავლობით კონფლიქტის ცივილიზებული, სამართლებრივი და კონსტრუქციული მოლაპარაკებების გზით მოგვარების სამშვიდობო კურსი აფხაზური მხარის მიერ უგულებელყოფის შედეგად ფაქტიურად ჩიხშია მოქცეული. ვერ ხერხდება ასეულ ათასობით დევნილის საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებისა და აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხებზე კომპრომისების მიღწევა.

აფხაზეთში ხელყოფილია საერთაშორისო სამართლის პინციპები, ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული ელემენტარული ნორმები. აფხაზური მხარის მიერ დღემდე გრძელდება კონფლიქტის მოწესრიგების სრული იგნორირება.

ხაზი გაესვა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების ანალიზი ადასტურებს, რომ აფხაზეთში ფაქტობრივად მიმდინარეობს სეპარატისტული რეჟიმის ლეგიტიმიზაციის მცდელობა, რასაც ხელს უწყობს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან სოხუმის ხელისუფლებისადმი ნაკლებეფექტური, ხშირ შემთხვევაში დროსა და სივრცესთან მიმართებაში ბოლიმდე გაუთვითცნობიერებული დამოკიდებულება.

კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის წლობით გაჭიანურება, დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება აიძულებს მათ კატეგორიულად მოითხოვონ კონფლიქტის მოგვარების ეფექტური გზების გამონახვა. აღნიშნული სამართლიანი მოთხოვნის გაუთვალისწინებლობა შეიძლება გახდეს ქვეყანაში ვითარების დაძაბვის მიზეზი და გარკვეული დაინტერესებული ძალების მიერ გამოყენებული იქნეს საგარეო-პოლიტიკური კურსის ცვლილების მოთხოვნით ქვეყნის ხელმძღვანელობაზე ზეწოლისათვის.

ვ. ყოლბაიას თქმით საერთაშორისო თანამეგობრობა არ იყენებს მის ხელთ არსებულ ზემოქმედების ყველა სამშვიდობო ბერკეტს აფხაზური მხარისა და კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის ხელშემშლელი სხვა ძალების მიმართ.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დ. ბოდენის ინფორმაცია 2001 წლის 24 აპრილს გამართულ გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საფუძვლების განხილვის თაობაზე.

2. აღინიშნოს ბ-ნი დ. ბოდენის ძალისხმევა აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესისათვის დინამიური ხასიათის მინიჭებისა და "აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საფუძვლების შესახებ" პროექტის მომზადებაში.

3. გამოიხატოს შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსთან მიმართებაში არ იქნა მიღწეული თანხმობა რუსეთის ფედერაციის განსაკუთრებული აზრის გამო, რაც ხელს უშლის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესს და კონსენსუსის მიუღწევლობის შემთხვევაში შეიძლება გახდეს სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩაშლის მიზეზი.

4. ეთხოვოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს:

- განიხილოს დსთ-ის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა დაგეგმილ სამიტზე აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე დსთ-ს სამიტების გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველმყოფი მექანიზმების შემუშავება.

5. ეთხოვოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (ი.მენაღარიშვილი) და საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს მ.კაკაბაძეს:

- ცეცხლის განუახლებლობის, მხარეთა შორის ნდობის განმტკიცებისა და დევნილთა უსაფრთხო და შეუქცევადი დაბრუნების გარანტად გამოსვლის შესახებ მხარეთა 2001 წლის 16 მარტის იალტის განცხადების მოთხოვნათა შესასრულებლად მექანიზმების შემუშავება.

კომისიის თავმჯდომარე კომიტეტის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის
ოქმი
№27 3 ივნისი 2001 წ.

სხდომას უძღვებოდა : საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დკავშირებული დროებითი კომისიის თავჯდომარე **ვ. ყოლბაია;**

ესწრებოდნენ : აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წევრები : **გ. ბოლოთაშვილი, დ. გადელია, კ. კემულარია, გ.კალანდია, ვ. მაღლაფერიძე, ზ. მუკმანიანი, ვ. შამილაძე, გ. ჯოჯუა;**

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: **გ. ლომინაძე (თავჯდომარე), ა. გასვიანი, დ. გვაძაბია, დ. ჯაიანი,** საქართველოს პარლამენტის წევრები : **ჯ. ეზუგბაია, ა. წოწონავა;**
საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი **ჯ. ხეცურიანი;**
საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე;**
საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას I თანაშემწე, სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია,** აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებიტი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია.**

დღის წესრიგი:

საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე აფხაზეთის პრობლემების განხილვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი პროექტების თაობაზე

მოისმინეს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის

თავჯდომარის **ვ. ყოლბაიას** ინფორმაცია "საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე აფხაზეთის პრობლემების განხილვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი პროექტების თაობაზე".

აზრი გამოთქვეს : ჯ. ხეცურიანმა, მ. კაკაბაძემ, გ. კალანდიამ, გ. ჯოჯუამ, ჯ. ეზუგბაიამ, ზ. მუკმანიანმა, დ. ჯაიანმა, ა. წოწონავამ, კ. კემულარიამ, დ. გვაძაბიამ, გ. ლომინაძემ, ა. გასვიანმა.

აღინიშნა, "აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით მიმდინარე მუშაობისა და "აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი ზომების თაობაზე" დადგენილების პროექტის მე-12 მუხლის "ლ" ქვეპუნქტში სარედაქციო ცვლილებების შეტანის, ხოლო "საქართველოს კონსტიტუციაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ" პარლამენტის დადგენილების პროექტის ვარიანტების კონსტიტუციური ქვემდებარეობის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტისათვის გადაცემის მიზანშეწონილება.

"საქართველოს კონსტიტუციაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ" პარლამენტის დადგენილების წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა, **მ. კაკაბაძემ** და საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა **ჯ. ხეცურიანმა** გამოთქვეს განსაკუთრებული აზრი, იმის თაობაზე, რომ ამ ეტაპზე აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღება შესაძლებელია გახდეს სამშვიდობო პროცესისათვის შემაფერხებელი ფაქტორი.

კომისიის წევრთა მიერ ცალსახად გაესვა ხაზი იმას, რომ სამწუხაროდ, ვერც ერთი სახელისუფლებო სტრუქტურა შექმნილ ვითარებაში ვერ ახორციელებს სათანადო დონეზე აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის კომპლექსურ კოორდინირებას.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. "აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით მიმდინარე მუშაობისა და "აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი ზომების თაობაზე" პროექტის მე-12 მუხლის "ლ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრსა და მის აპარატს დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების სრულად განხორციელებისათვის შეექმნას სათანადო პირობები, ხოლო საქართველოს კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში მთავრობის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნეს აფხაზეთის საკითხებში ვიცე-პრემიერის ან სახელმწიფო მინისტრის სტრუქტურული ერთეული,

რომელსაც დაეკისრება ქვეყნის შიდა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხების კოორდინირება".

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თაობაზე კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებით ქვეყნის სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობის საკითხებში იურიდიულ-სახელმწიფოებრივი დარეგულირების პროცესის დაწყებისა და კონფლიქტის მოწესრიგებაში ამჟამად არსებული ვითარების გათვალისწინებით კვლავ დადასტურდეს აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობა.

3. ცნობად იქნეს მიღებული ბატონების ჯ. ხეცურიანისა და მ. კაკაბაძის განსაკუთრებული აზრი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით, რომ ამ ეტაპზე ასეთი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია სამშვიდობო პროცესისათვის გახდეს შემაფერხებელი ფაქტორი.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საპარლამენტო ფრაქციებში, პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებსი მიმდინარეობს კანონპროექტთა პაკეტის განხილვა და რიგი წინადადებებისა და შენიშვნებისა უკვე გათვალისწინებულია.

5. ამ გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების პროექტებთან დაკავშირებილ სხვა საკითხებზე საჭიროდ ჩაითვალოს კონსულტაციების გაგრძელება საპარლამენტო ფრაქციებთან, პარლამენტის თავჯდომარესთან და ქვეყნის პრეზიდენტთან.

კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სხდომის

ო ქ მ ი

№ 28 2001 წლის 20 სექტემბერი

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ.ყოლბაია;**

ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები: **დ. გადელია, ჯ. გამახარია, გ.კალანდია, ზ. მუკბანიანი, გ. სანიკიძე, გ. ჯოჯუა;**

საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: **გ. ლომინაძე, ე. გვაზავა, ა.გასვიანი, დ. ჯაიანი, ვ. ჭანტურია, დ. გვაძაბია;**

საპარლამენტო ფრაქცია "ახალი აფხაზეთიი - ქრისტიან-დემოკრატების" წევრი**: ა. წოწონავა;**
საქართელოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე **თ. ლომაია;**
საქართველოს კინტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ტაბატაძე;**
საქართველოს სახელმწიო კანცელარიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მოადგილე **მ. ჯაფარიძე;**
ქ. თბილისის ვიცე-მერი **მ. მდივანი;**
ქ. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსი პოლიციის პოლკოვნიკი **ა. მიქაბერიძე;**

აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **კ .ჯაჭვლიანი;**
აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს წევრები: **ე. ასტემიროვი, რ. ქარაია, მ.კვარაცხელია, რ. დგებუაძე;**
აფხაზეთის არ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ცანავა;**
აფხაზეთის არ მინისტრთა საბჭოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების განყოფილების უფროსი **ბ. კუპრავა;**
აფხაზეთის არ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ნ. თოდუა;
აფხაზეთის არ შინაგან საქმეთა მინისტრი, პოლიციის გენერალ-მაიორი **ლ.ნაჭყებია;**
აფხაზეთის არ-ის ომბუდსმენი **მ. ჩქოტუა;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **ფ. ფარცვანია;**
აფხაზეთის არ-ის ქალაქების მერები და რაიონების გამგებლები**: ა. ფრუიძე, გ.ჩიქოვანი, ი. არქანია, დ. კეკელია, ხ. გუგუჩია;**
სოხუმის რაიონის გამგებლის მოადგილე **ნ. კოპალიანი;**
არასამთავრობო ორგანიზაცია "დაბრუნება"-ს თავმჯდომარე **მ. პატარია;**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვ. ოლბაიას პირველი თანაშემწე-სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია;**

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრკია,** სპეციალისტები **ვ. ქობალია, ლ. ჯოლოგუა.**

დღის წესრიგი:

ქ. თბილისში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დროებითი განსახლების პრობლემების შესახებ.

მოისმინეს: საქარველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის თ. ლომაიასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის ნ. თოდუას ინფორმაციები "ქ. თბილისში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დროებითი განსახლების პრობლემების შესახებ".

აღინიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლების, ქ. თბილისის მერიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სრუქტურების ძალისხმევის მიუხედავად ქ. თბილისში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დროებითი განსახლების პრობლემა კვლავ მწვავედ რჩება.

ითქვა, რომ ამჟამად ქ. თბილისში განსახლებულია 92 ათასზე მეტი დევნილი, მათ შორის 36899 პირი ცხოვრობს დედაქალაქის სხვადასხვა რაიონის 314-მდე კომპაქტური ჩასახლების ობიექტში.

ხაზი გაესვა, რომ რეგიონებში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობებისა და დასაქმების ბაზის არ არსებობის გამო გამოიკვეთა დევნილთა ოჯახების შიდა მიგრაციის ტენდენცია დიდ ქალაქებსა და ადმინისტრაციულ ცენტრებში, განსაკუთრებით - თბილისში. მარტო ბოლო სამი წლის განმავლობაში დედაქალაქში რეგისტრირებულ დევნილთა რიცხვი 3 ათასით გაიზარდა. მნიშვნელოვნად იმატა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში განთავსებულ დევნილთა რაოდენობამაც. მიუხედავად ამისა, წლების მანძილზე არ მცირდება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად აღრიცხვაზე მყოფ დევნილთა რიცხვი.

ზემოაღნიშნული, როგორც სხდომაზე ითქვა, მნიშვნელოვნად განპირობებულია იმით, რომ სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე - ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მხრიდან არასაკმარისად სრულდება "იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 სექტემბრის № 643 ბრძანებულების მოთხოვნები იძულებით გადაადგილებულ პირთა მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობებით დაკმაყოფილების თაობაზე. სამინისტროები და უწყებები ჯეროვან დაინტერესებას არ იჩენენ კეთილ ნებას ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის დროებით უმოქმედო შენობა-ნაგებობის თაობაზე რეალური ინფორმაციის მისაწოდებლად, რაც

აიძულებს დევნილებს თვითონ ეძებონ დროებით უმოქმედო ობიექტები და მოახდინონ იქ უნებართვო შეჭრები.

იმის გამო, რომ აღნიშნულ აქციებში არ მონაწილეობენ კანონმორჩილი დევნილები, აგრეთვე უმწეონი - ხანდაზმულნი, ინვალიდები, ავადმყოფები, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში რეგისტრირებული საბინაო პირობების გაუმჯობესების მსურველთა სია (4 ათასამდე განცხადება) წლების განმავლობაში უმოძრაოდ რჩება. სხდომაზე ითქვა, რომ გახშირდა სასამართლო პროცესებზე დევნილთა დაკავებული შენობებიდან გამოსახლებაზე მიღებული გადაწყვეტილებები და განჩინებები.

აღინიშნა ისიც (მ. პატარაია), რომ ამ სახის პროცესების ჩატარებისას სასამართლოს მიერ არ არის დაცული დევნილი მოსახლეობის უფლებები უფასო ადვოკატის გამოყოფის თაობაზე. ხშირად, გამოსახლების გადაწყვეტილება განპირობებულია იმ მოტივირებით, რომ დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებისას არ იქნა ხელმოწერილი ხელშეკრულება მეპატრონესა და დროებით განსახლებულ დევნილებს შორის.

ხაზი გაესვა (ვ. თორდია, თ. ლომაია), რომ საჭიროა დევნილი მოსახლეობის უფლებების მყარად დაცვისათვის საკანონმდებლო ბაზაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, მათ შორის კანონში "იძულებით გააადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ". გამოითქვა წინადადება (კ. ჯაჭვლიანი) აღნიშნულ საკითხზე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან დაინტერესებული სტრუქტურების მონაწილეობით სპეციალური კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე. ასევე გამოითქვა მოსაზრება (კ. ჯაჭვლიანი, მ. მდივანი) ამავე სამინისტროსთან ადრე არსებული დროებით უმოქმედო შენობა-ნაგებობების გამომვლენი კომისიის ფუნქციონირების აღდგენის თაობაზე.

ხაზი გაესვა კოლექტიური ჩასახლების ცენტრების უმრავლესობის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის თვალსაზრისით საცხოვრებლად გამოუსადეგარობის, მოშლილი საკანილაზაციო, ელექტრო და წყალგაყვანილობის სისტემების, სახურავების შეკეთების აუცილებლობას.

ითქვა, რომ საქართველოს კონტროლის პალატისადმი საპარლამენტო კომისიის მიმართვის მიუხედავად ვერ მოხერხდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდქალაქის მე-5 მაღლივი კორპუსის მე-11-14 სართულებზე გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის დაფინანსებით 1999 წელს ჩატარებული სარემონტო სამუშაოების რეალობის შესწავლა.

აღინიშნა, რომ ქვეყნის ბიუჯეტში ბოლო წლების განმავლობაში დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის სახსრების გაუთვალისწინებლობა ზღუდავს საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივას აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად სამუშაოების მნიშვნელოვნად დაფინანსებაში, ხოლო მცირე ჯგუფის ორგანიზაციათა მცდელობა ვერ წყვეტს ქვეყნის მასშტაბით დევნილთა განსახლების ობიექტების რეაბილიტაციის პრობლემას.

დაისვა საკითხი, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დააჩქაროს აღნიშნულ საკითხზე წინადადებათა შემუშავება და მათი წარდგენა პარლამენტსა და მთავრობაში 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვამდე.

სხდომაზე კვლავ წამოიჭრა იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებზე გაწეული კომუნალური მომსახურეობის ხარჯების ანაზღაურების დარეგულირების საკითხის მოწესრიგების აუცილებლობა. ითქვა, რომ კომისიამ ბოლო 3 წლის მანძილზე საკითხის არაერთგზის დასმის მიუხედავად ვერ მიაღწია აღმასრულებელი სტრუქტურების მხრიდან მის საბოლოო გადაწყვეტას, თუმც გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ საკითხთა სამსახურში გატარებულია.

სხდომაზე მწვავედ დაისვა შენობა-ნაგებობების პრივატიზირების პროცესის საკითხი. ითქვა, რომ მიუხედავად საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს მხრიდან საგარეუბნო აგარაკების პრივატიზირების ოფიციალურად შეჩერებისა (წერილი № 04-115/2-8 06.08.98წ) პრობლემა დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის.

დღეისათვის ქ. თბილისში და მის შემოგარენში დევნილებში განსახლებული 381 ობიექტიდან (საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მონაცემები ქ. თბილისში კომპაქტურად განსახლებული ობიექტების რაოდენობა განსხვავდება ერთმანეთისგან 314/381) პრივატიზირებულია 39 ობიექტი, არ არის პრივატიზირებული 204 ობიექტი, ხოლო 118 ობიექტის მესაკუთრის თაობაზე ინფორმაციას თვით საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროც არ ფლობს, თუმცა ობიექტების უმეტესობის ფარული მესაკუთრეები მეურვეობენ.

ითქვა, რომ საქართველოს კანონის "სახელმწიფო ქონების პრივატიზირების შესახებ" მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად პრივატიზირებულ სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვის ხანდაზმულობის ვადა მხოლოდ 3 წელია, რომლის გასვლის შემდეგ სავარაუდოდ გაიზრდება პრივატიზირებული ობიექტებიდან დევნილთა გამოსახლების მცდელობით სასამართლო პროცესების რიცხვი.

სხდომაზე მოტანილ იქნა ქ. თბილისში ყაზბეგის გამზირი №34-ში მდებარე სამშენებლო მასალებისა და კერამიკის კომბინატის სამკურნალო შენობის საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის №192 განკარგულებისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტიპობრივი ხელშეკრულების დარღვევით პრივატიზირების საკითხი.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვეტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის თ. ლომაიასა და აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ნ.თოდუას ინფორმაციები "ქ. თბილისში იძულებით გადაადგილებულ პირთა დროებითი განსახლების პრობლემების შესახებ".

2. აღნიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლების, ქ. თბილისის მერიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების ძალისხმევის მიუხედავად ქ. თბილისში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დროებითი განსახლების პრობლემა კვლავ უკიდურესად მწვავე რჩება. რიგი სამინისტროსა და უწყების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ არასაკმარისად სრულდება "იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 სექტემბრის №643 ბრძანებულების მოთხოვნები იძულებით გადაადგილებულ პირთა მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობებით დაკმაყოფილების თაობაზე.

3. დევნილთა ექსტრემალური საყოფაცხოვრებო პირობების გათვალისწინებით, მათი საბინაო პრობლემების გადასაწყვეტად არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური სტრუქტურებისა და საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციის წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშაონ წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებების განსახრციელებლად, მათ შორის კანონში "იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ". აღნიშნული ღონისძიებების განახორციელებლად მიზანშეწონილად ჩაითვალოს ორი კვირის ვადაში შეიქმნას სპეციალური კომისია ზემოაღნიშნული სტრუქტურების წარმომადგენლებისაგან.

4. დევნილთა მიერ არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებში, განსაკუთრებით სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში თვითნებურად შეჭრის, მისგან გამომდინარე არასასურველი დაპირისპირების პროფილაქტიკისა და დევნილთა საბინაო პრობლემების მოწესრიგების საკითხში ღონისძიებათა სისტემის შემუშავების მიზნით ეთხოვოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გ. არსენიშვილს.

ა) მ. წ. ოქტომბერში აღნიშნული პრობლემის მოწესრიგებით დაინტერესებულ სტრუქტურათა ხელმძღვანელების სპეციალური თათბირის მოწვევის უზრუნველყოფა;

ბ) საქართველოს კანონის "იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 სექემბრის №643 ბრძანებულების 1 მუხლის მოთხოვნათა რეალიზაციის უზრუნველსაყოფად სამთავრობო კომისიის შექმნა, რომელიც კომპლექსურად განიხილავს და

გადაწყვეტს დევნილთა მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობებით დასაკმაყოფილებლად დროებით უმოქმედო შენობების შერჩევის, რემონტისა და მათში დევნილთა ორგანიზებულად ჩასახლების საკითხებს;

გ) საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურის (ბ. ხატიძე) მიერ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად ანალოგიური კომისიების შექმნის უზრუნველყოფა დევნილთა კომპაქტური განსახლების რეგიონებში;

დ) აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესების გაჭიანურებასთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის გათვალისწინებით დევნილთა დროებითი განსახლების სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შექმნა;

ე) თბილისში, ზუგდიდში და საქართველოს სხვა რეგიონებში არსებული დევნილთა დროებითი განსახლების მდგომარეობის განხილვა მთავრობის ან სპეციალურ სამთავრობო კომისიის სხდომაზე;

ვ) დაისვას საკითხი საქართველოს ქონების მართვისა და იუსტიციის სამინისტროების წინაშე "სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად პრივატიზირებულ სახელმწიფო ქონებასთან მიმართებაში სადავო საკითხების განხილვის 3 წლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის შემთხვევაში პრივატიზირებული ობიექტების მესაკუთრეთა და იქ დროებით განსახლებულ დევნილთა შორის მოსალოდნელი პრობლემების დასარეგულირებლად წინადადების შემუშავების თაობაზე;

ზ) იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებზე გაწეული კომუნალური მომსახურეობის ხარჯების ანაზღაურებისა და დარეგულირების საკითხების წლობით გადაუწყვეტელ პრობლემებთან დაკავშირებით აღნიშნულ საკითხზე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების, ფინანსთა, საგადასახადო შემოსავლების, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროების, სახელმწიფო კანცელარიის შესაბამისი სამსახურების (სოციალურ საკითხთა, ფისკალური პოლიტიკის), წარმომადგენელთა მონაწილეობით სპეციალური თათბირის ჩატარება და პრობლემის საბოლოო მოგვარების უზრუნველმყოფი ღონისძიებების განმხორციელებელი კომისიის შექმნა.

5. ეთხოვოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს (ვ.ვაშაკიძე) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად:

- შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს წინადადებები საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში დევნილთა განსახლებისა და მათი კომპაქტური ჩასახლების ობიექტების სარეაბილიტაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად.

6. ეთხოვოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ქ.თბილისის მერიის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლების მონაწილეობით თბილისში სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების ბალანსზე რიცხული ამჟამად უმოქმედო შენობა-ნაგებობების გამომვლენი სპეციალური კომისიის შექმნა.
ამავე კომისიას დაევალოს კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში გამოკეტილი ოთახების, დევნილებს მიტმასნილ პირთა გამოვლენა და რაიონის გამგეობებთან ერთად მათი გამოსახლების უზრუნველმყოფი ღონისძიებების გატარება.

7. ეთხოვოს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს (გ. გაჩეჩილაძე), აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიისათვის 1998წ. აგვისტო - 2001წ. სექტემბრის მდგომარეობით ქ. თბილისში დევნილებით განსახლებული შენობა - ნაგებობების პრივატიზირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება;

8. ეთხოვოს საქართველოს კონტროლის პალატას (ს. მოლაშვილი), დევნილებით განსახლებული სახელმწიფო შენობა-ნაგებობების პრივატიზირებასთან (განსაკუთრებით - წყნეთის სამთავრობო აგარაკები) დაკავშირებული პრობლემების შესწავლა და კომისიისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;

9. ეთხოვოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს (ლ. ჭანტურია) დევნილთა საბინაო პრობლემებთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო პროცესების დროს კანონით დადგენილი ყველა საპროცესო ნორმების მაქსიმალური უზრუნველყოფა (სახელმწიფოს ხარჯზე დევნილთათვის ადვოკატის გამოყოფის საკითხი და სხვა);

10. ეთხოვოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ქ.თბილისის მერიას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურ სტრუქტურებს დაარეგულირონ:

ა) კომპაქტურად განსახლებულ დევნილებსა და შენობა-ნაგებობების მეპატრონეებს შორის ხელშეკრულების გაფორმების საკითხი.

ბ) გლდანი-ნაძალადევის რაიონში, თემქის დასახლებაზე დევნილთა დროებით საცხოვრებლად ქ. თბილისის მერიის მიერ გადაცემული მშენებარე სასტუმროს საკუთრებითი ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტა;

კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სხდომის ოქმი

№29 2 ოქტომბერი 2001 წ.

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია.**

ესწრებოდნენ:
დროებითი კომისიის წევრები: **ა. ახვლედიანი, ჯ. გამახარია, გ. კალანდია, რ.ლორთიქიფანიძე, ვ. მაღლაფერიძე, ზ. მუკბანიანი, დ. გადელია, ვ.კვარაცხელია, გ. ჯოჯუა;**
საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: **გ. ლომინაძე** (თავმჯდომარე), **ა. გასვიანი, დ. გვაძაბია, ე. გვაზავა, ვ. ჭანტურია, ო. ჭითანავა, დ. ჯაიანი;**
საპარლამენტო ფრაქცია "ახალი აფხაზეთი - ქრისტიან დემოკრატების" წევრები: **ა. წოწონავა,** (თავმჯდომარე), **მ. ბარამიძე, დ. გიორხელიძე, ა.მარშანია, ჯ. ეზუგბაია, ა. ფენდერავა;**
საქართველოს პარლამენტის წევრი **ი. გოგავა.;**
საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე;**
გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში **დ.ბოდენი;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: **ე.ასტემიროვა, რ. დგებუაძე, მ. კვარაცხელია, თ. მჟავია, თ. ხუბუა;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები:**მ. დგებუაძე, მ. ცანავა;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრი **ჯ. ჯანელიძე;**
საქართველოს განსაკუთრებულ სახმეთა მინისტრის აპარატის ექსპერტი **ლ.გერაძე;**
საქართველოს პარლამენტის თავმჯომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას | თანაშემწე - სამდივნოს უსროსი **რ. გელანტია**;

აფხაზეთის პრიბლემებთან დაკავშირებული საქართველოს პალამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია**, სპეციალისტები: **ვ. ქობალია, ლ. ჯოლოგუა**;

დღის წესრიგი:

გალის რაიონში გაეროსა და ეუთოს სიტუაციის ერთობლივი შემფასებელი მისიის (ეშმ) დასკვნაში ღნიშნული პრობლემების რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარემ **ვ. ყოლბაიამ.**

აღინიშნა, რომ აფხაზეთში საომარი მოქმედებების დამთავრებიდან 8 წლის თავზე კონფლიქტის ყოვლისმომცველი სამშვიდობო მოწესრიგებების მიუღწევლობის პირობებში, როგორც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, ასევე გალის რაიონიში დაბრუნებულ მოსახლეობას ცხოვრება უხდება უმძიმეს, გაურკვეველი მომავლის პირობებში. მიუხედავად გაეროს რამდენიმე ათეულობით რეზოლუციისა და ეუთოს სამიტების გადაწყვეტილებებისა, რომელებშიც ცალსახადაა დაფიქსირებული დევნილთა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში უპირობო და უსაფრთხო დაბრუნების უფლების შესახებ, აგრეთვე მხარეებს შორის 1994 წლის 4 აპრილს ქ. მოსკოვში ხელმოწერილი ოთხმხრივი დოკუმენტისა, გალის რაიონში ყოვლედღიურად და უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები, აფხაზური ადმინისტრაცია ვერ აკონტროლებს სიტუაციას, არსებობს სერიოზული წინააღმდეგობანი დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების პროცესისადმი.

ითქვა, რომ გაეროს ეგიდით (ეუთოსთან მჭიდრო კავშირში) სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით ერთობლივი მისიის მიერ 2000 წლის 20-24 ნოემბერს შესწავლილ იქნა სიტუაცია გალის რაიონში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ვ. ყოლბაიამ აღნიშნა, რომ მისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნა ძირითადად ობიექტურად ასახავს გალის რაიონში არსებულ სიტუაციას. ითქვა, რომ დოკუმენტში ასახულია რაიონში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, დევნილთა დაბრუნების პროცესიის მდგომარეობა, გაანალიზებულია სიტუაცია გალის რაიონის ადმინისტრაციის და სამართალდამცავ ორგანოებთან, აგრეთვე - მოსახლეობის უსაფრთხოების მდგომარეობასთან დაკავშირებით, დაფიქსირებულია საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის , მოსახლეობის საკარმიდამო მეურნეობის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის, განათლების, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საკითხებში არსებული სერიოზული პრობლემები.

ვ. ყოლბაიამ ხაზი გაუსვა, რომ დოკუმენტის ძირითადი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო ორგანიზაციაების მხრიდან პრაქტიკულად პირველად დაფიქსირდა, რომ სეპარატისტული რეჟიმის კოტროლირებად ტერიტორიაზე ამჟამად გრძელდება ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა.

მოისმინეს: გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის **დ. ბოდენის** ინფორმაცია "გალის რაიონში გაეროსა და ეუთოს სიტუაციის ერთობლივი შემფასებელი მისიის (ეშმ) დასკვნაში აღნიშნული პრობლემების რეალიზაციის ღონისძიებების შესახებ".

დ. ბოდენმა აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების მიმდინარე ეტაპთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ კონფლიქტში დაპირისპირებულ მხარეთა სერიოზული ძალიხმევითა და საქართველოს პრეზიდენტის უშუალო მონაწილეობით შესაძლებელი გახდა ამ დღეებში შეიარაღებული კონფლიქტის განახლების თავიდა აცილება. ამასთან ერთად ხაზი გაესვა, რომ ჯერ-ჯერობით სიტუაცია კვლავ ფეთქებადსაშიში რჩება და მისი საბოლოო განმუხტვისთვის საჭიროა მხარეთა მიერ საქართველოს პრეზიდენტსა და აფხაზეთის დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრ ა. ჯერგენიას შორის მიღწეულ შეთანხმებათა უპირობო შესრულება.

დ. ბოდენის აზრით ამ მიზანს ემსახურება მისი ძალისხმევა მხარეთა შორის ურთიერთობების გაღრმავებისა და საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში მოლაპარაკებათა პროცესის განახლებისათვის. კერძოდ, 9 ოქტომბერს დაგეგმილია თბილისში ჟენევის ფორმატით ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს მორიგი (მე-13) სხდომის გამართვა. ნავარაუდევია მის მუშაობაში ა. ჯერგენიას მონაწილეობაც. მიღწეულია წინასწარი შეთანხმება კონფლიქტის დარეგულირების სხვა საკითხებთან ერთად ეშმ-ის დასკვნაში აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების რეალიზაციის ღონისძიებათა განხილვის თაობაზე.

დ. ბოდენმა ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული დოკუმენტის განხილვის გაჭიანურების მიზეზი გახდა ბოლო თვეებში მხარეთა შორის სიტუაციის დაძაბვა. აღნიშნა რა ამ დოკუმენტის მნიშვნელობა, დ. ბოდენმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მასში დეტალურად არის გაანალიზებული გალის რაიონში შექმნილი სიტუცია, პირობები, რომლებშიც უხდებათ ცხოვრება იქ დაბრუნებულ დევნილებს. ანგარიშის დასკვნით ნაწილში მოცემულია ერთობლივი მისიის რეკომენდაციები.

დ. ბოდენმა აღნიშნა, რომ მისიამ გალის რაიონის მთელ ტერიტორიაზე დააფიქსირა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში არადამაკმაყოფილებელი სიტუაცია. უკანონობამ და მართლმსაჯულების

არაეფექტურმა აღსრულებამ გამოიწვია ადამიანის უფლებათა არაადეკვატური დაცვა და ძალადობის და შეურაცხოფის ზრდის ფონზე ადამიანებში უძლურების გრძნობის გაღვივება. რაიონში არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას მისცემს საშუალებას ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში საჩივრით მიმართოს დამოუკიდებელ, ნეიტრალურ წარმომადგნლებს. ამითაა განპირობებული მისიის რეკომენდაციაც გაეროს ადამიანის უფლებათა გალის ოფისის შექმნის თაობაზე. სამწუხაროდ, აღნიშნა დ. ბოდენმამ მხარეთა შორის სათანადო კლიმატის არ არსებობის გამო ეს საკითხი დიდი ხნის განმავლობაში გადაუჭრელი დარჩა. ამჟამად აფხაზური მხრისაგან მიღებულია თანხმობა მის გახსნაზე.

ერთობლივმა მისიამ, აღნიშნა დ. ბოდენმა, დაადასტურა გალის რაიონში უსაფრთხოების დაბალი დონე. კერძოდ, ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს არ ძალუძთ მოსახლეობის დაცვა, რაც უარყოფითად მოქმედებს იძულებით გადაადგილებულ პირთა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების პროცესზე.

დ. ბოდენმა ხაზი გაუსვა, რომ შექმნილი სიტუაციის დასარეგულირებლად საჭიროა ქართული და აფხაზური მხარეების სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ორმხრივი ვალდებულებების უფრო სრულად შესრულება, კერძოდ, საკოპრდინაციო საბჭოს პირველი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. ამასთან, დ. ბოდენმა მხარი დაუჭირა მისიის რეკომენდაციებს გალის რაიონის სამართალდამცავი ორგანოების სტრუქტურაში ადგილობრივი ქართული მოსახლეობით დაბალანსების და ინტეგრაციის აუცილებლობის თაობაზე.

დ. ბოდენმა ყურადღება შეაჩერა აგრეთვე ერთობლივი მისიის მიერ განათლების სფეროში დაფიქსირებულ დარღვევებზე. კერძოდ, აღინიშნა, რომ მისიამ დაადასტურა განათლების სფეროში აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების პოლიტიკა და პრაქტიკა გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების რუსულით შეცვლის თაობაზე და აღნიშნულით მასწავლებელთა და მშობელთა უკმაყოფილება. ასეთ მდგომარეობაში საკითხის დატოვება, თქვა მან, ხელს შეუშლის იძულებით გადაადგილებულ პირთა რაიონში დაბრუნებას. პრობლემის გარშემო უკვე შედგა საქართველოს განათლების მინისტრის ა. კარტოზიას ორი შეხვედრა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან. დაგეგმილია აღნიშნულ პროგრამაზე მოლაპარაკებების გაგრძელება ა. წ. 9 ოქტომბერს საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე.

დ. ბოდენი შეეხო აგრეთვე ერთობლივი მისიის რეკომენდაციებს გალის რაიონში ადმინისტრაციის ეროვნულ შემადგენლობასთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ რაიონის ეთნიკური შემადგენლობა ჯერ-ჯერობით სათანადოდ არ არის ასახული რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში. ითქვა, რომ გალის ოფისის ჩამოყალიბების შემდეგ აღნიშნულ საკითხზე მუშაობა უფრო გააქტიურდება.

დ. ბოდენმა ხაზი გაუსვა, რომ ერთობლივი მისიის ინფორმაციაში ასახულია აგრეთვე რაიონში მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, თქვა, რომ აუცილებელია მხარეთა მონაწილეობის გააქტიურება რაიონის რეაბილიტაციისა და რაიონში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

აზრი გამოთქვეს : ა. მარშანიამ, დ. ცანავამ, გ. ლომინაძემ, ა. წოწონავამ, გ. ჯოჯუამ, ზ. მუკბანიანმა, დ. გიორხელიძემ, დ. ჯაიანმა, გ. კალანდიამ, ო. ჭითანავამ, ვ. ყოლბაიამ, მ. კაკაბაძემ, თ. ხუბუამ, ე. ასტემიროვამ, რ. დგებუაძემ, რ. გელანტიამ.

ყურადღება გამახვილდა კონფლიქტის მოწესრიგებაში შექმნილ ჩიხურ სიტუაციაზე (გ. კალანდია, გ. ლომინაძე, ვ. ყოლბაია), აღინიშნა გაეროს ადამიანის უფლებათა გალის ოფისის გახსნის პროცესის გაჭიანურებისა და მისი დაჩქარების აუცილებლობის (ა. მარშანია) თაობაზე, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის გადაწყვეტაში არსებული პრობლემებისა და გალის რაიონში შერეული ადმინისტრაციის შექმნის საკითხის დაჩქარებაზე (გ. ლომინაძე), ითქვა გალის რაიონში ქართულ სამხედრო დამკვირვებელთა განთავსების აუცილებლობაზე, აფხაზურ მხარეზე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ზეწოლის მექანიზმების შემუშავებაზე (დ. გიორხელიძე), ქართული მხარის მზადყოფნაზე აფხაზეთთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანისათვის (ზ. მუკმანიანი), ქართველ და აფხაზ პარლამენტართა შეხვედრის ორგანიზაციის მიზანშეწონილებაზე (დ. გიორხელიძე).

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დ. ბოდენის ინფორმაცია "გალის რაიონში გაეროსა და ეუთოს სიტუაციის ერთობლივი შემფასებელი მისიის (ეშმ) დასკვნაში აღნიშნული პროგრამების რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ".

2. აღინიშნოს, რომ ქართული და აფხაზური მხარეების, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან განვლილ პერიოდში არ იქნა შემუშავებული მექანიზმები გალის რაიონში სიტუაციის ერთობლივი შემფასებელი მისიის დასკვნაში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების რეალიზაციისათვის, რაც უარყოფითად მოქმედებს კონფლიქტის ზონაში ვითარების სტაბილიზაციაზე.

3. ძირითადად მოწონებულ იქნეს სხდომაზე წარმოდგენილი წინადადებები გალის რაიონში სიტუაციის შემფასებელი ერთობლივი მისიის (ეშმ) დასკვნაში აღნიშნული პრობლემების რეალიზაციის ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

4. ეთხოვოს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში დ. ბოდენს, საქართველოს განსაკუთრებულ მინისტრს მ. კაკაბაძეს.

_ ჟენევის ფორმატის ფარგლებში საკოორდინაციო საბჭოს სპეციალურ სხდომაზე ერთობლივი მისიის დასკვნაში აღნიშნული პრობლემის განხილვა, მხარეთა მონაწილეობით მათი რეალიზაციის კონკრეტულ რონისძიებათა დასახვა და მათ განხორციელებაზე შესაბამისი კონტროლის დაწესება.

- საკოორდინაციო საბჭოსა და მისი მუშა ჯგუფების სხდომებზე პერიოდულად განხილულ იქნეს : გალის რაიონში დაბრუნებული მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვისათვის სათანადო პირობების შექმნის, გალის რაიონის ადმინისტრაციისა და სამართალდამცავი ორგანოების სტრუქტურების ადგილობრივი ქართული მოსახლეობით დაბალანსების, რაიონის სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების აღდგენის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სფეროებში არსებული პრობლემების, ეკონომიკის რეაბილიტაციის, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საკითხები.

- პირველი რიგის გადაუდებელ ამოცანად ჩაითვალოს გაეროს ადამიანთა უფლებათა გალის ოფისის გახსნის დაჩქარება მისთვის ნორმალური მუშაობის სრული პირობების შექმნა.

- უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული ოფისის მუშაობის გამჭვირვალობა და მიმდინარე საქმიანობის თაობაზე (სამ თვეში ერთხელ მაინც) საქართველოს შესაბამისი სტრუქტურებისა და აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისიის ინფორმირება.

5. ეთხოვოს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წაემომადგენელს საქართველოში დ. ბოდენს ერთობლივი შემფასებელი მისიის რეკომენდაციათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად აცნობოს გაეროსა და ეუთოს შესაბამის სტრუქტურებს.

6. პრობლებათა სირთულისა და კონფლიქტის საბოლოო და სამართლიანი მოწესრიგებისათვის მათი გადაწყვეტის მნიშვნელობიდან გამომდინარე ეთხოვოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს (ნ. საჯაია) საკითხის კონტროლზე აყვანა და მისი უშიშროების საბჭოს სხდომებზე განხილვა.

აფხაზეთის პრობლემეთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითო კომისიისა და ფრაქცია "აფხაზეთის" ერთობლივი სხომის
ო ქ მ ი

№30 4 ოქტომბერი 2001 წ.

სხდომას უძღვებოდა : საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია;**

ესწრებოდნენ : დროებითი კომისიის წევრები : **ა. ახვლედიანი, დ. გადელია, ჯ. გამახარია, გ. კალანდია, რ. ლორთქიფანიძე, ზ. მუკბანიანი, ვ. შამილაძე, გ. ჯოჯუა;**

საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: **გ. ლომინაძე** (თავმჯდომარე), **ე. გვაზავა, დ. ჯაიანი, ვ. ჭანტურია, ო. ჭითანავა;**
საქართველოს განათლების მინისტრი **ა. კარტოზია;**
საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ეკონომიკის რეფორმებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე **პ. ჭარაქიშვილი;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი **შ. ხეცურიანი;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის მოადგილე **რ. გერგედავა;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი იმერეთის მხარეში **ა. გამახარია;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრის პირველი მოადგილე **ვ. გასვიანი;**
სოციალური ინვესტიციების ფონდის დირექტორის მოადგილე **შ. კოკოჩაშვილი;**
ფონდის "ღია საზოგადოება-საქართველო"-ს **OSGF** (სოროსის ფონდი) აღმასრულებელი დირექტორი **მ. ჩაჩხუნაშვილი;**
ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს **(NRC)** პროექტის კოორდინატორი საქართველოში **მ. გაბაშვილი;**

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი **გ. კილასონია;**
ფრაქცია "აფხაზეთის" საპარლემენტო ბიუროს ხელმძღვანელი იმერეთის მხარეში **რ. გაბელია;**
გალის რაიონის განათლების განყოფილების გამგე **შ. გვილია;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იმერეთის სამთავრობო ცენტრის ხელმძღვანელის მრჩეველი განათლებისა და კულტურის საკითხებში **ნ. რამიშვილი;**
დაბა წყნეთში კომპაქტურად განსახლებულ დევნილთა წარმომადგენელი **ო. წულაია;**
საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის აპარატის უფროსი **ზ. ფერაძე;**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას პირველი თანაშემწე-სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია;**
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია;**
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტი **ვ. ქობალია;**
ფრაქცია "აფხაზეთის" სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **გ. ჭილაძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. იმერეთის რეგიონში დროებით განთავსებულ აფხაზეთის სასწავლო დაწესებულებებში არსებული პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

2. საქართველოს განათლების მინისტრის **ა. კარტოზიას** ინფორმაცია გალის რაიონის სკოლებში სასწავლო პროცესის მდგომარეობისა და ქართულ ენაზე სწავლებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე აფხაზურ მხარესთან გამართული შეხვედრების შესახებ.

3. **|. მოისმინეს:** იმერეთის მხარეში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის **ა. გამახარიას** ინფორმაცია "იმერეთის რეგიონში დროებით განთავსებულ აფხაზეთის სასწავლო დაწესებულებებში არსებული პრობლემებისა და მატი გადაწყვეტის გადაუდებელ ღრონისძიებათა შესახებ."

აღინიშნა, რომ საკითხის განხილვა ერთობლივ სხდომაზე განაპირობა იმერეთის მხარეში დროებით განთავსებული აფხაზეთიდან დევნილი საშუალო სკოლების პედაგოგებთან და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-

მასწავლებლებთან აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიისა და საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრების შეხვედრებზე და ქ. ქუთაისში გამართულ პედაგოგ-მასწავლებელთა კონფერენციაზე დასმულმა უმწვავესმა პრობლემებმა.

ითქვა, რომ იმერეთის რეგიონში აფხაზეთიდან დევნილი სკოლების მოსწავლეთა მხოლოდ 5%-ია სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი.

უკიდურესად სუსტია სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოუწყობელია ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, და სხვა ლაბორატორიები. სკოლების აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნია თვალსაჩინოება და სხვა დამხმარე მეთოდური მასალები. ინფორმატიკის გაკვეთილები ტარდება კომპიუტერის გარეშე. სკოლებში არ არის საჭირო რაოდენობის მერხები, დაფები, კარადები, შეუკეთებელია საკლასო ოთახები. გადასაწყვეტია 20-მდე ინვალიდი მოსწავლის ინდივიდუალური სწავლების ორგანიზაციის საკითხი. ღიად რჩება გახანგძლივებული ჯგუფების ფუნქციონირების საკითხი.

აღინიშნა, რომ მძიმეა ერთ დროს სსსრკ-ს სივრცეში უნიკალური უმაღლესი სასწავლებლის - საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა.

ინსტიტუტისათვის გამოყოფილი შენობა საჭიროებს სერიოზულ სარემონტო სამუშოების ჩატარებას, კერძოდ, 24-მდე საუდიტორიო ოთახსა და ლაბორატორიაში საჭიროა კარ-ფანჯრების ჩასმა, იატაკის დაგება, ჭერისა და კედლების გარემონტება. ინსტიტუტი განიცდის 200-მდე მერხის, 80-მდე დაფის, 24-მდე კათედრის, 40-მდე კარადის, 100-მდე სკამისა და მინიმუმ 4-5 კომპიუტერის დეფიციტს, რაც დაახლოებით 30-36 ათასი ლარის ღირებულებას შეადგენს.

ინსტიტუტი ასევე განიცდის სახელმძღვანელოებისა და სხვა დამხმარე ლიტერატურის მწვავე ნაკლებობას.

აზრი გამოთქვეს: ნ. რამიშვილმა, გ. კალანდიამ, გ. კილასონიამ, დ. ჯაიანმა, ო. წულაიამ, გ. გვაზავამ, რ. გერგედავამ, შ. კოკოჩაშვილმა, მ.ჩაჩხუნაშვილმა, პ. ჭარაქიშვილმა, ვ. გასვიანმა, გ. ლომინაძემ, ა. კარტოზიამ, ვ. ყოლბაიამ.

აღინიშნა, რომ იმერეთში განსახლებულ დევნილთა სასწავლო დაწესებულებებში შექმნილი ვითარება მოითხოვს ხელისუფლებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მხრიდან მეტ ძალისხმევას.

ხაზი გაესვა, რომ აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელია, რომ საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესაძლებლობის ფარგლებში სათანადო ასახვა ჰპოვოს სხდომაზე დასმული საკითხების დაფინანსებამ.

ამასთან ერთად ითქვა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების სტრუქტურების მიერ შესაძლებლობის ფარგლებში გატარებული სერიოზული მუშაობის მიუხედავად, საჭიროა მათი მხრიდან

მეტი ინიციატივის და აქტიურობის გამოჩენა, კერძოდ, კონტაქტების გაძლიერება იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც საქმიანობენ საქართველოში და ასრულებენ მნიშვნელოვანი ინვესტიციების გამოყოფას განათლების სფეროში. მხედველობაში სოციალური ინვესტიციების ფონდი, რომელიც საქართველოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების მიზნით ძირითადად სოციალური და ეკონომიკური მიმართულებების ფარგლებში ახორციელებს სკოლების რეაბილიტაციის პროგრამას, ბავშვთა ფონდი **(UNICEF) -** რომელიც განათლების სფეროში ახორციელებს რეაბილიტაციასა და განვითარების დაფინანსებას უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისთვის, მათი უფლებების დაცვისათვის ტექნიკური დახმარების განხრით. აღინიშნა, რომ 1998 წლიდან მნიშვნელოვნად შესუსტდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, სხვა დაინტერესებული სტრუქტურებისა და **(UNICEF)** -ის თანამშრომლობა.

ინვალიდ ბავშვთა პრობლემებთან დაკავშირებით ითქვა, რომ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელების ფარგლებში აუცილებელია ცერებრალური დამბლით და პოსტ-პოლიომილიტის დარღვევების მქონე ბავშვთა გურჯაანის სპეციალურ სკოლა-ინტერნატის შესაძლებლობების გამოყენება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთ კვების დაფინანსების საკითხებთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება (ა.კარტოზია) პროგრამული დაფინანსების მეთოდის გამოყენებაზე, რითაც ნაკლები იქნება მისი სეკვესტრირების ალბათობა.

ხაზი გაესვა იმ პროგრამის მნიშვნელობას, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო სახელმძღვანელოების გაქირავებას, რაც სკოლას მისცემს საშუალებას 4 წლის შემდეგ თვითონ საკუთარი სახსრებით შეიძინოს სახელმძღვანელოები.

საქართველოს განათლების მინისტრის ა. კარტოზიას განვხადებით, უახლოეს დღეებში ის სამინისტროს სხვა წარმომადგენლებთან ერთად პირადად ჩავა იმერეთის მხარეში და ადგილზე გაეცნობა შექმნილ ვითარებას.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული იმერეთის მხარეში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის **ა. გამახარიას** ინფომაცია "იმერეთის რეგიონში დროებით განთავსებულ აფხაზეთის სასწავლო დაწესებულებებში არსებულ პრობლემებსა დამათი გადაწყვეტის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ".

2. აღინიშნოს, იმერეთში განთავსებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და მისი გაუმჯობესობის გადაუდებალ ღონისძიებათა გატარების აუცილებლობა.

3. საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვისას ყურადღება გამახვილდეს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სრული რემონტისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის 195 ათასი აშშ-ს დოლარის ექვივალენტი ეროვნული ვალუტის გამოყოფის აუცილებლობაზე, აგრეთვე პროგრამული დაფინასების ხაზით - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთა კვების დაფინანსებაზე.

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ **(თ.ნადარეიშვილი**) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ **(ლ. ცაავა)** 2002 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვისას გაითვალისწინონ განათლების სფეროს ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხარდამჭერი ღონისძიებების დაფინანსება.

5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ **(რ. გერედავა)** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს **(ვ.გასვიანი)** ერთად შეიმუშაონ კონკრეტული წინადადებები აფხაზეთის აცტონომიური რესპუბლიკის 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა კვების ორგანიზაციის პროგრამულ დაფინასებასთან დაკავშირებით.

6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობამ იმერეთის მხარეში **(ა. გამახარია)** ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად შეიმუშავონ წინადადებები დევნილი სასკოლო დაწესებულებების რეაბილიტაციისთვის (ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების მოწყობილობისათვის, წიგნების ფონდის შესაქმნელად) ინვესტიციების მოსაზიდად და საქართველოს განათლების სამინისტროს რეკომენდაციით წარუდგინონ შესაბამისი განაცხადები სოციალური ინვესტიციების ფონდს და ფონდს "ღია საზოგადოება - საქართელოს"-ს.

7. მიღებულ იქნეს ცნობად სოციალური ინვესტიციების ფონდის დირექტორის მოადგილის **შ. კოკოჩაშვილის** განცხადება, რომ შესაბამისი განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში ფონდი განიხილავს იმერეთში დროებით განთავსებული აფხაზეთიდან დევნილი სასკოლო დაწესებულებების რაბილიტაციის საკითხს.

8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ **(ჯ.ჯანელიძე)** აფხაზეთიდან დევნილი სასკოლო დაწესებულებების ინვენტარით უსრუნველყოფასთან დაკავშირებით წარუდგინოს შესაბამისი განაცხადი ბავშვთა ფონდს **(UNICEF)**.

9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ **(ვ.გასვიანი)** იმერეთის მხარეში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობასთან ერთად შეისწავლოს იმერეთის სკოლებში ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვთა გურჯაანის სპეციაზილირებულ სკოლა-ინტერნატში გადაყვანის შესაძლებლობების საკითხი.

10. ეთხოვოს საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტს **(ა. ჩხაიძე)** განიხილოს ქველმოქმედების ჩარჩოებში წყალტუბო-ქუთაისის საგარეუბნო ელექტრომატერებელზე განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში მყოფი დევნილი ოჯახების წევრი სტუდენტებისათვის (100-მდე ადამიანი) უფასო მგზავრობის ნებართვის დაშვების საკითხი.

11. მიღებული იქნეს ცნობად საქართველოს განათლების მინისტრის **ა.კარტოზიას** განცხადებები, რომ:

ა) იმერეთის რეგიონში დროებით განთავსებული აფხაზეთიდან დევნილი სკოლები (აფხაზეთის განათლების სამინისტროს №4, №5 და კოპიტნარის სკოლები) გათვალისწინებული იქნებიან მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი საქართველოს განათლების სისტემის რეფორმის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სახელმძღვანელოების გაქირავების ექსპერიმენტში.

ბ) უახლოეს პერიოდში დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად პირადად ჩავა იმერეთის რეგიონში სიტუაციის ადგილზე გასაცნობად და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად.

II. მოისმინეს: საქართველოს განათლების მინისტრის **ა. კარტოზიას** ინფორმაცია "გალის რაიონში სასწავლო პროცესისა და მშობლიურ ენაზე განათლების მდგომარეობის შესახებ".

აზრი გამოთქვეს: რ. გერგედავამ, შ. გვილიამ, რ, გელანტიამ, ე. გვაზავამ, გ.კალანდიამ, დ. ჯაიანმა, გ. ლომინაძემ, ვ. ყოლბაიამ.

აღინიშნა, რომ ამ დღეებში საქართველოს განათლების მინისტრი ა.კარტოზია გალის რაიონში ყოფნისას გაეცნო რაიონის სკოლებში სასწავლო პროცესისა და ქართულ ენაზე სწავლების მდგომარეობას.

ითქვა, რომ ამ მხრივ იქ შექმნილი მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩება. რაიონის სკოლებში აფხაზეთის "სინამდვილის დამახინჯების" მოტივით კვლავინდებულად აკრძალულია საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლება. ქართული ენისათვის განსაზღვრულია ერთ-ერთი რიგითი საგნის სტატუსი. რუსული ენის სპეციალისტებისა და რუსული ენის მცოდნე პედაგოგების დეფიციტის მიუხედავად , 1994 წლიდან დაწყებითი კლასებში სწავლება მიმდინარეობს რუსულად.

ითქვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციებში, გალის რაიონში გაეროსა და ეუთოს სიტუაციის ერთობლივი შემფასებელი მისიის მიერ სწავლა-განათლების დარგში რეალურად დაფიქსირებული დარღვევების მიუხედავად, აფხაზური სეპარატისტული რეჟიმის პოლიტიკა ამ მიმართულებით ჯერ-ჯერობით უცვლელი რცება, თუმცა გალში აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებებისას მიღწეულ იქნა შეთანხმება აღნიშნულ პრობლემებზე დიალოგის გაგრძელების აუცილებლობის თაობაზე.

გალის რაიონში დამკვიდრებულ ქართულ ენაზე სწავლების დისკრიმინაციულ პრაქტიკასთან ერთად სხდომაზე ყურადღება გამახვილდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოებით მომარაგების გაუმჯობესებისა და ურთულეს პირობებში მომუშავე ადგილობრივ მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების არსებულ პრობლემებზე. ითქვა, რომ გალის რაიონის სკოლებსი მასწავლებელთა მიერ პრაქტიკულად იატაკქვეშეთში პატრიოტული მოვალეობის აღსრულებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო თავის დროზე საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით ბიუჯეტიდან გალის რაიონის სკოლების დაფინანსების საკითხის გადაწყვეტა. ამჟამად, რაიონის პედაგოგები ხელფასს არ ღებულობენ არც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, მით უმეტეს, არც სეპარატისტული ხელისუფლების მხრიდან.

ა. კარტოზიამ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ პრობლემებზე გაგრძელდება მოლაპარაკება ამ დღეებში თბილისში დაგეგმილ ჟენევის ფორმატით საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, რომლის მუშაობაში გათვალისწინებულია აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების განათლების სისტემის წარმომადგენელთა მონაწილეობაც. გალის რაიონის სკოლებში ქართული ენის სტატუსის აღდგენის საკითხი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის მდგომარეობა აყვანილ იქნება საქართველოს განათლების სამინისტროს განსაკუთრებულ კონტროლზე.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს განათლების მინისტრის **ა. კარტაზიას** ინფორმაცია "გალის რაიონში სასწავლო პროცესისა და მშობლიურ ენაზე განათლების მდგომარეობის შესახებ."

2. აღინიშნოს, რომ გაეროს ოფიციალურ დოკუმენტებში აფხაზ სეპარატისტთა მიერ მშობლიურ ენაზე სწავლების აკრძალვის დანაშაულებრივი პრაქტიკის დაფიქსირებისა და დაგმობის მიუხედავად გალის რაიონის სკოლებში ვითარება ჯერ-ჯერობით უცვლელი რჩება.

3. ეთხოვოს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში **დ. ბოდენსა** და საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს **მ. კაკაბაძეს** საკოორდინაციო საბჭოს დაგეგმილ სხდომაზე დასვან საკითხი გალის რაიონში გაეროსა და ეუთოს სიტუაციის ერთობლივი შემფასებელი მისიის რეკომენდაციების (მათ შორის განათლების სფეროში) რეალიზაციის აუცილებლობაზე.

4. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის კომიტეტის თავჯდომარეს **ე. თევდორაძეს,** საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში **რ. ბერიძეს,** საქართველოს ომბუდსმენს **ნ. დევდარიანს,** მსოფლიო საზოგადოებრიობის, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების ფართო ინფორმირება აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ აფხაზეში ქართული ენის სტატუსის ხელყოფისა დ გალის რიონის სკოლებში მშობლიურ (ქრთულ) ენაზე სწავლების აკრძალვის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რაც განიხილება როგორც ქართული მოსახლეობის უფლებათა და თავისუფლებათა აშკარა დარღვევა, გენოციდისა და ეთნიკური წმენდის გაგრძელება და მოსახლეობის თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან ხელახალი აყრის იძულების მცდელობა.

5. ეთხოვოს საქართველოს განათლების სამინისტროს **(ა. კარტოზია)** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან **(ლ. ცაავა)** ერთად :

ა). გალის რაიონში მოღვაწე პედაგოგთა შრომის ანაზღაურების საკითხის გადასაწყვეტად შემუშავებული წინადადებების სრულად განხორციელება;

ბ). გალის რაიონის სკოლების აუცილებელი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავება და გატარება.

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის
ოქმი

№31 16 ნოემბერი 2001 წ.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავჯდომარე **ვ. ყოლბაია;**
ესწრებოდნენ: დროებითი კომისიის წევრები: **დ. გადელია, ჯ. გამახარია, გ.კალანდია, გ. კვარაცხელია, კ. კემულარია, რ. ლორთქიფანიძე, ზ.მუკბანიანი, ვ. შამილაძე,** საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები : **გ. ლომინაძე** (თავჯდომარე), **ა. გასვიანი, ე. გვაზავა,** საქართველოს პარლამენტის წევრები : **ბ. კაკუბავა,** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **მ. ანთაძე,** აფხაზეტის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი **გ. სანაია,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ომბუდსმენი **მ. ჩხოტუა,** აფხაზეთის პროფკავშირთა გაერთიანების თავჯდომარე **ა. თევზაია,** სოხუმის რაიონის გამგეობის თავჯდომარე **დ. კეკელია,** "დევნილთა ლიგისა" და სხვა საზოგადოებრივ - პოლიტიკური ორგანიზაციათა წარმომადგენლები : **ე. გულედანი, გ. კილასონია, რ. ქანთარია, ა. კაკუბავა, ბ. ფარცვანია, ზ,.ბედია, მ. ნინიძე, მ. პატარაია, ვ. ახალაია, ო. წულაია,** საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის **(UNOMIG)**-ის წარმომადგენელი **ნ. ლაფაჩი,** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას პირველი თანაშემწე-სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია,** აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია,** აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტი **ვ. ქობალია.**

დღის წესრიგი :

მიმდინარე ეტაპზე აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების მდგომარეობის შესახებ

მოისმინეს : საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის **მ. ანთაძის** ინფორმაცია "მიმდინარე ეტაპზე აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების მდგომარეობის შესახებ".

აღინიშნა, რომ მ.წ. 24 აპრილს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლის მიერ დაფიქსირებულ განსხვავებულ პოზიციასთან დაკავშირებით სოხუმსა და თბილისს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის თაობაზე მხარეებისათვის წარსადგენი დოკუმენტის პროექტის საბოლოო ვარიანტის შეჯერება და მისი მიღება ვერ მოხერხდა. სწორედ ამიტომ, განვლილ პერიოდში აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის გაეროს უშიშროების საბჭოს 2001 წლის 31 ივლისის 1364 (2001) გადაწყვეტილების შესაბამისად მუშაობა ძირითადად მიმდინარეობდა პოლიტიკური დარეგულირების მიმართულებით, რომელიც მოიცავდა თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის პროექტის მომზადებას.

საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი დ. ბოდენი განაგრძობდა კონსულტაციებს გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფთან აღნიშნულ პროექტზე შეთანხმების მისაღწევად.

აგვისტოს დასაწყისში რუსეთის ფედერაციის მიერ პროექტთან მიმართებაში წარმოდგენილ იქნა დამატებითი წინადადებები, რომლებიც მაქსიმალურად მიუახლოვდნენ პროექტში არსებულ ფორმულირებებს და ამასთან მოიცავდნენ ახალი, უსაფრთხოების გარანტიების ელემენტების შემოტანას. აღნიშნულთან დაკაშირებით, დ. ბოდენმა გამართა შეხვედრათა სერია ნიუ-იორკში, მოსკოვსა და თბილისში. გაეროს მიერ კომპრომისის მისაღწევად შემოტანილ იქნა წინადადება, რომ უსაფრთხოების გარანტიების შესამუშავებლად მუშაობა წარიმართოს პარალელურად. მეგობართა ჯგუფმა ჯერ ვერ შესძლო დოკუმენტთან მიმართებაში შეთანხმების მიღწევა, რომელიც უნდა წარედგინათ მსჯელობისათვის, როგორც საფუძველი მოლაპარაკებებში საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის თაობაზე.

იმავდროულად, 2001 წლის 1 აგვისტოს აფხაზეთის დე-ფაქტო პრემიერ -მინისტრმა ა. ჯერგენიამ წერილობით მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს კ. ანანს, რომელშიც გაიმეორა აფხაზეთის ხელმძღვანელობის უარი ამ დოკუმენტის საფუძველზე ნებისმიერი მოლაპარაკების წარმართვის თაობაზე.

სექტემბერ-ნოემბერში გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებმა სერიოზულად შეაფერხეს კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების პროცესი. ბოლო ნახევარი წლის მანძილზე აფხაზური მხარის მიერ დაკავებული არაკონსტრუქციული პოზიციის გამო უკვე მესამედ გადაიდო საკოორდინაციო საბჭოს მე-13 სხდომა, რომელიც 9 ოქტომბერს უნდა გამართულიყო ქ. თბილისში.

ა.წ. 24 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გენერალური მდივნის მოხსენებაში გამოითქვა სერიოზული შეშფოთება კონფლიქტის ზონაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ვითარების გამწვავებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისათვის გაწეულ

ძალისხმევაში გარკვეულ წარუმატებლობებთან დაკავშირებით და გამოიხატა აღშფოთება ა.წ. 8. ოქტომბერს კონფლიქტის ზონაში ვერტმფრენის ჩამოგდებისა და გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა დაღუპვასთან დაკავშირებით. სერიოზულად დაისვა საკითხი გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით კონფლიქტში დაპირისპირებულ მხარეთა შესაძლებლობების თაობაზე. ხაზი გაესვა, გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მიმართ დანაშაულებრივი აქციის უშუალო შემსრულებელთა პასუხისმგებლობის საკითხს.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური სტატუსის თაობაზე სუბსტანციური მოლაპარაკებების გამართვის განუახლებობის შემთხვევაში სამშვიდობო პროცესს საშიშროება ემუქრება.

გენერალურმა მდივანმა კვლავ მიმართა მეგობარი ქვეყნების ჯგუფს, მის სპეციალურ წარმომადგენელ დ. ბოდენთან ერთად, დააჩქარონ თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის თაობაზე დოკუმენტის პროექტის შემუშავების პროცესი და მიიყვანონ ეს სამუშაო წარმატებულ შედეგამდე. გარდა ამისა, ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, აფხაზურ მხარეს დაბეჯითებით მოეწოდა, გადახედოს თავის პოზიციას და, როდესაც დამთავრდება ტექსტზე მუშაობა, შეუერთდეს ძალისხმევას აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე მოლაპარაკებების გასამართავად.

გენერალურმა მდივანმა მოუწოდა მხარეებს დაუყოვნებლივ განაახლონ საკოორდინაციო საბჭოსა და მისი ყველა სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა, აგრეთვე - განაახლონ მუშაობა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა თავიანთ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად, ნდობის განმტკიცების მიზნით იალტის ერთობლივი განცხადებისა და მოსკოვის 1994 წლის ოთხმხრივი შეთანხმების დებულებათა შესასრულებლად.

გუდაუთიდან რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანის თაობაზე რუსეთის ხელისუფლების ოფიციალურ განცხადებებთან დაკავშირებით მ. ანთიძემ აღნიშნა, რომ რუსეთის მხარემ სტამბულის სამიტზე ერთობლივი განცხადებით ნაკისრ ვალდებულებათა შესაბამისად მთლიანად დაასრულა მძიმე სამხედრო ტექნიკის გაყვანა, მაგრამ მან დაარღვია მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული გეგმა-გრაფიკი, ვერ უზრუნველყო ღონისძიებების ტრანსპარენტულობა, როგორც თვითონ აცხადებს, ბაზის ტერიტორიაზე არსებული ობიექტებისა და სხვა მატერიალურ ფასეულებათა დასაცავად დატოვა 600-მდე სამხედრო მოსამსახურე. საქართველოს ხელისუფლება, ცხადია , იტოვებს უფლებას ამ და სხვა საკითხებზე დამატებითი განმარტებების მიღებამდე ოფიციალურად არ დაადასტურონ საქართველოს ტერიტორიიდან გუდაუთის ბაზის გაყვანის საკთხი.

კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის თაობაზე პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებასთან დაკავშირებით მ. ანთიძემ აღნიშნა, რომ ის ოპერატიულად იქნა განხილული საქართველოს ეროვნული

უშიშროების საბჭოს სხდომაზე. აღნიშნულის თაობაზე პარლამენტის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მიმდინარეობს კონსულტაციები გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფთან, ასევე ევროპულ სტრუქტურებში, ვენასა და ბრიუსელში.

აზრი გამოთქვეს: მ. კვარაცხელიამ, გ. კალანდიამ, ბ. კაკაუბავამ, ჯ.გამახარიამ, ე. გვაზავამ, ვ. ახალაიამ, ე. გულედანმა, რ. ქარაიამ, ე.ასტემიროვამ, ა. თევზაიამ, ბ. ფანცულაიამ, ზ. ბედიამ, გ. კილასონიამ, ვ. ყოლბაიამ.

გამოითქვა სერიოზული უკმაყოფილება (გ. კალანდია, ე. გვაზავა, მ.კვარაცხელია.) იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური სტატუსისა და თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ დოკუმენტების პროექტები დღემდე კონფიდენციალურ ვითარებაში მზადდება.

პარლამენტარმა ბ. კაკუბავამ დაადანაშაულა ქვეყნის ხელისუფლება იმაში, სომ აფხაზეთის კონფიქტი, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი პრობლემაა, გაიტანა საერთაშორისო სარბიელზე და მოახდინა მისი ინტერნაციონალიზაცია.

სხდომის მონაწილეებმა (ე. გულედანი, ბ. კაკუბავა) ასევე გაამახვილეს ყურადღება რუსეთის სამშვიდობო ძალების შესაძლო ჩანაცვლებაზე ინტერნაციონალური, მათ შორის თურქეთის საჯარისო კონტიგენტით და მიუთითეს იმ კონტიგენტში მუჰაჯირთა შესაძლო დაკომპლექტების საშიშროებაზე, რაც მათი აზრით შეიძლება გახდეს მუჰაჯირთა აფხაზეთში მასიური დაბრუნების წინაპირობა, იქ დემოგრაფიული ვითარების ქართული მოსახლეობის საწინააღმდეგოდ კარდინალური შეცვლა, რაც თავის მხრივ, სერიოზულად შეუშლის ხელს დევნილი მოსახლეობის დაბრუნებასა და მის რეაბილიტაციას აფხაზეთში.

ჯ. გამახარიას და ბ. კაკუბავას აზრით ენგურს გამოღმა მყოფმა აფხაზეთის დევნილმა მოსახლეობამ უნდა აირჩიოს წარმომადგენლობითი ხელისუფლება და მისი მეშვეობით გამართოს მოლაპარაკებები სოხუმის რეჟიმთან.

სხდომაზე ლტოლვილი საზოგადოების სახელით გამოსულმა დროებით მოსკოვში განახლებულმა ვ. ახალაიამ საგარეო უწყების ხელმძღვანელობის ყურადღება გაამახვილა ლტოლვილთათვის რუსეთის ფედერაციაში ქართული ეროვნული პასპორტების გაცემაში არსებულ სირთულეებზე, აგრეთვე სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით არსებულ კორუფციაზე, აღინიშა, რომ ლტოლვილთათვის მეტად დამამძიმებელია სამშობლოში ჩამოსავლელად ვიზის მიღებისათვის 60$-ის გადახდა.

სხდომაზე გამომსვლელთა აზრით აფხაზეთთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის გამასასწორებლად საჭიროა კონკრეტული სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა კომპლექსის გატარება, რომლის წინაპირობად მიჩნეული უნდა

იქნეს ამჟამად შექმნილი რეალობის გათვალისწინებით აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ახალი სახელმწიფო კონცეფციის შემუშავება, საქართველოს ხელოსუფლებისა და მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევის რადიკალური შეცვლა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე მკაცრი კონტროლის დაწესება.

კონფლიქტის მოწესროგების პროცესის გაჭიანურბასთან დააკავშირებით სხდომის მუშაობაში მონაწილე "დევნილთა ლიგის" და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების წარმომადგენელთა მხრიდან ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების მისამართით გამოითქვა არაერთი მწვავე შენიშვნა და კრიტიკული მოსაზრება.

სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოდგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავჯდომარემ ვ. ყოლბაიამ.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მ. ანთაძის ინფორმაცია "მიმდინარე ეტაპზე აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების მდგომარეობის შესახებ".

2. დაფიქსირდეს კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში შექმნილი ჩიხური სტუაცია და არასაკმარისად იქნეს მიჩნეული მის მოსაწესრიგებლად საქართველოს ხელისუფლების ცალკეული სტრუქტურებისა და დაწესებულებების, გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, რუსეთის, როგორც კონფლიქტის მოწესრიგებაში ხელშემწყობი მხარის საქმიანობა.

3. გაუმართემლად იქნეს მიჩნეული ბოლო ორი წლის მანძილზე პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სხვადასხვა მიზეზით აფხაზეთის საკითხის განხილვის ქრონიკული გადავადების პრაქტიკა და პრინციპულად დაისვას პარლამენტის ხელმძღვანელობის წინაშე, მთავრობის დაკომპლექტების შემდეგ, უახლოეს პლენარულ სხდომაზე აღნიშნული საკითხის კომპლექსური განხილვის აუცილებლობის შესახებ.

4. ეთხოვოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს:

ა) განაგრძოს ძალისხმევა რუსეთის ფედერაციის შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან გუდაუთის სამხედრო ბაზიდან მძიმე სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების გაყვანის თაობაზე ტრანსპარენტულობის მისაღწევად, რათა

გამოირიცხოს გატანილი მოძველებული სამხედრო ტექნიკის ნაცვლად ფარულად ახალი ტექნიკისა და შეიარაღების შემოტანის ფაქტები;

ბ) შეისწავლოს რუსეთის ფედერაციაში ქართული ეროვნული პასპორტების გაცემასთან, (განსაკუთრებით დევნილი მოსახლეობისათვის) დაკავშირებული პრობლემები და შეიმუშაოს მისი მოწესრიგების საკითხები. მიღებული ცნობების შესახებ ეცნობოს კომისიას ერთი თვის ვადაში.

5. ეთხოვოს აფხაზეთის პრობლემებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს განიხილონ საქმიანობის კოორდინაციის, მათ შორის, სახალხო დიპლომატიის გააქტიურებისათვის ძალისხმევის გაერთიანების საკითხი სახალხო დიპლომატიის საშუალებების მაქსიმალური გამოყენების უზრუნველსაყოფად.

6. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს :

ა) მთავრობის დაკომპლექტების შემდეგ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნეს აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის (აფხაზეთის შეიარაღებული ძალები, ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ფართომაშტაბიანი ეკონომიკური დივერსია, რუსეთის ფედერაციის სამხრეთის რეგიონებთან აფხაზეთის მზარდი ინტეგრაცია, რუსეთთან გამარტივებული სავიზო რეჟიმი, სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შემთხვევაში ცეცხლის განუახლებლობის რეჟიმის შენარჩუნებისათვის ძალოვანი სტრუქტურების მზადყოფნის საკითხები, დსთ-ს სამშვიდობო ძალების საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლების შემთხვევაში თურქეთის სამშვიდობო კონტიგენტის ეთნიკური აფხაზებითა და ჩერქეზ-ადიღთა წარმომადგენლებით მოსალოდნელი დაკომპლექტებისადმი დევნილი მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება), აგრეთვე მსოფლიო მართლწესრიგში შექმნილი ახალი რეალობების გათვალისწინებით აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების სახელმწიფო პროგრამის განახლების, მისი განხორციელების ეტაპებისა და მექანიზმების შემუშავების შესახებ;

ბ). საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს სახელმწიფო კონცეფცია აფხაზეთიდან დევნილთა და აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის დამატებით ღონისძიებათა შესახებ;

გ) იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში ამჟამად ჩართულია მრავალი სახელმწიფო სტრუქტურა, საერთაშორისო ორგანიზაცია და სახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაცია, განხილულ იქნეს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან კონფლიქტის მოწესრიგების ხელშემწყობი უწყებათშორისო საკოორდინაციო საბჭოს შექმნის საკითხი.

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის (დახურული) სხდომის ოქმი

№ 32 18 იანვარი 2002 წ.

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია;**

ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წევრები: **ა. ახვლედიანი, ი. ბათიაშვილი, გ. ბოლოთაშვილი, ჯ. გამახარია, ზ. მუკბანიანი, დ. გადელია, ვ. კვარაცხელია, ვ. შამილაძე, გ. ჯოჯუა;**
საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: **გ. ლომინაძე** (თავმჯდომარე), **ა. გასვიანი, დ. გვაძაბია, ვ. ჭანტურია, ო. ჭითანავა, დ. ჯაიანი;**
საპარლამენტო ფრაქცია "ახალი აფხაზეთი - ქრისტიან-დემოკრატები"-ს წევრები: **ა. წოწონავა** (თავმჯდომარე), **მ. ბარამიძე, დ. გიორხელიძე, ბ. ლაგვილავა, ჯ. ეზუგბაია, ა. ფენდერავა, ა. ჯიქია;**
საქართველოს პარლამენტის წევრები: **თ. ნადარეიშვილი (აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე), ა. აბრალავა, კ. ამირხანაშვილი, გ. ბარამიძე** (პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე), **ვ. ბოჭორიშვილი** (ფრაქცია XXI საუკუნის თავმჯდომარე), **ფ. ინჯია, ბ. კაკუბავა, თ. პაატაშვილი, გ. პაიჭაძე, ა. შალამბერიძე, გ. შუღაროვი** (საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე), **ჰ. ჭიპაშვილი** (საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), **ე. ჯაველიძე, ი. ჭელიძე;**
საქართველოს თავდაცვის მინისტრი **დ. თევზაძე;**
საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე;**
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **მ. ანთაძე;**
გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში **დ. ბოდენი;**
საქართველოს სამშვიდობო ძალების სარდალი აფხაზეთში **დ. ზურაბიშვილი;**
კონფლიქტის ზონაში ქართული მხარის სამხედრო დამკვირვებელთა სამხრეთის სექტორის (ზუგდიდის რაიონი) ხელმძღვანელი **კ. თევზაძე;**
აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. თორდია;**
აფხაზეთის ა/რ პროკურორი **ა. ლაცუზბაია;**

აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე **ვ. მიხელიძე;**
აფხაზეთის ა/რ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **რ. ბერიშვილი;**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას პირველი თანაშემწე - სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია;**
საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია;**
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სპეციალისტი **ვ. ქობალია.**

დღის წესრიგი:

1. **ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე კოდორის ხეობიდან ქართული საჯარისო ფორმირებების გამოყვანის თაობაზე 17 იანვრის ხელმოწერილი ოქმის შესახებ.**
2. **აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის განცხადების შესახებ.**

მოისმინეს: საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის **დ. ბოდენის,** საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის **მ. კაკაბაძისა** და საქართველოს თავდაცვის მინისტრის **დ. თევზაძის** ინფორმაციები "ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე კოდორის ხეობიდან ქართული საჯარისო ფორმირებების გამოყვანის თაობაზე 17 იანვარს ხელმოწერილ ოქმთან დაკავშირებით".

საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დ. ბოდენის მიერ აღინიშნა, რომ სამშვიდობო პროცესის განახლებისა და მხარეთა შორის ნდობის აღსადგენად ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმება განპირობებული იყო მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის აფხაზეთში "ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ" შეთანხმების მოთხოვნათა ქართული მხარის მიერ გასული წლის შემოდგომაზე დარღვეულ ვალდებულებათა შესრულების აუცილებლობით. კერძოდ, აღნიშნული დადგენილების მე-4 მუხლი, რომლის თანახმადაც დსთ-ს სამშვიდობო ძალებისა და გაერო-ს დამკვირვებელთა კონტროლის ქვეშ, მხარეთა მონაწილეობით კოდორის ხეობიდან უნდა განხორციელებულიყო ქართული სამხედრო შენაერთების გამოყვანა (რაც თავის დროზე შესრულდა კიდეც, მაგრამ 2001 წლის ოქტომბერში კოდორის ხეობაში მდგომარეობის უკიდურეს დაძაბვასთასნ დაკავშირებით, მას შემდეგ, რაც სეპარატისტთა მიერ ხეობა დაიბომბა და ეს აფხაზური მხარის მიერ აღიარებულია ჭუბურხინჯის 17 იანვრის შეხვედრაზე, ქართული მხარე

იძულებული გახდა ხეობის მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვისა და მდგომარეობის შემდგომში გართულების თავიდან ასაცილებლად იქ თავდაცვის სამინისტროს საჯარისო ფორმირებების შეზღუდული კონტინგენტი შეეყვანა). გარკვეული ვალდებულებები (მძიმე ტექნიკის გაყვანა კოდორის ხეობის ქვედა ზონიდან, ტყვარჩელის მიდამოებიდან) თავის თავზე აიღო აფხაზურმა მხარემაც.

საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა **მ. კაკაბაძემ** აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება იძულებული იყო დათანხმებოდა ქართული საჯარისო ფორმირებების კოდორის ხეობიდან გამოყვანის თაობაზე შეთანხმებას, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა არსებულ ფორმატში სამშვიდობო პროცესის გაგრძელებისათვის საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ზეწოლამ. გაერო-მ გაითვალისწინა აფხაზური მხარის მიერ წაყენებული პრეტენზიები და საქართველო ვალდებულებების დამრღვევ მხარედ აღიარა. აღნიშნულ შეთანხმებაზე ხელმოწერა შექმნილ ვითარებაში აუცილებელი იყო გაერო-ს უშიშროების საბჭოს მომავალი სხდომისათვის საჭირო ფონის შესაქმნელად. მისი ხელმოწერის წინ შედგა საფუძვლიანი კონსულტაციები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან კოდორის ხეობის მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად. კოდორის ხეობაში აღსდგა გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა პატრულირება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, მასში მონაწილეობას არ მიიღებნენ დსთ-ს სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა **დ. თევზაძემ** ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გატარდება აუცილებელი ღონისძიებები, რათა თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების შემცირებამ არ გამოიწვიოს კოდორის ხეობის თავდაცვისუნარიანობისა და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების შესუსტება. თვით საკითხიც საჯარისო ფორმირებების გამოყვანის თაობაზე კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, 7 თვის განმავლობაში დღის წესრიგში ვერ დადგება. მის მიერ გამოითქვა თხოვნა პარლამენტის მიმდინარე საგანგებო სხდომაზე 2002 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვისას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და სამინისტროს წინაშე დასმული კონკრეტული საკითხების გადასაჭრელად პარლამენტართა მხრიდან შესაბამისი მხარდაჭერის საჭიროების თაობაზე. მინისტრმა მხარი დაუჭირა "ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ" მოსკოვის 1994 14 მაისის შეთანხმების სამართლებრივი შეფასების აუცილებლობას, რადგანაც აღნიშნული შეთანხმების დებულებები ეწინააღმდეგება ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებს.

აზრი გამოთქვეს: ა. ჯიქიამ, დ. გიორხელიძემ, ბ. კაკუბავამ, ი. ჭელიძემ, ა.შალამბერიძემ, გ. პაიჭაძემ, ჰ. ჭიპაშვილმა, ჯ. ეზუგბაიამ, ჯ. გამახარიამ, ფ.ინჯიამ, თ. პაატაშვილმა, ი. ბათიაშვილმა, თ. ნადარეიშვილმა,

ვ.ბოჭორიშვილმა, ა. აბრალავამ, კ. ამირხანაშვილმა, ე. ჯაველიძემ, გ.ბარამიძემ, ვ. ყოლბაიამ.

სხდომაზე ყველა გამომსვლელის მიერ ჭუბურხინჯის შეხვედრაზე ხელმოწერილი დოკუმენტი კატეგორიულად მიუღებლად შეფასდა. ითქვა, რომ 1992 წლიდან მოლაპარაკებები ერთი და იმავე სცენარით მიმდინარეობს, კერძოდ, ქართული მხარის მიერ კომპრომისებზე წასვლას აფხაზური მხარე მოლაპარაკებათა დასარღვევად და თავისი პოზიციების გასაძლიერებლად იყენებს, რაც არ ხდება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და რუსეთის, როგორც (ადრე შუამავალი მხარის, ამჯერად ხელშემწყობის) მხრიდან ადეკვატური რეაგირების საგანი. მოყვანილ იქნა აფხაზური მხარის მიერ მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის და 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულებათა უპრეცედენტო დარღვევის შედეგად ქალაქების გაგრისა და სოხუმის დაცემის მაგალითები, გამოითქვა სერიოზული ეჭვები და შეშფოთება, რომ ამჯერადაც იმავე სცენარით მზადდება კოდორის ხეობის ოკუპაციისა და მისი საქართველოდან მოწყვეტის საკითხი.

აღინიშნა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტინგენტის კოდორის ხეობიდან გაყვანაზე თანხმობის მიცემა აფხაზეთის ტერიტორიის სრული ოკუპაციის საშუალების მიცემაა, რასაც სხდომის მონაწილეთა ერთი ჯგუფის აზრით ხელისუფლება მიზანმიმართულად ახორციელებს. სიტყვით გამოსულ პარლამენტის წევრთა უმრავლესობის მიერ აღნიშნული ფაქტი შეფასდა როგორც ქვეყნის ინტერესების იგნორირება, ხოლო ა. ჯიქიამ, ბ.კაკუბავამ, გ. პაიჭაძემ, ა. აბრალავამ ხელისუფლება დაადანაშაულეს საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ დარჩენილი აფხაზეთის ნაწილის მოწინააღმდეგისათვის ჩაბარების სურვილში და გამოთქვეს მოსაზრება კონკრეტულ დამნაშავეთა პასუხისმგებლობის შესახებ.

პარლამენტის წევრის, ი. ბათიაშვილის აზრით მაღალია ალბათობა იმისა, რომ გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა პატრულირების განახლებისას კოდორის ხეობაში, რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენელთა მონაწილეობისას და მათი მხრიდან დამკვირვებელთა უსაფრთხოების დაცვისათვის პასუხისმგებლობის აღების გარეშე, მათ წინააღმდეგ მოეწყოს სხვა და სხვა სახის პროვოკაცია საქართველოს დისკრეტიზაციის მიზნით.

პარლამენტარ ჯ. ეზუგბაიას აზრით, ნაცვლად იმისა, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას შეესრულებინა საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 11 ოქტომბრის დადგენილების მოთხოვნა კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ, პირიქით, მან ხელი მოაწერა შეთანხმებას კოდორის ხეობიდან ქართული საჯარისო ფორმირებების გაყვანის შესახებ. მისივე აზრით, დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლი. ამდენად, საქართველოს პარლამენტი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი დადგენილების შესრულება.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გ. ბარამიძის აზრით დაუშვებელია კოდორის ხეობიდან ქართული საჯარისო ფორმირებების გამოყვანა, მან მოუწოდა დეპუტატებს საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვისას გაითვალისწინონ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინაშე არსებული პრობლემების სირთულე და ხმა მისცენ ბიუჯეტში აღნიშნული სამინისტროსათვის შესაბამის დაფინანსებას.

დეპუტატ ჯ. გამახარიას აზრით 1994 წლის 14 მაისის შეთანხმების რიგი მნიშვნელოვანი მუხლი დარღვეული აქვს აფხაზურ მხარესაც, რაც, ქართულ მხარეს ათავისუფლებს კოდორის ხეობიდან ქართული საჯარისო ფორმირებების გამოყვანის ვალდებულებისაგან.

დეპუტატთა ნაწილმა (თ. პაატაშვილი, ი. ბათიაშვილი, გ. ბარამიძე, კ.ამირხანაშვილი, ფ. ინჯია, ვ. ბოჭორიშვილი) მწვავედ დასვეს 1994 წლიდან დღემდე აფხაზურ მხარესთან ხელმოწერილ შეთანხმებათა ექსპერტიზის ჩატარებისა და ქართული მხარისათვის მიღებული დოკუმენტების დეზავუირების ან მათი დენონსაციის აუცილებლობის საკითხი.

ამასთან, სხდომაზე ხაზი გაესვა, რომ ამჯერად აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან იგნორირებულ იქნა წინა წლებში დამკვიდრებული ტრადიცია, მნიშვნელოვანი დოკუმენტების ხელმოწერის წინ აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წევრებთან, აფხაზეთის დეპუტაციასთან, აფხაზეთის ა/რ-ის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონსულტაციების გამართვის პრაქტიკა. შედეგად, მოლაპარაკებებს ქართული მხარე უფრო მომზადებული ხვდებოდა. აღინიშნა, რომ არის არანაკლებ მნიშვნელოვანი შეთანხმებები (მათ შორის 1994 წლის 4 აპრილის ორი დოკუმენტი) რომელთა შესრულებასაც აფხაზური მხარე არა თუ არ შესდგომია, უფრო მეტიც, ბევრი მუხლი ამ შეთანხმებებისა დაარღვია კიდეც, რაც არც ქართული მხარისა და არც გაეროს წარმომადგენლობის მხრიდან სათანადო რეაგირების საგანი არ გამხდარა.

აფხაზურ მხარესთან ადრე დადებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ექსპერტიზის ჩატარებისა და მათი დეზავუირების ან დენონსაციის წინადადებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტში საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგების განხილვას აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სხდომაზე და კომისიის რეკომენდაციებს, შემდგომში პარლამენტის მხრიდან სათანადო რეაგირება არ მოჰყვა.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დ. ბოდენის, საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მ. კაკაბაძისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის დ.

თევზაძის ინფორმაციები "ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე კოდორის ხეობიდან ქართული საჯარისო ფორმირებების გამოყვანის თაობაზე 17 იანვრის ხელმოწერილ ოქმთან დაკავშირებით".

2. მიჩნეულ იქნეს არამართებულად და მიუღებლად ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე 17 იანვარს ხელმოწერილი ოქმი, რომელიც კოდორის ხეობიდან ქართული საჯარისო ფორმირებების გაყვანას ითვალისწინებს და შეფასდეს ის, როგორც 1993 წლიდან კონფლიქტის მოსაწესრიგებლად მიმდინარე მოლაპარაკებებში ქართული მხარის მორიგი ცალმხრივი დათმობა აფხაზური მხარისადმი.

3. ხაზგასმულ იქნეს ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების გამართვამდე აღმასრულებელი სტრუქტურების მხრიდან საკანონმდებლო ორგანოსა და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელიისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან წინასწარი კონსულტაციების ჩატარებისა და პოზიციების შეჯერების (ურთიერთგაზიარების) პრაქტიკის დანერგვის აუცილებლობა და მისი მტკიცე დაცვა.

4. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს თავდაცვის მინისტრის დ. თევზაძის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ 17 იანვარს ხელმოწერილი ოქმით აღებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაშიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილი იქნება კოდორის ხეობის თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნება, მოსახლეობის უსაფრთხოება.

5. აღინიშნოს, რომ მოლაპარაკებებისა და მათ მოსამზადებელ პერიოდში ქართული მხარის მიერ ვერ იქნა გამოვლენილი სათანადო ძალისხმევა გაეროს წარმომადგენლობასთან, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენლებთან, რუსეთის, როგორც კონფლიქტის მოწესრიგების ხელშემწყობ და აფხაზურ მხარესთან მათთვის კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით ქართული მხარის მიერ მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების დარღვევის იძულებითი ხასიათისა და მისი განმაპირობებელი მიზეზების თაობაზე (აფხაზური მხარის მიერ კოდორის ხეობაში განხორციელებული სამხედრო ქმედებანი, მათ შორის დასახლებული პუნქტების დაბომბვა), აგრეთვე აფხაზური მხარის მიერ 1992-1994 წლებში მიღწეულ შეთანხმებათა დარღვევა, რასაც მოჰყვა გაგრის (1992 წ), სოხუმის (1993 წ) დაცემა, აფხაზეთის ოკუპაცია, დევნილთა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო და ორგანიზებული დაბრუნების პროცესის დაწყების წლების მანჭილზე გაუმართლებელი გაჭიანურება.

6. გაზიარებულ იქნეს საქართველოს პარლამენტის წევრთა მოთხოვნა კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ პარლამენტის 2001 წლის 11 ოქტომბრის დადგენილების შესრულების დაჩქარების თაობაზე და ხაზი გაესვას, რომ აღნიშნული პირდაპირ კავშირშია კოდორის ხეობაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შზღუდული კონტიგენტის ყოფნის საკითხთან.

7. გაზიარებულ იქნეს პარლამენტის წევრების შეშფოთება კოდორის ხეობაში გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა პატრულირების უსაფრთხოების დაცვისათვის (პროვოკაციის გამოსარიცხად) სათანადო მექანიზმების შქმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

8. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების (ზ. ადეიშვილი), საგარეო ურთიერთობათა (გ. შუღაროვი) და თავდაცვისა და უშიშროების (გ. ბარამიძე) კომიტეტებს შესაბამის სამინისტროებთან ერთად 1993-1994 წლებსა და შემდგომ პერიოდში აფხაზურ მხარესთან ხელმოწერილი შეთანხმებების ექსპერტიზის ჩატარება, ქართული მხარისათვის საზიანო და მიუღებელი დოკუმენტების სამართლებრივი და იურიდიული შეფასებების მექანიზმების შემუშავება.

9. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს დაავალოს საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს მ. კაკაბაძეს ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების წარმომადგენელთა, დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრების, ასევე ექსპერტების აუცილებელი მონაწილეობის უზრუნველყოფა.

10. ეთხოვოს პარლამენტის ბიუროს აფხაზეთის თაობაზე პლენალური სხდომის ჩატარების კონკრეტული თარიღის განსაზღვრა.

11. II. **მოისმინეს:** აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის განცხადების შესახებ.

გადაწყვიტეს: მიღებულ იქნეს აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პაარლამენტის დროებითი კომისიის განცხადების ტექსტი სხდომაზე გამოთქმული შესწორებებისა და დამატებების გათვალისწინებით (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიისა და საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის საკითხის განხილვის ფორმატის შემმუშავებელ საგანგებო კომისიასთან შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის წევრთა ერთობლივი (დახურული) სხდომის ოქმი

№ 33 18 თებერვალი 2002 წ.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავჯდომარე **ვ. ყოლბაია.**

ესწრებოდნენ:
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიისა და სპეციალური სამუშაო ჯგუფის წევრები: **ა.ახვლედიანი, გ. ბოლოთაშვილი, დ. გადელია, ჯ. გამახარია, ჯ. ეზუგბაია, ვ.შამილაძე, ზ. ქუცნაშვილი.**
ექსპერტები: საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი **გ .რეხვიაშვილი,** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეროს სამმართველოს უფროსი **ზ. ლომაშვილი,** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას | თანაშემწე - სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია,** აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია**.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი **პ. ჩხეიძე;**

დღის წესრიგი:

1. გაეროში საქართელოს მუდმივი წარმომადგენლის პ. ჩხეიძის ინფორმაცია აფხაზეთის კოფლიქტის დასარეგულირებლად გაეროში მიმდინარე მუშაობის შსახებ;
2. საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე აფხაზეთის საკითხის განხილვის შესახებ

მოისმინეს: გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის პ. ჩხეიძის ინფორმაცია აფხაზეთის კონფლიქტის დასარეგულირებლად გაეროშ მიმდინარე მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ 1993 წლიდან დღემდე გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციებს შორის 2002 წლის 31 იანვარს მიღებულ რეზოლუციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საკითხში, რამდენადაც მასში აისახა უშიშროების საბჭოს წევრი ყველა ქვეყნის მხრიდან საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსთან და თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპებთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია. განსაკუთრებულად გაესვა ხაზი აღნიშნულ პროგრესში საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დიტერ ბოდენის ძალისხმევას. ითქვა, რომ გაეროს წრეებში დ. ბოდენი სარგებლობს შეუვალი ავტორიტეტეით.

ხაზი გაესვა, რომ ამ ეტაპზე ძირითად ამოცანას წარმოადგენს კონფლიქტის მხარეთა შორის სამშვიდობო მოლაპარაკებათა აღდგენა, აფხაზეთის სტატუსზე და თბილისსა სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხებზე მოლაპარაკებების დაწყება, რისთვისაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ადრე მიღწეული საბაზისო შეთანხმებებით აღებულ ვალდებულებათა უთუო შესრულება. ამავე კონტექსტში ითქვა კოდორის ხეობაში საქართველოს საჯარისო ფორმირებების ყოფნასთან დაკავშირებით. პ. ჩხეიძემ აღნიშნა, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის ყველა წარმომადგენლის ერთიანი მიდგომა. ამასთან მან აღნიშნა, რომ მეგობარი ქვეყნები იზიარებენ საქართველოს ხელისუფლების გარკვეულ სიფრთხილესა და უნდობლობას აფხაზური მხარის მიმართ, რომელმაც წინა წლებში არაერთხელ დაარღვია სამშვიდობო მოლაპარაკებები, რასაც მოჰყვა ათასობით უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი, ეთნიკური წმენდა. ითქვა, რომ აღებულ ვალდებულებათა შესრულებამ არ უნდა გამოიწვიოს ხეობაში მოსახლეობის უსაფრთხოების მდგომარეობის გაუარესება, ვინაიდან ხეობის დაკარგვა პრაქტიკულად აფხაზეთის საბოლოო დაკარგვის ტოლფასი გახდება.

საუბარი შეეხო კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის მიმდინარეობასა და მის პერსპექტივებს. პ. ჩხეიძემ აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში არ არის მოსალოდნელი დსთ-ს ეგიდით კონფლიქტის ზონაში განთავსებული რუსეთის სამშვიდობო ძალების სხვა ძალებით ჩანაცვლება, თუმც მუშაობა ამ მიმართულებით მიმდინარეობს. ითქვა, რომ ამ ეტაპზე გაეროში ვერ ჰპოვა მხარდაჭერა საქართველოს პარლამენტის 11 ოქტომბრის დადგენილებამ კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ, ხაზი გაესვა, რომ გაეროს სამშვიდობო მისია დაკავშირებულია კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ყოფნასთან და მათი სხვა საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლების გარეშე გასვლის შემთხვევაში გაეროც შეწყვეტს თავის მისიას, რაც ვითარებას კონფლიქტის ზონაში სულ სხვა სიბრტყეში გადაიტანს. ითქვა, რომ ქვეყანა ამისათვის მზად არ არის.

პ. ჩხეიძემ გამოხატა მზადყოფნა საჭიროების შემთხვევაში საპარლამენტო ფრაქციებთან შეხვედრისა და პარლამენტის სხდომაზე აფხაზეთის საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების თაობაზე. დადებითად შეფასდა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში აჭარის ავტონომიის მეთაურის ა. აბაშიძის ჩართვა, ამასთან ხაზი გაესვა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში ჩართული ყველა ინსტიტუტის საქმიანობის კოორდინაციის აუცილებლობას, რაც პრეზიდენტის პრეროგატივაა.

აზრი გამოთქვეს : ჯ. გამახარიამ, ჯ. ეზუგბაიამ, გ. ბოლოთაშვილმა, ზ. ქუცნაშვილმა, ზ. ლომაშვილმა, გ. რეხვიაშვილმა, ვ. ყოლბაიამ.

ძირითადად გაზიარებულ იქნა პ. ჩხეიძის ხედვა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესთან დაკავშირებით, ამასთან აღინიშნა, რომ პარლამენტის 11 ოქტომბრის დადგენილებამ სამშვიდობო ძალების მიმართებაში შეიტანა პოზიტიური წვლილი სამშვიდობო პროცესის დაჩქარების სტიმულირების თვალსაზრისით, კერძოდ, აისახა 31 იანვრის რეზოლუციის ფორმულირებებში, რუსეთ-საქართველოს პოზიტიურ ურთიერთობათა გააქტიურებაში, მხედველობაშია სამშვიდობო ძალების მანდატის, ასევე გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მანდატის ტრანსფორმაციის საკითხის აქტიური განხილვა შესაბამის ინსტანციებში, ახალი იდეების გენერაცია აღმასრულებელ ხელისუფლებაში, პოლიტიკურ აზროვნებაში. ითქვა, რომ პარლამენტი კვლავაც პრინციპულად დაუჭერს მხარს 11 ოქტომბრის დადგენილების მოთხოვნებს, ამასთან ერთად გამოხატავს მზადყოფნას ამ მოთხოვნათა რეალიზების გარკვეული პერიოდით შესაჩერებლად, თუკი აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან იქნება წარმოდგენილი დამაჯერებელი არგუმენტები სამშვიდობო ძალების საქმიანობის ტრანსფორმაციის თაობაზე.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის **პ. ჩხეიძის** ინფორმაცია აფხაზეთის კონფლიქტის დასარეგულირებლად გაეროში მიმდინარე მუშაობის შესახებ.

2. ძირითადად გაზიარებულ იქნეს პ. ჩხეიძის ინფორმაციაში გაკეთებული დასკვნები გაეროს 2002 წლის 31 იანვრის რეზოლუციისა და სამშვიდობო პროცესიის შემდგომ ეტაპებთან დაკავშირებით.

3. მიზანშეწონილად ჩაითვალოს გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის პ. ჩხეიძის მონაწილეობა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე აფხაზეთის საკითხის განხილვაში. ასევე საჭიროდ ჩაითვალოს განხილვისათვის მოსამზადებელ პერიოდში მისი საპარლამენტო ფრაქციებთან

შეხვედრა. ეთხოვოს პარლამენტის ხელმძღვანელობას აღნიშნული შეხვედრების ორგანიზაციებისათვის ხელშეწყოფა.

II. მოისმინეს: აფხაზეთის საკითხის საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ა. ახვლედიანმა, ჯ. გამახარიამ, ჯ. ეზუგბაიამ, გ.ბოლოთაშვილმა, პ. ჩხეიძემ, ზ. ქუცნაშვილმა, ზ. ლომაშვილმა, გ.რეხვიაშვილმა, ვ. ყოლბაიამ.

გამოითქვა განსხვავებული წინადადებები აფხაზეთის საკითხის პლენარულ სხდომაზე განხილვასთან დაკავშირებით. ძირითადში გამოიკვეთა მოსაზრება აფხაზეთის საკითხის პლენარულ სხდომაზე განხილვის მორიგი გადავადების მიზანშეუწონლობის შესახებ.

გადაწყვიტეს: 1. მიეწოდოს პარლამენტის ხელმძღვანელობის დროებითი კომისიისა და სამუშაო ჯგუფის მოსაზრება აფხაზეთის საკითხის პლენარულ სხდომაზე განხილვის მორიგი გადავადების მიზანშეუწონლობის შესახებ.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სამუშაო ჯგუფის წევრები აგრძელებენ მუშაობას სხდომაზე განსახილველ წარმოდგენილი სამი დადგენილების პროექტზე.

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიისა და საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის საკითხის განხილვის ფორმატის შემმუშავებელ საგანგებო კომისიასთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრთა ერთობლივი სხდომის

ო ქ მ ი

№34 2002 წლის 14 მარტი

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია**

ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიისა და საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის საკითხის განხილვის ფორმატის შემმუშავებელ საგანგებო კომისიასთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრები : **ა. ახვლედიანი, გ.ბოლოთაშვილი, ჯ. გამახარია, დ. გადელია, ჯ. ეზუგბაია, ვ. მაღლაფერიძე, ვ. კვარაცხელია, ზ. მუკბანიანი, ვ. შამილაძე, გ. ლომინაძე, ზ. ქუცნაშვილი, თ.პაატაშვილი, გ. შარაძე, ფ. ჩიხრაძე.**

საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას **I** თანაშემწე, სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია;**
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეცილისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია,**
აფხაზეთის პრობლებებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტი **ვ. ქობალია.**

დღის წესრიგი:

აფხაზეთის საკითხის განხილვის ფორმატის შემმუშავებელი კომისიისათვის საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ა. წლის 20 მარტს განსახილველად წარსადგენი დოკუმენტების პაკეტის შესახებ.

მოისმინეს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებიტი კომისიის თავჯდომარის **ვ. ყოლბიას** ინფორმაცია "აფხაზეთის საკითხის განხილვის ფორმატის შემმუშავებელი კომისიისათვის საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ა. წლის 20 მარტს განსახილველად წრსადგენი დოკუმენტების პაკეტის შესახებ."

აზრი გამოთქვეს: ი. ბათიაშვილმა, ა. ახვლედიანმა, გ. შარაძემ, გ. ლომინაძემ,
ზ.ქუცნაშვილმა, ჯ.გამახარიამ, ჯ.ეზუგბაიამ, თ.პაატაშვილმა, ზ.მუკბანიანმა.

გადაწყვიტეს: წარედგინოს აფხაზეთის საკითხის განხილვის ფორმატით შემუშავებულ კომისიას ა.წლის 20 მარტს საქართველოს პარლამენტის პლენერულ სხდომაზე განსახილველად დოკუმენტთა პაკეტი:

1. დადგენილების პროექტები:

ა) "აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების დამატებითი ღონისძიებების შესახებ';

ბ) "აფხაზეთში განხორციელებული გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შესახებ";

გ) "აფხაზეთში სახელმწიფო და კერძო საკუთრების უკანონო პროვატიზაციისა
და კონტრაბანდის შესახებ";

დ) "საქართველოს კონსტიტუციაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის
შესახებ";

ე) აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით;

2. ინფორმაციულ მასალათა პაკეტი:

ა) ბარათი აფხაზეთის კონფლიქტის დასარეგულირებლად მიმდინარე მუშაობისა და "აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ.

ბ) ცნობა აფხაზეთიდან ე.წ. ეკონომიკური ბლოკადის შესახებ;

გ) ცნობა დსთ-ის ქვეყნების სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19
იანვრის გადაწყვეტილებების მე-6 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტების შესახებ (ეკონომიკური "ბლოკადა");

დ) ბარათი აფხაზეთში განხორციელებული გენოციდისა და ეთნიკური წმენდის
შესახებ;

ე) ბარათი აფხაზეთში სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საკუთრების დაცვის მდგომარეობისა და უკანონო პრივატიზაციისა და კონტრაბანდის პრაქტიკის შესახებ;

ვ) აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომებზე 2000-2001 წლებში განხილულ საკითხთა ნუსხა.

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქააართველოს პარლამენტის დროებითი კომისიისა და საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის საკითხის განხილვის ფორმატის შემმუშავებელ საგანგებო კომისიასთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრთა ერთობლივი სხდომის

ოქმი

№35 2002 წლის 19 მარტი

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე ვ. ყოლბაია

ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიისა და საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის საკითხის განხილვის ფორმატის შემმუშავებელ საგანგებო კომისიასთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრები: ა. ახვლედიანი, ი.ბათიაშვილი, გ. ბოლათაშვილი, ჯ. გამახარია, დ. გადელია, ვ. მაღლაფერიძე, ზ. მუკბანიანი, ვ. შამილაძე, გ. ლომინაძე, ჯ. ეზუგბაია, ზ. ქუცნაშვილი, თ.პაატაშვილი, გ შარაძე, ფ. ჩიხრაძე;
საქართველოს პარლამენტის მოადგილის ვ. ყოლბაიას პირველი თანაშემწე, სამდივნოს უფროსი რ. გელანტია;
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი თ. ჭახრაკია.

დღის წესრიგი:

აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ა. წლის 20 მარტს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად წარსადგენ დადგენილებათა პროექტების შესახებ

მოისმინეს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, აფხაზეტის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის

დროებითი კომისიის თავმჯდომარის ვ. ყოლმაიას ინფორმაცია "აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ა. წლის 20 მარტს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად კომისიისა და სამუშაო ჯგუფის მიერ წარსადგენ დადგენილებათა პროექტის შესახებ".

აღინიშნა, რომ კომისიის მიერ სხდომაზე განსახილველად წარდგენილ დოკუმენტთა პაკეტიდან აფხაზეთის საკითხის განხილვის ფორმატის შემმუშავებელი საგანგებო კომისიის მიერ აღნიშნულ ეტაპზე არ იქნა მიზანშეწონილად "აფხაზეთში განხორციელებული გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შესახებ", "საქართველოს კონსტიტუციაში დამატებებისა და ცვლილებების შესახებ" და "აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით" დადგენილებათა პროექტის 20 მარტის პლენალურ სხდომაზე განხილვა. ამასთან ერთად, ამ დადგენილებათა ძირითადი და განმსაზღვრელი მუხლები შეტანილ იქნება სხდომაზე აფხაზეტთან დაკავშირებით მისაღებ ძირითად დადგენილებაში "აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ".

აზრი გამოთქვეს: ი. ბათიაშვილმა, ა. ახვლედიანმა, გ. შარაძემ, დ. გადელიამ, გ. ლომინაძემ, ზ. ქუცნაშვილმა, ჯ. გამახარიამ, ჯ. ეზუგბაიამ, თ.პაატაშვილმა, ზ. მუკბანიანმა, ვ. ყოლბაიამ.

გადაწყვიტეს: 1. სხდომაზე შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ა. წ. 20 მარტს საქართველოს პარლამენტის პლენალურ სხდომაზე განსახილველად წარდგენილ იქნეს დადგენილებათა პროექტები:

ა) "აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ",
ბ) "აფხაზეთში სახელმწიფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ";
(თან ერთვის)

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ პლენარულ სხდომაზე გავრცელდება და პარლამენტარებს დაურიგდებათ აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის მიერ მომზადებული ინფორმაციულ მასალათა პაკეტი.

კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული
დროებითი კომისიის სხდომის
ოქმი

№ 36 28 მარტი 2002 წელი

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია**

ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები: **ა. ახვლედიანი, გ. ბოლოთაშვილი, ჯ. გამახარია, ზ. მუკმანიანი, დ. გადელია, გ. კალანდია, ვ. კვარაცხელია, ვ.შამილაძე, გ. ჯოჯუა.**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას პირველი თანაშემწე- სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია;**
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია;**
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სპეციალისტი **ვ. ქობალია.**

დღის წესრიგი:

"აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ" და "აფხაზეთში სახელმწიფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილებათა შესრულების პირველი რიგის ღონისძიებათა თაობაზე."

მოისმინეს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარის **ვ. ყოლბაიას** ინფორმაცია "აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ" და "აფხაზეთში სახელმწიფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილებათა შესრულების პირველი რიგის ღონისძიებათა თაობაზე."

აზრი გამოთქვეს: ზ. მუკმანიანმა, ვ. შამილაძემ, ა. ახვლედიანმა, გ.კალანდიამ.

გადაწყვიტეს: 1. მოწონებულ იქნეს ძირითადად "აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ"და "აფხაზეთში სახელმწიფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის

დადგენილებათა შესრულების პირველი რიგის ღონისძიებათა თაობაზე" წარმოდგენილი სამუშაო ვარიანტი (თან ერთვის).

2. სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ აღნიშნული ღონისძიებათა გეგმა დაეგზავნოს პარლამენტის კომიტეტებს და შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს.

ეთხოვოს მათ საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის ზემოაღნიშნული დადგენილებების შესრულების უზრუნველსაყოფად ღონისძიებათა შემუშავება და ამა წლის 1 მაისამდე აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისიისათვის წარდგენა.

კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სხდომის

ოქმი

№ 37 12 აგვისტო 2002 წ.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ .ყოლბაია;**

ესწრებოდნენ:
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები: **ა. ახვლედიანი, გ. ბოლოთაშვილი, ჯ. გამახარია, ზ. მუკბანიანი, დ. გადელია, გ. კალანდია, ვ. კვარაცხელია, ვ. შამილაძე, გ.ჯოჯუა;**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას პირველი თანაშემწე - სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია;**
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია;**

დღის წესრიგი:

აფხაზეთის თაობაზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს 2002 წლის 29 ივლისის რეზოლუციასთან (1427) დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

აზრი გამოთქვეს: გ. კალანდიამ, ჯ. გამახარიამ, გ. ჯოჯუამ, ვ, ყოლბაიამ.

გადაწყვიტეს: 1. გაზიარებულ იქნეს ძირითად ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნები, წინადადებები და მოსაზრებები (თან ერთვის) აფხაზეთის თაობაზე გაერო-ს უშიშროები საბჭოს 2002 წლის 29 ივლისის რეზოლუციასთან (1427) დაკავშირებით.

2. სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და დამატებების გათვალისწინებით აღნიშნული დოკუმენტი დაეგზავნოს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს, საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს აშშ-ში, საქართველოს ელჩს გაერო-ში.

3. მიზანშეწონილად ჩაითვალოს აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარისა და ექსპერტთა ჯგუფის წევრების სამუშაო შეხვედრა საქართველოში გაერო-ს მისიის ხელმძღვანელობასთან.

კომისიის თავმჯდომარე

დანართი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს,
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი
კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ვახტანგ ყოლბაიას

შენიშვნები, წინადადებები და მოსაზრებები აფხაზეთის თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს 2002 წლის 29 ივლისის რეზოლუციასთან (1427) დაკავშირებით

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1427 (2002) მიღებული 29 ივლისს, მთლიანობაში წარმოადგენს გაეროს სტანდარტების შესაბამისად შედგენილ დოკუმენტს, რომელშიც წინამორბედი დოკუმენტების

მემკვიდრეობის შენარჩუნებით, შემოტანილია გარკვეული პოზიტიური ელემენტები.

უპირველესად, მხედველობაშია კონფლიქტის მხარეებისადმი, განსაკუთრებით, აფხაზური მხარისადმი დაჟინებული მოთხოვნა დაიწყონ დიალოგი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსისა და უფლებამოსილებათა გამიჯვნის სამუშაო დოკუმენტზე, ამასთან, ის გააცნონ ფართო საზოგადოებრიობას.

მეორე და საგრძნობლად განახლებული მომენტია აფხაზური მხარისადმი მოთხოვნის გაძლიერება დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების უზურუნველსაყოფად 1994 წლის 4 აპრილის დოკუმენტის შესაბამისად, ასევე აფხაზეთში დემოგრაფიული ვითარების შეცვლის დაუშვებლობის კატეგორიული დაფიქსირება.

არის, რიგი სხვა სიახლეები მხარეებისადმი ტრადიციული მოწოდების დეკლარირებით, შეშფოთებისა და სინანულის გამოხატვით.

დაგმობილია გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის უსაფრთხოების ხელყოფა ადამიანთა მსხვერპლით, მხარებისადმი მოწოდებულია დამნაშავეთა დასადგენად მუშაობის გააქტიურება.

ამასთან ერთად თავს მოვალედ ვთვლით საქართველოში გაეროს მისიის ხელმძღვანელების მაღალი ყურადღება მიპყრობილ იქნეს, რომ დოკუმენტში გამოხატული ფორმულირებები სრულად ვერ ასახავენ აფხაზეთში ობიექტურად არსებულ სიტუაციას, და საჭვოა ქმედითი გავლენა მოახდინონ აფხაზური მხარის პოზიციების შეცვლაზე.

სავსებით ბუნებრივი და ჩვენთვის გასაგებია გაეროს დოკუმენტის ბრძნული პოლიტიკური და შორსგამიზნული დიპლომატიური აქცენტები კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოწესრიგებასთან დაკავშირებით თვით ყველაზე მწვავე საკითხებზეც კი, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ რეალური ვითარების გათვალისწინებით, რაც პოსტკონფლიქტურ აფხაზეთშია, ჩვენის აზრით, საჭირო იყო ობიექტურ ვითარებასთან მიახლოებული და გარკვეულწილად ადეკვატური ფორმულირებების დაფიქსირება, რომლის წაკითხვა, თუნდაც სტრიქონებს შორის, გარკვეულ ზეწოლას მოახდენდა აფხაზურ მხარეზე, ამასთან საზოგადოების თვალში შეაჩერებდა გაეროს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ავტორიტეტის დევალვაციას.

არაფერს ვამბობთ რა აფხაზეთში მოპოვებული დახურული ინფორმაციის შესახებ, სოხუმში გამომავალი გაზეთის "რესპუბლიკა აფხაზიას" ანალიზი შესანიშნავად ადასტურებს რეჟიმის ოფიციალურ დამოკიდებულებას გაეროს რეზოლუციებისადმი, მით უფრო კულისებში გავრცელებულ არაკორექტულ (რბილად ნათქვამია) მიდგომებზე გაეროს დოკუმენტის მიმართ.

მოკლედ შევჩერდებით რეზოლუციის რამდენიმე პოსტულატზე, კერძოდ, მე-5 პარაგრაფში მითითებულ მხარეების მიერ დათმობების აუცილებლობაზე.

საქართველოში გაეროს მისიის ყველა ხელმძღვანელისთვის კარგად არის ცნობილი ქართული მხარის კომპრომისების თაობაზე ჯერ კიდევ 1994 წლიდან (რომ არაფერი ვთქვათ შეიარაღებული კონფლიქტის დროს წარმოებულ მოლაპარაკებებზე, 1992 წლის 3 სექტემბერი, 1993 წლის 27 ივლისი), რასაც მეორე მხარე ყოველთვის პასუხობდა საკუთარი მოთხოვნებისა და პრეტენზიების გამკაცრებით (აფხაზური მხარე დღემდე თავს უფლებას აძლევს კატეგორიულად მოითხოვს და თვითონ განსაზღვროს ქართული მხარიდან ვინ შევიდეს დელეგაციებში, მაშინ, როცა საქართველოს მხრიდან ერთი ასეთი პრეცენდენტიც არ ყოფილა დაშვებული).

სამშვიდობო პროცესის მთელი განვლილი პერიოდის დინამიკა ადასტურებს, რომ სოხუმის მეამბოხე რეჟიმი, რომელმაც აფხაზეთში 1990-1992 წლებში მოაწყო კონსტიტუციური გადატრიალება, შექმნა (გარეშე ძალების პირდაპირი დახმარებით) მონოეთნიკური შეიარაღებული ძალები, მოიპოვა უმრავლესობა პარლამენტში (26:28:11), (მაშინ როცა მოსახლეობის პროპორცია იყო 240:90:210), გამოიწვია ომის პროვოცირება ვ.არძინბასთან და მისი გარემოცვის თხოვნითა და წინასწარი შეთანხმებით რკინიგზისა და კომუნიკაციების დასაცავად შესული საქართველოს სამხედრო საბჭოს შეზღუდული სამხედრო კონტიგენტის აფხაზეთში შესვლასთან დაკავშირებით და დაქირავებული გარეშე ძალების დახმარებით აფხაზეთიდან გააძევა მოსახლეობის 4/5, მოაწყო აფხაზეთში მცხოვრებთა, განსაკუთრებით ქართველთა გენოციდი - ეთნიკური წმენდა (რაც დადასტურებულია გენერალური პროკურორისა და საქართველოს სახელმწიფო კომისიის მასალებით), რომელიც დღემდე გრძელდება. ყოველივე ეს სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასებით რაც სხვა არაფერია, თუ არა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, სახელმწიფო ტერორიზმი ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

აღნიშნული ფაქტი საყოველთაოდ ცნობილია და აღიარებულია ეუთოს ბუდაპეშტის, ლისაბონის, სტამბულის სამიტების დოკუმენტებში, ასევე ნაწილობრივ გაეროს დოკუმენტებში, მათ შორის გაეროს ბოლო რეზოლუციის (№ 1427) პრეამბულაში).

საქართველოს სახელმწიფოსათვის მეტად მძიმე პერიოდში, როცა ქვეყყანაში მძვინვარებდა სამოქალაქო ომი და ქაოსი, ქვეყნის პოლიტიკური ზედაფენა წავიდა დათმობაზე სეპარატისტულ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების დასაწყებად პრინციპით " საუბარი ტერორისტებთან თვითმფრინავის მგზავრების გადასარჩენად", რაც შემდგომში, სამწუხარო ტრადიციად იქცა, კერძოდ, როგორც დიალოგი "თანასწორთა შორის", რომელთა შორის აფხაზური მხარე ჩრდილოეთელი პატრონის ზეწოლით, აღმავალი ხაზით აძლიერებდა პრეტენზიებს და დღეს ე.წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს პრეტენზიის რანგში ამაღლებას ცდილობს.

მიჩნეულია, რომ საქართველოს კეთილი ნებით, საერთაშორისო თანამეგორბრობის თხოვნით, სამშვიდობო პროცესის კურსის ვექტორი თავიდანვე აღმოჩნდა არასწორი, რომელმაც შემდგომში დეფორმირებული

ხასიათი მიიღო და ამჟამად მოქმედი ფორმატით თითქმის უპერსპექტივოდ ჩანს.

აღნიშნული მდგომარეობით, უპირველესად საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებით, საქართველოს ხელისუფლების თანდათანობითი დათმობების პოზიციის გამო, რეჟიმს მიეცა საშუალება, იყოს აუღიარებელი, მაგრამ სახელმწიფოებრივი განზომილების თვალსაზრისით დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა ატრიბუტის მატარებელი სუბიექტი.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ გაეროს, გენერალური მდივნის მეგობარ ქვეყნებსაც ბოლომდე არა აქვთ გაცნობიერებული, აფხაზეთის, როგორც უკონტროლო ტერიტორიის საფრთხე, კავკასიისა და ევროპის სტაბილურობისათვის, ასევე სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის დიდი ეკონომიკური პროექტებისათვის.

პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს აფხაზეთის რეჟიმის მზარდი მილიტარიზაცია. უტყუარი წყაროებით რეჟიმის განკარგულებაშია 150-ზე მეტი მძიმე ტექნიკა (მათ შორის რამდენიმე უახლესი წარმოების), სარაკეტო სისტემები, ავიაცია, თანამედროვე კატარღები, რაც არა მარტო უკანონოა, არამედ ეწინააღმდეგება ხელშეკრულებას ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ (აფხაზურ მხარეს მოხერხებული ორეოგრაფიისა და სხვა ხელსაყრელი პირობების გამო შეუძლია კარგად შენიღბოს შეიარაღება, აგრეთვე გადამალოს რუსეთის შეიარაღებულ შენაერთებში, რაც მრავალჯერ დადასტურდა ომის პერიოდში).

ბოლო წლებში გამოიკვეთა აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის, ყარაბაღის, დნესტრისპირეთის სეცესირებული ტერიტორიების (ასევე უკონტროლო ტერიტორიების) ალიანსის შექმნა, რომლის მთავარი მიზანია კარგად აპრობირებული პოლიტიკური, ფინანსური, სამხედრო თანამშრომლობა, ასევე ადამიანთა რესურსების საბრძოლო რეზერვები.

აფხაზეთში უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, სხვა კონვენციებისა და დანართი ოქმების ყველა მოთხოვნა (სიცოცხლის ხელყოფა, ტყვედ აყვანა, ადამიანით ვაჭრობა, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამოქალაქო დისკრიმინაცია, მონურ სამუშაოებში გამოყენება, მშობლიური ენის აკრძალვა, კოლონიური მმართველობა და სხვა, რაზედაც მათთვის არავის მოუთხოვია პასუხი არც ეროვნული და არც საერთაშორისო კანონმდებლობით.

მოგეხსენებათ, რომ ეუთოს სტამბულის 1999 წლის გადაწყვეტილებით გაეროს და ეუთოს მისიებმა 2000 წლის 18-24 ნოემბერს გალის რაიონში ჩაატარეს ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგი, აფხაზური მხარის მონაწილეობით, დააფიქსირეს შემაძრწუნებელი მდგომარეობა, შეიმუშავეს რეკომენდაციები, სადაც განსაზღვრულია საერთაშორისო ორგანიზაციების მოვალეობებიც, მაგრამ ქართული მხარის მრავალი მცდელობის მიუხედავად, დღემდე არაფერი შეცვლილა (რაც ასახულია გაეროს 29 ივლისის რეზოლუციაშიც (§ 13).

აფხაზეთის უკონტროლო ტერიტორიაზე სრული განუკითხაობაა კრიმინალური თვალსაზრისით, რომელიც აუტანელ მდგომარეობაში აყენებს მოსახლეობას. სახეზეა აფხაზი კრიმინალების ალიანსი ადგილობრივ და სხვა რეგიონებიდან ჩასულ სისხლის სამართლის დამნაშავეებთან, რომელთა წინაშე აფხაზური ადმინისტრაცია გამოხატავს თავის კაპიტულაციას კადრების დეფიციტის საბაბით, თუმცა ქართული მხარის წინადადებები ერთობლივი პოლიციის ფორმირების შესახებ იქნა კატეგორიულად უარყოფილი.

აფხაზეთში აყვავებულია ნარკობიზნესი, ადგილობრივი მოსახლეობა (აგრეთვე მიმდებარე ტერიტორიები) მასობრივად ჩართულია ნარკოტიკების შემცველი ნივთიერებების წარმოებასა და რეალიზაციაში; აფხაზეთში ვაჭრობენ ყოველგვარი საბრძოლო იარაღით.

ეთნიკურად თითქმის მთლიანად ქართული გალის რაიონი აფხაზური ადმინისტრაციის მითითებით იძარცვება, არავითარი ღონისძიებანი არ ტარდება მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის (თუ მხედველობაში არ მივიღებთ გარკვეულ დახმარებებს საქართველოს ხელისუფლებისაგან), მთლიანად უგულებელყოფილია სამწარმეო საქმიანობა.

გალის რაიონში არ ფუნქციონირებენ პოლიტიკური პარტიები, მოძრაობები, ძალზე სუსტია ღონისძიებანი სამოქალაქო სექტორის მშენებლობისათვის, არასამთავრობო სექტორის განვითარებისათვის, მოსახლეობა საინფორმაციო ვაკუუმშია. მიუხედავად გაეროს რეზოლუციებში მრავალჯერ დაფიქსირებისა, ვერ მოხერხდა გალში ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის ფილიალის გახსნა.

აღნიშნული ვითარება განაპირობებს წინააღმდეგობის მოძრაობას, ანუ უუფლებო და პატივაყრილი, ეზო-კარ წართმეული ადამიანების წინააღმდეგობას მოძალადე ოკუპანტების წინააღმდეგ, რომლის აკრძალვა ადმინისტრაციული მეთოდებით, მით უფრო იმ ტერიტორიებზე, რომელთაც აკონტროლებს აფხაზური მხარე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გაძნელებულია, თუმცა გარკვეული ღონისძიებები მაინც ხორციელდება. ე.წ. პარტიზანები ადგილობრივი გლეხებია, რომლებიც გაეროს დოკუმენტშიც მოხსენიებულია ე.წ. არაკანონიერ შეიარაღებულ ჯგუფებად, რაც როგორც ზემოთ აღინიშნა, ადეკვატური პასუხია გალის რაიონში მოთარეშე აფხაზი ბოევიკების რაზმების უკონტროლო დამამცირებელი და განუკითხავი საქმიანობისადმი (§ 14).

მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ქართული მხარე იცავს და კვლავაც დაიცავს აღნიშნული დოკუმენტის მოთხოვნებს, ასევე 2002 წლის 2 აპრილის შეთანხმებას, მაგრამ იმ პირობით, რომ საიმედოდ უზრუნველყოფილი იქნება კოდორის ზემო წელის მოსახლეობის უსაფრთხოება. აქ მხედველობაშია მისაღები, ის გარემოებაც, რომ ჩეჩნეთში, საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიაში, ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით, მოსალოდნელია შეიარაღებული ჯგუფების შემოღწევა (პანკისის ვარიანტი) და აფხაზეთში, მით უფრო, რომ 1992-1993 წლებში 12 ათასამდე ვოლონტიორი იბრძოდა აფხაზეთში, შესანიშნავად ერკვევიან

შემოსასვლელ ბილიკებსა და ნაკლებად ცნობილ უღელტეხილებში. ამდენად, კოდორის ხეობაში მესაზღვრეთა შეზღუდული კონტიგენტის ყოფნა, ქვეყნის ხელისუფლების იძულებითი დროებითი ღონისძიებაა და სრულიადაც არ ემუქრება სოხუმის რეჟიმს. აღნიშნულის თაობაზე მათ მრავალჯერ განემარტათ.

რეზოლუციის მე-12 პარაგრაფი მხარეებისაგან მოითხოვს დევნილთა დაბრუნების უზრუნველყოფას. ქართული მხარის მრავალი წინადადება, ისევე როგორც დევნილთა და ლტოლვილთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ 1994 წლის 4 აპრილის შეთანხმების მოთხოვნები, აფხაზური მხარის მიერ სრულიად იგნორირებულია (ამ ხელშეკრულებით) გაეროს სტანდარტებით გალის რაიონში 1994-1995 წ.წ დაბრუნებულ იქნა 213 კაცი, საიდანაც 13 ორ-სამ კვირაში დახოცილ იქნა, სხვები კი აიძულეს დაეტოვებინათ რაიონი. საეჭვო არ არის, რომ სოხუმის რეჟიმი დაუშვებლად მიიჩნევს იგპ-თა დაბრუნებას აფხაზეთში, გარდა გალის რაიონისა.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ სავსებით არასაკმარისია რეზოლუციის მოწოდება აფხაზური მხარისადმი დევნილთა დაბრუნების შესახებ. საჭიროა საერთაშორისო სამართლით დადგენილი სხვა ღონისძიებების გატარება, რომელიც უფრო პრინციპულად უნდა აისახოს დოკუმენტშიც.

ქართული მხარე ცდილობს აქტიურად ჩაერთოს გაეროს მეთვალყურეთა დაღუპვის გამოძიებაში (ოქტომბერი, 2001 წ). თუმცა, აფხაზეთის ტერიტორიაზე შესაბამისი ქართული სამსახურების შესვლა და საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარება აკრძალულია აფხაზური მხარის მიერ.

საზოგადოებაში გაუგებრობასა და აღშფოთებას იწვევს რეზოლუციის მე-4 პარაგრაფის ბოლო წინადადება საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსისა და თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის თაობაზე სამუშაო დოკუმენტთან დაკავშირებით, რომ "ეს არ არის მხარეებისათვის ამა თუ იმ კონკრეტული გადაწყვეტილების კარნახის ან თავს მოხვევის მცდელობა", რადგანაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული მხარე დოკუმენტის მისაღებად და დიალოგის დასაწყებად მზადაა, აფხაზური მხარე კი კატეგორიულად წინააღმდეგია.

საქართველოს სახელმწიფოს (გაეროს წევრი ქვეყნის) საერთაშორისო დოკუმენტებში თუნდაც ფორმალური არსებითად შენიღბული გათანაბრება ამავე ქვეყნის ნაწილთან, რომელსაც დე-ფაქტო აკონტროლებს აგრესიული, დამნაშავე რეჟიმი, და რომელმაც უხეშად დაარღვია საერთაშორისო თანამეგობრობის, მათ შორის რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით კონფლიქტის დროს და შემდგომ დადებული ყველა ხელშეკრულება, რითაც უცხო ძალების დახმარებით მოიპოვა სამხედრო უპირატესობა, განახორციელა მოსახლეობის, უპირატესად ქართველების გენოციდი-ეთნიკური წმენდა (ანუ ჩაიდინა დანაშაული კაცობრიობის წინაშე), რასაც დღემდე აგრძელებს, უპატივცემულოდ ეკიდება საერთაშორისო მედიატორის - გაეროს

ათეულობით რეზოლუციასა და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების (ჟენევის ფორმატი) რეკომენდაციებს, უთუოდ მოითხოვს გადასინჯვას.

ამავე თვალსაზრისით, ასევე გაუგებარია დსთ-ის სამშვიდობო ძალებისა და გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა ერთიან კონტექსტში პოზიტიურად მოხსენიება, მაშინ, როცა საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ გასული წლის 11 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო კონტიგენტის გაყვანის შესახებ და დროებით დატოვებულ იქნა რუსეთის ფედერაციის დაპირებით მათი მანდატის შეცვლისა და აფხაზეთის სიღრმეში გაფართოების შესახებ, რაც დღემდე არ განხორციელებულა. (აღსანიშნავია, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმაც ა.წლის 20 ივნისს თავისი განცხადებით მოითხოვა რუსეთის სამშვიდობო ძალების (კიდევ 6 თვით დარჩენა - გაფართოება, ხოლო აფხაზურ მხარეს დაჟინებით მოუწოდა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსზე დიალოგის დაწყება).

სამწუხაროდ, გაეროს ასეთი რეზოლუციები, რომლებიც ფორმითაც და შინაარსითაც თითქმის ათანაბრებენ მსხვერპლსა და აგრესორს და არ შეიცავენ რამენაირ მინიშნებებს თუნდაც მშვიდობისათვის იძულების შესახებ, დიდის ეჭვით თუ შეიძლება ჩაითვალოს დოკუმენტად, რომელიც კონფლიქტის მოწესრიგებაში ხელს შეუწყობს გარღვევის მიღწევას ახლო მომავალში მაინც.

საჭიროდ მიგვაჩნია, რომ გაეროს მისიამ საქართველოში, კონფლიქტის მოწესრიგების გაჭიანურების (მე-10 წელია), დევნილთა მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესების, მათი დაუკმაყოფილებელი სამართლიანი მოთხოვნების თანდათანობით აგრესიული ხასიათის გათვალისწინებით (რომლის შეკავება სულ უფრო უძნელდება ხელისუფლებას), ასევე, და რაც განსაკუთრებით მთავარია, აფხაზეთის რეჟიმის მიერ ე.წ. დამოუკიდებლობის მიღწევის სერიოზული საფრთხის გამო, აგრეთვე სხვა ფაქტორების მხედველობაში მიღებით, რომელზეც ზემოთ აღინიშნა, საჭიროდ მიგვაჩნია გაეროს მისიამ გენერალური მდივნის მოხსენების მომზადების დროს მჭიდრო კონტაქტები იქონიოს ქვეყნის ხელისუფლებასთან, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ დროებით კომისიასთან, რათა ობიექტური კორექტივები შევიდეს მოხსენების შინაარსსა და ფორმაში, შედგენის მეთოდიკაში, რათა იგი უფრო ადეკვატურად ასახავდეს აფხაზეთში რეალურ მდგომარეობას და მისი განვითარების პერსპექტივებს, გამოინახოს სამშვიდობო პროცესის განვითარების ალტერნატიული ვარიანტები.

მიგვაჩნია, რომ ამ და სხვა საკითხებზე ინფორმირებული უნდა იქნეს საქართველოში გაეროს მისიის ახალი ხელმძღვანელი ქალბატონი ჰეიდი ტალიავინი.

ექსპერტთა ჯგუფი
თბილისი, 10.08.2002.

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სხდომის

ოქმი
№ 38 6 სექტემბერი 2002 წ.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ ყოლბაია**

ესწრებოდნენ:
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები: **ა. ახვლედიანი, გ. ბოლოთაშვილი, ჯ. გამახარია, ზ. მუკბანიანი, დ. გადელია, გ. კალანდია, ვ. კვარაცხელია, გ. სანიკიძე,**
ვ. შამილაძე, გ. ჯოჯუა;
საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "აფხაზეთის" თავმჯდომარე
გ. ლომინაძე;
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას პირველი თანაშემწე - სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია**;
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია;**
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სპეციალისტი **ვ. ქობალია.**

დღის წესრიგი:

"აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ძირითადი მიმართულებების შესახებ" საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის თაობაზე.

მოისმინეს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარის **ვ. ყოლბაიას** ინფორმაცია "აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ძირითადი მიმართულებების შესახებ" საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის თაობაზე.

აღინიშნა, რომ "აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილების მე-12 მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის XLII თავის 167-ე და 168-ე მუხლების შესაბამისად კომისიის მიერ მომზადებულმა პროექტმა და

კონცეფციამ "აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ძირითადი მიმართულებების შესახებ" საპარლამენტო ფრაქციებში, კომიტეტებსა და აფხაზეთის ხელისუფლებაში გაიარა შესაბამისი განხილვა. მიღებული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით კონცეფციამ მიიღო უფრო სრულყოფილი სახე.

აზრი გამოთქვეს: გ. კალანდიამ, ჯ. გამახარიამ, დ. გადელიამ, გ. ჯოჯუამ, გ. ლომინაძემ, ვ. ყოლბაიამ.

გადაწყვიტეს: 1. მოწონებულ იქნეს ძირითადად კომისიის მიერ მომზადებული პროექტი და კონცეფცია "აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ძირითადი მიმართულებების შესახებ".

2. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს აღნიშნული დოკუმენტის პარლამენტის ბიუროს სხდომაზე განსახილველად გატანა.

კომისიის თავმჯდომარე

დანართი

პროექტი

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ძირითადი მიმართულებები

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ქართული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი, გადაუდებელი ამოცანაა. ამ პრობლემის გადაწყვეტა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსა განვითარების, ნორმალური ფუნქციონირების, ქვეყანაში სტაბილურობის დამკვიდრების, ეკონომიკური აღმავლობის, დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და საერთაშორისო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დამკვიდრების აუცილებელი წინაპირობაა.

კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისათვის საქართველოს ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის ძალისხმევა დღემდე უშედეგოა. პოლიტიკური მოწესრიგების ჩარჩოებში ვერ მოხერხდა სამას ათასზე მეტი დევნილის და ლტოლვილის თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში

საერთაშორისო ნორმების შესაბამისად უპირობო, უსაფრთხო, ორგანიზებული დაბრუნების პროცესის დაწყება.

კონფლიქტის ზონაში დსთ-ის ეგიდით 1994 წლიდან დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალები არსებული მანდატით ვერ უზრუნველყოფენ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას, ადამიანის უფლებათა დაცვას და შემოიფარგლებიან სასაზღვრო ჯარის ფუნქციებით, რამაც განაპირობა საქართველოს პარლამენტის მიერ 2001 წლის 11 ოქტომბერსა და 2002 წლის 20 მარტს დადგენილებების მიღება აღნიშნული სამშვიდობო ძალების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ.

სეპარატისტული რეჟიმი გარეშე ძალების მხარდაჭერით, თანმიმდევრულად აჭიანურებს პოლიტიკური მოწესრიგების პროცესს, ცდილობს გამოიყენოს დროის ფაქტორი აფხაზეთის ე.წ. სუვერენული სახელმწიფოს ხალხის ნებით მოწყობის იმიჯის შესაქმნელად და ატარებს სხვადასხვა დონის უკანონო არჩევნებს, რეფერენდუმს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ეროვნული ნიშნის მიხედვით გრყელდება ადამიანის საყოველთაო აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უხეში ხელყოფა. გარანტირებული არ არის მთავარი უფლება - სიცოცხლის უფლება. აკრძალულია ქართული ენის გამოყენება, მიმდინარეობს სახელმწიფო ქონების, ლტოლვილთა და დევნილთა კერძო საკუთრების მოსპობა - გასხვისება, მასობრივად ნადგურდება ქართული კულტურის ძეგლები, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებები.

აფხაზეთში თავმოყრილია დიდი ოდენობით უკანონო შეიარაღება, უკონტროლო ტერიტორია გადაქცეულია საერთაშორისო ტერორისტების, ექსტრემისტებისა და კრიმინალების თავშესაფრად, კონტრაბანდის, ნარკობიზნესისა და იარაღით ვაჭრობის ზონად.

აფხაზური მხარე უგულებელყოფს რა საერთაშორისო ორგანიზაციების, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ხელმძღვანელთა აზრს, კვლავ კატეგორიულად ეწინააღმდეგება საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსისა და თბილისსა და სოხუმს შორის სახელისუფლებო უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპების თაობაზე დიალოგის დაწყებას, სხვადასხვა ხელოვნური საბაბით უარს ამბობს გაეროს 2002 წლის 31 იანვრის რეზოლუციით მხარეებისათვის წარსადგენი სამუშაო დოკუმენტის მიღებაზე, იგნორირებას უკეთებს ჟენევის ფორმატის ფარგლებში დიალოგის განახლების მოთხოვნას.

კონფლიქტის მოწესრიგებას არ უწყობს ხელს ხელშემწყობი მხარის - რუსეთის ფედერაციის ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა, რომელიც ერთის მხრივ, აღიარებს რა საქართველოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, იმავდროულად საქართველოს ხელისუფ-ლებასთან შეუთანხმებლად და მისი ნების საწინააღმდეგოდ აწესებს უვიზო რეჟიმს საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთებზე, გამარტივებული წესით, აფხაზეთის მოსახლეობას ანიჭებს

რუსეთის მოქალაქეობას, აღადგენს სარკინიგზო მიმოსვლას სოჭი-სოხუმის მონაკვეთზე, ცდილობს აფხაზეთის კავშირგაბმულობის სივრცის ათვისებას, ხელს უწყობს რუსეთის იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ აფხაზეთში არსებული უძრავი ქონების უკანონო პრივატიზაციას, იარაღითა და საჭურვლით ამარაგებს აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებას.

კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში შექმნილი რეალური ვითარებიდან, აგრეთვე დევნილი მოსახლეობის კრიტიკულ ზღვარს მიღწეული სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში ჩართული ყველა საერთაშორისო და სახელისუფლებო სტრუქტურის მუშაობის გაძლიერება, მათი საქმიანობის კოორდინირება, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის ახლებური მიდგომების შემუშავება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია განისაზღვროს აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ძირითადი მიმართულებები - მიზნები, პრინციპები და მათი განხორციელების გზები.

f. აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგება შემდეგ ძირითად მიზნებს ისახავს:

1.1 .აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენა და ქვეყნის მთლიანობის უზრუნველყოფა;

1.2. დევნილთა და ლტოლვილთა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში ნებაყოფლობითი, უპირობო და უსაფრთხო დაბრუნება, მათთვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა;

1.3. საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სტატუსის განსაზღვრა, აფხაზი ხალხის თვითმყოფადი კულტურის განვითარებისათვის ყველა პირობის შექმნა, ცენტრსა და რეგიონს (თბილისსა და სოხუმს) შორის უფლებამოსილებათა რეალური გამიჯვნა;

1.4. აფხაზეთის საზოგადოების დემოკრატიზაცია, სამოქალაქო სექტორის შექმნა, აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების თანასწორი დაცვის უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნათა შესრულება

.

1.5. აფხაზეთის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ჰუმანიტარული რეაბილიტაცია.

ff. ამ მიზნების მიღწევის საფუძველი და პრინციპებია:

2.1. საქართველოს კონსტიტუცია და სხვა საკანონმდებლო აქტები;

2.2. საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური ნორმები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისა და საზღვრების ურღვევობის შესახებ;

2.3. ხალხთა თვითგამორკვევის საერთაშორისოდ აღიარებული ცივილიზებული მოთხოვნები და ნორმები;

2.4. დევნილთა და ლტოლვილთა მშობლიურ საცხოვრებელ ადგილებში ნებაყოფლობითი; უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უზენაესობის შესახებ საერთაშორისო სამართლის მოთხოვნა;

2.5. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ;

2.6. ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებების დეკლარაცია;

2.7. აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით გაეროს რეზოლუციები, ეუთოსა და დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა სამიტების გადაწყვეტილებები;

2.8. გაეროს უშიშროების საბჭოს 2002 წლის 31 იანვრის რეზოლუციის რეკომენდაციით მიღებული საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის,"თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპების შესახებ" სამუშაო დოკუმენტი.

III. **ამ პრინციპების განსახორციელებლად საქართველოს ხელისუფლების ძირითადი საქმიანობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხაზით:**

3.1. საშინაო პოლიტიკის ძირითადი კომპონენტებია:

ა) ქართულ - აფხაზური პირდაპირი დიალოგები:

- საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლეს დონეზე (საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი);
- საგარეო საქმეთა მინისტრის,განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის, სამინისტროებისა და უწყებების დონეზე

- აფხაზეთის ავტონომიური ხელისუფლების, როგორც კონფლიქტის ერთ-ერთ მხარესა და სოხუმის დეფაქტო ხელისუფლებას შორის;
- საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელთა ინსტიტუტების მეშვეობით;
- საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლების მეშვეობით უცხოეთის ქვეყნებში;
- საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო და სხვა.) დონეზე;
- საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენ-ლობების მეშვეობით;
- გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების ინიციატივით;
- არასამთავრობო ორგანიზაციების თაოსნობით.

ბ) კონფლიქტის მოწესრიგების სამართლებრივი ბაზა:

- საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დამატებითი საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება;
- საკონსტიტუციო კანონები, ორგანული კანონები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის, სეცესირებული ტერიტორიების დაცვის
- მექანიზმების, გენოციდისა და ეთნიკური წმენდისათვის სამართლებრივი დევნის შესახებ და ა.შ.
- ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება - საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მდგრადობის, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის და უსაფრთხოების განმტკიცების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ძირითადი პრინციპების მიღება;
- საქართველოს პარლამენტის დადგენილებები, განცხადებები, (კომიტეტების გადაწყვეტილებები);
- საქართველოს პრეზიდენტის კანონპროექტები, ბრძანებულებები, განკარგულებები, სხვა ნორმატიული აქტები;
- აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების გადაწყვეტილებები;
- აფხაზეთში გენოციდის, ეთნიკური წმენდის, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობების გამოძიების დამთავრება (მიუხედავად ეჭვმიტანილთა და ბრალეულთა ეთნიკური წარმომავლობისა) და ეროვნულ სასამართლოში განხილვა, ასევე დადგენილება (გადაწყვეტილება) საერთაშორისო სასამართლოს (ტრიბუნალის) მოწვევის შესახებ.
- აფხაზეთში სხვა დანაშაულებებთან (რომელთაც არ ჩაუდენიათ მძიმე, დადასტურებული დანაშაული კონკრეტულ ადამიანებთან მიმართებაში)

დაკავშირებული ბრალეული მოქალაქეების მიმართ ამნისტიის პროექტის მომზადება.

გ) კონფლიქტის მშვიდობიანი საშუალებებით მოწესრიგების მექანიზმები:

- აფხაზეთის მოსახლეობასთან მუშაობა
- აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, როგორც
- კონფლიქტის მხარის, საერთაშორისო დონეზე დამკვიდრება და მისი, როგორც კონფლიქტის სუბიექტის,

მოლაპარაკებებში თანაბარ-უფლებიანი მონაწილეობის მიღწევა;

- ქართული და აფხაზური დელეგაციების პირდაპირი დიალოგები;
- მრავალმხრივი და შერეული დიალოგები;
- ხალხთა ურთიერთშემხვედრი მოძრაობის -"სახალხო დიპლომატიის" გააქტიურება;

  აფხაზეთის (დევნილი და ენგურსგაღმა) დაბრუნებული მოსახლეობის ინტეგრაციის ხელშეწყობა საერთაშორისო და სამთავრობო დონეზე. საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობა აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების გამთლიანების უზრუნველსაყოფად:
- სახალხო დიპლომატიის მოძრაობისათვის ხელშეწყობას.

დ) ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცება:

- ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების, ენერგომატარებლების ტრანზიტის სტრატეგიული მნიშვნელობისა და უკუგების, სიღარიბის დაძლევის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მრავალ წელზე გათვლილი ინდიკატური გეგმის მიღება და დამტკიცება საქართველოს პარლამენტში;
- კავკასიური დერეფნის პერსპექტივების თაობაზე საინფორმაციო მასალების (მასში აფხაზეთის როლისა და ადგილის ჩვენებით) გადაგზავნა აფხაზეთში, გავრცელება ინტერნეტის ქსელით;
- ე.წ. სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო ბლოკადის მოხსნის პრობლემებთან დაკავშირებით პრობლემის ყველა ასპექტის შესწავლით და საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით პროექტის მოსამზადებელი სახელმწიფო კომისიის შექმნა აფხაზური მხარისა და დაინტერესებული სახელმწიფოების მონაწილეობით;
- წინადადებათა მომზადება ანტიტერორისტული კოალიციის ღონისძიებებში საქართველოს მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის აფხაზეთშიც;

ე) ქვეყნის ხელისუფლების მიერ საქართველოს სახელმწიფო სამხედრო ძალების განმტკიცების, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების ღონისძიებების შემუშავება სპეციალური გეგმის მიხედვით.

- აფხაზეთში ვითარების ექსტრემალიზაციის პირობებში ცეცხლის განუახლებლობის რეჟიმის შენარჩუნების სისტემის შექმნა, კოდორის ხეობის, სასიცოცხლო ობიექტების გარანტირებული დაცვის უზრუნველყოფა;

ვ) **მიმდინარე ეტაპზე აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ**

- ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულების დაცვის მდგომარეობისა და გუდაუთის სამხედრო ბაზის დახურვის საკითხებზე აფხაზეთში საერთაშორისო მონიტორინგის ჩატარების მიღწევა;
- კოდორის ხეობასთან დაკავშირებული მოვლენების სახელმწიფოებრივი მართვა.
- ქვეყანაში ისეთი საინფორმაციო გარემოს შექმნა, რომელიც სრულად გამორიცხავს, ან მინიმუმამდე დაიყვანს აფხაზური მხარის მცდელობას ეჭვქვეშ დააყენოს საქართველოს სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკა ,გახდეს საბაბი ჟენევის ფორმატით ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით სამშვიდობო ღონისძიებების, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის თაობაზე მოლაპარაკებათა ჩაშლისათვის;

ზ) აფხაზეთის პოსტკონფლიქტურ რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის საკითხები:

- აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პარალელურად და საქართველოს იურისდიქციის სრული აღდგენის შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით აფხაზეთის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, სპეციალური გეგმის მიხედვით აფხაზეთის მოსახლეობის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, დასაქმების, მაგისტრალური შიდაკომუნიკაციების ეტაპობრივი აღდგენის, სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების, მეცნიერების, განათლების, კულტურის სფეროების აღორძინების ღონისძიებათა დაფინანსების გათვალისწინება საქართველოსა და საკუთრივ აფხაზეთის ბიუჯეტებში; რეინტეგრაციის მოკლე, საშუალო და ხანგრძლივვადიანი პროგრამის შედგენა და საერთაშორისო ექსპერტიზის ჩატარება;
- ენგურჰესის რეაბილიტაცია და კასკადების ამოქმედების ღონისძიებათა განხორციელება;

3.2. საგარეო- პოლიტიკური მიმართულების ძირითადი კომპონენტები:

ა) კონფლიქტის მოწესრიგებაში გაეროს, როგორც მთავარი მედიატორისა და ჟენევის ფორმატის ინსტრუმენტის გაძლიერება, ვითარების ადეკვატური ახალი მიმართულების დასახვა;

ბ) ეუთოს, ევროსაბჭოს, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, სხვა სტრუქტურების გააქტიურება, მათ შორის უსაფრთხოების, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, სასაზღვრო მორიტორინგის, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის, მხარეებს შორის და მოსახლეობაში ნდობის ამაღლების, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობების სამართლებრივი დევნის, კონფლიქტის სივრცეში მასმედიის ახალი ფუნქციონალური დატვირთვის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით საკოორდინაციო ორგანოს შექმნა და კონკრეტული მიმართულებით მუშაობის მექანიზმების შემუშავება;

გ) აფხაზეთში მშვიდობისათვის იძულების მექანიზმებების განხორციელების წინადადებების შემუშავება;

დ) რუსეთის ფედერაციასთან, (როგორც მეზობელთან, კონფლიქტის დარეგულირებაში ხელშემწყობ, დაინტერესებულ, დსთ-ის ეგიდით სამშვიდობო ოპერაციის განმხორციელებელ მხარესთან) ურთიერთობის პერსპექტივის სპეციალური გეგმის შემუშავება დასავლეთის ქვეყნების მონაწილეობით:

- რუსეთის სამხრეთის რეგიონებთან, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან საქართველოს ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ურთიერთობის მოწესრიგების ღონისძიებათა შემუშავება, თანამშრომლობის გზების გამონახვა;
- აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებისათვის რუსეთში საქართველოს დიასპორებთან, ასევე თურქეთის, უკრაინის, სხვა მეზობელი ქვეყნების ქართულ და სხვა სათვისტომოებთან მუშაობის გააქტიურება. ამ საკითხებში საქართველოში ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა პოტენციალის ჩართვა;
- საქართველოს გვერდის ავლით რუსეთის, თურქეთის, სხვა სახელმწიფოების ტვირთებისა და მომსახურების, ინვენსტიციების, ფულადი სახსრებისა და ფულის ნიშნების მოძრაობის მოწესრიგება;

- დსთ-ის ეგიდით რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩანაცვლებისათვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება;
- გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა ახალი მანდატისა და აფხაზეთში (პირველ რიგში გალის რაიონში) უსაფრთხოების უზრუნველმყოფი სამოქალაქო კომპონენტის შემოღებისათვის კონკრეტული ღონისძიებების გატარება;
- აფხაზეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების მოწყობა;
- უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების მექანიზმების შექმნის თაობაზე იალტაში ქართულ - აფხაზური განცხადების პრაგმატულ სიბრტყეში გადატანა, გარანტიების იურიდიულ - სამართლებრივი საფუძვლების შემუშავება;
- საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე სტამბოლის (1999 წლის 17 ნოემბერი) სამიტის გადაწყვეტილების მონიტორინგის მექანიზმის შექმნა და დაზუსტება;

ე) აფხაზეთში ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის საკითხები:

- აფხაზეთში, გალის რაიონში ადამიანის უფლებათა ხელყოფის მდგომარეობის თაობაზე საერთაშორისო საზოგადოების სისტემსტიური ინფორმირების მექანიზმის შექმნა;
- გაეროსა და ეუთოს ერთობლივი შემფასებელი მისიის (ეშმ) დასკვნის რეალიზაციის თაობაზე პროგრამის შემუშავება, მათ შორის გალში გაეროსა და ეუთოს ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის ფილიალის გახსნა, მშობლიურ ენაზე სწავლების აღდგენა;

- აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში არსებული მდგომარეობის საფუძველზე საერთაშორისო ნორმების დაცვის მოთხოვნა შესაბამის საერთაშორისო და რეგიონალურ ინსტიტუტებში, აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დაცვის დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახალხო დამცველისა და აფხაზეთის სახალხო დამცველის სავალდებულო მონაწილეობა;

ზ) საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ დევნილთა უმძიმესი მდგომარეობის გათვალისწინებით დამატებითი ჰუმანიტარული ღონისძიებების შემუშავება, საქართველოს ხელისუფლების მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგი;

- გაეროში საკითხის დაყენება საქართველოში იძულებით ადგილნაცვალ პირთა მდგომარეობის მონიტორინგის ჩატარების შესახებ;

- იგპ-თა დახმარების ე.წ. ახალი მიდგომის ტრანსფორმაცია, საკითხისადმი რეალური ხასიათის მინიჭება;
- დევნილთა დასაქმების, მათი მცირე ბიზნესში ჩაბმის საკითხთან დაკავშირებით ეროვნული ინვესტიციების სააგენტოს შექმნის შესახებ საქართველოს კანონის მიღება;
- 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დევნილთა ყოველთვიური შემწეობებისა და სხვა სარგოების გაზრდის წინადადებათა მომზადება, ომის მონაწილეთა, მათთან გათანაბრებულთა, დაღუპულთა ოჯახების, ინვალიდებისათვის, სარგოების გადიდების სათანადო წინადადებათა შემუშავება;
- დევნილთა ქონების კომპენსაციის საკითხებზე შექმნილი სახელმწიფო კომისიის ანგარიშის განხილვა;
- აფხაზეთიდან გამოძევებული მოსახლეობის, სახელმწიფო ქონების დაცვის მექანიზმების, უკანონო პრივატიზაციის აღკვეთის ღონისძიებათა შემუშავება;

თ) აფხაზეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების ორგანიზაციული, იდეოლოგიური და დიპლომატიური უზრუნველყოფის ძირითადი სქემა:

- კონფლიქტის მოწესრიგების სამშვიდობო კურსის სისტემატური ოფიციალური განმარტება ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო თანამეგობრობაში:
- მოლაპარაკებებისათვის მუდმივი მზადყოფნა;
- დევნილ მოსახლეობასთან მუშაობის საინფორმაციო სისტემის შექმნა;
- აფხაზეთში დარჩენილ მოსახლეობასთან იდეოლოგიური და პროპაგანდისტული ხასიათის კომპლექსური ღონისძიებების გატარება სპეც-გეგმის მიხედვით;
- აფხაზეთში ადამიანის უფლებათა ხელყოფის ფაქტებზე ადეკვატური რეაგირება, მსოფლიო საზოგადოებრიობის ოპარატიული ინფორმირება;
- გაეროს სამხედრო მეთვალყურეებთან და მშვიდობისმყოფელებთან საინფორმაციო მუშაობის სისტემის შექმნა;
- აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისათვის საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევის, კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის მიმდინარეობის თაობაზე საერთაშორისო საზოგადოების ობიექტური და ოპერატიული ინფორმირება ამ მიზნებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება;

ი) საშემსრულებლო დონის ამაღლება:

- აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე (გაეროს, ეუთოს, დსთ-ის რეზოლუციები, გადაწყვეტილებები, ორმხრივი

შეხვედრები, მხარეთა განცხადებები და ა.შ.) ოპერატიული რეაგირება და ყველა პოზიტიური მომენტის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი პირების, უწყებების მკაფიო განსაზღვრა და შესრულებაზე ინფორმაციების მოსმენა შესაბამის დონეზე;

- აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე ყველა უწყების საქმიანობის კოორდინაციის სისტემის შექმნა, ურთიერთ-ინფორმირება, ნაკრები ინფორმაციის სათანადო წარდგენის ტექნოლოგიების ფორმირება;
- აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო, სოციალური, ჰუმანიტარული (ქვეყნის შიგნით თუ გარეთ) ეროვნული უშიშროების საბჭოსათვის, ქვეყნის უმაღლესი საკანონდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის;
- პარლამენტის მაკონტროლებელი ფუნქციის გაძლიერება;
- აფხაზეთში პრობლემის პოლიტიკურ მოწესრიგებასთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის პრობლემებზე საკითხის განხილვა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე, პერიოდულად - მთავრობის სხდომაზე, პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრით.

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი

№ 39 **22 ნოემბერი 2002 წ.**

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია.**

ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები: **ა. ახვლედიანი, გ. ბოლოთაშვილი, ჯ. გამახარია, ზ. მუკბანიანი, დ. გადელია, გ. კალანდია, ვ. კვარაცხელია, გ. სანიკიძე, ვ. შამილიძე, გ. ჯოჯუა;**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას პირველი თანაშემწე - სამდივნოს უფროსი **რ.გელანტია**;

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ .ჭახრაკია;**

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სპეციალისტი **ვ. ქობალია.**

დღის წესრიგი:

"აფხაზეთში, საქართველო, მდგომარეობის შესახებ" გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენებასთან (14 ოქტომბერი, 2002 წ. 1141) დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნებისა და წინადადებების თაობაზე

აზრი გამოთქვეს: გ. კალანდიამ, ჯ. გამახარიამ, დ. გადელიამ, გ. ჯოჯუამ, ვ. ყოლბაიამ.

გადაწყვიტეს: 1. გაზიარებულ იქნეს ძირითად ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნები, წინადადებები და მოსაზრებები (თან ერთვის) "აფხაზეთში, საქართველო, მდგომარეობის შესახებ" გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენებასთან (14 ოქტომბერი, 2002 წ 1141) დაკავშირებით ექსპერთა ჯგუფის შენიშვნებისა და წინადადებების თაობაზე.

2. აღნიშნული დოკუმენტი სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და დამატებების გათვალისწინებით დაეგზავნოს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს, გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში, გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფში შემავალი ქვეყნების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებს საქართველოში (დიდი ბრიტანეთი, აშშ, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთის ფედერაცია).

3. მოზანშეწონილად ჩაითვალოს აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარისა და ექსპერტთა ჯგუფის წევრების სამუშაო შეხვედრა საქართველოში გაერო-ს მისიის ხელმძღვანელობასთან.

კომიის თავმჯდომარე

დანართი

შენიშვნები, წინადადებები და მოსაზრებები ”აფხაზეთში, საქართველო მდგომარეობის შესახებ” გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებასთან (14 ოქტომბერი, 2002/1141) დაკავშირებით

გაეროს გენერალური მდივნის 14 ოქტომბრის მოხსენება წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს აფხაზეთის თაობაზე გაეროს 29 ივლისის (1427) რეზოლუციის შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

დოკუმენტი შედგენილია გაეროს - საერთაშორისო მედიატორისათვის დამახასიათებელის სტანდარტებისა და სტერეოტიპების შესაბამისად ტრადიციული მოწოდებით, შეშფოთების, წუხილისა და სინანულის გამოხატვით.

მოხსენების პოლიტკურ ნაწილში გაცხადებულია გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ძალისხმევა ე.წ. ბოდენის დოკუმენტის - საქართველოს შემადგელობაში აფხაზეთის სტატუსისა და თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპების ქართული და აფხაზური მხარეებისადმი დასაყვანად, აგრეთვე კოდორის ხეობაში შექმნილი დაძაბულობის მოსახსნელად.

მოხსენებაში შეშფოთებით დაფიქსირებულია, რომ აფხაზური მხარე უარს აცხადებს დოკუმენტის გაცნობაზეც კი ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საბაბით და ჩაშალა 5 ოქტომბერს ქალბატონ ტალიავინთან დაგეგმილი შეხვედრა საკითხთან დაკავშირებით. აგრეთვე, რეალურად უშედეგო გამოდგა საქართველოში გაეროს მისიის სპეციალური წარმომადგენლის ვიზიტები "მეგობართა ჯგუფის" სახელმწიფოთა რიგ დედაქალაქებში.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ცნობილია, რომ შუალედური დოკუმენტი გამოქვეყნდა ერთ-ერთ აფხაზურ გაზეთში ("აიტარა"), მოგვიანებით გადმობეჭდილ იქნა ქართულ გაზეთში. საეჭვო არ არის, რომ აფხაზური ელიტის საზოგადოებრივი აზრი მომზადებულია დოკუმენტთან დაკავშირებით არაკონსტრუქციული მიდგომისათვის, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს გენერალური მდივნის მოხსენების გამო მისაღებ დოკუმენტში, ასევე ასახვა უნდა ჰპოვოს გაეროს უშიშროების საბჭოს 2003 წლის იანვრის დოკუმენტში.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ 11 სექტემბრის ნიუ-იორკის, მოსკოვის 23 ოქტომბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგაც საკმარისი ყურადღების გარეშე რჩება უკონტორლო ტერიტორიები (ჩვენს შემთხვევაში აფხაზეთი), სადაც თავმოყრილია დიდი ოდენობის უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, აღურიცხავი იარაღი, ფეხქვეშ გათელილია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმები.

მოხსენებაში შესაბამისი ყურადღება არ მიექცა კოდორის ხეობის დაბომბვის, დესანტის გადასხმის, რუსეთის ე.წ. იურიდიულ ანექსიას საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით და სხვა (რაც, ართულებს რეგიონში საერთო მდგომარეობას). გაეროს დოკუმენტებში უყურადღებოდ რჩება დსთ-ს მეთაურთა სამიტის 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოთხოვნა აგრესიული სეპარატიზმის სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური იზოლაციის

შესახებ და აფხაზეთი მიესწრაფვის რუსეთის გუბერნიის რანგში გასვლას "ასოცირებული წევრის" სტატუსით, ანუ თვითუარყოფს მათს მიერვე აკვიატებულ თვითგამორკვევას და დამოკიდებული სახელმწიფოის შექმნას.

გაეროს მისიას, გაეროს გენერალურ მდივანს მხედველობიდან გამორჩათ ამავე გადაწყვეტილების დსთ-ს დოკუმენტის (19 იანვარი, 1996წ) მე-8 პუნქტის მოთხოვნა, რომ კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების მისაღწევად, პირველ რიგში დევნილთა მშობლიურ ადგილებში ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველსაყოფად დსთ-ს სამიტი მოუწოდებს უშიშროების საბჭოს მხარი დაუჭიროს სამიტის ამ გადაწყვეტილებას სეპარატისტულ რეჟიმზე **<u>ზეწოლის განსახორიცლებელად და შესაბამისი რეკომენდაცია გაუწიოს გაეროს წევრ ყველა სახელმწიფოს შეუერთდნენ ამ გადაწყვეტილებას.</u>**

სოხუმის ხელისუფლების პრეტენზიულობა საერთაშორისო თანა-მეგობრობის მოთხოვნა-რეკომენდაციებისადმი, არაკონსტრუქციული მიდგომა, თვითნებობა, უპატივცემულობა, ბუნებრივად აყენებს საკითხს სოხუმის რეჟიმის მიმართ პოლიტიკური თუ ეკონომიკური ზეწოლის მექანიზმების შემუშავების შესახებ, რათა არ გაგრძელდეს ისეთი მდგომარეობა, როცა გათანაბრებულია მოძალადე და მსხვერპლი, მიზეზი და შედეგი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოხუმის რეჟიმის მიმართ დღემდე ზემოქმედების არავითარი ბერკეტები არ ამუშავებულა, უფრო მეტიც, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება მყარ ოფიციალურ და არაოფიციალურ კავშირშია რუსეთის სამხრეთის რეგიონებთან. აფხაზეთში სისტემატურად ჩადიან რუსეთის ხელისუფლების მაღალი და უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები, პოლიტიკური მოღვაწეები, სამხედრო პირები, მეცნიერები. საქართველოს ამ ნაწილში ჰუმანიტარული დახმარების ეგიდით გაერო, საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ ღონისძიებებს, რომლებიც ეკონომიკური თვალსაზრისით სხვა არაფერია, თუ არა რეჟიმის ინვესტირება, მისი სავალუტო შემოსავლების გადიდება. მოხსენებაში, აგრეთვე ყურადღება არ მიექცა <u>სავიზო რეჟიმს მოქალაქეობის მიღებასთან</u> დაკავშირებით, როგორც ორ სახელმწიფოს შორის იურიდიულ-სამართლებრივ ხასიათის სადავო პრობლემის წარმოშობას, რომლის მოწესრიგება გაეროს წესდების კომპეტენციაში შედის.

მოხსენების III თავში, რომელიც ეხება ოპერატიულ მოქმედებებს, რეალური ვითარება შერბილებულადაა წარმოდგენილი. მხედველობის მიღმაა დარჩენილი გალის რაიონში კრიმინალური ვითარების მზარდი ხასიათი, ადამიანთა მძევლად აყვანისა და ვაჭრობის მრავალი ფაქტი, ანუ მშვიდობიანი მოსახლეობის თავისუფლების თვითნებური აღკვეთის უამრავი ფაქტი, აფხაზური მხარის სადამსჯელო ოპერაციები ე.წ. პარტიზანების წინააღმდეგ, სხვა დანაშულობანი, რომელთაც ა.წ. ზაფხულიდან ახორციელებს სოხუმის რეჟიმის ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენელ ვ. ბუთბას სპეცდანიშულების რაზმი.

შემაშფოთებელია, რომ გენერალური მდივანი არ არის ინფორმირებული დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების პასიური პოზიციის შესახებ (რბილად ნათქვამია) ზემოაღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით, მათ შორის შეზღუდული შეიარაღების ზონაში აფხაზური მხარის მიერ აკრძალული იარაღის შეტანისა და გამოყენების ფაქტებზე. გაეროს მეთვალყურეთა ვერტმფრენის ტრაგიკული დაღუპვის სამწუხარო ფაქტი, ჩვენის აზრით, არ უნდა გახდეს მიზეზი მათთვის მანდატით დაკისრებული მოვალეობის შესრულების შესაზღუდავად.

კოდორის ხეობის ზემო წელში ვითარების განმუხტვა პოზიტიური მოვლენაა, მაგრამ რეალური საფრთხე ჯერ კიდევ მოხსნილი არ არის და გაზაფხულ-ზაფხულში აფხაზური მხარე კვლავ შეეცდება ამ კრიზისით მანიპულირებას დიალოგების ჩასაშლელად.

აღსანიშანვია, რომ აფხაზეთში უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებთ ყველა პრობლემაზე მეთვალყურეებთან ერთად პასუხისმგებელია კოლექტიური უსაფრთხოების ძალები და მათი მოქმედების შესუსტება დაუშვებელია.

გენერალური მდივნის მოხსენებაში ვითარება გალისა და ზუგდიდის სექტორში დახასიათებულია როგორც სტაბილური (გარდა გალის რაიონის სამხრეთ ნაწილისა). მოხსენებაში მოყვანილია ორივე მხარის წარმომადგენელთა მიერ დანაშულობათა ფაქტები, რომლებიც დღემდე გამოძიებული არ არის, ამასთან არაფერია ნათქვამი ამ მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე, სხვადასხვა ძლების, მათს შორის სამშვიდობო კონტიგენტის ხელშეწყობით არსებულ კონტრაბანდაზე, ნარკოტიკითა და იარაღით ვაჭრობის ფაქტებზე, სხვა დარღვევებზე, რაც არსებითად მერკანტელური მიზეზებითაა განპირობებული. არასაკმარისად მიგვაჩნია მხოლოდ იმ ფაქტის დაფიქსირება, რომ აფხაზური მხარე და მისი სამართალდამცველები საქმიანობენ არადამაკმაყოფილებად. სამწუხაროდ, ასეთი ვითარებაში, არ ჩანს კონკრეტული გამოსავლის პოვნის ინიციატივა, თუმცა გაეროს სპეციალური წარმომადგენლები ატარებენ მონიტორინგს ენგურის ორივე ნაპირზე მდგომარეობის განსამუხტავად.

სამწუხაროდ, დღემდე თითქმის არაფერი გაკეთებულა ეუთო-ს სტამბოლის 1999 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად 2000 წელს გალის რაიონში გაეროსა და ეუთო-ს ერთობლივი მისიის მონიტორინგის შედეგებისა და რეკომენდაციების შესასრულებლად. აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ დროებით საპარლამენტო კომისიას პასუხიც არ მიუღია ეშმა-ს რეკომენდაციების სარეალიზაციოდ საქართველოში გაეროს მისიისათვის წარდგენილი ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიებების შემდგომი ბედის შესახებ, მათ შორის - მოთხოვნაზე ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის, სამუშაო ჯგუფების ფორმატის შეცვლის, შემადგენლობის განახლების თაობაზე.

მოხსენებაში არაობიექტური ინტერპრეტაცია აქვს ენგურის ხიდთან პრობლემის მოწესრიგების გაჭიანურებით სასოწარკვეთილ ადამიანთა სავსებით ბუნებრივ რეაქციას - აქციებს, გზების გადაკეტვას, არ არის

ახსნილი მათი წარმოშობის მიზეზები. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის საქართველოს მისიამ ფაქტიურად უყურადღებოდ დატოვა მოთხოვნა აფხაზეთიდან დევნილთა სოციალური და ყოფითი მდგომარეობის მონიტორინგის ჩატარების აუცილებლობის შესახებ, რაც არამარტო დააფიქსირებდა მათს აუტანელ მდგომარეობას, არამედ შეიტანდა გარკვეულ განმუხტვას მათს პოლიტიკურ განყოფილებაში.

სავსებით გასაგებია გენერალური მდივნის მოხსენებაში აფხაზეთის მოსახლეობისადმი 21 საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილეობით მიმდინარე დახმარებების დაფიქსირება, მათ შორის განაღმვის საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ აღნიშნული დახმარების მხოლოდ მცირედი ნაწილი შედის უშუალოდ კონფლიქტის ზონაში, სადაც მეტად მაღალია უმწეოთა ხვედრითი წილი, ამასთან გასული და მიმდინარე წელს ნაღმზე აფეთქებით დაიღუპა 18-მდე მშვიდობიანი მოსახლე. სამწუხაროდ, აფხაზეთში გარეშე ძალებით აღდგენილი 60 სკოლიდან გალის რაიონის ტერიტორიაზეა მხოლოდ 5, მით უფრო, რომ აფხაზური მხარე კატეგორიულად ეწინააღმდეგება აღნიშნულ რაიონში მშობლიურ ენაზე სწავლების საყოველთაო მოთხოვნას, ახორციელებს ეთნოციდს.

სავსებით გასაგები და მოსაწონია აფხაზეთში, კერძოდ, უსაფრთხოების ზონაში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებანი, მარამ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ აფხაზური მხარის ნეგატიური პოზიციის გამო დღემდე ვერ მოხერხდა ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის ფილიალის გახსნა გალის რიაონში, რასაც ძნელია ახსნა-განმარტება მოენახოს. ფაქტიურად შეწყვეტლია საუბარი იგპ-თა დაბრუნებაზე მშობლიურ ადგილებში, თუმცა აფხაზური მხარე სისტემატიურად აპელირებს მხარეთა 1994 წლის 4 აპრილის განცხადებაზე, სადაც კატეგორიულადაა განსაზღვრული დევნილთა ნებაყოფლობითი და ორგანიზებული დაბრუნების აუცილებლობა, ასევე იმავე დღეს მიღებულია ოთხმხრივი შეთანხმება დევნილთა დაბრუნების შესახებ, თუმცა ამ მიმართულებით დღემდე არაფერი გაკეთებულა და ხელყოფილია ადამიანის უპირველესი უფლება - დაბრუნდეს მშობლიურ ადგილებში, აქედან გამომდინარე შედეგებით. **<u>სამწუხაროდ, ასეთი დამოკიდებულება ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების მიმართ, იშვიათია მსოფლიო პრაქტიკაში, რაც საზოგადოების თვალში სახელს უტეხავს გაეროს უაღრესად პოზიტიურ ძალისხმევას.</u>**

იქნებ მიზანშეწონილი იყოს აფხაზეთთან დაკავშრიებით გაეროს დოკუმენტებში ხაზგასმით დაფიქსირდეს საქართველოს ხელისუფლების პოზიციები და მიდგომები კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში, ახალი გზებისა და კომპრომისების ძიებისათვის მზადყოფნა, ასევე, მისი, როგორც გაეროს წევრი სახელმწიფოს სუვერენული უფლება-მოვალეობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო სტანდარტებისა და მსოფლიო პრაქტიკის შესაბამისად. ჩვენის აზრით, საჭიროა ხაზგასმა იმისა, რომ საქართველოს უფლება აქვს თავის

გადაწყვეტილებებში დაეყრდნოს აფხაზეთში ეთნიკური წმენდის თაობაზე ეუთო-ს ბუდაპეშტის, ლისაბონის, სტამბოლის სამიტების დოკუმენტებს და დაიკავოს უფრო პრინციპული პოზიცია საკუთარ ქვეყანაში სახელმწიფოებრივი ტერორიზმის, უკონტროლო ტერიტორიებზე მიმდინარე მოვლენების მიმართ, რომლებიც შეიცავენ სერიოზულ საფრთხეს კავკასიისა და უფრო ვრცელი რეგიონებისათვის.

ვფიქრობთ, გაეროს დოკუმენტშიც ანგარიშგასაწევია საქართველოს პარლამენტის დადგენილების (20 მარტი, 2002 წ.) მოთხოვნები დსთ-დან გასვლის, სამშვიდობო ძალების ფორმატის შეცვლის, სამხედრო ბაზების გაყვანის, ჩრდილოეთ ატლანტურ ალიანსში შესვლისათვის განაცხადის და სხვა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი მოვლენები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია აფხაზეთის საკითხის პოლიტიკურ მოწესრიგებასთან.

საქართველოში მოელიან, რომ სოხუმის რეჟიმზე ზეგავლენის თვალსაზრისით გაეროს დოკუმენტში გარკვეული დატვირთვა უნდა მიენიჭოს აშშ - რუსეთ - საქართველოს დიალოგის აუცილებლობას აფხაზეთის თაობაზე, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების სპეციალურ წარმომადგენელთა დანიშვნას, მზადებას საერთაშორისო კონფერენციის მოწვევისათვის აშშ-ს, რუსეთის ფედერაციის თანათავმჯდომარეობით, უკრაინისა და თურქეთის აქტიური მონაწილეობით.

და ბოლოს, ე.წ. ბოდენის დოკუმენტის მიუღებლობა აფხაზური მხარის მიერ, ეჭვის ქვეშ დააყენებს გაეროს, მსოფლიო საზოგადოებრიობის უნარს სამართლიანად მოაგვაროს კონფლიქტები, მათ შორის აფხაზეთში, ღირსეულად შეასრულოს საერთაშორისო მედიატორის ფუნქცია. მიგვაჩნია, რომ გაეროს გენერალური მდივნის მოხსენების მიმართ შენიშვნებთან დაკავშირებით ინფორმირებულ უნდა იქნეს გაეროს მისიის წარმომადგენლობა საქართველოში, გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი.

ექსპერტთა ჯგუფი

15.11.02 წ. თბილისი

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული
საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის

ოქმი

№ 40 26 ნოემბერი 2002 წ.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია.**

სხდომას ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები: **ა. ახვლედიანი, გ.ბოლოთაშვილი, დ. გადელია, გ. კალანდია, ვ . შამილაძე, ჯ. გამახარია, რ.ლორთქიფანიძე, გ. ჯოჯუა, ზ. მუკბანიანი, ვ. კვარაცხელია.**
საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთი"-ს თავმჯდომარე **გ. ლომინაძე,** საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე,** საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე **ჯ. გახოკიძე,** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეროს სამმართველოს უფროსი **ბ. დვალი**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ცაავა,** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **რ. გერგედავა,** ინფორმაციის მინისტრი **თ. ხუბუა,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები **თ. მჟავია, ე. ასტემიროვა,** აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია.**

დღის წესრიგი:

1. აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების მიმდინარე ეტაპის შესახებ.
2. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საზოგადოებრივი საბჭოს შექმნის შესახებ.

f. **მოისმინეს:** აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების მიმდინარე ეტაპის შესახებ საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის **მ.კაკაბაძის** ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: გ. ბოლოთაშვილმა, გ. კალანდიამ, ჯ. გამახარიამ, გ. ჯოჯუამ, ვ. შამილაძემ, რ. ლორთქიფანიძემ, გ. ლომინაძემ, ჯ. გახოკიძემ, ლ. ცაავამ, რ. გერგედავამ, თ. ხუბუამ, თ. მჟავიამ, ე. ასტემიროვამ და სხვებმა.

აღინიშნა, რომ აფხაზური მხარის მიერ "თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციის განაწილების ძირითადი პრინციპების თაობაზე" სამუშაო დოკუმენტის მიღებაზე უარის თქმით და სამშვიდობო მოლაპარაკებებისათვის თავის არიდებით აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი ჩიხშია შესული და ის ქვეყნის ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დამატებით ძალისხმევას საჭიროებს.

ითქვა, რომ საკითხი წინ ვერ დაძრა სოხუმში გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის ჟ. გიენოს ჩასვლამაც, ვინაიდან სეპარატისტული რეჟიმი ცალსახად გადაწყვეტილად თვლის აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხს, თუმც ეს სრულიად არ უშლის მას წამოაყენოს წინადადებები რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში აფხაზეთის ასოციირებულ წევრად მიღების თხოვნით.

სამშვიდობო პროცესის ჩიხში ყოფნის კიდევ ერთ ძირითად დამადასტურებელ არგუმენტად მიჩნეულ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე მ. წ. 19 ნოემბერს დაგეგმილი აფხაზეთის საკითხის განხილვის გადადება, თუმც საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მ. კაკაბაძის განმარტებით, აღნიშნული საკითხის განხილვის გადადება საქართველოსთვის წამგებიანი არ იქნება, რადგანაც ბოლო დღეებში მიღწეული შეთანხმებით, ქართული მხარის ინიციატივით სხდომაზე თბილისსა და სოხუმში მიღებული შთაბეჭდილებებით გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე ჟ. მ. გიენო წარდგება. მისივე თქმით, ქართული მხარე უკვე აწარმოებს კონსულტაციებს იმასთან დაკავშირებით, რომ 2003 წლის 31 იანვრისთვის დანიშნული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, მსგავსად მ. წ. 31 ივლისს მიღებული რეზოლუციისა, არ იყოს არაფრისმთქმელი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მიუხედავად გაწეული გარკვეული მუშაობისა, განვლილ პერიოდში ქვეყნის ხელისუფლების (ძირითადად აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურები) მხრიდან ვერ განხორციელდა ჯეროვანი ღონისძიებები "აფხაზეთში, საქართველო, არსებული ვითარების შესახებ" (№ 1330) და "აფხაზეთში სახელმწიფო ქონების და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ" (№ 1331) საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილებების რიგი ძირითადი მუხლის განსახორციელებლად.

გამოითქვა სერიოზული შეშფოთება, რომ მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არაერთგზის სხვადასხვა დონეზე გამოხატული პროტესტისა, გრძელდება და ინტენსიურ ხასიათს იღებს რუსეთის ფედერაციის სახელისუფლებო ორგანოებსა და სეპარატისტულ რეჟიმს შორის თანამშრომლობა და მისი გაღრმავება. აღნიშნულის დასადასტურებლად მოტანილ იქნა მაგალითები მიმდინარე წლის აგვისტო-ნოემბერში აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი რანგის წარმომადგენელთა (მათ შორის რუსეთის ფედერაციის

პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელის მოადგილის დონეზე), რუსეთის წამყვანი და უმდიდრესი რეგიონების: კრასნოდარის მხარის, როსტოვისა და ორიოლის ოლქების გუბერანტორთა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებელი ვიზიტების თაობაზე, რომლებიც მიზნად ისახავენ აფხაზეთთან პირდაპირი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის დამყარებასა და მათ შემდგომ გაღრმავებას, იქ რუსეთის ინვესტიციების შემოტანას.

განსაკუთრებული შეშფოთება გამოიხატა გაგრაში, ბიჭვინთაში, სოხუმში საკურორტო ინფრასტრუქტურის თანდათან რუსეთის საქმიანი წრეებისა და სხვა უცხოელი ბიზნესმენების მფლობელობის ქვეშ გადასვლასთან დაკავშირებით. ითქა, რომ აღნიშნული ფაქტი რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენელთა მხრიდან უკვე არც კი იმალება. ამაზე მეტყველებენ მიმდინარე წლის 18 ნოემბერს აფხაზეთის ე.წ. პარალამენტის თავმჯდომარესთან ნ. აშუბასთან რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის სპიკერის გ. სელეზნიოვისა და დსთ-ისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის ბ. პასტუხოვის შეხვედრები და მოლაპარაკებები.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეთხოვა "აფხაზეთში სახელმწიფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილების მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლის გაძლიერება.

აღნიშნულ და მასთან დაკავშირებულ პრობლემებთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება განხილულ იქნეს საკითხი იმის თაობაზე, რომ რუსეთის ფედერაციას არ ჰქონდეს ექსკლუზიური უფლება გამოდიოდეს ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში ერთად-ერთი მედიატორის როლში და მის დამბალანსებელ ძალად აღნიშნულ პროცესში ჩართულ იქნეს სხვა სახელმწიფოც. დაისვა საკითხი ამ პრობლემებზე საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ზ. მუკბანიანისა და საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მ. კაკაბაძის მიერ საკითხის ყოველმხრივი დამუშავების შემდეგ გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ელჩებისათვის საკონსულტაციოდ წარდგენის შესახებ.

სხდომაზე საჭიროდ ჩაითვალა აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარესთან გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფში შემავალი ელჩების მოწვევა და კონსულტაციების გამართვა.

ითქვა იმის აუცილებლობაზე, რომ აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა არ უნდა ამოიწურებოდეს აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის, საპარლამენტო ფრაქციების "აფხაზეთი" და "ახალი აფხაზეთი - ქრისტიან დემოკრატები" სხდომებით. ამ პრობლემებზე მუდმივად უნდა მუშაობდნენ პარლამენტის შესაბამისი კომიტეტებიც, რომლებმაც თავიანთ საკურატორო დარგებში

უნდა მოისმინონ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელთა ინფორმაციები და ანგარიშები.

კვლავ წამოიჭრა საკითხი აფხაზეთის საკითხებზე მიღებული ნორმატიული აქტების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების სამართლებრივ-პოლიტიკური ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობის თაობაზე (დადგენილების მე-13 მუხლის ა ქვეპუნქტი). აღნიშნული საკითხის წლების განმავლობაში გადაუჭრელობის გამო კომისიაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ იქნებ პრობლემასთან დაკავშირებით საჭიროა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის ეგიდით ყველა კომპეტენტური სტრუქტურის წარმომადგენელთა (მათ შორის - სამართლის ექსპერტები) მონაწილეობით კიდევ ერთხელ მოხდეს სპეციალური მსჯელობა ასეთი მუშაობის ჩატარების მიზანშეწონილობის, აუცილებლობისა და შედეგიანობის თაობაზე, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კი დაწესდეს მისი შესრულებაზე განსაკუთრებული კონტროლი და პასუხისმგებლობა.

დაისვა საკითხი ჟენევის პროცესით მიმდინარე საკოორდინაციო საბჭოსა და მისი მუშაო ჯგუფების საქმიანობის ტრანსფორმირებისა და შემადგენლობის გადახალისების აუცილებლობის შესახებ, საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრ მ. კაკაბაძეს ეთხოვა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ქ-ნ ჰ. ტალიავინისათვის აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი წინადადებების წარდგენა.

საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მ. კაკაბაძის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მოლაპარაკებათა პროცესში როგორც მხარის ჩართვა, ხაზგასმით ითქვა, რომ საჭიროა აღნიშნული საკითხის საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე უფრო პრინციპულად დასმა.

სერიოზული განსჯის საგანი გახდა კონფლიქტის ზონაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით კვლავ კრიტიკულად შეფასდა კონფლიქტის ზონაში რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების როლი. აღინიშნა, რომ აუცილებელია კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების ზონის გაფართოება და სამშვიდობო ძალების დისლოცირების ადგილის მდ. ღალიძგასთან გადატანა. გამოიხატა იმედი, რომ აღნიშნული ძალების სხვა ძალებით ჩანაცვლების საკითხის გადაწყვეტა უახლოეს პერიოდში ქვეყნის ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება გახდება.

დაისვა საკითხი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე განაგრძოს ძალისხმევა ეუთო-სთან ერთად გუდაუთაში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე უკონტროლო იარაღის მონიტორინგის ჩასატარებლად.

კვლავ გამახვილდა ყურადღება იმაზე, რომ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ადამიანის ძირითადი ულებების დაცვის საკითხში არაერთგზის

კრიტიკის მიუხედავად, სრულიად არადამაკმაყოფილებლია გაეროს სოხუმის ოფისის საქმიანობა. ითქვა, რომ ყოვლად გაუმართლებლად ჭიანურდება აღნიშნული ოფისის გალის ფილიალის გახსნაც. აღნიშნულთან დაკავშირებით ხაზი გაესვა, რომ აუცილებელია ქართული მხარის მუშაობის გააქტიურება ევროსტრუქტურებში, კერძოდ, ევროპის საბჭოში. ხაზი გაესვა, რომ თუ უახლოეს პერიოდში არ შესრულდება გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ქ-ნ მერი რობინსონის დაპირება სოხუმის ოფისის მუშაობაზე კონტროლის გაძლიერების თაობაზე, არ მოხდება ძირეული ცვლილებები მის მუშაობაში და არ გაიხსნება ოფისის გალის ფილიალი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ პრინციპულად უნდა დასვას გაეროსა და ეუთოს წინაშე აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ ოფისის შემდგომი ფუნქციონირების მიზანშეუწონლობის საკითხი.

გამოითქვა მოსაზრება, რომ აუცილებელია გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის წინაშე დაისვას ჟენევის ფორმატით საკოორდინაციო საბჭოსთან არსებულ სამუშაო ჯგუფებთან სპეციალური სტრუქტურის შექმნის საკითხი, რომელიც ოთხმხრივ შეხვედრებზე მუდმივად განიხილავს კონფლიქტის ზონაში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობას და უზრუნველყოფს ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირებას.

გამოითქვა წინადადება კონფლიქტის ზონაში მიმდინარე ადამიანის უფლებათა მასიურ დარღვევებთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის კომიტეტის როლისა და პოზიციის უფრო აქტიური გამოხატვის აუცილებლობის თაობაზე.

პარლამენტის წევრ ჯ. გამახარიას მიერ მხარდაჭერილ იქნა წინადადება აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე საერთაშორისო კონფერენციის გამართვის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ითქვა, რომ დროებით კომისიას ამ საკითხზე უკვე აქვს კონსულტაციები ქ-ნ ნ. დევდარიანთან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ლ. ცაავას აზრით აფხაზეთთან კავშირურთიერთოების აღდგენა სარკინიგზო მიმოსვლის გახსნით და ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ნაწილის ექსპორტის აფხაზური მხარისათვის გადაცემის უფლებით, რაც ქართული მხარის ერთადერთ კოზირს წარმოადგენს მოლაპარაკებათა პროცესის წარმართვისათვის, მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლისათვის მოლაპარაკებათა პროცესში ნდობის ხარისხის ამაღლების მიზნით, არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება.

სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ჯ. გახოკიძის ინფორმაცია, რომ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით დადებითად გადაიჭრა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატთან აფხაზეთის პრობლემებზე

მომუშავე მაკოორდინირებელი სტრუქტურის - მუდმივმოქმედი ჯგუფის შექმნის საკითხი.

ხაზი გაესვა, რომ გარკვეულად გაჭიანურდა "აფხაზეთში, საქართველო, არსებული ვითარების შესახებ" საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-12 მუხლის შესაბამისად შემუშავებული "აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ძირითადი მიმართულებების შესახებ" საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებიდან წინადადებათა პარლამენტში შემოტანა. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს და ეროვნული უშიშროების საბჭოს ეთხოვათ აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით შენიშვნებისა და წინადადებების პარლამენტში წარდგენის დაჩქარება.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების მიმდინარე ეტაპის შესახებ საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მ. კაკაბაძის ინფორმაცია.

2. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ჯ. გახოკიძის ინფორმაცია, რომ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით დადებითად გადაიჭრა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატთან აფხაზეთის პრობლემებზე მომუშავე მაკოორდინირებელი სტრუქტურის - მუდმივმოქმედი ჯგუფის შექმნის საკითხი.

3. ჩაითვალოს, რომ აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი ამ ეტაპზე ჩიხშია შესული და ის ქვეყნის ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დამატებით ძალისხმევას საჭიროებს.

4. ეთხოვოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (ი. მენაღარიშვილი), საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს მ. კაკაბაძეს:

ა) უახლოეს პერიოდში სოხუმის ადამიანის უფლებათა ოფისის მუშაობაში ძირეული ცვლილებებისა და გალში მისი ფილიალის გახსნის შემდგომი გაჭიანურების შემთხვევაში გაეროსა და ეუთოს წინაშე აფხაზეთის ტერიტორიაზე აღნიშნული ოფისის შემდგომი ფუნქციონირების გაგრძელების მიზანშეუწონლობის საკითხი პრინციპულად დასმა;

ბ) განაგრძონ ძალისხმევა ეუთო-სთან ერთად გუდაუთაში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე უკონტროლო იარაღის მონიტორინგის ჩასატარებლად.

გ) აფხაზეთში სახელმწიფო ქონების და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების გასხვისების მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების მაქსიმალური ყურადღების მიპყრობა და მათზე რეაგირების შესაძლო მექანიზმების ამუშავების მიღწევა.

4. ეთხოვოს საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს მ. კაკაბაძეს:

ა) გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჰ. ტალიავინის წინაშე ჟენევის ფორმატით საკოორდინაციო საბჭოსთან არსებულ სამუშაო ჯგუფებთან სპეციალური სტრუქტურის შექმნის საკითხის დასმა, რომელიც ოთხმხრივ შეხვედრებზე მუდმივად განიხილავს კონფლიქტის ზონაში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობას და უზრუნველყოფს ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირებას.

ბ) საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად განაგრძოს ძალისხმევა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების მოლაპარაკებათა პროცესში როგორც ერთ-ერთი მხარის სრულუფლებიანი ჩართვის მისაღწევად.

5. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მ. კაკაბაძის კინფორმაცია, რომ "აფხაზეთში, საქართველო, არსებული ვითარების შესახებ" საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-11 მუხლის შესაბამისად იუნსკო-სა და ევროპის საბჭოში საქართველოს წარმომადგენლობის შესაბამისი საქმიანობის შედეგად მუშავდება სპეციალური პროგრამა კონფლიქტის ზონაში განლაგებულ კულტურულ ფასეულობათა დაცვის, შენარჩუნებისა და აღდგენის საკითხებზე, ამასთან ერთად აღნიშნულ საკითზე მიწეულია შეთანხმება ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს მე-3 სამუშაო ჯგუფის სხდომაზე ა. წლის 14 ნოემბერს ქ. სოხუმში.

6. ეთხოვოთ საქართველოს და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან თ.ჯაფარიძეს და პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს მ. ცაცანაშვილს:

ა) "აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ" და "აფხაზეთში სახელმწიფო ქონების და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების გასხვისების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 20 მარტის დადგენილებების შესაბამისი მუხლების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით აღნიშნულ საკითხებზე აღმასრულებელი სტრუქტურების ხელმძღვანელთა ინფორმაციებისა და ანგარიშების მოსმენა;

ბ) "აფხაზეთში, საქართველო, არსებული ვითარების შესახებ" საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-12 მუხლის შესაბამისად დროებითი კომისიის

მიერ შემუშავებული "აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ძირითადი მიმართულებების შესახებ" პარლამენტი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნებისა და წინადადებების პარლამენტში წარდგენის დაჩქარება.

7. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების (გ. პაიჭაძე), თავდაცვისა და უშიშროების (ი. ბათიაშვილი), ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო მშენებლობის კომიტეტებს:

ა) სახელმწიფო კანცელარიის შესაბამის სამსახურებთან ერთად "აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ" და "აფხაზეთში სახელმწიფო ქონების და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების გასხვისების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 20 მარტის დადგენილებების მუხლების მოთხოვნათა შესრულების კონტროლის მიზნით აღნიშნულ საკითხებზე შესაბამისი აღმასრულებელი სტრუქტურების ხელმძღვანელთა ინფორმაციებისა და ანგარიშების მოსმენა.

8. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს (ი. ბათიაშვილი) "აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ" პარლამენტის 20 მარტის დადგენილების მე-13 მუხლის შესაბამისი ქვეპუნქტების შესასრულებლად გაწეული მუშაობის თაობაზე ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელთა ინფორმაციების მოსმენა.

9. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტს (გ. პაიჭაძე) კომიტეტის სხდომაზე მოისმინოს საქართველოს პროკურატურის, სხვა სამართალდამცველ სტრუქტურათა ხელმძღვანელების ინფორმაციები "აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ"" საქართველოს პარლამენტის 20 მარტის დადგენილების მე-2 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ 1992 წლიდან განხორციელებული მშვიდობიანი მოსახლეობის ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მომწყობთა და კონფლიქტის ინსპირატორთა მიმართ საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე სამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის გაწეული მუშაობის თაობაზე.

10. ეთხოვოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს (ზ. სიორიძე) მოისმინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელთა ინფორმაციები რუსეთის ფედერაციის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით აფხაზეთში განხორციელებულ ფულად-საკრედიტო ინტერვენციის აღსაკვეთად "აფხაზეთში არსებული ვითარების

შესახებ"" საქართველოს პარლამენტის 20 მარტის დადგენილების მე-7 მუხლის მოთხოვნათა შესასრულებლად გაწეულ მუშაობასთან დაკავშირებით.

11. ეთხოვოს ევროსაბჭოსთან ურთიერთობის საპარლამენტო კომისიას აფხაზეთში ადამიანის უფლებათა მასიურ დარღვევებთან დაკავშირებით ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურებთან თანამშრომლობის გააქტიურება და მათი ამ პროცესებში ჩართვისა და გამოვლენილ დარღვევებზე სათანადო რეაგირების მისაღწევად.

12. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნ. ბურჯანაძეს:

ა) აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის გაძლიერების მიღწევის მიზნით საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფში შემავალი ქვეყნების ელჩების მოწვევა და მათთან კონსულტაციების გამართვა;

ბ) აფხაზეთში ადამიანის უფლებების, მათ შორის ქონებრივი უფლებების დარღვევის ფაქტებზე სათანადო რეაგირების მიღწევისათვის ევროსტრუქტურებთან, სტრასბურგის ევროპის სასამართლოსთან თანამშრომლობის გააქტიურების მიზნით განიხილოს სტრასბურგში საქართველოს პარლამენტის ორი წევრის (სპეციალისტის) მივლინების საკითხი;

გ) "აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ძირითადი მიმართულებების შესახებ" საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის განხილვა პლენარულ სხდომაზე.

12. დევნილთა მძიმე სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით ეთხოვოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ბ-ნ ა. ჯორბენაძეს დონორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან სპეციალური შეხვედრის გამართვა, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მათ გადასაწყვეტად დამატებითი ღონისძიებების გატარება.

ff. **მოისმინეს:** ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საზოგადოებრივი საბჭოს შექმნის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარის ვ. ყოლბაიას ინფორმაცია.

აღინიშნა, რომ კომისიას აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესისათვის ხელშეწყობის, დაპირისპირებულ მხარეთა ნდობის აღდგენისა და განმტკიცების მიზნით ქართულ აფხაზური ურთიერთობების საზოგადოებრივი საბჭოს შექმნის შესახებ ინიციატივით

მიმართეს საქართველოს ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, რომლებიც სარგებლობენ ავტორიტეტითა და ნდობის მანდატით მთლიანად აფხაზეთის მოსახლეობაში, შეუძლიათ პრაქტიკული წვლილის შეტანა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა დარეგულირებაში, სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობათა მაქსიმალურად ამოქმედებაში.

აზრი გამოთქვეს: გ. კალანდიამ, .ჯ. გამახარიამ, გ. ბოლოთაშვილმა, მ. კაკაბაძემ.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ გადაწყვიტა:

1. მხარდაჭერილ იქნეს საქართველოს ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ინიციატივა აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მშიდობიანი მოწესრიგების პროცესისათვის ხელშეწყობის, დაპირისპირებულ მხარეთა ნდობის აღდგენისა და განმტკიცების მიზნით ქართულ აფხაზური ურთიერთობების საზოგადოებრივი საბჭოს შექმნის შესახებ.

2. დამტკიცდეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საზოგადოებრივი საბჭოს შემადგენლობა და დებულება (თან ერთვის).

3. ეთხოვოს აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრს გ. კალანდიას ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საზოგადოებრივი საბჭოს ორგანიზაციული სხდომის ჩატარება.

კომისიის თავმჯდომარე

დანართი

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიასთან არსებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საზოგადოებრივი საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.1.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საზოგადოებრივი საბჭო (შემდგომში - საბჭო) არის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიასთან შექმნილი საზოგადოებრივი საკონსულტაციო ორგანო, რომელიც იქმნება დროებითი კომისიის გადაწყვეტილებით.

მუხლი 1. 2.

საბჭოს შექმნის მიზანია აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის, კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვის დაუშვებლობის, დაპირისპირებულ მხარეთა შორის ნდობის აღდგენისა და განმტკიცების ღონისძიებათა განსახორციელებლად სახელმწიფოებრივი, საერთაშორისო, რეგიონალური პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციის ხელშეწყობა, ტრადიციული ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენა.

მუხლი 1. 3.

საბჭოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, ქვეყნის კანონმდებლობა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, ეს დებულება, სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტები, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ, სხვა საერთაშორისო დოკუმენტები (ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოსა და ჰააგის 1954 წლის 14 მაისის კონვენციები), ქართულ და აფხაზურ მხარეთა შორის ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის დარეგულირებისაკენ მიმართული გაეროსა და ეუთო-ს ოფიციალური დოკუმენტები, ჟენევის ფორმატით მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებისას მიღწეული შეთანხმებები და განცხადებები (ათენი, სტამბოლი, იალტა).

თავი II. საბჭოს შემადგენლობა

მუხლი 2.1.

საბჭოს შემადგენლობა რაოდენობრივად არალიმიტირებულია.

მუხლი 2.2.

საბჭოს შემადგენლობაში მოწვევით შედიან საქართველოს მეცნიერების, ეკონომიკის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, კონფლიქტოლოგიის, მედიცინის, კულტურის, ხელოვნების, სპორტის, ბიზნესის, არასამთავრობო

სექტორისა და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც სარგებლობენ ავტორიტეტითა და ნდობის მანდატით მთლიანად აფხაზეთის მოსახლეობაში, შეუძლიათ პრაქტიკული წვლილის შეტანა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა დარეგულირებაში, სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობათა მაქსიმალურად ამოქმედებაში.

მუხლი 2.3.

საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით.

მუხლი 2.4.
საბჭოში გაწევრიანების მსურველი, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარეს მიმართავს წერილობითი ან ზეპირი განცხადებით.

მუხლი 2.5.

საბჭო შედგება საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და წევრებისაგან.

მუხლი 2.6.

საბჭოს თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს ღია კენჭისყრით ირჩევენ საბჭოს სხდომაზე.

მუხლი 2.7.

საბჭოს თავმჯდომარე:

1. წარმოადგენს საბჭოს პარლამენტში და მის გარეთ;
2. იწვევს და თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს;
3. მონაწილეობს აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სხდომის მუშაობაში და საჭიროების შემთხვევაში სხდომებზე განსახილველად შემოაქვს საბჭოს კომპეტენციაში მიკუთვნებული საკითხები.

მუხლი 2.8.

საბჭოს საქმიანობის მიზნების შესაბამისად შეიძლება შეიქმნას სამუშაო ჯგუფები სხვადასხვა მიმართულებით.

თავი III. საბჭოსა და მასთან შექმნილი სამუშაო ჯგუფების საქმიანობის სავარაუდო მიმართულებები

საბჭოსა და მასთან შექმნილი სამუშაო ჯგუფების საქმიანობის სავარაუდო მიმართულებები შეიძლება იყოს:

1. საქართველოსა და საკუთრივ აფხაზეთის სამეცნიერო, კულტურული ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის კონტაქტების დამყარება.

2. არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კონტაქტების გაფართოება.

3. ქართველი და აფხაზი მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის წარმომადგენელთა (ახალგაზრდების, უხუცესთა, ქალთა, კონფლიქტის პერიოდში დაღუპულთა ოჯახების წევრების, მეომართა, მეომარ-ინვალიდთა, თანამოგვარეთა, თანასოფლელთა) შეხვედრების ორგანიზება.

4. ახალგაზრდა მეცნიერთა, მათ შორის პოლიტოლოგთა, ისტორიკოსთა, სოციოლოგთა შეხვედრა-სემინარების მოწყობა.

5. სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელთა შეხვედრები სამეცნიერო ურთიერთობათა აღსადგენად.

6. საინფორმაციო საშუალებებში მტრის ხატის სინდრომის დაძლევის ხელშემწყობი ღონისძიებების (ჟურნალისტთა, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა, მწერალთა, შეხვედრები) ჩატარება.

7. მხარეებს შორის ინფორმაციათა გაცვლის სისტემის შექმნა.

8. ვეტერან სპორტსმენთა შეხვედრების ჩატარება (მათ შორის საიუბილეო თარიღების ერთობლივი აღნიშვნა).

9. საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული და აფხაზური დიასპორების ავტორიტეტულ წარმომადგენლებთან კონტაქტებზე გასვლა და სამშვიდობო პროცესში მათი პოტენციალის გამოყენება.

10. კულტურის, ისტორიულ ძეგლთა, ბუნების დაცვისა და სხვა მნიშვნელოვან ეკოლოგიურ პრობლემებზე ერთობლივი მუშაობის დაწყებისათვის წინაპირობების შექმნა.

11. ბიზნესმენთა შეხვედრების ორგანიზება და საერთო პროგრამების განხორციელებისათვის პირობების შექმნა.

12. დონორთა შესაძლებლობების გამოყენებით რეგიონალური და საერთაშორისო სემინარების, კონფერენციების ჩატარების პროგრამების შედგენა და განხორციელება.

13. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პრობლემებზე ნაბეჭდი, აუდიო და ვიდეო მასალების შექმნა, გამოქვეყნება.

14. ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიებების განხორციელებაში ხელშეწყობა.

15. აფხაზეთის მოსახლეობის ინტეგრაციის, აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობისა და იგპ-თა სოციალური დაცვის საკითხებში წინადადებების შემუშავება.

დანართი

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საზოგადოებრივი საბჭოს შემადგენლობა

სერგო აბაშიძე - კომპანია "Interenergo Power"-ის პრეზიდენტი, კავკასიის ხალხთა აკადემიის აკადემიკოსი

მზეჭაბუკ (ჭაბუა) ამირეჯიბი - მწერალი

გურამ გვერდწითელი - მწერალი, პროფესორი

გენო კალანდია - პოეტი, საქართველოს პარლამენტის წევრი

გიორგი მჟავანაძე - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე

ფრიდონ ხალვაში - პოეტი, საქართველოს პარლამენტის წევრი

გურამ ქაშაკაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ნაპოლეონ ქარქაშაძე - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი

როინ მეტრეველი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი

ქეთევან ლომთათიძე - აკადემიკოსი

გივი შუღაროვი - საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გია ანჩაბაძე - პროფესორი

ელგუჯა ბუბუტეიშვილი - სს "სარაჯიშვილი"-ს გენერალური დირექტორი

ლეო ბოკერია - ლ. ბურაკოვსკის სახელობის მოსკოვის გულსისხლძარღვთა გადანერგვის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

რამაზ ხუროძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი

ალექსანდრე გერასიმოვი - საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნულ უმცირესობებთან მუშაობის საკითხებში, პროფესორი

იბარ მამედოვი - საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის განყოფილების უფროსის მოადგილე

გურამ ოდიშარია - მწერალი, გ. შარვაშიძის სახ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

რაფიელ გელანტია - პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის პირველი თანაშემწე, გ. შარვაშიძის სახ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

რამაზ შონია - კომპანია "Interenergo Power"-ის პრეზიდენტის თანაშემწე; შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის აფხაზეთის ა/რ-ის რეგიონალური კომისიის თავმჯდომარე

ამირან დოლიძე - აფხაზეთის ა/რ საგადასახადო სამსახურის უფროსი
თენგიზ ჩაჩიბაია - სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თანხმობის დარბაზის წევრი

ალუ გამახარია - სს “ორგტექნიკის გენერალური დირექტორი

თეიმურაზ ჭახრაკია - აფხაზეთის “მეომართა კავშირის” წევრი, გ. შარვაშიძის სახ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიისა და საქართველოს სახალხო დამცველი აპარატის ერთობლივი სხდომის

ო ქ მ ი
№41 11 დეკემბერი 2002 წ.

სხდომას უძღვებოდნენ: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე
ვ. ყოლბაია, საქართველოს სახალხო დამცველი **ნ. დევდარიანი;**

ესწრებოდნენ: საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წევრები: **დ. გადელია, ჯ. გამახარია, გ. კალანდია, რ. ლორთქიფანიძე, გ. სანიკიძე, ვ. შამილაძე, გ. ჯოჯუა, გ. შარაძე;**
საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: **დ. გვაძაბია, დ. ჯაიანი;**
საქართველოს პარლამენტის წევრები: **ე. ნადირაძე** (ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), **ვ. ქარსელაძე;**
საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე;**
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **მ. ანთაძე;**
საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე **ა.იოსელიანი;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: **ე.ასტემიროვა, რ. დგებუაძე, რ. ქარაია;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **რ. გერგედავა;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები: **თ. ხუბუა, ნ. თოდუა;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. თორდია;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი **ა. ლაცუზბაია;**

აფხაზეთის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე **რ. კუხალაშვილი;**
აფხაზეთიდან დევნილ ქალთა ორგანიზაცია "საბინების"-ის თავმჯდომარე **რ. ცინდელიანი;**
ორგანიზაცია "აფხაზეთის საქმიანი ქალები"-ს ხელმძღვანელი **ნ. მაისურაძე;**
გაეროს მისიის წარმომადგენელი საქართველოში **ს. ხორგუანი;**
კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების კვლევის ცენტრის დირექტორი **გ.ხუციშვილი;**
ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი **ზ. შენგელია;**
საზოგადოებრივი პროგრამების ფონდის თავმჯდომარე **მ. ახალაია;**
ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს თანამშრომელი **ბ. სალია;**
მეცნიერმუშაკი **ნ. ფოფხაძე;**
საქართველოს ეროვნული აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობათა და ეროვნული ცენტრის ხელმძღვენელი **თ. გუგეშაშვილი;**
ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს კომიტეტის კოორდინატორი **ა. რუსეცკი;**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას პირველი თანაშემწე-სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია;**
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია;**
სპეციალისტები: **ვ. ქობალია, კ. თორია;**

დღის წესრიგი:

აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

სხდომის შესავალი სიტყვის გახსნისას საქართელოს სახალხო დამცველმა **ნ.დევდარიანმა** ისაუბრა აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დაცვაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ, აფხაზეთის მოსახლეობის უფლებებისადმი ნაკლები ყურადღების გამო ბოლო პერიოდში საქართველოს პარლამენტში სახალხო დამცველის აპარატის მიმართ გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საკუთარი ინსტიტუტი ჰყავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკას. ამასთან თავის მხრივ საქართველოს სახალხო დამცველის ცენტრალური ოფისი ატარებს მნიშვნელოვან სამუშაოს აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოსავლენად. ნ. დევდარიანმა დააფიქსირა, რომ პროცესი დაწყებულია, მაგრამ არასაკმარისი დაფინასების გამო ის ნელა მიმდინარეობს, ასევე პრობლემას ართულებს ის გარემოება, რომ აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა

უფლებების დაცვა პირდაპირ არის დაკავშირებული აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან.

მოისმინეს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯომარის ვ. ყოლბაიას ინფორმაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დაცვას მდგომარეობის შესახებ. (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს: ვ. თორდიამ, გ.შარაძემ, ჯ. გამახარიამ, ბ. სალიამ, მ.ახალაიამ, ე. ნადირაძემ, მ. ანთაძემ, ე. ასტემიროვამ, ა. ლაცუზბაიამ, ნ.დევდარიანმა, ნ. მაისურაძემ, ა. იოსელიანმა, რ. გელანტიამ, ს. ხორგუანმა, ა. რუსეცკიმ, რ. კუხელაშვილმა, ნ. თოდუამ, რ. დგებუაძემ, თ. გუგეშაშვილმა, ნ. ფოფხაძემ, მ. ჩქოტუამ, ვ. ყოლბაიამ.

აღინიშნა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე პოსტკონფლიქტური პერიოდის მე-10 წლისათვზე კვლავ უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები. ხაზი გაესვა, რომ თვით უსაფრთხოების ზონაშიც, სადაც 1994 წლის ივნისიდან განლაგებულია დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალები, მდგომარეობა, ადამიანის ელემენტარული უფლებების დაცვის თვალსაზრისით, უმძიმესია.

საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ აფხაზეთის მთელ ტერტორიაზე, განსაკუთრებით კი ქართველებით დასახლებულ ადგილებში მიმდინარეობს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგებულ პირთა კუთვნილი ბინებისა და კერძო საკუთრების განსხვისება, სხვადასხვა ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გადაეცემათ სასტუმროები, სოციალური და სხვა ობიექტები.

აფხაზეთში განხორციელდა უძველესი ქართული კულტურის გენოციდი, მასობრივი და მიზანდასახული ხასიათი ჰქონდა კულტურის ძეგლების, სკოლების, სამეცნიერო და განათლების დაწესებულებების, სხვა ქართული ეროვნული ღირებულებების მიზნობრივ განადგურებასა და კვალის წაშლას. მასიურად შეცვალეს ტოპონიმები. აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე აიკრძალა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი . 1992 წლამდე იქ მოქმედი 235 ქართული და შერეული სკოლიდან ამჟამად ოფიციალურად არ მოქმედებს არც ერთი.

მიუხედავად საქართელოს ხელისუფლების, გაეროს, ეუთო-ს, დსთ-ის, სხვა საერთაშორისო ოგანიზაციების კატეგორიული მოთხოვნისა, აფხაზური მხარე კვლავ ეწინააღმდგება დევნილთა ორგანიზებულ დაბრუნებას აფხაზეთში შეიარაღებულ კონფლიქტამდე დემოგრაფიული ვითარების აღდგენას თუნდაც გალის რაიონში.

ხაზი გაესვა, რომ 1993 წლიდან გალის რაიონში "წესრიგის დასამყარებლად" სისტემატიურად ტარდება აფხაზეთის რაიონებიდან ჩასულთა მიერ რეიდები, ადგილი აქვს ადამიანთა მკვლელობებს, დამცირებას, გატაცებას, წამებას, გამოძალვას, საქონლის წართმევას,

ტერორს, ნარკომანიას, იარაღის ჟღარუნს, ტოტალურ განუკითხაობას; ითქვა, რომ ხშირად ირღვევა სამშვიდობო ძალების მანდატით გათვალისწინებული მოთხოვნა უსაფრთხოების ზონაში გარდა ტაბელურისა, სხვა სახის იარაღის და სამხედრო აღჭურვილობის შეტანის შესახებ. რაიონის დე-ფაქტო ადმინისტრაციისადმი ნდობის დეფიციტის გამო მოსახლეობა, როგორც წესი, არ მიმართავს მილიციას, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს. არ არსებობს სამართლიანი სასამართლო (სამართალწარმოება სრულდება ოჩამჩირის რაიონში რუსულ და აფხაზურ ენებზე), გალის რაიონის ადმინისტრაციული მმართველობას ძირითადად წარმოადგენენ ეთნიკური აფხაზები, ყოფილი ბოევიკები (იმ ვითარებაში, როდესაც რაიონის მოსახლეობის 98% ქართველებია).

მიუხედავად იმისა, რომ დროებითი საპარლამენტო კომისიისა და საქართველოს სახალხო დამცველის მხრიდან სხვადასხვა სტრუქტურის, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე არაერთგზის დაისვა საკითხი გალის რაიონში 2000 წლის 20-24 ნოემბრის გაეროსა და ეუთოს ერთობლივი შემფასებელი მისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შეუსრულებლობის შესახებ, მდგომარეობა იქ დღემდე უცვლელი რჩება.

ითქვა, რომ ხელისუფლების მხრიდან უნდა გააქტიურდეს კონსულტაციები გაეროში აღნიშნული სამშვიდობო ძალების საქმიანობის ტრანსფორმაციის მისაღწევად, უსაფრთხოების ზონის გასაფართოებლად, სამშვიდობო მოწესრიგების პროცესში სამოქალაქო კომპონენტის შემოსატანად.

გამოითქვა სერიოზული შეშფოთება, რომ საქართველოს სახელმწიფოს უკონტროლო ტერიტორიებზე (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) ჯერ კიდევ ძალაშია სამართლებრივი დევნის უმაღლესი ფორმა - სიკვდილით დასჯა. (განსხვავებით ცხინვალის რეგიონისა, სადაც გამოიხატა მზადყოფნა სიკვდილის დასჯაზე მორატორიუმის დასაწყებად).

ხაზი გაესვა, რომ შექმნილი მდგომარეობა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტებისაგან მეტ მომთხოვნელობასა და პრინციპულობას მოითხოვს. კერძოდ, ითქვა, რომ აუცილებელია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ერთობლივი მონაწილეობით შემუშავდეს და ამოქმედდეს აფხაზეთში, კონფლიქტის ზონაში ადამიანის უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებით ინფორმაციების ოპერატიული მოპოვების, მათზე რეაგირების კომპლექსური მექანიზმები, აღნიშნულ ღონისძიებებში საქართველოში გაეროსა და ეუთოს მისიების, დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდლობის, სოხუმში გაეროსა და ეუთოს ადამიანის უფლებათა ოფისის, წითელი ჯვრის საერთშორისო კომიტეტის, საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართვა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობის, ამგვარ მოვლენებზე მათი მხრიდან ადეკვატურ რეაგირების მიღწევის მიზნით

ხაზი გაესვა საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის პერიოდული ინფორმირების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე.

სხდომაზე ყურადღება დაეთმო აგრეთვე აფხაზეთიდან ლტოლვილთა და დევნილთა უფლებების დაცვის მდგომარეობას, ითქვა რომ ხშირ შემთხვევაში დევნილები სოციალურად საკმაოდ დაუცველნი არიან. ხაზი გაესვა მათი საბინაო პრობლემების გადაუწყვეტლობას, რიგ შემთხვევაში ჩასახლების ობიექტებიდან დევნილთა არაკანონიერი გამოსახლების ფაქტებს.

გამოიხატა შეშფოთება აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ითქვა, რომ აუცილებელია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ძალისხმევის მკვეთრი გააქტიურება და საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების მაქსიმალური მობილიზება პრობლემის გადასაწყვეტად.

ითქვა, რომ მცირეა დევნილთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვი.

ყურადღება გამახვილდა დევნილ ქალთა უფლებების დაცვის მდგომარეობაზე, სამშვიდობო პროცესებში მათი პოტენციალის უფრო სრულად გამოყენების შესაძლებლობაზე.

გამოითქვა მოსაზრება გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობასათვის სპეციალური სხდომის მიძღვნის მიზანშეწონილობაზე, აღნიშნულ საკითხზე საქართველოში საერთაშორისო კონფერენციის მოწვევისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების დაფიქსირების აუცილებლობაზე.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევის გააქტიურება საერთაშორისო თანამეგობრობისადმი აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე სრულყოფილი ინფორმაციების მიწოდებისა და მათგან ობიექტური შეფასებებისა და ადეკვატური რეაგირების მისაღწევად.

2. ეთხოვოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს,

ა) შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად გააძლიეროს საქმიანობა სოხუმის გაეროსა და ეუთო-ს ადამიანის უფლებათა ოფისის მუშაობის გააქტიურების მიღწევის აგრეთვე - აღნიშნული ოფისის გალის ფილიალის გახსნის დასაჩქარებლად;

ბ) გალის რაიონში 2002 წლის 20-24 ნოემბრის გაეროსა და ეუთო-ს ერთობლივი შემფასებელი მიერ შემუშავებული რეკომენდაციების სარეალიზაციოდ საერთაშორისო მექანიზმების ასამოქმედებლად.

3. ეთხოვოს საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს დასვას საკითხი შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ჟენევის მიმდინარე სამშვიდობო პროცესის ტრანფორმაციის, საკოორდინაციო საბჭოსა და მისი მუშა ჯგუფების განახლების, კონფლიქტის ზონაში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.

4. ეთხოვოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს განაგრძონ ძალისხმევა აფხაზეთში სახელმწიფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო განსხვისების მიმდინარე პროცესებზე საერთაშორისო თანამეგრობობის ინფორმირებისა და აღნიშნულ ფაქტებზე რეაგირების ეფექტური მექანიზმების შესამუშავებლად;

5. მოეწოდოს კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში ჩართულ არასამთავრობო, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებს აფხაზურ მხარესთან გამართულ მოლაპარაკებების დროს გაამახვილონ ყურადღება აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის ყოვლად დაუშვებელ ფაქტებზე, დევნილთა სოციალურ დაუცველობაზე და მდგომარეობის გამოსაწორებლად ურთიერთმისაღები საშუალებების ძიებაზე;

6. მიზანშეწონილად ჩაითვალოს აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ერთობლივ ღოისძიებათა გეგმის შემუშავება აფხაზეთის ტერტორიაზე ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის შექმნის, საქართველოს და მსოფლიო საზოგადოებრიობის, აგრეთვე - იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის გაძლიერების აუცილებლობის საკითხებზე.

კომისიის თავმჯდომარე საქართველოს სახალხო დამცველი

საქართველოს პარლამენტის ბიუროსა და აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის ერთობლივი სხდომის

ო ქ მ ი

№ 42 16 დეკემბერი 2002 წ.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ნ. ბურჯანაძე;**

ესწრებოდნენ: საქართველოს პარლამენტის ბიუროს წევრები: **ვ. ყოლბაია, გ. ლომინაძე, ი. გოგავა, ზ. ტყემალაძე, ნ. ამაღლობელი, თ. გაზდელიანი, დ.გიორხელიძე, ა. აბრალავა, ბ. ლაგვილავა, ნ. ნავაძე, გ. პაიჭაძე, რ. დოლიძე, ა. გოგელია, ი. მინდელი;**

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წევრები: **ა. ახვლედიანი, დ. გადელია, ჯ. გამახარია, გ. კალანდია, რ. ლორთქიფანიძე, ზ. მუკბანიანი, გ. სანიკიძე, ვ. მაღლაფერიძე, ვ. შამილაძე, გ. ჯოჯუა, გ.შარაძე**;

საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრები: **ა. გასვიანი, დ. გვაძაბია, დ. ჯაიანი, ვ. ჭანტურია, ო. ჭითანავა**;
საპარლამენტო ფრაქცია "ახალი აფხაზეთი-ქრისტიან დემოკრატები"-ის წევრები: **ჯ. ეზუგბაია, ა .მარშანია, ჯ. საჯაია, ა. ჯიქია, ა. წოწონავა, ა.ფენდერავა;**

საქართველოს პარლამენტის წევრები: **ლ. თედიაშვილი, ფ. ჩიხრაძე, რ.მიშველაძე, დ. კოლუაშვილი;**
საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი **მ. ცაცანაშვილი;**
საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი **ვ. ხაბურძანია;**
საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე;**
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **მ. ანთაძე;**
საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რ. გილიგაშვილი;**
საქართველოს ელჩი გაეროში **რ. ადამია;**
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამშვიდობო ძალების მთავარი სამხედრო კოორდინატორი **დ. ზურაბაშვილი;**
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე **გ. მჟავანაძე;**

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის უშიშროების საკითხთა სამსახურის უფროსი **დ. ბაქრაძე;**
საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **დ. გულუა;**
საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი **ა.გუდაღაშვილი;**
საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე **ე.თოფჩიევი;**
საქართველოს ეროვნული ბანკის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვ.ვახტანგიშვილი;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი **თ. ნადარეიშვილი;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ცაავა;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: **ე.ასტემიროვა, რ. დგებუაძე, მ. კვარაცხელია, თ. მჟავია, რ. ქარაია; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რ. გერგედავა;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები: **თ. ხუბუა, ბ. ნაყოფია, ნ.თოდუა, შ. წულეისკირი, პ. დავითაია, გ. ყურაშვილი;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. თორდია**;
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი **ა. ლაცუზბაია;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე **გ. ინალიშვილი;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქების მერები და რაიონების გამგებლები**: ხ. გუგუჩია, დ. კეკელია, ვ. ნაჭყებია, ე. თევდორაძე, გ.გოგშელიძე;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **ნ. გასვიანი;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობის დეპარტამენტის თავმჯდომარე **ნ. კვარაცხელია;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების ხელმძღვანელები**: მ. პატარაია, ზ. პაპასქირი, გ. მეშველიანი;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. თევზაია;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველი **მ. ჩქოტუა;**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ.ყოლბაიას პირველი თანაშემწე-სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია**;
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია**;

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტები **ვ. ქობალია, კ. თორია;**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

"აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ" და "აფხაზეთში სახელმწიფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

სხდომა შესავალი სიტყვით გასხნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **ნ. ბურჯანაძემ.**

მოისმინეს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარის ვ. ყოლბაიას ინფორმაცია "აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ" და "აფხაზეთში სახელმწიფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.
(თან ერთვის)

ინფორმაციებით გამოვიდნენ: საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე,** გაეროში საქართველოს ელჩი **რ. ადამია.**

აზრი გამოთქვეს: კ. კემულარიამ, რ. მიშველაძემ, ჯ. ეზუგბაიამ, თ. ნადარეიშვილმა, ა. მარშანიამ.

აღინიშნა, რომ "აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ" და "აფხაზეთში სახელმწიფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილებების შესასრულებლად საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან გატარებული გარკვეული მუშაობის მიუხედავდ აღნიშნული დადგენილებების რიგი ძირითადი მუხლი დღემდე შეუსრულებელი დარჩა.

ითქვა, რომ ვერ მოხერხდა აფხაზურ მხარესთან თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ე.წ. ბოდენის დოკუმენტთან დაკავშირებით პოლიტიკური დიალოგის დაწყება. ხაზი გაესვა, რომ

აღნიშნული პროცესის დაწყებას სერიოზულად აფერხებს რუსეთის მხრიდან არათანმიმდევრული პოზიცია და ორმაგი სტანდარტების პოლიტიკის გატარება. ყოველივე ეს სხვა გარეშე ფაქტორებთან ერთად ხელს უშლის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის ჩიხიდან გამოყვანას.

აღინიშნა, რომ განვლილ პერიოდში ვერ მოხერხდა რუსეთის სამშვიდობო ძალების საერთაშორისო კონტიგენტით ჩანაცვლება და ისინი დღემდე ასრულებენ სამშვიდობო ძალების ფუნქციებს. ამასთან, არ შესრულდა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების მიერ დსთ-ის ბოლო სამიტზე მიღწეული შეთანხმება რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის შეცვლისა და უსაფრთხოები ზონის გაფართოების შესახებ.

ყურადღება გამახვილდა, აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობის, მათი მხრიდან ამგვარ მოვლენებზე ადეკვატური რეაგირების მიღწევის აუცილებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ დროებითი კომისიის მხრიდან სხვადასხვა სტუქტურის, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე არაერთგზის დაისვა საკითხი გალის რაიონში 2000 წლის 20-24 ნოემბერს გაეროსა და ეუთოს ერთობლივი შემფასებელი მისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შეუსრულებლობის შესახებ, მდგომარეობა იქ დღემდე უცვლელი რჩება.

ითქვა, რომ ხელისუფლების მხრიდან უნდა გააქტიურდეს კონსულტაციები გაეროში რუსეთის სამშვიდობო ძალების საქმიანობის ტრანსფორმაციის მისაღწევად.

სხდომაზე ხაზი გაესვა, რომ ეუთოს სტამბოლის 1999 წლის შეთანხმება გუდაუთის სამხედრო ბაზის დახურვის შესახებ დღემდე ბოლომდე შესრულებული არ არის და საჭიროა მაქსიმალური საერთაშორისო ძალისხმევის მიღწევა პრობლემის გადასაჭრელად.

ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ არსებული ინფორმაციების თანახმად გრძელდება რუსეთის მხრიდან აფხაზური მხარისათვის იარაღის მიწოდება, ითქვა, - მიუხედავად იმისა, რომ გაეროს მისიის პატრულირებისას ჯერ-ჯერობით არ დასტურდება აფხაზეთში რუსული იარაღის, ტექნიკისა და სამხედროთა კონცენტრაციის ფაქტები, აღნიშნული პრობლემა საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მუდმივი ყურადღების ქვეშ უნდა დარჩეს.

გაეროში საქართველოს ელჩმა რ. ადამიამ ხაზი გაუსვა ამ ეტაპზე აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგების უალტერნატივობას, ვინაიდან ყველა რესურსი მისი მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისათვის ჯერ კიდევ ბოლომდე ამოწურული არ არის. ხაზი გაესვა გაეროს უშიშროების საბჭოს მხრიდან ე.წ. ბოდენის დოკუმენტის ოფიციალური მხარდაჭერის მიღწევის მნიშვნელობას ამ დოკუმენტისათვის სტატუსის ამაღლების მიზნით.

პარლამენტის ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის, (აფხაზეთში სეპარატისტული ხელისუფლების მიერ მშვიდობიანი

მოსახლეობის მიმართ 1992 წლიდან განხორციელებული დანაშაულობებეის თაობაზე საქართველოს პროკურატურის მიერ გამოძიებული მასალების სასამართლო ორგანოებში გადაცემა და სამართლებრივი დევნის დაწყება) შეუსრულებლობის მოტივაციასთან დაკავშირებით (სამშვიდობო მოალაპარაკებებისათვის ზიანის მიყენების საფრთხის მოტივით ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნების გამოუვლენლობა) სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარის ვ. ყოლბაიას მიერ დაისვა საკითხი აღნიშნულ პრობლემაზე დაინტერესებულ სტრუქტურათა წარმომდგენლების მონაწილეობით სპეციალური მსჯელობისა და ყველა ასპექტის გათვალისწინებით კონსენსუნსის, დროებითი ტიპის გადაწყვეტილების მიღების ან შესრულებაზე მორატორიუმის დადგენის შესახებ.

“აფხაზეთში სახელმწიფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ” საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილებასთან დაკავშირებით კვლავ გამოიხატა შეშფოთება აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმიწფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადაგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ითქვა, რომ აუცილებელია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ძალისხმევის მკვეთრი გააქტიურება და საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების მაქსიმალური მობილიზება პრობლემის გადასაწყვეტად.

საქართველოს ელჩმა გაეროში რ. ადამიამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საქართველოს პარლამენტმა უნდა დააჩქაროს პროცედურები ტერორიზმთან დაკავშირებით სამართლებრივი დევნის საკითხებზე გაეროს მიერ უკანასკნელ პერიოდში მიღებულ 5 კონვენციასთან მიერთების შესახებ დადგენილებების მისაღებად. (ითქვა, რომ აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ გაეროს მიერ მიღებული 11 კონვენციიდან საქართველო მიუერთდა 6-ს). მანვე აღნიშნა, რომ მიმდინარეობს კონსულტაციები მეგობარი ქვეყნების ჯგუფის მაღალი დონის წარმომადგენელთა შეხვედრის ორგანიზაციისათვის საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის მოსამზადებელ წინა ეტაპად. ასევე მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან გაეროს 2003 წლის 31 იანვრის სხდომაზე აფხაზეთის საკითხის განხილვსათან დაკავშირებით.

საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მ. კაკაბაძის მიერ აღინიშნა, რომ აფხაზეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის სტატუსის მინიჭება, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევა ევროპული სტრუქტურების მხრიდან სპეციალური განხილვის საგანი გახდა (ევროსაბჭოს სპეციალური კომიტეტის სხდომა) აღნიშნულთან მიმართებაში გაგრძელდება აქტიური მუშაობა ამ ფაქტებისათვის სამართლებრივი შეფასების მისაცემად. ითქვა, რომ “აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ”

საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილების მე-11 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც ეხება კულტურულ ფასეულობათა დაცვის, შენარჩუნებისა და აღდგენის საკითხებს, მომავალი წლის გაზაფხულზე ჩამოვლენ იუნესკო-სა და ევროსაბჭოს წარმომადგენელები. აღნიშნულის თაობაზე მიღწეულია შეთანხმება აფხაზურ მხარესთანაც.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თ. ნადარეიშვილის აზრით სამშვიდობო მოლაპარაკებები ღრმა ჩიხშია შესული და მათ გაგრძელებას არავითარი აზრი არა აქვს. მან კვლავ განაცხადა, რომ კონფლიქტის მოწესრიგების ერთად-ერთი გზა გაეროს მე-7 თავის ამოქმედებაა, რაც ითვალისწინებს იძულებას მშვიდობისათვის.

ფრაქცია "ახალი აფხაზეთი - ქრისტიან დემოკრატები"-ის წევრის ა. მარშანიას აზრით კონფლიქტის მოწესრიგების ერთად-ერთი გზა მშვიდობიანი მოლაპარაკებებია. მან კატეგორიულად არ გაიზიარა წინა გამომსვლელის პოზიცია და ბრალი დასდო მას სახალხო დიპლომატიის განვითარებისათვის ხელის შეშლაში. იმავდროულად, ა. მარშანიამ აღნიშნა, რომ პრინციპულად ეწინააღმდეგება სარკინიგზო მაგისტრალის გახსნას ქართული მხარისათვის ხელშესახები პირობებისა და გარანტიების მიუღებლად.

საქართველოს პარლამენტის წევრის ჯ. ეზუგბაიას (ფრაქცია "ახალი აფხაზეთი - ქრისტიან დემოკრატები") განცხადებით საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია კონსტიტუციის თანახმად რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადის გაგრძელების საკითხი განსახილველად შემოიტანოს პარლამენტში.

სხდომის მუშაობის შეჯამებისას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნ. ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საქართველოს პარლამენტის აღნიშნული დადგენილებების შესასრულებლად გაწეული მუშაობა არადამაკმაყოფილებელია და ის უნდა გაგრძელდეს. ხაზი გაესვა, რომ "აფხაზკთის კონფლიქტის მოგვარების ძირითადი მიმართულებების შესახებ" აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის მიერ მომზადებული კონცეფციის განხილვა აღმასრულებელ ხელისუფლებაში 3 თვეზე მეტია მიმდინარეობს. აღმასრულებელი ხელისუფლების ყერადღება გამახვილდა აგრეთვე ზამთრის პერიოდში დევნილთა სოციალური და ყოფითი პირობებისათვის მეტი ყურადღების მიპყრობის აუცილებლობაზე.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული რომ, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატთან შეიქმნა აფხაზეთის პრობლემებზე მომუშავე მაკოორდინირებელი სტრუქტურა - მუდმივმოქმედი ჯგუფი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

2. “აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ” და “აფხაზეთში სახელმწიფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ” საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილებების შესასრულებლად საქართველოს აღმასრულებელი ხელისულების მიერ გაწეული მუშაობა ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად.

3. იმასთან დაკავშირებთ, რომ ძირითადად არ შესრულდა “აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ” საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილების მე-2, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, ასევე მე-13 ა,ბ,დ,ე მუხლების, აგრეთვე - “აფხაზეთში სახელმწიფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ” დადგენილების მოთხოვნები, მიეცეთ რეკომენდაცია შესაბამის სახელმწიფო უწყებებს განაგრძონ მუშაობა მათი განხორციელების უზრუნველსაყოფად.

4. რეკომენდაცია მიეცეთ პარლამენტის კომიტეტებს:

ა) “აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ” და “აფხაზეთში სახელმწიფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ” საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილებების მოთხოვნათა და აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე საპარლამენტო კონტროლის გაძლიერების მიზნით კომიტეტის სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელთა ინფორმაციები;

ბ) უზრუნველყონ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებზე სამართლებრივი დევნის განხორციელების ღონისძიებათა თაობაზე გაეროს კონვენციებთან საქართველოს მისაერთებლად პარლამენტის შესაბამისი დადგენილებების ოპერატიული მიღება.

.

5. მიზანშეწონილად ჩაითვალოს კომიტეტების მიერ წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით პარლამენტის ბიუროს სხდომებზე ზემოაღნიშნული დადგენილებების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ შესაბამისის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ინფორმაციების მოსმენის უზრუნველყოფა.

6. ეთხოვოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს:

ა) 2003 წლის 10 იანვრამდე წარმოადგინოს "აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ძირითადი მიმართულებების შესახებ" საქართველოს პარლამენტის დადშენილების პროექტზე შენიშვნები და წინადადებები;

ბ) შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელთა მონაწილეობით განიხილოს საქართველოს პროკურატურის მიერ აფხაზეთში კონფლიქტის ინსპირაციაში, გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაში მხილებულ პირთა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, აგრეთვე, განურჩევლად ეროვნებისა, იმ პირთა სამართლებრივი დევნის საკითხის ამ ეტაპზე (სამშვიდობო მოლაპარაკებებისათვის ზიანის მიყენების საფრთხის გათვალისწინებით) გადაწყვეტის მიზანშეწონილობა, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული.

გ) პრინციპულად დაისვას საკითხი მოლაპარაკებათა პროცესში აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელთა, როგორც მხარის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ასევე, საქართელოს დელეგაციის შემადგენლობის მიმართ სელექციის ფაქტების აღსაკვეთად.

7. ეთხოვოს აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას მსოფლიოში ამჟამად არსებული ახალი ვითარების, კონფლიქტის მოწესრიგებაში მოსალოდნელი პოზიტიური ცვლილებების გათვალისწინებით გააძლიეროს ძალისხმევა მათი კომპეტენციის ფარგლებში ახალი წინადადებების შესამუშავებლად;

8. ეთხოვოს საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს განიხლოს ჟენევის ფორმატით მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებების ტრანსფორმაციის საკითხი, საკოორდინაციო საბჭოსა და მისი მუშა ჯგუფების განახლების, კონფლიქტის ზონაში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნის წინადადებები, უახლოეს პერიოდში ადამიანის უფლებათა სოხუმის ოფისის საქმიანობის ძირეული გააქტიურების მიღწევლობისა და გალის რაიონში მისი ფილიალის გახსნის საკითხის შემდგომი გაჭიანურების შემთხვევაში განხლულ იქნეს საკითხი აღნიშნული მისიის სოხუმში ფუნქციონირების მიზანშეუწონ-ლობის თაობაზე;

9. რეკომენდაცია მიეცეს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის შესაბამის სამსახურებს (ა.ზოიძე) აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებასა და რეგიონებში ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად გააძლიერონ მუშაობა მკაცრი ზამთრის პირობებში დევნილთა ყოფითი პირობების დაცვის დამატებითი ღონისძიებების გასატარებლად.

10. რეკომენდაცია მიეცეს საქართველოს პარლამენტს 2003 წლის საგაზაფხულო (თებერვალ-მარტი) სხდომაზე განიხილოს "აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ძირითადი მიმართულებების შესახებ" კონცეფცია.

11. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს:

- "აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ" და "აფხაზეთში სახელმწიფო ქონებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების უზრუნველსაყოფად აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის გაძლიერება, მთავრობისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებზე მათი ინფორმაციებისა და ანგარიშების მოსმენა.

12. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულების კონტროლი დაევალოთ საქართველოს პარლამენტის ბიუროსა და აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ დროებით კომისიას.

საქართველოს პარლამენტის კომისიის თავმჯდომარე
თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისა და აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სხდომის ოქმი

№ 44 12 მარტი 2003 წ.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე
ვ. ყოლბაია.

სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე **ზ. მუკბანიანი,** კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები **გ. შულაროვი და ჰ. ჭიპაშვილი,** საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისა და აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წევრები: **ჯ. გამახარია, დ. გეგეგშიძე, თ.პაატაშვილი, კ. კემულარია, ვ. კვარაცხელია, რ. ლორთქიფანიძე, ვ.**

შამილაძე, გ. ჯოჯუა, საპარლამენტო ფრაქციების "აფხაზეთი", "ახალი აფხაზეთი - ქრისტიან დემოკრატები", "ტრადიციონალისტი"-ს წევრები: **ა.წოწონავა, ჯ. ეზუგბაია, ბ. ლაგვილავა, ა. მარშანია, ვ. ქარსელაძე, ა.შალამბერიძე.**

საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე,** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **მ. ანთაძე**;

დღის წესრიგი:

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მ. ანთაძის ინფორმაცია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვ. პუტინისა და საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის 2003 წლის 6-7 მარტის სოჭის შეხვედრის შემაჯამებელ განცხადებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის **მ. ანთაძის** ინფორმაცია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვ. პუტინისა საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის 2003 წლის 6-7 მარტის სოჭის შეხვედრის შემაჯამებელ განცხადებასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ჯ. გამახარიამ, კ. კემულარიამ, ვ. კვარაცხელიამ, გ. შუღაროვმა, რ. ლორთქიფანიძემ, ა. მარშანიამ, ვ. შამილაძემ, მ. კაკაბაძემ, ზ. მუკბანიანმა, ჰ. ჭიპაშვილმა, ყ. ყოლბაიამ.

აღინიშნა, ამჟამად არსებული ჩიხური მდგომარეობის ფონზე საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვ.პუტინის 6-7 მარტის შეხვედრების შემაჯამებელი განცხადების მნიშვნელობა აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში.

ხაზი გაესვა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების ძალისხმევის გაერთიანების აუცილებლობას აღნიშნული განცხადებით გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზაციისათვის. კერძოდ, აღინიშნა, რომ შესაბამისი მექანიზმებისა და სათანადო კოტროლის სისტემის შეუმუშავებლობის შედეგი გახდა დსთ-ს ქვეყნების მოსკოვის 1997 წლის 28 მარტისა და 1998 წლის 28 მარტის საკმაოდ პოზიტიურ გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის მიზეზი, რაც ამჯერად თავიდან უნდა იქნეს აცილებული. ითქვა, რომ განცხადება არ გამორიცხავს ჟენევის პროცესის ფარგლებში მიმდინარე წლის 19-20 თებერვალს ჟენევაში გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის ჟან-მარი გიენოს ხელმძღვანელობით გამართულ მეგობარი ქვეყნების (აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი) წარმომადგენელთა შეხვედრაზე მიღებულ გადაწყვეტილებას კონფლიქტის მოგვარების წარმართვას სამი

პრიორიტეტული თანასწორი სამოქმედო მიმართულებით (დევნილთა ღირსეული დაბრუნება აფხაზეთში; სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება აფხაზეთში; აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა). პირიქით, მან უნდა შეიძინოს ახალი იმპულსი.

საუბარი შეეხო დევნილთა პირველ ეტაპზე გალის რაიონში (ძველ საზღვრებში) დაბრუნების, სოჭი-თბილისის მარშრუტზე გამჭოლი სარკინიგზო მიმოსვლის გახსნის, რკინიგზაზე უსაფრთხოების დაცვის, კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბლიტაციის, ენგრუჰესის კასკადის მოდერინაზაციისა განცხადებაში გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების შესრულების უზრუნველსაყოფად ქმედითი მექანიზმების შემუშავების, სამუშაო ჯგუფების დაკმომპლექტების, მათი შესრულების კონტროლის უზრუნველმყოფი მექანიზმების შექმნას, საჯაროობის უზრუნველყოფას.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დევნილთა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების უსაფრთხოების პირობების შექმნაზე, დსთ-ს ეგიდით რუმეთის სამშვიდობო ძალების როლზე, მანდატში შესაძლო ცვლილებების შეტანის საკითხზე, გალის რაიონში სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების, საცხოვრებელი სახლების აღრიცხვის, გალის რაიონში დროებითი ადმინისტრაციის შექმნის, დაბრუნებული მოსახლეობის სტატუსისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

აღინიშნა, რომ აღმასრულებელი სტრუქტურებთან ერთად სამუშაო ჯგუფებში აქტიურად უნდა იქნენ ჩართულნი საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებიც, განსაკუთრებით ისინი, ვინც მუშაობს აფხაზეთის პრობლემატიკაზე.

პარლამენტარების ჰ. ჭიპაშვილისა და კ. კემულარიას მიერ პოზიტიურად იქნა შეფასებული ბრიტანული ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" (კოორდინატორი ჯ. კოენი) მიერ ორგანიზებული ქართული და აფხაზური მხარის წარმომადგენელთა შეხვედრები.

გამოითქვა მოსაზრება, რომ საქმისათვის სასარგებლო იქნებოდა ბოლო პერიოდში სხვადასხვა ხაზით (მათ შორის, "შლაინინგის" პროცესი) მიმდინარე ქართულ-აფხაზური შეხვედრების მონაწილე ქართველ პარლამენტართა ინფორმაციების ურთიერთგაცვლა აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ დროებით კომისიაში.

ითქვა, რომ ასევე სასარგებლო იქნებოდა განცხადებაში დეკლარირებულ ღონისძიებათა რეალიზაციისათვის ხელშეწყობის მიზნით რუსეთის სახელმწიფო დუმაში ქართველ პარლამენტართა მივლინება. იმავდროულად, გამოიხატა ეჭვიც მოლაპარაკებათა პროცესში რუსეთის როლთან დაკავშირებით, კერძოდ გამოითქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული შეთანხმება რუსეთის მხრიდან მხოლოდ მორიგი დროის გაყვანის ტაქტიკაა და ის კვლავ შეეცდება საქართველოს მოტყუებას, რათა განაგრძოს მის მიმართ ფარული ანექსიის პოლიტიკა.

სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის **მ. ანთაძის** ინფორმაცია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვ. პუტინისა და საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის 2003 წლის 6-7 მარტის სოჭის შეხვედრის შემაჯამებელ განცხადებასთან დაკავშირებით.

2. აღინიშნოს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვ. პუტინისა და საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის 2003 წლის 6-7 მარტის სოჭის შეხვედრის შემაჯამებელ განცხადებაში გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზაციის მნიშვნელობა აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის ჩიხური მდგომარეობიდან გამოყვანის საქმეში.

3. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მ. ანთაძისა და საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მ. კაკაბაძის განცხადებები, რომ სამინისტროებში უკვე მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული განცხადების რეალიზაციის უზრუნველმყოფი კონკრეტული ღონისძიებების შესამუშავებლად, მათ შორის მიმართულებების მიხედვით სამუშაო ჯგუფების შესაქმნელად.

4. დაისვას საკითხი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წინაშე აღნიშნული განცხადებით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფების დაკომპლექტებისას გათვალისწინებულ იქნეს მათში საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის პრობლემატიკაზე მომუშავე პარლამენტართა ჩართვა.

5. ქ. სოჭში ა.წ. 6-7 მარტის შეხვედრის შემაჯამებელი განცხადების რეალიზაციის უზრუნველმყოფ ღონისძიებებთან ერთად მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების მუშაობის წარმართვა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში გაეროს მისიის როლის გაძლიერების, ევროპული სტრუქტურების უფრო აქტიური ჩართვისა და ჟენევის სამშვიდობო პროცესისათვის ახალი იმპულსის მისაცემად.

6. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ე.წ. შლაინინგის სამშვიდობო პროცესის მონაწილე პარლამენტართა (ა. ასათიანი, ჯ. გამახარია, კ. კემულარია, ჰ. ჭიპაშვილი) ინფორმაციების მოსმენა აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სხდომაზე.

7. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნ. ბურჯანაძეს:

- ა.წ. 6-7 მარტის სოჭის შემაჯამებელი განცხადების რეალიზაციისათვის ხელშეწყობის მიზნით უახლოეს პერიოდში დაიგეგმოს საქართველოს პარლამენტართა შეხვედრა რუს კოლეგებთან;

- მ.წ. აპრილში ჩატარდეს საპარლამენტო მოსმენა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხზე.

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული
საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის

ოქმი

№ 43 5 მარტი 2003 წ.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია.**

სხდომას ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები: **გ. ბოლოთაშვილი, დ. გადელია, გ. კალანდია, ვ. შამილაძე, ჯ. გამახარია, რ. ლორთქიფანიძე, გ. ჯოჯუა, ზ. მუკბანიანი, კ. კემულარია.** საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთი"-ს თავმჯდომარე **გ. ლომინაძე,** ფრაქციის წევრები: **ა. გასვიანი, გ. გვაზავა, დ .გვაძაბია, დ. ჯაიანი;** საპარლამენტო ფრაქცია "ახალი აფხაზეთი - ქრისტიან-დემოკრატები"-ს წევრები: **ჯ. ეზუგბაია, ჯ. საჯაია, ვ. ქარსელაძე, ა. წოწონავა;**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი **თ. ნადარეიშვილი,**

გაეროს მისიის ხელმძღვანელი საქართველოში **ჰ. ტალიავინი**, მისიის თანამშრომელი **მ. ჩუჩუკი**;

საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე,** საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის საგარეო-პოლიტიკური უსაფრთხოებისა და კონფლიქტების პრობლემატიკის

დეპარტამენტის დირექტორი **დ. ბაქრაძე,** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეროს სამმართველოს უფროსი **ბ. დვალი**,

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები **თ. მჟავია, ე. ასტემიროვა, რ. ქარაია, ზ. ჯგუბურია;**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ცანავა,** ინფორმაციის მინისტრი **თ. ხუბუა,** იუსტიციის მინისტრი **პ. დავითაია**, შინაგან საქმეთა მინისტრი **გ. ყურაშვილი,** სოციალური დაცვის მინისტრი **შ. წულეისკირი,** ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი **ნ. თოდუა,** უშიშროების მინისტრის მოადგილე **ვ. მისელიძე,** კულტურის მინისტრის მოადგილე **ს. სხულუხია**, ინფორმაციის მინისტრის მოადგილე **ზ. კოკაია**; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატიკის დეპარტამენტის უფროსი **ნ. ბლუაშვილი,** კავშირგაბმულობის დეპარატამენტის უფროსი **ნ. კვარაცხელია,** ტურიზმის დეპარატამენტის უფროსი **გ. მეშველიანი;**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და რაიონების გამგებლები: **დ. კეკელია, მ. ჭედია, ხ. გუგუჩია, ი. არქანია, ა.თევდორაძე;**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას პირველი თანაშემწე, სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია**;

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია,** სპეციალისტები: **ვ.ქობალია, კ. თორია.**

დღის წესრიგი:

აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოსაწესრიგებლად მიმდინარე მუშაობის შესახებ გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჰ. ტალიავინის ინფორმაცია

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარემ **ვ. ყოლბაიამ.**

აღინიშნა, რომ ქვეყნის ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, მეგობარი ქვეყნების ჯგუფის ძალისხმევის მიუხედავად კონფლიქტის მოწესრიგება აფხაზეთში კვლავ სტაგნაციის მდგომარეობაშია. შეწყვეტილია ჟენევის პროცესი, ვერ ხერხდება მხარეთა მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა, გადაუჭრელია დევნილთა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში (თუნდაც პირველ ეტაპზე გალის რაიონში), ორგანიზებული და უსაფრთხო დაბრუნების პროცესის დაწყება. აფხაზეთში გრძელდება ეთნიკური ნიშნით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უხეში ხელყოფის ფაქტები, ვერ მოხერხდა გალში ადამიანის უფლებათა სოხუმის

ოფისის ფილიალის გახსნა, დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ტრანსფორმაცია ან მათი ჩანაცვლება.

ხაზი გაესვა, რომ კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში გარკვეული ახალი ელემენტების გაჩენას (მათ შორის, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფში შემავალი სახელმწიფოების მიერ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში პირადი წარმომადგენლის ინსტიტუტის შემოღება, რომელთაც ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე გარკვეული ძალისხმევის შემთხვევაში შეუძლიათ განაპირობონ კონფლიქტის მოგვარების პროცესის ინტენსიფიკაცია.

იმავდროულად აღინიშნა, რომ, გაერო, ევროპული სტრუქტურები უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ კავკასიის რეგიონის მოვლენებში, რათა ახალი ბიძგი მისცენ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილიზაციის პროცესებს.

კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში რუსეთის განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით ჯეროვანი შეფასება მიეცა 28 იანვარს კიევში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების ე. შევარდნაძისა და ვ. პუტინის შეხვედრას. ითქვა, რომ ქართული მხარე გარკვეულ იმედებს ამყარებს სოჭში 7 მარტს დაგეგმილ ორი ქვეყნის პრეზიდენტის შეხვედრაზეც.

აღინიშნა საპარლამენტო დელეგაციების საქმიანობის გააქტიურება კონფლიქტის მოგვარების საკითხებში. კერძოდ,- იანვარში, სტრასბურგში, ევროსაბჭოს პლენარულ და საგანგებო სხდომებზე, თებერვალში - ვენაში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ქალბატონ ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით საპარლამენტო დელეგაციის მონაწილეობა, აფხაზეთის პრობლემებზე გამართული პრინციპული დისკუსიები მისივე თავმჯდომარეობით რუსეთში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ოფიციალური ვიზიტის დროს, მარტის დასაწყისში - საქართველოში ევროპარლამენტის საქართველო-აფხაზეთის სპეციალური კომისიის დელეგაციის ვიზიტი, ქალბატონ ურსულა შლაიხერის ხელმძღვანელობით და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საერთაშორისო ორგანიზაციების, პირველ რიგში - გაეროს, ეუთოს მხრიდან ობიექტური შეფასებების მიცემის აუცილებლობაზე შუამავალი მხარის - რუსეთის ქმედებებისადმი, რომელიც არის საქართველოს საშინაო საქმეებში დაუფარავი ჩარევა, (საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღების ფონზე სეპარატისტული მისწრაფებების რეგიონებში უვიზო რეჟიმის შემოღება, იქ დარჩენილი საქართველოს მოქალაქეებისათვის მასობრივად რუსეთის მოქალაქეობის სტატუსის მიცემა, ასევე საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად სოჭსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, აფხაზეთში განლაგებული უძრავი ქონების (სანატორიუმები, პანსიონატები, დასასვენებელი სახლები, ტურბაზები, სამრეწველო საწარმოები და აშ.) ყიდვა-გაყიდვისა და ხანგრძლივი იჯარით გადაცემის შეუფერხებლად

მიმდინარე პროცესები, რაშიც აქტიურად მონაწილეობენ ძირითადად რუსეთის ფედერაციის იურიდიული პირები და ცალკეული მოქალაქენი; დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა ალმატის 1995 წლის 10 თებერვლისა და მოსკოვის 1996 წლის 19 იანვრის სამიტებზე სეპარატისტული რეჟიმების იზოლაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების იგნორირება რუსეთის ხელისუფლების მხრიდან და სხვა.

აღინიშნა, რომ დსთ-ს სამიტის 1996 წლის 19 იანვრის მიმართვა გაეროსადმი სეაპარატისტული რეჟიმის საერთაშორისო იზოლაციის განხორციელების თაობაზე, რეაგირების გარეშე დარჩა.

ხაზი გასევა, რომ არსებული მანდატით რუსეთის სამშვიდობო ძალებმა სრულად ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობები და ამ ფორმითა და სტატუსით კონფლიქტის ზონაში მათი დარჩენა მიზანშეუწონელია. ითქვა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ, კონფლიქტის მოწესრიგებაში ჩართულმა ყველა მხარემ, მათ შორის ქვეყნის აღმასრულებელმა ხელისუფლებამაც აქედანვე უნდა მიიღონ ზომები, რათა დარჩენილ ოთხ თვეში მომზადდეს ყველა პირობა სამშვიდობო ძალების მოქმედების ტრანსფორმირებისათვის. აღნიშნა ისიც, რომ გაეროს სამხედრო დამკვირვებლების უსაფრთხოება პირდაპირ არ უნდა მიებას რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტის დარჩენის საკითხს კონფლიქტის ზონაში, რაც ქართულ მხარეს უბიძგებს პერმანენტული დათმობებისაკენ.

ხაზი გაესვა, რომ კომისია მხარს უჭერს ყველა ინიციატივას სამშვიდობო მოლაპარაკებების ფართო სპექტრით წარმართვისათვის, მასში არასამთავრობო ორგანიზაციების ფართოდ ჩაბმას და გარკვეულ პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამს ამისათვის. კომისია მიესალმება მხარეთა შორის ნდობის აღდგენის მიზნით მიმართულ ღონისძიებებს, მთ შორის "შლაინინგის" პროცესსაც, ამასთან თვლის, რომ საჭიროა ამ მიმართულებით მიმდინარე მუშაობის გარკვეული ანალიზის ჩატარება, რათა შეხვედრები მხოლოდ შეხვედრებისათვის არ მოეწყოს, რაც თანხებისა და დროის ფუჭად ხარჯვაა. კოორდინაციას საჭიროებს აფხაზეთში საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვადასხვა სახელმწიფოთა კერძო პირების შესვლა, ეკონომიკური თუ ჰუმანიტარული საქმიანობა.

ითქვა, რომ ბლოკადას ადგილი პრაქტიკულად აფხაზეთში არა აქვს. რაც შეეხება რკინიგზისა და სხვა სატრანსპორტო კომუნიკაციების აღდგენას, ქართული მხარე გამოხატავს მზადყოფნას დევნილთა დაბრუნების პროცესის პარალელურად კომუნიკაციების აღსადგენად.

f. **მოისმინეს:** აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოსაწესრიგებლად მიმდინარე მუშაობის შესახებ საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის **ჰ. ტალიავინის** ინფორმაცია.

აღინიშნა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით, განვლილი ორი თვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად განხილულ უნდა იქნეს

გაეროს უშიშროების საბჭოს 30 იანვრის რეზოლუციის შესაბამისად, 19-20 თებერვალს ჟენევაში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის ინიციატივით გამართული მეგობარი ქვეყნების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, რუსეთის ფედერაცია) წარმომადგენელთა შეხვედრა. ითქვა, რომ შეხვედრაზე გადაწყდა კონფლიქტის მოსაგვარებლად უფრო აქტიური მოქმედებების განხორციელება, შედგენილ იქნა სამოქმედო პროგრამა, ივნისის თვეში მოხდება ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის გაანალიზება. მიღწეულ იქნა შეთანხმება კომისიის შექმნაზე, რომელიც სამი მიმართულებით იმუშავებს: **1. დევნილთა ღირსეული დაბრუნება აფხაზეთში; 2. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება აფხაზეთში; 3. აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა.**

ითქვა, რომ ყველა ეს საკითხი კომპლექსურ გადაწყვეტას მოითხოვს. უნდა შედგეს დევნილთა დაბრუნების გრაფიკი, შემუშავდეს უსაფრთხოების გარანტიები, ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები, პირველ ეტაპად გალის რაიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის საკითხები და ა.შ.

საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის პირად წარმომადგენელს, დაევალა მუშაობა სამივე ამ მიმართულებით ორგანიზაცია, ამათან აღინიშნა, რომ საკითხები, როგორც წესი, ორივე მხარესთან უნდა იქნეს შეთანხმებული.

ითქვა, რომ 3 მარტს სოხუმში გამართული შეხვედრების დროს ეს წინადადებები წარედგინა აფხაზურ მხარეს. მათ ცალსახად განემარატა მსოფლიო თანამეგობრობის პოზიცია აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით. გაეროს მისიას აფხაზური მხარისაგან ოფიციალურ პასუხი ჯერ არ მიუღია.

აზრი გამოთქვეს: მ. კაკაბაძემ, დ. ბაქრაძემ, ჯ. გამახარიამ, გ. ჯოჯუამ, ვ. შამილაძემ, თ. ნადარეიშვილმა, გ. ლომინაძემ, თ. ხუბუამ, თ. მჟავიამ, ე. ასტემიროვამ და სხვებმა.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების მიმდინარე ეტაპის შესახებ საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის **ჰ. ტალიავინის** ინფორმაიცია.

2. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის საგარეო-პოლიტიკური უსაფრთხოებისა და კონფლიქტების პრობლემატიკის დეპარტამენტის დირექტორის **დ. ბაქრაძის,** განცხადება, რომ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატთან შექმნილ აფხაზეთის პრობლემებზე მომუშავე მაკოორდინირებელ სტრუქტურაში (უწყებათშორისი ჯგუფი) დასასრულს

უახლოვდება აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების კომპლექსური გეგემის შედგენა.

3. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს პარლამენტის წევრის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის **თ.ნადარეიშვილის** ინფორმაცია, რომ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე მოწონებული იქნა და გაეროში გაიგზავნა წინადადებები აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში მე-7 თავის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ასვე - უახლოეს დღეებში ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლში (რომის სტატუტი) წარდგენილი იქნება აფხაზეთში ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების მასლები.

4. ჩაითვალოს, რომ აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი ამ ეტაპზე ჩიხშია შესული და პრობლემის დარეგულირება ქვეყნის ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დამატებით ძალისხმევას საჭიროებს.

5. ეთხოვოს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში ქალბატონ ჰ. ტალიავინს:

- აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში გაეროს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წევრ სახელმწიფოთა სპეციალურ წარმომადგენელებთან მუშაობის კოორდინაცია და მათი ძალისხმევის მიმართვა სამშვიდობო პროცესის ინტენსიფიკაციისათვის, კერძოდ, ე.წ. ბოდენის დოკუმენტის განხილვისათვის მისაღებად და მოლაპარაკებების დასაწყებად აფხაზურ მხარეზე ზემოქმედების მექანიზმების შემუშავების უზრუნველსაყოფად;

- დსთ-ს ეგიდით კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების მხრიდან მანდატით გათვალისწინებული უფლებამოსილებების შემდგომი შეუსრულებლობის შემთხვევაში სამშვიდობო ოპერაციის ტრანსფორმაციისათვის გაეროს უშიშროების საბჭოსათვის შესაბამისი წინადადებების მიწოდება;

- მსოფლიოში მიმდინარე ანტიტერორისტული ძალისხმევის შესაბამისად აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების ახალი მიდგომების შემუშავება.

6. ეთხოვოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (ი. მენაღარიშვილი), საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს მ. კაკაბაძეს:

ა) გააააქტიურონ ძალისხმევა ეუთო-სთან ერთად გუდაუთაში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე უკონტროლო იარაღის მონიტორინგის ჩასატარებლად.

ბ) აფხაზეთში სახელმწიფო ქონების და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების გასხვისების მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების მაქსიმალური ყურადღების მიპყრობის უზრუნველყოფა და მათზე რეაგირების შესაძლო მექანიზმების ამუშავების მიღწევა.

გ) შესაბამისი წინადადებების მომზადება ჟენევის ფორმატით საკოორდინაციო საბჭოსთან არსებულ სამუშაო ჯგუფების შემადგენლობის განახლების, სპეციალური მუდმივმოქმედი სტრუქტურის შექმნის თაობაზე, რომელიც განიხილავს კონფლიქტის ზონაში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობას და ოპერატიულად უზრუნველყოფს ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირებას.

7. ეთხოვოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ბ-ნ ა. ჯორბენაძეს:

- დონორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან სპეციალური შეხვედრის გამართვა დევნილთა მძიმე სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით, ასევე, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მათ გადასაწყვეტად დამატებითი ღონისძიებების გატარება.

8. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნ. ბურჯანაძეს:

- აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის გაძლიერების მიღწევის მიზნით საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფში შემავალი ქვეყნების ელჩების მოწვევა და მათთან კონსულტაციების გამართვა;

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის

ოქმი

№ 45 15 მაისი 2003 წელი

სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია**;

ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წევრები: **ა. ახვლედიანი, გ. ბოლოთაშვილი, დ. გადელია, ჯ. გამახარია, გ. კალანდია, რ. ლორთქიფანიძე, ვ. მაღლაფერიძე, კ. შამილაძე, გ. შარაძე, გ. ჯოჯუა;**

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "აფხაზეთი"-ს თავმჯდომარე **გ.ლომინაძე,** ფრაქციის წევრები: **ა. გასვიანი, დ. გვაძაბია, გ. გვაზავა, დ. ჯაიანი, ვ. ჭანტურია;**

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "ახალი აფხაზეთი - ქრისტიან დემოკრატები"-ს წევრები**: მ. ბარამიძე, ჯ. ეზუგბაია, ა.მარშანია, ჯ. საჯაია**;

საქართველოს პარლამენტის წევრები: **რ. გვენცაძე, ო. მენაბდე, რ. რურუა;**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები**: ე. ასტემიროვა, მ. კვარაცხელია, რ. ქარაია,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმეთა მმართველი **ო. ჩარკვიანი;**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები: **მ. ხალაია, ი. ბოკუჩავა, ბ. გულუა, პ. ზაქარეიშვილი, რ. კუხალაშვილი, ი. ხაინდრავა, კ. ჟღენტი, ა. რუსეცკი, რ. კუპრავა, ვ. კეშელავა, ზ. პაპასკირი, ლ. გერაძე,გ. ანაჩაბაძე, გ. ძანაძავა, თ. ჩაჩიბაია, მ. ჩიქოვანი, რ. ჯანაშია, ჯ. უბირია, დ. ცირამუაა, მ .გაბუნია, გ. ქორიძე, გ. გაჩეჩილაძე;**

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე **ა. სიხარულიძე;** გალის რაიონის გამგებელი **მ. ჭედია,** სოხუმის რაიონის გამგებელი **დ.კეკელია;**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი თანაშემწე - სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია**; საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის აპარატის უფროსი **თ. ჭახრაკია**.

დღის წესრიგი:

1. სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თანხმობის დარბაზის, სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის (SCIRS) და ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის

საქართველოს ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების კონცეფციების განხილვა.

2. არასამთავრობო ორგანიზაცია "საზოგადოებრივი პროგრამების ფონდისა" და საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სადისკუსიო კლუბის "აფხაზეთი ერთიანი საქართველო"-ს შექმნის შესახებ.

f. **მოისმინეს:** სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თანხმობის დარბაზის თავმჯდომარის ბ. გულუას და სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის **(SCIRS)** და ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ორგანიზაციის კოორდინატორის ა. რუსეცკის ინფორმაციები აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების კონცეფციების შესახებ (კონცეფციები თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: გ. შარაძემ, ზ. პაპასკირმა, ა. მარშანიამ, ჯ. გამახარიამ, ა. გასვიანმა, ვ. ყოლბაიამ.
აღინიშნა წარმოდგენილი კონცეფციების და აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის მიერ შემუშავებული "აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ძირითადი მიმართულებების" მაღალი დონე და აქტუალობა, ამასთან ზოგიერთი გამოსვლელის **(ჯ. გამახარია)** მხრიდან ხაზი გაესვა, რომ მიუხედავად კონცეფციების მაღალი ხარისხისა, ქვეყანაში არ არსებობს აღმასრულებელი ხელისუფლების მტკიცე პოლიტიკური ნება მათ განსხორციელებლად და ამდენად, ისინი, როგორც ბევრი სხვა სასარგებლო წინადადება მხოლოდ ქაღალდზე დარჩება.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით სხდომამ **გადაწყვიტა:**

1. მოწონებულ იქნეს ძირითადად სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თანხმობის დარბაზის, სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის **(SCIRS)** და ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების კონცეფციები.

2. რეკომენდაცია მიეცეს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ძირითად მიმართულებებზე მომუშავე ჯგუფს სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თანხმობის დარბაზის, სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის **(SCIRS)** და ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კონცეფციების საყურადღებო წინადადებების და პოზიციების გათვალისწინება

“აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ძირითადი მიმართულებები”-ს პროექტში, რომელიც განხილული იქნება საქართველოს პარლამენტში.

ff. **მოისმინეს:** არასამთავრობო ორგანიზაცია “საზოგადოებრივი პროგრამების ფონდის” თავმჯდომარის **მ. ახალაიას** ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაცია “საზოგადოებრივი პროგრამების ფონდისა” და საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებუ-ლი დროებითი კომისიის სადისკუსიო კლუბის “აფხაზეთი-ერთიანი საქართველო”-ს შექმნის შესახებ.

აღინიშნა, რომ სადისკუსიო კლუბის შექმნის მიზანია აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში საზოგადოების, პოლიტიკოსთა, მეცნიერთა, საერთაშორისო ექსპერტთა წინადადებებისა და პროექტების პროფესიული განხილვა და პლურალიზმზე დაყრდნობით მათი შეჯერება - ერთიანი პლატფორმის ჩამოყალიბება. კლუბი იქნება სტუდიურ-სალონური ფორმატის. მისი საქმიანობა ფართოდ გაშუქდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ასევე სპგ-ის გაზეთში (“ჩვენი გაზეთი”) მას დაეთმობა სპეციალური ჩანართი. კლუბი იმუშავებს ქართული და უცხოური მედიის (როგორც ბეჭდვითი, ისე ელექტრონული) ანალიზზე, თავს მოუყრის სპეციალისტთა, საზოგადოების საყურადღებო წინადადებებს და პოზიციებს, მოიწვევს პრეს-კონფერენციებს, ჩაატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს, უზურუნველყოფს მასალების გავრცელებას ინტერნეტის ქსელით. საინტერესო და ყურადსაღები წინადადებები წარედგინება საქართველოს პარლამენტს, მთავრობას, პრეზიდენტს.

აზრი გამოთქვეს: ჯ. გამახარიამ, ა. მარშანიამ, ზ. პაპასკირმა, ვ. ყოლბაიამ.

სხდომამ გადაწყვიტა:

1. მხარი დაეჭიროს წინადადებას არასამთავრობო ორგანიზაცია “საზოგადოებრივი პროგრამების ფონდისა” და საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებუ-ლი დროებითი კომისიის სადისკუსიო კლუბის “აფხაზეთი-ერთიანი საქართველო”-ს შექმნის შესახებ.

2. დაევალოს აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის აპარატს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოსა და საზოგადოებრივი პროგრამების ფონდთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს სადისკუსიო კლუბის დებულება და სამოქმედო პროგრამა.

3. მიმდინარე წლის 1 ივლისამდე ჩატარდეს აღნიშნული კლუბის პრეზენტაცია.

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის

ოქმი

№ 46 1 ივლისი 2003 წელი

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია**;

ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები: **ა. ახვლედიანი, ჯ. გამახარია, დ. გადელია, ჯ. ეზუგბაია, ვ. კვარაცხელია, რ. ლორთქიფანიძე, ა. ჟვანია, ვ. შამილაძე, გ. შარაძე, გ. ჯოჯუა.**

ფრაქცია "აფხაზეთი-ს თავმჯდომარე **გ. ლომინაძე,** ფრაქცია "აფხაზეთი"-ს წევრები: **ა. გასვიანი, ვ. გვაზავა, დ. გვაძაბია, ვ. ჭანტურია;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი **თ. ნადარეიშვილი;**
საქართველოს პარლამენტის წევრი **ო. მენაბდე;**
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი **ი. მენაღარიშვილი;**
საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მ. კაკაბაძე**;
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე **ჯ.გახოკიძე;**
საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე **ნ. უფლისაშვილი;**
საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის პირველი მოადგილე **გ. ნიჟარაძე**;
საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილე **გ. კაკუბერი;**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას პირველი თანაშემწე - სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია**;
აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის აპარატი ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია.**

დღის წესრიგი:

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების ქ. სოჭის 2003 წლის 6-7 მარტის შეხვედრებზე მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ

მოისმინეს: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ი. მენაღარიშვილის, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის ჯ. გახოკიძის, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის პირველი მოადგილის გ. ნიჟარაძის, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილის ნ. უფლისაშვილის, ინფორმაციები საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტებს შორის სოჭის 2003 წლის 6-7 მარტის შეხვედრებზე მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფდება რუსეთის ფედერაციის შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობით ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტებს შორის 2003 წლის 6-7 მარტს სოჭში მიღწეული შეთანხმების სარეალიზაციოდ. შეიქმნა და ფუნქციონირებენ სამუშაო ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ დევნილთა და ლტოლვილთა თავიანთ მუდიმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების, სოჭი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისა და ენგურჰესის კასკადის მოდერნიზაციის საკითხებზე.

ითქვა, რომ აღნიშნულ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა გალის რაიონში დაბრუნებული და დასაბრუნებელი კონტიგენტის დასადგენად, დაბრუნების პროცესში გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ჩასართავად, დასაბრუნებელი და სტიქიურად დაბრუნებული მოსახლეობის გარანტირებული უსაფრთხოების პირობებისა და სასიცოცხლოდ აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოსამზადებლად. ამასთან, ხაზი გაესვა, რომ ეს სამუშაოები მხოლოდ საწყის სტადიაზეა და მათი განხორციელების უზრუნველმყოფი კონკრეტული მექანიზმები ჯერ-ჯერობით შემუშავებული არ არის.

აღინიშნა, რომ რეკომენდაციები კონფლიქტის ზონაში დსთ-ის ეგიდით კოელქტიური სამშვიდობო ძალების ყოფნის 6-თვიანი ვადის შეცვლის მიზანშეწონილობის თაობაზე სათავეს იღებს გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფისაგან, ამასთან ერთად, ხაზი გაესვა რომ სამშვიდობო ძალების არსებულმა ფორმატმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა და ის რეალურად შესაცვლელია, ამდენად, დღის წესრიგიდან არ იხსნება დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა საბჭოს 1998 წლის მარტის, 1999 წლის მარტისა და 2002 წლის მარტის გადაწყვეტილებები აღნიშნული მანდატის გაფართოების შესახებ. იმავდროულად, ხაზი გაესვა, რომ რუსეთის მხარისაგან ჯერ-ჯერობით არ არის მიღებული პასუხი კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარის მიერ სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის მოთხოვნის შემთხვევაში ამ ძალების მიერ კონფლიქტის

ზონის დატოვების კონკრეტული ვადის თაობაზე. აღინიშნა, რომ მოსკოვი იხილავს ამ საკითხზე ქართული მხარის ახალ წინადადებებს.

ითქვა, რომ სოჭი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა სამუშაო ჯგუფის 2 შეხვედრა, რომელზე დაფიქსირდა ქართული მხარის პრინციპული პოზიციები:

- სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა შეიძლება მოხდეს მხოლოდ დევნილთა თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების პარალელურად;

- ქართულ მხარეს გააჩნია შესაბამისი ტექნიკური და საკადრო პოტენციალი აღდგენით სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისათვის.

ხაზი გაესვა, რომ სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკებები მხოლოდ წმინდა ტექნიკურ საკითხებზე. აღინიშნა აღდგენით სამუშაოებში მეგობარი ქვეყნების ჯგუფის ჩართვის აუცილებლობის შესახებ. (ამ მიზნით მუშავდება ერთობლივი კონსორციუმის შექმნის ვარიანტი). ყურადღება გამახვილდა, რომ აღდგენითი სამუშაოების ჩატარება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მომსახურე პერსონალისათვის უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფის შემთხვევაში, ამასთან ხაზი გაესვა, რომ არ მომხდარა არავითარი შეთანხმება რკინიგზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე უსაფრთხოების პირობების დასაცავად რუსეთის სამშვიდობო ძალების კონტიგენტის გამოყენების თაობაზე.

ენგურჰესის კასკადის ობიქტების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ითქვა, რომ 2003 წლის 16 მაისს მიღწეულ იქნა შეთანხმება ვარდნილჰესის კასკადის, სოხუმჰესისა და მაღალვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზების სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად მიმდინარე წლის ივლისში ბიზნეს-გეგმების შემუშავებისა და დამტკიცების შესახებ, აგრეთვე აღნიშნულ ობიექტებზე ელექტროენერგიის რეალიზაციის წყაროსა და მექანიზმების განსასაზღვრავად.

აზრი გამოთქვეს: თ. ნადარეიშვილმა, გ. კალანდიამ, გ. ჯოჯუამ, ა.გასვიანმა, გ. გვაზავამ გ. კაკუბერმა, ვ. კვარაცხელიამ, დ. გვაძაბიამ, რ.ლორთქიფანიძემ, გ. ლომინაძემ, ჯ. გამახარიამ, ჯ. გახოკიძემ, ვ. ყოლბაიამ.

თ. ნადარეიშვილის აზრით სოჭის შეხვედარზე მიღწეული შეთანხმება ქართული მხარისათვის მისაღებია, მაგრამ მისი არც ერთი პუნქტი არ შესრულდება, ვინაიდან აფხაზური მხარე კვლავ უარზეა განიხილოს აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში, დევნილთა დაბრუნებაზე თანახმაა მხოლოდ მოსკოვის 1994 წლის 4 აპრილის შეთანხმების საფუძველზე, რაც ათასობით აფხაზეთიდან დევნილს უსპობს თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების შესაძლებლობებს, ამდენად, რკინგზის აღდგენასა და ენგურჰესის კასაკადის რეაბილიტაციაზე საუბარი აზრს კარგავს. მანვე აღნიშნა, რომ

ხელისუფლებას არა აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის ჩიხიდან გამოსაყვანად, ხაზი გაუსვა, რომ ამ დღეებში შექმნილ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომიტეტის შემადგენლობაში არ არის შეყვანილი აფხაზეთიდან დევნილთა არც ერთი წარმომადგენელი. თ. ნადარეიშვილმა გამოხატა უკმაყოფილება პარლამენტის მიერ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტთან მიერთების რატიფიკაციის გაჭიანურებასთან დაკავშირებით.

გამომსვლელთა უმრავლესობამ გამოხატა თავისი ურყოფითი დამოკიდებულება რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის კონფლიქტის ზონაში მანდატით დაწესებული 6-თვიანი ვადის უვადო გაგრძელების საკითხთან დაკავშირებით, ითქვა, რომ ქართულმ მხარემ უნდა განაგრძოს აქტიური საქმიანობა მეგობარი ქვეყნების ჯგუფთან, რათა დაარწმუნოს ისინი, რომ აღნიშნული მანდატითა და ფორმატით ეს ძალები ვერც შემდგომში შეასრულებენ მათზე დაკისრებული მისიას. ამდენად კვლავ აქტუალურად უნდა დარჩეს საკითხი მათი საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლების შესახებ. ითქვა, რომ შესაბამისი ძალოვანი სტრუქტურები უნდა იყვნენ მზად კონფლიქტის ზონაში ვითარების გამწვავების შემთხვევაში მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად და ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის შესანარჩუნებლად.

ხაზი გაესვა სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხებზე გამართული სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე ქართული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის ცხოვრებააში მტკიცედ გატარების მნიშვნელობაზე.

აღინიშნა რა ენგურჰესის კასკადის რეაბილიტაციის ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა, ამასთან ერთად გამოიხატა შეშფოთება აღნიშნული ობიექტისა და სოხუმჰესის 25 წლის ვადით მართვის უფლების სპეციალურად შექმნილი ორგანიზაციისათვის შესაძლო გადაცემაზე, სადაც ქართული მხარის წილობრივი მონაწილეობის პროცენტებმა (25%) შეიძლება საშიშროება შეუქმნას ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას. გამოითქვა მოსაზრება აღნიშნული საკითხის კომისიის სპეციალურ სხდომაზე განხილვის მიზანშეწონილობის თაობაზე.

ყურადღება გამახვილდა რუსეთის მობილური კავშირგაბმულობის კომპანიის ჯი-ეს-ემის აქტიურობაზე აფხაზეთის კავშირგაბმულობის სივრცის ასათვისებლად და ქართული მხარის შესაძლო რეაგირებაზე აღნიშნულთან დაკავშირებით.

სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ვ. ყოლბაიამ.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ იქნა **რეკომენდაციები:**

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის **ი.მენაღარიშვილის,** საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის **ჯ. გახოკიძის,** საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის პირველი მოადგილის **გ. ნიჟარაძის,** საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილის **ნ. უფლისაშვილის** ინფორმაციები საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტებს შორის სოჭის 2003 წლის 6-7 მარტის შეხვედრებზე მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ.

2. არასაკმარისი არგუმენტაციის გამო აღინიშნოს კომისიის უარყოფითი დამოკიდებულება მანდატით გათვალისწინებული 6 თვიანი ვადის სანაცვლოდ კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარის მოთხოვნამდე კონფლიქტის ზონაში დსთ-ს ეგიდით მოქმედი რუსეთის სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონაში დატოვების თაობაზე მიღწეული შეთანხმების მიმართ. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენელბთან მუშაობის გაქტიურება კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის მანდატისა და ფორმატის შესაცვლელად.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის პირველი მოადგილის **გ. ნიჟარაძის** განცხადება, რომ სოჭის 2003 წლის 6-7 მარტის შემაჯამებელი განცხადების შესაბამისად სოჭი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხებზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის ორივე სხდომაზე ცალსახად იქნა დაფიქსირებული ქართული მხარის პრინციპული მიდგომები იმასთან დაკავშირებით, რომ:

- სოჭი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა უნდა განხორციელდეს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა აფხაზეთში, საქართველო, თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების პარალელურად;

- სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა რუსეთის ფედერაციის მხრიდან არის ორმხრივი და საერთაშორისო ვალდებულებების უხეში დარღვევა;

- აფხაზური მხარის ჩართვა სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ქართული და რუსული მხარეები მკაფიოდ განსაზღვრავენ სარკინიგზო მიმოსვლის საკითხთა წრეს და შეათანხმებენ მათი რეალიზაციის კონკრეტულ ნაბიჯებს;

- რკინიგზის აღდგენის სამუშაოები უნდა დაიწყოს აღმოსავლეთის მიმართულების მონაკვეთიდან, რაც ლოგიკურია და შეესაბამება დევნილთა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების პარალელურობის პრინციპს;

- ქართულ მხარეს გააჩნია შესაბამისი საშუალებანი (ტექნიკური და საკადრო) აღდგენით სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისათვის;

- განაღმვისა და აღდგენით სამუშაოებში მონაწილე პერსონალის უსაფრთხოების საკითხები მოითხოვენ დამატებით საფუძვლიან დამუშავებას.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სოჭის 2003 წლის 6-7 მარტის შეხვედრაზე ენგურჰესების კასკადის მოდერნიზაციასთან დაკავშირებული საკითხები ცალკე იქნება განხილულ აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის მორიგ სხდომაზე.

5. ეთხოვოს საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს **(მ.ადეიშვილი, გ.კაკუბერი)** აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის მობილური კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო კომპანიის "ჯი-ეს-ემ"-ის მიერ აფხაზეთის სივრცის ათვისების მცდელობისა და აღნიშნული სივრცის ათვისებაში "მაგთი-ჯსმ"-ის და "ჯეოსელი"-ის ჩართვის მიზანშეწონილობის საკითხების დამუშავება.

6. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს საგანგებო სხდომაზე კვლავ დაუბრუნდეს რომის სტატუტის რატიფიცირების საკითხს.

7. დაისვას საკითხი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წინაშე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომიტეტიში აფხაზეთის წარმომადგენლის გათვალისწინებისა და სამუშაო ჯგუფების შემადგენლობაში აფხაზეთიდან კომპეტენტური სპეციალისტებისა და პროფესიონალი პირების შეყვანის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის

ოქმი

№ 47 18 ივლისი 2003 წელი

სხდომას უძღვებოდა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ვ. ყოლბაია**;

ესწრებოდნენ: აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები: ა. ახვლედიანი, **ჯ. გამახარია, დ. გადელია, ვ. კვარაცხელია, ნ. გრიგალაშვილი, ჯ. ეზუგბაია, გ. კალანდია, რ. ლორთქიფანიძე, ა. ჟვანია, ვ. შამილაძე, გ. შარაძე.**
ფრაქცია "აფხაზეთი-ს წევრები: **ვ. გვაზავა, დ. გვაძაბია;**
ფრაქცია "ახალი აფხაზეთ ი- ქრისტიან დემოკრატები"-ის წევრი **ჯ. საჯაია;**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **თ. მჟავია,** საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე **გ. ნოზაძე,** საქართველოს პროკურატურის მოკვლევაზე ზედამხედველობის განხორციელების განყოფილების უფროსი **გ. ძიმისტარაშვილი**, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე **ლ. ხოზრევანიძე,** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო დეპარტამენტის თავმჯდომარე **ა. თუშური,** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შტაბის უფროსის მოადგილე, **ი. თოფურიძე,** ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე **მ. სალაძე,** ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსი **ა. მიქაბერიძე**, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სამმართველოს უფროსი
ა. კეკელიძე, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის "საწარმოთა მართვის სააგენტო"-ს თავმჯდომარე **ვ. კაპანაძე,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი **ნ. თოდუა,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე **რ. ბერიშვილი**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი **ა. შამათავა**, აფხაზეთის ა/რ პროკურორის მოადგილე - **ნ. სოტკილავა,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქების მერები და რაიონების გამგებლები: **ი. არქანია, ხ. გუგუჩია, ა. თევდორაძე, დ. კეკეელია, გ. ლაშხია, მ. ჭედია, გ. ჩიქოვანი,** გულრიფშის რაიონის გამგებლის მოადგილე **ჯ. წურწუმია;**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ყოლბაიას პირველი თანაშემწე - სამდივნოს უფროსი **რ. გელანტია,** აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის აპარატის ხელმძღვანელი **თ. ჭახრაკია,** კომისიის სპეციალისტი **ვ. ქობალია.**

დღის წესრიგი:

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის **გ. ნოზაძის** და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის **ნ. თოდუას** ინფორმაციები.

მოისმინეს: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ფართობით უზრუნ ველყოფის მდგომარეობის შესახებ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის **გ. ნოზაძის** და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის **ნ. თოდუას** ინფორმაციები.

აზრი გამოთქვეს: დ. თუშურმა, ვ. კაპანაძემ, მ. სალაძემ, მ. მებონიამ, თ. მჟავიამ, .ა მიქაბერიძემ, გ. კალანდიამ, ჯ. გამახარიამ, დ. გვაძაბიამ, ვ. ყოლბაიამ.

აღინიშნა, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ქ. თბილისის მერიის, რეგიონბში ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გაწეული სერიოზული მუშაობის მიუხედავად აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის დროებითი განსსახლების საკითხი კვლავ მეტად მწვავედ დგას.

ამჟამად საქართველოს 61 ქალაქსა და რაიონში განსახლებულია 262 ათასზე მეტი დევნილი აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან, რომელთაგან 112,5 ათასზე მეტი ცხოვრობს კომპაქტურად 1500-მდე ობიექტში, ხოლო 150 ათასამდე დევნილი განსახლებულია კერძო სექტორში, ახლობლებთან და ნათესავებთან, ან დაქირავებულ ბინებში.

კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესისა და დევნილთა თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების გაჭიანურების, პერიფერიებში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გამო უკანასკნელ პერიოდში გამოიკვეთა დევნილთა ოჯახების გადაადგილების ტენდენცია დიდ ქალაქებში და ადმინისტრაციულ ცენტრებში, განსაკუთრებით - ქ. თბილისში.

დღეისათვის ქ. თბილისში რეგისტრირებულია 95 ათასი დევნილი (1997 წ. - 78 ათასი, ხოლო 1998 წ. - 85,2 ათასი). ქ. თბილისში რეგისტრირებული დევნილებიდან 42 ათასზე მეტი ცხოვრობს კომპაქტურად 420 ობიექტში (1998 წლის მონაცემებით - 24 ათასი, 200-მდე ობიექტში).

1997-2002 წლებში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში დროებითი საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების თაობაზე შემოსული 1633 დევნილი ოჯახის განცხადებიდან სამინისტროს მიერ შესაბამის უწყებებთან, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმართველობის ორგანოებთან ერთად მოხერხდა მხოლოდ 525 ოჯახის (ყოველი მესამე) დაკმაყოფილება, რაც განაპირობებს დევნილი ოჯახების მხრიდან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებში თვითნებური შეჭრისა და უნებართვოდ ჩასახლების ფაქტებს.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ინფორმაციები, რომ მათ ტერიტორიებზე არ არის დროებით უმოქმედო შენობა-ნაგებობები, მოჰყვა დევნილთა მხრიდან ასეთი შენობების დამოუკიდებლად მოძიება და მათი თვითნებუოი დაკავება.

ხაზი გაესვა, რომ მიუხედავად კომისიის მიერ სათანადო ორგანოების ყურადღების არაერთგზის გამახვილებისა, დღემდე არ იქნა გამოვლენილი და სათანადოდ დასჯილი დევნილებს მიტმასნილი ჯგუფის წევრები, რომლებიც დახელოვნებულნი არიან უმოქმედო, ან ნაწილობრივ უმოქმედო ობიქტების აღმოჩენასა და მათში უკანონო შეჭრების პროვოცირებაში, შემდგომ კი - გარკვეული თანხის საფასურად აღნიშნული ფართობის დევნილებისათვის გადაცემაში.

მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა მიერ ორგანიზებულად დაკავებული 1500 ობიექტიდან 450-მდე საჭიროებს გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს, 1999-2003 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის პრაქტიკულად არ იქნა გათვალისწინებული დევნილთა ორგანიზებულად ჩასახლების ობიექტების რეაბილიტაციისათვის რაიმე თანხა.

აღინიშნა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით 1999 - 2002 წლებში 184 ობიექტში ჩატარებული 1,5 მილიონი ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები რეალურად შექმნილ ურთულეს ვითარებას კარდინალურად ვერ ცვლის. ყურადღება გამახვილდა სარემონტო სამუშაოების ჩატარების ხარისხის ამაღლების აუცილებლობაზე და ამ ობიექტების მიღებისას საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პასუხისმგებლობაზე.

ითქვა, რომ 2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრის შედეგად ქ. თბილისში სერიოზულად დაზიანდა 6 ათასმდე დევნილით კომპაქტურად ჩასახლებული 56 ობიექტი, რომლებიც გადაუდებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს საჭიროებენ.

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 15 მაისის № 614 განკარგულების შესაბამისად თბილისის ზღვაზე მდებარე ოთხი ობიექტს (პანსიონატები “ოქროს სავანე”, “კადეტთა კორპუსი”, “თბილისის ზღვა”, და სანატორიუმი “ქართლი”) ჩაუტარდა 350 ათასი ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით მიმდინარე წელს გათვალისწინებულია სარემონტო სამუშაოები მიწისძვრით დაზარალებულ 34 ობიექტზე. დაუფინანსებელი რჩება მიწისძვრისაგან დაზიანებული 18 ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დასაბინავებელი რჩება მიწისძვრით დაზარალებული კერძო სახლებში განსახლებული 180 ოჯახი.

სხდომაზე სერიოზული ყურადღება დაეთმო ქ. თბილისის სასამართლოებში თვითნებურად დაკავებული შენობებიდან დევნილების გამოსახლებასთან დაკავშირებით სამოქალაქო სარჩელების დაკმაყოფილების მზარდ ტენდენციას. დაისვა სასამართლო გადაწყვეტილებათა საფუძველზე დევნილთა გამოსახლებას დაქვემდებარებული ოჯახებისასთვის დროებითი საცხოვრებელი ფართობის გამოყოფის საკითხის გადაწყვეტის (საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, ქ. თბილისის მერია, გამგეობები) აუცილებლობის შესახებ.

სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარემ
ვ. ყოლბაიამ.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ იქნა **რეკომენდაციები:**

1. ცნობად იქნეს მიღებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის **გ. ნოზაძის** და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის **ნ. თოდუას** ინფორმაციები.

2. არასაკმარისად იქნეს მიჩნეული აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველსაყოფად.

3. იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის საკითხის უკიდურეს გამწვავებასთან დაკავშირებით დევნილთა მიერ არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებში თვითნებურად შეჭრისა და მისგან გამომდინარე პროვოცირებული არასასასურველი ექსცესების პროფილაქტიკის მიზნით ეთხოვოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრს (**ა. ჯორბენაძე**):

ა) "იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პარლამენტის 6 ივნისის დადგენილების მოთხოვნათა რეალიზაციის უზრუნველსაყოფად

დაინტერესებულ სტრუქტურათა ხელმძღვანელების სპეციალური თათბირის მოწვევა;

ბ) აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგებისა და დევნილთა თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების პროცესების გაჭიანურებასთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე დევნილთა დროებითი განსახლების პროგრამის სარეალიზაციოდ ინვესტიციების გამოყოფის თაობაზე საკითხის დასმა.

4. ეთხოვოს თბილისის მერიას (**ი.ზოდელავა**):

ა) რაიონების გამგეობებთან, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 სექტემბრის № 643 ბრძანებულებისა და საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 6 ივნისის № 303 დადგნილების მოთხოვნების შესაბამისად განიხილოს და განახორციელოს დამატებითი ღონისძიებები იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველსაყოფად.

ბ) განიხილოს მიწისძვრით დაზარალებული შპს "ვარკეთილი-47"-ის შენობაში განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთаиწარმო-მადგენლების მიერ სხდომაზე დასმული თხოვნა ავარიულ შენობაში აუცილებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების თაობაზე.

5. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკისა და მარ-თვის სამსახურს (**ი. ბოჭორიძე**) და საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ საკითხთა სამსახურს. (**დ. ჯოჯუა**) ადგილობ-რივი მმართველობის ორგანოებთან და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად განიხილონ დევნილთა განსახლების რეგიონებში სპეციალური კომისიების შექმნის მიზანშეწონილების საკითხი, რომელიც კომპლექსში განიხილავენ და გადაწყვეტენ დენილთა მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობებით დასაკმაყოფილებლად დროებითი უმოქმედო შენობა-ნაგებობების შერჩევის, რემონტისა და მათში დევნილთა ორგანიზებული ჩასახლების პრობლემებს.

6. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ (**ო. ყეინიშვილი**):

ა) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურებთან შეთანხმებით მიმდინარე წლის 5 აგვისტომდე შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას წარუდგინოს წინადადებები საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო

ბიუჯეტის პროექტში დევნილთა განსახლებისა და მათი კომპაქტური ჩასახლების ობიექტების რეაბილიტაციის ღონისძიებების დასაფინანსებლად;

ბ) გააძლიეროს კონტროლი დენილთა აღრიცხვიანობის, მათი საბინაო პირობების გაუმჯობესების საკითხებზე, უზრუნველყოს კომპაქტურად განსახლების ობიექტებში დევნილენბს მიტმასნილ პირთა ჩასახლების ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი მასალების კომპეტენტური ორგანოებისათვის გადაცემა;

გ) შეისწავლოს საქართველოს პარლამენტში შემოსული კონსტიტუციის № 3-ში შესახლებულ დევნილთა და გლდანის I მ/რ (კარტოგრაფიის), გლდანის V მ/რ (რადიო-ქარხნის) და კონიაკის დასახლებაში (სტამბის) შენობებში შექმნილი მდგომარეობის თაობაზე დევნილთა კოლექტიურ განცხადებებში მოტანილი ფაქტები და გატარებული ზომების შესახებ აცნობოს აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ დროებით კომისიას;

დ) ქ. თბილისის მერიასთან და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ერთად დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოსადეგი, სამინისტროებისა და უწყებების ბალანსზე რიცხული, ამჟამად უმოქმედო შენობების ინვენტარიზაცია და აღმასრულებელი ხელისუფ-ლებისა და აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიისათვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა;

ე) საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის "საწარმოთა მართვის სააგენტოსთან" **(ვ. კაპანაძე)** და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად განიხილოს ობიექტების პრივატიზირების პროცესში იძულებით გადაადგილებულ პირებსა და აღნიშნული ობიექტების მეპატრონეებს შორის წამოჭრილი სადავო საკითხები.

ვ) მოამზადოს შესაბამისი წინადადებები და წარუდგინოს საქართველოს მთავრობას დევნილებით კომპაქტურად განსახლებული ობიექტების მეპატრონეების დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან განთავისუფლების მიზანშეწონილების თაობაზე.

7. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება შესაბამისი ორგანოების მიერ გეოლოგიიის ინსტიტუტის შენობიდან დევნილთა გამოსახლებისას გატარებული ღონისძიებების კანონთან შესაბამისობის საკითხზე და შედეგები მოხსენდება საქართველოს პარლამენტს.

8. მიზანშეწონილად ჩაითვალოს მიმდინარე წლის სექტემბერში აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სხდომაზე აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ინფორმაციების მოსმენა.

კომისიის თავმჯდომარე

თავი VI.

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის განცხადებები

***

2002 წლის 25 დეკემბერს განხორციელდა ელექტრომატარებლის სასინჯი რეისი სოჭი-სოხუმი-სოჭი, რაც სოჭსა და სოხუმს შორის ყოველდღიური სამგზავრო რეისების აღდგენას ისახავს მიზნად.

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია აღშფოთებას გამოხატავს საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად აღნიშნული ცალმხრივი აქტის, ისევე როგორც ამ დღეებში სოხუმში ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე მოსკოვის მერიის ოფიციალური დელეგაციის 4-დღიანი ვიზიტის გამო და აღიქვამს მათ სუვერენული ქვეყნის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად.

კომისია თვლის, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან სახეზეა სეპარატიზმის იზოლაციის თაობაზე დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა საბჭოს მოსკოვის 1996 წლის 19 იანვრის სამიტის გადაწყვეტილებათა უხეში იგნორირება, რამაც ქრონიკული ხასიათი მიიღო დაა ეჭვის ქვეშ აყენებს რუსეთის მხრიდან თანამეგობრობაში ურთიერხელსაყრელი ინტეგრაციული პროცესებისადმი ერთგულებას, სერიოზულად აკნინებს დსთ-ის ავტორიტეტს.

დაუფარავი მხარდაჭერა სეპარატისტული რეჟიმისა, რომელიც აბუჩად იგდებს გაეროს უშიშროების საბჭოს, მეგობარი ქვეყნების ჯგუფის რეკომენდაციებს, აგრძელებს თვით უსაფრთხოების ზონაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უპრეცედენტო დარღვევებს, რისი მკაფიო მაგალითია 24-25 დეკემბერს გალის რაიონის სოფლებში - ზემო და ქვემო ბარღები, ნაბაკევი, პირველი და მეორე ოტობაია, გაგიდა მძიმე ტექნიკის გამოყენებით მშვიდობიანი მოსახლეობის მორიგი აწიოკება, ათეულობით ადამიანის მძევლად აყვანა, კიდევ ერთხელ სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებს კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში რუსეთის სამშვიდობო ძალების ქმედითუნარიანობასა და მათი იქ დარჩენის მიზანეშეწონილობას, უფრო მეტიც - რუსეთის ფედერაციის, როგორც კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში ნეიტრალური მხარისა და მედიატორის როლს.

კომუნიკაციების გახსნა აფხაზეთში, საქართველოს მოქალაქეებისადმი რუსეთის მოქალაქეობის სტატუსის მინიჭება, ცალმხრივი წესით გამარტივებული სავიზო რეჟიმის შემოღება, სეპარატისტებთან ეკონომიკური და სხვა სახის თანამშრომლობა სხვა არაფერია, თუ არა აფხაზეთის რუსეთთან მიერთების მცდელობა.

კომისია გამოხატავს უკიდურეს შეშფოთებას რუსეთის ფედერაციის მიერ ბოლო პერიოდში სუვერენული საქართველოს საშინაო საქმეებში უცერემონიო ჩარევასთან დაკავშირებით და უპირობოდ მოითხოვს რუსეთის ხელისუფლებისაგან მიიღოს გადამჭრელი ზომები ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის შემდგომი გამწვავების, რაც არ შედის ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ინტერესებში თავიდან ასაცილებლად.

თბილისი,
2002 წლის 26 დეკემბერი

***

მიმდინარე წლის 14 მაისს თბილისში, ჯიქიას ქ. № 8-ში განთავსებული გეოლოგთა ადმინისტრაციის შენობიდან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა 64 ოჯახის გამოსახლების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისას მოხდა ფიზიკური დაპირისპირება დევნილებს, შენობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და გადაწყვეტილების აღსრულებელთა შორის. შედეგად ათეულობით დევნილმა მიიღო სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება, სამი მათგანი მოთავსებულ იქნა საავადმყოფოში.

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია გამოხატავს სინანულს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებთ და კატეგორიულად გმობს დევნილი მოსახლეობის მიმართ განხორციელებულ ძალადობას.

კომისიას თავისი საქმიანობის მანძილზე დაინტერესებულ სტრუქტურებთან ერთად არაერთხელ განუხილავს დევნილთა განსახლების პრობლემები და გაუმახვილებია აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების ყურადღება ამ საკითხში სათანადო წესრიგის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

ქვეყანაში არსებული სირთულეები, სარეზერვო საბინაო ფონდის არარსებობა, სხვა პრობლემები, რა თქმა უნდა, ხელს უშლის დევნილთა საბინაო პრობლემებთან დაკავშირებით "იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 სექტემბრის ცნობილი ბრძანებულების მოთხოვნათა შესრულებას, მაგრამ ამასთან ერთად, კომისიას მიაჩნია, რომ არავის არა აქვს უფლება დამატებით მიაყენოს ტკივილი, დაამციროს და ხელყოს დევნილი მოსახლეობა, მათი უპირობო უფლებები საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფის შესახებ.

კომისია მოელის, რომ აღნიშნული ფაქტი ობიექტურად იქნება გამოძიებული, გახდება თბილისის მერიის, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, სხვა

დაინტერესებული უწყებების სპეციალური განხილვის საგანი, შემდგომში მსგავსი მოვლენების თავიდან ასაცილებლად.

თბილისი,
2003 წლის 15 მაისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალის მაგიერ.....3

თავი I. საქართველოს პარლამენტის მიერ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით მიღებული კანონები, დადგენილებები, განცხადებები, მიმართვები…….....19

2000 წელი

1. საქართველოს პარლამენტის დადგენილება "აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე", 2000 წლის 29 სექტემბერი.....19

2. საქართველოს პარლამენტის დადგენილება "აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ", 2000 წლის 5 დეკემბერი.....20

2001 წელი

3. საქართველოს პარლამენტის განცხადება " სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მიერ 2001 წლის 10 მარტისათვის დაგეგმილი ე.წ. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნების შესახებ" 2001 წლის 2 მარტი.....21

4. საქართველოს პარლამენტის დადგენილება "რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის ერთობლივი განცხადების შეუსრულებლობის თაობაზე", 2001 წლის 18 ივლისი.....22

5. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 2001 წლის 27 სექტემბერი.....22

6. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 2001 წლის 27 სექტემბერი.....24

7. საქართველოს პარლამენტის დადგენილება "აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით", 2001 წლის 11 ოქტომბერი.....25

8. საქართველოს პარლამენტის დადგენილება "აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის

უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ", 2001 წლის 7 დეკემბერი.....28

2002 წელი

9. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 2002 წლის 28 თებერვალი...28

10. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 2002 წლის 28 თებერვალი...29

11. საქართველოს პარლამენტის დადგენილება "აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ", 2002 წლის 20 მარტი.....30

12. საქართველოს პარლამენტის დადგენილება "აფხაზეთში სახელმწიფო ქონების და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ", 2002 წლის 20 მარტი.....34

13. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 2002 წლის 20 მარტი.....35

14. საქართველოს პარლამენტის მიმართვა "გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს, ევროპარლამენტისა და დსთ-ისადმი", თბილისი, 2002 წლის 12 აპრილი.....38

15. საქართველოს პარლამენტის მიმართვა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროსა და ფედერაციის საბჭოსადმი, 2002 წლის 26 აგვისტო...38

16. საქართველოს პარლამენტის მიმართვა გაერო-ს, ეუთოს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ნატოსა და საქართველოს მეგობარი ქვეყნებისადმი, 2002 წლის 12 სექტემბერი.....38

17. საქართველოს პარლამენტის დადგენილება "საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატოში) გაწევრიანების პროცესის დაწყების შესახებ, 2002 წლის 13 სექტემბერი.....42

18. საქართველოს პარლამენტის დადგენილება "აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ, 2002 წლის 21 ივნისი.43

19. საქართველოს პარლამენტის დადგენილება "აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის

უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ", 2002 წლის 6 დეკემბერი.....45

2003 წელი.

20. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 2003 წლის 30 იანვარი.....46

21. საქართველოს პარლამენტის დადგენილება "აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2003 წლის 7 მაისი..47

22. საქართველოს პარლამენტის დადგენილება "იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა დროებით საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ,2003 წლის 6 ივნისი.....49

თავი II. საქართველოს პარლამენტში გამართული დებატები და დისკუსიები…….....55

1. 2002 წლის 14-20 მარტი…….....55
2. 2003 წლის 30 იანვარი …….....….....79
3. 2003 წლის 20 ივნისი …….....92

თავი III. აფხაზეთის საკითხი ევროკავშირში, ეუთო-ში, ევროპის საბჭოსა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეაზე …….....107

2000 წელი

1. ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შეხვედრაზე მოქმედი თავმჯდომარის განცხადება (საქართველოს ნაწილი), 27 ნოემბერი 2000 წელი.....107

2. საფრანგეთის საელჩოს საქართველოში პრეს-სამსახურის განცხადება ევროპის კავშირის განცხადება საქართველოსთან დაკავშირებით 311-ე მუდმივმოქმედი საბჭო,2000 წლის 23 ნოემბერი.....107

2001 წელი

3. Резолюция Европарламента в связи с введением Россией визового режима в отношении Грузии, 18 января 2001 г…….....110

4.ევროპის საბჭოს პრეს-სამსახურის განცხადება, სტრასბურგი, 25 მარტი 2001 წ……113

5. Резолюция 1257 (2001) Ассамблеи Совета Европы **"О выполнении Грузией своих обязательств",** 24-28 сентября 2001 г…….....114

6. ეუთოს მინისტრთა საბჭოს განცხადებიდან, 2001 წელი 4 დეკემბერი, გადაწყვეტილება № 2……118

2002 წელი

7. COEST - საპრეზიდენტო დეკლარაცია ევროკავშირის სახელით "აფხაზეთში საქართველო გამართულ საპარლამენტო არჩევნებთან" დაკავშირებით, 12 მარტი 2002წ 122

8. საქართველო - ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის თანათავმჯდომარის, ევროპარლამენტის წევრის ქ-ნ ურსულა შლაიხერის განცხადება 2 მარტს აფხაზეთში ჩატარებული "საპარლამენტო არჩევნების" შესახებ, 2002 წლის 18 მარტი.....123

9. Рекомендация 1570 (2002) Ассамблеи Совета Европы, 1 "О положении беженцев и перемещенных лиц в Азербайджане, Армении и Грузии" , 24-28 июня 2002 г...123

10. Выступление Председателя Парламента Грузии Н.А. Бурджанадзе на очередной сессии ПА ОБСЕ *6-10 июля, 2002 года* ……*127*

11. Выступление члена парламентской делегации Грузии Ады Маршания на очередной сессии ПА ОБСЕ, *Берлин, 6-10 июля, 2002 года* ……129

12. Реплика Председателя Парламента Грузии Нино Бурджанадзе на очередной сессии ПА ОБСЕ,*6-10 июля, 2002 года* ……*130*

13. Рекомендация 1580 (2002)1 Ассамблеи Совета Европы, " О ситуации в Грузии и последствиях в отношении стабильности Кавказского региона", 23-27 сентября 2002 г. …….. 134

2003 წელი

14. Из декларации 12-ой ежегодной сессии Парламентской Ассамблеи ОБСЕ, 5-9 июля 2003 г. 147

თავი IV. აფხაზეთის საკითხი დსთ-ს ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეაზე, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმაში…….....138

1. Постановление Государственной Думы Федеракьного Собрания Российской Федерации "Об обращении Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "К депутатам парламентов Азербайджанской Республики, Республики Армения, Грузии, Республики Молдова, Туркменистана, Республики Узбекистан, Украины", 16 мая 2001 года. 139

2. Обращение Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации к депутатам парламентов Азербайджанской Республики, Республики Армения, Грузии, Республики Молдова, Туркменистана, Республики Узбекистан, Украины,.16 мая 2001 года 140

3. Постановление Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "О заявлении Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "О состоянии российско-грузинских отношений", 11 октября 2001 года. 141

4. Заявление Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "О состоянии российско-грузинских отношений", 11 октября 2001 года. ....

5. Выступление Председателя Парламента Грузии госпожи Нино Бурджанадзе на 18-ом пленарном заседании Межпарламентской Ассамблеи в Санкт-Петербурге, 24 ноября 2001 года..... 144

2002 წელი

6. Постановление Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "О заявлении Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "О ситуации в Грузии в связи с военным присутствием США на ее территории", 6 марта 2002 года. 147

7. Заявление Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "О ситуации в Грузии в связи с военным присутствием США на ее территории, 6 марта 2002 года.....155

8. Постановление Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации " О нарастании напряженности вокруг Абхазии и Южной Осетии", 22 марта 2002 года.....160

9. Выступление Председателя Парламента Грузии Н.А. Бурджанадзе на совместном заседании Совета МПА СНГ и Бюро ПА СЕ *26 марта 2002 года.*

10. Выступление Председателя Парламента Грузии, Председателя Парламентской Ассамблеи Черноморского Экономического Содружества госпожи Нино Бурджанадзе на межпарламентском форуме по борьбе с терроризмом, *Санкт-Петербург 25-27 марта 2002 года 166*

11. Выступление Председателя Парламента Грузии Председателя Парламентской Ассамблеи ЧЭС, Нино Бурджанадзе на 19-ом пленарном заседании МПА СНГ *г. Санкт Петербург, 26 марта 2002 г.* 167

12. Постановление Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "О парламентском запросе Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации Председателю Правительства Российской Федерации М.М.Касьянову "О состоянии российско-грузинских отношенийи перспективах дальнейшего двустороннего сотрудничества", 10 апреля 2002 года.....168

13. Государственная Дума Федерального Собрания Российской Федерации, Председателю Правительства Российской Федерации М.М.Касьянову Парламентский Запрос "О состоянии российско-грузинских отношений и перспективах дальнейшего двустороннего сотрудничества".....169

14. Постановление Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "О заявлении Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "О состоянии российско-грузинских отношений", 13 сентября 2002 года...171

15. Заявление Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "О состоянии российско-грузинских отношений", 13 сентября 2002 года.....171

2003 წელი

17. Постановление Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "О заявлении Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "О Соглашении о сотрудничестве в сфере обороны между правительствами Грузии и США"
16 апреля 2003 года.....172

18. Заявление Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "О Соглашении о сотрудничестве в сфере обороны между правительствами Грузии и США", 16 апреля 2003 г.....173

თავი V. აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომის ოქმები №№ 1-47 2000 - .2003 წლები …….....176

თავი VI. აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის განცხადებები……
…

სარედაქციო კოლეგია კრებულის გამოცემაში ხელშეწყობისა და თანადგომისათვის უღრმეს მადლიერებას გამოხატავს საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარის ბატონ ბადრი პატარკაციშვილისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის და საქართველოს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებელებების სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარის ბატონ მესუთ ბოზქირისადმი.

ფოტო: დავით კაკულია

კომპიუტერულიუზრუნველყოფა: ლაშა ჯოდოგუა

დაკაბადონება: ლალი ავაქიშვილი

შეკვეთა №105 ტირაჟი 120

შპს "პოლიექსპრესი", თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 104

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის გამოცემები 1999-2004 წწ.